

780
1989/2


ISSN 0134-9848


1989/5

საშობნა

შობნა-თბილისი

საქართველოს
ზოგადი განათლების
მინისტრის
გამართავი





虎
圖

虎
圖

虎
圖

虎
圖

საუნჯე

1989/5

საბუნების
მეცნიერებათა

საქართველოს
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა
აкадеმიის
გეოგრაფიის
ინსტიტუტი



შინაარსი

პროზა და პოეზია

ალგარტო მორავია. ზიჯლი. დასასრული. იტალიურიდან თარგმნა ზაირა ხტურუამ	3
პანს მინი იანსი. მედეა. პიესა. გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა	71
ლემონი დანდრევი. შვიდი ჩამოხრჩობილის ამბავი. თარგმნა ანზორ აბუანდაძემ	81
ალგარ კამიუ. მოლაღაბე ცოლი. ფრანგულიდან თარგმნა კახა იმნაიშვილმა	134
ინდომეთის უძველესი საუნჯე. უპანიშადები. თარგმნა ლერი ალიშონაქმა	147
მერი უოლსტონკრაფტ შელი. ფრანკანუბანი ანუ თანამედროვე პრომეთე. რომანი. დასაწყისი. ინგლისურიდან თარგმნა ნანა კობალეიშვილმა	175

წერილები:

ვერონიკა კოლონსკაია. მოგონებები მიაკოვსკიზე. თარგმნა ირაკლი ქავთაძემ	228
სიბრძნე ზირაშისა. დასასრული. თარგმნა გვანცა კობლაძემ	248
ვიკენტი ვერესაევი. აკოლონი და დიონისე. გაგრძელება. თარგმნა ავთანდილ ქოხაძემ	271
ბრუნო ვოიბტი. კოკუსანი. გერმანულიდან თარგმნა ლელა ხორნაულმა	284

**მხატვრული მარგვანისა და ლიტერატურულ კრთიაროთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეჯია**



**მთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე**

სარედაქციო კოლეჯია:

ელზა ახვლედიანი

ჯემალ აჯიაშვილი

გიორგი გაბანიძე

მზია გაძრავა

ბაჩანა ბრეგვაძე

ბურამ მოგიაშვილი

ნანა დარჩია (პ.გ. შდივანი)

მეგალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვახუშტი კობახიშვილი

გიორგი ნიშნიანიძე

ოთარ ნოდია

დალი შანუიანიძე

რუსუდან ქავლაძე

იორამ ქვერთაულიძე

ნიკო შიასაშვილი

გივი შაკნაზარი

გივი ქნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

დავით წარადიანი

ნუგზარ წარათული

გარეკანზე: კოკაშანი, გვგდრის ფანარი.

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნედაქტორი კ. იმნაიშვილი
გამომცემები ნანა ხართია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, კარლ მარქსის ქ. № 1.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31, პასუხისმგებელი შდივანი — 99-60-22.

განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გაღ. წარმ. 11.09.89 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 18. 12. 89 წ., ქაღალდის ზომა 70x108¹/₁₆

საღარ. თ. 25,51. სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7. ტირ. 10 000, შეკვ. № 2072.

ფასი 1 მან. 80 კპპ.

საქ. კ. ც. -ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.



იტალიურიდან

თარგმნა ზაირა სტურუაშ

თავი მეთორმეტი

19.09.55

დადგა კაპრზე გამგზავრების დღეც, ბატისტამ გადაწყვიტა თვითონ გვხლებოდა კუნძულზე, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, სტუმართმოყვარე მასპინძლის შესაფერისი თადარიგის დასაჭერად. ქუჩაში ჩვენს სადარბაზოსთან ჩემი მცირელიტრაჟიანი მანქანის გვერდით პროდიუსერის მძლავრი, არასერიული გამოშვების წითელი მანქანა დავინახე. თუმცა იენისის პირველი რიცხვები იყო, კარგ ამინდს ჯერ კიდევ ვერ მოეკიდა ფეხი. მოლრუბლული და ქარიანი დღე იდგა. ტყავის ქურთუკში და ფანელის შარვალში გამოწყობილი ბატისტა იქვე თავის მანქანასთან რეინგოლდს ელაპარაკებოდა. რეინგოლდისთვის, ისევე როგორც ყველა ღირსეული გერმანელისთვის, იტალია მზის ქვეყანას წარმოადგენდა და ამიტომაც შილიფად გამოწყობილიყო კოლონიურ თარგზე შეკერილ მსუბუქ პიჯაკსა და თეთრი ტილოს კეპში.

მე და ემილია სახლიდან გავედით შვეიცრისა და მოსამსახურის თანხლებით, რომლებსაც ჩვენი ჩემოდნები მოჰქონდათ. ბატისტამ და რეინგოლდმაც როგორც კი დაგვინახეს, მანქანას მოსცილდნენ და ჩვენ შესახვედრად გამოემართნენ.

— აბა, ვინ სად დაჯდება? — თქვა ბატისტამ მისალმების შემდეგ, მაგრამ ჩვენი პასუხებისთვის არც დაუცდია, განაგრძო — წინადადება შემომაქვს, სინიორა ჩემს მანქანაში დაჯდეს. რეინგოლდი კი შენს მანქანაში, მოლტენი. ამგვარად, გზაში საშუალება გექნებათ ფილმზე ისაუბროთ, რადგან... — დასძინა სიცილით, მაგრამ საკმაოდ ავტორიტეტულად — დღეიდან იწყება თქვენი ნამდვილი სამუშაო... ორი თვის შემდეგ სცენარი ხელთ უნდა მქონდეს.

უნებურად ემილიას შევხედე და შევამჩნიე, როგორ დაეღრიჯა სახე, რაც ადრეც შემიმჩნევია, ასე მოსდიოდა ხოლმე სულიერი მღელვარების დროს. უდავოა, რალაციით აღშფოთებული და უკმაყოფილი იყო. მაგრამ ახლა ამისათვის ყურადღება ისევე არ მიმიქცევია, როგორც მაშინ, ბატისტას წინადადება და კაპრზე გამგზავრების ამბავი რომ შევატყობინე. მართალი გითხრათ, მე პირადად, ბატისტას წინადადება სავსებით გონივრულად მიმაჩნდა. გამგზავრებაში კარგის მეტს ვერაფერს ვხედავდი. და მაინც ხასიათი გამიფუჭდა.

— ძალიან კარგი, — ვთქვი მე. ამასთან, ვცდილობდი მხიარული და უღარდელი იერი მიმეღო, ასეთ სასიამოვნო გასეირნებას ზღვის წარმტაცი სანაპი-

დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 4, 1989 წ.

ნაქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ბიბლიოთეკა

როსკენ ხომ მხოლოდ ალტაცებული განწყობა შეეფერებოდა. — ძალიან კარგი, — გავიმეორე, — ემილია თქვენთან ერთად წამოვა, რეინგოლდი ჩემთან. მხოლოდ იმის პირობას ვერ მოგცემთ, რომ გზაში სცენარზე ვილაპარაკებთ...

უცბად ემილიამ წამოიძახა:

— ძალიან მეშინია, როცა მანქანა ჩქარა დაჰყავთ. აი, თქვენ მაგალითად, გიყვივით დააქროლებთ.

ბატისტამ მაშინვე ხელი ჩაავლო ემილიას:

— ჩემთან ნურაფრისა გეშინიათ, და საერთოდაც, რისა გეშინიათ? როგორა გგონიათ, მე არ მიყვარს სიცოცხლე? — ამ სიტყვებით თითქმის ძალით წაიყვანა ემილია მანქანისკენ.

ემილია შესაბრალისად და დაბნეულად მომჩერებოდა. მის თვალებში თხოვნა ჩანდა — გამოვსარჩლებოდით, წუთით კიდევ გავივლე გონებაში, იქნებ მართლაც სჯობდეს გავეჩიუტდე და ემილია ჩემს მანქანაში ჩავსვა-მეთქი. მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე, ვაითუ ბატისტას ეწყინოს-მეთქი. ნამდვილად გიყვივით დააქროლებს მანქანას, მაგრამ რაც მართალი მართალია, დიდებულად დაჰყავს. ამიტომ დუმილი ვამჯობინე. ემილია კვლავ უარზე იდგა. მაგრამ ახლა უკვე არცთუ მტკიცე უარზე.

— ჩემი ქმრის მანქანით მერჩია წამოვსულიყავი...

ბატისტამ ხუმრობით უპასუხა:

— რა არის, რომ სულ ამას გაიძახით: ჩემი ქმარი, ჩემი ქმარი. მთელი დღე თქვენს ქმართან არა ხართ?! დაჯექით, თორემ მართლა მეწყინება.

ამ ლაპარაკში მანქანასთან მივიდნენ. ბატისტამ მანქანის წინა კარი გამოაღო და ემილიაც დაჯდა. ბატისტამ მანქანას შემოუარა, რათა თვითონაც დამჯდარიყო საჭესთან. თითქოს სიზმარში ვიყავით, ისე გაოგნებული ვუყურებდით მათ. რეინგოლდის ხმამ შემაკრთო.

— აბა, წავედით?

უცებ გამოვერკვიე, საჭეს მივუჯექი და მანქანა დაეძარი.

ზურგიდან მომესმა ბატისტას მანქანის გუგუნის, ბატისტა ჯერ უკან მოგვყვებოდა, მაგრამ მალე გაგვისწრო, სწრაფად გაიქრა წინ და შეუყვამთების ძირში გაჭრილ ვიწრო გზას. ძლივს მოვასწარი გვერდიგვერდ მჯდარი ემილიას და ბატისტას ზურგების დანახვა, რომ მანქანა მოსახვევში მიიმალა.

ბატისტამ მე და რეინგოლდს გვირჩია გზაში მომავალ სცენარზე გველაპარაკა. მაგრამ მისი რჩევა არ იყო საჭირო, ისედაც, როგორც კი ჩემი მცირელიტრაჟიანი მანქანის შესაფერისი სიჩქარით ქალაქს გავცდით და ფორმისა გზატკეცილზე გავედით, რეინგოლდმა, რომელიც აქამდე დუმდა, წამოიწყო:

— მართალი მითხარით, მოლტენი, იმ დღეს ბატისტასთან რომ ვიყავით, ხომ შეგეშინდათ, რომ მოგიწევდათ კინობოევიკის გაკეთება. ხომ შეგეშინდათ?

სიტყვა „კინობოევიკი“ განსაკუთრებული ღიმილით წარმოთქვა:

— ახლაც მეშინია, — დაბნეულად ჩავილაპარაკე მე, — ეს ტენდენცია ამ ბოლო დროს იტალიურ კინოსტუდიებშიც შეინიშნება.

— ჰო, შეიძლება ეს ასეა, მაგრამ თქვენ ნურაფრისა გეშინიათ. ჩვენ... — თქვა მან მტკიცედ და ავტორიტეტულად, — ფსიქოლოგიურ ფილმს გავაკეთებთ, მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიურს... როგორც უკვე გითხარით ამის შესახებ იქ, ბატისტასთან.. მე, ძვირფასო მოლტენი, ჩვეული არ ვარ ვაკეთო ის, რაც პროდიუსერებს სურთ... ყოველთვის ვაკეთებ იმას, რაც მე

მსურს. სტუდიაში მე უნდა ვიყო ყველაფრის ბატონ-პატრონი, სხვა არავინ... წინააღმდეგ შემთხვევაში უარს ვამბობ ხოლმე ფილმის გაკეთებაზე... ყველაფერი ნათელია, ხომ?

ვუბასუბე, ნათელია-მეთქი და ვერ დავფარე ის გულწრფელი სიხარული, რაც რეინგოლდის სიტყვებმა მაგრძნობინა, რამეთუ რეინგოლდის ასეთი დამოუკიდებლობა ჩემთვისაც სასიხარულო იყო. იმედი მომეცა, რომ მკაცრ-ტოტო ენას ადვილად გამოვნახავდი. სამუშაოც ჩვეულებისამებრ ვამუშავებდი და აუტანელი აღარ იქნებოდა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ რეინგოლდმა კვლავ განაგრძო:

— ახლა მინდა ჩემი მოსაზრებები გაგიზიაროთ, მოლტენი, შეგიძლიათ მანქანა ატაროთ და თან მომისმინოთ?

— რა თქმა უნდა, შემიძლია, — ვუთხარი და ის იყო მოსასმენად მოვემზადე, რომ უეცრად სოფლის შარაგზიდან გზატკეცილზე გამოვიდა ხარბებშემული ურემი და გზა გადაგვიღობა. მანქანა მკვეთრად შევატრიალე და ურემს გვერდი ავუქციე. მანქანა გადაფერდდა. ზიგზაგებით წავიდა. ის იყო ხეს უნდა დავჯახებოდით, რომ როგორღაც მოვახერხე მისი გასწორება.

— „რა თქმა უნდა, არ შემიძლია“ რომ გეპასუხათ უფრო სწორი იქნებოდა, — გადაიხარხარა რეინგოლდმა.

— ეგ არაფერი. — ვუთხარი ცოტა არ იყოს საქციელწამხდარმა, — ხარბები ისე მოულოდნელად გამოჩნდნენ, რომ... განაგრძეთ, გისმენთ.

რეინგოლდს დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია:

— აი, რა უნდა გითხრათ, მოლტენი. კაპრზე წამოსვლას იმიტომ დავთანხმდი, რომ ცალკეული გადაღებები ნატურიდან მართლაც ნეაპოლის ყურეში უნდა გავაკეთოთ. მაგრამ ეს მხოლოდ ფონი იქნება. შეგვეძლოს რომშიც დავრჩენილიყავით, ოდისევსის დრამა ხომ ახალი მიწების აღმომჩენი მეზღვაურის ან ომიდან შინ დაბრუნებულ მეომრის დრამა არ არის. ეს ყოველი ჩვენგანის დრამაა, ადამიანის დრამა. მითი ოდისევსზე — ეს არის ნამდვილი ამბავი გარკვეული ხასიათისა და ტიპის ადამიანებზე...

რაც ენაზე მომადგა, ისა ვთქვი:

— ყველა ბერძნულ მითში ადამიანური ტრაგედიებია გადმოცემული. სწორედ იმიტომ, რომ მათ დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა, მარად უკვდავნი არიან.

— მეც მაგისი თქმა მინდა.. ყველა ბერძნული მითი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანთა ცხოვრების ალეგორიული ასახვაა. ახლა ისმება კითხვა: რა გვევალება ჩვენ, თანამედროვე ადამიანებს, რათა გავაცოცხლოთ ეს ძველი და ასე შორეული მითები?! უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ რა მნიშვნელობა აქვთ მათ ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანებისათვის. შემდეგ უნდა გავშიფროთ, გავხსნათ, ყველასთვის ნათელი და მისაწვდომი გავხადოთ მათი მნიშვნელობა... და ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ცოცხლად, დამოუკიდებლად, ისე რომ აღტაცებულ თრთოლვას არ განვიცდიდეთ ამ მითების საფუძველზე შექმნილი ბერძნული ლიტერატურის შედეგების წინაშე, მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. თქვენ ალბათ იცნობთ ო'ნილის პიესას „ძაძა შვენის ელექტრას“, ამ პიესის მიხედვით ფილმიც არის დადგმული.

— როგორ არა, ვიცი.

— აი, რა, ო'ნილმაც სწორად გაიგო ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ საქირთა ამ ანტიკური მითების თანამედროვე ყაიდაზე გადმოტანა. ასეც მოიქ-

ცა „ორესტეაზე“ მუშაობისას... მაგრამ მე მაინც არ მიყვარს „ძაძა შვენის ელექტრას“... და იცით რატომ? იმიტომ, რომ ო'ნილს ესჭილესი შეეშინდა... მან სწორად განსაზღვრა, რომ შეიძლებოდა „ორესტეას“ ფსიქოლოგიური წაკითხვა, მაგრამ თემისა შეეშინდა და ისე ზედმიწევნით ზუსტად გადაიღო მითი, როგორც ბეჭითი მოსწავლე დაწერს ხოლმე სასკოლო კალხაზიან რვეულში შინაარსს. ჰოდა, იგრძნობა, რომ ო'ნილიც ცალსახად უკმალოდზე წერს, მოლტენი.

რეინგოლდი იცინოდა, კმაყოფილი იყო მიწასთან რომ გაასწორა ო'ნილი. ახლა უკვე რომის გავაკებაზე მივქროდით, ზღვის სანაპიროსთან ახლოს. მწიფე თავთავით გადაყვითლებულ ბორცვებს შუა აქა-იქ მოჩანდა ხშირფოთლოვანი ხეები: „ალბათ ძალიან ჩამოვრჩით ბატისტას“, — გავიფიქრე მე, რადგან თვალმისაწვდომზე რამდენსაც არ ვათვალისწინებდი ლარივთ გაქიმულ გზასა თუ მოსახვევებს, მანქანა არსად ჩანდა. ბატისტა ალბათ გიჟივით მიაქროლებს ახლა მანქანას, ალბათ საათში ას კილომეტრს გადის, ჩემი ვარაუდით ახლა ორმოცდაათი კილომეტრით მაინც იქნებოდა ჩვენგან დაწინაურებული.

რეინგოლდმა კვლავ განაგრძო:

— მართალია, ო'ნილმა სწორად გაიგო ეს კეშმარიტება, რომ ბერძნული მითები ფსიქოლოგიის უკანასკნელი აღმოჩენების შესაბამისად, თანამედროვე ყაიდაზე დამუშავებას მოითხოვს, მაგრამ მან თემას არ გადაუხვია, მთლიანად მის ლიტერატურულ საფუძველს დაეყრდნო მაშინ, როცა შეეძლო იგი უშიშრად, თავისუფლად გადაეკეთებინა და განეახლებინა. მან ეს არ გააკეთა. ამიტომაც, რომ „ძაძა შვენის ელექტრას“ გაკვეთილივით ცივი და მოსაწყენი გამოუვიდა...

— მე კი მომწონს, — შევეპასუხე.

რეინგოლდმა ჩემს ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:

— ახლა ჩვენს ხელთაა „ოდისეა“. და უნდა გავაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც ო'ნილმა არ ისურვა, ან უფრო სწორად, ვერ შესძლო „ორესტეაზე“ მუშაობის დროს. უნდა ავიღოთ „ოდისეა“, გავკვეთოთ, როგორც გვამი ანატომიურ მაგიდაზე, შევისწავლოთ მისი ცალკეული ნაწილები, შემდეგ კი თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად ავაწყოთ.

ვერაფრით ვერ მივხვდი, ამით რისი თქმა უნდოდა რეინგოლდს, ამიტომ რაც უცებ თავში მომივიდა, ისა ვთქვი:

— „ოდისეას“ არსი, მგონი, ყველასთვის ცნობილია. ოდისევსი უსაზღვრო დარდითაა შეპყრობილი ოჯახზე, სამშობლოზე, მახლობლებზე. მაგრამ შინ დაბრუნებისას უამრავი დაბრკოლება ელობება, რაც ხელს უშლის დაუბრუნდეს სამშობლოს, ოჯახს, საყვარელ ადამიანებს. აი, სად არის კონფლიქტი. იგივე შეიძლება შემთხვეოდა თვითვეულ სამხედრო ტყვეს ან ომგადახდილ ჯარისკაცს, რომელიც დიდხანს დაყოვნდა გზაში, სანამ სამშობლოს მიაღწევდა. ჩემი აზრით, თვითვეული მათგანი თავისებურად პატარა ოდისევსია...

რეინგოლდმა ქათამივით ჩაიკაკანა:

— ასეც მოველოდი, რომ ამას იტყოდით — ჯარისკაცი, ტყვე... არც ერთი, არც მეორე, მოლტენი. თქვენ გამოჰყოფთ „ოდისეას“ მხოლოდ გარეგნულ მხარეს; ფაქტებს... ასეთი მიდგომით შეიძლება ფილმი დავლუპოთ. ამ შემთხვევაში „ოდისეასაც“ არ ასცდება ის საფრთხე, რომ ჩვეულებრივ სანახაობით „ფილმ-გიგანტად“ იქცეს, როგორც ბატისტა ამბობს. მაგრამ ბატისტა პროდი-

უსერიოზო... და გასაკვირიც არაა, ასე რომ აზროვნებს მას სულ სხვა მიზნები ამოძრავებს, მაგრამ თქვენ, მოლტენი... თქვენ ხომ ჰკვირანი, განათლებული კაცი ხართ, ინტელიგენტი. ეგ ნამდვილად არ გეპატიებათ... საჭიროა ცოტა ჩასწვდეთ ჩემს ნათქვამს, იფიქროთ მასზე. აბა, სცადეთ, ნახავთ, თუ მართალი არ აღმოვჩნდები...

— მთელი დღე მაგაზე არ ვფიქრობ? — ვუთხარი ცოტა უფრო მეტი წყენებულმა.

— არა, თქვენ არ გინდათ ჩაუფიქრდეთ, მოლტენი. აბა, კარგად ჩაუფიქრდით, ღრმად ჩასწვდით სიუჟეტს და მიხვდებით, რომ „ოდისეა“ სხვა არაფერია თუ არა ოდისეესა და პენელოპეს ცოლქმრულ ურთიერთობაზე აგებული ამბავი.

ამჯერად ხმა არ ამომიღია, რეინგოლდმა განაგრძო:

— ყველაზე მეტად რა გვანცვიფრებს „ოდისეაში“ ოდისეესის სიღინჯე. მან ხომ ათი წელი მოანდომა შინ დაბრუნებას და ამ ათ წელიწადში თუმცა ბევრს ლაპარაკობდა პენელოპესადმი სიყვარულზე, მაინც არაერთხელ უღალატა მას. ჰომეროსი გვარწმუნებს, რომ ოდისეესი მხოლოდ პენელოპეზე ფიქრობს, მისი ერთადერთი და სანუკვარი სურვილია, რაც შეიძლება მალე იხილოს ცოლი. მაგრამ განა ეს სარწმუნოა, შეგვიძლია დავუჯეროთ ჰომეროსს, მოლტენი?

— ჰომეროსს თუ არა, მაშ ვის უნდა დავუჯერო, — ვუთხარი ხუმრობით.

— საკუთარ თავს, ჩვენ, თანამედროვე ადამიანებს, რომლებსაც უნარი შეგვწევს ნათლად დავინახოთ, ღრმად ჩავწვდეთ მითის არსს. მოლტენი, „ოდისეა“ ერთხელ და ორჯერ როდი წამიკითხავს, შემიძლია ვთქვა, უამრავჯერ წამიკითხავს და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ოდისეესს, ქვეცნობიერად არ უნდა შინ დაბრუნება, გაურბის პენელოპესთან შეხვედრას. აი, ჩემი დასკვნა, მოლტენი...

არც ახლა ამომიღია ხმა. ჩემი სიჩუმით გამხნეებულმა რეინგოლდმა კვლავ განაგრძო:

— სინამდვილეში, ოდისეესს ეშინია ცოლთან დაბრუნებისა და, როგორც შემდგომში დავინახავთ, თითქმის ხელოვნურად განგებ ქმნის დაბრკოლებებს, თითქოს ამას რაღაც ქვეშეცნეული გრძნობა კარნახობს, რაც შეიძლება გააჭიანუროს თავისი მოგზაურობა. ამ ხნის მანძილზე მას ბევრი რამ ისეთი გადახდება, რის გამოც მისი დაბრუნება მართლაც ყოვნდება. ხოლო რაც შეეხება მის ლტოლვას სათავგადასავალო ამბების და მოგზაურობისაკენ ახალ-ახალი ქვეყნების სანახავად, სხვა არა არის რა, თუ არა ამ ქვეშეცნეულ გრძნობებისგან ნაკარნახევი საბაბი მოგზაურობის გასაგრძელებლად. ოდისეესის შინ დაბრუნებას ხელს არ უშლის არც სკილე და ქარიბდი, არც კალიფსო და ნიმფები, არც პოლითემი და კინკე, თვით ღმერთებიც კი. ხელს უშლის სწორედ ის ქვეშეცნეული გრძნობა, რომელიც ოდისეესს კარნახობს ამა თუ იმ მიზეზს, ერთი წელი ერთგან გაჩერდეს, ორი წელი სხვაგან და ასე შემდეგ.

აი თურმე საით უმიზნებს რეინგოლდი! კლასიკური ნაწარმოების ტიპური ფროიდული ინტერპრეტაცია ჰქონია ჩაფიქრებული. აქამდე როგორ ვერ მივხვდი? რეინგოლდი ხომ გერმანელი იყო? მისი მოღვაწეობის პირველი წლები სწორედ იმ პერიოდს ემთხვევა, როცა ფროიდს დიდი წარმატება ჰქონდა. შემდეგ რეინგოლდი სამუშაოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა, სადაც ფსიქოანალიზი დიდ პატივში იყო. ბუნებრივია, ახლაც ამ გზით ცდილობდა.

ბდა გაეხსნა ისეთი სადა, სრულიად ნათელი სახე, როგორც ოდისევსია, ვინც ძალზე შორს იყო მსგავსი განცდებისგან.

მშრალად წარმოვთქვი:

— შესანიშნავადაა მოთქმებული, ოღონდ ჯერ კიდევ მთლად არ მესმის...

— ერთი წუთით, მოლტენი, ერთი წუთით, ახლავე, ამერიკად, როგორც ჩემი ინტერპრეტაციიდანაც ნათლად ჩანს, — რაც ამ პოემის გახსნის ერთადერთი უტყუარი გზაა, — და თანამედროვე ფსიქოლოგიის უახლოეს აღმოჩენათა მიხედვითაც თუ ვიმსჯელებთ, ეს ნაწარმოები ბოლოს და ბოლოს არის ოდისევსისა და პენელოპეს ცოლქმრული ცხოვრების ამბავი: ამბავი მათ უთანხმოებებსა და ამით გამოწვეულ მათი ურთიერთობის გაუარესებაზე. ოდისევსს დიდი ხანია აწვალებს ასეთი ყოფა, მაგრამ თვითონვე ამწვავებს მას. ლამის ათი წლის სულიერი ბრძოლა შეაღია გამოსავლის პოვნას: დაბრუნებოდა იმ ცხოვრებას, რისი მიზეზითაც წარმოიშვა ეს შინაგანი უთანხმოება და განხეთქილება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ათი წელიწადი ოდისევსი თვითონ ქმნის დაბრკოლებებს, ყველანაირად ეძებს საბაბს, რათა თავისი მოგზაურობა გაახანგრძლივოს და რაც შეიძლება გვიან დაუბრუნდეს ცოლქმრობის უღელს. უფრო მეტიც. იმასაც ცდილობს, თავისი ბედი სხვა ქალს დაუკავშიროს, მაგრამ ბოლოს თავს ერევა და გადაწყვეტს დაბრუნდეს... ოდისევსის დაბრუნება კი სწორედ იმას ნიშნავს, რომ იგი შეურიგდა თავის ხვედრს, არადა, სწორედ ამ ხვედრისთვის შიატოვა ოჯახი და უკან დაბრუნება აღარ უნდოდა.

— რომელ ხვედრს? — ვკითხე ამჯერად აშკარად გაოცებულმა, — განა ოდისევსი იმიტომ არ წავიდა, რომ ტროას ომში მიეღო მონაწილეობა?

— ეგ მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასე, გარეგნულად, — მოუთმენლად გაიმეორა რეინგოლდმა, — ოდისევსის ომში გამგზავრებამდე ითაკაში მომხდარ ამბებზე, სასიძოვებზე და სხვებზე მერე გეტყვით, ახლა კი აგიხსნით იმის მიზეზს, რატომ არ უნდოდა ოდისევსს კუნძულზე დაბრუნება და რად ეშინოდა ცოლთან შეხვედრისა... ამასთან, ხაზს გავუსვამ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას: „ოდისეას“ მიზანი სრულიად არ არის გვიჩვენოს ათასნაირი ფათერაკებითა და ხიფათებით სავსე თავგადასავლები, ან გარკვეული გეოგრაფიული სივრცე, ან ვითარებანი სხვადასხვა ქვეყნებში, როგორც პომეროსს სურს დაგვაჩეროს. არა, პირიქით, ეს არის ოდისევსის უდიდესი სულიერი დრამა... და ყველაფერი, რაც მასშია მოცემული, ქვეშეცნეული გრძნობების უშუალო ასახვაა... თქვენ, უეჭველია, იცნობთ ფროიდის მოძღვრებას, მოლტენი...

— დიახ, ცოტა.

— ამრიგად, ოდისევსის რთული შინაგანი სულიერი სამყაროს ამოცნობაში ჩვენი მეგზური იქნება ფროიდი და არა ვილაც ბერარდი, თავისი გეოგრაფიული რუკებითა და უსუსური ფილოლოგიით, ხმელთაშუა ზღვის ნაცვლად ჩვენ გამოვიკვლევთ და შევისწავლით ოდისევსის სულიერ სამყაროს, ან უფრო სწორად მის ქვეცნობიერებას.

აქ კი ველარ მოვითმინე და გაღიზიანებულმა იქნებ ზომაზე მეტადაც ვთქვი უხეშად:

— თუ მასეა, მაშინ რაღა საჭირო იყო კაპრზე წამოსვლა? ბუდუარული

დრამის გადაღებას რომის რომელიმე ახალ კვარტალში თანამედროვე გემოვნებით გაწყობილ ბინაშიც მოეახერხებდით!

ამ სიტყვების გაგონებაზე რეინგოლდს თვალები გადმოეკარკლა გაცუბისა და შეურაცხყოფისაგან. მან უსიამოდ ჩაიქირქილა. ასე იცინიან, როცა სურთ ხუმრობაში ვაატარონ არასასიამოვნოდ წარმართული საუბარი.

— უმჯობესია ეს საუბარი კაბრზე განვაგრძოთ, — რეინგოლდს ალარ იცინოდა — თქვენ, მოლტენი, ერთდროულად მანქანის მართვა და სიტყვების წყობაზე ლაპერაკი არ შეგძლებიათ. ასე რომ, თქვენ საქვს მიხედეთ, მე კი ამ მომხიბლავი პეიზაჟით დავეტკებები.

შეპასუხება ალარ მიცდია და ერთი საათი სრულ სიჩუმეში ვიარეთ. ასე გავიარეთ პონტოს უძველესი ქაობები: მარჯვნივ დიდი არხი იყო თითქმის უმოძრაო წყლით, მარცხნივ კი — მწვანედ აბიბინებული მინდორი. ჩავუქროლეთ ჩისტერნას, ტერაჩინის. მერე კლდოვანი მთების ძირში გაქრილ გზაზე გავედით, რომელიც ზღვის სანაპიროს გასდევდა მთელ გაცუბებაზე. ზღვა შფოთავდა. შავ-ყვითელი სანაპირო დიუნების გასწვრივ იგი მღვრივ მწვანე მოჩანდა. ეტყობა, ამასწინანდელმა ქარიშხალმა ფსკერიდან ამოყარა ქვიშა. აგორებულნი, გოლიათი ტალღები ზანტად დგებოდნენ ყალყზე, ზათქით ეხებებოდნენ ლოდებს და რძისფერ ქაფს ანთხევდნენ სანაპიროზე. ნაპირიდან მოშორებით ზღვას ქავლი გადისდიოდა და ახლა უკვე მწვანე კი არა, ლურჯი, თითქმის იისფერი ჩანდა. ქარი რომ დაუბერავდა, ზღვას ხან თეთრბუჭუჭა ტალღები გადაურბენდნენ. ხანაც მდორედ გაიშლებოდა, ცაც ასეთივე შფოთიანი იყო, თეთრი ღრუბლები უწესრიგოდ დაცურავდნენ აქეთ-იქით, ღრუბელსა და ღრუბელს შუა კი გამოკრთოდა მზით განათებული. სარკესავით კრიალა ლაქვარდისფერი ზეცა. ზღვის ფრინველები მარდად ტრიალებდნენ ჰაერში. უცებ ტალღებისკენ დაეშვებოდნენ ტყვიანაკრავივით, შემდეგ ისევ ჰაერში აიჭრებოდნენ, თითქოს სურდათ ქარის ქროლვას არ ჩამორჩენოდნენ და აქეთ-იქით მასავით ენავარდათ თავისუფლად.

მიმყავდა მანქანა და თვალს ვერ ვაშორებდი ზღვის ამ მომხიბლავ პეიზაჟს. და უცებ სრულიად მოულოდნელად, თითქოს ჩემი სინდისის ქენჯინს გასაქარწყლებლად, — რასაც რეინგოლდის გაჯავრებული და შეურაცხყოფილი შემოხედვის შემდეგ ვგრძნობდი, როცა მას ინტერპრეტაციას ბუდუარული დრამა ვუწოდებ. — ამ სილამაზის დანახვაზე უნებურად დავრწმუნდი, რომ მე მართალი ვიყავი: სწორედ ამ ზღვაში, ამ საოცრად ცოცხალი ფერებით მოღვივლივე ზღვაში, ამ ნათელი ცის ქვეშა და სწორედ ამ უკაცრიელ ნაპირთან ვხედავდი ოდისევსის შავ ხომალდებს, რომლებიც მიემართებოდნენ ხმელთაშუა ზღვის ჭერ კიდევ ფებდაუდგამ მიწებისაკენ. ჰომეროსს სწორედ ასეთი ზღვის, ასეთივე ნათელი ზეცისა და ნაპირების დახატვა უნდოდა. მისი გმირებიც ამ ბუნებას უნდა ჰგვანებოდნენ, ამ ბუნებასთან უნდა ყოფილიყვნენ წილნაყარი თავიანთი კლასიკური სისადავით და გასაოცარი ზომიერების გრძნობით. აი, რა უნდოდა ჰომეროსს! მხოლოდ ეს უნდოდა, სხვა არაფერი! რეინგოლდს კი გადაუწყვეტია, ეს ნათელი და მშვენიერი, ქარის ქროლვით ათრთოლებული და მზის სხივებში ჩაძირული საუფლო, სადაც სიცოცხლით სავსე და გამჭრიახი ადამიანები სახლობდნენ. უფერულ, უფორმო, უმზელ და უჰაერო ქვეცნობიერების სამყაროდ, ვითომდა ოდისევსის სულის იდუმალ ლაბირინთად აქციოს. ამრიგად, მისი მსჯელობიდან გამოდის, რომ „ოდისეა“ საოცარ მოგზაურობათა ამბავი კი არ იყო, რომელსაც მიაწერენ ჭერ კი-

დევიანობის დევიანობის დევიანობაში ხმელთაშუა ზღვის ახალი, უცნობი მიწების აღმოჩენას, არამედ ეს იყო უსასრულო ზღვის ფათური წინააღმდეგობებით აღსავსე ადამიანის სულში, მაშინდელი გმირის სულიერი დრამა, ადამიანისა, რომელიც ფსიქოზის სანიფათო მიჯნაზე იმყოფებოდა.

წარმოდგენელი იყო, ამაზე უარესად გაეგო ვინმეს „ოდისეა“. წარმოდგენელი იყო ასეთ შეუფერებელ თანაავტორთან დამეჭირა საქმე. გარდა იმისა, რომ კინოში გავრცელებული ახალი მიმართულების უმართებულოდ და უსათუბლოდ შეეცვალათ სიუჟეტი და თანაც შეეცვალათ ცუდად — ამან კიდევ ზედ დაუმატა ის უღიმღამობა, რაც დამახასიათებელია წმინდა მექანიკურსა და აბსტრაქტულ ფსიქოანალიზისათვის. და რაც ყველაზე მთავარია. ეს ექსპერიმენტი უნდა ჩაეტარებინათ ისეთ მშვენიერ და ნათელ ნაწარმოებზე, როგორც „ოდისეა“ იყო!

მანქანა ახლა ზედ ზღვისპირას მიმყავდა. გზის გასწვრივ, ზღვის გაწვდენაზე, ლამის სილიანში, მწვანე ყურძნის მტევნებით მძიმედ დაბუნძლული ვაზები ჩამწკრივებულიყვნენ, მათ უკან კი ჩამუქებულიყო კლდის ჩამონამსხვრევებით მოფენილი ვიწრო პლაჟი, სადაც დროდადრო თეთრად აქაფებულა ტალღები ეხეთქებოდნენ.

უცებ მანქანა დავამუხრუჭე და მშრალად ვთქვი:

— აქ შევისვენოთ, ცოტა მუხლი გავშალოთ.

მანქანიდან გადმოვედით, მე იმ ბილიკს გავყვები, რომელიც ვენახზე გადიოდა და სანაპიროსკენ ეშვებოდა. თითქოს თავს ვიმართლებდი, რეინგოლდს ვუთხარი:

— მთელი რვა თვე სახლიდან გარეთ არ გამოვსულვარ, ჩაკეტილი ვიყავი... შარშანდელი ზაფხულის მერე ზღვა აღარ მინახავს... ერთი წუთით გავიდეთ ნაპირზე...

ის გაჩუმებული მომყვებოდა. ეტყობა კვლავ გაჯავრებული იყო ჩემზე. ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა შეურაცხყოფა, ორმოცდაათიოდე მეტრის გავლაც ვერ მოვასწარი, რომ ზღვისკენ მიმავალი ბილიკი სილაში ჩაიკარგა. მთელი გზა მანქანის ძრავის უსიკოცბლო და ერთფეროვანი ხმაურის შემდეგ ყურს ტკბილად ელამუნებოდა წყლის ტყლაშუნი. ზღვა წუთით იყუჩებდა, შემდეგ აბორგუნებოდა. ყალყზე შემდგარი ტალღები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და ხმაურით იმსხვრეოდნენ კლდოვან ლოდებზე. ცოტა გავიარ-გამოვიარე. ვცდილობდი ზღვის მხეფები არ მომწვდენოდა. შემდეგ შევჩერდი და დიდხანს ვიდექი სილიან ბორცვზე. აქედან გავყურებდი თვალუწვდენელ პორჩონტს, ვგრძნობდი, რეინგოლდს შეურაცხყოფა მივაყენე, გავანაწყენე. ზრდილობა მოითხოვდა როგორმე განმეახლებინა მასთან საუბარი, რასაც, ეტყობა, ისიც მოელოდა, თუმცა არ მინდოდა შემეჩერებინა ფიქრთა უწყვეტი ნაკადი, რაც ამ უკიდევანო, ჩემ წინ გადაჭიმულმა ზღვამ ამიშალა. მაგრამ თავაზიანობა მოითხოვდა განმეახლებინა საუბარი:

— მაპატიეთ, რეინგოლდ, — ვუთხარი მოულოდნელად, — ცოტა ხნის წინ მგონი კარგად არ გამომივიდა. გაწყენინეთ, მაგრამ, მართალი გითხრათ, მთლად სწორი არ მეჩვენა თქვენი მსჯელობა და თუ გნებავთ, მოგახსენებთ, რატომაც...

მან სასწრაფოდ მომიგო:

— მითხარით, მითხარით, ვეთაყვა, კამათი ხომ ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მხარეა. ასე არაა?

— ასე და ამგვარად. — განვაგრძე ისე, რომ მისთვის არ შემიხედავს, — ერთი წუთით დავუშვათ, „ოდისეა“ ისე გავიგეთ, როგორც თქვენ ბრძანეთ, თუმცა არ გეთანხმებით, მაგრამ ახლა არ გედავებით... უნდა ვთქვა, რომ ჰომეროსის პოემებს და საერთოდ, ანტიკური ხელოვნების ნაწარმოებებს სწორედ სისადავე და ნათელი სიუჟეტი ახასიათებთ, ამიტომაც არაფერი არ არის მათში მიჩქმალული და საჩხრეკი. აქედან გამომდინარე, ჩვენი, თანამედროვე ადამიანების, კამათი და მსჯელობა ამ ნაწარმოებებზე ყოველთვის უნდა ემყარებოდეს თვით ამ ნაწარმოების დასრულებულ ფორმას, მის ღრმა შინაარსს... — და რალაცნაირი აუხსნელი გაცხარებით დავუმატე: — ერთი სიტყვით, „ოდისეას“ მთელი სიმშვენიერე და სიდიადე ის არის, რომ იგი მართლად ასახავს რეალურ სამყაროს, სწორედ იმ სამყაროს, რომელიც კითხვისას წარმოგვიდგება ხოლმე თვალწინ. ეს ნაწარმოები ან ასეთი ფორმით უნდა მიიღო, ან სულ უარი უნდა თქვა მის დადგმაზე. არავითარი დამატება ან რაიმეს შეცვლა არ შეიძლება. უნდა დარჩეს ისე, როგორც არის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ... — არც ახლა მიმიხედავს რეინგოლდისკენ, ზღვას გავყურებდი. — ჰომეროსის სამყარო რეალური სამყაროა... ჰომეროსი იმ ცივილიზაციას მიეკუთვნება, რომელიც ვითარდებოდა ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში და არა მასთან წინააღმდეგობებში. ამიტომაც ჰომეროსს მტკიცედ სჯეროდა გარე სამყაროს რეალობა და ხედავდა მას ისეთს, როგორც სინამდვილეში იყო. ამიტომ მისი „ოდისეა“ ჩვენც ისევე უნდა მივიღოთ, როგორც სინამდვილეშია. ისევე გვჯეროდეს, როგორც ავტორს სჯეროდა, ისევე გავიგოთ, როგორც ჰომეროსმა დაწერა, — სადად, გასაგებად, ყოველგვარი დაფარული აზრების გარეშე.

გავჩუმდი, მაგრამ როდი დავმოშვინდი: რალაცნაირი აღშფოთება დამეუფლა. ვიგრძენი, ამაოდ ვიცავდი ჩემს მოსაზრებას. მართლაც, თითქმის იმავე წუთს მომესმა რეინგოლდის სიცილი, მაგრამ ამჯერად აღტაცებული:

— თქვენ ექსტროსპექტული ხართ, მოლტენი, როგორც ყველა სამხრეთელი, და არ გესმით იმათი, ვინც ინტროსპექტულია... მაგრამ აქ არაფერია ცუდი... უბრალოდ, მე ინტროსპექტული ვარ, თქვენ ექსტროსპექტული. ამიტომაც აგირჩიეთ თანაავტორად.. თქვენი ექსტროსპექტულობა გააწონასწორებს ჩემს ინტროსპექტულობას. აი ნახავთ, რა შესანიშნავად შევეწყობით ერთმანეთს მუშაობაში.

ის იყო, უფრო მეტად აღშფოთებულმა პასუხის გაცემა დავაპირე, და ალბათ ჩემი პასუხი ახლაც გამოიწვევდა მის გულისწყრომას, რომ უცებ ზურგს უკან მომესმა ჩემთვის კარგად ნაცნობი ხმა:

— რეინგოლდ, მოლტენი, აქ რას აკეთებთ? ზღვის სუფთა ჰაერზე სეირნობთ?

მოვბრუნდი და დილის მზის ნათელ სხივებში, სილის ბორცვზე, ორი ფიგურა დავინახე — ბატისტასი და ემილიასი. ბატისტა სწრაფად გამოეშურა ჩვენკენ. თან ხელს გვიჭნევდა; ემილია ნელი ნაბიჯით მოსდევდა უკან თავდახრილი. ბატისტა ზედმეტად მხიარული და თვითდაჯერებული ჩანდა, ხოლო ემილიას უკმაყოფილება და დაბნეულობა ეტყობოდა სახეზე.

მოახლოებულ ბატისტას გაკვირვებით ვუთხარი:

— ჩვენ გვეგონა ბევრად გავვისწარიო. ახლა უკვე ფორმიაში ან უფრო იქით გვეგულებოდით.

— ჩვენ ცოტა შორიდან შემოვუარეთ, — ძალზე ბუნებრივად მიპასუხა

ბატისტამ. — მინდობდა თქვენი შეუღლისათვის შეჩვენებინა მიწის ნაკვეთი, რომის ახლოს, სადაც ახალ აგარაკს ვაშენებ. ერთი-ორჯერ რკინიგზის გადასასვლელებთან, შლაგბაუმებთან დავყოვნდით... — შემდეგ რეინგოლდს მიუბრუნდა და ჰკითხა: — როგორ არის საქმე, რეინგოლდ? ისაუბრეთ „ოდისეაზე“?

— ყველაფერი რიგზეა, — ასევე მოკლედ, ტელეგრაფულად უპასუხა რეინგოლდმა. ეტყობა, გააღიზიანა ბატისტას გამოხტენა. ისაუბრის გაგრძელება ერჩია.

— ძალიან კარგი, შესანიშნავია, — თქვა ბატისტამ, ორივეს შინაურულად გამოგვდო ხელმკლავი და მოშორებით ზღვის ნაპირთან მდგარ ემილიასკენ წავიყვანა. — ახლა — გადამეტებული პრანჭვით განაგრძო ბატისტამ, რაც საძაგლობად მომეჩვენა, — მშვენიერო სენიორა, სად ინებებთ ვისადილოთ, ნეაპოლში თუ ფორშიაში?

ემილია შეკრთა:

— თვითონ გადაწყვიტეთ, ჩემთვის სულერთია.

— ღმერთო ჩემო, ეს ისეთი რამაა, ქალმა უნდა გადაწყვიტოს.

— მაშინ ნეაპოლში ვისადილოთ; ჯერ არა მშია.

— ძალიან კარგი, მაშ ასე. შევთანხმდით, ნეაპოლში. თევზის წვნიანი პამიდვრის საწებლით. პატარა ორკესტრი. „ო. მზეო ჩემო“... — მეტიმეტად მხიარულ გუნებაზე იყო ბატისტა.

— რომელ საათზე გადის გემი კაპრისაკენ? — იკითხა რეინგოლდმა.

— სამის ნახევარზე... სჯობს ნუ დავაყოვნებთ. ახლავე დავიძრათ... — უპასუხა ბატისტამ. შემდეგ დაგვტოვა და გზაზე გავიდა. რეინგოლდი უკან მიჰყვა, მერე დაეწია, ერთად წავიდნენ. ემილია თითქოს იმათ წასვლას უცდიდა, ცოტა ხანს მოშორებით იდგა, ვითომ ზღვის ცქერით იყო გართული, მაგრამ როგორც კი მივუახლოვდი, მკლავში ხელი ჩამავლო და ჩურჩულით მითხრა:

— ახლა შენს მანქანაში ჩავჯდები... გთხოვ, უარი არ მითხრა.

მისმა შეშფოთებულმა ხმამ განმაცვიფრა.

— რა იყო. მოხდა რამე?

— ისეთი არაფერი.. ბატისტას ძალიან სწრაფად დაჰყავს მანქანა.

ღუმილით ვაკყვივით ბილიკს. როცა გზაზე გავედით და იქვე მდგარ მანქანებს მივუახლოვდით, ემილია მტკიცედ გამოემართა ჩემი მანქანისკენ.

— როგორ, სენიორა ჩემთან ერთად არ მოდის?

შემოვბრუნდი: ბატისტა თავის მანქანის ღია კართან იდგა მზით განათებულ გზაზე. რეინგოლდი მანქანებს შუა გაჩერდა ყოყმანით, ჩვენ დაგვიწყო ცქერა. ემილიამ ხმის აღმალლებლად, წყნარად თქვა:

— ახლა ჩემს ქმართან ერთად წამოვალ. შევხვდებით ნეაპოლში.

მეგონა, ამ სიტყვების შემდეგ ბატისტა არ ახირდებოდა, არ დაიყინებდა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ჩვენკენ გამოიქცა:

— სენიორა, თქვენს ქმართან მთელი ორი თვე იქნებით კაპრზე, მე კი, აქ მან ხმა დაუწია, რეისორმა არ გაიგონოსო, — საკმაოდ დიდი ხანი დავყავი რეინგოლდთან იქ, რომში და გარწმუნებთ, არც მთლად დიდად სასიამოვნოა მასთან ყოფნა. თქვენს ქმარსაც არაფერი აქვს საწინააღმდეგო, ჩემთან ერთად წამოხეიდეთ. ასე არაა, მოლტენი?!

რათა დამრჩენოდა, თავს ძალა დავატანე და ვუპასუხე:

— სრულაიდ არაფერი მხოლოდ. ემილია ამბობს, ძალიან სწრაფად დაპყავს მანქანაო...

— პირობას გაძლევთ, კუს ნაბიჯით ვივლი. — იხუმრა ბატისტამ, — ოღონდ ძალიან გთხოვთ, მარტო ნუ დამტოვებთ რეინგოლდთან. — ამ სიტყვებზე კვლავ ხმას დაუწია, — რომ იცოდეთ, რა მოსაწყენი კაცია, ერთთავად კინოზე ლაპარაკობს.

არ ვიცი იმ წუთში რატომ მოვიქეცი ასე. შესაძლოა, გავიფრტყე მისი უბრალო რამისათვის გუნებას ხომ არ გავუფუჭებ-მეთქი. ასე იყო თუ ისე, ემილიას ვუთხარი:

— წადი, ემილია, არ გინდა ბატისტას ასიაშოვნო?... თანაც ის მართალია, — დავსძინე სიცილით. — რეინგოლდთან კინოს გარდა შეუძლებელია რაიმეზე ლაპარაკი.

— სწორედ ეგრეა, — კმაყოფილებით დამემოწმა ბატისტა.

შემდეგ მკლავში ხელი მოჰკიდა, თითქმის ილლიასთან.

— წავიდეთ, მშვენიერო სინიორა, ნუ ჯიუტობთ. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, კუს ნაბიჯით ვივლი.

ემილიამ ისე შემომხედა, მაშინ ვერ მივხვდი. შემდეგ კი წყნარად ჩაილაპარაკა:

— რას ვიზამ, რაკი შენ მეუბნები...

მოულოდნელი გადაწყვეტილებით შებრუნდა და თქვა: „წავიდეთ, რალს უყურებთ?“ — და ბატისტასთან ერთად წავიდა. ბატისტას ისე მაგრად ჩაებლუჯა ემილიას ხელი, თითქოს ეშინოდა, არსად გამეჭვდესო. მე ისევ ჩემს მანქანასთან ვიდექი და გვერდიგვერდ მიმავალ ბატისტას და ემილიას გავცქეროდი. ბატისტა ემილიაზე ბევრად დაბალი იყო. თუმცა ემილიამ მოდუნებული სიარული იცოდა, მაინც ეტყობოდა რაღაც გამოუცნობი მგრძნობიარობა იმ წუთში ემილია მეტად ლამაზი მეჩვენა. მისი სილამაზე პარმონიულად ერწყმოდა კრიალა ზღვასა და ლაფვარდოვან ცას. რომელთა ფონზე ნათლად იკვეთებოდა ქალის ლამაზი ფიგურა. მაგრამ ემილიას სილამაზეში იგრძნობოდა რაღაცნაირი შეშფოთება, შინაგანი პროტესტი, ხოლო რისთვის მიმეწერა ეს ყველაფერი, ვერაფრით ამეხსნა. მე კვლავ ემილიას შევცქეროდი, რომ უცებ გამიელვა თავში: „ნამდვილი სულელი ვარ, ვინ იცის, იქნებ ჩემთან დარჩენა უნდოდა... იქნებ უნდოდა ბოლოს და ბოლოს გაგვეჩვენა ჩვენი ურთიერთობა... გული გადაეშალა, ეთქვა, რომ ვუყვარვარ... მე კი ვაიძულე ბატისტას მანქანაში დამჯდარიყო“. ამის გაფიქრებაზე გული შემეკუმშა, ხელიც ავწიე მის დასაძახებლად, მაგრამ უკვე გვიან იყო. ემილია მანქანაში ჯდებოდა. ბატისტაც გვერდით მიუჯდა. ხოლო რეინგოლდი ჩემსკენ გამოეშურა. ჩვენც ჩავსხედით მანქანაში. სწორედ იმ წუთში ბატისტას მანქანამ ჩავვიქროლა და სულ მალე თვალს მიეფარა.

შესაძლოა რეინგოლდმა შეამჩნია გაბრაზებული, უფრო სწორად, გაშმაგებული რომ ვიყავი. „ოდისეაზე“ დაწყებული საუბარი აღარ გაუგრძელებია, რისიც ასე მეშინოდა, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა, სავარძელზე გადაწვა და მალე ჩაეძინა. მღუმარებაში მივაქროლებდი მანქანას, მივაქროლებდი მაქსიმალური სისწრაფით, როგორც კი ჩემს მკერდ-ლიტრაჟიან მანქანას შეეძლო. ვგრძნობდი, სიმშაგე თანდათან მიპყრობდა, უზომოდ მაცოფებდა. ზღვის სანაპიროს ნელ-ნელა ვტოვებდით და ახლა მზის ოქროსფერ სხივებში გახვეულ აყვავებულ მინდვრებში გაქრილი გზით მივდიოდით. სხვა დროს განუსაზღვ-

რელ სიამოვნებას მომანიჭებდა ამ დაფოთლილი, ერთმანეთზე ტოტებგადა-
 ბარჯლული ხეების დანახვა, რომლებიც ცოცხალ მოშრიალე დერეფნებს ქმნი-
 დნენ. მოწითალო ბორცვებზე ზეთისხილის ხეები მიმოფანტულიყვნენ. ხასხა-
 სა მწვანე ფოთლებში ოქროსფრად ელავდა ფორთოხალი, უამთა მსვლელო-
 ბისგან გაშავებულ აქა-იქ ჩადგმულ ქოხებთან ყვითლად მოჩანდნენ თივის
 ზვინები, მაგრამ მე მანქანას მივაქროლებდი და ვერაფერს ვეჩქნებოდი. ვერა-
 ფერს ვხედავდი. უფრო და უფრო მიფუჭდებოდა გუნება. ~~გუნება~~ ~~გუნება~~ ~~გუნება~~
 ამეხსნა მიზეზი ჩემი ასეთი ყოფისა. მიზეზი, ეტყობა, უფრო ღრმა იყო, ვი-
 დრე ჩემი სინანული — ბატისტას სურვილს რომ დავმორჩილდი და ამით
 ემილიას ნება მივეცი მის მანქანაში ჩამჯდარიყო. მაგრამ ძალიან გულითაც
 რომ მდომოდა მიზეზში გავრკვეულიყავი, ტვინი ისე მიხურდა, არაფერზე
 ფიქრი არ შემეძლო. ხშირად ემართებათ ადამიანებს ასეთი ნერვიული შეტე-
 ვები, ეს შეტევები გარკვეული დროის განმავლობაში ძლიერია, შემდეგ თან-
 დათან სუსტდებიან და ბოლოს სულ ქრებიან. მაგრამ ავადმყოფს არაქათგამო-
 ცლილს და სხეულდამტვრეულს ტოვებს. მეც ასევე დამემართა. სანამ მანქა-
 ნას მინდვრებში, ტყეებში, ბაღებსა და ხეივანებში მივაქროლებდი, ჩემმა გაშ-
 მაგებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, შემდეგ თანდათან შესუსტდა და ნეა-
 პოლს რომ მივუახლოვდით, უკვალოდ გაქრა.

ბორცვიდან ნელ-ნელა ზღვისკენ ვეშვებოდით, მაგნოლიებსა და ნაძვებში
 უკვე მოჩანდა ნეაპოლის ყურე, მისი ლურჯად მოლაპლაპე ნაპირი, ძალაგა-
 მოცლილი და სულ დაცარიელებული ვიყავი. ალბათ ასეთი შეგრძნება იპ-
 ყრობს ეპილეფსიით დაავადებულ კაცს, რომლის სულმა და სხეულმა ეს-
 ესაა საშინელი, უმძიმესი კრუნჩხვები გადაიტანა.

თავი მეცამეტე

ბატისტას აგარაკი, როგორც თვითონ გვითხრა კაპრზე ჩამოსვლამდე,
 მთავარი მოედნიდან შორს, სორენტოს მზრისკენ სანაპიროს ერთ მყუდრო
 კუთხეში, შემალლებულ ბორცვზე მდებარეობდა. რეინგოლდი სასტუმრომდე
 მივაცილეთ და მე, ბატისტა და ემილია ვიწრო ქუჩით გავემართეთ აგარა-
 კისკენ.

მალე დაჩრდილულ ხეივანში გავედით. ხეივანი მთელს კუნძულს შემო-
 ხვეოდა გარს. მზე დასავლეთისაკენ ეშვებოდა, დაისი დგებოდა და აყვავებუ-
 ლი ოლიანდრების ჩრდილში, აგურით მოკირწყლულ გზაზე, რომელიც მთელს
 გაყოლებაზე გასდევდა ქალაქის ჩრდილიან ბაღებს, სიჩუმეში მხოლოდ რამ-
 დენიმე ტურისტის დასეირნობდა. იქ, სადღაც შორს, დაბლა, ნაძვებსა და წი-
 წვოვან მცენარეებში მოჩანდა მუქი ლაქვარდისფერი ზღვის მოსარკული ზე-
 დაპირი, რომელიც უკვე ჩამავალი მზის ძალაგამოლეულ სხივებზე თვალის-
 მომჭრელად ბრწყინავდა.

უკან მივდევდი ბატისტასა და ემილიას, გზადაგზა ვჩერდებოდი ამ მშვე-
 ნიერი ადგილებით მოხიბლული და ჩემდა განსაცვიფრებლად შევნიშნე, რომ
 ბუნების მადლმა თავისი გაიტანა — თუ დიდი სიხარული არ მაგრძნობინა, ყო-
 ველ შემთხვევაში, ნერვები დამიწყნარა და სიმშვიდე მომგვარა. ასე გავიარ-
 რეთ მთელი ხეივანი და ბოლოს უფრო ვიწრო გზაზე გადავუხვიეთ. უკიდუ-
 განო სივრცე და ცამდის აზიდული ფარალიონის კლდეები, სიხარულით აღვი-

ვსე, როცა ემილიას ალტაცებულ შუბახილი გავიგონე. კაბრზე ის პირველად იყო და მთელი გზა მოჯადოებული დუმდა. წყლის ზედაპირიდან ამომართული ორი უზარმაზარი წითელი ციციბო კლდე მაღლიდან საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა. ისინი ციდან ჩამოვარდნილ მეტეორიტებს ჰგავდნენ. მეც ალტაცებული ვიყავი ამ მომზიბლავი პეიზაჟით. ემილიას ვუთხარი, ლურჯი ხელიკი მხოლოდ ფარალიონის ციციბო კლდეებზე ცხოვრობს-მეთქი, ალბათ იმიტომ არის ლურჯი, რომ ცაც ლურჯია ზემოთ და ზღვაც ლურჯანდს. ლურჯი-ლილა ქვემოთ-მეთქი.

ემილია დიდი გულისყურით მისმენდა, თითქოს წუთით გადავიწყებოდა ჩემ მიმართ მტრობა. კვლავ მთელი ძალით იფეთქა ჩემს არსებაში შერიგების იმედმა. ამ ციციბო კლდეთა ნაპრალებში მცხოვრები ლურჯი ხელიკი ჩემს გონებაში რაღაც სიმბოლოდ წარმოისახა. „ვინ იცის, — გავიფიქრე, — ჩვენც რომ დიდხანს დაერჩენილიყავით კუნძულზე, როგორები გავხდებოდით. ზღვისპირას უშფოთველი და აუმღვრეველი ცხოვრება ალბათ ჩვენს სულსაც ჩამოფხეკდა ცხოვრებისეულ ჟანგს; ჩვენი სული და გრძნობები ისეთივე ნათელი სილურჯით იქნებოდა სავსე, როგორც ზღვა და ზეცა და განა მარტო ისინი — ყველაფერი, რაც ნათელია და დილის ცვარვიით სუფთა და კამკამა.

გავცდით ფარალიონის კლდეებს. პეიზაჟი შეიცვალა. გზა მოტიტვლებულ ქვიან ხრამებს შუა მიიკლავებოდა. ორსად ჩანდა ბალები და აგარაკები. ბოლოს, ერთ განმარტოებულ ადგილას დაეინახეთ გრძელი, დაბალი და თეთრი შენობა, რომლის ტერასა ზღვის ნაპირზე გამოდიოდა. სწორედ ეს გახლდათ ბატისტას აგარაკი. იგი დიდი არ იყო: ტერასაზე გამაგალი სასტუმრო ოთახისა და კიდევ სამი ოთახისაგან შედგებოდა.

ბატისტა წინ მიგვიძღვოდა და წარამარა ტრაბახობდა. გვითხრა, აქ არასოდეს არ მიცხოვრია. ეს აგარაკი ერთი წელიც არ არის, ერთი მოვალისაგან დამრჩა გადაუხდელი ვალის ანგარიშშიო.

წელებზე ფეხს იდგამდა, ოლონდ ეჩვენებინა ჩვენთვის, თქვენ დასახვედრად არაფერი გამომჩენიაო. მართლაც, სასტუმრო ოთახში ცოცხალი ყვავილების გამაბრუებელი ნაზი სურნელება იდგა. იატაკს კრიალი გაჰქონდა, სამზარეულოში კი დარაჯის ცოლი ვახშმის სამზადისში იყო. ბატისტას გულით უნდოდა, უკლებლივ ყველაფერი ეჩვენებინა ჩვენთვის. საკუჭნაოებიც კი დაგვატარა, ის კი არადა, კარადებიც კი დააღო. თან ემილიას ეკითხებოდა, ტანსაცმლის საკიდრები საკმარისია თუ არაო.

შემდეგ ისევ სასტუმრო ოთახში დავბრუნდით. ემილია ტანსაცმლის გამოსაცვლელად გავიდა, მეც მინდოდა მივეყოლოდი მას, მაგრამ ბატისტამ შემაჩერა, იქვე სავარძელში ჩაჯდა, ხელით მანიშნა, ჩემ პირდაპირ დაქეიო. სიგარას მოუკიდა და მოულოდნელად მკითხა:

— მოლტენი, რა აზრისა ხართ რეინგოლდზე?

ცოტა განცვიფრებულმა ვუპასუხე:

— სწორე გითხრათ, არ ვიცი, რა ვთქვა. ჯერ კიდევ არ ვიცნობ ისე, რომ მასზე გარკვეული შეხედულება მქონდეს... ჩემი აზრით, სერიოზული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს... ამასთან, კარგ გამოცდილ რეჟისორად იცნობენ...

ბატისტა მცირე ხნით ჩაფიქრდა, შემდეგ განაგრძო:

— არც მე ვიცნობ კარგად, მაგრამ მაინც, ცოტად თუ ბევრად ვიცი, რით სუნთქავს, რა ასულოდგმულებს, რა სურვილები აქვს, რაზე ფიქრობს... უპირ-

ველეს ყოვლისა, გახათვალისწინებულა, რომ ის გერმანელია, ასე არაა, მოლტენი? ჩვენ, მე და თქვენ, იტალიელები ვართ, ერთი სიტყვით, ორ სხვადასხვა სამყაროს ვეკუთვნით! სხვადასხვა შეხედულებები, სხვადასხვაგვარი მსოფლმხედველობა გვაქვს.

ხმა არ ამომიღია. ბატისტა ახლაც, ჩვეულებისამებრ, შორიდან იწყებდა მოვლას. მის საუბარში არც ახლა იგრძნობოდა, რომ ფულზე იტყოდა ჩამეს. გადავწყვიტე ხმაამოუღებლივ მომესმინა ბოლომდე. გამეჭრა! სწრაფად შეხვდებოდა.

მან განაგრძო:

— აი რა, მოლტენი, თავიდანვე გადავწყვიტე, რომ რეინგოლდთან იმუშავებთ თქვენ, იტალიელი. ის ჩვენ არა გვგავს, სხვანაირია... მოლტენი, მე თქვენ გენდობით. და ვიდრე უკან ვავემგზავრებოდე, და, სამწუხაროდ, ძალიან მალე მომიხდება კუნძულის დატოვება, მინდა ზოგიერთ რამეზე გაგაფრთხილოთ.

— თქვით, გისმენთ, — ცივად წარმოვთქვი.

— ფილმზე საუბრის დროს მე ვაკვირდებოდი რეინგოლდს... და შევაჩინე, რომ ის ან მეთანხმება რაიმეზე, ან დუმს... მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილი ვარ ადამიანთა გამოცნობაში. კარგად მესმის, რას ფიქრობენ, როცა ასე იქცევიან... თქვენ, ინტელიგენტებს, უკლებლივ ყველას მიგაჩნიათ, რომ პროდიუსერები მხოლოდ საქმოსნები არიან და მეტი არაფერი... არ გინდათ, ნუ შემედავებით, მოლტენი, ვიცი, თქვენც ასე ფიქრობთ და ექვი არ მეპარება, ასევე ფიქრობს რეინგოლდიც... მაგრამ შეიძლება ეს მხოლოდ ნაწილობრივ იყოს მართალი... იქნებ რეინგოლდს ჰგონია, რომ ამ თავისი პასიური მოქმედებით ჩემს სიფხიზლეს მოადუნებს და რაიმეს გამომაპარებს. არა, მოლტენი, მე ფხიზლადა ვარ, მეტისმეტად ფხიზლად გადევნებთ თვალს ორივეს.

— მოკლედ რომ ვთქვათ, რეინგოლდს არ ენდობით? არ გჯერათ მისი? — უხეშად ვკითხე ბატისტას.

— როგორ გითხრათ, კიდევ მჯერა და არც მჯერა. ვენდობი მას როგორც თავისი საქმის კარგ მცოდნეს, ოსტატს... მაგრამ არ ვენდობი და არ მჯერა მისი, როგორც გერმანელისა, როგორც სხვა სამყაროს ადამიანისა, რომელიც ასე მკვეთრად განსხვავდება ჩვენგან... ახლა, — ბატისტამ სიგარა საფერფლეზე დადო და თვალი თვალში გამიყარა — მოლტენი, კარგად დაიმახსოვრეთ: მინდა მივიღო ჰომეროსის „ოდისეას“ მსგავსი ფილმი. რა უნდოდა ეჩვენებინა ჰომეროსს „ოდისეაში“? ჰომეროსს უნდოდა მოეთხრო სათავგადასავალო ამბავი, კითხვისას რომ გაგიტაცებს, სულით ზორცამდე დაგძაბავს, ასე ვთქვათ, სანახაობითი ამბავი... აი, რა უნდოდა ჰომეროსს... მეც მინდა, რომ თქვენ მხოლოდ ჰომეროსს დაეყრდნოთ, მისი ერთგული დარჩეთ. „ოდისეაში“ მას გამოყვანილი ჰყავს გოლიათები, სასწაულმოქმედი, ქარიშხალი, ჯადოქრები, ურჩხულები...

— ეგენი ხომ ჩვენც გვეყოლება. — ვთქვი ცოტა გაკვირვებულმა.

— ეგენი ხომ ჩვენც გვეყოლება, ეგენი ხომ ჩვენც გვეყოლება! — მოულოდნელად გაცხარდა ბატისტა. — მოლტენი, თქვენ მე სულელი გგონივართ, მაგრამ სულაც არა ვარ სულელი!

ხმა აიმაღლა და განრისხებულმა შემომხედა. გაკვირვებული ვიყავი მისი უეცარი აფეთქებით, განსაკუთრებით კი მისი ამტანიანობა მანცვიფრებდა. მთელი დღე საქვს ეჭდა. შემდეგ ნეაპოლიდან კაპრზე გემმა დაანჯღრია და ახ-

ლიქ იმის ნაცვლად, რომ დაესვენა, როგორც მის ადგილას მე მოვიქცეოდი, რეინგოლდის ზრახვებზე მოისურვა ლაპარაკი!


უხალისოდ ვთქვი:

— კი მაგრამ, საიდან დაასკვნით, რომ სულელი მგონიხართ?

— თქვენ ორის, თქვენი და რეინგოლდის საქციელიდან...

— რა გინდათ მაგით თქვათ, ჩემთვის გაუგებარია, ამიხსენით.

ბატისტამ ცოტა ხანს იყუჩა. შემდეგ კვლავ სიგარეტი ~~პირს~~ ~~მე~~ ~~განა-~~



გრძო:

— ალბათ გახსოვთ ის დღე, როცა პირველად შეხვდით რეინგოლდს, იქ, ჩემს კაბინეტში. ჯერ კიდევ მაშინ თქვით, სანახაობითი ფილმები ჩემი მოწოდება არ არის და არ გამოვდგები მსგავსი სიუჟეტისათვის. ასე არ იყო?

— მგონი, კი.

— და რა გიპასუხათ რეინგოლდმა დასამშვიდებლად?

— ახლა რაღაც არ მაგონდება...

— შემიძლია დაგეხმაროთ, რეინგოლდმა გიპასუხათ, ნუ ღელავთ, განზრახული მაქვს დავდგა ფსიქოლოგიური ფილმი პენელოპეს და ოდისევსის ცოლქმრულ ურთიერთობაზეთ. განა ასე არ იყო, მოლტენი?

ამჯერად გაოცებისაგან პირი დავადე, ამ ვითომც გაუნათლებელი და ხეპრე პირუტყვის ნილაბქვეშ გამჭრიახი ადამიანი აღმოჩნდა მიმალული.

დავემოწმე.

— მგონი, ნამდვილად თქვა მსგავსი რაღაც.

— ჰოდა, ვიდრე სცენარზე მუშაობას შეუდგებოდეთ, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია სერიოზულად გაგაფრთხილოთ: ჩემთვის ჰომეროსის პოემა პენელოპესა და ოდისევსის ცოლქმრული ურთიერთობის ამბავი არ არის.

ამაზე არაფერი არ მიპასუხია. ბატისტამ კი ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დასძინა:

— როცა ცოლქმრულ ურთიერთობაზე მინდა ფილმის დადგმა, ვარჩევ რომელიმე თანამედროვე რომანს, ფებს არ ვიცვლი რომიდან და კადრებს ვიღებ პარიოლის საწოლ და სასტუმრო ოთახებში. ერთი სიტყვით, სულაც არ მჭირდება ჰომეროსის შეწუხება. გასაგებია, მოლტენი?

— რა თქმა უნდა, გასაგებია...

— ახლა მე ცოლქმრული ურთიერთობა არ მაინტერესებს. გამიგეთ, მოლტენი? „ოდისეა“ — ეს არის ოდისევსის შორეული მოგზაურობის ამბავი. მე მინდა, ჩემი ფილმი მხოლოდ ოდისევსის თავგადასავალს გადმოსცემდეს. შემდეგ რაიმე გაუგებრობა რომ არ მოხდეს, ახლა გაფრთხილებთ: მე მჭირდება სანახაობითი, გასართობი, თავშესაქცევი ფილმი, გაიგეთ, მოლტენი?

— დარდი ნუ გექნებათ! — ვუპასუხე ამ საუბრით გაბეზრებულმა. — მიიღებთ სანახაობით ფილმს.

ბატისტამ სიგარეტი გადააგდო და არხეინად წარმოთქვა:

— მე სულაც არა მაქვს რაიმეს დარდი, სხვა რომ არა იყოს რა, ფულს მე გიხდით. უნდა გამიგოთ, მოლტენი, ამას მხოლოდ იმიტომ გეუბნებით, რომ შემდეგში დაზღვეული ვიყოთ ყოველგვარ გაუგებრობისგან. ხვალ დილიდანვე შეუდგებით მუშაობას. მინდოდა წინასწარ გამეფრთხილებინეთ, მოლტენი, თქვენსავე სასიკეთოდ. მე თქვენ გენდობით, მსურს რეინგოლდთან მუშაობის დროს ყოველთვის გახსოვდეთ ჩემი დარიგება. თქვენ უნდა იყოთ ჩემი თვალი

19095

საქ. სსრკ. მარქსის

მის გვერდით მუშაობისას და ყოველთვის, როცა კი საჭირო გახდება, უნდა მოაგონოთ რეინგოლდს: „ოდისეა“ ხალხს მოსწონდა და მოსწონს მხოლოდ იმიტომ, რომ პოეზიით სუნთქავს და მინდა, ეს პოეზია სრულად შეინარჩუნოს ფილმშიც...

სრულიად მიწიერ ანგარებაზე დამყარებული მოკლე ვესტერის შემდეგ, რაც ბატისტას საღაროს წარმატებას ეხებოდა, უცებ პოეზიის დეტალებრივ სამყაროში ავიჭერთ და მისი მაგიური ძალით შთაგონებული სიტყვებისა და მშვენიერების სამყაროში დავჭროდით, საუბარი სულიერ ინტერესებზე გადავიტანეთ. თავს ძალა დავატანე და ნაძალადევი ღიმილით ვუთხარე ბატისტას:

— ეჭვი ნუ გექნებათ, ბატისტა, თქვენ მიიღებთ „ოდისეას“ მთელ პოეზიას, ყოველ შემთხვევაში, იმდენს, რამდენის ამოღებაც შესაძლებელია.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

ბატისტა სავარძლიდან წამოდგა, გაიზმორა, მაჯის საათზე დაიხედა, წაიბურტყუნა, ვახშმისთვის ტანსაცმელს გამოვიცვლიო და გავიდა.

მარტო დავრჩი, ჯერ გავიფიქრე, მეც მისი მაგალითისთვის მიმებაძა, მაგრამ ბატისტასთან საუბარმა ისე დამაბნია და ამაღელვა, რომ თვითონაც არ ვიცი რატომ, ანაზღად ბოლთის ცემას მოვეყევი ოთახში. ბატისტას სიტყვებმა ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რა ძნელ საქმეს მოვკიდე ხელი და ისიც მხოლოდ ფულისთვის, წინდაწინვე ვგრძნობდი, რა დაღლილი და გამოფიტული ვიქნებოდი ამ სცენარის დამთავრების შემდეგ, ნეტავ რისთვის მინდოდა, რად მჭირდებოდა ეს ყველაფერი? რატომ მოვკიდე ხელი ასეთ არასასიამოვნო და ძნელ სამუშაოს? ფიქრიც კი მაშინებდა იმის წარმოდგენაზე, რა დავა და კამათი მომივიდოდა ბატისტასთან ამ სცენარის გამო, რეინგოლდთან უთანხმოებაზე ხომ აღარც ვლაპარაკობ, სცენარზე მუშაობისას, ეჭვი არაა, დათმობა მომიწევდა ერთთანაც და მეორესთანაც. ყველაზე მეტად გულს ის მტკენდა, რომ ხელი უნდა მომეწერა იმ ფილმზე, რომელშიც ასე შერყვნა კომეროსის დიდებული პოემა. ნეტავ რისთვის ვაკეთებ ამას?

ცოტა ხნის წინ, როცა მალლიდან გადმოვეცქეროდი ფარალიონის ციცაბო კლდეებს, კაპრზე ცხოვრება და მუშაობა მიმზიდველად მეჩვენებოდა, ახლა კი პირიქით მოხდა და ალბათ იმიტომ, რომ წინ მეტად უხალისო, ძნელად შესასრულებელი სამუშაო მელოდა. საჭირო იყო კეთილსინდისიერი ლიტერატორის მოთხოვნილებები პროდიუსერის საწინააღმდეგო აზრებთან შემეფარდებინა. ახლა უფრო მწვავედ ვიგრძენი, ბატისტას ყოველნაირი ბატონ-პატრონობა, მე კი მისი მსახური ვიყავი და უსიტყვოდ უნდა დავმორჩილებოდი მის ნებას. ის გზები კი, — ეშმაკობა და პირფერობა — რისთვისაც უნდა მიმემართა მუშაობის დროს ბატისტასაგან თავის დასაცავად — უფრო დამამკიცრებელია, ვიდრე უსიტყვო მორჩილება... მოკლედ ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით სული მივყიდე ეშმაკს, ყველა ეშმაკივით მომთხოვნსა და წვრილმანს. ბატისტამ მეტრსმეტი გულწრფელობით, საკმაოდ ნათლად გამოთქვა: „ფულს ხომ მე გიხდით“. სულ მცირე გულახდილობა მჭირდებოდა, საკუთარ თავს რომ გამოვტყდომოდი: „მე კი ის ვარ, ვისაც უბდიან!“ ეს ფრაზა ყოველთვის მედგა ყურში, როგორც კი სცენარზე დავიწყებდი ფიქრს, უცებ სული ისე შემეხუთა, თითქოს ამ სიტყვებმა წამიჭირეს ყელში. რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავცლოდი ამ ოთახს, რათა აღარ მესუნთქა ის ჰაერი. ცოტა ხნის წინ ბატისტა რომ სუნთქავდა, მინის კარი გავიღე და ტერასაზე გავიდი.

თავი მეთოთხმეტი

ამასობაში დაღამდა. უჩინარი მთვარის სხივები ვერცხლისფრად აციალდა და იქაურობა გაანათა. ტერასიდან ჩამავალი საფეხურები პირდაპირ გადიოდა ბილიკზე, რომელიც მთელ კუნძულს ვარს ერტყმოდა. წუთით ჩავსუყმანდი, ჩავსულიყავი და ცოტა გამეგლო თუ არა, მაგრამ გადავეყქვე და დეარის-მეთქი, ბილიკიც მეტად ჩაბნელებული მეჩვენა. გადავწვავი და ვიღვინილიყავი. სიგარეტს მოვუკიდე და მოაჯირს გადავეყუდე. ვარსკვლავებით მოჭედულ ცაში წვეტიანი კლდეების შავი სილუეტები აზიდულიყვნენ. დაბლა სიბნელეში — ჩემ ფერხთით ასეთივე კლდეები მდუმარებდნენ. ირგვლივ ყველაფერი მდუმარებას მოეცვა. ქვემოდან ტალღების სუსტი დგაფუნი წედებოდა ყურს. მაგრამ იქნებ ეს ტალღის დგაფუნი კი არა, ზღვის მშვიდი სუნთქვა იყო. ჰაერი არ მოძრაობდა, სუსტი ზღვაურიც კი არსაიდან ქროდა. სადღაც შორს, პორიზონტთან, გაჭირვებით გავარჩიე თეთრი, მკრთალი სხივი შუქურისა, რომელიც ხან ჩაქრებოდა, ხან აინთებოდა. ეს შუქურა პუნტაკამპანელაზე იდგა. ამ უკუნეთ ღამეში მხოლოდ მისი სუსტი სინათლე იძლეოდა სიცოცხლის ნიშან-წყალს.

ვგრძნობდი, რა დამამშვიდებლად მოქმედებდა ჩემზე ეს წყნარი ღამე. თუმცა მშვენივრად ვიცოდი, არავითარ სილამაზეს არ შეეძლო ამქვეყნად დროებით მაინც შეეჩერებინა ჩემი მტანჯველი ფიქრების დენა. კარგა ხანს ფეხი არ მომიცვლია. ამ წარმტაცი ღამის სილამაზითა და სიმყუდროვით მოჯადოებულს. ვცდილობდი არაფერზე არ მეფიქრა, მაგრამ მალე ანაზღად კვლავ შემომეჭარნენ მწარე ფიქრები ემილიაზე: ამჯერად უფრო არეულ-დარეული იყო ჩემი ფიქრები და რალაციით სცენარის სიუჟეტს ენლართებოდნენ. შესაძლოა რეინგოლდთან და ბატისტასთან სცენარზე საუბრის ბრალი იყო ეს ან პომეროსის პოემაში დახატული ადგილების საოცარი მსგავსებით აქაურ გარემოსთან. თვითონაც არ ვიცი, რატომ მომადგა ენაზე „ოდისეას“ უკანასკნელი სიმღერა; ოდისევსი დაწვრილებით აღწერს თავის საქორწინო სარეცელს, რის შემდეგ პენელოპე ბოლოს და ბოლოს იცნობს თავის ქმარს, თითქმის გონდაკარგული მკლავებს კისერზე შემობვევს და ტირილით უეუბნება სიტყვებს, რომლებიც იმდენჯერ მაქვს გადაკითხული და გადამეორებული, რომ ზეპირად მახსოვს:

„პოი, ნუ შირისხდები, ოდისევსს, კაცთა შორის ყოველის მჯობო ჭკვიო და გონებით, ჩვენ ტანჯვისათვის გაგვიმეტეს ღმერთთა ზვიადთა, არ მოისურვეს შეერთება ჩვენი გულების... მწარედ წარვიდნენ სიჭაბუკის ღამაზი წლები, ეამთა სრბოლაში შეგვევერცხლა ჭალარით თმები...“

სამწუხაროდ, ძველბერძნული ენა არ ვიცი, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი, პინდემონტეს თარგმანი ზუსტი არ უნდა ყოფილიყო, ვერ გამოხატავდა იმ მომნიბლავ უშუალოებას, რაც ორიგინალს გააჩნდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ლექსები ყოველთვის განსაკურთებით მომწონდა; ისინი სავსე იყვნენ გრძნობებით, თუმცა ოდნავ ძალაღმარდოვანი სტილი დაჰკრავდა. ვე-

1 პომეროსი, „ოდისეა“, 23-ე სიმღერა, სტრ. 209-214 (მთარგმნ.).

თხულობდი ამ ნაწყვეტს და უნებურად ვადარებდი მას პეტრარკას ცნობილ სონეტს, რომელიც იწყება სტრიქონით:

„წყნარ ნავსაყუდელად მომეველინა მე სიყვარული“

და მთაერდება:

— „თითქოს მას შეეძლო ოხვრა აღმოხდენოდა

და ნაზი თრთოლვით ეპასუხა ღვთაებრივ ბაგითურქუნუნუნ

იმ ორ გარდასულ სახესა და ქალარაზე...“



გვიგზავნი

ის, რაც მანცვიფრებდა პომეროსისა და პეტრარკას პოეზიაში, იყო სიყვარულის ძლიერი, უსაზღვრო და ურყევი გრძნობა, ვერავითარი წლები ვერ წაშლიდა მათ, ვერ დაანგრევდა. რამ ამოატივტივა ჩემს მეხსიერებაში ეს ლექსები? ცხადია, ჩემი და ემილიას ურთიერთობამ მომაგონა, რომელიც სულ არ ჰგავს ოდისევსისა და პენელოპეს, პეტრარკასა და ლაურას ურთიერთობას, თანაც ამ ურთიერთობას საფრთხე მოელოდა არა ათი წლის ერთად ცხოვრების, არამედ შეუღლებიდან სულ რაღაც ორიოდ წლის შემდეგ. რა თქმა უნდა, თავს არ ვიიმედებდი, სიკვდილამდე ისე ტკბილად ვიცხოვრებდით, როგორც პირველ დღეს. მაგრამ მე, ვისაც ეს იმედი მასულდგმულედა, ახლა დაბნეული და შეშინებული ვიყავი ამ უეცარი, ჩემთვის გაუგებარი განხეთქილებით, რომელმაც ოცნებები დამიმსხვრია. ბოლოს და ბოლოს რა მოხდა?

ზღვას ზურგი შევაქციე და თითქოს პასუხს იქიდან ველოდი, იმ ოთახის ფანჯრებისკენ მივბრუნდი, სადაც ახლა ემილია იმყოფებოდა. ტერასის კუთხეში ვიდექი. აქედან თავისუფლად შემეძლო დამენახა ყველაფერი, რაც სასტუმროში ხდებოდა. თვითონ კი შეუმჩნეველი დავრჩენილიყავი, როგორც კი ავიხედე, ოთახში ბატისტა და ემილია დავინახე.

ემილია ბოთლებით დახუნძლულ პატარა მაგიდასთან იდგა. ეცვა სწორედ ის ღრმად გულამოჭრილი შავი აბრეშუმის კაბა, როგორც ბატისტასთან ჩვენი პირველი შეხვედრისას. ბატისტა მაგიდისკენ დახრილიყო და უზარმაზარ ბროლის თასში კოქტეილს აზავებდა. რატომღაც თვალში მეცა ემილიას არაბუნებრივი პოზა. იგი დაბნეულიც ჩანდა და გამომწვევიც, თითქოს ცდილობდა თავის ბუნებისთვის ელალოტა და ბატისტას მაცდუნებლად მომხიბლავი სჩვენებოდა. მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ თავს უნებურად გრძნობდა. იდგა და იცდიდა, როდის შესთავაზებდა ბატისტა სასმელს, თან ირგვლივ გაფანტულად და უმწეოდ იხედებოდა. მთელი მისი არსება შემფოთებას გამოხატავდა. მის ყოველთვის მშვიდ და წყნარ სახეზე ახლა მღელვარება ასახულიყო, ბაგეზე ორაზროვანი ღიმილი დასთამაშებდა. ბატისტამ კოქტეილი დაამზადა, დიდი სიფრთხილით შეავსო ორი ჭიქა, წელში გაიმართა და ერთი მათგანი ემილიას გაუწოდა. ემილია უცებ შეკრთა, თითქოს ღრმა ფიქრებიდან გამოერკვაო და ხელა გაიწვდინა ხელი ჭიქისკენ. თვალი არ მომიცილებია ემილიასთვის. დაძაბული ვიცდიდი, შემდეგ რა მოხდებოდა. ემილია ბატისტას წინ იდგა, ოდნავ უკან გადახრილი. ცალი ხელით სავარძლის ზურგს დაყრდნობოდა, მეორეში კი კოქტეილით სავსე ჭიქა ეჭირა. უნებურად შევამჩნიე, შავ პჩიალა ქსოვილში გამოკვართული მკერდი და მუცელი წინ ისე წამოსწია, თითქოს საკუთარ სხეულს სთავაზობდა ბატისტას; სამაგიეროდ სახეზე არ ეხატა ის, რასაც სხეულით გამოხატავდა. ბოლოს, ეს უნებურად სიჩუმე რომ დაერღვია, ემილიამ რაღაც ჩაილაპარაკა და ბატისტას თავით ანიშნა ბუნართან თავმოყრილ სავარძლებისკენ. ემილია ფრთხილი ნაბიჯით გაემართა

იქით, და მოხდა ის, რასაც დიდი ხანია ველოდი. ბატისტა შუა ოთახში დაეწია ემილიას, წელზე ხელი შემოხვია, კისერი წაიგრძელა და ლოყა ლოყაზე მიადო. ემილიამ წინააღმდეგობის გაწვევა სცადა. მაგრამ არც მთლად ენერგიულად. თითქოს ოდნავი კეკლუცობითაც კი სთხოვდა გაეშვა, თან დასწრის სავსე ჭიქაზე ანიშნებდა — დამეჭყევაო. ბატისტამ გაიცინა, თავი გაიქნია, უფრო ძლიერ მიიჭრა მკერდზე და ღვინოც გადმოიღვინა. დაბლა ტუჩებში აკოცებს. — გამიელვა გონებაში. მე, უტყობაა ჩემი წყნარება ბატისტას ხასიათი, მისი სიუხეშე და ავხორცობა. მართლაც, მან ემილიას კოცნა როდი დაუწყო, მხართან სახელო ხელში მოიქცია, მოკმუქნა, რაღაც გაუგებარი სიავით და გაათრებით მთელი ძალით გადაგრიხა და მოქაჩა. ემილიას შიშველი მხარი გამოუჩნდა და ბატისტაც ტუჩებით დააცხრა მას. ემილია არ განძრეულა, წელგამართული იდგა. სადღაც წერტილს მიშტერებოდა და თითქოს მოთმინებით იცდიდა, როდის გაძლებოდა ეს პირუტყვი. სახეზე წელანდელი დაბნეულობა, გულგრილობა და შეშფოთება ეხატა კვლავ. შემდეგ ემილიამ თავი ფანჯრისკენ მოაბრუნა, და მე მომეჩვენა, რომ ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. დავინახე, რა ზიზლით დაემანჭა სახე, შემდეგ ჩამოგლეჯილი სახელო მკერდზე აიფარა და აჩქარებით გავიდა ოთახიდან. მეც ტერასის შუაგულისკენ გადავინაცვლე.

იმ წუთებში, ყველაზე მეტად გაკვირვებას და დაბნეულობას ვგრძნობდი. რისი უნებური მოწმეც ახლა გავხდი. სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმას, რაც ვიცოდი და რაზეც აქამდე მიფიქრია. ემილიას არა მართო არ ვუყვარდი. ან, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, ვეზიზლებოდი. არამედ ბატისტასთანაც მლაღობდა. ყველაფერი თავდაყირა დადგა. თუ აქამდე სადღაც გულის სიღრმეში თავს ვადანაშაულებდი, ახლა ნათლად ვიგრძენი, რომ სიმართლე ჩემს მხარეზე იყო. მან მე უმიზეზოდ შემიძულა, მე კი სრულიად სამართლიანად მქონდა საბაბი. ის შემეძულებინა. ამ აზრმა მოულოდნელად სხვა თავსატეხსაც მოუნახა გასაღები. ახლა მივხვდი, ემილიას აქამდე საიდუმლოებით მოცული საქციელი ჩვეულებრივი სასიყვარულო ინტრიგა იყო და სხვა არაფერი.

ამ მოულოდნელმა, შესაძლოა მეტისმეტად პრიმიტიულმა, მაგრამ სავსებით ლოგიკურმა ფიქრებმა, რაც უფრო მეტად თავმოყვარეობით იყო ნაკარნახევი, წუთით გააქრო ის ტკივილი, რაც ცოლის ღალატის (სხვა არად მეჩვენებოდა ემილიას საქციელი, თუ არა ღალატად) შეტყობისას უნდა მეგრძნო. მაგრამ როცა მთლად გაოგნებული და დაბნეული, თითქმის ბურხანში მყოფი ტერასის ნაპირს მივადექი, გულში მაინც ვამკრა ტკივილმა და მაინც დარწმუნებული ვიყავი, ის რაც ახლა დავინახე, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენი განხეთქილების ნამდვილი მიზეზი. დიახ, ემილიამ კოცნის ნება მისცა ბატისტას, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, საკუთარი თავიც მიმაჩნდა დამნაშავედ. ამასთან, ვგრძნობდი, უფლება არ მქონდა, ჩემი მხრივ მხოლოდ ამისთვის შემეძულებინა ემილია. უფრო მეტიც, არ ვიცი რატომ და ამ უფლებას ისევ ემილიას ვუტოვებდი და მიუხედავად ამ კოცნისა, ასე მგონია, მაინც ემილიას მქონდა ჩემი შეძულების უფლება. მაშასადამე, რაღაცა ვერ გამეგო: ემილიას არ უღალატნია ჩემთვის ან, ყოველ შემთხვევაში, ეს ღალატი გარეგნული იყო, ნამდვილი მიზეზი ემილიას ღალატისა ვერ ვიხევე ბურუსით იყო მოცული. იგი იმალებოდა ამ გარეგნულად გამომკლავნებული ორგულობის მიღმა.

გამახსენდა: ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო ემილია ბატისტას მიმართ მუდამ ცუდად იყო განწყობილი. თუნდაც დღეს დილით ორჯერ მაინც მით-

ვა მარტო და მეთვრამეტე წინა პროდიუსერის შანქანაში, კი მაგრამ, თუკი ისე სძულს, მაშ ეს კოცნა რაღას ნიშნავს? ეჭვი არ მეპარება, ეს პირველი კოცნა იყო: ვტყობა. აქამდე ამის საშუალება არ მისცემია ბატისტას, ახლა კი ხელსაყრელი წუთი ხელიდან არ გაუშვა. მაშასადამე, ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის, ჯერ კიდევ შემიძლია გავარკვიო რატომ მისცა ემილიამ კოცნის ნება პროდიუსერს. და რაც მთავარია, შემიძლია გავიგო, რატომ ვარ დარწმუნებული, რომ, მიუხედავად ამ კოცნის, ჩვენს ურთიერთობაში მაინც არაფერი შეცვლილა. ჩემის აზრით, ემილიას ადრინდელთან შედარებით ახლა უფრო მეტად ქმონდა უფლება ხელი ეკრა ჩემი სიყვარულისათვის, ვძულე-ბოდი.

შეიძლება თქვათ, რა დროს ფიქრი და განსჯა იყო. უფრო სწორი და ბუნებრივი იქნებოდა, მაშინვე სასტუმრო ოთახში შევეჭრილიყავი და საყვარლების წინაშე წარმდგარიყავი. მაგრამ იმდენს ვფიქრობდი ჩემსა და ემილიას ურთიერთობაზე, ისე დაღლილი ვიყავი, რომ ასე უეცრად და უბრალოდ აფეთქება აღარ შემეძლო. თანაც ჩემთვის მთავარი არ იყო ემილიას დაწინაურების მტკიცება, ჩემთვის მთავარი იყო ბოლომდე გაგვერკვია ჩვენი ურთიერთობა. ახლა რომ მე იმ ოთახში შევევარდნილიყავი, ვერც სიმართლის დადგენას მივალწევდი და ვერც ემილიას სიყვარულის დაბრუნებას, პირიქით, ახლა საჭიროა სიფრთხილე და გონივრულობა. — ვარწმუნებდი თავს, — ამას მოითხოვდა ჩემგან სიფრთხილე და არც მთლად ნათელი გარემოებები.

იყო კიდევ ერთი, შესაძლოა, ეგოისტური მოსაზრება, რამაც შემაჩერა. არ გადამაბიჯებინა სასტუმრო ოთახის ზღურბლზე. ახლა კარგი საბაბი მქონდა „ოდისეას“ სცენარზე უარი მეტყვა. თავი დამელწია ამ ჩემთვის უსიამოვნო სამუშაოსთვის და საყვარელ საქმეს — დრამატურგიას დაებრუნებოდი. მით უმეტეს, ეს საწინევსთვის ხელსაყრელი იყო — ჩემთვის, ემილიასთვის და ბატისტასთვისაც. სინამდვილეში ეს კოცნა იყო გაუგებრობათა ჯაჭვის ერთ-ერთი მთავარი რგოლი, ხოლო თვით ამ გაუგებრობათა ჯაჭვს წარმოადგენდა მთელი ჩემი ცხოვრება და სამუშაოც. ახლა კი როგორც იქნა, შესაძლებლობა შეძლოდა გაუგებრობისთვის თავი დამელწია, ერთხელ და სამუდამოდ გამეცვია სიმართლე, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო აუჩქარებლად, ნელ-ნელა უჩხუბრად მეპოქმედა.

ამ ფიქრებმა ისეთი სისწრაფით გამიელვეს თავში, რა სისწრაფითაც შემოყრის ზოლზე ქარი გაღებულნი ფანჯრიდან მტვერს და გამხმარ ფოთლებს, ხოლო როცა ფანჯარას მიხურავ და ოთახში სიჩუმე დაისადგურებს და პაერიც დაჯდება, მეც ისე დამემართა, ფიქრებმა თითქოს თავი დამიციარიელეს, გონება დამიჩლუნგდა. გაოგნებული და ფართოდ თვალგაბილული ვიყურებოდი სიბნელეში, არც არაფერს ვგრძნობდი და არც არაფერზე ვფიქრობდი. ასე თითქმის ბურანში მყოფი ანგარიშიუცემლად მოვცილდი მოაჯირს, მინის კარს ხელი ვკარი და სასტუმრო ოთახში შევედი.

არ ვიცი, რამდენი ხანი დავყავი ტერასაზე მას შემდეგ, რაც ემილია ბატისტას მგლავებში დავინახე. ალბათ უფრო მეტი, ვიდრე მეგონა, რადგან ბატისტა და ემილია უკვე მაგიდას შემოსხდომოდნენ და ვახშობდნენ. ემილიას უკვე მოესწრო იმ კაბის გამოცვლა, ბატისტამ რომ დაუხია. ახლა ის ეცემა, რაც მგზავრობისას. ამ წერტილში, მეტად აშაღელება, თითქოს დამარწმუნა ემილიას ლოცვაში.

— ჩვენ ვიფიქრეთ, — მხიარულად თქვა ბატისტამ, — საბანაოდ წახვედი, ღამე სად დაეხეტებოდი?

— არსადაც არ წავსულვარ. აქ ვიყავი ტერასაზე, — წყნარად ვუბასუხებე.

ემილიამ ერთი სწრაფად შემომხედა და ისევ დახარა თვალები. სრულად დარწმუნებული ვიყავი, ემილიამ შემამჩნია, ტერასიდან რომ ვუთვალთვალე მათ. ისიც მშვენიერად იცოდა, რომ მეც ვიცოდი, ემილიამ რომ დაამჩნახა.

თავი მეთხუთმეტი

ემილია სუფრასთან ჩუმად, აუღელვებლად იჯდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ამან მეტად გამაოცა. მეგონა, შეშფოთებული იქნებოდა. არ მინდოდა დამეჭვრებინა, ემილიას ასეთი თვალთმაქცობა თუ შეეძლო, ბატისტაკი — პირიქით, ალტაცებას ვერ ფარავდა. სიხარულით სახეგაბრწყინებული, გამარჯვებულის იერით სულმოუთქმელად ლაპარაკობდა, მაღიანად ჰამასაც ასწრებდა და სასმელსაც არ იკლებდა. ჩაზე ლაპარაკობდა? ბევრ რამეზე, მაგრამ ჩაზეც არ უნდა ელაპარაკა. ბოლოს მაინც საკუთარ თავზე ჩაურთავდა ხოლმე. მისი ნათქვამი „მე“ აგრესიულად ეღერდა და თანაც ისე ხშირად იმეორებდა, მოთმინებას მაკარგვინებდა. ისეთ რამეზე მოჰყვებოდა ლაპარაკს, საერთოდ რომ არ ჰქონდა რაიმე კავშირი მასთან, მაგრამ ბატისტა ადვილად ახერხებდა საკუთარ თავზე გადაეტანა საუბარი, რაც წარმოუდგენლად მაღიზიანებდა და ნერვებს მიშლიდა. კარგად მესმოდა, რატომ იქებდა თავს ასე მონდომებით. ეს მას პატივმოყვარეობით არ მოსდიოდა, უფრო მამაკაცური უინი ალაპარაკებდა. ცდილობდა, ემილიას თვალში საკუთარი პიროვნება განედიდებინა. შესაძლოა, ამით ჩემი დამცირებაც უნდოდა: მას ხომ საკუთარ გამარჯვებაში ეჭვი აღარ ეპარებოდა, ემილია უკვე დამორჩილებულად მიაჩნდა და ახლა, ბუნებრივია, არაფერს ერიდებოდა, თავისი ღირსებები გამოემზეურებინა და ამით ემილიას გული მოეგო. მაგრამ, სიმართლე უნად ითქვას, ბატისტა ბრძევი არ იყო. მართალია, საკუთარ თავზე ბევრს ლაპარაკობდა და ამით მამაკაცურ თავმოყვარეობას იკმაყოფილებდა, მაგრამ სხვა ამბებსაც არ ივიწყებდა. თუ ყველა არა, რამდენიმე ამბავი საინტერესოც იყო. ასე მაგალითად, ნავახშმევს ბატისტამ მხიარულად და ცოცხლად მოგვითხრო თავის მოგზაურობის ამბავი ამერიკაში, პოლიუდის სტუდიებში. მაგრამ მისი ავტორიტეტული, უბოდიშო და თვითკმაყოფილი კილო მაინც აუტანელი მეჩვენებოდა და გულუბრყვილოდ მეგონა, ემილიასაც ასეთი ეჩვენება. ისევ ეზიზღება-მეთქი. მაგრამ კიდევ შევცდი. ვიდრე ბატისტა ლაპარაკობდა, მე ემილიას გამომეტყველებას ვაკვირდებოდი და მის თვალებში თუ გატაცება არა, ყოველ შემთხვევაში, მისდამი ინტერესი მაინც შევამჩნიე. ხანდახან პატივისცემითა და ალტაცებითაც კი შესცქეროდა სახეში. და ემილიას ეს მზერა უფრო მიკოდავდა გულს, ვიდრე ბატისტას როხროხი და ბაჭიობა. ემილიას გამობედვა ვილაციის გამობედვას მაგონებდა. მაგრამ ვერაფრით ვერ გამეხსენებინა, ვისას. მხოლოდ ნავახშმევს მომაგონდა როგორც იქნა. ზუსტად ასეთი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძალზე მსგავსი გამობედვა დავიჭირე რეჟისორ პაზეტის მეუღლის, სინიორა ლუიზას თვალებში მათთან სადილობის დროს. როცა უსანდომო, უფერული და არც ისე გამორჩეული რეჟისორი პაზეტი

სცენარზე მსჯელობდა, მისი ცოლი თვალმოუშორებლად შესცქეროდა ქმარს და ამ მზერაში ერთდროულად შეგეძლოთ ამოგეკითხათ სიყვარულიც, აღფრთოვანებაცა და უსაზღვრო ერთგულებაც.

რა თქმა უნდა, ემილია ჯერ ასე არ აღმერთებდა ბატისტას, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ მის მზერაში უკვე შეიმჩნეოდა იმ გრძობის ჩანსახი, რაც სინიორა პაზეტის თვალეებში კიაფობდა. ერთი სიტყვით, ჰქონდა კიდევ საყოყნო ბატისტას! რაღაც, ჩემთვის ჯერ კიდევ გაუგებარი მხედველობა ნაწილობრივ უკვე დაპყრობილი ჰყავდა. სულ მალე ალბათ მსგავსი მსგავსი მოვლენები იქნებოდა. ამის გაფიქრებაზე უფრო მწარე ტკივილი ვიგრძენი მკერდში, ვიდრე მაშინ, ბატისტა რომ ემილიას კოცნიდა. ამჯერად ტკივილი ვერ დავფარე, ჩემდა უნებურად დამელრიჯა სახე. ბატისტას არ გამოპარვია ჩემს სულში მომხდარი ცვლილება, დაკვირვებით შემომხედა და მკითხა:

— რა გემართებათ, მოლტენი... უკმაყოფილო ხართ, კაპრზე რომ ჩამოხვედით? რამე არ მოგწონთ?

— რატომ მეკითხებით?

— იმიტომ გეკითხებით, რომ... — ბატისტამ ღვინო დაისხა ქიქაში, — ძალზე ნადვლიანი სახე გაქვთ... ცუდ გუნებაზე ხართ?

ამრიგად, ის შეტევაზე გადმოდიოდა, იცოდა, რომ თავდაცვის საუკეთესო საშუალება თავდასხმა იყო. ჩემდა გასაკვირვად დაუფიქრებლად ვუბასუბე:

— გუნება მაშინ გამიფუჭდა, ტერასაზე რომ ვიდექი და ზღვას გავცქეროდი.

ბატისტამ წარბები აზიდა და კითხვის გამომხატველი თვალებით სრულიად აუღელვებლად თქვა:

— აჰ, მართლა? რატომ?

ემილიას გავხედე. არც მას ემჩნეოდა მღელვარება. ეტყობა, ორივენი მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული საკუთარ თავში. ტერასაზე ემილიამ ნამდვილად დამინახა და ეჭვი არ მეპარება ბატისტას უთხრა ამის თაობაზე. ანაზღად ჩემს ბაგეებს მოსწყდა ის, რის თქმასაც სულაც არ ვაპირებდი:

— ბატისტა, შემიძლია გულახდილად გელაპარაკოთ?

კვლავ განმაცვიფრა ბატისტას სიმშვიდემ:

— გულახდილად? რა თქმა უნდა, შეგიძლიათ. ყოველთვის გულახდილი უნდა იყვეთ ჩემთან.

— იცით რა, ბატისტა, წელან ზღვას გავყურებდი და წუთით წარმოვიდგინე, რომ აჰ, ამ კუნძულზე მართლაც ვარ ჩემთვის... და საყვარელ საქმეს ვაკეთებ, თეატრისთვის ვწერ: პოდა, აჰ ამისათვის მართლაც რომ იდეალური ადგილია — ულამაზესი ბუნება, სიწყნარე, სიმყუდროვე, საყვარელი მეუღლე გვერდით, არავითარი საფიქრალი და საზრუნავი. მეტი რა უნდა შემოქმედკაცს! მაგრამ მალე გუნება წამიხდა, გამახსენდა: ამ კუნძულზე, ასე მშვენიერ და ჩემი სამუშაოსთვის ზედგამოჭრილ ადგილას დრო უნდა დავკარგო... მაბატით. მაგრამ თვითონ ისურვეთ გულახდილი ვყოფილიყავი, დრო უნდა დავკარგო სცენარზე, რომელიც შესაძლოა ძალიან კარგიც გამოვიდეს, მაგრამ რომლისკენაც გული არ მიმდის და თითქმის მეზიზღება კიდევ... მე მთელ ჩემს ძალას, ნიქს მივცემ რეინგოლდს, ის ისე გამოიყენებს, როგორც მას მოესურვება, მე კი საბოლოოდ ხელში შემრჩება მხოლოდ სალაროს ჩეკი... თანაც როდის? — შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში მყოფმა ამ სცენარს უნდა შევა-

ლიო ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო დრო. ვიცი, ამას არ უნდა გეუბნებოდეთ არც თქვენ და არც სხვა რომელიმე პროდიუსერს... მაგრამ თქვენ თვითონ ისურვეთ გულახდილი ვყოფილიყავი... აი, ახლა უკვე იცით, რატომ არა ვარ გუნებაზე...

იმის ნაცვლად ის მეთქვა, რისი თქმაც მსურდა და მოსვენებას არ მაძლევდა, ის რაც ბატისტასა და ჩემი ცოლის ურთიერთობას ეხებოდა. თვითონაც არ ვიცი, როგორ წამოვიწყე, როგორ ამოხეთქა გულიდან ბევრი მონაცემი. შესაძლოა მეტისმეტმა ნერვიულობა დაძაბულობამ მათქმევინა ან ემილიას ორგულობამ.

ვგრძნობდი, ემილიას ლალატსა და დაჭირავებულ, სხვაზე დამოკიდებულ ჩემს სამუშაოს შორის რაღაც უხილავი კავშირი არსებობდა. საკუთარ უსუსურობაზე ჩემი საცოდავი აღსარება რომ მოისმინეს, ემილიასა და ბატისტას წამითაც არ დასტუბოდა, რომ გულში შვება იგრძნეს და ახლა თვისუფლად ამოისუნთქეს. ასევე არ დასტუბოდა მათ შიშს და შეშფოთება, როცა წელან, აღსარებამდე. იდუმალი მუქარით მივმართე ბატისტას, შემძლია გულახდილად გელაპარაკოთ-მეთქი?

ბატისტამ სავსებით სერიოზულად მიპასუხა:

— დარწმუნებული ვარ, მოლტენი, შესანიშნავ სცენარს დაწერო.

მივხვდი, ამჯერადაც ვერ შევძელი იმის თქმა, რისი თქმაც მინდოდა, თითქოს გზას ავცდი, მაგრამ შეჩერება აღარ შეიძლებოდა, გაღიზიანებულმა ვუპასუხე:

— მე მგონი, ბატისტა, თქვენ ვერ გამიგეთ... მე მოწოდებით დრამატურგი ვარ და არა პროფესიონალი სცენარისტი, რომლებიც ახლა ბლომად მომრავლდნენ... და ეს სცენარი, როგორი კარგი და უნაკლოც არ უნდა იყოს, ჩემთვის მხოლოდ ერთი იმ სცენართაგანი იქნება, რომელიც აქამდე გამიკეთებია. არ დაგიმალავთ, ამ სცენარს მხოლოდ და მხოლოდ ფულისთვის ვაკეთებ... მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მე ოცდაშვიდი წლის კაცს იდეალები არ მქონდეს. მეცა მაქვს იდეალი და ეს იდეალი ჩემთვის თეატრია. თქვენ ალბათ მკითხავთ, რა მიშლის ხელს, რატომ არ ვაკეთებ საყვარელ საქმეს. რატომ არ ვაკეთებ და იმიტომ, რომ დღეს ქვეყანა ისეა მოწყობილი, არავის ხრ შეუძლია აკეთოს ის, რაც მას სურს. პირიქით, უნდა აკეთოს ის, რაც სხვებს სურთ... ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული; რასაც ვაკეთებთ, რასაც წარმოვადგენთ, რაც გავხდებით მომავალში, ჩვენი სამუშაოც, საუკეთესო მისწრაფებები, ოცნებები, საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობაც კი.

ვგრძნობდი, მეტისმეტად აღზნებული ვიყავი. თვალეზე ცრემლიც კი მომადგა, მრცხვენოდა საკუთარი თავისა და გუნებაში ვწყვეტილი ჩემს მგრძნობიარე გულს, რომელიც მაიძულებდა სული ჭადაშეშალა იმისათვის, ვინც რამდენიმე წუთის წინ ცდილობდა, და საკმაოდ მონდომებითაც, ჩემი მეუღლე შეეცდინა. მაგრამ ისეთი წვრილმანი, როგორიც ჩემი განცდები იყო, ვერ დაარღვევდა ბატისტას უშფოთველობას.

— იცით, მოლტენი, — თქვა მან. — თქვენ რომ გისმენთ, ასე მგონია, საკუთარ თავს ვხედავ იმ ასაკში, რამდენისაც ახლა თქვენა ხართ..

— ნუთუ? — წავილულულულე შემცბარმა.

— ჰო. მე ძალიან ღარიბი ვიყავი, — განაგრძო ბატისტამ, თან ღვინო დაისხა, — მეც მქონდა ის, როგორც თქვენა თქვით, იდეალები... ახლა გამიძნელებდა იმის თქმა. რა იყო ეს, შესაძლოა, კარგად მაშინაც ვერ ვერკვეოდი...

მაგრამ ნამდვილად კი მქონდა... ან შესაძლოა, იდეალები კი არა, იდეალი დი-
დი ასოთი.... შემდეგ შევხვდი ადამიანს, ვის მოვალედაც ვთვლი თავს თუნ-
დაც იმიტომ, რომ მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ბატისტა წუთით შეჩერდა,
ჩვეული უსაგნო ზარზეიმური თვითკმაყოფილება თხატა სახეზე. უცებ გამა-
ხსენდა, კაცი, ვისზეც ბატისტა ლაპარაკობდა. მეტად ცნობილი პროდიუსერი
იყო იტალიური კინოს განვითარების პირველ წლებში, მაგრამ ახლაც თით-
ქმის სრულიად მივიწყებული. მართლაც. ამ კაცთან დაიწყე ბატისტა მუ-
შაობა და მისი წყალობით მიაღწია ასეთ იღბლიან კარგერას, ის კაცი კი, რო-
გორც გამიგია, დიდი ფულის მკეთებელი ვინმე გახლდათ.

— და აი, ერთხელ, — განაგრძო ბატისტამ, — მასაც დაახლოებით ის
ვეთხარი, რაც დღეს საღამოს თქვენ მითხარით... და იცით რა მიპასუხა? ვი-
დრე ზუსტად არ გაგიჩვენებიათ, რა გსურთ, უმჯობესია დაივიწყოთ, ან გვერ-
დზე გადასდოთ თქვენი იდეალი... ხოლო როცა მომაგრდებით და მიწაზე მაგ-
რად დადგებით, აი, მაშინ შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენი იდეალი და გაიხა-
დოთ მართლა იდეალად... თქვენი შრომით მოპოვებული ათასი ლირა... აი,
იდეალიო. როგორც მან მითხრა, მერე და მერე იდეალი გაიზრდება, გაფარ-
თოვდება, იქცევა კინოსტუდიად, კინოფირმად, გადაღებულ და გადასაღებ
ფილმებად... ერთი სიტყვით, იდეალი ჩვენი ყოველდღიური სამუშაოაო... აი,
რა მითხრა მან... მეც ისე მოვიქეცი, როგორც დამარიგა და ბედსაც არ ვეძღუ-
რი... თქვენ ჩემთან შედარებით ის უპირატესობაც გაქვთ, რომ იცით, რა არის
თქვენი იდეალი... პიესების წერა... და თქვენ დაწერთ კიდევ პიესებს...

— დაწერთ? — უნებურად ჩავეკითხე დაეჭვებულმა, მაგრამ ცოტა დამ-
შვიდებულმა.

— ჰო, რა თქმა უნდა, თქვენ დაწერთ პიესებს, — დამიდასტურა ბატის-
ტამ. — დაწერთ, თუ მართლა გულით გინდათ. თუნდაც ტრიუმფფილმისთვის
სცენარებს რომ თხზავდეთ, როგორც თქვენ ამბობთ მხოლოდ და მხოლოდ
ფულისათვისო, თუ გულით გინდათ, მაშინაც კი შეგიძლიათ თქვენი საყვა-
რელი პიესები წეროთ. გინდათ იცოდეთ, რა არის წარმატების საიდუმლო,
მოლტენი?

— რა არის?

— ...რადა, უნდა ჩადგეთ რიგში, როგორც მატარებლის ბილეთების სა-
ლაროს წინ და ელოდოთ თქვენს წუთს ცხოვრებაში. ის კი ფუცილებლად მოვა
თუ მოთმინებით დაელოდებით და არ ეცდებით ადგილი გაზოიცივალოთ, ერთი
რიგიდან მეორეში იხტუნაოთ... ყველაფერს თავისი დრო აქვს... მოლარე ყვე-
ლას მისცემს მის კუთვნილ ბილეთს... რა თქმა უნდა, ისეთს, როგორიც დაიმ-
სახურა... ვისაც შეუძლია შორს წავიდეს, კი ბატონო, წავიდეს თუნდაც ავ-
სტრალიაშიც... ზოგს კი, შესაძლოა, უფრო მოკლე მანძილზე... ვთქვათ, კაპ-
რზე... — ბატისტამ გაიციინა. კმაყოფილი იყო თავისი ქარაგმით და დასძინა:
— თქვენ კი, მოლტენი, გისურვებთ, შორეული ბილეთი აგელოთ... თუნდაც
ამერიკაში.

ბატისტა მამობრივად მიღიმოდა, ემილიას გადავხედე. ისიც ოდნავ შესა-
მჩნევად იღიმებოდა, ყოველ შემთხვევაში, როგორც მომეჩვენა, გულწრფე-
ლად იღიმებოდა. ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ბატისტამ ამ ერთ
დღეში შესძლო, არ ვიცი კი რანაირად, ემილიას მტრული განწყობილება თით-
ქმის სიმშაბითით შეეცვალა. ამის გაფიქრებაზე ძვლავ ისეთივე ტკივილი ვიგ-
ჩქენი, როგორც მაშინ, ემილიას გამოხედვაში ქალბატონი პაზეტის მზერა რომ

ამოვიცანი. რალაცნაირი ნაღველი ვიგრძენი და არა ეჭვიანობა. მეზავრუბილზე და იმ დღეს გადატანილი უსიამოვნო ამბებით მეტად აღგზნებული, ეფორიკული და ძალაგამოცლილი ვიყავი, ლამის წარმკვეთოდა სასო...

ვანშამი ისე დამთავრდა, სულ რომ არ მოველოდი. მას შემდეგ ემილია გულისყურით უსმენდა ბატისტას და თითქმის მისადმი სიმპათიას ვამჩნიე, როგორც იქნა, მეც გავახსენდი, უფრო სწორად, ჩემს აზრს ვახსენდა ჩემს უმიზნო შეთავაზებაზე — ტერასაზე ხომ არ გავსულსკისკისებო, მთვარე უკვე ამოსული იქნება-მეთქი. — მშვიდად მიპასუხა:

— არ მინდა ტერასაზე, მეძინება, დავიღალე... — ამ სიტყვებზე სწრაფად ადგა, ღამე მშვიდობისა გვისურვა და გავიდა.

ბატისტას თითქოს არც გაკვირვებია ემილიას მოულოდნელი წასვლა, პირიქით, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა — თითქოს კმაყოფილი იყო ემილიას სულიერი მღელვარება თავის დამსახურებად მიითვალა. ვგრძნობდი, შეშფოთება თანდათან მიპყრობდა და დაღლილობისგანაც ფეხზე ძლივს ვიდექი, არავითარი აზრი არ ჰქონდა ახლა ლაპარაკს, ხვალისათვის უნდა გადამედო. მეც მეძინება-მეთქი, ვუთხარი ბატისტას, ღამე მშვიდობისა ვუსურვე და ოთახიდან გავედი.

თავი მეთექვსმეტი

ჩემსა და ემილიას ოთახს ერთი კარი ჰქონდა. დაუფიქრებლად გავეშურე კარისაკენ და დავაკაკუნე. ემილია მაშინვე გამომეჩვენა:

— მობრძანდით.

გახევებული და ჩაფიქრებული იჯდა საწოლზე. როგორც კი დამინახა, დაღლილმა და გაბრაზებულმა მომმართა:

— ახლა რაღა გინდა ჩემგან, აღარ მომასვენებ?

— სრულიად არაფერი არ მინდა, — ცივად ვუპასუხე, რადგან ახლა უფრო დამშვიდებული და თითქოს არც ისე დაღლილი ვიყავი. — მინდოდა კეთილი ძილი მესურვებინა შენთვის.

— თუ ჩემი აზრის გაგება გინდოდა იმაზე, რაც ამ საღამოს ბატისტასთან წამოროშე?.. თუ გინდა, პირში გეტყვი. შენი ლაპარაკი არა მარტო უადგილო იყო, არამედ სასაცილოც.

სკამი ავიღე და დავჯექი. შემდეგ ვკითხე:

— რატომ?

— შენი ვერაფერი გამიგია. — თქვა მან გაბრაზებით, — სწორედ რომ ვერაფერი გამიგია... ადრე ეს სცენარი მოგწონდა და ყველანაირად ეჭიდებოდი მას. ახლა კი პროდიუსერს ეუბნები, მხოლოდ ფულისთვის ვაკეთებო, სამუშაო არ მომწონსო, ჩემი იდეალი თეატრისათვის წერააო და ვინ იცის კირევ რა სისულელეები არა თქვი. დღეს მან, უბრალოდ, ზრდილობის გულისთვის მოგისმინა, ხვალ კი, რატომ არ ფიქრობ, რომ გაგიხსენებს და სამუშაოს აღარ მოგცემს? განა შეიძლება ასეთი უბრალო რამე არ გესმოდეს?

ამრიგად, ემილიაც აქეთ მესხმოდა თავს. მართალია, ვხვდებოდი, ასე იმიტომ იქცეოდა, რომ უფრო მნიშვნელოვანი და შემაშფოთებელი რამ დავმალა, მაინც გულწრფელობა ჟღერდა მის საყვედურში, თუმცა ეს საყვედური შეურაცხყოფელი და დამამცირებელი იყო ჩემთვის. თავს სიტყვა მივაცი.

მომეტმინა და ყველაფერს უშფოთველად შეეხვედროდი, მაგრამ ემილია ისეთი ზიზღით მელაპარაკებოდა, რომ ველარ შევიკავე აღშფოთება:

— რაც ვთქვი, ყველაფერი სრული სიმართლეა! ეს სამუშაო არც ახლა მომწონს და არც არასოდეს მომწონდა და საერთოდ, საიდან დაასკვნე, რომ მთელი სიცოცხლე სცენარებზე ვიმუშავე?

— იმუშავე, ნაზავ თუ არ იმუშავე. — არასოდეს ასე არ ვძულვებივარ ემილიას. კბილი კბილს დავაჭირე. ვცადე თავს მოვრეოდო.

— ვინ იცის იქნებ არც ვიმუშავო, — ვთქვი მშვიდად, ჯერ კიდევ ამ დღით მინდოდა სცენარზე მუშაობა დამეწყო, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში ისეთი რამ მოხდა, რომ ხვალვე მოვახსენებ ბატისტას, უარს ვამბობ-მეთქი.

ეს სიტყვები თითქმის შურისძიებით ანთებულმა ვთქვი. მინდოდა ჩემი ტანჯვის წილ ახლა ემილიასაც ეტანჯა, გადაკვრით მეგრძნობინებინა, ფანჯრიდან ყველაფერი დაეინახე, მაგრამ თქმით კი არაფერს გეუბნები-მეთქი. ემილიამ თვალი თვალში გამიყარა და წყნარად მკითხა:

— მაინც რა მოხდა ისეთი?

— ბევრი რამ.

— მაინც რა?

წუთით მომეჩვენა, ემილიას გულწრფელად სურდა დამედანაშაულებია, ორგულობისთვის გამეკიცხა, მე კი კვლავ მიკიბულ-მოკიბულად განვაგრძე:

— ეს მხოლოდ ფილმს და მე და ბატისტას გვეხება... ამაზე ლაპარაკი არა ღირს..

— რატომ არ გინდა მითხრა?

— იმიტომ, შენთვის საინტერესო არ იქნება.

— თუ არ გინდა, ნუ იტყვი, მაგრამ სცენარზე კი ვერ იტყვი უარს, გამბედაობა არ გეყოფა, ეჭვი არ შეპარება, დაწერ.

კარგად ვერ მიეხვდი, ამ სიტყვებში ჩემდამი ზიზღი გამოსჭვიოდა თუ სადღაც კიდევ დარჩენილი პატარა იმედი უნდა მქონოდა. ამიტომაც ფრთხილად ვკითხე:

— ეგრე რატომ ფიქრობ?

— იმიტომ, რომ მშვენივრად გიცნობ. — ცოტა ხანს იყურა, დაფიქრდა, სცადა ნათქვამი შეერბილებინა: — სცენარებზე მუშაობას მუდამ ასეთი განწყობილებით იწყებ. ჯერ იტყვი, არაფრით არ გავაკეთებ, ხელს არ მოგვიდებ ამ სცენარსო, მაგრამ უარი უარად დაგრჩენია, სამუშაო კი გაგიკეთებია. საკმარისია დაიწყო სცენარზე მუშაობა, რომ ყველაფერი გავიწყდება.

— ეგ მართალია, მაგრამ ახლა სცენარი არ არის შუაში.

— აბა რა არის?

— პირადად მე.

— მაგით რის თქმა გინდა?

„იმის თქმა მინდა, რომ ბატისტა გკოცნიდა“, — მინდოდა მეთქვა ემილიასთვის, მაგრამ არ ვუთხარი: ჩვენ ხომ არასოდეს ვყოფილვართ გულახდილები, სათქმელს მუდამ გადაკვრით ვეუბნებოდით ერთმანეთს, სიმართლეს შორიდან ვუვლიდით.

— ემილია, ისედაც მშვენივრად იცი ყველაფერი. ვახშამზე მე უკვე ვთქვი ჩემი სათქმელი. დამღალა სხვებისათვის მუშაობამ, ბოლოს და ბოლოს მინდა საკუთრივ ჩემთვისაც ვიმუშაო.

— მერედა, ვინ გიშლის ხელს?

— შენ, — მაღალფარდოვნად წარმოვთქვი მე. ემილიას რაღაც საწინააღმდეგოს თქმა უნდოდა, მაგრამ არ ვაცალე: — არა, თვითონ შენ კი არა, არამედ ის, რითაც შენ ჩემს ცხოვრებაზე მოქმედებ, სამწუხაროდ, შენც კარგად იცი, ამ ბოლო დროს როგორი ურთიერთობა გვაქვს. სჯობს ამაზე არც ვილაპარაკოთ... მაგრამ ცოლი ხარ ჩემი და არაერთხელ მითქვამს, სცენარებზე მუშაობას მხოლოდ შენი გულისთვის ვთანხმდებოდი. ერთი სიტყვა, მშვენივრად იცი და ამის განმეორებას აზრი არა აქვს. ვალები გვაქვს: ეს ბინის შესატანიო... ეს მანქანის ვალი ბოლომდე გასასტუმრებელია და კიდევ რა ვიცი... აი, რატომ ვწერ სცენარებს... ახლა ერთი რამ მინდა გკითხო...

— რა?

მეჩვენებოდა, რომ მშვიდად და საღად ვმსჯელობდი, მაგრამ ამავე დროს რაღაც იდუმალი უსიამოვნო გრძნობა მკარნახობდა, ეს მხოლოდ მოჩვენებითი და თვალთმაქცური იყო. იმის მერე, ემილია რომ ბატისტას მკლავებში დავიინახე, ჩემი ასეთი მსჯელობა, რა თქმა უნდა, მოჩვენებითი და ყალბი იყო. უფრო მეტიც, სრული უაზრობა იყო და მეტი არაფერი. განა ტერასიდან რაც დავინახე, არ კმაროდა ასაღელვებლად? სინამდვილეში კი ესა ვთქვი:

— აი, რა მინდა გთხოვო. როგორც შენ მიჩვევ, ისე მოვიქცევი; მეტყვი, არ გააკეთო, არ გავაკეთებ, ხვალვე ვეტყვი ბატისტას უარს და პირველივე გემით გავემგზავრებით კაპრიდან.

ემილიას თავი არ აუღია, ეტყობოდა, ფიქრობდა:

— დიდი ეშმაკი ხარ, — თქვა მან ბოლოს.

— რატომ?

— რატომ და, მერე რომ ეგ ნაბიჯი სანანებელი გაგიხდეს, მე წამომავედრებ, მე დამაბრალებ.

— არაფერსაც არ დაგაბრალებ, მით უმეტეს, რომ თვითონ გთხოვ.

დავინახე, რა საგონებელში ჩააგდო ჩემმა თხოვნამ. მოუთმენლად ველოდი მის პასუხს, რადგანაც ვიცოდი, ამ პასუხში გამომელავენდებოდა მისი ჩემდამი გრძნობა, სულერთია, როგორი. თუ სცენარის დაწერას მიჩვევდა — ეს იმას ნიშნავდა, მართლაც ვეზიზღებოდი, არარად მაგდებდა და შესაძლებლად მიაჩნდა ამ მდგომარეობაში მუშაობა განმეგრძო. თუ მიჩვევდა, არ გააკეთო, მაშინ უნდა მეფიქრა, რომ ჯერ კიდევ მცემდა პატივს, იმ ზომამდე არ დამამცირებდა, რომ მისი საყვარლის ხელქვეითად შემუშავნა. ამგვარად, კვლავ არ მშორდებოდა თავსამტვრევი კითხვა, ვეზიზღებოდი თუ არა, კვლავ ამის მიზეზს ვეძებდი.

ბოლოს თქვა:

— ეს ისეთი საქმეა, რის გადაჭრასაც სხვას არ უნდა ეკითხებოდნენ.

— კი მაგრამ, ამას ხომ მე გთხოვ?

— კარგი, მხოლოდ დაიმახსოვრე, შენ არ მომეშვი, — თქვა მოულოდნელად საზეიმოდ.

— კარგი, დავიმახსოვრებ.

— მაშ, ასე. ჩემის აზრით, რაკი თავიდან იკისრე სცენარის გაკეთება, ახლა უარის თქმა არა ღირს.. თანაც შენც ხომ არაერთხელ გითქვამს ჩემთვის, უარმა შესაძლოა ბატისტა გააბრაზოს და სხვა სამუშაო აღარ მომცესო. ფიქრობ, სცენარი უნდა დაწერო...

ამგვარად, ის მიჩვევდა მუშაობა განმეგრძო. ეჭვი აღარ იყო — ნამდვი-

ლად ვეზიზღებოდი. მაგრამ არ მინდოდა ამის დაჭერება. ამიტომ ხელმეორედ ჩავვეკითხე:

- შენ ასე ფიქრობ?
- ნამდვილად ასე ვფიქრობ.

წუთით გავბევედი. სიტყვა ვერ მოვინახე სათქმელად. შემდეგ მტრულად ვუთხარი:

— ძალიან კარგი... მხოლოდ მერე არ მითხრა, ასე რჩებოდა, შენ თვითონ გულით გინდოდა სცენარზე მუშაობაო, როგორც მაშინ, ხელშეკრულების დადებისას მომახალე... ამით გარკვევით მინდა გითხრა, ამ სცენარის დაწერა სრულიად არა მსურს, მაგრამ...

— ოპ, რომ იცოდე, როგორ მომამბეზრე თავი, — აგდებულად წარმოთქვა. საწოლიდან წამოდგა და კარადასთან მივიდა. — მირჩიეო, მითხარი, და მეც გირჩიე, შენ კი როგორც გინდა ისე მოიქეცი.

მის ხმაში ისევ ზიზღი ჩანდა. ამგვარად, ჩემი ვარაუდი გამართლდა და უცებ გულზე ისეთივე მწვავე ტკივილი ვიგრძენი, როგორც მაშინ რომში, ემილიამ პირველად რომ მომახალა პირში, აღარ მიყვარხარო. ამის მეტი ვერაფერი მოვანერხე, ჩემდა უნებურად მწარედ ამოვიგმინე და ვკითხე:

— რატომ მექცევი ასე, ემილია? რისთვის გჭირდება ყოველივე ეს? განა ჩვენ ერთმანეთის მტრები ვართ?

ემილიამ კარადის კარი გამოაღო, სარკეში ჩაიხედა და დაბნეულად წარმოთქვა:

- რას იზამ, ასეთია ცხოვრება!

მღელვარებისგან სუნთქვა შემეკრა. უცებ მეტყველების უნარი დავკარგე. გავბევედი. არ მახსოვს ემილიას ოდესმე ჩემთან ასე გაცვეთილი სიტყვებით ელაპარაკოს. ვიცოდი, ჯერ კიდევ მქონდა შესაძლებლობა, ეს საუბარი სხვა გზით წარმემართა, შემეძლო მეთქვა, ბატისტასთან გნახე-მეთქი, რაც თვითონაც მშვენივრად იცოდა; სცენარზე რჩევას რომ გეკითხებოდი, ამით მხოლოდ შენი გამოცდა მინდოდა-მეთქი და, ერთი სიტყვით, წინანდელივით ახლაც ყველაფერი ჩვენს ურთიერთობაზეა დამოკიდებული-მეთქი, მაგრამ გამბედაობა, უფრო სწორად, ძალა არ მეყო, რადგან მეტიმეტად ძალაგამოცლილი ვიყავი. ამის ნაცვლად მოკრძალებულადაც კი ვკითხე:

- კი მაგრამ, მე რომ ფილმზე ვიმუშავებ, შენ რას გააკეთებ კაპრზე?

— განსაკუთრებულს არაფერს, გავივლ-გამოვივლი, ზღვაში ვიბანავებ, მზეზე ვიქნები. იმას გავაკეთებ, რასაც სხვები აკეთებენ...

- მარტო?

- ჰო, მარტო.

- მერე, არ მოგეწყინება?

- მე არასოდეს არ მწყინდება. ათასი საფიქრალი მაქვს.

- ხანდახან ჩემზეც ფიქრობ ხოლმე?

- ჰო, რა თქმა უნდა, ხანდახან შენზეც.

— რას ფიქრობ ხოლმე ჩემზე? — ავდექი, მივუახლოვდი და ხელები დავუჭირე.

- ამაზე ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია...

ემილია ცდილობდა ჩემგან ხელის განთავისუფლებას, თუმცა არც ისე მონდომებით.

- ემილია, წინანდელივით ფიქრობ ჩემზე?

ამ სიტყვებზე ემილიამ უკან გადადგა ნაბიჯი და უხეშად მითხრა:

— სჯობს დასაძინებლად წახვიდე, არის რაღაცები, რისი გაგონებაც გულსა გტკენს და ეს გასაგებიცაა. მე კი მხოლოდ მისი გამეორება შემიძლია... რაში გჭირდება, რა სიამოვნებას ხედავ ასეთ ლაპარაკში?

— არა, მე მაინც მინდა ვილაპარაკოთ.

— კი მაგრამ, რატომ? იძულებული გავხდები ისევ ის გითქვამოცილო... ერთხელ მიტკვამს... თუ ფიქრობ, კაბზე ჩამოსვლის შემდეგ შენთვის მისი მეცვალა, ცდები. პირიქით...

— მაგით რა გინდა თქვა? რას ნიშნავს „პირიქით“?

— „პირიქით“ — შეცბუნდა ემილია. — ამით იმის თქმა მინდა, რომ არაფერი არ შეცვლილა, აი, ეს არის სულ.

— მაშასადამე, შენ ისევ იმას გრძნობ ჩემდამი... ხომ?

ჩემდა გასაოცრად ემილიას სიტყვებში აღშფოთება და ცრემლიც კი შევამჩნიე:

— ბოლოს და ბოლოს, რა გინდა, რატომ მტანჯავ ასე? რა გინდა ჩემგან? დამიჯერე, არც მე მსიამოვნებს ასეთი ჩამის თქმა... შენზე მეტად მიჭირს ახლა მე.

მის სიტყვებში იმდენი სიწრფელე და გულისტკივილი ჩანდა, წუთით გული ამიჩუყდა. კვლავ ხელი მოვკიდე და ვუთხარი:

— მე კი შენზე ყოველთვის კარგს ვფიქრობ... და ასეც ვიფიქრებ მუდამ... — შემდეგ რომ მენიშნებინა, ორგულობა გაპატიე-შეთქი, არადა, მართლაც ვაპატიე, დავსძინე: — რაც არ უნდა მოხდეს...

ემილიამ არაფერი მიპასუხა. სადღაც გვერდზე იხედებოდა. თითქოს რაღაცას უცდიდა. სწორედ ამ დროს ვიგრძენი, როგორ შეუმჩნეველად, მაგრამ მტრული სიჯიუტით ცდილობდა გაენთავისუფლებინა ხელი. უხეშად ვუბიძგე, ღამე მშვიდობისა ვუსურვე და სწრაფად გავედი. თითქმის გასვლისთანავე მომესმა, როგორ ჩაკეტა კარი, რამაც გული ბოლმით ამივსო და კვლავ აუტანელი ტკივილით დამისერა.

თავი მეჩვიდმეტი

მეორე დღეს დილაადრიანად ავდექი და ისე, რომ არც დავინტერესებულვარ, სად იყვნენ ბატისტა და ემილია, გამოვედი, უფრო სწორად, გამოვევარდი სახლიდან. კარგად გამოძინებისა და დასვენების შემდეგ წინა დღეს მომხდარი ამბები და საკუთარი საქციელიც სრულ უბადრუკობად მომეჩვენა, ახლა მინდოდა დამშვიდებულს მეფიქრა, როგორ მოვქცეულიყავი, ისე უნდა შემოქმედა, აჩქარებით საქმე არ გამეფუჭებინა და მერე სახანებელი არ გამხდომოდა. ამრიგად, როგორც უკვე ვთქვი, სახლიდან გამოვედი და იმ გზას დავადექი, რა გზითაც გუშინ საღამოს მივედი სასტუმროში რეინგოლდთან. რევისორი ვიკითხე, ბალისკენ მიმასწავლეს. მაშინვე იქით გავეშურე. ხეივნის ბოლოში თვალი მოვკარი მზის სხივებით გაბრწყინებულ, თეთრად მოელვარე ბალუსტრადას, რომელსაც მოწმენდილი, ლაქვარდოვანი ცა და წყნარი, უშფოთველი ზღვის ანარეკლი თვალისმომკრელად აქათქათებდა. იქვე პატარა მაგიდის გარშემო რამდენიმე სკამი იყო შემოწყობილი. ერთ-ერთ სკამზე კაცი იჯდა; დამინახა თუ არა, მაშინვე წამოდგა და მოსალმების ნიშნად ხელი დამიქნია. ეს რეინგოლდი გახლდათ. შორეული ნაოსნობის გემის კაპიტანივით

იყო გამოწყობილი. თავზე ეხურა ღია ცისფერი ქუდი, რომელზედაც ოქროსფერი ანძა ჰქონდა ამოქარგული. პიჯაკიც იმავე ფერისა ეცვა, მხოლოდ შარვალი იყო თეთრი. მაგიდაზე საუზმის ნარჩენებიანი ლანგარი, საქალაღე და საწერი კალამი ეწყო.

რეინგოლდი მეტად მხიარულად გამოიყურებოდა. მაშინვე მკითხა:

— მოლტენი, როგორ მოგწონთ ეს დილა?

— რას იტყვით, — განაგრძო მან, თან ხელი მკლავში მოკიდებდა და ბალუსტრადისკენ წამიყვანა. — რას იტყოდით, ერთი წუთით რომ მიგვეფურთხა სამუშაოსთვის, ნავში ჩავმსხდარიყავით და ზღვაში გავსულიყავით კუნძულის გარშემო? განა უკეთესი, ბევრად უკეთესი არ იქნებოდა?

დიდი აღტაცება არ გამომითქვამს, რადგან გულში გავიფიქრე, რეინგოლდის გვერდით ყოფნა ვერ მაგრძნობინებს-მეთქი მთელი ამ გასეირნების ნიბლს. უხალისოდ ვუპასუხე:

— ჰო, გარკვეული თვალსაზრისით სასიამოვნო იქნებოდა...

— როგორ თქვით, მოლტენი, გარკვეული თვალსაზრისითო? — დიდის ამბით შესძახა მან. — გარკვეული თვალსაზრისით... კი მაგრამ, მაინც რას გულისხმობთ? იმ თვალსაზრისით ხომ არა, როგორითაც ცხოვრება გვესმის: ცხოვრება ხომ ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა, მოვალეობაა. ასეა ხომ, მოლტენი?.. მოვალეობა ხომ? კარგით, მაშ, აბა, შევეუდგეთ მუშაობას!

რეინგოლდი ბალუსტრადას მოსცილდა და კვლავ მაგიდას მიუჯდა, შემდეგ ჩემკენ გადმოიხედა, თვალეზში მომაცქერდა და მედიდურად წარმოთქვა:

— ახლოს მოიწიეთ... ამ დილით ჩვენ მხოლოდ ვილაპარაკებთ. დღეს ბევრი რამ უნდა გითხრათ...

დავჯექი, რეინგოლდმა ქუდი თვალეზზე ჩამოიფხატა და განაგრძო:

— თქვენ ალბათ გახსოვთ, მოლტენი, ჩვენი საუბარი გზაში „ოდისეას“ შესახებ. მაშინ ეს საუბარი ბატისტამ შეგვაწყვეტინა. გახსოვთ ალბათ ისიც, დარჩენილი მანძილი თვლემაში გავატარე და ამ საუბრის გაგრძელება სხვა დროისთვის გადავდე. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს გახსოვთ, მოლტენი!

— ჰო, რა თქმა უნდა.

— თუ გახსოვთ, მოლტენი, მაშინ ასე ავხსენი „ოდისეას“ არსი: ოდისეესი განზრახ აჭიანურებს თავის მოგზაურობას, რადგანაც შინ დაბრუნება არა სურს და ამას ქვეცნობიერების კარნახით აკეთებს-მეთქი. მგონი, ამაზე შეეჩერდით.

— დიახ.

— ახლა კი მინდა აგიხსნათ მიზეზი, რატომ არ უნდა ოდისეესს შინ დაბრუნება, — თქვა რეინგოლდმა.

ის ერთი წუთით შეჩერდა, თითქოს სურდა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა საკუთარი აღმოჩენისათვის, შემდეგ წარბები მოკმუნნა და ისე რომ ჩემთვის თვალი კვლავ არ მოუცილებია, ჩვეული სერიოზულობით და ავტორიტეტულობით წარმოთქვა:

— ოდისეესს ითავაზე დაბრუნება იმიტომ არ უნდა, რომ სინამდვილეში პენელოპესთან ვერა აქვს კარგი ურთიერთობა. აი, მიზეზი, მოლტენი... ეს არაკეთილგანწყობილება, ცუდი ურთიერთობა მათ შორის ჯერ კიდევ ოდისეესის ომში გამგზავრებამდე წარმოიშვა... მაშასადამე, სინამდვილეში, ოდისეესი ომში იმიტომ წავიდა, რომ შინ თავს კარგად ვერ გრძნობდა... ეს კი იმიტომ იყო გამოწვეული, რომ მეუღლესთან ცუდ ურთიერთობაში იყო.

რეინგოლდი წუთით გაჩუმდა, ავტორიტეტული და მედიდური გამომეტყველება არ შეუცვლია. ამ სიტყვით ვისარგებლე და სკამი ისე შევაბრუნე, მზეს პირდაპირ თვალებში არ ეცქირა. შემდეგ განაგრძო:

— პენელოპესთან კარგი ურთიერთობა რომ ჰქონოდა, ოდისევსი თმში არ წავიდოდა.. რადგან იგი ბუნებით მეომარი არ არის, არც ჩხუბისა და შფოთის მოყვარულია. ის უფრო ბრძენი, წინდახედული და გონიერად აღამიანია... მას რომ ცოლთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა, მენელაის თაყვისი, თანადგომის დასამტკიცებლად საექსპედიციო კორპუსს გაუგზავნიდა რომელიმე ერთგული კაცის მეთავეობით, და მეტი არაფერი. სინამდვილეში კი რა მოხდა... ამის ნაცვლად, ოდისევსმა თვითონ ისარგებლა შემთხვევით, რომ ცოლს გაქცეოდა: ომი შინიდან წასვლის საბაბად გამოიყენა.

— ძალზე ლოგიკურია.

— ძალზე ფსიქოლოგიურიაო, ალბათ ეს გინდოდათ გეტქვათ, მოლტენი! — მაშინვე შემისწორა რეინგოლდმა, რადგან ჩემს ხმაში ცოტაოდენი ირონია შეამჩნია. — ძალზე ფსიქოლოგიურია და დაიმახსოვრეთ, ყველაფერი ფსიქოლოგიაზეა დამოკიდებული; მის გარეშე არ არსებობს ხასიათები, ხასიათების გარეშე კი ისტორია. ახლა ჩერი დადგა, გავერკვეთ ოდისევსისა და პენელოპეს ფსიქოლოგიაში, ინებეთ: პენელოპე არის ძველი ფეოდალური, არისტოკრატიული საბერძნეთის ტრადიციების მიმდევარი ქალი: სათნო, კეთილშობილი, ამაყი, მორწმუნე, კარგი დიასახლისი, კარგი დედა და კარგი მეუღლე... ოდისევსი კი თავისი ბუნებით წინ უსწრებს თავის დროს. ის უფრო გვიანდელი საბერძნეთის — სოფისტებისა და ფილოსოფოსების დროის საბერძნეთის წარმომადგენელია თავისი ბუნებით. მისთვის უცხოა ცრურწმენა. თუ დასჭირდა, თავაშვებულობდა. იგი გამჭრიახია, ჭკვიანი, ურწმუნო, სკეპტიკოსი, ხანდახან ცინიკოსიც.

შევეპასუხე:

— შე მგონი, მეტად მუქ ფერებში ხატავთ ოდისევსს... თვით პოემაში კი...

მან მოუთმენლად გამაწყვეტინა:

— ჩვენ არაფერი გვესაქმება თვით „ოდისეასთან“ ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მას ჩვენებური ინტერპრეტაცია უნდა გავუკეთოთ, უნდა განვაავითაროთ. დაიმახსოვრეთ, მოლტენი, ჩვენ ფილმი უნდა შევქმნათ... „ოდისეა“ უკვე დაწერილია, ჩვენ ახლა ფილმი უნდა გავაკეთოთ.

ხმა არ ამომიღია, რეინგოლდმა განაგრძო:

— ამგვარად, ოდისევსსა და პენელოპეს შორის არაკეთილგანწყობილების მიზეზი მათი ბუნების სხვადასხვაობაში უნდა ვეძებოთ... აშკარაა, სანამ ტროას ომი დაიწყებოდა, ოდისევსმა ისეთი რამ ჩაიდინა, რაც პენელოპეს არ მოეწონა... სახელდობრ რა? სწორედ ამის გარკვევაში უნდა დაგვეხმარონ სასიძოვები... როგორც „ოდისეა“-დან ვიცით, საქმროები ცდილობენ მოინადირონ პენელოპეს გული, თითოეულს მისი ცოლად შერთვა სურს, თავაწყვეტილად დათარეშობენ ოდისევსის სახლში და მის ქონებას ანიავებენ... საჭიროა ძირფესვიანად შეიცვალოს მდგომარეობა...

გაკვირვებისგან პირი დავაღე.

— ვერ გაიგეთ? მკითხა მან. — კარგით, ახლავე ყველაფერს ავიხსნით... საქმროები... შე მგონი, ჩვენთვის უმჯობესი იქნება თუ მათ გავაერთიანებთ და ერთით დავკმაყოფილდებით, თუნდაც მხოლოდ ანტინოეთი. ამგვარად, საქმროები პენელოპეზე შეყვარებულნი არიან ტროას ომის დაწყებამდე...

და თავიანთი სიყვარულის გამოსახატავად, ძველი ბერძნული ჩვეულების თანხმად, უხვი საჩუქრებით ავსებენ. ძველ ბერძნულ ადათებზე აღზრდილი პენელოპე ამაყი, ზნემაღალი ქალია. ძალიან უნდა უარი თქვას საჩუქრებზე. უფრო მეტად კი უნდა ოდისევსმა სახლიდან გაყაროს საქმროები. მაგრამ მის მეუღლეს, ჩვენთვის ჯერ კიდევ გამოუცნობი მიზეზის გამო, რის მონახვაც ვფიქრობ, არ გაგვიჭირდება, არ უნდა გაანაწყენოს საქმროები. ოდისევსს, როგორც ჭკვიან და გონებადამჭდარ ადამიანს შეპყრობის მიზნით ვიჩინია საქმროების ეს მანჭვა-გრება მისი ცოლის გარშემო. ცოლის ერთგულებაში ღრმად დარწმუნებულს ასევე არაფრად მიაჩნია საჩუქრებიც. ის კი არადა, კიდევ სიამოვნებს... დაიმახსოვრეთ, მოლტენი, ძველ ბერძნებს საჩუქრები ძალიან უყვარდათ... რა თქმა უნდა, ოდისევსის ასეთი საქციელი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საკუთარ ცოლს ხელი შეუწყოს, საქმროების ნებას რომ დაჰყვეს, არა, იგი პენელოპეს ურჩევს ეთამაშოს, არ გააგულისოს ისინი, და რაც მთავარია, ოდისევსს ეჩვენება, რომ სწორია მისი საქციელი. ოდისევსს სურს მშვიდად, აუღელვებლად იცხოვროს. იგი ბუნებით მშვიდობისმოყვარე კაცია. ჩხუბი და აურ-ზაური ეჯავრება... პენელოპე არ მოელოდა ოდისევსისაგან ასეთ უმოქმედობას. ქალს არ სურს დაიჯეროს ეს, განაწყენებულია და აღშფოთებულიც. ქმარი კი ამას ვერ ამჩნევს. საჩუქრები სულაც არ მიაჩნია დამამძირებლად და შეურაცხმყოფელად. ურჩევს მეუღლეს, რაც შეიძლება თავაზიანად მოექცეს საქმროებს. მით უმეტეს, არ გაგვიჭირდება ასეთი მოქცევაო. ბოლოს და ბოლოს პენელოპე ქმრის რჩევას დაჰყვება, მაგრამ სამაგიეროდ მის გულში ქმრისადმი უსაზღვრო ზიზღის გრძნობა დაისადგურებს. მას ოდისევსი აღარ უყვარს და კიდევ ეუბნება ქმარს ამის თაობაზე. ოდისევსი გვიან მიხვდება, თავისი ვითომდა წინდახედულობითა და ეშმაკობით რომ ჩაკლა პენელოპეს გულში სიყვარულის გრძნობა. იგი ცდილობს შეცდომა გამოასწოროს, კვლავ დაიბრუნოს ცოლის სიყვარული, მაგრამ ამაოდ. ითაკაზე მისი ცხოვრება ჯოჯობეთად იქცევა... უკვე სრულიად იმედდაკარგული და სასოწარკვეთილი გადაწყვეტს სახლიდან გაიქცეს. ამ შემთხვევაში კი ტროას ომი ზედგამოჭრილი იყო. შვიდი წელიწადი გაგრძელდა ომი. ოდისევსი კვლავ ითაკაზე დაბრუნებისთვის ემზადება, მაგრამ იცის, სახლში ელის ქალი, რომელსაც არა მარტო არ უყვარს, ეზიზღება კიდევ... ამიტომაც, არც ერთ მონებრებულ შემთხვევას არ უშვებს ხელიდან გაახანგრძლივოს, დააყოვნოს შინ დაბრუნება, რისიც ასე ძალიან ეშინია და რაც კარგს არაფერს უქადის. მაგრამ ადრე თუ გვიან უნდა დაბრუნდეს... დაბოლოს, როცა ოდისევსი შინ ბრუნდება, მას იგივე გადახდება, რაც რაინდს ლეგენდაში გველეშაპზე. გახსოვთ, მოლტენი? პრინცესა რაინდს სთხოვს დაამარცხოს გველეშაპი, თუ უნდა კვლავ მისი სიყვარულის ღირსი გახდეს. გველეშაპის მოკვლის შემდეგ პრინცესა კვლავ შეიყვარებს რაინდს... ასევეა პენელოპეც. ოჯახში დაბრუნებულ ქმარს არწმუნებს, მთელი ეს ხანი შენი ერთგული ვიყავიო, მაგრამ იმასაც დასძენს, არ გეგონოს ერთგულება შენმა სიყვარულმა მიკარნახაო, ამით საკუთარ ღირსებას ვიცავდიო, ხოლო თუ ჩემი სიყვარული გსურს დაიბრუნო, დახოცე ეს საქმროებიო. ოდისევსი, როგორც ვიცით, ბუნებით სისხლისმოყვარე და შურისმაძიებელი არაა. შესაძლოა მას ერჩია საქმროები უფრო მშვიდობიანი გზით მოეცილებინა თავიდან, სახლიდან გაეყარა, მაგრამ ამჯერად ის თანხმდება მკვლელობაზე, რადგან ამაზეა დამოკიდებული მისი ბედი, მხოლოდ ასე შეუძლია დაიბრუნოს პენელოპეს სიყვარული. აი, რატომ კლავს ოდისევ-

სი საქმროებს და მაშინ, მხოლოდ მაშინ თავაზიანი პენელოპე თავის სიყვარულს ოდისევსს სთავაზობს. რამდენიმე წლის განშორების შემდეგ გადაიხდიან ისინი, ნამდვილ სისხლიან ქორწილს... ახლა გაიგეთ, მოლტენი? ასე და ამრიგად, ვაყალიბებ: პირველი — პენელოპეს ეზიზლება ქმარი იმის გამო, რომ არაფრად მიაჩნდა საქმროების საქციელი. ეს კი არ შეეფერება ნამდვილ მამაკაცს, ქმარსა და მეფეს; მეორე — ოდისევსი გამოსავალს, პრულობს, ტროას ომში მიდის, რადგან იცის, ცოლს ეზიზლება და ამ ქვეყნებში აღარ დაედგომება; მესამე, — ოდისევსი ქვეყნობიერების კარნახით განზრახ აკიანურებს შინ დაბრუნებას, რადგან იცის, შინ აღარ ელოდებიან სიყვარულით; მეოთხე — იმისათვის, რომ კვლავ დაიბრუნოს პენელოპეს პატივისცემა და სიყვარული, ოდისევსი ჰკლავს საქმროებს... ახლა ხომ გაიგეთ, მოლტენი?

გავიგე-მეთქი, ვუპასუხე. მართლაც, რა ძნელი იყო ამის გაგება? მაგრამ აღშფოთების გრძნობა, რაც ჯერ კიდევ გზაში დამებადა „ოდისეას“ ასე დამახინჯებული ინტერპრეტაციის გამო, კიდევ უფრო გამიძლიერდა და ისე ვუსმენდი რეინგოლდს, თითქოს სიზმარში ვყოფილიყავ. ამასობაში რეჟისორი კვლავ პედანტურად განაგრძობდა ახსნას:

— თქვენ ალბათ გაინტერესებთ, მოლტენი, როგორ მივაგენი მთელი ამ ამბის გასაღებს. აქ მე დამეხმარა სასიძოების უწყალოდ ამოხოცვის ამბავი. ეს მხეცური, სასტიკი, შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტვა არსებითად განსხვავდებოდა ოდისევსის ბუნებისაგან. თავიდან ჩვენს წინაშეა ჰკვიანი, გონებანათელი, გამჭრიახი, მოხერხებული, წინდახედული ადამიანი. ჰოდა, ვთქვი ჩემთვის: როგორც ოჯახის უფროსსა და მეფეს მშვენივრად შეეძლო სასიძოები სახლიდან გაეშვა, ოღონდ ცოტა უნდა მოენდომებინა, მაგრამ იგი ასე არ მოიქცა, ეს კი იმას ნიშნავდა, მის გაშმაგებას რაღაც საგულისხმო მიზეზი ჰქონდა. რა იყო ეს მიზეზი? ალბათ ოდისევსს უნდოდა ეჩვენებინა, რომ არა მარტო მოხერხებული, ჰკვიანი, წინდახედული და გამჭრიახი კაცი იყო, არამედ თუ დასჭირდებოდა, არაქსივით შეეძლო გამძვინვარება, აქილევსივით თავშეუკავებლობა და აგამემნონივით შეუბრალებლობა. ახლა ისმება კითხვა — კი მაგრამ, ვისთვის სჭირდებოდა ეს ყოველივე მას? ვისთვისდა, პენელოპესთვის!.. ამრიგად — ევრიკა!

მე ხმას არ ვიღებდი. რეინგოლდის მსჯელობა გასაოცრად ნათელი იყო და სრულიად შეესაბამებოდა მის ლტოლვას, ფსიქოანალიტიკურ, სექსუალურ დრამად ექცია „ოდისეა“. სწორედ ეს იწვევდა ჩემს აღშფოთებას, ამ ლტოლვაში „ოდისეას“ პროფანაციას ვხედავდი მხოლოდ. ჰომეროსს ყველაფერი უბრალოდ, მარტივად, წმინდად, კეთილშობილურად, გულუბრყვილოდ აქვს მოცემული. ოდისევსის ეშმაკობაც კი პოეტურად წარმოგვიდგინა, როგორც მისი გონებრივი განვითარების გამოვლინება. რეინგოლდის ინტერპრეტაციაში კი ყველაფერი შიშველი მორალის მლალადებელ და ფსიქოლოგიზმით გაყვნილი თანამედროვე დრამის დონემდე იყო დაყვანილი. ამასობაში რეინგოლდი, თავისივე ახსნა-განმარტებით კმაყოფილი, უკვე დასკვნას აკეთებდა.

— როგორც ხედავთ, მოლტენი, ფილმი უკვე მზადაა. თვითელი წვრილმანიც კი გათვალისწინებულია. ისლა დაგვრჩენია, დავსხდეთ და დავწეროთ. უხეზად შევაწყვეტინე:

— ყური მიგდეთ, რეინგოლდ, შესაძლოა ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ თქვენი ინტერპრეტაცია მე მაინც არ მომწონს.

მან განცვიფრებისაგან თვალები დააქუჩა: უფრო ჩემი გაცხარება გაუკვირდა, ვიდრე ის, რომ არ ვეთანხმებოდრი.

— მაშ, არ მოგწონთ, პა, ძვირფასო მოლტენი? მაინც საინტერესოა, რატომ არ მოგწონთ?

ჯერ მორიდებით დავიწყე, მაგრამ თანდათან ხმაში გამბედაობა მომემატა: — თქვენი მსჯელობა იმიტომ არ მომწონს, რომ ის ოდისევსი ნამდვილი ბუნების ფალსიფიკაციას წარმოადგენს. პომეროსის ოდისევსი ნამდვილი გამკრიახი, წინდახედული, თუ გნებავთ, ცბიერი კაციც არის, მაგრამ მას არასოდეს არ ავიწყდება პატიოსნება და საკუთარი ღირსება... ის ყოველთვის გმირია, ღირსეული მეომარია, მეფე და ერთგული ქმარი, თქვენი ინტერპრეტაციიდან კი რა გამოდის? მაპატიეთ, მაგრამ უნდა გითხრათ, ძვირფასო რეინგოლდ, თქვენი მსჯელობის მიხედვით ოდისევსი ისეთი ადამიანია, ვისთვისაც უცხოა პატიოსნებაც და საკუთარი ღირსების გრძნობაც, ეს არის ადამიანი, რომელიც არავითარ პატივისცემას არ იმსახურებს. იმაზე უკვე აღარაფერს ვამბობ, ორიგინალს რომ ძალზე დაშორდით...

ვხედავდი როგორ თანდათან იკლებდა რეინგოლდის სახეზე ნახევარმთვარისებური ღიმილი, ბოლოს კი სრულიად გაქრა. შემდეგ გერმანული აქცენტით, რომლის დაფარვასაც ჩვეულებრივ დიდი მონდომებით ცდილობდა ხოლმე, მკვახედ თქვა:

— ძვირფასო მოლტენი, ნება მიბოძეთ გითხრათ, როგორც ყოველთვის თქვენ ახლაც ვერაფერი გაიგეთ.

— როგორც ყოველთვის?! — ვთქვი მე წყენანარევი ირონიით.

— პო, როგორც ყოველთვის! — დამიდასტურა რეინგოლდმა. — ახლაც აგიხსნით რატომ. ყურადღებით მომისმინეთ, მოლტენი...

— შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, გისმენთ მთელი გულისყურით.

— სრულიადაც არ ვცდილობ, ოდისევსი, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთ უპატიოსნო ადამიანად გამოვიყვანო, ვისთვისაც უცხოა საკუთარი ღირსების გრძნობა, ადამიანად, რომელიც პატივისცემას არ იმსახურებს... მინდა მხოლოდ ისეთად გამოვიყვანო, როგორც ეს თვით „ოდისეა“-შია. ვინ არის და რას წარმოადგენს ოდისევსი პოემაში? ოდისევსი, უბრალოდ, ცივილიზებული ადამიანია... პოემაში მოცემულ სხვა არაკივილიზებულ გმირებს შორის ოდისევსი ერთდაერთი ადამიანია, რომელიც ცივილიზაციას ეზიარა. სადა ჩანს ეს? სადა და, იქ, რომ ოდისევსი თავისუფალია ცრურწმენებისაგან, გაკირვების დროს ის ყოველთვის გონებას უხმობს, იმ შემთხვევაშიც კი უხმობს, როცა, როგორც თქვენ ამბობთ, საქმე ეხება პატიოსნებას, პირად ღირსებას, პატივისცემას... ბოლოს და ბოლოს ის ჭკვიანი და სამართლიანი კაცია, იმასაც ვიტყვდი — უნარი შესწევს სწორად გააანალიზოს მდგომარეობა, თითქმის მეცნიერულადაც იმსჯელოს. მაგრამ ცივილიზაციას, — განაგრძობდა რეინგოლდი, — რა თქმა უნდა, თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს. ოდისევსი ძალიან მალე ივიწყებს, მაგალითად იმას, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ე. წ. პატიოსნების გაგებას არაკივილიზებული ადამიანები. პენელოპე ხომ არაკივილიზებული ადამიანია. ეს არის ქალი, რომელიც პატივს სცემს ძველ ტრადიციებს, ემორჩილება მხოლოდ ინსტინქტს, მჩქეფარე სისხლსა და სიამაყეს... ახლა განსაკუთრებული ყურადღებით მომისმინეთ, მოლტენი, რასაც ახლა ვეტყვი. ეცადეთ, გამიგოთ... ყველა არაკივილიზებულ ადამიანს შე-

საძლოა ცივილიზაცია, — და ეს არცფუ არაიშვიათია, — მორალურ გაბრწყინ-
ლებად, ამორალურად, უპრინციპობად და ცინიზმადაც მოეჩვენოს... ასეთი
ბრალდებები ცივილიზაციას წაუყენა. მაგალითად, პიტლერმა, რომელიც, რა
თქმა უნდა, არააცივილიზებული ადამიანი იყო, ის ხომ ძალზე ბევრს დასაბუ-
ჯობდა პატიოსნებაზე.. მაგრამ ახლა ხომ ვიცით რას წარმოადგენდა პიტლერი
და რა პატიოსანიც იყო... ერთი სიტყვით, „ოდისეაში“ პენელოპე ბარბარულ-
სობას ანსახიერებს, ოდისევსი კი — ცივილიზაციას, იცით, მოლტენმა თქვენს
მე ოდისევსივით ცივილიზებული ადამიანი მეგონეთ, მსჯელობთ კი ბარბა-
როს პენელოპესავით.

ბოლო სიტყვების წარმოთქმისას რეინგოლდს გაბრწყინებულ სახეზე
კვლავ ფართო ღიმილი გამოესახა. ეტყობა, კმაყოფილი იყო საკუთარი მახვილ-
სიტყვაობით, პენელოპეს რომ შემადარა, მე კი არ ვიცი რატომ, სწორედ ეს შე-
დარება მემწვავა. ვიგრძენი, სიბრაზისაგან როგორ მომაწვა სისხლი სახეში და
შეცვლილი ხმით წარმოვთქვი:

— თუ თქვენ ცივილიზაციად მიგაჩნიათ ის, რომ ქმარი თვალს ხუჭავს,
როცა მის ცოლს სხვა მამაკაცი ეარშიყება, მაშინ, ძვირფასო რეინგოლდ, ვა-
ლიარებ, რომ არააცივილიზებული ადამიანი ვარ.

მაგრამ ამჯერად, ჩემდა გასაკვირვად, რეინგოლდი არ გაბრაზებულა.
— ერთი წუთით, — თქვა მან და ხელი ასწია. — თქვენ, მოლტენი, დღეს
რალაც ვერ აზროვნებთ აუღელვებლად... მართლაც პენელოპესავითა ხართ...
ასე მოვიქცეთ... ახლა წადით, ზღვაში იბანავეთ და კარგად იფიქრეთ ყველა-
ფერზე, რაზეც აქ გვქონდა საუბარი. ხვალ დილით კი მოდით და მითხარით,
რასაც გადაწყვეტთ. თანახმა ხართ?

- დაბნეულმა მივუგე:
- თანახმა ვარ მხოლოდ მეექვსეა აზრი შევიცვალო.
- კარგად იფიქრეთ იმაზე, რაზეც აქ ვისაუბრეთ, — გაიმეორა რეინგო-
ლდმა, ადგა და ხელი გამომიწოდა დასამშვიდობებლად.
- მეც წამოვდექი. რეინგოლდმა წყნარად დასძინა:
- დარწმუნებული ვარ, ხვალამდე ყოველივეს კარგად განსჯით და აღი-
არებთ ჩემს სიმართლეს...
- რალაც ძალიან მეექვსეა, — ვუპასუხე და სასტუმროსკენ მიმავალ ბი-
ლიკს გავუყევი.

თავი მეთვრამეტე

რეინგოლდთან სულ რალაც ერთი საათი დავყავი — სწორედ იმდენი, რა-
მდენიც „ოდისეაზე“ დისკუსიას მოვანდომეთ. ამრიგად, წინ მთელი დღე მქო-
ნდა, რეინგოლდის სიტყვებით რომ ეთქვათ, „ყველაფერს ჩავფიქრებოდი და
საბოლოო გადაწყვეტილება მიმელო“. სიმართლე უნდა ვალიარო, სასტუმ-
როდან გამოსვლისთანავე დამებადა სურვილი, არა მრატო არ მეფიქრა რეინ-
გოლდის ჩანაფიქრზე, არამედ რაც შეიძლება ჩქარა დამევიწყებინა ის და დავ-
მტკბარიყავი მზით გაკაშკაშებული დლით. მეორე მხრივ, რალაციტ შეშფოთე-
ბული ვიყავი. მეჩვენებოდა, თითქოს რეინგოლდის სიტყვებში ისეთი რამ იმა-
ლებოდა, რაც ჩვენს კინოში ერთობლივი მუშაობის ფარგლებს სცილდებოდა.
მაგრამ სახელდობრ რა, ვერ გამერკვია. ეს კი იყო, რომ ამ ამბავმა რატომ-
ღაც მეტიმეტად ამაღელვა.

ამრიგად, მე მართლაც აღარაფერი დამრჩენოდა იმის გარდა, რომ „ყველაფერს კარგად ჩავფიქრებოდი“, გამახსენდა — დილით სახლიდან რომ გამოვდიოდი, დაბლა, იმ გორაკის ძირას, სადაც აგარაკი იდგა, ზღვის პატარა განმარტოებული უბე ლივლივებდა და გადავწყვიტე იქ ჩავსულიყავი. სწორედ რომ შესაფერისი ადგილი იყო, რათა — როგორც რეჟისორმა მირჩია, წყნარად, ჩემთვის, აუღელვებლად მეფიქრა ყველაფერზე და თუ ფიქრს არ მოვისურვებდი, მაშინ ზღვაში მებანავა.

ამ ფიქრებით ბილიკზე გავედი და იმ ხეივანს გავყევი, რომელიც მთელ კუნძულს გარს ერტყმოდა. ადრიანი დილა იყო. მზეს ჯერ კიდევ არ დაეცხუნებინა. ხეებით დაჩრდილულ ხეივანში არავინ ჩანდა: მხოლოდ რამდენიმე ბიჭუნამ გაიტყაპუნა შიშველი ფეხებით მოკირწყლულ ბილიკზე. შემდეგ ორმა გოგონამ აიარა ხელიწელგადაბვეულებმა, გზადაგზა სულმოუთქმელად ლაპარაკობდნენ ხმადაბლა. ორ თუ სამ ხანში შესულ მანდილოსანს ძაღლები გამოეყვანათ სასეირნოდ.

ხეივანის ბოლოში, სადაც გზა უკვე ხრიოკსა და კუნძულის ფლატებიანი ნაწილისაკენ მიემართებოდა, ვიწრო ბილიკზე გადავუხვიე. ცოტაც გავიარე და ახლა გვერდით ბილიკზე გავედი. ამ ბილიკით მივადექი ტერასას, შევდექი და ძირს გადავიხედე. ტერასა უფსკრულის პირას დაკიდულს ჰგავდა, დაახლოებით ას მეტრზე, ჩემ დაბლა, თვალუწვდენელი, მზის სხივებზე თვალისმომჭრელად მოლაპლაპე და მოლივლივე ზღვა გაწოლილიყო. იგი ქარის მიმართულების მიხედვით იცვლიდა ფერს, ერთ ადგილას ზღვა ცისფერი იყო, მეორეზე ლურჯი, თითქმის იისფერი, უფრო შორს კი — მწვანე, ასე შორეული და მდუმარე ზღვიდან ამომართულ, კუნძულის სანაპიროს გასწვრივ ჩარიგებულ ციცაბო კლდეებს — თითქოს მშვილდიდან გამოტყორცნილი ისრები მოფრინავდნენ ჩემკენ — მოკაშკაშე მზისთვის მიეშვირათ თავიანთი გაშიშვლებული წვეტიანი თავები. თვითონაც არ ვიცი რატომ, მაგრამ რაღაცნაირმა გზნებამ შემიპყრო. გავიფიქრე, რილასთვის უნდა ვიცოცხლო-მეთქი, იქნებ სჯობდეს ამ მოციალე, უძირო ზღვის სიღრმეში გადაშვება-მეთქი, იქნებ ასეთმა სიკვდილმა ნაწილობრივ მაინც გადაარჩინოს ის, რაც კარგი იყო ჩემს არსებაში, ჩემს სულში. დიახ, მზად ვიყავი თავი დამებრჩო ოლონდ სიკვდილის შემდეგ მომეპოვებინა ის სიმშვიდე, რაც ცხოვრებაში მაკლდა.

თვითმკვლელობის ეს ცდუნება სრულიად გულწრფელი იყო და შესაძლოა იმ წუთებში ჩემს სიცოცხლეს მართლაც ელოდა საფრთხე. შემდეგ, თითქმის უნებურად გადაწვდა ჩემი ფიქრი ემილიას. ნეტავ, რას იზამს ემილია, ჩემი სიკვდილის ამბავს რომ გაიგებს. და მაშინ თავს გამოვეუტყდი: „თავს შენ იმიტომ კი არ იკლავდი, რომ ცხოვრებამ დაგლალა... არა... აბა, რადროს შენი დაღლა... შენ ემილიას გამო იკლავდი თავს“. ამ ფიქრმა შემზარა. მზაკვრულად დაუკავშირა ჩემი თვითმკვლელობის სურვილი პირადულ ინტერესს, თითქოს ჩემს ცხოვრებაში არაფერი აღარ არსებელიყო ემილიას გარდა. თავს შევეკითხე: „ემილიას მიზეზით იკლავდი თავს თუ ემილიას გულისათვის? ეს ორი რამ ხომ არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან?“ ამ კითხვას მაშინვე ვუპასუხე: „რა თქმა უნდა, ემილიასთვის, ემილიას სიყვარულისა და პატივისცემის დაბრუნებისათვის, თუნდაც ჩემი სიკვდილის შემდეგ... დაე, მან იგრძნოს სინდისის ქენჯნა, ასე უსამართლოდ რომ ვძულდი“.

ეს თვითგვემა ბავშვების თამაშს ჰგავდა კუბიკებით: უწესრიგოდ მიმოფანტული კუბიკები ბავშვებმა ისე უნდა დააწყონ, რომ ერთი გარკვეული ნახატი

მიიღონ, ერთიც რომ დააკლონ, ნახატი არ გამოვა. მეც ასე მომდიოდა. ვგრძნობდი, მთლიან სურათს რაღაც აკლდა. მოულოდნელად თავში გამიელვა: „რეინგოლდის სიტყვებმა ასე ძლიერ იმიტომ ამაღელვა, რომ ოდისევსისა და პენელოპეს ცოლქმრულ ურთიერთობაზე მსჯელობისას, რეინგოლდმა — შესაძლოა, სულაც თავისდა უნებურად, — შენ საკუთარი ოჯახური უსიამოვნება, შენი და ემილიას ურთიერთობა გაგახსენა, როცა მან ოდისევსისადმი პენელოპეს ზიზლი ახსენა, შენ მაშინვე ემილიას ზიზლი გაგახსენდა, შენდაა ერთი სიტყვით, სიმართლე გემწვა და ამიტომ შეუტეე რეინგოლდს“.

მაგრამ სურათი მთლად დამთავრებული ჯერ კიდევ არ იყო. ახლა კი უკვე საბოლოოდ შეავსო იგი ახალმა აზრმა: „თავის მოკვლაზე იმიტომ ფიქრობ, რომ თვითონ ვერ გარკვეულხარ საკუთარ თავში... ემილიას სიყვარული რომ დაიბრუნო, სულაც არ არის საჭირო თავის მოკვლა... ამისათვის სულ უბრალო რაღაც უნდა მოიმოქმედო, ხოლო სახელდობრ რა უნდა მოიმოქმედო, ეს უკვე გიკარნახა რეინგოლდმა... პენელოპეს სიყვარული რომ დაებრუნებინა, ოდისევსმა საქმროები ამოხოცა... მაშასადამე, თუ თეორიულად ვიმსჯელებთ, შენ ბატისტა უნდა მოკლა. მაგრამ ჩვენ ხომ ნაკლებად მკაცრ და მომეტებულად რთულ დროში ვცხოვრობთ, ვიდრე „ოდისეაშია?“ ამიტომ სრულიად საქმარისია ბატისტას ხვალვე გამოუცხადო, უარს ვამბობ სცენარზე-თქო, ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტო რეინგოლდთან და ხვალ დილასვე გაემგზავრო რომში. ემილია იმიტომ გირჩევდა, უარი არ გეთქვა სცენარზე, რომ მას სურს ეზიზლებოდე შენ და ასევე სურს, რომ თვითონ შენვე დაუმტკიცო საკუთარი საქციელით, რომ მისი ზიზლი შენდამი უსაფუძვლო არ არის... მაგრამ შენ აღარ დაუგდო ყური მის რჩევას, პირიქით, ისე მოიქეცი, როგორც ოდისევსი მოიქცა რეინგოლდის ჩანაფიქრის მიხედვით“.

ახლა სურათი ნამდვილად დასრულებული იყო: ღრმად გავაანალიზე ყოველივე და შეუბრალებელი სიმართლით ვამხილე საკუთარი თავი. ჩემთვის უკვე ნათელი იყო, აღარ მჭირდებოდა „კარგად მეფიქრა ყველაფერზე“. როგორც რეინგოლდმა მირჩია, ახლა უნდა მივსულიყავი მასთან და ჩემი გადაწყვეტილება მომეხსენებინა, ამჯერად უკვე ურყევი და საბოლოო. მაგრამ მაშინვე გავიფიქრე, რაკი აღარ იყო საჭირო „კარგად მეფიქრა ყველაფერზე“, არც აჩქარება ღირდა, რათა არ ჰგონებოდათ სწაფად და მოუფიქრებლად მიიღო ეს გადაწყვეტილებაო. აჯობებდა რეინგოლდთან სადილობის შემდეგ შემეველო და სრულიად აუღელვებლად მეცნობებინა ჩემი გადაწყვეტილება. შემდეგ ასევე აუღელვებლად დაებრუნებულიყავი შინ, ემილიასთვის მებრძანებინა ჩემოდნები ჩაელაგებინა და გასამგზავრებლად მომზადებულიყო. რაც შეეხება ბატისტას, გადავწყვიტე მასთან პირისპირ ლაპარაკს საერთოდ ავრიდებოდი და დილით, გამგზავრების წინ მოკლე ბარათი დამეტოვებინა. ბარათში დავუწერდი, იმიტომ მივდივარ, რომ მე და რეინგოლდი ვერ შევთანხმდით-მეთქი, რაც სინამდვილეში საფუძველს მოკლებული არც იქნებოდა. ბატისტა გამჭრიახი კაცი იყო, ყველაფერს მიხვდებოდა. შემდეგ კი, გადაწყვეტილი მქონდა, იგი აღარასოდეს მენახა.

ამ ფიქრებში გართული კვლავ ხეივანში აღმოვჩნდი. შემდეგ იმ კლდემდე მივალწიე, სადაც ბატისტას სააგარაკო სახლი იდგა. როცა გამოვერკვიე, უკვე ვიწრო ბილიკით ვეშვებოდი ზღვის იმ განმარტოებულ უბისაკენ, რომელიც დილით სახლიდან გამოსვლისას გამოვარჩიე. დაღლილი და აქოშინებული ჩა-

ვედი დაბლა. ცოტა ხანს გავჩერდი. სული მოვითქვი და აქეთ-იქით მიმოვიხედე.

პატარა ქვიან სანაპიროს გარშემო შემორავდნენ ლოდები, რომლებიც თითქოს ეს-ესაა კლდეებს მოსწყვეტიანო. უბეს კეტავდა მწვანე ტალღებიდან ამოზრდილი ორი კლდოვანი კონცხი. წყალი აქ ისე გამჭვირვალე იყო, რომ მზის სხივები თითქმის ზღვის ფსკერამდე აღწევდნენ. შემდეგ უძველესი სილაში ნახევრად შეჭრილი მოშავო ფრიალო კლდე დავინახე მთლიანად დაფარული და დამსკდარი. გადავწყვიტე უკნიდან შემომველო და მის ჩრდილქვეშ შეეფარებოდი მცხუნვარე მზის სხივებს. მაგრამ ის იყო კლდეს გარს მოვუარე, რომ მოულოდნელად მთლად შიშველ ემილიას წავაწყდი. იგი მზეზე გულაღმა იწვა. სიმართლე რომ ვთქვა, უცებ ვერც ვიცანი ემილია, რადგან სახე დიდი ფარფლებიანი ჩალის ქუდით დაეფარა. პირველად ვიფიქრე, ვილაც უცნობი ქალია-მეთქი და გაქცევა დავაპირე. მაგრამ უცებ გამექცა თვალი უცნობი ქალის ხელისაკენ. საჩვენებელ თითზე დავინახე ორი პატარა აფალისთვლიანი ოქროს ბეჭედი, რომელიც სულ ახლახან ვაჩუქე ემილიას დაბადების დღეზე.

როგორც უკვე ვთქვი, ემილია განმარტოებულ პლაჟზე იწვა მთლად შიშველი. ტანსაცმელი იქვე ახლოს დაეწყო ქვებზე. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამ ერთი მუჟა კრელაპრულა ნაპრებს შეეძლო მისი დიდი სხეულის შემოსვა. მართლაც, შიშველ ემილიას რომ შეეცქეროდი, მისი სხეულის ერთი რომელიმე ნაკვთი კი არ მიაოცებდა, არამედ მთელი მისი სხეულის პარმონიულობა, სიდიდე და ძლიერება. თუმცა ვიცოდი, რომ ემილია სხვა ქალებზე ახოვანი და სრული არ იყო, მაგრამ იმ წუთში მისი შიშველი ტანი რაღაც უზომოდ დიდი მეჩვენა, თითქოს ზღვისა და ზეცის უსასრულობა გადასდებიაო.

ემილია გულაღმა იწვა. მისი რბილი და გადაშლილი ძუძუები, ეს ორი მომალლო ბორცვი, იმ წუთში დიდი და მძიმე მომეჩვენა. დიდი მეჩვენა ვარდისფერი ძუძუსთავეები, პლაჟის ქვებზე მოხერხებულად და მძლავრად დასვენებული თეძოებიც. დიდი მეჩვენა მუცელიც, რომელსაც თითქოს თავის წრეში მოექციოს მთელი მზის სხივები, და გრძელი, ჩამოქნილი ფეხებიც, ოდნავ დაბლა რომ დაშვებოდა დამრეც პლაჟზე წოლის გამო. კაცს ეგონებოდა, თითქოს საკუთარი სიმძიმე ეწეოდა ძირს.

ნეტავ საიდან გამიჩნდა ასეთი გრძნობა, რატომ მეჩვენება მისი შიშველი სხეული ასე დიდი, ძლიერი და ასე ამაღელვებელი-მეთქი. ვკითხე თავს, მაგრამ ეს ნდომა იმდენად ფიზიკური როდი იყო, რამდენადაც სულიერი. მსურდა შევერთებოდი მას, მაგრამ მხოლოდ ხორციელი ტკბობა როდი მეწადა, მისი სული მეწადა. ერთი სიტყვით, თუ შეიძლება ითქვას, ემილიას სიყვარული მშიოდა, მაგრამ შიმშილის მოკვლა მართო ჩემზე არ იყო დამოკიდებული. ეს მხოლოდ და მხოლოდ ემილიას შეეძლო, მას უნდა გასჩენოდა სურვილი მოეკლა ჩემი შიმშილი. მაგრამ მე ვგრძნობდი, კიდევ რომ მეცადა, იგი ხელს ჰკრავდა ჩემს სიყვარულს, თუმცა რატომღაც მეგონა, ისე წევს, თითქოს თავს მთავაზობს-მეთქი. რაც, სამწუხაროდ, თავის მოტყუება იყო და სხვა არაფერი.

დიდხანს ვერ შევძელი მეცქირა ამ ამაღელვებელი და აკრძალული სიმშვიდისათვის, ნაბიჯი წავდგი და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში საკმაოდ მკაფიოდ წამოვიძახე:

— ემილია!

ამის გაგონებაზე ემილიამ ორი რამ გააკეთა სწრაფად: ჯერ სახიდან ქუ-

დი გადაიგდო, შემდეგ ელვის სისწრაფით გააქანა ხელი ქვებზე დაწყო ბილი ტან-საცმლისაკენ. ამავე დროს წამოჯდა და მიმოიხედა კიდეც, ვინ მეძახისო. რიკარდო ვარ-მეთქი, რომ ვუთხარი, მაშინ კი კოფთა გააგდო ხელიდან და მთელი ტანით შემოტრიალდა, რათა უკეთესად დავენახე.

„ამრიგად, პირველად შეეშინდა, ვინმე უცხო მამაკაცი არ იყოსო, მაგრამ როცა დაინახა, რომ მე ვიყავი, საჭიროდ აღარ მიიჩნია მომრიდებოდა და მისი შიშველ დაეფარა, თითქოს არც არავინ მდგარიყოს მის წინ“ — გაგონებდა მისი ბაში. ამ ჩემს უგუნურ აზრზე იმიტომ მოგახსენებთ, რომ მინდა ზუსტად გადმოგცეთ ჩემი მაშინდელი სულიერი მდგომარეობა. მაშინ აზრადაც არ მომსვლია, რომ ემილიას იმიტომ არ შერცხვა ჩემი, რომ უცხო მამაკაცი კი არა, მისი ქმარი ვიყავი. მაშინ ასე მეგონა, მისთვის აღარ ვარსებობდი, ყოველ შემთხვევაში, აღარ ვარსებობდი როგორც მამაკაცი, მისი მაშინდელი საქციელი, რომელიც ათასნაირად შეიძლებოდა ახსნილიყო, ბუნებრივია, ჩემ საზიანოდ გავიგე, როგორც ჩემი ექვების კიდეც ერთი დამამტკიცებელი საბუთი.

— ხუთ წუთზე მეტია, აქ ვდგავარ და გიყურებ... ასე მგონია, პირველად გხედავ...

ემილიას არაფერი უთქვამს. მხოლოდ უფრო მეტად შემობრუნდა ჩემკენ, რათა უკეთესად დავენახე. აუღელვებლად ცნობისმოყვარეობით აღსავსემ გაისწორა ცხვირზე მზის შავი სათვალე.

— ემილია, საწინააღმდეგო თუ არაფერი გაქვს, დავრჩები. ან იქნებ გინდა წავიდე?

შემომხედა, შემდეგ ნელ-ნელა გაწვა მზეზე და თქვა:

— ჩემთვის სულერთია, რახან ასე გულით გინდა, დარჩი, მხოლოდ თუ შეიძლება, გაიწიე, მზეს ნუ მიჩრდილავ.

ამრიგად, მისთვის მართლაც არ ვარსებობდი. მისთვის მხოლოდ უსულო საგანი ვიყავი, რომელიც მზის სხივებს მის შიშველ სხეულამდე არ უშვებდა. ემილიას ასეთმა გულგრილობამ გული მატკინა და დამაბნია, ის კი არადა, თითქოს შემეშინდა კიდეც, ყელი გამიშრა და ჩემდა უნებურად სახეზე რაღაც გაურკვეველი, დაბნეული და შემცბარი გამომეტყველება გამომესახა. თავი ნაძალადევად მოვიმხიარულე და ვთქვი:

— რა კარგია აქ... მეც გავწვიები მზეზე.. — და ემილიასგან ცოტა მოშორებით, ლოდზე გულაღმა წამოვწექი.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მალე ტანზე მზის სხივების მაცოცხლებელი ძალა ვიგრძენი. სიამოვნებისგან თვალეები მივლულე და წუთით სიმშვიდისა და უზრუნველობის გრძნობა დამეუფლა. მაგრამ ეს მხოლოდ წუთით იყო. ვერ მოვიტყუე თავი, აქ მზეზე გასაწოლად მოვედი-მეთქი, მხოლოდ ვიგრძენი, ვიდრე ემილიას არ დაუბრუნდებოდა ჩემდამი სიყვარული, მზეს არავითარი ფასი აღარ ექნებოდა ჩემთვის. ამ ფიქრებში გართულმა ხმამალლა წარმოვთქვი:

— ჩემი აზრით, ეს ადგილი მხოლოდ ერთმანეთის მოსიყვარულე ადამიანებისთვისაა შექმნილი.

— ნამდვილად ასეა, — გამომეხმაურა ემილია კვლავ სახეზე დაფარებული ჩალის ქუდიდან, თან არც შერხეულა.

— ეს ჩვენ არ გვეხება, ჩვენ ხომ აღარ გვიყვარს ერთმანეთი.

ამჯერად არაფერი მიპასუხა. მე კი შევეცქეროდი და ვგრძნობდი, რაც უფრო დიდხანს შევეცქეროდი, მით უფრო მემატებოდა ემილიას დაუფლების

სურვილი, უფრო ძლიერი, ვიდრე პირველი დანახვისას დამეუფლა. ძლიერი გრძნობები იმით გამოირჩევიან, რომ მათ ძალუძთ სურვილსა და გონებას არ დაეკითხონ და პირდაპირ იმოქმედონ.

თვითონაც არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ სრულიად მოულოდნელად ემილიასაგან მოშორებით კი აღარ ვიჭექი დიდ ქვაზე ზურგმყუდებული, არამედ უკვე უმოძრაოდ გაშხვართულ ემილიას წინ მუხლებზე უფრო უფრო დახუჭული და თანდათან ვიხრებოდი მისი სახისაკენ. თვითონაც ვიხრებოდი, როგორ და როდის გადავხადე სახიდან ჩალის ქუდი. მინდოდა მეკოცნა, მაგრამ თვალს ვერ ვაცილებდი, ისეთი ნდომით დავყურებდი მის ტუჩებს, როგორც გემრიელ ნაყოფს დახედავენ ხოლმე, ვიდრე ჩაკბეჩავდნენ. ემილიას, როგორც უკვე ვთქვი, მსხვილი, ხორცსავესე ტუჩები ჰქონდა. პომადა გადასცლოდა, აქაიქ შეხმობდა, დასკდომობდა, მაგრამ მზეს კი არა, თითქოს რაღაც შინაგან ცეცხლს გაეხმო. გავიფიქრე: კარგა ხანია, ამ ტუჩებს ჩემთვის არ უკოცნიათ და ახლა რომ ეს მოხდეს, ტკბილ ზმანებაში ჩასულს უეჭველად ძველ და მაგარ ღვინოსავით მომეკიდება-მეთქი ნამდვილად. მთელი წუთი, თუ მეტი არა, დავცქეროდი ემილიას ტუჩებს. შემდეგ ფრთხილად მივუახლოვე ჩემი ტუჩები მის ტუჩებს.

მაგრამ უცებ არ მიკოცნია ემილიასთვის, რამდენიმე წამი შევეყოვნდი, სულ ახლოს ვგრძნობდი მის მსუბუქ და მშვიდ სუნთქვას, მისი ცხელი ტუჩების ცეცხლსაც. წინასწარ განვიცადე ამ კოცნის სიტკბოება. როცა ჩვენი ტუჩები ერთმანეთს შეეწებნენ, ემილიას არც გაუღვიძია და არც გაკვირვებია. ჯერ ნაზად შევეხე მის ბაგეებს, შემდეგ უფრო ძლიერად. მერე რომ ვნახე, ემილია არ შერხეულა, გავბედე და მაგრად დავეკონე ტუჩებზე. როგორც მოველოდი, ტუჩები ნელ-ნელა გაიხსნა ნიჟარასავით, გაშიშვლდნენ ღრძილებიც და მაშინვე კისერზე შემომაჭდო ხელიც.

უცებ თითქოს ვიღაცამ ძლიერ მიბიძგაო, შევეკრთი, გამოვერკვიე თვლები-საგან, სიჩუმემ და მზის მცხუნვარებამ რომ მომგვარა ალბათ. ემილია ჩემგან მოშორებით იწვა ისევ, სახეზე კვლავ ჩალის ქუდი ეფარა და მე მივხვდი, რომ ეს კოცნა სიზმარი იყო, ან უფრო სწორად, მოლანდება უსაზღვრო სევდისაგან ლამის წალეკილი ადამიანისა, რომელსაც წუთით დაავიწყდა მწარე სინამდვილე და წარსულის მოჩვენებას აჰყვა.

მე მას ვაკოცე და მანაც მიპასუხა კოცნითვე. მაგრამ ის, ვინც აკოცა და ისიც, ვინც კოცნით უპასუხა, მხოლოდ მოლანდებები იყვნენ, ემილიას დაუფლების დიდმა სურვილმა რომ დაჰბადა. ეს იყო მხოლოდ ჩვენი ჩრდილები და არაფერი საერთო არ ჰქონდათ ჩვენს უმოძრაო, ერთმანეთისათვის სრულიად უცხო სხეულებთან... ემილიას შევხედე და უცებ საკუთარ თავს მივმართე: „რამ მოხდება, ახლა რომ ავდგე და მართლაც ვაკოცო?“ მაგრამ მაშინვე ვუპასუხე საკუთარ შეკითხვას: „ვერ გაბედავ... შენ შებოროკილი ხარ რიდით და იმის შეგნებით, რომ მას ეზიზღები“.

უცებ ხმამაღლა წამოვიძახე:

— ემილია!

— რა მოხდა?

— ჩამთვლიმა და დამესიზმრა, ვითომ გკოცნიდი...

ემილიამ არაფერი მიპასუხა. ამ სიჩუმით შეშინებულმა, გადავწყვიტე საუბრისათვის სხვა გეზი მიმეცა და რაც ენაზე მომადგა, ისა ვკითხე:

— ბატისტა სად არის?

მან ქუდიდან წყნარად მიპასუხა:

— მე რა ვიცი, სად არის... მართლა, დღეს სადილზე არ იქნება, რეინ-გოლდთან ისადილებს სასტუმროში...

ვერც გავიაზრე საკუთარი სიტყვები, რომ უცებ წამოვისროლე:

— ემილია, გუშინ სალამოს დაგინახე... ბატისტა რომ გოცნოდა...

— ვიცი, მეც დაგინახე...

მისი ხმა სრულიად ჩვეულებრივად ეღერდა, მხოლოდ ქუდის ფარულად გუდავდა ოდნავ.

მისმა აუღელვებელმა, მშვიდმა ხმამ და იმ გულგრილობამ, რა გულგრი-ლადაც მან ჩემი აღსარება მიიღო, მთლად ამიბნია თავგზა. ნაწილობრივ აღ-მაშფოთა საკუთარმა საქციელმაც, დაუფიქრებლად რომ წამოვისროლე ეს სი-ტყვები. ეტყობა, მეგონა, მზის მცხუნვარება და ზღვის იდუმალეობა დაგვაფიწ-ყებდა უსიამოვნებას, ამაოებათა ამაოებას, შეგვარიგებდა და ჩვენს მეხსიე-რებიდან სამუდამოდ ამოშლიდა ყოველივე ცუდს.

თავს ძალა დავატანე და დავძინე:

— ემილია, მე და შენ უნდა მოვილაპარაკოთ.

— მხოლოდ ახლა არა... მაცალე მზეზე ყოფნა...

— მაშ დღეს სალამოს.

— კარგი, იყოს დღეს სალამოს.

ავდექი და ბატისტას სახლისკენ მიმავალ ბილიკზე გავედი უკანმოუხედა-ვად.

თავი მეცხრამეტი

სადილზე თითქმის არ დავლაპარაკებევართ ერთმანეთს. ოთახში მზის მცხუნვარე სხივებთან ერთად თითქოს დუმილიც შემოჭრილიყო. მაღალ ფან-ჯრებში უხვად იფრქვეოდა ლაყვარდოვანი ცისა და წყნარად მოლივლივე ლუ-რჯი ზღვის კრიალა ზედაპირიდან არეკლილი ბრწყინვალეობა. იგი თვალს გვჭრი-და და ერთმანეთს გვაშორებდა. უცებ ეს თვალისმომჭრელი ლაყვარდი თით-ქოს გამკვირვდა, როგორც წყალი ზღვის ფსკერზე. ჩვენც თითქოს ამ ფსკერზე ვისხედით და ცისარტყელასავით ნაირფერი წყლის ნაკადებით ერთმანეთისგან განცალკევებულებს, ვერც ერთს ვერ ამოგველო ხმა. მე, ჩემი მხრივ მინდოდა სიტყვა გამეტება და დამეწყო ლაპარაკი, რადგან თვითონ შევთავაზე ემი-ლიას, სალამოს ვილაპარაკოთ-მეთქი.

თქვენ ალბათ იტყვით, როცა ერთმანეთის პირისპირ მსხდომ ორ ადამიანს ერთი საერთო მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, თავიანთი ურთიერთდამოკიდე-ბულების საკითხი აქვთ გადასაჭრელი, ალბათ მხოლოდ ამაზე იფიქრებენ და სხვა არაფერზეო. მაგრამ ეს მთლად ასე არ იყო: ჩემი ფიქრები სულ სხვაგან დაჰქროდნენ. იმ წუთში არც ბატისტას კოცნა მახსოვდა და არც ჩემი და ემი-ლიას გამხელებელი ურთიერთდამოკიდებულება. ალბათ არც ემილია იკლავდა თავს ამ ფიქრებით. მე ჯერ კიდევ ვერ დამეღწია თავი რალაცნაირი შინაგანი მონუსხულობისა და განურჩევლობისათვის და სწორედ ამის გამო გადავდე ემილიასთან მოლაპარაკება სალამომდე.

სადილის შემდეგ ემილია ადგა, თქვა, უნდა დავისვენოო და საწოლ ოთახ-ში გავიდა. დიდხანს ვიჯექი გახევებული და ფანჯრიდან გავყურებდი შორს მზით განაშუბულ პორიზონტს, სადაც მუქი ლურჯი ზღვა ლაყვარდისფერ ცას

შეერთებოდა. პორიზონტის გასწვრივ — როგორც ბუზი გაქიმულ ძაფზე — მოჩანდა პატარა შავი გემი. თვალს ვადევნებდი მის მოძრაობას და ჩემდა უნებურად თავში სულელური აზრი დამებადა — ვცადე წარმომედგინა რა ხდებოდა ხომალდზე: აგერ მეზღვაურები საგულდაგულოდ წმენდენ გემის სპილენძის ნაწილებს, რეცხავენ გემბანს. მზარეული ახლად გარეცხილ თევზებს ამშრალებს, ნასადილევს ოფიცრები ჭერ კიდევ სუფრასთან სხედან, გემის სამანქანო ნაწილში წელამდე შიშველი ცეცხლფარში უდგან და დროს ნახშირს უმატებს საცეცხლე ქვაბს, შორიდან ხომალდი შავ წერტილს ჰგავდა, ახლოდან ალბათ დიდია, მასზე უამრავი ადამიანი დაფუსფუსებს და თვითთულს თავისი ბედი აქვს-მეთქი, გავიფიქრე მე, თავის მხრივ ალბათ ისინიც გამოიხედავდნენ კაპირისკენ და ალბათ შეამჩნევდნენ თეთრ წერტილს. მაგრამ აზრადაც არ მოუვათ, რომ ეს ვილაა და რომ ამ ვილაში ვცხოვრობთ მე და ემილია, რომ ჩვენ უკვე აღარ გვიყვარს ერთმანეთი, რომ ცოლს ვეზიზღები და მე კი ვერ მომიფიქრებია, როგორ, რა გზით დავიბრუნო მისი სიყვარული.

როცა ვიგრძენი, კვლავ თვლებმა მერევა-მეთქი, თავს ძალა დავატანე გამოვფხიზლებულიყავი და ჩემ მიერ შემუშავებული გეგმის პირველი ნაწილი შემესრულებინა — დაუყოვნებლივ წავსულიყავი რეინგოლდთან და მომესენებინა, „უკვე ყველაფერი კარგად მოვიფიქრე“ და სცენარზე უარს ვამბობ-მეთქი. ამ გადაწყვეტილებამ ისე გამომააცოცხლა, თითქოს თავზე ცივი წყალი გადამევლოს. წამოვდექი და სახლიდან გავედი.

თითქმის სირბილით გავლიე ბილიკი, რომელიც კუნძულს გარს ერტყმოდა. ნახევარი საათის შემდეგ უკვე სასტუმროს კარი შევაღე. სასტუმროს მოხელეს დავავალე, რეინგოლდისთვის ჩემი მოსვლა ეცნობებინა და იქვე სავარძელში ჩავჯექი. მეჩვენებოდა, იმ წუთში მეტად ნათელი გონება მქონდა, მაგრამ ეს იყო რაღაცნაირი ციებ-ცხელებითა და აღგზნებულობით შეპყრობილი კაცის გონება. უსაზღვრო შეებას, თითქმის ენით გამოუთქმელ სიხარულს ვგრძნობდი იმის გამო, რომ სწორად ვიქცეოდი, რომ ბოლოს და ბოლოს სწორ ნაბიჯს ვდგამდი. რამდენიმე წუთის შემდეგ ვესტიბიულში რეინგოლდი გამოჩნდა და მომეგება ჩემი მოულოდნელი სტუმრობით გაკვირვებული და შეშფოთებული. ეტყობა, იგრძნო, კარგი ამბის მაუწყებელი რომ არ ვიყავი.

თავაზიანობისთვის ვკითხე:

— ხომ არ გაგაღვიძეთ, რეინგოლდ?

— არა, რას ბრძანებთ. არ მეძინა. საერთოდ, ნასადილევზე არ ვიძინებ. მობრძანდით, მოლტენი, აქეთ, ბარში შევიდეთ.

რეინგოლდს ბარში შევყვევი. იქ ჩვენ მეტი არავინ აღმოჩნდა. რეინგოლდს დრო რომ მოეგო და მისთვის არც ისე სასიამოვნო საუბარი (რასაც წინდაწინვე გრძნობდა) ცოტა მაინც დაეხანებინა, შემეკითხა, რას დალევთ, შავ ყავას თუ ლიქიორსო. ეს ისეთი მზრუნველობით, მაგრამ უკმაყოფილობით მკითხა, როგორც ძუნწმა იცის ხოლმე, რომელსაც დიდად არ ეპიტნავენა შენი გამასპინძლება, მაგრამ რა ქნას, იძულებულია დაიხარჯოს. მე იმასაც ვხვდებოდი, რომ მის მოპატიჟებას სხვა მიზეზი ჰქონდა — რეინგოლდს რა თქმა უნდა, ერჩივნა ახლა აქ არ ვენახე. ასეა თუ ისე, შეთავაზებულ სასმელზე უარი ვუთხარი და რამდენიმე უმნიშვნელო სიტყვების შემდეგ პირდაპირ წამოვიწყე მთავარი სათქმელი:

— თქვენ ალბათ გიკვირთ პასუხისთვის ასე მალე რომ დავბრუნდი... თითქმის მთელი დღე მქონდა ხელთ დაფიქრებისათვის, ხვალამდე დაცდა საჭი-

როდ ალარ მივიჩნიე... საკმაოდ ბევრი ვიფიქრე... და ახლა მოვედი ჩემი გადაწყვეტილება მოგახსენოთ...

— გისმენთ.

— თქვენთან ერთად ვერ ვიმუშავებ. ერთი სიტყვით, უარს ვამბობ სამუშაოზე.

რეინგოლდი დიდად არ გაუკვირვებია ჩემს პასუხს. როგორც ჩანს, ამას მოელოდა. მაგრამ მომეჩვენა, ჩემმა ნათქვამმა რატომღაც მაინც გააღიზიანა:

— მოლტენი, ჩვენ ყველაფერი პირდაპირ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, ნათლად და გასაგებად.

— მგონი, ძალიან ნათლად და გასაგებად გითხარით: „ოდისეას“ სცენარს არ გაეაკეთებ.

— ღვთის გულისათვის, გამაგებინეთ, რატომ?

— იმიტომ, რომ „ოდისეას“ თქვენეულ ინტერპრეტაციას არ ვეთანხმები.

— მაშასადამე, — მოულოდნელად შეიცვალა მან კილო, — ბატისტას ეთანხმებით?

ამ მოულოდნელმა ცილისწამებამ, არ ვიცი, რატომ, სულ მთლად გამაცეცხლა. რას ვიფიქრებდი, რომ რეინგოლდის ინტერპრეტაციაზე უარის თქმა ბატისტას ვარიანტზე თანხმობას უდრიდა. ამიტომ გაბრაზებულმა ვუთხარი რეინგოლდს:

— რა შუაშია აქ ბატისტა? არც ბატისტას ვეთანხმები.. მაგრამ გულახდილად ვეტყვით „რეინგოლდ, თქვენ ორში არჩევანი რომ მჭონოდა, მაინც ბატისტას ვამჯობინებდი... ძალიან დიდი ბოდიში რეინგოლდ, მაგრამ უნდა გითხრათ, „ოდისეა“ უნდა გაკეთდეს ისე, როგორც ჰომეროსმა დაწერა, თუ არადა, სჯობს საერთოდ, სულ არ დაიდგას.

— მაშასადამე, თქვენ ბატისტას ვარიანტს ამჯობინებთ, ჭრელა-ჭრულა მასკარადს, შიშველ ქალებს, საზარელ ურჩხულ კინ-კონგის, მუცლით ცეკვას, ბიუზჰალტერებს, მუყაოს გოლიათებს და მოდების გამოფენას?

— ეგ სრულიადაც არ მითქვამს. მე ჰომეროსის „ოდისეაზე“ მოგახსენებთ.

— ჰომეროსის „ოდისეა“ სწორედ ისაა, რასაც მე ვამბობ, — თქვა მან დამაჯერებლად. თან წინ გადმოიხარა, — სწორედ ჩემი „ოდისეა“, მოლტენი...

არ ვიცი რატომ, მაგრამ უცებ მომინდა შეურაცხყოფა მიმეყენებინა რეინგოლდისთვის. მისი ყალბი, გამოწერილი ღიმილი, მისი შეფარული ავტორიტეტულობა, მისი სულელური დაჟინება ფსიქოანალიზზე — იმ წუთში პირდაპირ აუტანელი მომეჩვენა გაბრაზებულმა ვუთხარი:

— არა, თქვენი ინტერპრეტაცია ჰომეროსის „ოდისეა“ არ არის, რეინგოლდ. უფრო მეტსაც ვეტყვით, რაკი მაძულებთ გითხრათ. ჰომეროსის „ოდისეა“ მზიბლავს, მატყვევებს თავისი სიმშვენიერითა და სიდიადით, მაშინ როცა თქვენი, პირიქით, ზიზღს იწვევს. პირდაპირ გულს მირევს...

— მოლტენი!... — ამჯერად რეინგოლდი ნამდვილად შეურაცხყოფილი ჩანდა.

— დიახ, გულს მირევს, — გავიმეორე თანდათან უფრო გაცხარებულმა და ავზნებულმა. — თქვენ მხოლოდ იმას ცდილობთ, რაც შეიძლება დაამციროთ, ლაფში ამოსვართ ჰომეროსის ნათელი გმირები, რადგან ძალა არ შეგწევთ ეკრანზე ხორცი შეასხათ ჰომეროსის ამ უკვდავ ქმნილებას. თქვენ მხო-

ლოდ ის გინდათ, წაბილწოთ და გააუხამსოთ ჩემს თვალში „ოდისეა“ — მე კი არავითარი სურვილი არა მაქვს, ასეთ საქმეში მივიღო მონაწილეობა...

— მოლტენი, ერთი წუთით მომისმინეთ, მოლტენი...

— თქვენ წაგიკითხავთ ჯეიმს ჯოისის „ულისე“? — წამოვჩიქებ გაცეცხლებულმა. — იცით ვინ არის ჯოისი?

— მე ყველაფერი წამიკითხავს, რაც „ოდისეას“ ეხება, მიპასუხა ახლა უკვე ღრმად შეურაცხყოფილმა რეინგოლდმა. — მაგრამ თქვენ...

— ჰოდა, თუ წაგიკითხავთ, — განვაგრძე გაცხარებულმა, — ჯოისმა თავესებურად, ახლებურად გადააკეთა, გაათანამედროვა ჰომეროსის „ოდისეა“ და თავის მოდერნიზაციით, ან უფრო სწორად, წაბილწვით, მან ბევრად უკან მოგიტოვათ თქვენ, ძვირფასო რეინგოლდ!.. ჯოისის ულისე რქებდადგმული ქმარი, ონანისტი, უსაქმური და იმპოტენტი, ხოლო პენელოპე — გარყვნილი ქალი... კუნძული ეოლა მან გაზეთის რედაქციაში გადაიტანა, კიბკეს სასახლე საროსკიპოდ გადააკეთა, ხოლო კუნძულ ითაკაზე დაბრუნება შემდეგნაირად გამოიყენა: ოლონდ შინ აღრე არ მივიდეს და ულისე მთელი ღამე დახეტიალობს დუბლინის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში, ბნელ კუთხე კუნძულებში ჩერდება მოსაშარდავად... მაგრამ ჯოისმა იმდენი წინდახედულება მაინც გამოიჩინა, რომ ხელუხლებელი დატოვა ხმელთაშუა ზღვის კულტურა, მისი ზღვა, ლაქვარდოვანი ზეცა, მზე, ანტიკური სამყაროს ჯერ კიდევ აღმოუჩენელი მაწები... მის რომანში ყველაფერი ხდება თანამედროვე ჩრდილოეთის ქალაქების ჭუჭყიან ქუჩებში, სამიკიტნოებსა და საროსკიპოებში, საწოლ ოთახებში და საბრტარეშოებში. მის რომანში ვერ ნახავთ ვერც მზეს, ვერც ზღვას, ვერც ცას... ყველაფერი თანამედროვეა... მიწასთან გასწორებული, წაბილწული... ჩვენს საცოდავ ყოფამდე დასულა... თქვენ კი ჯოისის ზომიერების გრძნობაც არა გაქვთ. აი, რატომ მირჩევნია ბატისტა მთელი თავისი მუყაოს ურჩხულებით... დიახ, ბატისტას ვამჯობინებდი... თქვენ გასურდათ გაგეგოთ, რატომ არ მინდოდა ამ სცენარის გაკეთება... ახლა თქვენ ეს უკვე იცით...

სავარძელში ჩავვარდი არაქათგამოცლილი და მთლად ოფლად დაღვრილი, რეინგოლდმა წარბები შეკუმუნა და მკაცრად შემომხედა:

— ერთი სიტყვით, ბატისტას მხარეზე ხართ...

— არა, ბატისტას მხარეზე არა ვარ... უბრალოდ, თქვენ არ გეთანხმებით...

— და მაინც, არა მარტო არ მეთანხმებით, არამედ ბატისტას მხარეზე ხართ, — უცებ ხმას აუწია რეინგოლდმა.

ვიგრძენი, სისხლისგან როგორ დაიწრიტა ჩემი სახე და მიცვალებულივით გავფითრდი.

— მაგით რა გინდათ თქვით? — შეცვლილი ხმით ვკითხე რეინგოლდს.

რეინგოლდმა კისერი წაოგრძელა და თითქმის გველივით წაისისინა:

— იმის თქმა მინდა, რაც უკვე გითხარით... ბატისტამ და მე დღეს ერთად ვისადილეთ. მას არ დაუმაღლავს თავისი მოსაზრებები ფილმის შესახებ და თქვენზე მითხრა, მთლიანად იზიარებს ჩემს ინტერპრეტაციასო. მოლტენი, თქვენ ჩემი ინტერპრეტაციის წინააღმდეგი კი არა ხართ, უბრალოდ, ბატისტას უკერტ მხარს და იმას გააკეთებთ, რაც მას მოესურვება... ხელოვნებას თქვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანია სულ სხვა რამ. ფული!... დიახ, დიახ, ფული, მოლტენი. ოლნდ ფული გადაგიხადონ და მზადა ხართ ყოველგვარ პირობაზე.

— რეინგოლდ! — შევძახე მე.

— ძალიან კარგად გაგიცანით, ჩემო ძვირფასო! — არ ცხრებოდა ის. — შემძლია კვლავ გაგიმეოროთ სიმართლე: დიახ, ყოველგვარ პირობაზე!..

ახლა ერთმანეთის პირისპირ ვიდექით. ორივე მძიმედ ვსუნთქავდეთ, მე ქალაღღივით გაფითრებული, ის კიბოსავით გაწითლებული.

— რეინგოლდ! — კვლავ შევეძახე მე.

მაგრამ ახლა ჩემს ხმაში აღშფოთების ნაცვლად ღრმა გუფიქრული იგრძნობოდა. ჩემ მიერ წამოძახებულ „რეინგოლდ!“-ში მუდმივად უფროსი კს-მოდა, ვიდრე რისხვა შეურაცხყოფილი ადამიანისა, ვინც მზადაა მუქარიდან მოქმედებაზე გადავიდეს. თუმცა ერთი ზაგრად რომ გამეწნა სახეში რეინგოლდისათვის, ნამდვილად მინდოდა, მაგრამ ვერ მოვასწარი. საოცარია, რეინგოლდი უსულგულო, სქელკანიანი კაცი მეგონა, მან კი შესძლო ჩემს ხმაში დიდი ტკივილი შეემჩნია, მაშინვე მოერიოთ თავს და ხმადაბლა, შემრიგებლობით მითხრა:

— მაპატიეთ, მოლტენი... ისა ვთქვი, რაც სულაც არ მიფიქრია...

თავი ნერვიულად გავიქნიე, თითქოს ამით ვუთხარი, მიპატიებია-მეთქი და ვიგრძენი, როგორ ამევსო თვალეები ცრემლით. ცოტაოდენი დაბნეულობის შემდეგ, რეინგოლდმა განაგრძო:

— კეთილი, ყველაფერი გასაგებია... თქვენ სცენარზე არ იმუშავეთ... ბატისტას უკვე აცნობეთ ამის თაობაზე?

— არა.

— უნდა უთხრათ?

— თქვენ უთხარით, მე კი მას ალბათ აღარ შეეხვდები. ისიც უთხარით, სხვა სცენარისტი მონახოს. ხომ გაიგეთ, რეინგოლდ?

— რა მოხდა ასეთი? — მკითხა განცვიფრებულმა.

— ის, რომ „ოდისეას“ სცენარს არ გავაკეთებ. არც თქვენი ჩანაფიქრის მიხედვით და არც ბატისტას სურვილის მიხედვით... არც თქვენთან და არც ვინმე სხვა რეჟისორთან... ვინც არ უნდა იყოს იგი, გასაგებია, რეინგოლდ?

ბოლოს და ბოლოს გაიგო, თვალეებში თანაგრძნობა გამოეხატა, მაგრამ მაინც ფრთხილად მკითხა:

— ჩემთან არ გინდათ მუშაობა, თუ საერთოდ უარს ამბობთ ამ ფილმის შექმნაზე?

ცოტა დაფიქრების შემდეგ ვუპასუხე:

— მე უკვე გითხარით: თქვენს სცენარზე არ მსურს მუშაობა. მე მესმის, ჩემი უარის მიზეზს რომ გაიგებს ბატისტა, მის თვალში თქვენ დამცირდებით. ამიტომ ასე მოვიქცეთ: თქვენთვის უარს ვამბობ იმიტომ, რომ არ მინდა თქვენს სცენარზე მუშაობა, ხოლო ბატისტასათვის კი იმიტომ, რომ საერთოდ არ მინდა ამ ფილმზე მუშაობა, როგორადაც არ უნდა გადააკეთონ იგი... უთხარით ბატისტას, რომ შეუძლოდ ვარ. დავიღალე, სულიერად გადავიღალე... ხომ ეტყვიან?

ამ სიტყვებზე რეინგოლდს თითქოს რაღაცის იმედი მიეცა, მაგრამ მაინც ჩამეკითხა:

— კი მაგრამ, ბატისტა დაიჭერებს?

— დაიჭერებს, გარწმუნებთ, დაიჭერებს.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მე და რეინგოლდი რაღაცნაირ უხერხულობას ვგრძნობდით. ჯერ კიდევ არ გაფანტულიყო ჩვენ შორის მომხდარი

უსიამოვნების ღრუბელი და ორივეს, მეც და იმასაც, ჯერ კიდევ გვამძიმებდა ამ ღრუბლის არსებობა.

— მოლტენი, მე მაინც დიდად ვწუხვარ, ერთად რომ არ მოგვიხდება მუშაობა სცენარზე... იქნებ შევთანხმებულყავით?

— მეეჭვება რამე გამოვიდეს...

— შესაძლოა ჩვენი უთანხმოება არც ისე სერიოზულია.

ამაზე საკმაოდ მტკიცედ და მშვიდად ვუპასუხე:

— არა, რეინგოლდ, ძალზე სერიოზულია... თქვენის მხრივ ვინ იცის, იქნებ თქვენ მართალიც ხართ, „ოდისეას“ ასე რომ ხედავთ... მაგრამ მე მტკიცედ მჭერა, „ოდისეა“ დღესაც ისე უნდა დაიდგას, როგორც ჰომეროსმა დაწერა.

— თქვენ მეოცნებე ხართ, მოლტენი, თქვენ ისეთ სამყაროზე ოცნებობთ. ჰომეროსს რომ აქვს დახატული, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი სამყარო არ არსებობს...

— ვთქვათ, ასეა, ვთქვათ, მე ვოცნებობ ჰომეროსისეულ სამყაროზე... მაგრამ თქვენზე კი ამას ვერ ვიტყვი...

— მეც ვოცნებობ მასზე, მოლტენი... ვინ არ ოცნებობს ამ სამყაროზე? მაგრამ როცა საქმე ფილმს ეხება, მართო ოცნება ვერ გიშველის...

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. რეინგოლდს შევხედე და მივხვდი, ვერ დაგაჯერე იგი და მოულოდნელად მივმართე:

— თქვენ ალბათ იცით ულისეს სიმღერა დანტეს პოემაში?

— დიახ, — მიპასუხა, ცოტა არ იყოს გაოცებულმა. — ვიცი, მაგრამ კარგად არ მახსოვს...

— თუ ნებას მომცემთ, წაგიკითხავთ, ზეპირად მახსოვს.

— რახან ასე გულით გინდათ, წაიკითხეთ.

თვითონაც არ ვიცი, რატომ მაინცდამაინც ეს ნაწყვეტი ამოვირჩიე. მხოლოდ მერე მივხვდი, მოგვიანებით: ალბათ მინდოდა, ზოგ-ზოგი რაღაცა ისე შემეხსენებინა რეინგოლდისთვის, რომ გული არ მეტკენინებინა მისთვის.

რეისორი მოხერხებულად მოკალათდა სავარძელში. საბეზე დაღლილობა და შემწყნარე ღიმილი გამოესახა.

— ამ სიმღერაში დანტე თხოვს ულისეს მოგვიტხოვს, როგორ დაიღუპნენ ის და მისი ამხანაგები...

— ვიცი, მოლტენი, ვიცი... წაიკითხეთ.

წუთით ჩავფიქრდი თვალეზღაბრილი, შემდეგ დავიწყე:

„შეირხა უზარმაზარი რქა ანტიკური ცეცხლისა...“

უკითხულობდი ჩვეულებრივად და რამდენადაც შემეძლო სადად. რეინგოლდმა გაჯავრებულმა ამომხედა ჩამოფხატული ქუდიდან. შემდეგ ზღვისკენ შებრუნდა და აღარც შერხეულა. მე კვლავ განვაგრძობდი, ნელა და მკაფიოდ, მაგრამ როცა მივადექი ამ სიტყვებს:

„— ო, ძმებო! უნდა ჩაესვენოს ჩვენი სიცოცხლის მზე, რაც დიდი გაჭირვებით შევინარჩუნეთ“. — ვიგრძენი ავლელდი და ხმა ამითრთოლდა. ამ პატარა ნაწყვეტში ჩაქსოვილი იყო არა მარტო ოდისეის ჩემეული გაგება, არამედ ჩემი წარმოდგენაც საკუთარ თავზე და საკუთარი ცხოვრების რაობაზეც, ცხოვრებისა, რომელიც, სამწუხაროდ, არ გამომივიდა. მივხვდი, ჩემი მღელვარება გამოიწვია იმან, რომ უმშვენიერესი, ნათელი იდეა და ჩემი სულიერი უძ-

ლურება არ ესადაგებოდა ერთმანეთს, მაგრამ თავს მაინც მოვერიე და ბოლომდე ჩავიკითხე ნაწყვეტი ხმის აუთრთოლებლად:

„დაბოლოს ზღვამ ზემოთ მოგვიქცია და ჩავვყლაპა“.

ნაწყვეტი რომ ჩავამთავრე, წამოვდექი, რეინგოლდიც წამოდგა:

— მაპატიეთ, მოლტენი, მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, რატომ წამოვიტყუეთ ეს ნაწყვეტი დანტედან? რა გინდოდათ ამით გეთქვათ? რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ძალიან მშვენიერია, მაგრამ რა საჭიროა?

— რეინგოლდ, ეს ის ულისეა, რომლის ხორცშესხმასაც ვინსუორვეზი მე ასეთი ოდისეა მყავს მე წარმოდგენილი, ასეთს ვხედავ ყოველთვის... ვიდრე ერთმანეთს დავშორდებოდეთ, მინდოდა რაც შეიძლება სრულად დაქენახე-ბინა იგი თქვენთვის, ვიფიქრე, ჩემზე მეტად დანტე უფრო შესძლებდა თქვენ დარწმუნებას...

— თავისთავად ცხადია, დანტემ ეს უკეთესად შეძლო, მაგრამ დანტე დანტეა, შუასაუკუნეების ადამიანი... თქვენ კი თანამედროვე ადამიანი ხართ, მოლტენი...

ამჯერად არ ვუპასუხე და ხელი გავუწოდე. მან გამიგო და მითხრა:

— მე მაინც გული მწყდება, მოლტენი, ჩვენ რომ ერთად ვერ ვიმუშავებთ, უკვე შეგეჩვიეთ.

— სხვა დროს იყოს, — ვუპასუხე. — მეც მინდოდა თქვენთან ერთად მემუშავა, რეინგოლდ...

— მაშ, რა გიშლით ხელს, მოლტენი?

— რას იზამთ, ბედისწერას ვერსად გავქცევი, — გავუღიმიე, ხელი ჩამოვართვი და გავშორდი. რეინგოლდი იჭდა და ხელები ისე გაეშალა, თითქოს უსიტყვოდ მეკითხებოდა: „კი მაგრამ, რატომ?“

სწრაფად გამოვედი სასტუმროდან.

თავი მეთექვსმეტი

აგარაკზე ისევე აჩქარებით ვბრუნდებოდი, რა აჩქარებითაც წამოვედი. ერთი სული მქონდა სანამ ემილიას ვნახავდი და ჩემს გადაწყვეტილებას შევატყობინებდი. მოუთმენლობის გრძნობასთან ერთად რალაცხაარ აღგზნებას შეეპყრო ჩემი არსება და ჯერ კიდევ გააზრებული არ მქონდა, ბოლოს და ბოლოს რა ჩავიდინე, რა მოხდა. ერთი სიტყვით, ფიქრის თავი არ მქონდა. თავდაუზოგავად გავრბოდი შუადღის მცხუნვარე მზის გულზე მთლად ოფლში გაღვრილი. ერთი რამ კი ნამდვილად ვიცოდი: რალაც მაინც გავაკეთე ისეთი, რომ ამ აუტანელი მდგომარეობიდან დამეღწია თავი. ერთ წერტილზე გაყინული საჭმე როგორც იქნა ადგილიდან დავძარი. ვგრძნობდი, რაკი ერთი ნაბიჯი გადავდგი, ალბათ სულ მალე გაუგებრობათა ბურუსსაც გავფანტავდი და ერთხელ და სამუდამოდ დავაზუსტებდი, რატომ აღარ ვუყვარდი ემილიას, რაც ყველაზე მეტად მაწუხებდა. შემდეგ რა იქნებოდა, ამაზე ფიქრიც არ მინდოდა.

საერთოდ ასეა: ფიქრები ან წინ უსწრებს მოქმედებას, ან უკან მისდევს მას. როცა ვმოქმედებთ, უფრო წარსული, უკვე დავიწყებული ფიქრები გვიბიძგებს ასე მოვიქცეთ. მეც ასევე დამემართა. იმ წუთებში ვმოქმედებდი და ამიტომ არ ვფიქრობდი. ვიცოდი, დაფიქრებით მერე დავფიქრდებოდი. როცა უკვე რალაცას მოვიმოქმედებდი.

ამ ყოფაში მივალწიე ვილას. კიბეზე ავირბინე, ტერასაზე გავედი და სასტუმრო ოთახის კარი შევალე. ოთახი ცარიელი იყო. მაგრამ სავარძელზე გადაშლილი ჟურნალი, საფერფლეში პაპიროსის პომადიანი ნამწვავები და ჩართული რადიომიმღები, საიდანაც საცეკვაო მუსიკის ნელი ხმები მოსმოდა — ყველაფერი, იმაზე მეტყველებდა, რომ ემილია ოთახიდან აბლაბლას გასულიყო. შესაძლოა, ოთახში სასიამოვნოდ მიმოფანტულმა მზის სხივებმა თუ მუსიკის ჰანგებმა იმოქმედეს, რომ აღზნება მოულოდნელად მთლად დამიცნრა. თუმცა მიზეზი ჩემთვის წინანდებურად ნათქმის რაიმეს შესახებ მეტად გამაოცა სასტუმრო ოთახში გამეფებულმა სიცოცხლის ფეთქვამ, სიმშვიდემ და სიმყუდროვემ. კაცს ეგონებოდა, ამ სახლში დიდი ხანია ვცხოვრობდი, ემილია როგორც საკუთარ სახლს ისე შეჩვეოდა აქაურობას.

ჩართული რადიომიმღების, გადაშლილი ჟურნალისა და საფერფლეში პომადიანი პაპიროსის ნამწვავების დანახვაზე, არ ვიცი, რატომ, მაგრამ გამახსენდა, მთელი თავისი ქალური არსებით როგორ ისწრაფოდა ემილია ჰქონოდა საკუთარი ჭერი და ოჯახური სიმყუდროვე. და მე მივხვდი, მიუხედავად ჩემი გადადგმული ნაბიჯისა, ემილია დიდხანს აპირებდა აქ დარჩენას და მეტად კმაყოფილიც იყო კაბრზე ბატისტას სახლში სტუმრობით.

მე კი ახლა იმის სათქმელად გამოვიქეცი, აქედან უნდა წავიდეთ-მეთქი.

ამ ფიქრებში გართული ემილიას საწოლ ოთახისკენ გავეშურე და შევალე. იგი არც იქ აღმოჩნდა, აქაც ყველაფერი მისი უბადლო დიასახლისობის ნიჭზე მეტყველებდა. ლამაზად დაკეცილი ლამის პერანგი საწოლის ფეხთან მდგარ დაბალ სკამზე იდო, იქვე სავარძელთან ახლოს ფლოსტები ეწყო. სარკის წინ მაგიდაზე კრიალი გაჰქონდათ ნაირ-ნაირ შუშებს — სუნამოსი თუ ნელსაცხებლებისას. საწოლთან პატარა მაგიდაზე იდო ინგლისური ენის გრამატიკა, რომლის შესწავლა დიდი ხანი არ იყო რაც დაიწყო ემილიამ. იქვე — ფანქარი, რვეული და სამელნე. რომიდან ჩამოტანილი ჩემოდნების კვალიც არსად ჩანდა. თითქმის ანგარიშმიუცემლად გამოვალე ტანსაცმლის კარადა: კაბები საკიდრებზე ჩამოემწყრივებინა, თაროზე ელაგა ცხვირსახოცები, თავსაფრები, ბაფთები და ქამრები. იქვე ერთი წყვილი საგარეო ფეხსაცმელიც ეწყო. „რა თქმა უნდა, — გავიფიქრე, — ემილიასთვის სულ ერთია, ვინ ეყვარება. მე თუ ბატისტა. ემილიასთვის მთავარია ჰქონდეს თავისი სახლი, სადაც შეეძლება წყნარად და უზრუნველად იკხოვროს დიდხანს. ყოველგვარი საზრუნავის გარეშე“.

საწოლი ოთახიდან დერეფანში გავედი. იქიდან კი აღმოვჩნდი სამზარეულოში, რომელიც სახლის უკან მიეშენებინათ. სამზარეულოს ზღურბლზე შემომესმა ემილიას ხმა. იგი მზარეულ ქალს რაღაცას ეუბნებოდა, ჩემდა უნებურად შევჩერდი გამოღებულ კართან და ყური მივუგდე მათ საუბარს.

როგორც მალე გავარკვიე, ემილია მზარეულს ვაბშმის თადარიგს აძლევდა:

— ბატონ რიკარდოს უბრალო საჭმელები უყვარს. უწვენო და შეუზავებელი. ერთი სიტყვით, მოხარშული ან შემწვარი ხორცი, თევზი... თქვენთვისაც უკეთესია, ანეზინა, ნაკლებად იწვალეებთ...

— სინიორა, საწვალებელს რა გამოლევს, არც მასეთი კერძის მომზადება არ არის ადვილი. ერთი სიტყვით, რა გავაკეთო ამ საღამოსთვის?

წუთით დუმილი ჩამოვარდა. ეტყობა, ემილია ფიქრობდა. შემდეგ მზარეულს ჰკითხა:

— თევზს ვიშოვით ახლა?

— თუ იმ მეთევზესთან წავალ, ვინც სასტუმროებს ემსახურება, ვიშოვი.

— მაშინ, იყიდეთ ერთი დიდი თევზი... ასე, ერთ კილოგრამს, ან ცოტა მეტს რომ იწონიდეს... ანეზინა, უეჭველად კარგი თევზი უნდა იყოს... წავლენ ბად ფხიანი. კეფალი ან ის, ზღვის მგელს რომ ეძახიან... მოკლედ, რასაც იშოვით... კარგად შეწვით... ან არადა, უკეთესია მოხარშოთ...
 ნეზის გაკეთება შეგიძლიათ? ზიზ-ნიქოძე

— დიახ, მოვამზადებ.

— ძალიან კარგი.. თუ თევზს მოხარშავთ, მაიონეზი გაუკეთეთ... შემდეგ... ვახშამზე მოიტანეთ სალათა ან მოხარშული ბოსტნეული — სტაფილო, გოგ-რუჭა, მწვანე ლობიო, რაც კი სახლში მოგეპოვებათ... და ხილი... რაც შეიძ-ლება ბევრი ხილი... მეთევზიდან როგორც კი დაბრუნდებით, ხილი მაშინვე მაცივარში შედგით, მაგიდაზე ახალდაკრეფილივით რომ გამოიყურებოდეს.

— მშრალ საუზმედ რას მიირთმევთ?

— აპ. მართლა, კინალამ დამავიწყდა, ამ სალამოსთვის რაიმე უბრალო მოვიფიქროთ... იოლად გავიდეთ... იყიდეთ ცოტაოდენი ლორი, მხოლოდ ნაკ-ლებად მსუქანი... ჰო, თან ლელვიც მიაყოლეთ... ლელვი გაქვთ?

— დიახ, გვაქვს...

თვითონაც არ ვიცი, რატომ, ემილიასა და მზარეულის ასეთმა შინაურუ-ლმა და აუღელვებელმა საუბარმა ჩემდა უნებურად რეინგოლდის სიტყვებო გამახსენა: „ისეთ ცხოვრებაზე ოცნებობთ, როგორც „ოდისეაშია“ აღწერი-ლი“. მე დავეთანხმე, სწორედ ასეა-მეთქი, მან კი სარკასტულად მიპასუხა. ტყუილად ოცნებობთ, დღევანდელი ქვეყანა ისე არაა მოწყობილი, როგორც „ოდისეაშია“. ახლა კი გავიფიქრე: ზუსტად ასეთივე ამბავი შესაძლოა მომ-ხდარიყო რამდენიმე ასეული წლის წინათ, ჰომეროსის ეპოქაში: დედოფალი თავის მოახლეს ესაუბრება და ვახშმის თადარიგს აძლევს. წუთით ბატისტას სააგარაკო სახლი ოდისევსის სახლად წარმოვიდგინე კუნძულ ითაკაზე, ემი-ლია კი — დედოფალ პენელოპედ თავის მონა ქალთან საუბრის დროს. დიახ, შეიძლებოდა მართლაც ყველაფერი ისე ყოფილიყო, როგორც მაშინ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი მეტისმეტად მწარე იყო; თავს ძალა დავატანე, სამ-ზარეულოში შევიხედე და ემილიას დავუძახე. იგი ოდნავ შემოხრუნდა ჩემ-კენ.

— რა გინდა?

— თვითონაც კარგად იცი... ზომ შევთანხმდით, სალამოს მოვილაპარა-კოთო.

— სასტუმრო ოთახში წადი, დამელოდე, საქმე მაქვს ანეზინასთან, ახ-ლავე მოვალ.

სასტუმრო ოთახში დავბრუნდი, სავარძელში ჩავჯექი და ემილიას დავე-ლოდე. ახლა უკვე ვნანობდი, სალაპარაკოდ რომ დავუძახე. ემილიას ყველა-ფერზე ეტყობოდა, დიდხანს აპირებდა აქ დარჩენას. მე კი უნდა მეტქვა, კაპ-რიდან მივდივართ-მეთქი, უცებ გამახსენდა, ამ ერთი-ორი დღის წინ ემილიას თვითონ რომ უნდოდა ჩემი მიტოვება. უნებურად შევადარე ერთმანეთს მისი მაშინდელი სასოწარკვეთილება და ახლანდელი სიმშვიდე და გავიფიქრე, თუმცა ვეზიზღები, ეტყობა, მაინც გადაწყვიტა ჩემთან დარჩეს-მეთქი. ერთი სიტყვით, ემილია ახლა იმაზე თანხმდებოდა, რისი წინააღმდეგიც იყო მაშინ. ეს კი უფრო შეურაცხყოფელი იყო ჩემთვის, ე. ი. ემილია ბედს შეურიგდა,

მოტყდა და ახლა ამის გამო მართო მე კი არა, საკუთარი თავიც ეზიზღებოდა. ამის გაფიქრება საკმარისი აღმოჩნდა, რომ სინანული შურისძიების გრძნობას შეეცვალა. მტკიცედ გადაწყვიტე, ემილიასთვის დაუყოვნებლივ მეოქვა, რომში უნდა დავბრუნდეთ, რადგან ორივესთვის ასე სჯობს-მეთქი.

ცოტა ხანს კიდევ დამკვირდა ცდა, ვიდრე ემილია შემოვიდოდა. მან რადიომიმღები გამორთო და ჩემ პირდაპირ დაჯდა.

— შენ თქვი, სალაპარაკო მაქვსო...

კითხვით ვუპასუხე:

— ჩემოდნები უკვე ამოალაგე?

— პო, რატომ მეკითხები?

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ისევ ჩალაგება მოგიწევს... ხვალ დილით რომში უნდა დავბრუნდეთ...

ემილია წუთით გახედა, რაღაც ურწმუნოდ შემომხედა. თითქოს ნათქვამი ვერ გაიგო, შემდეგ კი მკვახედ მკითხა:

— კიდევ მოხდა რამე?

— პო. — სავარძლიდან წამოვდექი და დერეფანში გამავალი კარი მივხურე, — ის მოხდა, რომ სცენარზე უარი ვთქვი... ჯანდაბას იმის თავი! სასწრაფოდ რომში უნდა დავბრუნდეთ...

ეტყობა, მართლაც შეაშფოთა ამ ამბავმა. წარბი შეიკრა:

— მაინც რატომ თქვი ამ სამუშაოზე უარი?

მშრალად ვუპასუხე:

— პირდაპირ მოცუებს შენი კითხვა. იმის შემდეგ, რისი უნებური მოწმეც გუშინ სალამოს გავხდი, სხვა რაღა დამრჩენოდა აქედან წასვლის მეტი.

ემილია ცივად შემომეპასუხა:

— გუშინ სალამოს სულ სხვა აზრისა იყავი... თუმცა მაშინაც ყველაფერი იცოდი...

— გუშინ სალამოს მინდოდა რაღაც-რაღაცებში დაგერწმუნებინე, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტე, შენი სიტყვები ყურად არ მელო. არ ვიცი, რა მიზეზით მირჩევ ამ სცენარზე ვიმუშაო და არც მსურს ვიცოდე. მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩემთვისაც და შენთვისაც უმჯობესია უარი ვთქვა.

— ბატისტამ თუ იცის ეს ამბავი? — მოულოდნელად მკითხა ემილიამ.

— არა, ბატისტამ არ იცის, რეინგოლდს ვუთხარი. ახლა სწორედ იქიდან მოვდივარ. უკვე მოვახსენე ჩემი გადაწყვეტილება.

— ძალიან ცუდად მოქცეულხარ.

— რატომ?

— იმიტომ რომ... — წამოიწყო ემილიამ არცთუ ისე დამაჯერებლად. — ხომ იცი, ბინის ფული გადასახდელი გვაქვს და მაგ პონორარის იმედზე ვიყავით, თანაც... შენ თვითონ ამბობდი, თუ ამ სცენარზე დადებულ ხელშეკრულებას დავარღვევ, ეს იმას ნიშნავს, სხვა სამუშაოს აღარავინ მომცემსო. ნამდვილად ვერ მოქცეულხარ კარგად, ეგ არ უნდა გაგეკეთებინა...

გაცეცხლებულმა შევძახე:

— კი მაგრამ, ნუთუ არ გესმის, რა დღეშიც ახლა მე აღმოვჩნდი, რა აუტანელია! განა ამის მოთმენა შეიძლება?.. ნუთუ არ გესმის, რომ... არ შემიძლია ფული მივიღო იმ... იმ კაცისგან... ვინც... ჩემი ცოლის შეცდენას ლამობს?! — ემილიას არაფერი უოქვამს. მე კვლავ განვაგრძე: — სცენარზე უარს იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი პირობებით მუშაობა დიდ სირცხვილად,



ქართული
ენების ინსტიტუტი

უთავმოყვარეობად მიმაჩნია. გარდა ამისა შენი გულისთვისაც ვამბობ უარს ამ სცენარზე, მიხდა კვლავ გჯეროდეს, გწამდეს ჩემი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვგრძნობ, შენ ახლა ისეთი კაცი გგონივარ, რომელიც მზადაა ყოველგვარ სამუშაოზე დათანხმდეს, ასეთ პირობებზეც კი. მაგრამ, ემილია, ცდები. ახლა ვარ ასეთი კაცი.

დავინახე. მის თვალებში როგორ გაიელვა რისხვამ:

— თუ ამას შენთვის აკეთებ, მაშინ რა მეტქმის... მაგრამ, ~~ემილია, ვამბობ~~, შენი გულისთვის ვიქცევი ასეო, მაშინ ჯერ კიდევ დრო გექვს, გადაიფიქრო, შენი გადაწყვეტილება სულელურია, უაზროა. დამიჯერე, წააგებ...

— მაგით რა გინდა თქვა?

— ის, რაც უკვე გითხარი, არაფერი არ გამოვა.

ამის გაგონებაზე საფეთქლებში სისხლი გამეყინა და ვიგრძენი, გავფითრდი.

— მაინც რას გულისხმობ მაგ სიტყვებში?

— ჯერ ის მითხარი, მე რა დასკვნა შემიძლია გამოვიტანო იმ ამბიდან, შენ რომ სცენარზე უარი თქვი?

მივხვდი, დადგა დრო, ყველაფერი ითქვას, საბოლოოდ, თვითონ ემილიამ მოისურვა ეს.

წუთით შიშმა შემიპყრო, მაგრამ მაინც ვთქვი:

— ამ ცოტა ხნის წინათ შენ გამომიცხადე... მეზიზღებიო... ჰო, სწორედ ასე, თქვი... არ ვიცი, რატომ გეზიზღები, ვიცი მხოლოდ, რომ ეზიზღებათ ის ადამიანი, ვინც რაიმე სამარცხვინოს და უმსგავს საქციელს ჩაიდენს... მე რომ სცენარზე დავთანხმებულიყავი ამ პირობებში როგორშიც ახლა ვარ, ეს ნამდვილად სამარცხვინო იქნებოდა ჩემთვის. ახლა კი ჩემი გადადგმული ნაბიჯით მიხდა დაგიმტკიცო, რომ ის არა ვარ, ვინც გგონივარ...

ემილიამ თითქოს რაღაც სიტყვაზე დამიჭირაო, ამით ვახარებულმა და კმაყოფილმა მითხრა:

— შენი ნაბიჯი და გადაწყვეტილება არაფერსაც არ მიმტკიცებს... ამიტომ გირჩევ, გადაიფიქრო...

— როგორ თუ არაფერს არ გიმტკიცებს? — კვლავ სავარძელში ჩავჯექი და უნებურად, რითაც მთელი ჩემი შეშფოთება გამოვხატე, სავარძლის ზურგზე დადებულ მის ხელს წავწვდი: — ემილია, შენ მეუბნები ამას?

მან უხეშად გამომტაცა ხელი:

— ძალიან გთხოვ, მომეშვი... ნუ მეხები... ნუც ეცდები შემეხო... აღარ მიყვარხარ და ვერც ვერასოდეს შევძლებ შეგიყვარო...

ხელი მოვაშორე და ნაწყენი ხმით ვუთხარი:

— კარგი, სიყვარულზე აღარ ვილაპარაკოთ, ვილაპარაკოთ ჩემდამი შენს სიძულვილზე... თუ უარს ვიტყვი სცენარის დაწერაზე, მაინც გეძულები?

უსებ ის ფეხზე წამოხტა და წამოიძახა:

— ჰო, ისევ გეძულები და გთხოვ, თავი დამანებო!

— კი მაგრამ, რატომ გეზიზღები?

— იმიტომ, რომ — მოულოდნელად წამოიყვირა, — ასეთად ხარ დაბადებული და რამდენიც არ უნდა მოინდომო, სხვანაირი ვერ გახდები!...

— მაინც როგორი ვარ?

— ეგ შენ უკეთ უნდა იცოდე, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ კაცი არა ხარ და კაცურად არ იქცევი...

მე კვლავ გამოაცა მისმა გულწრფელმა კილომ და ასევე გამოაცა ამ კილოზე ნათქვამმა, სრულიად განსხვავებულმა, გაცვეთილმა სიტყვებმა.

— მაინც რას ნიშნავს ნამდვილი მამაკაცი? — ირონიულად შევეკითხე. — ვერა ხვდები, რომ უაზრობა თქვი?

— თავი დამანებე, თვითონაც მშვენივრად იცი ყველაფერი...
ემილია ფანჯარასთან მივიდა და ზურგშექცეულმა განაგრძო ჩემთან ლაპარაკი. სასოწარკვეთილმა თავი ხელებში ჩავრგე და წუთობს გარკვეული ვიყურებოდი წინ. ემილიამ არა მარტო ფიზიკურად შემაქცია ზურგი, არამედ, შეიძლება ითქვას, მთელი არსებით შეტრიალდა ჩემგან. გავიფიქრე: ან არ სურს მითხრას, რატომ ვეზიზღები, ან არ შეუძლია ამისხნას. რაღაც მიზეზი რომ აქვს ჩემდამი ზიზღისა, ეს აშკარაა, მაგრამ საფუძვლიანად თვითონაც არ არის გარკვეული ამ მიზეზის არსში და ამიტომაც ამჯობინებს ჩემდამი ზიზღი მიაწეროს ვითომდა ჩემს თანდაყოლილ არაკაცურ, გამოუსწორებელ ბუნებას. გამანსენდა რეინგოლდისეული ურთიერთობა ოდისევსსა და პენელოპეს შორის; ვინ იცის, იქნებ ემილიასაც ჰგონია, რომ მთელი ეს ბოლო თვეები ჩემთვის ცნობილი იყო ბატისტა რომ ეარშიყებოდა და მე განგებ ვდუმდი საკუთარი სარგებლიანობისთვის? იქნებ ჰგონია, იმის ნაცვლად, რომ აღვშფოთებულიყავი, პირიქით, ხელს ეუწყობდი ბატისტას ამ საქმეში?.

ამის გაფიქრებაზე სუნთქვა შემეკრა. უცებ ჩემს მეხსიერებაში გაივლია რამდენიმე შემთხვევამ, რასაც მართლაც შეეძლო ემილიას ასეთი ეჭვი გამოეწვია, თუნდაც ის შემთხვევა ავიღოთ, ბატისტასთან პირველი შეხვედრის საღამოს რომ დავაგვიანე ტაქსის გამო. ვინ იცის, იქნებ ემილიამ იფიქრა, განგებ დავაგვიანე, რათა პროდიუსერთან მარტო დამეტოვებინა. თითქოს ჩემს ფიქრებს ადასტურებსო, ემილიამ ჩემკენ მოუბრუნებლად წარმოსთქვა:

— ნამდვილი მამაკაცი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იმის შემდეგ, რაც გუშინ საღამოს დაიხანა, შენსავე არ მოიქცეოდა... სრულიად აუღელვებლად, ვითომც არაფერი მომნდარიყოს. მოხვედი ჩემთან და რჩევა მკითხე, სცენარი დაეწერო თუ არ დაეწერო. მკითხე იმ იმედით, იქნებ მირჩიოს, დაწერეო. ასეც მოხდა; მე გირჩიე ის, რაც შენ გინდოდა და შენც დათანხმდი... დღეს კი, არ ვიცი რა მოხდა იმ გერმანელთან, მოდიხარ და მეუბნები, შენა გულისთვის ვიღებ ხელს სამუშაოზე, რადგან გეზიზღებიო, შენ კი არ გინდა, მეზიზღებოდე. ახლა უკვე გავიგე, ვინც ბრძანდები... ახლა უკვე ეჭვი არ მეპარება, შენ კი არა თქვი უარი სამუშაოზე, რეჟისორმა გაიძულა უარი გეთქვა... ერთი სიტყვით, ყველაფერი გათაყდა. უკვე გვიანაა ჩემი სიყვარულის დაბრუნებაზე ფიქრი. მე მაინც ვეღარ შემაცვლევინებ აზრს და ძალიან გთხოვ, მოეშვა არტისტობას, ერთხელ და სამუდამოდ დამანებე თავი.

ამრიგად, კვლავ იმ საკითხს დავეუბრუნდით, რითაც დავიწყეთ. ემილიას ვეზიზღებოდი, მაგრამ რატომღაც, მიზეზის თქმა არ უნდოდა. მე კი ზიზღს მგვრიდა, თვითონ მეთქვა მისთვის მიზეზი არა იმიტომ, რომ თვითონ მიზეზი იყო გულისამრევი, არამედ იმიტომაც, რომ ასე მეგონა, თუ მას ხმამაღლა წარმოვთქვამდი, მაშასადამე, ამით ვამტკიცებდი, რომ ეს მიზეზი მართლაც, ასეა თუ ისე, არსებობდა. მსურდა ყველაფერი გამეგრევია ბოლომდე და რაც შეეძლო მშვიდად ვუთხარი ემილიას:

— შენ გეზიზღები, მაგრამ არ გინდა მითხრა, რატომ... შესაძლოა თვითონაც არ იცი... მაგრამ მე უნდა ვიცოდე, რათა ავიხსნა, დაგარწმუნო, რომ ცდები, არა ხარ მართალი. მე უნდა ვიმართლო თავი შენ წინაშე... ვთქვათ და,

მე თავად გიგანტი შენი ჩემდამი ზიზლის მიზეზი, დამიდასტურებ, არის თუ არ არის ეს მართალი, მპირდები. (რომ სიმართლეს მეტყვი?)

ემილია ისევ ფანჯარასთან იდგა ჩემკენ ზურგშექცეული. ამ სიტყვებზე ცოტა ხანს იყუჩა, შემდეგ კი მოქანცულმა და გაღიზიანებულმა თქვა:

— არაფერსაც არ გპირდები. ოპ, თავი დამანებე, ბოლოს და ბოლოს.

— მიზეზი აი რა არის, — დავიწყე აუჩქარებლად, თვითფეხვედრებით თითქმის დამარცვლით წარმოვთქვამდი. — შენ არასწორად გაჩვენებდი ჩემთვის შემთხვევა და წამოიდგინე, თითქოს მე... ვიცოდი ბატისტას შესახებ, მაგრამ საკუთარი ინტერესებისათვის ვცდილობდი ყველაფერზე თვალი დამეხუჭა, ის კი არადა, თითქოს გიბიძგებდი მის მკლავებში მოხვედრილიყავი... ასე არ არის?

პასუხის მოლოდინში ემილიასკენ გავიხედე. მას არაფერი უთქვამს. კვლავ ფანჯარაში იცქირებოდა და დუმდა. უცებ ვიგრძენი, ყურებზე ცეცხლი წამეკიდა. თვითონვე შემრცხვა საკუთარი სიტყვებისა, მაშინვე გავიფიქრე — ვაითუ ემილიამ ჩემი ნათქვამი მართლაც თავის ზიზლის მიზეზად გამოიყენოს-მეთქი, ამიტომ სასოწარკვეთილმა განვაგრძე:

— თუ ეს მართლა ასეა, გეფიცები, ცდები... გუშინ საღამომდე არაფერი ვიცოდი, ასეთი რამ აზრადაც არ მომივიდოდა... რა თქმა უნდა, შეგიძლია დამიჯერო ან არ დამიჯერო... მაგრამ თუ ახლა ჩემს სიტყვებს არ ირწმუნებ, მაშასადამე, გინდა მაინცდამაინც გეზიზლებოდე და თავიც არ მამართლებინო.

ემილიას არც ამჯერად ამოუღია ხმა. მაგრამ მივხვდი, მიზანში მოვარტყი. ემილიამ შესაძლოა, მართლაც არ იცოდა რისთვის ვეზიზლებოდი. არც უნდოდა სცოდნოდა, არამზადად მივაჩნდი. ისე უბრალოდ, უმიზეზოდ, მორჩა და გათავდა! ისე წარმეკვეთა სასო. ისე ვიყავი მთელი არსებით შეძრული, რომ აზრს აღარ ვატანდი ჩემს საქციელს: ვცადე სხვანაირად დამერწმუნებინა იგი. წამოვდექი, მივუახლოვდი, მკლავში ხელი მოვკიდე:

— ემილია, რატომ გეზიზლები ასე? ნუთუ არ შეგიძლია, ერთი წუთით მაინც რომ დაივიწყო ეს ზიზლი?

ემილია ისე შებრუნდა, თითქოს სახის დამალვას ცდილობსო. მკლავის განთავისუფლება არ უცდია, ხოლო როცა ჩემი გვერდი მის გვერდს შეეხო და არ შერხეულა, ამან გამბედაობა შემმატა და წელზე ხელი შემოვხვიე. ბოლოს შემობრუნდა. იგი ტიროდა.

— ვერასოდეს ვერ გაპატიებ, რიკარდო, ვერასოდეს ვერ გაპატიებ, ჩვენი სიყვარულის, ბედნიერების დამსხვრევას, როგორ მიყვარდი... შენ გარდა არავინ მყვარებია და არც შემიყვარდება... შენ კი, შენი ხასიათით ყველაფერი დაღუბე. ჩვენ შეგვეძლო ბედნიერები ვყოფილიყავით ერთად, ახლა კი... ამაზე ფიქრიც შეუძლებელია, როგორ უნდა დავივიწყო ეს ყველაფერი? როგორ არ უნდა გავბრაზდე შენზე?

იმედი მომეცა. რაც არ უნდა იყოს, ემილიასგან ის მაინც გავიგე, რომ ადრე ვუყვარდი და ჩემ გარდა არც არავინ ჰყვარებია.

— მომისმინე, ემილია, — ვცდილობდი მომეზიდა და მკერდზე მიმეკრა. — ახლავე ჩაალაგებ ჩემოდნებს, ხვალ დილით კი გავემგზავრებით რომში. ყველაფერს აგიხსნი... მჯერა, დაგარწმუნებ ჩემს სიმართლეს...
ამჯერად ემილიამ რალაცნაირი გახელებით გაინთავისუფლა თავი ჩემი მკლავებიდან და აყვირდა:

— არსადაც არ წამოვალ! რომში წამოვიდე, ხომ? რომში რომ წამოვიდე.

სახლი უნდა მივატოვო, დედაჩემს არ უნდა მასთან დავბრუნდე... იძულებული გავხდები ავეჯიანი ბინა ვიქირავო, ამისათვის კი ისევ მემანქანედ უნდა ვიმუშაო და ასე ვირჩინო თავი... არსადაც არ წამოვალ... არ მოვდივარ, აქ ვრჩები. მე სიმშვიდე და დასვენება მინდა... თუ ასე გულით ვწადი, შენ წადი... ბატისტამ მითხრა, რამდენ ხანსაც გინდა, იმდენ ხანს იცხოვრო/აქ, პოდა, მეც აქ ვრჩები!..

ახლა კი მე ავფეთქდი.

— ჩემთან ერთად წამოხვალ... ხვალ დილით!

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ გეშლება რაღაც, მე აქ ვრჩები!

— მაშინ მეც დავრჩები და ისეთ რამეს მოვიმოქმედებ, ბატისტამ თვითონ გაგვყაროს აქედან ორივე...

— არა, შენ მაგას არ იზამ.

— ძალიან კარგადაც ვიზამ.

წუთით მიყურა, შემდეგ უსიტყვოდ გატრიალდა და სასტუმრო ოთახიდან გავიდა, გავიგონე, როგორ ჩაკეტა თავისი ოთახის კარი.

თავი ოცდამეერთე

ამგვარად, შებორკილი აღმოვჩნდი ცხელ გულზე ჩემივე წამოსროლილი სიტყვებით — „მე ვრჩები“.

სინამდვილეში, ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა და ეს ჩემთვის ნათელი გახდა ემილიას გასვლისთანავე. ერთადერთი კაცი, ვისაც აქაურობა უნდა დაეტოვებინა, მე ვიყავი, ბატისტას გავემიჯნე, რეინგოლდს წავეჩინებე, ახლა კი, როგორც ჩანს, ემილიასთანაც აღარაფერი მაკავშირებს. ერთი სიტყვით, აქ უკვე ზედმეტი ვიყავი და დაუჭოვნიებლივ უნდა მიმეტოვებინა აქაურობა. მაგრამ ემილიას მივაძახე „ვრჩები-მეთქი“ და არ ვიცი კიდევ მქონდა რაღაცის იმედი, თუ უბრალოდ, ჩემი სიყიუტის გამო იყო, აქედან წასვლა მართლაც არ მინდოდა. სხვა ვითარებაში ჩემი ასეთი ყოფა ალბათ სასაცილო იქნებოდა, მაგრამ ახლა ისე წარმეკეთოდა სასო, ისე დამძიმებული მქონდა სული, რომ ნამდვილად შესაბრალისი ვიყავი, მე ახლა იმ მთავლელს ვგავდი, ძლივძლივობით რომ მიაღწია სახიფათო მწვერვალს, მაგრამ ვერც ფეხის მოკლება, ვერც გზის ვაგრძელება და ვერც უკან დაბრუნება რომ ვერ მოუხერხებია.

აღელვებული ბოლთას ვცემდი ოთახში და ვინ იცის თავს მერამდენედ ვეკითხებოდი — რა ვქნა, როგორ მოვიქცე-მეთქი, ვახშობის დრო ახლოვდებოდა. განა შემეძლო ყოველივე ამის შემდეგ ბატისტასა და ემილიასთან ერთად მაგიდას მიეჯდომოდი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს? ერთი წუთით ისიც გავიფიქრე, ვახშმად კაბრზე წავსულიყავი და შინ გვიან ღამით დავბრუნებულიყავი. მაგრამ იმ დღეს ბარემ ოთხჯერ ოთხი გზობა გავაკეთე სახლსა და ქალაქს შუა, თანაც სულ სირბილით და თანაც სიცხეში, გადაქანცული ვიყავი და სახლიდან გასვლა არაფრით არ შემეძლო. საათს დავხედე, ექვსს უჩვენებდა, ვახშობამდე სულ ცოტა ორი საათი მაინც იყო დარჩენილი. რა მექნა? ბოლოს მოვიფიქრე: ჩემს ოთახში შევედი, კარი შიგნიდან ჩაკეტე, დარაბები მჭიდროდ მივხურე და საწოლზე გავიშხლართე. მართლაც ძალიან დაღლილი ვიყავი, როგორც კი დავწექი, ვიგრძენი, ჩემმა სხეულმა, რომელიც ჩემს თავზე უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, ძალდაუტანებლად იპოვა ძილისთვის

მოხერხებული მდგომარეობა, რაზედაც დიდ მადლობას ვუხდით და ჩემს დამტანჯველ კითხვასაც — „როგორ მოვიქცე?“ — უსიტყვოდ უპასუხა იმით, რომ სულ მალე ღრმად ჩამეძინა.

კარგა ხანს მეძინა, თანაც მეძინა უსიზმროდ. გაღვიძებულს თვალში მეცა ოთახში ჩამოწოლილი სიბნელე, საწოლიდან წამოვდექი, ფანჯარასთან მივედი და გამოვალე: კარგად დაღამებულიყო. სინათლე ავანთე და საათს დავხედე. ცხრა საათი გამზდარიყო. მთელი სამი საათი მიძინია. ვაჩვენებ „როგორც ვიცოდით, რვა საათზე უნდა გაეწყოთ, უკიდურეს შემთხვევაში — ცხრის ნახევარზე. ჩემ წინ კვლავ იგივე კითხვა წამოიმართა: „როგორ მოვიქცე?“ მაგრამ ახლა დასვენებულსა და კარგად გამოძინებულს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ გამჭირვებია. მაშინვე მოვნახე საკმაოდ უბრალო და გაბედული პასუხი: „რატომ უნდა დავიმალო? მივალ ვახშამზე, მოხდეს, რაც მოსახდენია“.

ბრძოლის ყინით ვიყავი ანთებული და ვგრძნობდი, ბატისტას შემოტევა-საც გავუძლებდი და ვაიძულებდი კიდევ, მეც და ემილიაც კინწისკვრით გავეყარეთ სახლიდან, სწრაფად ჩავიცვი და ოთახიდან გავვდი.

სასტუმრო ოთახში არავინ დამხვდა. მაგიდა მხოლოდ ერთი კაცისთვის გაეწყოთ. ექვმა გამკრა გულში და თითქოს ჩემი ექვის დადასტურება სურსო, მოსამსახურე ქალიც შემოვიდა: ბატისტა და ემილია კაბრზე წავიდნენ სავახშმოდო. თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ წაბრძანდეთ მათთან. რესტორან „ბელავისტა-ში“ არიან, თუ გნებავთ, აქ ივახშმეთ. უკვე ნახევარი საათია, სუფრა გაშლილი მაქვსო, — მითხრა მან.

მივხვდი, ემილია და ბატისტაც იმ კითხვამ შეაწუხა: „როგორ მოვიქცეთ?“ ჩემგან განსხვავებით ამ კითხვას მათ ძალზე იოლად უპასუხეს, ადგნენ და სახლიდან წავიდნენ, მე კი საკუთარ თავთან დამტოვეს მარტო.

ამჯერად არც ექვიანობას შევუბყრივარ, არც გავბრაზებულვარ და არც დიდადაც მწყენია. ორივენი მოიქცნენ ისე, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ-მეთქი. მადლობის მეტი არაფერი მეთქმოდა, უსიამო შეხვედრას რომ გაერიდნენ. ერთ რამესაც მივხვდი: ამ თავისებური, ტაქტიკური ხერხით მიბიძგებდნენ, იქაურობა დამეტოვებინა, და თუ ასე გააგრძელებდნენ მომდევნო დღეებშიც, ალბათ მიზანსაც მიაღწევდნენ. მაგრამ მომავალი გვიჩვენებს ყველაფერს, მანამდე კი არავინ არაფერი იცის. მოახლე ქალს ვთხოვე, ვახშამი შემომიტანე-მეთქი, და მაგიდას მივუჯექი.

ძალიან ცოტა და უგემურად ვივახშმე. მხოლოდ გემო გავუსინჯე შაშხს, გადავიღე პატარა ნაჭერი თევზი, ასე საგულდაგულოდ რომ დაუკვეთა ემილიამ მზარეულს. ვახშამს რამდენიმე წუთში მოვრჩი. მოსამსახურე ქალს ვუთხარი, აღარ დამჭირდები-მეთქი, დასაძინებლად გავუშვი და ტერასაზე გავვდი. ტერასის კუთხეში რამდენიმე შეზლოგინი იდგა. ერთი მათგანი პირისპირ ბალუსტრადისკენ მოვაბრუნე, ზღვა ახლა სიბნელეში არ ჩანდა.

რეინგოლდთან ლაპარაკის მერე აგარაკზე რომ ვბრუნდებოდი, საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, ჯერ ემილიას მოველაპარაკებო და მერე ყველაფერს მშვიდად ავწონ-დავწონი-მეთქი. იმ წუთებში არ ვიცოდით, რატომ აღარ ვუყვარდი ემილიას, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ემილიასთან მოლაპარაკების შემდეგაც ვერ გავიგებდი ამას. მეგონა, ჩვენი ლაპარაკი ნათელს მოჰფენდა ყოველივეს, რაც აქამდე გაუგებრობის ბურუსში იყო გახვეული, მეგონა, ეს ბურუსი გაიფანტებოდა და მეც გაოცებული შევძახებდი: „სულ ეს არის?“

ამისათვის მტანჯავდი ამდენ ხანს? ასეთი უბრალო რამისათვის გადამოყვარე? — მოხდა, კი ის, რასაც სრულიად არ მოველოდი. ემილიასთან საუბარს შემდეგ და სწორედ ისეთი საუბარი, როგორც შესაძლებელი იყო ჩვენ შორის ასეთ ვითარებაში და მაინც იმაზე მეტი ვერაფერი გავიგე, რაც ადრე ვიცოდი. უფრო უარესიც: დავადგინე, რომ ემილიას ჩემდამი ზიზღის მიზეზი ჩვენს წარსულ ურთიერთობაში უნდა მეძებნა. მაგრამ ემილიას ამის გაგონებაც კი არ უნდოდა და სურდა წინანდებურად უმიზეზოდ ვძულეობოდი და ამით ჩემთვის მოესპო თავის მართლებების ყოველგვარი გზაც და მისი სიყვარულის დაბრუნების იმედიც.

ერთი სიტყვით, მივხვდი, ემილიას ჩემდამი ზიზღის გრძნობა უფრო ადრე, ბევრად უფრო ადრე გაუჩნდა. ვიდრე ჩემი საქციელით ამის რაიმე საბაბს მივცემდი, საფუძვლიანს თუ უსაფუძვლოს. ეს გრძნობა მას ყოველად უმიზეზოდ გაუჩნდა ჩვენი ხასიათების ხანგრძლივი თანაარსებობის შედეგად. და მართლაც, როცა გავბედე და ჩემი ვარაუდი გავაცანი, იმიტომ გეზიზღები, რომ ბატისტას საქციელის მიმართ უმოქმედობა გამოვიჩინე-მეთქი, ემილიას არც პო უთქვამს და არც არა, საერთოდ, არ ამოუღია ხმა. ალბათ მართლა ისეთ ადამიანად მივაჩნივარ, ყველაფერს რომ იკადრებს-მეთქი, გავიფიქრე გულისტკივილით. იგი არაფერს მეკითხებოდა, ალბათ ეშინოდა, ჩემი პასუხით უფრო არ გამეღრმავებინა მისი ჩემდამი ზიზღის გრძნობა. ჩემი დახასიათებისას ჩემი ბუნებიდან გამომდინარე აკეთებდა დასკვნებს და არა საქციელიდან გამომდინარე. ეს უკანასკნელი, სამწუხაროდ, ადასტურებდა მისეულ დასკვნებს. თუმცა უამისოდაც ალბათ ასევე მომეჭკეოდა ემილია. ამის დასამტკიცებლად მისი უცნაური ქცევაც კმაროდა. ემილიას, რა თქმა უნდა, შეეძლო ჩემთვის გულახდილად, გულწრფელად ეთქვა რაც აწუხებდა და ამით გაეფანტა ის გაუგებრობა, რამაც ასე უწყალოდ ჩაკლა ჩვენი სიყვარული. მაგრამ ასე როდი მოიქცა და არ მოიქცა სწორედ იმიტომ, რომ მართლაც არ უნდოდა რაიმეს გაგება, უნდოდა ძველებურად ვძულეობოდი.

ამ ფიქრებმა ისე ამაღელვეს, რომ შეზლონგიდან ანგარიშმიუცემლად წამოვდექი და ბალუსტრადის მოაჯირს გადავეყუდე. ჩემი აფორიაქებული სული ამ წყნარ ლამეში სიმშვიდეს ეძიებდა, მაგრამ როგორც კი გახურებულ სახეზე ზღვის ნელი სუნთქვა ვიგრძენი, მაშინვე გავიფიქრე, ასეთი შვების ღირსი არა ვარ-მეთქი, მივხვდი, კაცი, ვინც ეზიზღებოდათ, ვერსად და ვერასოდეს იპოვიდა სულის სიმშვიდეს, რა თქმა უნდა, ცოდვილივით მასაც შეეძლო განკითხვის ეამს სასამართლოზე წარმოეთქვა: „პო, მთებო, დამიფარეთ, ან ზღვებო, მშთანთქმეთ!“ — მაგრამ ამით თავს ვერ უშველიდა, რამეთუ ზიზღი ღრმად იყო ჩაბუდებული მის სულში. და არასოდეს დაეხსნებოდა.

კვლავ შეზლონგში ჩავჯექი და აკანკალებული ხელებით სიგარეტს მოვუკიდე. „ვარ თუ არა ზიზღის ღირსი?“ — გავიფიქრე მე. ღრმად მწამდა, არაფრით არ დამიმსახურებია იგი. სხვა რომ არაფერი, ჭკვიანი ვარ, გონება მიჭრის და ამას არც ემილია უარყოფს. „ჩემი ჭკუა-გონებით შემძლია ვიამაყო, ის არის ჩემი არსებობის გამართლება. იმიტომ მე უნდა ვიფიქრო, სულერთია ოღონდ უნდა ვიფიქრო, საკუთარი ინტელექტით უშიშრად უნდა წარვდგე ყოველგვარი საიდუმლოს ამოხსნის წინაშე. თუკი აღარ შემეძლება ფიქრი, ვანსჯის უნარი, მე მართლაც აღარაფერი შემრჩება ხელში გარდა საშინელი შეგრძნებისა, რომ მართლაც ღირსი ვყოფილვარ შეზიზღებისა, თუნდაც უმიზეზო შეზიზღებისა“.

ამგვარად, ჩემი გონება ჯიუტად და საღად ამუშავდა. ნეტავ რის გამო დავიმსახურე, ზიზლი? უცებ რეინგოლდის სიტყვები გამახსენდა. მან ალბათ თვითონაც არ იცოდა, პენელოპესა და ოდისევსზე მსჯელობისას რა ზუსტად განსაზღვრა ჩემი და ემილიას ურთიერთობა: „ოდისევსი ცივილიზებული, კულტურული კაცი, პენელოპე კი — პრიმიტიული, ბარბაროსული ბუნების ქალი“. ერთი სიტყვით, რეინგოლდმა — თავისდა უნებურად — პომპროსის ბოემის თავისუფალი ფანტასტიკური ინტერპრეტაციით ჯერ ურთიერთობის უცვლელ ფაქტებს წვავებინა ემილიასთან, მაგრამ ახლა ამავდენ ინტერპრეტაციის სხვადასხვა ვარიანტს შეიღებინე, ოდისევსი კულტურული კაცი იყო და არა ბარბაროსი (აქილევსის შუბისა არ იყოს, ჯერ რომ ჭრილობას მოგაყენებდა და მერე მოგაჩენდა). ვგრძნობდი, შემეძლო ამ მოსაზრებას ორივე ზელით ჩავქიდებოდი, თუკი მოვისურვებდი, მე მართლაც ის ცივილიზებული კაცი ვიყავი, ბანალური ამბავი რომ შეემთხვა, ვინც საკუთარი ღირსებისა და პატიოსნების დასაცავად დანა არ დაატრიალა. ცივილიზებული ადამიანი ყოველთვის ფიქრობს, მაშინაც კი, როცა საქმე რაიმე მისთვის წმინდასა და სათაყვანებელს ეხება. გავიფიქრე თუ არა ეს, მაშინვე დავადგინე, ასეთი, ასე ვთქვათ, ისტორიული ახსნა არ მაკმაყოფილებს-მეთქი. მართალი რომ ვთქვა, მთლად დაწმუნებული არც ვიყავი, ჰგავდა თუ არა ჩემი და ემილიას ურთიერთობა რეინგოლდის მიერ გამოგონილ ურთიერთობას ოდისევსსა და პენელოპეს შორის. ასეთ დასკვნებს შესაძლოა მართლაც ძალუძთ რალაციის ახსნა ისტორიულ ამბავში, მაგრამ აქ უძლური აღმოჩნდებოდა, რამეთუ ახლა, სრულიად სხვა დროსა და ადგილას მყოფ ადამიანთა ცნობიერებას, მათ ღრმა ინტიმურობასა და ინდივიდუალობას ცხოვრებაში შინაგანი დემონები განაგებენ. ისტორიას შეუძლია გამამართლოს და ამით დამენმაროს მხოლოდ საკუთრივ ისტორიულ წილში, მაგრამ ამდაგვარი ვითარება — მიუხედავად მისი ისტორიულად ცნობილი პირველმიზეზებისა — რაშიც მე აღმოვჩნდი, სრულიადაც არ წარმოდგენდა იმ სინამდვილეს, რომელშიც მე შევძლებდი ცხოვრებასა და მუშაობას.

მაინც რა მიზეზით შემიძულა, რატომ აღარ ვუყვარვარ? და რაც მთავარია, საიდან ჰქონდა მას ეს მოთხოვნილება — მაინცდამაინც ვძულებოდი? მოულოდნელად მისი სიტყვები გამახსენდა: „იმიტომ, რომ შენ კაცი არა ხარ“. გამახსენდა აგრეთვე მაშინდელი ჩემი გაოცება. რაც ამ გაცვეთილ სიტყვებსა და ემილიას გულწრფელ კილოს შორის განსხვავებამ გამოიწვია. იქნებ ამ სიტყვებში უნდა მეძებნა ემილიას საქციელის გასაღები? მის ამ სიტყვებში ნეგატიურად ისახებოდა იმ მამაკაცის იდეალური სახე, რომელიც ემილიასათვის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ნამდვილი მამაკაცი იყო, ბოლო ეს ნამდვილი მამაკაცი, მისივე აზრით, მე არ ვიყავი და არც შეიძლება ვყოფილიყავი. მეორეს მხრივ, თვითონ სიტყვების ბანალობა გაფიქრებინებდათ, რომ იდეალური მამაკაცი ემილიას წარმოდგენაში წარმოიშვა არა ადამიანის ღირსებების შეგნებული შეფასებით, არამედ იმ წრის ადამიანთა დამახასიათებელი პირობითობის გავლენით, რომელშიც ის აღიზარდა. მისი წრის ხალხისათვის ნამდვილ მამაკაცს წარმოდგენდა მაგალითად, ბატისტა, თავისი პირუტყველი ძალითა და წარმატებული ცხოვრებით.

ეს რომ ასე იყო, ამაზე ნათლად მეტყველებდა გუშინდელი სადილი, როცა ემილია ალტაცებული შესცქეროდა ბატისტას. და ისიც, რომ ბოლოს და ბოლოს, მართალია სასოწარკვეთილების წუთებში, მაგრამ მაინც მოექცა ბატისტას მკლავებში. ერთი სიტყვით, ემილიას იმიტომ ვძულდი, ან უფრო სწო-

რად, სურდა ვძულეობდი, რომ მიუხედავად თავისი უშუალოებისა და უბრალოებისა ან, უფრო სწორად, იქნებ სულაც ამის გამო, მთლიანად მოექცა იმ ტრადიციული წარმოდგენების გავლენის ქვეშ, რაც ბატისტას წრისათვის იყო დამახასიათებელი. ერთ-ერთი ასეთი წარმოდგენა იყო ის, რომ ~~ბატისტა~~ ადამიანს არ შეუძლია მდიდრისგან დამოუკიდებლად იაროს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ შეუძლია იყოს ადამიანი, მამაკაცი. რა თქმა უნდა, დარწმუნებული არა ვარ, ემილიას მართლა ეპარებოდა ეჭვი, რომ თითქოს ~~ბატისტა~~ თავისებურად ვებმარებოდი მზაკვრული განზრახვის აღსრულებაში, მაგრამ თუ ეს ასე იყო, მაშინ ემილიამ ალბათ დაასკვნა: „რიკარდო ბატისტაზეა დამოკიდებული, ბატისტა მას ფულს უხდის, სხვა სამუშაოებსაც ბატისტასაგან მოელის. ბატისტას მე მოვწონვარ, მაშასადამე, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, რიკარდო ამაზე თვალს ხუჭავს და ყოველნაირად მიბიძგებს, რომ ბატისტას საყვარელი გავხდე“. ეს მსჯელობა ძალზე ლოგიკური მეჩვენა. გაცემული ვიყავი, აქამედ ეს როგორ არ მომადიქრდა-მეთქი, საოცარი ისიც იყო, რომ მე, ვინც შევძელი „ოდისეას“ რეინგოლდისეულსა და ბატისტასეულ ინტერპრეტაციებში ნათლად დამენახა ორი, სრულიად საწინააღმდეგო მსოფლმხედველობა, — ვერ მივხვდი, ჩემ შესახებ ასეთი სინამდვილისგან დაშორებული, უსამართლო წარმოდგენა რომ ჩამოეყალიბებინა; ემილიამ თითქმის იგივე გზა განვლო, რაც რეჟისორმა და პროდიუსერმა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ბატისტამ და რეინგოლდმა გამოგონილ გმირთა — ოდისეისა და პენელოპეს სახეები გადაამუშავეს, ემილიამ კი აიღო და თავის უბადრუკი პირობითობით შეპყრობილმა დაუწყო ჭიჯგნა ორ ცოცხალ ადამიანს — მე და საკუთარ თავს.

მისმა ზნეობრივმა სიწმინდემ და თანდაყოლილმა სიუხეშემ ერთობლივად შექმნეს ის მოსაზრება, რომელსაც ემილია მართალია არ იზიარებდა, მაგრამ არც უარყოფდა. ეს მოსაზრება იყო ის, რომ ვითომ მე ვუბიძგებდი ემილიას ბატისტასაკენ.

„ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ... — ვთქვი ჩემთვის. — ემილიას მივანდე არჩევანი ჩვენ სამის — ჩემი, ბატისტასი და რეინგოლდის „ოდისეას“ ინტერპრეტაციისა. ეჭვი არ მეპარებოდა, ის ბატისტას ვარიანტს აირჩევდა. მისთვის გასაგები იქნებოდა ის კომერციული მოსაზრებანი, რის გამოც ბატისტა მოითხოვდა სანახაობითი ფილმი გაეკეთებინათ. შესაძლოა, რეინგოლდის კონცეფციისთვისაც, ფსიქოლოგიური ფილმისთვისაც დაეჭირა მხარი. მაგრამ მიუხედავად მისი ბუნებრიობისა და უშუალობისა, ძალზე მეექვეება გაეგო, ჩასწვდენოდა ჩემს თვალსაზრისს, უფრო სწორად, პომეროსისა და დანტეს თვალსაზრისს მისწვდენოდა. მაგრამ ვერ მისწვდებოდა არა იმიტომ, რომ გაუნათლებელი იყო, არამედ იმიტომაც, რომ იგი იდეალების სამყაროში კი არ ცხოვრობდა, არამედ ბატისტებითა და რეინგოლდებით საესე რეალურ სამყაროში“.

ამგვარად, წრე შეიკრა. ემილია ჩემთვის ერთდროულად იყო საოცნებო ქალიც და ის ქალიც, ვინც მე მასამართლებდა გაცვეთილი, უბადრუკი წარმოდგენების საფუძველზე და ამიტომაც ვძულდი, ამიტომ ვეზიზღებოდი. ემილია იყო პენელოპეც, ვინც ათი წელიწადი ელოდა ქმარს და ოჯახის ერთგული დარჩა. ის იყო მემანქანე ქალიც, ვინც საექვო ანგარებას ხედავდა იქ, სადაც მსგავსიც კი არაფერი იყო. იმ ემილიას რომ დავუფლებოდი, როგორც მიყვარდა და მასაც ისეთად მივეჩნიე, როგორც სინამდვილეში ვიყავი, ამისათვის მე უნდა ვცდილიყავი. ემილია თავისა რეალური სამყაროდან გამომე-

ტაცა და დამესახლებინა ისეთივე უბრალო და ბუნებრივ სამყაროში? როგორ
რიც თვითონ იყო. უნდა დამესახლებინა იმ სამყაროში, რომლისკენაც, რეინ-
გოლდის სიტყვით რომ ვთქვათ, ასე მგზნებაჩვენ მივისწრაფოდი, მაგრამ რომ-
მელიც სინამდვილეში არც არსებობდა.

მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვდა. მე უნდა მეარსება და მეძრება
ბატისტებსა და რეინგოლდების სამყაროში. ჰოდა, როგორ მოვიქცეოდი? გა-
დავწყვიტე უპირველესად თავიდან ამომეგდო მტანჯველი ფიქრი და მტანჯველი
თომდა არასრულფასოვნებაზე, უნდა ამოვიგდო თავიდან ფიქრი მტანჯველი
ქოს დედის საშოდანვე საძულველი ადამიანი ვიყავი. რამეთუ სწორედ ეს აზ-
რი გამოსკვირდა ემილიას ჩემდამი დამოკიდებულებაში: ჩემს საქციელზე მე-
ტად ვითომ ჩემს ბუნებაში უფრო ჩანდა თანდაყოლილი არამზადობა. მტკი-
ცვდ მჭეროდა, ვერავინ ვერ მიიჩნევს თავს საძულველ ადამიანად ისე, თავის-
თავად, უნდა ყურად იღო მისი ქცევებიც და ადამიანებთან დამოკიდებულე-
ბაც. მაგრამ საკუთარ საძულველობაზე ფიქრი რომ ამომეგდო თავიდან, სა-
ჭირო იყო ჯერ ემილია დამერწმუნებინა, რომ მე მართალი ვიყავი.

კვლავ გავიხსენე ოდისევსის პიროვნების სამნაირი დახასიათება, ჩემი გა-
გებით. არსებობის სამი შესაძლებელი ფორმა: ბატისტას მიერ დახატული
ოდისევსი, რეინგოლდის მიერ შექმნილი ოდისევსი და ბოლოს ჩემი ოდისევ-
სი, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე ნამდვილი და ყველაზე ჰომეროსისეული
იყო. რატომ ვხედავდი ოდისევსს ასე სხვადასხვანაირად მე, ბატისტა და რე-
ინგოლდი? ალბათ იმიტომ, რომ სხვადასხვანაირი ცხოვრება და ადამიანური
იდეალები გვქონდა; ბატისტასეული ოდისევსი ზერელე, უხეში, რიტორული,
უშინაარსო, გამოფიტული კაცი იყო... იგი პროდიუსერის იდეალებს, ან უფ-
რო სწორად, მის ინტერესებს უფრო გამოხატავდა. უფრო რეალური, მაგრამ
მდაბალი და გულნამცეცა რეინგოლდისეული ოდისევსი კარგად ესადაგებო-
და ამ რეჟისორის ზნეობრივ და შემოქმედებით კრიტერიუმს, დაბოლოს, ოდი-
სევსის ჩემეული სახე... ჩემი ოდისევსი იყო უფრო ამაღლებული და ამავე
დროს ბუნებრივიც, უფრო პოეტური და ამავე დროს რეალურიც. იგი იყო ნა-
ყოფი ჩემი დიდი, გულწრფელი და აუხდენელი სურვილისა, სიცოცხლე შთა-
შებერა მისთვის, ისეთი სიცოცხლე, ჯერ რომ არ წაებოდა და სულითგან არ
დაეცალა ფულს, ჯერ რომ არაფერი ჰქონდა ცხოველური და მხოლოდ ფიზი-
ოლოგიური მოთხოვნალებამდე დასული, რამდენადმე მამშვიდებდა ის ამბავი.
რომ ჩემ მიერ შექმნილი ოდისევსის სახე ყველაზე უკეთესი იყო. მეც უნდა
ავმადლდე მასავით — მერე რა, რომ სცენარში მას სიცოცხლე ვერ მივანიჭე,
მერე რა, რომ ვერც რეალურ ცხოვრებაში შევასხამ მას ხორცს. მხოლოდ ასე
ვაძულე ემილიას ირწმუნოს ჩემი, მხოლოდ ასე დავიბრუნებ მის სიყვარუ-
ლსა და პატივისცემას. მაგრამ როგორ გავაკეთო ეს? მხოლოდ ერთ გზას ვხე-
დავდი — უნდა მყვარებოდა ემილია უფრო მეტად, უნდა დამერწმუნებინა იგი
თითქმის ყოველდღე, რაოდენ სუფთა და უმწიკვლო იყო ჩემი მისადმი სიყვა-
რული.

მაგრამ თან გავიფიქრე, სჯობს ცოტა ხანს მოვიცადო, ძალა არ დავატანო,
ხვალამდე დავრჩები, ხვალ კი გემით ისე გავემგზავრები, არც დაველაპარა-
კები ემილიას. რომიდან მოვწერ ვრცელ წერილს, სადაც დაწვრილებით ავუ-
ხსნი ყველაფერს, რისი თქმაც ვერ მოვახერხე დღეს. იმ წუთში ტერასისკენ
მომავალი ბილიკის მხრიდან ხმადაბალი ლაპარაკი შემომესმა. მაშინვე ვიცანი
— ემილია და ბატისტა იყვნენ. სასწრაფოდ გავეშურე ჩემი ოთახისკენ და

კვლავ ჩავაკეტე. ძილით არ მეძინებოდა, არადა, სუნთქვა მიჭირდა ჩაკეტილ ოთახში, თანაც იმის გაფიქრებაც მტანჯავდა, რომ მე აქ გამოკეტილი ვიყავი ოთახში, ისინი კი სუფთა ჰაერზე არხეინად მიდი-მოდიოდნენ და საუბრობდნენ. საერთოდ, უძილობას ვუჩიოდი. განსაკუთრებით — ბოლო ხანებში. ამიტომ რომიდან ბლომად ჩამოვიტანე სწრაფად მოქმედი დასაძინებელი წამალი. ამჯერად ორმაგი დოზა გადავყლაპე და გაუხდელად მივეგდე საწოლზე. თითქმის მაშინვე ჩამეძინა მკვდარივით. ემილიასა და მარტისტას ხმა მხოლოდ რამდენიმე წუთი მესმოდა.

თავი ოცდამეორე

უკვე საკმაოდ გვიან იყო, რომ გავიღვიძე. მიხურულ დარაბის კუჭრუტანებიდან მზის სხივები აღწევდა ოთახში. წუთით ყური მივუგდე ირგვლივ გაშვებულ სიწყნარეს, რაც ასე განსხვავდებოდა ქალაქის ყოველდღიური ხმაურისაგან. ქალაქში, მაშინაც კი, როცა სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე, ჰაერში თითქოს მაინც იგრძნობა ჩავლილი ხმაურის კვალი. უძრავად ვიწექი გულადმა და ყურს ვუგდებდი ამ იდუმალ სიწყნარეს. უცებ მომეჩვენა, რაღაც აკლდა ამ სიჩუმეს — ელექტრული წყალსაქაჩის გაბმული ზუზუნის, მოსამსახურე ქალის იატაკის ჯაგრისის შარიშური და კიდევ რაღაც ხმები აკლდა და ამით უფრო იკვეთებოდა ღრმად ჩამოწოლილი სიჩუმე. ისეთი მდუმარება იყო გამეფებული, თითქოს ირგვლივ სულიერი არ ჰქანებოდა. ერთი სიტყვით, იდგა სიჩუმე არა სიციხვით სავსე, არამედ სამარისებური სიჩუმე.

— სიჩუმე — როგორც იქნა. მოვნახე შესაფერისი სიტყვა სრული მარტოობისა. ეს სიტყვა გავიაზრე თუ არა, მაშინვე საწოლიდან წამოვხტი და ემილიას ოთახისაკენ გავქანდი. კარი შევალე და პირველი, რაც თვალში მომხვდა, იყო წერილი, რომელიც აულაგებელ საწოლზე, ბალიშზე დაედო ემილიას. წერილი მოკლე იყო: „ძვირფასო რიკარდო, ვხედავ, შენ არ გინდა, წახვიდე, ამიტომ მე მივდივარ. შესაძლოა ასე უცებ ვერც გადამეწყვიტა წასვლა. მაგრამ ბატისტაც მიდიოდა და მეც წავყევი. ესეც არ იყოს, მარტოობისა შეშინია. ბატისტასთან ყოფნა მარტოობას მაინც სჯობია. რომში ალბათ დავცილდები ბატისტას და მარტო ვიცხოვრებ. თუ ყური მოკარი ჩემზე, ბატისტას საყვარელიაო, არ გაიკვიროვო. რკინა ხომ არა ვარ, სხვა გზა არ მქონდა, ძალა არ მეყო, მშვიდობით, ემილია“.

წერილი რომ ჩავიკითხე, გაოგნებული ჩამოვჯექი საწოლზე, თან წერილს ხელს არ ვუშვებდი, თვალგამტერებულ ვიხედებოდი წინ. ღია ფანჯრებიდან მოჩანდა მაღალი ფიჭვები, მათ უკან კი ჩამოფცქვნილ-გადახეხილი კედლები. მერე ცივ, უკაცრიელ ოთახში მიმოვიხედე. აქ სრული უწესრიგობა სუფევდა. სიცარიელესა და მარტოობას დაესადგურებინა. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი თუ სუნამო-კრემები უკვალოდ გამქრალიყო. ყუთები, უჯრები დაცარიელებულიყო, გამოღებულ კარაქებში ცარიელი საკიდრები მოჩანდა. მართალია, ჩემთვის ეს ამბავი მოულოდნელი არ იყო, რადგან ვიცოდი, ადრე თუ გვიან ემილია მიმატოვებდა და ამის გაფიქრებაც კი ძრწოლას მგვრიდა, მაგრამ ახლა, როცა ეს უბედურება მართლაც მეწვია, ყრუ ტკივილი ვიგრძენი მკერდში, მთელი არსებით სულის სიღრმემდე ვიყავი შეძრული. ხეს რომ შეგრძნება ჰქონდეს, ალბათ უპირველესად ფესვებში იგრძნობდა ტკივილს ძირიანად ამოთხრისას. ახლა მე მართლაც ძირფესვიანად ამოგლეჯილ ხეს ვგავდი. ჩემი გაშიშვლებული

ფესვები მოსწყდა მის მაცოცხლებელ, შასაზრდობებელ მიწას — ემილიას. ჩემი ფესვები ამერიიდან ველარ შესძლებდნენ მისი სიყვარულის სასიცოცხლო წვენი დატკბნენ და თანდათან ხმობაც შეეპარებათ. ვგრძნობდი, უკვე იწყებდნენ კიდევ ხმობას და გამოუთქმელად ვიტანებოდი.

ბოლოს წამოვდექი და ჩემს ოთახში დავბრუნდი. გაოგნებული და დაბნეული ვიყავი. როგორც უკვე ვთქვი, ყრუ ტკივილს ვგრძნობდი. მაგრამ მალე აღბათ იგი აუტანლად გადამექცეოდა და მის მოლოდინში შიშვენიერად მინდოდა ყური არ მეთხოვებინა ამ ტკივილისათვის, რადგან შინსაშენებლობა უფრო გაელრმავებინა კრილობა. ანგარიშმიუცემლად წამოვავლე ხელი საბანაო კოსტუმს და ბილიკით, რომელიც კუნძულს გარს უვლიდა, კაპრის მოედანზე გავედი. აქ გაზეთი ვიყიდე, რომელიც კაფეში მივუჭექი მაგიდას და, ჩემდა გასაოცრად, რომ მეგონა, გულს ვერაფერს დავუღებ-მეთქი, გაზეთი ბოლომდე ჩავიკითხე. იმ ბუხსა ვგავდი, ვერაგმა ბიჭუნამ თავი რომ მოაგლიჯა, ჯერ ვერაფერს იგრძნობს, ვითომც არაფერი მომხდარაო, აქეთ-იქით დადის, ცაცებს იწმენდავს და მხოლოდ მერე ეარდება უსულოდ. საათმა თორმეტჯერ ჩამორეკა. სამრეკლოს საათის ზარმა ქუხილივით გადაუარა მოედანს. სწორედ ამ დროს ავტობუსი ჩამოდგა. იგი პლავ — „პიკოლა მარინაზე“ მიდიოდა. ჩავჯექი.

ცოტა ხნის შემდეგ უკვე პლავზე ვიყავი. მზე მწვავედ აცხუნებდა. ავტობუსის გაჩერებაზე მძაფრად ყარდა შარდი. იქვე ცხენებშებმული ეტლები იდგა, მეეტლები შეჯგუფულიყვნენ და წყნარად მასლაათობდნენ. მსუბუქად დავეშვი საბანაო ჭიხურისკენ მიმავალ კიბეზე. დაბლა წვრილი თეთრი კენჭებით მოფენილი პატარა პლავი და ცის ქვეშ გადაჭიმული ლურჯი ზღვის კიდური მოჩანდა. წყნარი და უშფოთველი იყო იგი, ზღვის ზედაპირი ოდნავ ლივლივებდა და მზის სხივებზე ატლასივით ბრწყინავდა. მომხიბლავი სანაპირო იყო. „ახლა კარგი იქნება ნავით გასეირნება, იქნებ ნიჩბების მოსმამ შემოწოლილი ნალველი გულიდან გადამყაროს“, — გავიფიქრე მე, თანაც საკუთარ თავთან მარტო დავრჩებოდი, ფიქრებს სადავეს მივუშვებდი. აქ კი ხალხით უკვე სავსე პლავზე ფიქრის საშუალება არ მექნებოდა. საბანაო ჭიხურს მიუახლოვდი. პლავის მომსახურე კაცს ნავის მომზადება ვთხოვე და საბანაო კოსტუმი გადავიცვი.

ჭიხურიდან ფენშიშველი გამოვედი ფიცარნაგზე. თან დაბლა ვიხედებოდი. ვფიქრობდი, ფეხი არ გამკაწროდა ხორკლიან და მარილიან წყლისგან გამოფიტულ ფიცრებზე. იენისის მცხუნვარე მზე უხვად მაფრქვევდა სხივებს. ზურგს მიწვავდა და ისეთ სიამოვნებას მგვრიდა, სულ რომ არ შეეფერებოდა ჩემს უნუგეშო მდგომარეობას. პატარა კიბით ზღვის სანაპიროზე ჩავედი და გავუყევი მხურვალე კენჭებით მოფენილ ნაპირს.

ის იყო წყალში უნდა ჩამედგა ფეხი, რომ მალლა ავიხედე და დავინახე... ემილია.

საბანაო ჭიხურების მომსახურე კაცი გამხდარი, ჩაკუნთული და ძალზე მზემოკიდებული მოხუცი იყო. თვალეებზე ფართო ფარფლებიანი ჩალის ქუდი ჩამოეფხატა. წყალში ნახევრად ჩასულ ნავთან იდგა, ემილია ნავის კიჩოზე იჯდა, ჩემთვის კარგად ნაცნობი, მწვანე, ოდნავ გამოხუნებული ბიკინი. მუხლები ერთმანეთზე მიეტყუებინა, ხელები უკან გადაეწია და მთელი ტანით ზედ დაყრდნობოდა. წელი წვრილი და გამოყვანილი მოუჩანდა. მთელი მისი სხეული სავსე იყო მომხიბლავი ქალური გრაციით. გაკვირვება რომ შემამჩნია,

გამილიმა, თვალეში შემომხედა, თითქოს შეუბნებოდა: „როგორც ხედავ, აქა ვარ... არაფერი თქვა... ისე მოიქეცი, თითქოს იცოდი, აქ რომ ვიქნებოდი“.

წამსვე დავემორჩილე მის უსიტყვო თხოვნას. სიხარულით აღელვებულმა, გულის ფანცქალით გავუწოდე ხელი მსახურს და არც ცოცხალი და არც მკვდარი ჩავხტი ნავში. მოხუცი წყალში მუხლებამდე შევიდა, ნიჩბები გაამაგრა და ნავს უბიძგა. მე ნიჩბებს მივუჯექი, თავი არ ამეღია, ესე ვუსვამდი ნიჩბებს მცხუნვარე მზის ქვეშ. ნავი მივმართე პატარა კონცხის ვეჯის პატარა ყურეს რომ კეცავდა. ჩუმად და გამალებით მივაცურებდი ნავს, ემილიას ვუყურებდი, სულ რაღაც ათიოდე წუთში კონცხს მივალწიე. ვგრძნობდი, ემილიას ვერ დაველაპარაკებოდი მანამ, სანამ ზღვის სანაპირო თვალს არ მიეფარებოდა თავისი საბანაო ჭიხურით და მობანავეებით. მინდოდა მარტონი ვყოფილიყავით, მხოლოდ მე და ის. სხვა არავინ, ისევე როგორც იქ, აგარაკზე მინდოდა მარტო ვყოფილიყავით, როცა რაღაც მნიშვნელოვანის თქმას ვაპირებდი.

კვლავ გამალებით ვუსვამდი ნიჩბებს და მოულოდნელად დიდი ხნის დაგროვილი ნაღველი ყელში ბურთივით მომაწვა. ამას დაემატა რაღაც ჩემთვის ახალი, უცნაური სიხარულის გრძნობაც, და მივხვდი, ვტიროდი. ღვარად მომსკდარი მდულარე ცრემლი მიწვავდა თვალებსა და სახეს.

კონცხს რომ გავუსწორდი, უფრო მძლავრად მოვუსვი ნიჩბებს, რათა დინებისთვის თავი გამეღწია. ამ ადგილას წყალი შფოთავდა და თავზე ქაფს იყენებდა. მარჯვნივ უზარმაზარი ლოდი იყო, მარცხნივ კი — ფრიალო კლდე. ნავი მათ შუა უნდა გამეტარებინა. უფრო გამეტებით მოვუსვი ნიჩბებს და კონცხს გარს შემოვუარე. ლოდი ზღვის მარილს მთლად გაეთეთრებინა და მზის სხივებზე თვალისმომკრელად ქათქათებდა. ტალღების მიმოქცევისას გამკვირვალე წყალში დროდადრო მწვანე წყალმცენარეთა ღერბები და ზღვის იშვიათი მიწვაშლა გაიელვებდა ხოლმე. კონცხის გადაღმა ფრიალო კლდის მხარეს უცნაური სანახაობა გადაგვეშალა. უზარმაზარი ქვები თითქოს ამფითეატრს ქმნიდნენ. ქვებს შუა პატარ-პატარა მთლად თეთრი კენჭებით მოფენილი, უკაცრიელი პლაჟები მოჩანდა. აქ ზღვაც უკაცრიელი იყო. არც ნავი ჩანდა, არც მობანავეები. ამ ადგილას წყალს მუქი ლურჯი ფერი ედო, რაც იმას ნიშნავდა, რომ წყალი აქ ღრმა იყო. შორს სხვა კონცხები უცნაური თეატრის კულისებს ჰგავდნენ. ზღვა მზეში ჩაძირულივით ჩანდა.

ახლა უკვე ნელა ვუსვამდი ნიჩბებს და ემილიას სახეში შეხედვაც გაუბედე. სანამ კონცხს შემოვუვლიდით, ემილია ჩუმად იჯდა, ახლა კი გამილიმა და მკითხა:

- რატომ ტირი?
- შენ რომ გხედავ, სიხარულისგან ვტირი.
- ასე გაგეხარდა ჩემი ნახვა?
- ძალიან გამეხარდა. მეგონა, წაწვედი... თურმე აქა ხარ.
- გადაწყვეტილი მქონდა, წავსულიყავი. დილით წავედი კიდეც ნავსადგურში ბატისტასთან ერთად, მაგრამ ბოლო წუთში გადავიფიქრე და დავრჩი... — აქამდე სად იყავი?! რას აკეთებდი?
- ნავსადგურში ვიბოდიხალე. კაფეში ვიჯექი... მერე კაპრის ფუნუკულორზე ავედი და იქიდან აგარაკზე დავრეკე. შენზე მითხრეს, წავიდაო... ვიფიქრე, „პიკოლა მარინაზე“ წავიდოდა-მეთქი და მეც აქეთ გამოვეშურე. გავინადე და დაგელოდე... მაშინ დაგინახე, პლაჟის მოხელეს ნავის მომზადებას რომ თხო-

ვდი, იქვე მზეზე ვიწეტი. გვერდით ჩამისრე ლა ვერ დამინახე... ნავში მაშინ ჩაეჭეტი. ტანზე რომ იხდიდი.

ერთი ხანობა ვდუმდი. შუა გზაზე ვიყავით კონცხსა და ზღვაში ღრმად შეჭრილ კლდეს შორის. ვიცოდი, ამ კლდის უკან პატარა მღვიმე იყო „მწვანე მღვიმე“-ს ეძახდნენ. და უცებ მომინდა მებანავა. შემდეგ წყნარად ვერთხე ემილიას:

— რატომ არ გაემგზავრე ბატისტასთან ერთად? რატომ დარჩილხარ აქ?

— იმიტომ, რომ დღეს ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, ვცდებოდი... მწვანე მღვიმე... ეს ყველაფერი მხოლოდ გაუგებრობის შედეგი იყო და სხვა არაფერი.

— რამ მიგიყვანა მაგ დასკვნამდე?

— არ ვიცი... შესაძლოა შენმა ხმამ, კილომ გუშინ საღამოს...

— ახლა დარწმუნდი, რომ არასოდეს არაფერი სათაკილო არ ჩამიდენია, არაფერი ისეთი, რაშიც ბრალს მდებდი?

— ჰო, ახლა დავრწმუნდი.

კიდევ ერთი შეკითხვა მქონდა დარჩენილი, ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი.

— შენ ხომ ბუნებით საძაგელ ადამიანად არ მიგაჩნევარ, ემილია, მითხარი, ხომ არ მიგაჩნევარ?

— არც არასოდეს მიმაჩნდი... უბრალოდ, მომეჩვენა, ისე არ მოიქეცი, როგორც საჭირო იყო. ამიტომ პატივს აღარ გცემდი, მაგრამ ახლა ვიცი, რომ ყველაფერი მხოლოდ გაუგებრობის ბრალი იყო. მოდი, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, კარგი?

არაფერი მიპასუხია. ისიც დუმდა. კვლავ მძლავრად მოვუსვი ნიჩბებს ახლა გაორკეცებული სიხარულით ატაცებულმა. ეს სიხარული ამომავალ მზესავით ათბობდა ჩემს გაცივებულ სულს. ამასობაში მივალწიეთ „მწვანე მღვიმეს“ და ნავიც მისკენ მივმართე. გამოჩნდა კიდევ მღვიმის პირიც, რომელიც შავი თალივით მოჩანდა მწვანე წყლის მოსარკულ ზედაპირზე. კვლავ ვკითხე:

— გიყვარვარ, ემილია?!

ემილია წუთით შეყოყმანდა. შემდეგ მიპასუხა:

— მე ყოველთვის მიყვარდი... და მეყვარები კიდევ. — მაგრამ ძალზე გამაოცა მისმა სევდიანმა ხმამ და შეშფოთებულმა ვკითხე:

— რატომ ლაპარაკობ ასე ნაღვლიანად?

— რა ვიცი... შესაძლოა იმიტომ, რომ ბევრად აჯობებდა არავითარი გაუგებრობა არ მომხდარიყო ჩვენ შორის, არაფერს დავეშორებინეთ და ყოველთვის ერთად ვყოფილიყავით. ერთმანეთი გვეყვარებოდა წინანდებურად.

— რა თქმა უნდა, აჯობებდა, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე უკან დარჩა... ნულარ ვიფიქრებთ წარსულზე, რაც მოხდა, მოხდა, ახლა ჩვენ მუდამ, ყოველთვის გვეყვარება ერთმანეთი.

მომეჩვენა რომ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. მაგრამ მთელი ამ საუბრის დროს თვალები დახრილი ჰქონდა და მეტად ნაღვლიანი ჩანდა. წუთით ნიჩბებს ხელი შევუშვი და მისკენ გადავიხარე:

— ემილია, ახლა „წითელი ზღვისკენ“ გავცუროთ, ის „მწვანე მღვიმეზე“ უფრო პატარა და ღრმაა. სწორედ ამის უკანაა. იქ პატარა პლაჟიცაა, სიბნელეში მოვესიყვარულოთ ერთმანეთს, გინდა?

თანხმობის ნიშნად თავი უსიტყვოდ დაძიქნია და ოდნავ დარცხვენით შემომხედდა ახლა უფრო მონდომებით მოვუსვი ნიჩბებს.

აი, უკვე მაღალთალიან ქვის მღვიმეში ვართ, წყალი და მზე ზურმუხტოვან სხივთა კონებს ტყორცნის მას და მზეზე აელვარებს, უფრო ღრმად იქ, სადაც ტალღები თაღს ტყლაშუნით ეხეთქება და ბუბუნებს, წყალი მუქია და შავი, ლაპლაპა ქვები ისე გამოჩრილან, ზღვის ცხოველთა ზუთვებს ჰგვანან. აგერ ორ კლდეს შუა გასასვლელიც. „წითელი მღვიმის“ მიიმაართება.

ემილია ჩემს ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა, უძრავად იჯდა იმ მომლოდინე პოზაში, ქალებს რომ აქვთ ხოლმე, როცა ნიშანს ელიან, რათა დაგნებდნენ. ხან ერთი, ხან მეორე ნიჩბით, როგორც იქნა, რის ვაი-ვაგლანით მოვაცილე კლდეს ნავი, სტალაქტიდური თაღის ქვეშ გავატარე, გაშლილ ადგილზე გავიყვანე და „წითელი მღვიმის“ ბნელი შესასვლელისკენ მივმართე. ემილიას შევძახე, თავი დაღუნე-მეთქი და ერთხელ კიდევ მძლავრად მოვუსვი ნიჩბებს, ნავი თავისუფლად შესრიალდა მღვიმეში.

„წითელი მღვიმე“ ორი ნაწილისგან შედგებოდა: წინა ნაწილი მეორისგან დიდი შვერილით იყო გამოყოფილი. მის უკან მღვიმე მიიკლავებოდა პატარა პლაყამდე, რომელიც სიღრმეში მდებარეობდა. მღვიმის მეორე ნაწილი სრული წყვდიადით იყო მოცული. ვიდრე სიბნელეს თვალს არ შეაჩვევდი, ვერც დაინახავდი პატარა პლაყს იგი რაღაც უცნაური მოწითალო შუქით იყო განათებული. ალბათ ამის გამო ჰქონდა შერქმეული ასეთი სახელიც.

— ეს ძალიან ბნელი მღვიმეა, — ვუთხარი ემილიას, — მაგრამ თვალებს მალე შევაჩვევთ სიბნელეს და ჩვენც ყველაფერს დავინახავთ.

ნავი კვლავ ინერციით მიცურავდა დაბალ, ჩაბნელებულ თაღებს ქვეშ, კვლავ ვერაფერს ვხედავდი. ბოლოს იგი ღრჭიალით დაეჯახა რაღაცას და ცხვირით ჩაესო ხრეშში. მაშინვე ხელი შევეუშვი ნიჩბებს, წამოვიწიე და სიბნელეში ხელი გავიწვდინე ნავის ქიმისკენ.

— ემილია, ხელი მომეცი, გადმოსვლაში მოგეხმარები.

ემილიამ არ მიპასუხა. გაოცებულმა კვლავ გავიმეორე:


— ხელი მომე, ემილია.

კიდევ რომ არ მიპასუხა, უფრო მეტად გადავიხარე და ფრთხილად, სიბნელეში ემილიასთვის ხელი რომ არ მეტაკებინა სახეში, თითები მოვუფათურე ნავის კიჩოს. მაგრამ ამ ადგილას, სადაც ემილია მეგულებოდა, ჩემი თითები მხოლოდ ცარიელ ფიცარს წააწყდნენ. მოულოდნელად განცვიფრებას საზარელი შიშის გრძნობაც დაემატა.

— ემილია! — შევძახე განწირული ხმით. — ემილია! — მაგრამ მხოლოდ სუსტმა ექომ მიპასუხა, ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა, ამასობაში თვალები სიბნელეს შეეჩვია და ამ წყვდიადში, როგორც იქნა, გავარჩიე ნაპირში ცხვირით შეჭრილი ნავი, წვრილი მუქი ხრეშით მოფენილი პლაყი და ჩემს თავზე გადმოხრილი ლაპლაპა სველი თაღები. ნავის კიჩოზე არავინ იყო. პლაყიც უკაცრიელი ჩანდა. ირგვლივ სულიერი არ ჰქაჩანებდა. მივხვდი, მარტო ვიყავი.

კვლავ კიჩოს დავაკვირდი და დაბნეულად ჩავიჩურჩულე: — ემილია! — შემდეგ ცოტა უფრო ხმადაბლა გავიმეორე: — სად ხარ, ემილია?! — და სწორედ იმ წუთს მივხვდი ყველაფერს. ნავიდან გადმოვედი და ხრეშში პირქვე ჩავეშე. ალბათ გონდაკარგული დიდხანს ვეგდე იქ გაუნძრევლად. შემ-

დევ სვდექი, ანგარიშმიუცემლხდ ჩაეჯექი ნავში და მღვიმიდან გამოვედი. მაშინვე მომპრა თვალი შუადლის მცხუნვარე მზის ბრწყინვალეობამ, ზღვის ზედაპირზე რომ ირეკლებოდა. საათს დავხედე. ზუსტად ორი საათი იყო. მღვიმეში საათზე მეტხანს დავყავი. გამახსენდა, შუადღე მოლანდებების დრო, რომ იყო და მივხვდი, ყველაფერი, რაც გადამხდა, მხოლოდ მოჩვენება იყო.



თავი ოცდამესამე

უკან დაბრუნებას დიდი დრო მოვანდომე. ხან შევჩერდებოდი, ხელში ნიჩბებშეყინული, ხან გაოგნებული მივაშტერდებოდი მზის სხივებით გასხივოსნებულ ლურჯი ზღვის ზედაპირს. ირგვლივ ვერაფერს ვამჩნევდი. ცხადია, ახლაც პალუცინაციის მსხვერპლი ვიყავი, როგორც ორი დღის წინ პლაჟზე შიშველ ემილიასკენ რომ დავიხარე და ვკოცნიდი. არადა, მაშინ ადგილიდანაც არ დავძრულვარ და მისგან კარგა მოშორებითაც ვიწექი. მხოლოდ ეს არის, ამჟერად პალუცინაცია უფრო მკაფიო და ცხადი იყო, მაგრამ მაინც პალუცინაცია იყო და მეტი არაფერი. ამის დასტურად თუნდაც ჩემი წარმოსახული საუბარი კმაროდა ემილიას მოჩვენებასთან. ემილიას ვათქმევინე ის, რაც მსურდა ეთქვა. აქ მე ვიყავი მთავარი, ემილიას მიხრა-მოხრა, ქცევა მხოლოდ ჩემს სურვილს გამოხატავდა. კითხვებიც და პასუხებიც ჩემი შეთხზული იყო. არა მარტო წარმოვიდგინე ყოველივე, რაც გულით მეწადა, არამედ ისე ძლიერი აღმოჩნდა ეს ილუზია, რომელსაც ალბათ დიდი ხანია გულში სათუთად ველოლიავებოდი, რომ ხორცშესხმული წარმომიდგა და ნამდვილად დავიჭერე. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ სულ არ გავუკვირვებოვარ ასე იშვიათსა და შესაძლოა თავის უჩვეულობით ერთადერთ მოლანდებას. ჩემს მეხსიერებაში კვლავ ერთმანეთის მიყოლებით ვაცოცხლებდი ამ მოჩვენების ცალკეულ წვრილმანს, ვნეტარებდი და ენით აუწერელი სიამოვნებით ვივსებოდი. რა მშვენიერი სანახავი იყო ნავის კიჩოზე მჯდარი ემილია, რომელსაც უკვე აღარ ვეზიზღებოდი, წინანდებურად ვუყვარდი. მერედა, რა ტკბილ სიტყვებს მეუბნებოდა! რა სიამოვნების ერუანტელმა დამიარა და ავეგზნე. როცა ემილიამ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, თავდავიწყებას მივეცი, ახლად გამოღვიძებულ კაცს რომ სასიამოვნო სიზმარი აჰყვება ხოლმე ძილიდან და კარგა ხანსაა მისი გავლენის ქვეშ, სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვიყავი ახლა მეც. ვცდილობდი კვლავ და კვლავ გამეცოცხლებინა გონებაში ყველაფერი. არად დაგიდევდით, რომ ეს მხოლოდ პალუცინაცია იყო და არა სინამდვილე. მათი წარმოდგენა ხომ ისეთსავე სიამოვნებასა და ნეტარებას მანიჭებდა, თითქოს ნამდვილად მომხდარიყოს.

ამ ტკბილ ზმანებაში ვიყავი, რომ უცებ აზრად მომივიდა, კიდევ ერთხელ შემემოწმებინა ის დრო, რაც „პიკოლა მარინადან“ „წითელ მღვიმემდე“ და იქიდან გამოსვლას მოვანდომე. კიდევ ერთხელ განმაცვიფრა იმან, თუ რა დიდი ხანი დამიყვია მღვიმეში. მიწისქვეშა პლაჟზე. თუ „პიკოლა მარინადან“ მღვიმემდე ორმოცდახუთი წუთი მოვანდომე, მაშინ გამოდის, რომ მღვიმეში საათზე მეტი დამიყვია. როგორც უკვე ვთქვი, ეს დრო შეუმჩნეველად გამეპარა, როცა ჩემი აზრით, გულწასული ვიყავი, ანუ უფრო სწორად, ცოტაა რომ მაკლდა ცნობიერების დაკარგვას. მაგრამ ახლა, როცა უკვე კარგად და ღრმად გავიაზრე ჩემი პალუცინაცია, ასე რთული და ასე სასურველი, ასეთი კითხვა

დამებადა, ხომ არ დამსიზმრებია ეს ყველაფერი-მეთქი, სხვანაირად რომ ვთქვათ, შესაძლოა „პიკოლა მარინაზე“ ნავში დავჯექი მარტო, მარტომვე შევცურე მღვიმეში, იქ პლაჟზე დავწექი და ჩამეძინა. პოდა, დამესიზმრა, რომ ემილიასთან ერთად ჩავჯექი ნავში, დაველაპარაკე, ვთხოვე ჩემი გახდი-მეთქი და მღვიმეში შევცურეთ. მერე დამესიზმრა ისიც, ვითომ ემილიას ხელი გავუწოდე, ნავიდან გადმოსვლაში მოგეხმარები-მეთქი, ხელი რომ არ გამომიწოდა და ნავშიც ვერ დავინახე. აი, მაშინ შემიპყრო შიშმა, აჩრდილსმანს მკვლად ვყოფილვარ-მეთქი ნავში და ნაპირზე დავეცი გონწასული.

ეს მოსაზრება უფრო საფუძვლიანი მეჩვენა, მაგრამ მთლად დაჯერება მაინც არ შემეძლო. თავში ყველაფერი ერთად ამერია, ველარ გამერკვია ზღვარი სიზმარსა და ცხადს შუა. ზღვარად, უეჭველია, ის წუთი უნდა ჩამეთვალა, როცა მღვიმეში, მიწისქვეშა პლაჟზე დავწექი, იქნებ დამეძინა და დამესიზმრა, ვითომ ემილიასთან ერთად ვიყავი, ხორცითაც და სულითაც ნამდვილ ემილიასთან, ან იქნებ დამეძინა და დამესიზმრა, ვითომ ემილიას აჩრდილი გამომეცხადა? იქნებ დამესიზმრა, რომ ვითომ მძინავს და იმ ორიდან ერთ სიზმარს ვხედავდი? ჩინური ხარდახშების მსგავსად — ერთს რომ გახსნი და შიგ უფრო პატარა რომ დევს, — ასევე მეც სინამდვილეში სიზმარს ვხედავდი, სიზმარში — სინამდვილეს და ასე დაუსრულებლივ ვერაფერი გამერკვია.

მერამდენეჯერ შევუშვი ხელი ნიჩბებს შუა ზღვაში და მერამდენეჯერ ვკითხე თავს: სიზმარი იყო ეს ყველაფერი თუ მოლანდება? ან იქნებ სულაც რაც უფრო ძნელი დასაჯერებელია, ემილიას აჩრდილი გამომეცხადა? ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამოდ ვიტანჯავდი თავს, სულერთია, მაინც ვერაფერს გავარკვევდი ვერც ახლა და ვერც როდისმე.

ამ ფიქრებში გართულმა მივაცურე ნავი გასაზღველ ჯიხურამდე, საჩქაროდ ჩავიცვი, მოედანზე გავედი და ძლივს მოვასწარი ახტომა კაპრის მოედნისკენ მიმავალ ავტობუსზე, რომელიც ის იყო უნდა დაძრულიყო, არ ვიცი რატომ, მაგრამ ახლა გული რატომღაც აგარაკისკენ მიმიწევდა, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ თავსამტვრევს იქ ამოვხსნიდი. თანაც იმიტომაც ვჩქარობდი, რომ გემი ექვს საათზე გადიოდა. მანამდე კი სადილობაც უნდა მომესწრო და ჩემოდნის ჩალაგებაც. როგორც კი ავტობუსიდან ჩამოვხტი, მოედნიდან თითქმის სირბილით დავადექი ბილიკს, რომელიც კუნძულს გარს ერტყმოდა. ოცი წუთის შემდეგ უკვე აგარაკზე ვიყავი.

სასტუმრო ოთახში შესულს იმდენი ღრო არ მქონდა, მარტოობისა და სიცარიელის გრძნობა განმეცადა. გაწყობილ სუფრაზე, თეფშის გვერდით დეპეშა იყო, რატომღაც ავლელდი და შევშფოთდი კიდევ. ნეტავ რისი მაუწყებელია ეს დეპეშა — ბედნიერების თუ უბედურების? მოუთმენლად დავტაცე ხელი ყვითელ კონვერტს და გავხსენი. ბატისტას სახელმა გამაოცა, მაგრამ რატომღაც იმედიც მომეცა. სასწრაფოდ გადავიკითხე, ბატისტა ორიოდე სიტყვით მაცნობებდა, ემილია საავტომობილო კატასტროფაში მოპყვა და მეტად მძიმე მდგომარეობაშიაო.

მოსაყოლი თითქმის აღარაფერი მაქვს, მგონი ზედმეტია აქ იმაზე ლაპარაკი, რომ აგარაკი მაშინვე დავტოვე და ნეაპოლში ჩავედი, იქ გავიგე, ემილია საავტომობილო კატასტროფაში დაღუპულიყო. მეტად უცნაური იყო მისი სიკვდილი. აუტანელი სიცხისგან მოთენთილსა და დაქანცულ ემილიას მანქანაში ჩასძინებოდა, თავჩაქინდრულსა და მკვრდზე ნიკაბდადებულს ეძინა

თურმე, ბატისტა მისთვის ჩვეული სისწრაფით მიაჭროლებდა მანქანას. მოულოდნელად გვერდითი გზიდან ხარებშებმულ ფორანს გადმოუხვევდა. ბატისტან უცებ დაუშურუტებია მანქანა. ერთი მაგრად შეუკურთებია მეფორანისთვის და გზა გაუგრძელებია. ემილია თურმე ხმას არ იღებდა, თავი აქეთ-იქით უვარდებოდა, ბატისტა დალაპარაკებია, მაგრამ პასუხი ვერ მიუღია. ერთ მოსახვევში კი ემილია ზედ დასცემია ბატისტას. მაშინვე გაუჩერებია მანქანა და უნახავს, რომ ემილია მკვდარი იყო. ფორანის გამოჩენაზე ბატისტას მანქანა მშრულილოდნელად რომ დაუშურუტებია, ემილიას მთელი სხეული მოშვენილია. მანქანა დაუშურუტებია, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე ძილში. უეცარ ბიძგზე კი ზერხემალი გადასტეხია. სიკვდილი ისე სწრაფად სწვევია, არც უგრძენია რამე.

მისი დაკრძალვის დღეს სულისშემხუთველი ბული იდგა. ცა ღრუბლებს დაეფარა, მაგრამ ცვარიც არ ჩამოვარდნილა. ჰაერი უმოძრაო იყო, სუსტი სიოც კი არსაიდან უბერავდა. საღამოს, დაკრძალვის შემდეგ შინ რომ დავბრუნდი, ახლა კი ნამდვილად უკაცრიელი და უსარგებლო მეჩვენა სახლი. მხოლოდ ახლა ვიგრძენი საბოლოოდ, რომ ემილია აღარ იყო და ვერც ვერასოდეს ვიბილავდი. ყველა ფანჯარა ღია იყო ოთახების გასანიაველად, მაგრამ ამოდ, ოთახიდან ოთახში დავდიოდი მოპრიალებულ იატაკზე და ვგრძნობდი, სუნთქვა მიჭირდა, სული მეხუთებოდა. უკვე დამდებოდა, ახლომახლო სახლებში განათებულ ფანჯრებს რომ ვხედავდი. ლამის გავცოფებულყავი. ეს შუქი მაგონებდა იმ სამყაროს, სადაც ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, სადაც არავითარი გაუგებრობა არ ხდება, სამყაროს, საიდანაც ჩემი აზრით, სამუდამოდ ვიყავი განდევნილი. ამ სამყაროს რომ დავბრუნებოდი, საჭირო იყო ემილია ჩემს სიმართლეში დამერწმუნებინა, კვლავ დამებრუნებინა მისთვის ჩემდამი რწმენა და პატივისცემა, ერთი სიტყვით, სიყვარულის კიდევ ერთი სასწაული უნდა მომეხდინა. ისეთი სიყვარულისა, როცა არა მარტო შენ იწვი, არამედ სხვისაც წვაე ამ გრძნობით. ახლა კი ყველაფერი გათავდა. ასე მეგონა, ემილიას სიკვდილი მისი ჩემდამი ზიზლის, ასე ვთქვათ, მტრული განწყობილების, უკანასკნელი გამოვლინება იყო. ამ აზრს ლამის ჭკუიდან შევეშალე.

მაგრამ ცხოვრება თავისას მოდებოდა. მეორე დღეს ავიღე ჩემოდანი, რომელიც არც გამიხსნია და გამოვედი სახლიდან. კარს რომ ვკეტავდი, ასე მეგონა, საძვალეს ვკეტავ-მეთქი. გასაღები შევიცარს დავუტოვე და ვუთხარი, როგორც კი აგარაკიდან დავბრუნდები, სახლს გავყიდი-მეთქი.

კვლავ კაბრზე გავემგზავრე. შეიძლება უცნაურობად მოგეჩვენოთ, მაგრამ იქ დაბრუნება იმიტომ მოვისურვე, სულში იმედის ნაპერწკალი მიღვიოდა — იქნებ ემილიას შევხვდე, ან იქ, სადაც ერთხელ მომეჩვენა, ან სადმე სხვა ადგილას-მეთქი. შევხვდებოდი და ავუხსნიდი, რატომ მოხდა ეს ყოველივე. ჩემს მისდამი სიყვარულზე ვეტყოდი და ისიც ყველაფერს გამიგებდა და კვლავ შემეყვარებდა. კარგად მესმოდა, რომ ეს იმედი სიგიჟეს ჰგავდა. არასოდეს ისე ახლოს არ ვყოფილვარ გაგიყებასთან, როგორც იმ დღეებში. სინამდვილე სიცოცხლეს მიმწარებდა, წინანდელ პალუცინაციებს ვნატრობდი.

მაგრამ, საბედნიეროდ, იმის შემდეგ ემილია არც ცხადში, არც სიზმარში არ მომჩვენებია. როდესაც ერთმანეთს შევუდარე დრო, — მე რომ უკანასკნელად ვნახე და მისი სიკვდილის დრო — დავადგინე, რომ ეს ორი შემთხვევა დროის მიხედვით არ ემთხვეოდა ერთმანეთს, ემილია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ნავის კიჩოზე მჯდარი რომ მომეჩვენა. შესაძლოა მკვდარი იყო მა-

შინ, როცა უგონოდ სახეჩარგული ვიწეჭი სილაში, „წითელ მღვიმეში“ ამგვარად, არაფერი არ ემთხვეოდა არც სიცოცხლეში, არც სიკვდილში და ჩემთვის აუხსნელი დარჩა, რა იყო ეს, სიზმარი, ჰალუცინაცია, თუ გრძნობების მოტყუება? ის გაუგებრობა, ურთიერთობას რომ გვიშხამავდა მისი სიკვდილის შემდეგაც გრძელდებოდა.

მწუხარებით შეპყრობილი დავხეტებოდი კაპრზე, იმ ადგილებში, სადაც კი მას გაეგლო. ერთხელ იმ პლაჟზე არავინ იყო. უბრალოდ კლდეებს შუა გავძვერი და ჩემ წინ მომღიმარი. წყნარად მოლივლივე ლურჯი უნაპირო ზღვის სივრცე გადაიშალა. ამის დანახვაზე „ოდისეა“, მისი გმირები, ოდისევსი და პენელოპე გამახსენდა და გავიფიქრე: ემილიაც მათსავით მშვიდად განისვენებს ამ თვალუწვდენელ ზღვის სივრცეში სამუდამოდ გაყინული იმ პოზაში, როგორც სიცოცხლეშივე ჰქონდა მინიჭებული. ახლა მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული და არა რაღაც სიზმრებსა და ჰალუცინაციებზე, შევძლებდი თუ არა კვლავ მეპოვა იგი და აქ მიწაზე დაწყებული საუბარი განმეგრძო მასთან. მხოლოდ ასე შეუძლია ემილიას ჩემგან დაიხსნას თავი და როცა განთავისუფლდება ჩემი გრძნობების სიმძიმისაგან, თავს დამადგება იგი როგორც ნუგეშისმცემელი მშვენიერების განსახიერება. მეც ეს მოგონება იმ იმედით დავწერე, იქნებ ეს სურვილი ამხდეს.



პიესა

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიავილიძე



ტრაგედიის მოქმედი პირნი

იაზონი — ბერძენი
მედეა — ზანგი

მეფე კრიონი
უფროსი ძე
უფროსი ძე
ბალღების აღმზრდელი
ძიძა
კაონის მოციქული
სასახლის მონები
უცხო ურვა

მოქმედების ადგილი: იაზონის სასახლის
ერთ-ერთი დარბაზი კორინთოში

მონები. ბალღების აღმზრდელი.
უფროსი ძე. უფროსი ძე.

უფროსი ძე

თუთრი ფაშატი მომგვარა მამამ,
ჩიხფერი ხრდალით დამასაჩუქრა.

უფროსი ძე

გაქუნავია ჭიშის ცხენით.

უფროსი ძე

სე მოიქცა, რადგან ვუფვარვარ.

უფროსი ძე

ჩიტომ გაუიდა შორეულ მხარეს
თუთრი თოვლივით კათქათა ცხენი, —
ღულიან ძროხის რძის შესადარი,
მადარს ჭიქანი რომ გავსებია,
ხბო კი, მისი რძით გაუმაძღარი,
ნესტრებიდან აორთქლებს თბილ ორთქლს.

რაკი არ ძალუძს ფებზე დადგომა,
შესახედავად შენ კი გსურს იყო
ნაღდ მამაკაცებს მიმსგავსებული.

უფროსი ძე

იპ ჩე-ლაოდ ნუთუ შე მიგაჩნივარ?

უფროსი ძე

რა შუაში ვარ, თუ ვინმეს მგავხარ?
ქედმაღლობა და უოყლოჩინობა
იმაღ გარგია ბოლოს და ბოლოს,
რომ დაგვიმტკიცო, დაგვიდასტურო
მართოდენ მშრალი კეშმარიტება?
შენ ხომ ნამდვილაოდ ჩემი ძმა გქვია?
მერე, შე ბიჭი არა ვარ, განა?
შენ კი, თუ ბიჭი არა ხარ, მითხარ,
ჩემი ღვიძლი ძმა როგორ იქნები?

* იბეჭდება შემოკლებით

და თუ ძმა არ ხარ, ხომ შეიძლება,
რომ მამაჩემი უყოფილიყავი.

უფროსი ძმ

შე სულწაბულო და გულუბრყვილოვ,
ლოცვამდე აღმზრდელს გულისნადები
აკი გავანდე?

გალღებინს აღმზრდელი

შენს ბაგეთაგან
მაგგვარი რამე არა მსმენია.

უფროსი ძმ

ახეთნაირად ვფიქრობდი აღბათ.

უმცროსი ძმ

უმაწვილკაცივით რომ ლაპარაკობ,
შოდა, სხვებივით არაფრად მაგდებ,
როგორც ეს ჩვენი მოწიფულეები,
რადგან ჭერ კიდევ მოწრიაული ვარ,
ამიტომ თავხაც არვინ იწუხებს
და ჩემი წმინდა ლოცვა-კურთხევა
არაფრად უღირთ, რაკი ამბობენ:
თითქოს ამჟამად არ ვარსებობდეთ
და მომავალში დავიბადები.
მონებმაც თავი წამოშვებს, რადგან
გული იჭერებს, ან ჩემგან კიდევ
რა უნდა სურდეთ? მათი ენებიც
სულ შენნაირად არ ტარტარებენ?
ჩვენს მოუავისფრო, თეთრ ბარძაყებზე
ნუთუ ვერ ამჩნევ ერთნაირ ღრმულეებს?
უგავარ თუ არა, როგორ გგონია?
ვიღაცას ისიც მოუხსმენია,
რომ ჩვენ, ერთმანეთს მიმსგავსებულნი,
ვეღურ ბავშვებად მოვუნათლივართ;
ბერძნებისაგან განსხვავებული
ფერადი კანი რომ გვაქვს, იმიტომ?
ახლაც მარტო მე ვარ გასაკენწლი?
დასაცინი ვარ, ფეხის კუნთები
რახან იმგვარად ვერ გავიშავრე,
ცხენს რომ მოვახტე?

უფროსი ძმ

შტერო ნამცეცავ,
ძალგინს, მისმინო და არ იტირო?

უმცროსი ძმ

რა გეხაქმება თუ მარტოხელა
თვალცრემლიანი დავიარები,
რაკი ის არ ვარ, რაკი შენა ხარ?

უფროსი ძმ

შენს ბაგეთაგან თქმული სიტყვები,
რაც დედისგან გაქვს ნამეშკვიდრები,
არაფერს ნიშნავს ურწმუნოთათვის.

უმცროსი ძმ

მამიკოს ბიჭო, ურწმუნო შენს,
გულზე აბიხარე მამად წარსულს,
რომ უცხოებსაც აგრე უყვარხარ.
რა ვქნა, მე მხოლოდ დედას ვუყვარვარ,
მეც მარტო დედა უნდა მიყვარდეს,
ვისგანაც ასე დაშინებული
მის მწუხარებას, წარბშეკრულობას
და ქადოქრობას რომ ვიზიარებ.
დედის უოველი ტანჯვა-წამება,
გამოგონილი საზაროება,
ბნელი ძალების ხვეწნა-მუდარა
და დამღუპველი განსწავლულობა
იმდენად ძნელი ასატანია,
ქონდრისკაცი რომ ვიყო ნამდვილად,
სოხუცობისას დაბალი ბიჭი
მარლიანად ქუჩად გადაიქცეოდი.
როგორ ცხოვრობენ მამაკაცები,
აღბათ არახდროს შეცოდინება,
რადგანაც ვიცი, ისინი ბავშვებს
გულს არახოდეს გადაუშლიან.
შენ მუდამ მათი თანამგზავრი ხარ,
და საიდუმლოს რატომ არ მიმხელ,
რაკილა უცებ გამოგედევა,
მომგვრი ჭეშმარიტ სიამოვნებას.

უფროსი ძმ

რაც ძალა შეგწევს, ხომ დამაცხერი.
კარგად არც ვიცი რა გითხრა, მივირს
გამკლავება და მარჯვედ დახვედრა.
ასე უცრად რომ შემძლებოდა
შენი გონების გადაბრუნება,
მაშინ მტრულ აზრებს, ამდენ სიცრუეს,
უნდობლობას და ეჭვიანობას
შენში არახდროს გავალვივებდი;
წინასწარ ვატყობ, ეს ქადაგება
გაყალბდება და ქარს მიეცემა.
დედა ირემი, ახალშობილებს
რძით რომ კვებავს და მოულოდნელად
მგლები დიდ ხროვას გადაეყრება,
ისე არ არის დაფეთებული,
მაგ უელში ხიხბლი ვით მოგწოლია.
ვინ მოგახხენა, ხამარადისოდ,
პაწაწკინტელა რომ იქნები და
არც გაიზრდები, არც დაბერდები?

უმცროსი ძმ

ეგ მზრუნველობით გამანდო დედამ
და წინასწარ ვგრძნობ, სიმართლეს ამბობს.

უფროსი ძმ

ჩაო, უფროსო, მიიძინებო?

უმცროსი ძმ

ჩაო, ხატეგან არ დასცდენია:
შენ ნაადრევად კი არ მოკვდები,
ასე გამანდო, ჩემი ხელითო:
შენ სახკვდილოდ ხელს ვერ აღვმართავ,
პირიქით, კალთას დაგაფარებო.
ამბოქრება არას მიშეეღის,
ჩენს ზედისწერას შევებრძოლები,
დაფელოდები ხვედრს და განაჩენს
დიდი ღმერთები როგორც განსჯიან,
ვფიქრობ, ამნაირ უგნურებისგან
რომ ჰელიოსი — მამიკოს მამა
იზრუნებსო და დამიფარავსო.
ვაიო, მერე წამოიყვირა:
ვინ გამოიცნობს გამოცანასო,
ზედისწერა ვის რას უმწადებსო,
ან სიკვდილამდე მუჭისოდენამ
ამ ქვეყანაზე ინავარდოსო,
არც ავადობამ, ზედის ვარსკვლავმა,
გარეშე მტერმა და ჩადოქრობამ
სილაღე რომ არ ჩაუმწაროსო?

უფროსი ძმ

ო, ღმერთო ჩემო, კარგად მოიქცა,
სწარ ორაკულს რომ ავაცდინა
და შენს სულს ვნება არ მიაყენა.

უმცროსი ძმ

გთხოვ, ნუ ირქები ივრე დედაზე-
ნუ, თუ ვერ ხვდები, რომ ზედისწერამ
ძალაუფლება დააკარგვინა
და საბოლოოდ წელში მოდრიკა?
ეს რომ შეუფერს ესაუბრება,
ჩვენ ხომ იმგვარად აღამიანებს
ანდა ცხოველებს ვებშიანებით?
და ჰელიოსი, მის წინაპარი,
ხშირად ცეცხლისფერ ბედაურებით
მოინახულებს ხოლმე შვილიშვილს.
შე რამდენჯერაც თვალი მოვკარი,
ოქროსფერ ეტლში მარცხნივ უვითივლი,
მარჯვნივ კი ქურა ცხენები ება.
ისეთნაირად მანლაათობდნენ,
მუსიკის დროს ერთმანეთისთვის
ერთი შეკითხვაც არ მიუციათ.
ღმერთი — ძალაა, დედა — სურვილი.
სურვილი ძალას უნდა აღუდგეს,
ან კიდევ მტკიცედ ჩაბკიდოს ხელი.
დედამ ამქვეყნად ბევრი რამ იცის,
მაგრამ არ უწყის სუპველაფერი.
აურაცხელის შემქმნელ დედაჩემს
უველაფრის შექმნა არ შეუძლია,

ხულ იმას ცდილობს ყოველდღიურად,
ვლამაზდებოდეთ და ვმშვენდებოდეთ,
ვიზრდებოდეთ და არ ვბერდებოდეთ.
დედას სურს ვყავდეთ უბერებლები,
სანამ თვალეზი დაეხუჭება.
ნიადაგ ასე წრუნავს მამაზეც.
მერწმუნე, მამა კორწილის შემდეგ
გარდაუქმნელად და შეუსვლილად
მარად კაბუკი რომ ყოფილიყო
და ვახსლტომოდა დროის დინებას,
მაშინ ხიბერე შორს იქნებოდა.



ბალღიგის აღმზრდელი

ქვირფასო ბიჭო, შენი სიტყვებით
ქეშმარიტება დაადასტურე,
რომ იაზონი დაქორწინებით
ამნაირად არ დაბერდებოდა.
ასე ამბობენ, ოქროს საწმისი
კოლხეთიდან რომ გამოიტაცა
და საბერძნეთში ჩამოიტანა,
სულ ჯადოქრობით მოახერხაო.
ჩანდახან ხმები რომ დაიყრება,
ბევრჯერ ძნელია გაიზიარო,
თუ უსიცოცხლო ავლადიდება
როგორ წარმართავს კაცის ცხოვრებას.

უმცროსი ძმ

მტანჯველმა ფიქრმა შემიაყრო უცებ,
როცა შევითყვე თურმე დედაჩვენს
სილამაზეში არ უდევს წილი.
დედაც ბერდება, ზედისწერისგან
აღამიანებს ეგ უწერიათ,
ასე ყოფილა, ღმერთის განაჩენს
თურმე ვერავინ ვერ გაეკცევა.
ამიტომ მოთქვამს დამწუხრებულნი,
გავლილა წლები მძიმე ტვირთად მხრებს
დასწოლია და მარად ნეტარი
სიცოცხლის ბოლოს უკვრეტს მოთმენით.
მისი ხამარე იმას გვაუწყებს,
რომ დასაწყისი ჩვენი ცხოვრების
დასაბამიდან განსაზღვრულია.

უფროსი ძმ

შენი პირიდან რაც მოვიხმინე,
ვფიქრობ, რომ დასკვნა არახწორია:
ბევრ ვინმესავით ავადმყოფობის
და თუ სიკვდილის არ გეშინია,
შენგან ოდესღაც ამ ქვეყანაზე
ისეთი კაცი დაიბადება,
შენ რა ნიშანსაც ატარებ ახლა
ბრძენი ღმერთები მას გადასცემენ.

უმცროსი ძმ

ო, ჩემო ძმაო, ისე უაწროდ
მესაუბრები, ვით უსინათლო,

რადაცას რომ გრძნობს უკუნ ღამეში.
შე დაკოდილი ხომ არ გგონივარ,
ანდა პირუტყვი, რომელიც სულაც
უურს არ იბერტყავს და ხხვა ცხოველებს
არაფერს არ თხოვს. საკმაოდ ვიცნობ
საკუთარ თავს და დადასტურება
არა მჭირდება.

უფროსი ძე

უველაფრის მცოდნე
ვერ დაგერქმევია, რადგან ბევრი რამ
ბავშვის გონისთვის კარდახშულია.

უფროსი ძე

ქაბუკი რომ ხარ, აბუჩად მიგდებ,
გულქვა, მუხთალო, უოფილო ძმომ?
ვიცი, რომ გაზრდა არ მიწერია,
ანდა აქამდე კი ვიწრდებოდი?
რაც გუშინ ვიყავ, დღესაც ის არ ვარ?
როგორ მოვიქცე, რომ გავიწარლო?
ან რანაირად გადავასხვაფერდე?
ბოლოს და ბოლოს ხომ ჯანსაღი ვარ!
ნაძალადევი და უგვანოა
სიფიცხე, ოცნება და სიხარბე?
დიდნი პატარებს ხომ ხშირ-ხშირად სჭიით
ახერხობის და უმეცრებისთვის?
შეც უმეცარი ნუ გეგონები!

უფროსი ძე

გეუო ჩიჩინი, რასაც შენ ამბობ,
ბევრი რამ თავად არ გაგეგება!
გუშინ და დღეს კი არ გარდაქმნილხარ,
რაც დაიბადე ამ ქვეყანაზე.
იმ დღიდან გატყობ, რომ არ გიყვარვარ.

უფროსი ძე

ვფიცავ, მიყვარხარ.

უფროსი ძე

სახტიკად ცდები.

უფროსი ძე

კიდევ მიყვარდი და ვოცნებობდი.

უფროსი ძე

ო, არახოდებს არ გუყვარებივარ.

უფროსი ძე

რაკი მაძალეხ, პირდაპირ ვეტყვი:
უნდა მძაგდე და მეწიწდებოდე
შე უიამყრალო ადამიანო.

უფროსი ძე

შენი აზრებით შედეგი მგონიხარ.
ანეთი დასკვნა გამოვიტანე:

თურმე დღეიდან იწყებ ცხოვრებას
ნამყო უოფილა ოინბაზობა.

უფროსი ძე

რასაც უუურებ, შასზე არ ფიქრობ
და თუ რამეს გრძნობ, მან ვერ აღიქვამ.
მე განა დღეს კი არ დაფრბადე,
ჩემნაირი რომ უოფილო უაფი,
არა მაგ ხნის და ცალკე გეცნობრა,
სუუველაფერზე უარს იტყობი:
როგორ დავხტობდი და ვთამაშობდი,
ისეთ საგმირო ამბებს მითხრობდი,
რომ ურუანტელი გვივლიდა ტანში:
ვილხენდიო, ვხტობდიო, ან ჩვენი ტანის
ფერს ვადარებდიო ერთიმეორებს
და არახოდებს წავკიდებულვართ.
გახსოვს, ცხოველებს როგორ ვიჭერდიო?
არა, მე დღეს არ დავხადებულვართ,
არც შენ უოფილხარ მარად ქაბუკი,
ვერაგობა კი არ მახსოვს შენგან.
შენი თავი თუ ცხადად მომბეწრდა,
მე აღბათ ძილშიც აღარ ვახვეწებ.

უფროსი ძე

შენ თუ ნახევარ სიმატლეს ამბობ,
მაშ, სანახევროდ შეც ვარ მართალი.

უფროსი ძე

აბა მითხარი, მაშ მამაჩემმა
რატომ მე არად ჩამაგდო და შენ
კობტა თეთრონით დაგახარქქრა?
ერთხელ, როდესაც ცბენს თვალი ვკიდე
და ხულელური, ბავშვეური კკუით
ლულულული მამას ჩემი წადილი
მორიდებით და ფრთხილად გავანდე.

უფროსი ძე

მამას გაანდე?

უფროსი ძე

ჰოდა, გულცივად
ასე მომიგო, პატარა ხარო.
ისიც კი მითხრა, ამ ქვეყანაში
უცხონი ვართო, არც აქაური
დიდშთავრებივით შექმნებულნიო.
გუმანით ვატყობ, შე არ ვუუყვარვარ
და შენ გოვლის თავის მესაიდუმლედ.

უფროსი ძე

შეშატანილი შეგუურებ, რადგან
მე ჩემი უურიო მომისმენია:
მითხრა, დღეიდან ბავშვი აღარ ხარ,
კორინთოელნიც მალე ჩვენ მოდგმას
გადამთიულად არ ჩათვლიანო.

სულ არ გვგონდება მთავრებთან რიდი,
არც უქონელი ვეგონით ვინმეს
კეთილშობილთა სისხლი...

უმცროსი ძე

გვიდუღსო?

სამარცხვინოა, ტყუილი უთქვამს
ის ბედაური შენთვის არა და
ჩემთვის კი უნდა ერთუქებინა,
მე ვთხოვე, შენ ზომ არ შეზღვევნიხარ.
რანაირადაც მოგესურვება,
რომ დააქენებ ცხენს აღმა-დაღმა,
მაგას არ მქვია მიკერძობება?

უფროსი ძე

მე შენ მიყვარხარ, ვიცი, მამასაც
ჩემზე ნაკლებად როდი უყვარხარ
და ჩემნაირად შენც გამეგობრებხ.
თუ ოდნავ მაინც გამოგზიზნდები.

უმცროსი ძე

სიმართლე მითხარ, გამეც პახუბი,
მამ რატომ გყავართ გარიდებულნი
მე როცა ვტირი, ჩემი ცრემლები
შენ სრულდებითაც არ გენადვლები.

უფროსი ძე

ჩემი თეთრონი უნდა გაჩუქო.
არ ვინავარდებ, მინდა გქეროდეს
რომ არასოდეს დამვიწყებინარ
და არც მიცდია განაპირება.

უმცროსი ძე

ეუ გარე გულით გიყვარდა მუდამ,
რატომ არასდროს გავიმჩნეია.
სულაც არა მშურს შენი ქონება,
მთავარი არის კეთილი სიტყვა
და არა რამის გაცვლა-გამოცვლა.

უფროსი ძე

(უკმაყოფილოდ)

შენს სიკერაებს და შეუპოვრობას
რაკი დიდხანს ვერ გავუშვლავდები,
წავად და მამას შევეხვეწები,
რომ კარის ქვეშოთ, როცა მე და შენ
ღამით ერთმანეთს წავფრურჩულებთ.
ორივეს ცხენი მოგვეყვარონ.

უმცროსი ძე

გარე

ერთი მითხარი, რით დაგაშინე.
არა, შენ ჩემი ძმა არ ხარ, არა,
მე თუ პატარა ქონდრიც კაცი ვარ.

შენ გოლიათი, ვეებერთელა.
შენ იზრდები და მე კი ვიღვივი.
ჩვენ, მომავალში, ერთმანეთს აღბათ
სულ ერთიანად ჩამოვცილდებით.

უფროსი ძე

(შებრუნდება)

ქობს, დაელოდო მწუხრის დადგობას



უმცროსი ძე

როგორც გენებოს მაგ შენს ბედაურს
ისე მიხედე. წინასწარვე ვგაძნობ,
დასუბტეზული ჩემი სხეული,
სადაც ცხავრების ნაშან-თვისება
აღარ გაქანებს, ამდენ დატვირთვას
ვეღარ გაუძლეჯს.

უფროსი ძე

რაკილა მამა

შენ არ ბრძანდება, გამოვიკითხავ
და სუყველაფერს ვეცდები, რათა
აღდეს ბედაური ხელში ჩავიგდო.
შენ არ იჭავრო, არც შეგეშინდეს,
მეც იპოლიტეს წაბედულობით
ვიმოკმედეა და ჩემსას მივადწევ.

(ჩქარი ნაბიჯით გაეშურება. უმცროსი ძმა
აღმზრდულს მიუბრუნდება).

უმცროსი ძე

აბა მითხარი, რაებსა ბოდავს.
სიყვარულზე რომ აღაქლაქდება,
შენამუშება. სადაც კი ჩემი
სული ტრიალებს, ეს იქ არ უნდა
დაბოგინობდეს; და თუ ერთად ვართ,
რადგანაც ხევრჭერ გამომიცდია,
იქ მხოლოდ ჩემი თავი მგონია.
ვიცი, მამას ეს ძალიან უყვარს,
საკითხავია, მე ვის გუყვარვარ?

ბალღების აღმზრდელი

აღდეს მამთავრდება მოვალეობა,
რა დაგარიგო? ხვალვე თუ არა,
აღბათ საცაა დავაგაყატდები.

უმცროსი ძე

რას მერუბნები, ადამიანო,
დედამ სხვა მიწინასწარმეტყველა.

ბალღების აღმზრდელი

(ჩუმად)

თუ მამაშენი კვლავ მეგობრულად
მოეკიდება შენი ძმის ქცევას
და არაფერში ხედს არ შეუშლის.

მე მაშინ უკვე ვიღაცას ვეძებდი
და ვაქარწყლდებო წანახარბილვა,
ვით ხელისგულზე დასხმული წყალი.

უხვროსი ძე

ჩემი ძმისაგან, ვინც ასე მიყვარს,
მისი მსგავსი რომ ვყოფილიყავი,
პატივისცემა არ შექნებოდა.

ბალღების აღმზრდელი

ღენ რომ გაუფრებს, მამა ნამდვილად
თავის თავს ხედავს; იაზონი ხომ
ქაბულკობაში შენგვარი იყო!
არ დაუკარგავს მიწშიდევლობა,
დრომ ვერაფერი ვერ დააკლო მის
ძალოვანობას და ნაოქებიც
ზოგ-ზოგებივით არ გახჩენია.
ეკლერიანმა გზამ სიყვარულისამ
ვერ დაუშობია ამაყი სული,
ენეციანობის უღვევი ნდომა,
სწრაფვა და გზნება ქარს გაატანა;
იგი სიბერეს არაფრად აგდებს.

უხვროსი ძე

მამაჩემისგან, ვინც ასე მიყვარს,
მისი მსგავსი რომ ვყოფილიყავი,
პატივისცემა არ შექნებოდა.

ბალღების აღმზრდელი

გრძნეული სიტყვით დაშინებულხარ
და დამფრთხალ ცხოველს დამსგავსებხარ.
მშობელი მამა ვანა მტერია;
მხოლოდ მტერს ძალუძს მწიფე ნაყოფი
დამწიფებულად არ მიიჩნიოს.

უხვროსი ძე

ნუ ამბავდევს ნუღარ აღმაგზნებ,
თორემ ნაღველი განმიახლდება!

ბალღების აღმზრდელი

გაყოფილები ვართ, მაგრამ არა
შერმაფროდიტნი. ეგ შენი სისხლი
ხარბაროსული და ჯალიხფერი,
და ხანაზევროდ დამყაყებული
შამანი, რაიც გულს გივიწროვებს.
უნდა დარწმუნდე, შენი არსების
ის ნახევარი ხვდა სხეულში რომ
ფარულად არის ჩაკახლებული.
მამ ჩაიხედეთ გულის სიღრმეში,
უველანი ორად ხართ გაყოფილი!
განა ერთგვარად, ზოგნი თანაბრად,
ზოგნი გეზად და უსწორმასწოროდ,
რადგან გაგზრდიათ მუიფე ძარღვები.

ერთი ნაღვია, უზენაესმა
მღელვარება და მოუსვენრობა
ქარბად დაიღება სუუველას გულში.

უხვროსი ძე

შენი სიტყვები ტირილს მანდომებს,
ერთ იგავს გატყუებულს გამოიხარე.
რაც უნდა იფიქროს უფროსს, რომ
აღამიანი ნარტობელაა.

აქ, კორინთოში, ცხოვრობს დროული
კაცი, რომელიც უბრალო ქვისგან
და ბრინჯაოსგან ღმერთებს და ბავშვებს
კი აქანდაკებს, მაგრამ ისეთებს
ვერა, დედა რომ შობს. გგონია მას
შეცნობილი აქვს ტანჯვა-წამება?

ბალღების აღმზრდელი

(პასუხს თავს არიდებს)
რა გიპასუზო?

უხვროსი ძე

არაფრის თქმა გხურს?
გადარეული გგონივარ აღბათ.
იცოდებ, რითაც მე გულს მიკოდავ,
ეგ შენი ყოველისმცოდნეობაა.
თბ, სისხლი ყელში მაწვება, მაგრამ
საუბედუროდ, ვერარა მიოქვამს.
(ჩქარი ნაბიჯით გაეშურება).

ბალღების აღმზრდელი

შეუღლებულთა მშვენიერო შთამომავლო,
ნადრევად რომ გამოფხიზლებულხარ,
ცრემლებს ღვრი და
ფუჭ ოცნებას მისცემიხარ!
შენი მომხიბვლელობაც ურევია, მედევ?
თქვენ დაიცავით, ღმერთებო!
ო. წინაპარო შელიოს, მიეც მას სიკეთე!
შეიბრალე ნაწი, ხუხტი არსება!
ამყოფე ჩანმრთელი!
მიეც საღი სხეული,
რათა ბედნიერი გაიზარდოს.

მონება

თქვენ დაიცავით, ღმერთებო!
ო. წინაპარო შელიოს, მიეც მას სიკეთე!
შეიბრალე ნაწი, ხუხტი არსება!
ამყოფე ჩანმრთელი!
მიეც საღი სხეული,
რათა ბედნიერი გაიზარდოს.

ბალღების აღმზრდელი

მიეც სიბარული!
დაე, ტირილი და გოდება.

მშვიდით უოფილიუოს მის ცხოვრებაში.
ბარაქა და ლოცვა-კურთხევა
არ მოკლდეს მის შვილებს მომავალში.
მათ სამემკვიდრეო მშვენიერ იერს
ღმერთების მსგავსთ; გამრავლებულა
და გაზარებული უოფილიუვენს ამ ქვეყანაზე
და შარავანდედით მოხილნი

მონები

წიგნ ხიზარული
დაე, ტირილი და გოდება
მშვიდით უოფილიუოს მის ცხოვრებაში.
ბარაქა და ლოცვა-კურთხევა
არ მოკლდებოდეთ მის შვილებს მომავალში,
მათ სამემკვიდრეო მშვენიერ იერს,
ღმერთების მსგავსთ; გამრავლებული
და გაზარებული უოფილიუვენს ამ ქვეყანაზე
და შარავანდედით მოხილნი.

იანონი

(შემოდის)

ვის ევედრები, ჩემ სასახლეში
წიგნია და შე არვინ მამცნო?

ბალღების აღმზრდელი

არა, ბატონო, ეგ მდაბიოებს
გვეკაშნიკება, მოწყალე ღმერთებს
ლოცვა-კურთხევა რომ გამოვთხოვოთ,
არ შეგულება კეთილი სული,
ჩვენი სურვილი რომ გამოიცნოს.
ჩვენს გულუბრვეილო ღირსეულ ხაუტარს,
ქრესო ღრიალს და ბრინწიან ხმას
აღხათ მრავალჯერ შიამყარ უური,
რაც უწმინდური ჩვენი პირიდან
ამოდოდა.

იანონი


მადლობას გიხდი

ქახუხისათვის, კმაყოფილი ვარ,
რომ უბრძანებლად ჩემი სასახლე
ლოცვა-კურთხევის კერად აქციე.

ბალღების აღმზრდელი

შენ ხარ ყველასთვის კეთილმზრახველი,
შორს გავარდნილა შენი სიმატლე,
არა უთავო მბრძანებლობა და
უგულისყურო მსახურთა რბევა,
არამედ სიღბო, უწყინარობა,
რაც სიკეთეს გვინერგავს ყველას;
ვერ ეგუება ჩვენი გონება
სამართალს, რადგან უოველდღიურად
აუარებელ შეცდომას ვჩადით.
მსახურებს უფრო მკაცრად კი არ სჯი,
ვიდრე გოშიას, მოსაკლავადაც

რომ ვერ იმეტებ. ნუ შეირყვნება
მსახურთა გვაში მკაცრ ბრძანებებით,
რასაც მთავარნი წიგნით ხჩადიან;
მათ წინ უმწეოდ ცახცახებენ და
დამწუხრებულან უკომაგონი,
რადგან უპოვართ ქველმა უფალმა
საბედნიეროდ მისცა ხელები.



იანონი

უცნაური და ბუნდოვანია
შენი ნათქვამი, გახსოვს, ოდესმე
ან მსახურები რომ გამეკელოს,
არ ურწმუნოთა გასაბრაზებლად
შემერყვნას მათი წარმომავლობა?
ანდა უოფილა შემთხვევა, როცა,
გაგულისებულს, ჩემი მსახურნი
თუნდაც შინიდან რომ დამეთხოვოს,
გაწერილებულფრებებიანები
დამიკოქლებია, მაგრამ აბა,
საწოლში მათთვის უური შიგდია,
ან შეუდროება დამირღვევია,
როგორც შენ ამბობ?

ბალღების აღმზრდელი

ეგ საყვედური

მართებულია, წყენიანობა
და ავკაცობა უნდა გამოვტყდე,
მართლაც არ გვახსოვს, აბა ვინ უწყის,
თუკი მსახური თვალეში ხშირად
გაგეჩხირება, უნდა მიხეგვო,
ან გააძეგო, ან სხვანაირად
უნდა დასაჯო? შენიანები
ძალიან გიყვარს, განა აწვალე
და აბეჩავებ. ოღიმპოს მადალ
მეუფეთ შევთხოვ, ჩვენი ცხოვრების
უშოკლეს გზაზე შენ ერთადერთ ღმერთს
არ მოგიშალოს ყველა სიკეთე,
რაც კი ამქვეყნად გაგიწევია.

იანონი

კარგი საბაბი გეძლევა, რათა
ეგრე წარმართო.

ბალღების აღმზრდელი

დიახ, ბატონო,

მაგრამ იცოდე, შენს სასახლეში
დიდხანს საკირო აღარ ვიქნები,
ხომ არ გსურს, სხვა რამ შემომთავაზო?
უნდა გამოვტყდე, უმცროსმა ვაგმა
ბავშვობის ბორკილს გადაუძახა.

იანონი

როგორ, ჭერ კიდევ ღლაპი არ არის?

ბალღების აღმზრდელი

ოცნება უნდა რომ შეისრულოს.
უფროსი ვაჟი შენს მოსაძებნად
გამოეშურა. ერთი თხოვნა აქვს,
აბა განზრახვას თუ მიუხვდები.

იანონი

ძმებმა რა, პირი შეკრეს?

ბალღების აღმზრდელი

მე ვდუმვარ,

რადგან ჭობია, თვითონ ბავშვებმა
პირდაპირ გითხრან ის გამოცანა,
ვიდრე კანკალით მე ჩავიკენყო.

იანონი

ჩემს წინააღმდეგ მხარდასაპერად
შენ მომხრეები გაგიჩენია.
მოწიფულები, როგორც ეტუობა,
მუშტებით სულ მთლად მე დამემსგავსენ.
ხედავ, იმდენი გავიდა ხანი,
თავზე კალარაც არ შემრჩენია,
ძმებს კი, ირკვევა, პირი შეუკრავთ
ამ ჩემი გულის გასახიებლად.
დრომოქმული ვარ ეს ხალი კაცი?
კი არ ვიზრდები, რაც ძალა შემრჩა
ქალსა და ბავშვებს რომ მოვახმარო.
ო, სორცშესხმული მშვენიერება
დილის ცვარსა მგავს, იმ ოქროს წვეთებს
ბალახზე ვწვები და ვეწაფები.
უფროსი ვაჟი მე მბაძავს თურმე,
ფე, მახე იყოს, ყველას თანაბრად
შერ ვუერთგულებ. ბინა ხავსეა
ტალიკ-ტალიკი მამაკაცებით,
ქალებიხა კი რა მოვახხენო.
აღარ გაისმის ბავშვთა ზრიალი
და აღარც ორსულთ ნაყოფსა ვხედავ,
გზააბნეული უმწიფარები
კი ამყოლიან თავიანთ გრძნობებს.
ჩვენ არ ვითვლებით, არა, მედევავ,
ვახსოვს წარსულის ის ტკბილი წამი,
რომელიც ჩვენ ვერ შევიწარჩუნეთ?

ბალღების აღმზრდელი

გატყობ, ბატონო, რადაც რომ გტანჯავს.

იანონი

არ შეიძლება რამე მტანჯავდეს,
რადგან ჭერ კიდევ ლამაზს, მოხდენილს,
მიყვარს, რაც კვეყნად მშვენიერია.
(შემოდინ მედევ და ძიძა).

მედაია

იანონი

იანონი

ქალო, ეზავ მკერდიდან
რანაირი ხმა ამოგივიდა!

მედაია

არ ველოდი რომ ეს იქნებოდა
და დაგირღვიე უშფოთველრბა.
უი, ეს რა ვქენ, ჩემი სიკვდილი,
შეგაშინე და აგაწრიალე!
ჩემი ხმა მოპგავს უძირო ზღვაში
იმ ამოვარდნილ მბორგავ ქარიშხალს.
სიკვდილის შიშით რომ გემშკრება?
სულ რომ გამირბი და შემადლები,
შენიანებსაც აღარ მაკარებ,
ნუთუ გწადია, რომ ყველასაგან
მოცილებულმა და მარტოდმარტო
კარჩაკეთილმა ასე ვიტანჯო?
ორი კვირაა პირადად ჩემთვის
არც სიტყვა გითქვამს, არც მონის პირით
შენ არაფერი შემოგიოვლია
გაუკაცურდა ჩვენი დარბაზი,
ჩვენს სასახლეში ერთ დროს ცხრვრება
მართლაც დულდა და გადმოდროდა.
მაგრამ ამდამად გაუდაბნოვდა.
მკვდარივით ვგდვივარ სულის შემსუთველ
ჩემს სავანეში, სადაც ნადველჩა
ფესვი გაიდგა დიდი ხანია,
თითქოს შავდება იქაურობა
და ძვირფას ოქროს მთლად ეკარგება
თვის ბრწყინვალეობა, საკმლის შუშები
ჩამუქებულა, რადგან მეუღლე
არც როკვა-როკვით, არც მოწყენილი,
არც მხიარული, არც მოლილინე
ჩემს ოთახისკენ არ მოიხედავს.
ორად გაიყო ჩვენი სასახლე:
ძაძისფერად და სინათლის მღენად,
ძველთაძველად და მთლად ახალ-ახლად,
სამხიარულოდ და მოსაწყენად,
ძალღვანობად და დიდ ხისუსტედ,
თანაწიარად და მარტომყოფად.
ნეტავი ჩემთვის რას გაიმეტებ?
მთლად დაფერფლილი და უსისხლბორცო,
ნაყრადქცეული ანდა უსულო
ხომ არ გგონივარ? ამ ჩემს ძარღვებში
ან სისხლი აღარ მიედინება,
ან ხნოვანებით მრავალეამეულს
უეცრად დვიძლი გადამიგვარდა?
ან ჩემი კოცნა აღარ გიწიდავს,
ან ხურნელება ჩემი სხეულის?

იანონი

მაცოფებს შენი თავაშვებული
და უთავბოლო წამოყვირება,

ძვირად მიჭლება გამოდავება,
 როცა შენს ცრემლებს, რისხვას და წუწუნს
 გაუთავებელივ ბოლო არ უჩანს.
 ბაქალლო ოქრო არ გაშავდება,
 თუ, რა თქმა უნდა, ყალბი არ არის.
 ხარკმლის მინებიც არ გამოქდება,
 თუკი ბინაში ვინმე ცხოვრობს და
 ქადოქრის ხელი არ ურევია.
 თუ ქვებს დროდადრო მტვერი ეღება,
 მაგას ღმერთები წარმართავენ და
 მე არაფერში არ მიდევს წილი.
 შენი უვირილი განაღა მარტო
 მე მხვდება გულში. ღმერთებს ზედმეტად
 აღიზიანებს — კრონოსს, რომელმაც
 ჩვენ განგვისაზღვრა სიცოცხლის დღენი.
 ძალბიძს კი ასაკს რომ შევებრძოლო?
 შევძლებ ბავშვივით აცუნცრუკებას,
 ანდა კაბუკებს ვით შევედარო?
 ეგ თვითონ შენ არ დამიდასტურე?
 ჩრდილნი ხომ შენ გააჩინე.
 შენი მოხუცი მსახურებისგან
 ნუთუ არახდროს მოგისშენია,
 რომ მოწიფული შეიღების მამას
 მუხლებში ძალა გამოლევია?
 დიას, სხვაგვარად ეგ არ ეგებოს.
 მოხუცს ვინ მოსთხოვს, რაც კაბუკს ძალუძს.
 მამაკაცს — ბავშვის დაუდგრომლობას?
 მე შენს ტანჯვაში არა მაქვს ბრალი
 და ძველებურად მიუვარხარ ისე.
 როგორც შეძფერის გაფრენილ დღეებს.

მედიკალინური მედიცინის ინსტიტუტი

შე უღმობებლო, გულშემწარავო
 და დაწყევლილო აღამიანო,
 შემიტყუებენია შენი სიტყვები,
 რამაც ეგ გული ღრმად დამიკოდა!
 ჩემი შეიღების წყევლა-კრულვაში
 აშკარადება ქალის გუნება —
 განწყობილება და სანამ დროა,
 კბილი კბილს უნდა დავაპირო და
 ფრთხილად მოვიქცე. მამაკაცზე კი
 რაც ითქვა, იგი შენ არ გეზება;
 სამაგიეროდ დედას ორმაგად
 და სამმაგადაც ავადღებულეებს
 მოვალეობა, რადგანაც იგი
 ხეშვების გვერდით აღამ-ათენებს.
 ამიტომ დროზე ადრე ბერდება,
 რაკი ბავშვების სიცილ-კისკისზეც
 ღამე შიშით და ძრწოლით აღვიძებს.
 მათი მკერდიდან ამონახუნტქში
 ჩანს სიმშვიდე და უწყინარობა,
 ზუბადი მდოვრედ მიედინება
 და უკან რჩება მარად ღამაში,
 დაუდგრომელი ჩვენი ცხოვრება.
 გინდა, რომ მითხრა, უკვე დავბერდი.

ყოველდღიურად მიტყნება კანი,
 სამაგიეროდ ჩვენი შეიღები
 ტანადღებთან და მშვენდებთან.
 ეჭვი არა მაქვს, შენი ნათქვამი
 გამიწნულია ჩემ მისამართით,
 რაღა თქმა უნდა, ბერძენ ქალს მაგას
 არც შებედავდი. არც აკადრებდი,
 ბარბაროს დიაცს ეხება ლანძღვა,
 შევკანიანად რაკი ვშობილვარ
 შენი პირიდან მკვახედ გაისმა —
 ზნე-ჩვეულების, წესის დამრღვევი,
 ეგ ქადოქარი ზანგი ქალიო.
 შენ იარაღად იყენებ მაგ ხერხს,
 რომ უველას თვალში მამასხარავო,
 მაგრამ ერთხელაც მე არ მიცდია,
 შენ პირში ბურთი რომ ჩამეჩარა,
 ამიტომ იყო, გულდრძო სიტყვები
 კიდევ მრავალგზის მეორდებოდა.
 ეგ, სადღა არის ის მოქნილობა,
 რომ აღარ ვცევავი, აღარ დავხტივარ
 და ციბრუტივით აღარ ვტრიალებ.
 ჩემი სიშიშვლე სათაკილოა,
 ბნელი ღამე და საბურავი კი —
 თავშესაფარი. სანთელი რაა,
 იხიც არ არის ამ ჩემს ბუნაგში.
 გადაგავიწყდა, ეგ შენი გული
 თუ რანაირად მოვინადირე?
 რაც ღმერთებს ჰქონდათ გადაწყვეტილი,
 აღბათ თავიდან ამოგივარდა, —
 სიცოცხლე ნუთქერ რომ დავიბრუნე.
 ჩემი ხარჩო და საბადებელი,
 რაც შენ მოგანდრე დიდი ხანია,
 შენს საკუთრებად გამოაცხადე,
 მე კი დამტოვე ხელცარიელი.
 ერთს ვიტყვი მხოლოდ: რაკიღა ხტყუი,
 ვეცდები, ახლავ გამოგამეღვენო,
 იაზონ, ჭერ არ დაბერებულხარ.
 ერთ ადგილას ხმა გავარდა უცებ,
 რაც ჩმახვან და მტკნარი სიცრუე,
 თითქოს შენს სხეულს ჩემ ქადოქრობით
 ძველი მშვენება შევუნარჩუნე.
 ჭერ საკუთარი ხული გაძარცვე.
 ახლა გსურს იქვე ფარისევედად?
 შენ სიბერისა არა გცნია რა!
 სამარის კართან რომ იყო, მაშინ
 განა მაგგვარად მოიქცეოდი.
 შე მატყუარავ, ჯანდაკი ვეთქმის,
 კაბუკურად ხარ გატაცებული?
 აქამდე შეგჩრა მოქნილი ტანი,
 თანდათანობით უფრო დამშვენდი.
 შენ შეგიძლია დაუღალავად
 დაგროვილ გრძნობის უხვად გადმოღვრა,
 როგორც ფურჩიმს მძუნობისაბ.
 თანამწრაბველად ვინც შეარჩიე,
 მთელმა ქვეყანამ შეიტყო უკვე.
 შენ ხომ მსახურნი გადაიბირე.



თანამოაზრე უფროსმა ვაჟმაც
 არ დააყოვნა და მოგახარა:
 ახლაც ისე ხარ შეყვარებული,
 სიკაბუკეში რომ იყავიო.
 მიტომ გაურბი შეუღლის საწოლს,
 წამდაუწუმ რომ ცრემლად ვიღვრები?
 ამიტომ ვჩივი არა შენს ძალას,
 მდინარის კიდე რომ გადალახა
 და ზღვას მთლიანად არ შეუერთდა.
 არმედ სოფლის მიდამოებში
 ამღვრეულობა სულ რომ დაკარგა:
 ის ამომშრალი, მიგდებული ზღვა
 მე ვარ, რომელსაც გამონაფონი
 დღემდე მაყოცხლებს და მასულდგმულებს,
 თუმცა ვერ აღწევს მარჩლის ვორას,
 იწრიტება და მანამდე შრება.

იანონი

სირცხვილი მქენჯნის, რომ გეცოდები.

მედეა

ნუ დაგაღონებს შემწარაობა
 და ამნაირი აბობოქრება,
 ეგ ქალის გულში დაბუდებული
 თანდაყოლილი სიბოროტია.
 მაშ, შეიბრაღე ბეჩავის გული
 და სულ ერთბაშად ნუ დაიფიწვებ,
 ვინაც ღმერთებზე მეტად უყვარდი.
 არ დაიფიწყო მედეა, ვინაც
 შენი გულისთვის გატება ფიცი,
 თავი მოეჭრა, მკვლელი შედრქვა
 და დღენიადაც შენ სასიკეთოდ
 მალალ ღმერთებსაც არ ებუება.
 მაშ გადიფიქრე, იბრუნე პირი,
 ცოდო-ბრალი რომ არ დატრიალდეს,
 რადგანაც თავის განმარტოება
 უმძიმეს ტვირთად მაწვება მხრებზე.
 ძალშიცხ, ვისწავლო უველაფრის ზიზღი,
 რაც ხელ-ფეხს მიკრავს, წინ მეღობება
 და მიმაქანებს ცივ სამარისკენ.
 თქვენც მეზიზღებით, ჩემო შეიღებო,
 უველა სულდგმული და საბღეული
 სიამტკბილობას ვინც კი ეძღვევა.
 თუ მარტოოდენ შეიღები ვიყვარს
 და მე არაფრად არ მიგაჩნვიარ,
 ჩემზეც იფიქრე, თუ ნაადრევად
 არ ჭხურს იხილო მათი სიკვდილი
 მე შენ გარეშე, გულდაჭერებით,
 ქვეყნად სიცოცხლე არ შემიძლია.
 მხოლოდ შეიღები სიამოვნებას
 ვერ მანიჭებენ. მაშ, ვის უყუვარვარ?

იანონი

აუცილებლად მელოდე ღამით.

ძიძავ, ბრუ მესხმისი ჩერ არ ჩამქრალა
 უკანასკნელი ჩემი ვარსკვლავი.
 გული ტყუილად შემომკენებოდა,
 ავი ნიშნებიც მაპამპულეზდნენ.
 ღმერთები ცუდად შეხუბრებოდნენ.
 იაზონმა ხომ მომცა პირობა,
 მოდი და ისევ თანწამაყვანენ.
 ცრემლით მევენება თვალის ტენება

ძიძა

მცდარი ყოფილხარ, უმართებულოდ
 რომ აბობოქრდი. რომ უსაფუძვლო
 შიში ყოველთვის უბედობაზე
 უარესია. როცა არ იცი,
 რთულია, ვინემ გამოცნობილი
 ტანჯვა-წამება. წინასწარგაძნობა,
 რითაც ღმერთები სულს გვიძრწუნებენ,
 სუველაფერზე შიშნეულია.
 (მედეა გაღის).

იანონი

(უკმაყოფილოდ)

ძიძავ, შეჩერდი და მიპასუხე:
 მოვარე ნახევრად რომ შეივსება,
 მედეა უმალ დღის შუქს გაურბის.
 ოთახში მარტო კარჩაკეტილი
 და მოწყვეტილი გარე სამყაროს,
 შუალამისას მცურავ ღრუბლებში
 მბრწყინავ ვარსკვლავებს მისჩერებია.
 მის სამყოფელში მხრჩოლავი აღის
 სხივთკონას აქსოვს და რაც სურვილი
 გულს ჩარჩენია, მას უზიარებს.
 ეს იმ სამყაროს ხარკია, რასაც
 მიშტერებია გაქნილი ქალი.
 მის გარშემო მყოფ ახლობლებსაც კი
 უყურებს რაღაც ათვალწუნებით.
 გამარჯობის თქმა არ ემარკვება,
 თუ თავს დაუკრავ, ნაუცბათევად
 და უთავაზოდ მოგესალმება.
 ტრაპეზს ვერ იტანს დასანახავად.
 აბუჩად იგდებს უფროს ვაჟს, უმცროსს
 ჩემ წინააღმდეგ აგულიანებს.
 ის ხომ კკუაზე აფრაკად არის!
 მადლობელი ვარ ღმობიერ ღმერთის,
 ვისი წყალობაც ჩადოქმნელ საკმლით
 მახეში აბამს უმრწემეს უმაწვილს.
 მე ვერ გავბედავ, მის ოცნებაში
 დედა ჩავრიო. ჩემი ვაღია,
 ამგვარი რამ არ მოვიმოქმედო.
 გასამართლების ღირსია იგი.



შვიდი ჩამოხრჩობილის ამბავი

აქლვანა ლ. ნ. ბოლსაძის



თარგმანი ანზორ აბთაძისა

1. დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულება!

რადგან მინისტრი საკმაოდ მსუქანი იყო და აბოპლექსიისაკენ მიდრეკილიც, საბიფათო მღელვარების ასარიდებლად დიდი სიფრთხილით მოახსენეს, რომ მასზე ძალიან სერიოზული თავდასხმა მზადდებოდა. რაკი დაინახეს, რომ მინისტრი მშვიდად შეხვდა ამ ამბავს, — ლიმილითაც კი, — შეატყობინეს დანარჩენი წვრილმანებიც: თავდასხმა უნდა მოეწყობა მორე დღეს, დილით, როცა იგი მოხსენების გასაკეთებლად წავიდოდა. რამდენიმე ტერორისტი, რომლებიც უკვე გაეცა პროვოკატორს და გულმოდგინედ უთვალთვალდნენ მამებრები, დღის პირველ საათზე ბომბებითა და რევოლვერებით შეიარაღებულნი შეიყრებოდნენ შესასვლელის წინ და მის გამოსვლას დაელოდებოდნენ. სწორედ იქ დაიჭერდნენ მათ.

— დაიცათ, — გაიკვირვა მინისტრმა, — საიდან იციან, რომ დღის პირველ საათზე წავალ მოხსენების გასაკეთებლად? მე თვითონ ეს მხოლოდ გუშინწინ შევიტყვე.

დაცვის უფროსმა ხელები გაშალა: — სწორედ დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულება. გაკვირვების თუ მოწონების ნიშნად. პოლიციამ ასე კარგად რომ მოაგვარა ყველაფერი. მოლუშულმა მინისტრმა თავი დაიქნია და სქელი, მუქი ტუჩებით გაიღიმა. პოლიციის შემდგომ მოქმედებაში ჩარევა აღარ ისურვა, სწრაფად მოემზადა და ლამის გასათევად ერთ სტუმართმოყვარე სასახლეში წავიდა. საბიფათო სახლიდან, რომლის აბლოს ხვალ ბომბის მსროლელები უნდა შეკრებილიყვნენ, მინისტრის ცოლიც გაიყვანეს ორი შვილითურთ.

სანამ უცხო სასახლეში სინათლე ჩახჩახებდა და ნაცნობები გულითადად ესალმებოდნენ, უღიმოდნენ და აღშფოთებას გამოხატავდნენ, მინისტრი სასიამოვნოდ იყო აგზნებული. თითქოს ეს-ესაა დიდი და მოულოდნელი ჭილდო მიეცათ. ან საცაა მისცემდნენ, მაგრამ საზოგადოება დაიშალა, შუქი ჩააქრეს და სარკვეებიდან ჭერსა და კედლებზე ჭუჩის ელექტრული ფარების ნაზი და იდუმალი სინათლე დაეფინა. ჭუჩიდან შემოსულმა სინათლემ — ამ სურათებიანი, ჭანდაკებებიანი, მიწყნარებული სახლისათვის უცხო — აუფორიაქა ფიქრი, რომ ამას იყო ყველაფერი, — ეს საკეტები, გუშაგები და კედლები მას ვერ დაიცავდნენ. და სხვის საძილე ოთახში, ლამის სიწყნარესა და მყუდროებაში, მინისტრი აუტანელმა შიშმა შეიბყრო.

თირკმლები აწუხებდა და ყოველი ძლიერი მღელვარებისას წყლით ევსე-

ბოდა, სახე, ფეხები და ხელები უშუპდებოდა და სხეული თითქოს უფრო დიდი და სქელი უხდებოდა. იწვა ზორბა ტანისაგან ჩაზნექილ, ზამბარებიან საწოლზე, ავადმყოფი ადამიანის ნაღვლიანობით გრძობდა, როგორ შეშუპებოდა, როგორ გაუცხოებოდა პირისახე, და აკვიატებულად ფიქრობდა ამ საშინელ ბედზე, მისთვის რომ გაემზადებინათ, თანდათან გაიხსენა საშინელი შემთხვევები, როდესაც მასავით წარჩინებულ და უფრო მაღალე ჩინის ადამიანებს ესროლეს ბომბები. აფეთქებამ მათი სხეულები მთლად დაწვეს, მათი ტვინი აგურის ქუჩყიან კედლებს შეანთხია, კბილები კი ძირს მიმოფანტა. იხსენებდა ამ შემთხვევებს და ეჩვენებოდა, რომ ეს მსუქანი, ავადმყოფი, საწოლზე გამზლართული სხეული სხვისი იყო, რომელსაც უკვე განეცადა აფეთქების ცეცხლოვანი ძალა. ეჩვენებოდა, თითქოს ხელები სცილდებოდა ტანს, კბილები სცივოდა, თითებაფშეკილი ფეხები უშეშდებოდა. იგი აქეთ-იქით ტროალებდა, ქშინავდა, ახველებდა, რათა არ დამსგავსებოდა მიცვალებულს, გაეგონა ზამბარების ჭრიალი, საბნის შრიალი. და რათა ერწმუნა, რომ ნამდვილად ცოცხალი იყო, რომ სიკვდილი ერთი ბეწოთიც არ შეხებოდა და არც კი მოახლოებოდა, საძილე ოთახის სიჩუმესა და მყუდროებას არღვევდა მისი მაღალი, ბოხი ხმით წარმოთქმული ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები:

— ყოჩაღ, თქვენ! ყოჩაღ! ყოჩაღ!

იგი აქებდა მადებრებს, პოლიციას და ჯარისკაცებს, მისი სიცოცხლის მცველებს, ასე დროულად, ასე მარჯვდ რომ გადაარჩინეს სიკვდილს. წრიალებდა ლოგინში, ქებას ასხამდა მათ, ნაძალადევი, ცალყბა ღიმილით დასცინოდა სულელ ტერორისტებს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ერწმუნა, გადარჩენილი რომ იყო და მისი სიცოცხლე უცებ, მოულოდნელად არ დასრულდებოდა. სიკვდილი, რომელიც ადამიანებს მისთვის ჩაეფიქრებინათ, თითქოს აქვე იდგა და მანამდე იდგებოდა, სანამ არ დაიქერდნენ თავდამსხმელებს, არ წაართმევდნენ ბომბებს და არ ჩაამწყვდევდნენ შეუვალ ციხეში. აგერ, იმ კუთხეში დგას სიკვდილი და არ მიდის, არ შეუძლია წასვლა, როგორც მორჩილ ჯარისკაცს, ვილაციის ნებით და ბრძანებით რომ დაუყენებიათ სადარაჯოზე.

— დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულებავ! — კვლავ ჩაესმოდა ეს ფრაზა, ხან მხიარული და დამცინავი, ხან ჭიუტი და ყეყეჩური. თითქოს საძილე ოთახში ასობით მომართული გრამოფონი იდგა და იდიოტური გულმოდგინებით იმეორებდა:

— დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულებავ!

და ეს ხვალინდელი „დღის პირველი საათი“, რომელიც აქამდე არაფრით გამოირჩეოდა და მხოლოდ ისრების მშვიდი ძრაობა იყო ოქროს საათის ციფერბლატზე, უცებ ავბედით სინამდვილედ ჩქცა, ციფერბლატიდან გადმოხტა, დაიწყო დამოუკიდებელი არსებობა, დაგრძელდა, იქცა უზარმაზარ შავ ბოძად, რომელიც მთელ ცხოვრებას ორად ჰკვეთდა. თითქოს არც ამ საათამდე, არც ამ საათის შემდეგ არ არსებობდა არავითარი დრო. და მას, ამ ერთადერთ დროს, თავხედსა და ამბარტაევანს, რაღაც განსაკუთრებული არსებობის უფლება ჰქონდა.

— რა გნებაეს, რა? — ბრაზით, კბილებში გამოსცრა მინისტრმა გრამოფონები კი ღრიალებდნენ:

— დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულებავ! — ელმიკებოდა შავი ბოძი და თავს უკრავდა.

მინისტრმა კბილები დააღრჭიალა, წამოიწია საწოლიდან, დაჯდა და სახე

ხელისგულებში ჩარგო, — ნამდვილად არ შეეძლო დაძინება ამ საზიზღარ ღამეს.

და სუნამოდაპყრებულ ფუნთუშა ხელისგულებში სახეჩარგულმა მინისტრმა შემადრწუნებელი სიცხადით წარმოიდგინა, რა მშვიდად ადგებოდა დილით, ეკვისაგან თავისუფალი, შემდეგ ასევე მშვიდად დალევდა ყავას. შემდეგ კი წინკარში ჩაიკვამდა. და არც თვითონ, არც ქურქის მომწოფებელი იყარს, არც ყავის მომტან ლაქიას არ ეცოდინებოდათ, რომ სრულყოფილად რომ იყო ყავის დალევაც და ქურქის ჩაცმაც, ვინაიდან რამდენიმე წამის შემდეგ ყოველივე ამას — ქურქსაც, სხეულსაც და შესმულ ყავასაც აფეთქებდა გაანადგურებდა, სიკვდილი წარიტაცებდა. აი, შვეიცარი ალებს შემინულ კარს... იგი, — კეთილი, საყვარელი, ალერსიანი შვეიცარი, რომელსაც ცისფერი ჯარისკაცული თვალები და ორდენებით დაფარული მკერდი აქვს, თავისი ხელებით ალებს საშინელ კარს, ალებს, რადგან არაფერი იცის; ყველა იღიმება, რადგან მათაც არაფერი იციან.

— ოჰო! — წამოიძახა უცებ ხმამაღლა და ხელისგულები სახეს მოაცილა. დაძაბულად იყურებოდა სიბნელეში სადღაც შორს. ნელა გაიშვირა ხელი, ჩამრთველი მოსინჯა და სინათლე აანთო. წამოდგა, ფეხშიშველმა გაიარა ხალიჩაზე უცხო, უცნობ საძილე ოთახში, კიდევ ერთ კედლის ნათურას მიანო და ისიც აანთო. საძილე ოთახი ნათელი და სასიამოვნო გახდა. მხოლოდ არეული საწოლი და იატაკზე ჩამოვარდნილი საბანი მიანიშნებდა ჯერ კიდევ გაუნელებელ შიშისზარზე.

ღამის საცვლებით, შფოთვისაგან აწეწილი წვერით, ბრაზიანი თვალებით, მინისტრი ჰგავდა ჩვეულებრივ გაბრაზებულ ბებერს, რომელსაც უძილობა და მძიმე სულისხუთვა აწუხებს. სიკვდილმა, რომელსაც ადამიანები უმზადებდნენ, თითქოს გააშიშვლა იგი და ჩვეულ ფუფუნებასა და ბრწყინვალეობას მოსწყვიტა; და ძნელი იყო დაჯერება, რომ ამოდენა ძალაუფლებას ფლობდა, და ეს სხეული, ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანური სხეული, უნდა დაღუპულიყო საზარლად, საშინელი აფეთქების ცეცხლსა და გრუხუნში. ჩაუცმელი იყო, მაგრამ სიცივე არ უგრძნია. სავარძელში ჩაჯდა, აწეწილი წვერი ხელით გაისწორა და მშვიდსა და ღრმა ფიქრებში ჩაძირული ყურადღებით მიაშტერდა უცხო, მოჩუქურთმებულ კერს.

აი, თურმე რა ყოფილა! აი, თურმე რატომ დაფრთხა და აღელდა. აი, თურმე რატომ დგას ის, სიკვდილი, კუთხეში და არ მიდის. არ მიდის.

— სულელები! — თქვა მან ზიზღით.

— სულელები! — გაიმეორა ხმამაღლა და ნელა მიაბრუნა თავი კარისაკენ, რათა იმათ გაეგონათ, ვისაც ეკუთვნოდა. ეკუთვნოდა კი იმათ, რომელთაც წელან ყოჩაღებს ეძახდა და რომლებმაც მეტისმეტი ერთგულების გამო დაწვრილებით აუწყეს მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.

„რასაკვირველია, ასეა, — ფიქრობდა იგი, ერთბაშად მოლონიერებული და გონს მოსული. — რომ შემატყობინეს და ვიცი, სწორედ ამიტომ შევშინდი, მაგრამ რომ არაფერი მცოდნოდა. ცხადია, ყავასაც გულმშვიდად მივირთმევდი. შემდეგ, რა თქმა უნდა, მოგკვდებოდა, მაგრამ განა მე სიკვდილის მეშინია? აი, თირკმლები მტკივა და მოგკვდები კიდევ როდისმე. მაგრამ სრულებითაც არ მეშინია, რადგან არ ვიცი, როდის. ამ სულელებმა კი მითხრეს: დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულებავ! რეგვენებს ეგონათ, გამეხარდებოდა. ის კი დადგა კუთხეში და აღარ მიდის. აღარ მიდის, იმიტომ, რომ მასზე

ვფიქრობ, სიკვდილი კი არაა საშიში, არამედ იმის ცოდნა, თუ როდის მოვა. სრულიად აუტანელი იქნებოდა ცხოვრება, ადამიანმა ზუსტად რომ იცოდეს ის დღე და საათი, როდესაც მოკვდება. ეს ყეყეჩები კი მაფრთხილებენ: „დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულება!“

იგი ისეთმა სიმშვიდემ და ნეტარებამ მოიცვა, თითქოს ვინმეს ეთქვას, უკვდავი ხარ და არასოდეს მოკვდებიო. ისევე ძლიერ დაუკვირვნიან ადამიანად იგრძნო თავი ამ ყეყეჩების ბრბოში, ასე უაზროდ და თავსუფროსად იგრძნო კდლილობდნენ მომავლის საიდუმლოს ამოცნობას. შეუცნობლობა ნეტარებააო. — და ასეცნა და ბებერი, ავადმყოფი, ბევრის მნახველი ადამიანის მძიმე ფიქრებში ჩაიძირა. არც ერთმა სულიერმა, არც ადამიანმა და არც მხეცებმა არ იცის თავისი სიკვდილის დღე და საათი. ამას წინათ ავად იყო. ეჭიმებმა უთხრეს, ვერ გადარჩებიო, და ურჩიეს, უკანასკნელი განკარგულებანი გაეცა. მან არ დაუჭერა ეჭიმებს და მართლაც გადარჩა. ჭაბუკობაში კი ასეთი რამ შეემთხვა: ცხოვრება როგორღაც აებურდა და თავის მოკვლა გადაწყვიტა. გაამზადა რევოლვერი, დაწერა წერილი და თვითმკვლელობის საათი დანიშნა, მაგრამ უკანასკნელ წამს გადაიფიქრა. ასეა, სულ ბოლო წამს შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს, მოულოდნელმა შემთხვევამ შეიძლება ყველაფერი შეატრიალოს. სწორედ ამიტომ არ ეგების თქმა, მოკვდებიო.

„დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულება“, — უთხრეს ამ ვირებმა. და თუმცაღა იმიტომ უთხრეს, რომ სიკვდილი თავიდან იყო აცილებული, მაგრამ თვით ამ შესაძლებელი სიკვდილის დროის წინასწარ გაგებამ აავსო იგი შიშისზარით. სავსებით დასაშვებია, რომ ოდესმე მოკლავენ, მაგრამ ხვალ ეს არ მოხდება, ხვალ ეს არ მოხდება. — და მას შეუძლია მშვიდად დაიძინოს, როგორც უკვდავმა. რა იციან იმ ყეყეჩებმა. როდენ დიადი კანონი ხელჰყვეს, როგორი ფარდა გახსნეს, როდესაც იდიოტური თავაზიანობით მოახსენეს: „დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულება“.

— არა. დღის პირველ საათზე არა, თქვენო აღმატებულება. არავინ იცის, როდის. არავინ იცის. რაო?

- არაფერი, — უპასუხა სიჩუმემ, — არაფერი.
- არა, შენ რაღაც მითხარი.
- არაფერი. სისულელეა. ხვალ, დღის პირველ საათზე-მეთქი.

უეცრად მწვავე ნალველი შემოაწვა და მიხვდა, ვერ დაიძინებდა, ვერ მოისვენებდა, ვერ გაიხარებდა, სანამ არ გაივლიდა ეს წყეული, შავი, ციფერბლატიდან გამოსხლეტილი დრო. სიკვდილი, რომელიც კუთხეში იდგა, ოდენ მკრთალი აჩრდილი იყო იმისა, რაც არც ერთმა სულიერმა არ უნდა იცოდეს. და ეს საკმარისი გახლდათ, რომ სინათლე სიბნელედ ქცეულიყო და ადამიანი წყვდიადში ჩაფლულიყო. ერთხელვე აფუთფუთებული შიში, სიკვდილის შიში, გაინთხა სხეულში, გაიბჯნა ძვლებში, გამოჰყო ფერმკრთალი თავი სხეულის ყოველი ფორიდან.

ხვალინდელი მკვლევლების შიში უკვე აღარ ჰქონდა. ისინი გაქრნენ, დავიწყებას მიეცნენ, გაითქვიფნენ მტრული ძალების ბრბოში, გარემომცველ ყოფიერებაში. მას ახლა რაღაც უეცარისა და მოულოდნელის ეშინოდა: აბოპლექსიური დამბლის, ან გულის გახეთქვის, ან რომელიმე სულელური წვრილი აორტის, რომელიც უცებ ვერ გაუძლებს სისხლის წნევას და გასკდება, როგორც მსუქან თითებზე მჭიდროდ ჩამოცმული ხელთათმანი.

შეაშინა თავისმა მოკლე, მსხვილმა კისერმა, გათქვირებულმა თითებმა, —

მოკლევბმა და სასიკვდილო ტენბთ საესეებმა. და თუ ადრე, სიბნელეში, იგი მოძრაობდა. რათა არ დამგვანებოდა მკვდარს, ახლა ამ კაშკაშა, ცივ და მტრულ, საშინელ სინათლეზე განძრევაც ვერ გაბედა, რომ მსახურისათვის დაერეკა და პაპიროსი მოეთხოვა. ნერვები დაეჭიმა, ყოველი ნერვი აჯაგრულ მავთულს ჯგავდა, რომლის წვერზე პატარა თავი ქანაობდა შიშისაგან თვალეზადმოკარულული, კრუნჩხვისაგან პირდაღებული, დამუნჯებული და სულშეხუთული. სუნთქვა გაუძნელდა.

და უცებ, სიბნელეში, სადღაც ჭერთან, მტვერსა და აბლაბუღებში შორის ელექტროზარი აწკრიალდა. მეტალის პატარა ენა ცახცახითა და შიშით ეხლებოდა წკრიალა თეფშს. ზარი წყდებოდა და მერე ისევ მოუთმენლად, შიშითა და ძრწოლით წკრიალებდა. თავისი ოთახიდან რეკავდა მისი აღმატებულება.

შემოიბრბინა ხალხმა. აენტენ აბაჟურები და კედლის ნათურები. ოთახისათვის სინათლე საკმარისი არ აღმოჩნდა, სამაგიეროდ საკმაოდ დიდი რაოდენობით გაჩნდნენ ჩრდილები, რომლებიც არილდნენ კუთხეებში, გაიჭიმნენ ჭერზე, მიეკვრნენ კედლებს. ძნელია თქმა, სად იყვნენ აქამდე ეს ურიცხვი, მახინჯი, მღუმარე ჩრდილები, უტყვი საგნების უტყვი სულები.

ვილაცამ ბოზი, მთროლოვარე ხმით რაღაც ხმამალლა თქვა. შემდეგ ექვმი გამოიძახეს ტელეფონით: წარჩინებული პირი შეუძლოდ იყო. გამოიძახეს მისი აღმატებულების მეუღლეც.

2. მიესაჯათ ჩამოხრჩობა

სწორედ ისე მოხდა, როგორც პოლიცია ვარაუდობდა. ოთხი ტერორისტი, — სამი მამაკაცი და ერთი ქალი, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ბომბებით, ჯოჯობეთური მანქანებითა და რევოლვერებით, — შეიპყრეს სწორედ შესასვლელთან, მეხუთე კი იპოვეს და დააპატიმრეს მისსავე კონსპირაციულ ბინაზე. ამასთან ხელში ჩაიგდეს ბევრი დინამიტი, ნახევრად გაწყობილი ბომბი და იარაღი. ყველა პატიმარი ძალიან ახალგაზრდა იყო: მამაკაცთაგან ყველაზე უფროსი ოცდარვა წლისა, ქალთაგან ყველაზე უმცროსი კი ცხრამეტისა. ისინი გაასამართლეს იმავე ციხეში, სადაც დაპატიმრების შემდეგ ისბდნენ. სასამართლომ სწრაფად და უხმაუროდ ჩაიარა, როგორც იმ დაუნდობელ დროს ხდებოდა ხოლმე.

სასამართლოზე ხუთივენი მშვიდად იყვნენ, ფიქრში წასულნი და სერიოზულნი ჩანდნენ: ისე ძლიერი იყო მათი ზიზლი მოსამართლეთა მიმართ, რომ არავინ ცდილა, ზედმეტი ღიმილით ან თვალთმაქცური მხიარულებით გაესვა ხაზი თავისი სიამაყისათვის, მშვიდად იყვნენ, ცდილობდნენ, უცხო, ბოროტი და მტრული მზერა არ მისწვდომოდათ აღსასრულის წინ მათ სულებს. ზანდაზან უარს ამბობდნენ პასუხის გაცემაზე, ხოლო თუ პასუხობდნენ, მხოლოდ მოკლედ, უბრალოდ და ზუსტად, თითქოს პასუხები მოსამართლეებს კი არა, სტატისტიკოსებს სჭირდებოდათ რაღაც განსაკუთრებული ცხრილის შესადგენად, სამმა. — ორმა მამაკაცმა და ერთმა ქალმა, — გაამხილა ვინაობა, ორმა კი უარი თქვა და ისინი უცნობებად დარჩნენ მოსამართლეთათვის. სასამართლოზე ბრალდებულები ყველაფერს საკმაოდ გულგრილად, უინტერესოდ უყურებდნენ, რაც დამახასიათებელია ან ძალიან მძიმე ავადმყოფთათვის, ანდა უდიდესი, ყოვლისშთანთქმელი აზრით შეპყრობილთათვის. სწრაფ მზერას ესროდნენ იმას, ვისგანაც შედარებით სარბტერესო რასმეს გაიგონებდნენ, და ხელახლა განაგრძობდნენ შეწყვეტილ ფიქრს.

პირველი ბრალდებული, რომელიც მოსამართლეებთან ყველაზე ახლოს იჯდა, ერთი იმათგანი იყო, ვინც ვინაობა გაამხილა, — სერგეი გოლოვინი, გადამდგარი პოლკოვნიკის შვილი. თავადაც ყოფილი ოფიცერი, იგი საგვსებით ახალგაზრდა, ქერათმიანი, მხარბეჭიანი ქაბუკი იყო, ისეთი ჩანმრთელი, რომ ვერც ციხეს, ვერც გარდუვალი სიკვდილის მოლოდინს ვერ შეეცვალა მისი ლაწვების ფერი და ცისფერი თვალების ქაბუკური, მიამიტური გამოქვეყნება. იგი განუწყვეტლივ აწვალებდა თავის ქერა წვერს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შეჩვეოდა, თვალებს ხან ახამხამებდა, ხანაც ქუტავდა და სულ ფანჯარაში იყურებოდა.

ეს ხდებოდა ზამთრის მიწურულს, როდესაც ქარბუქიან და უღიმღამო ყინვიან დღეებში გამოერევა ხოლმე მოახლოებული გაზაფხულის მაცნე, — ნათელი, თბილი, მზიანი დღე. ან თუნდაც ერთი საათი, მაგრამ ისეთი საგაზაფხულო, ისეთი ნორჩი და ელვარე, რომ ბელურები ქუჩაში სიხარულით გიჟდებიან, ხოლო ადამიანები ლამის თვრებიან, ახლაც, გასული წლიდან გაუწმენდავ დამტვერილ ფანჯარაში ძალზე უცნაური და ლამაზი ცა ილანდებოდა. ერთი შეხედვით იგი რძისფერ-ნაცრისფრად დაბურული ჩანდა, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებოდით, თანდათან შეამჩნევდით სილურჯეს, რომელიც სულ უფრო ცისფერი, სულ უფრო კამკამა, სულ უფრო უსაზღვრო ხდებოდა. ცა ერთბაშად კი არ იხსნებოდა თვალისათვის, არამედ უბიწოდ შეფარულიყო ღრუბლების მიღმა, და სწორედ ამიტომ იმ გოგონასავით საყვარელი ჩანდა, რომელსაც ეტრფი. სერგეი გოლოვინი უცქერდა ცას, აწვალებდა წვერს, ახამხამებდა გრძელწამწამებიან თვალებს და რალაცაზე გაუთავებლად ფიქრობდა. ერთხელაც სწრაფად ამოძრავა თითები და სახეზე მიამიტი სიხარული გამოეხატა, მაგრამ მიმოიხედა ირგვლივ და უცებ ჩაქრა, როგორც ფეხდადგმული ნაპერწკალი. და მისი ალისფერი ლაწვებიდან წამიერად გამოკრთა სიფითრეში გადასული, მიწისფერი, მკვდრული სილურჯე, და ამოწიწკნილ თმის ღერს ისე მოუჭირა თითები, რომ თითისწვერები გაუთეთრდა. მაგრამ სიცოცხლის ხალისმა სძლია და რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ საგაზაფხულო ცას მიაცქერდა ქაბუკური, ნათელი თვალებით.

ცას უყურებდა ახალგაზრდა ფერმკრთალი გოგონაც, უცნობი, მეტსახელად მუსია. იგი გოლოვინზე უმცროსი იყო, მაგრამ მკაცრი სახისა და პირდაპირი, ამაყი შავი თვალების გამო მასზე უფროსი ჩანდა. მხოლოდ წვრილი, ნაზი კისერი და ასევე წვრილი ქალიშვილური მკლავები ამხელდნენ მის ასაკს. მის სიყმაწვილეს მოწმობდა ის გამოუთქმელი მომნიბვლელობაც, რასაც თავად ახალგაზრდობა ქვეია და რასაც ძვირფასი საკრავივით ნათლად, სუფთად და პარმონიულად გამოხატავდა მისი ხმა ყოველ უბრალო სიტყვებსა თუ შეძახილში. იგი ძალზე ფერმკრთალი იყო, მაგრამ ეს მკვდრული სიფერმკრთაღე როდი გახლდათ. განსაკუთრებული სიმხურვალის სითეთრე იყო, როდესაც ადამიანის არსებაში დიდი, ძლიერი ცეცხლი ანთია და მისი ნათება გამოსკვივის სხეულიდან, როგორც ფაქიზი სევრული ფაფურისიდან. იგი თითქმის გაუნძრევლად იჯდა, მხოლოდ ხანდახან, თითების შეუმჩნეველი მოძრაობით, სინჯავდა ნაკლევს მარჯვენა ხელის შუათითზე. — ცოტა ხნის წინ მოხსნილი ბეჭდის კვალს. ცას იგი უყურებდა სიამოვნებისა და სასიხარულო მოგონებების გარეშე. უყურებდა მხოლოდ იმიტომ, რომ მოელ ამ ქუჩყიან სახაზინო დარბაზში ეს მტრედისფერი ცის ნაკერი იყო ყველაზე ლამაზი, ყველაზე სუფთა და მართალი, — სხვა არაფერი ჩანდა მის თვალებში.

მოსამართლეებს სერგეი გოლოვინი ებრალეობდათ, მუსიას კი სიძულვილით უცქერდნენ.

ასევე უძრავად იჯდა მისი მეზობელი, უცნობი, მეტსახელად ვერნერი, ხელები მუხლებს შორის მოექცია. გამომეტყველება კი რამდენადმე ქედმაღლური ჰქონდა. თუკი შეიძლება სახე ყრუ კარივით დახშული იყოს, სწორედ რკინის ბოქლომიან რკინის კარს უგავდა სახე. იგი გაუნძრევლად დგას და ხის ქუჩყიან იატაკს, არ ემჩნეოდა, მშვიდად იყო თუ უსაზღვროდ უღელსებდა, ფიქრობდა თუ მაძებრების ჩვენებებს უსმენდა. ფაქიზი და კეთილშობილი სახის ნაკვთები ჰქონდა. ტანდაბალი, მაგრამ ნაზი და ლამაზი იყო, როგორც მთვარიანი ღამე სადღაც სამხრეთში, ზღვის პირას, სადაც კვიპაროსების ქვეშ შავი ჩრდილები გაწოლილან. მის სახეზე იგრძნობოდა უდიდესი სიმშვიდე, გაუტეხელი სიმტკიცე, ცივი და ზეიადი სიმამაცე. იგი თავაზიანად, მოკლედ და ზუსტად პასუხობდა, მაგრამ მის ბაგეებში თვით ეს თავაზიანობაც საშიშრად ეღერდა, თუ სხვების ტანზე პატიმრის ხალათი სულელურ ხუმრობად აღიქმებოდა, მის ტანზე საერთოდ არ იგრძნობოდა, ისე შეუსაბამო იყო იგი ამ ადამიანისათვის, და თუმცა სხვა ტერორისტებს ბომბები და ჯოჯოხეთის მანქანები უპოვეს, ვერნერს კი მხოლოდ შავი რევოლვერი, მოსამართლეებს რატომღაც იგი მიაჩნდათ მეთაურად და რამდენადმე პატივისცემით ეპყრობოდნენ, მისებურად მოკრით და საქმიანად ელაპარაკებოდნენ.

შემდეგი, ვასილ კაშირინი, ერთიანად მოცული იყო სიკვდილის აუტანელი შიშითა და ასეთივე თავგანწირული სურვილით, შეეკავებინა ეს შიში და არ შეემჩნევიანებინა მოსამართლეთათვის. დილიდანვე, როგორც კი სასამართლოზე წაიყვანეს, აჩქარებული გულისძგერა სულს უხუთავდა. შუბლი განუწყვეტილად ეცვარებოდა ოფლით. ასეთივე ოფლიანი და ცივი ჰქონდა ხელები, ხოლო ტანზე ცივი, სველი პერანგი ეწებებოდა და მოძრაობას უშლიდა. ზებუნებრივი ძალდატანებით ცდილობდა არ აცახცახებოდა თითები, ხმა მტკიცე და მკაფიო ჰქონოდა, თვალები კი მშვიდი. გარშემო ვერაფერს ხედავდა, ხმა თითქოს წყვდიადიდან ესმოდა და იმავე წყვდიადში გზავნიდა თავგანწირული ძალისხმევით მიღწეულ მტკიცე, ხმამალალ პასუხებს. მაგრამ მყისვე ავიწყდებოდა კითხვაცა და პასუხიც და კვლავ უხმოდ იტანჯებოდა. სიკვდილი ისე აშკარად ჩადგომოდა სხეულში, რომ მოსამართლეები თვალს არიდებდნენ, ისე ძნელი იყო მისი ასაკის გამოცნობა, როგორც გახრწნადაწყებული გვამისა. პასპორტის მიხედვით იგი სულ რაღაც ოცდასამი წლისა იყო. ერთი-ორჯერ ვერნერმა წყნარად დაადო ხელი მუხლზე, მაგრამ ერთი და იგივე პასუხი მიიღო:

— არაფერია.

ყველაზე აუტანელი მისთვის ის იყო, რომ ხანდახან დაუძლეველი სურვილი მოუვლიდა ეყვირა, ეყვირა უსიტყვოდ, ცბოველური, სასოწარკვეთილი ხმით. მაშინ წყნარად ეკვროდა ვერნერს და ისიც თავაულებლად ხმადებლა პასუხობდა.

— არაფერია, ვასია. ჩქარა გათავდება.

ყველას დედობრივი სიყვარულით უცქერდა მწუხარებით გულმოკლული მებუთე ტერორისტი, ტანია კოვალჩუკი. მას არასოდეს ჰყოლია შვილები, რადგან სერგეი გოლოვინივით ძალზე ახალგაზრდა და ვარდისფერლოყება იყო, მაგრამ ამათი დედა გეგონებოდათ, ისეთი მზრუნელობა, ისეთი უსაზღვრო სიყვარული იხატებოდა მის თვალებში, მის ღიმილში, მის მწუხარებაში. სასამარ-

თლოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, ისე ვით რაიმე სრულიად უცხოა და გარეშეს, მხოლოდ მოპასუხეებს უსმენდა: ხომ არ უთრთოდათ ხმა, ხომ არ ეშინოდათ, წყალი ხომ არ სჭირდებოდათ.

ვასიას შემყურეს გული უკვდებოდა და წყნარად იმტვრევდა ფუნჩულა თითებს. მუსიას და ვერნერს' ამაყად და პატივისცემით შესცქეროდა და სახე სერიოზული და ყურადღებიანი უხდებოდა, ხოლო სერგეი გოლოვინს სულ უღიმოდა.

„საყვარელი! ცას უცქერის! ეპ, უყურე, უყურე. ძვირფასო, — ფიქრობდა გოლოვინზე, — ვასიას რა დაემართა? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა მოსდის... რა მოვუხერხო? რაიმე რომ ვუთხრა, ვაითუ უარესი იყოს, — ვაითუ ატირდეს?“

და როგორც წყნარი გუბურა, ღრუბლის ყოველ ფთილას რომ ირეკლავს, მის ფუნჩულა, საყვარელ, კეთილ სახეზეც ირეკლებოდა დანარჩენი ოთხის ყოველი მყისიერი განცდა, ყოველი აზრი. მასაც რომ ასამართლებდნენ და ჩამოახრჩობდნენ, ამაზე სრულიად არ ფიქრობდა, არაფრად აგდებდა. სწორედ მის ბინაზე აღმოაჩინეს ბომბებისა და დინამიტის საწყობი, და, უცნაურია, სწორედ იგი შეხვდა პოლიციას სროლით და ერთი მათგანი თავში დაჭრა კიდევ.

სასამართლო დამთავრდა რვა საათზე, როდესაც უკვე დაბნელდა. სერგეი გოლოვინისა და მუსიას თვალწინ თანდათან გაბაცდა ლაქვარდისფერი ზეცა, მაგრამ არა ისე ვარდისფრად, არა ისე მშვიდად, როგორც ზაფხულის საღამოს, არამედ ჩამუქდა, ჩანაცრისფრდა, უცბად გახდა ცივი და ზამთრისეული. გოლოვინმა ამოიოხრა, გაიზმორა, ერთი-ორჯერ კიდევ გაიხედა ფანჯარაში, მაგრამ იქ უკვე ცივი წყვდიადი იდგა, მან განაგრძო წვერის წვალეა და ბავშვური ცნობისმოყვარეობით შეაცქერდა მოსამართლეებს, შეიარაღებულ ჯარისკაცებს, გაუღიმა ტანია კოვალჩუკს. მუსიამ კი, როდესაც ცა ჩამუქდა, მშვიდად, თვალები ძირს არც კი დაუხრია, ისე გადაიტანა მზერა კუთხეზე, სადაც ნელა არხევდა აბლაბუდას თბილი ჰაერის უხილავი ნაკადი. და ასე დარჩა განაჩენის გამოცხადებამდე.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ ბრალდებულები გამოეთხოვნენ ფრაკიან დამცველებს, თან თვალს არიდებდნენ მათ უმწეოდ დაბნეულ, საწყალობელ, დამნაშავე თვალებს. შემდეგ წუთიერად შეჯგუფდნენ დერეფანში და მოკლე ფრაზებით მიმართეს ერთმანეთს.

— არაფერია, ვასია. მალე დამთავრდება ყველაფერი, — თქვა ვერნერმა.

— კო, არაფერია, ძმაო, — ხმამაღლა, მშვიდად და როგორღაც მხიარულადაც კი უპასუხა კაშირინმა.

და მართლაც, სახე ოდნავ გავარდისფრებოდა და გახრწნადაწყებულ გვამს უკვე აღარ ჰგავდა.

— ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი, მაინც ჩამოხრჩობა მოგვისაჯეს, — მიამიტად შეიკურთხა გოლოვინმა.

— ასეც იყო მოსალოდნელი, — უპასუხა ვერნერმა მშვიდად.

— ხვალ გამოაცხადებენ საბოლოო განაჩენს. ალბათ ერთ საკანში მოგვათავსებენ, — თქვა კოვალჩუკმა და სანუგეშოდ დაუმატა: — ბოლომდე ერთად ვიქნებით.

მუსია ჩუმად იყო. შემდეგ გაბედულად დაიძრა წინ.

3. მე არ უნდა ჩამოსხრის

ჩარი კვირით ადრე ტერორისტების გასამართლებამდე, იმავე სამხედრო საოლქო სასამართლომ, ოღონდ სხვა შემადგენლობით, გაასამართლა და ჩამოსხრის მიუსაჯა ივან იანსონს, გლეხს.

ივან იანსონი ერთ შეძლებულ ფერმერს ედგა მოჯამაგირედ და არათორით განსხვავდებოდა სხვა მისი მსგავსი ბოგანოებისაგან. წარმოშობით იყო, ვეზენბერგიდან. რამდენიმე წლის განმავლობაში ერთი ფერმერის რეში გადადიოდა და ასე თანდათანობით მოაღწია დედაქალაქამდე. რუსულად ძალზე ცუდად ლაპარაკობდა, და რამდენადაც მისი ბატონი რუსი იყო, გვარად ლაზარევი, ესტონელები კი ახლომახლო არ ცხოვრობდნენ, ამიტომ იანსონი მთელი ორი წელი დუმდა. ეტყობა, საერთოდ არ უყვარდა ლაპარაკი. დუმდა არამხოლოდ ადამიანებთან, არამედ ცხოველებთანაც: ცხენს მდუმარედ არწყულებდა, მდუმარედ კაზმავდა, ჩელა და ზანტად დადიოდა მის გარშემო მოკლე, გაუბედავი ნაბიჯებით, ხოლო როდესაც სიჩუმით გაბეზრებულ ცხენი ჰირვეულობას იწყებდა, მდუმარედვე სცემდა მათრახის ტარით. სცემდა სასტიკად, ცივი და ბოროტი სიჯიუტით, და თუ ამ დროს ნაბახუსევიც იყო, გააფთრებოდაც. მაშინ ბატონის სახლამდე აღწევდა მათრახის წუილი და შეშინებული, ტკივილით გამწარებული ცხენის ფლოტვების თქარუნი თავლის ხის იატაკზე. ცხენის ცემისათვის ბატონი ახლა იანსონს სცემდა, მაგრამ მისი გამოსწორება ვერ შეძლო, და ბოლოს გააგდო.

იანსონი თვეში ერთი-ორჯერ თვრებოდა. ეს, ჩვეულებრივ, მაშინ ხდებოდა, როდესაც ბატონი მიჰყავდა დიდ სარკინიგზო სადგურში, სადაც ბუფეტო იყო. ჩამოსვამდა ბატონს, ნახევარ ვერსზე გაშორდებოდა სადგურს, მარხილს გზიდან გადააყენებდა, ცხენს დაბორკავდა და მატარებლის წასვლას უცდიდა. მარხილი დაფერდებული იდგა, ლამის აყირავებული. ნამქერში ჩაფლული ფეხებგაჩაჩხული ცხენი რბილ, ფაფუკ თოვლს ლოკავდა ხოლმე. იანსონი მოუხერხებლად იყო მიწოლილი მარხილში და ოდნავ თვლემდა. გაქუცული ბეწვის ქუდის გახსნილი ყურები ისე ულონოდ ჩამოშვებოდა, როგორც მეძებარ ძაღლს აქვს ხოლმე, ხოლო პატარა, მოწითალო ცხვირი სველი ჰქონდა.

შემდეგ იანსონი სადგურში ბრუნდებოდა და სწრაფად ილეშებოდა.

უკან, ფერმისაკენ, მთელ ცხრა ვერსზე, იგი დაოთხილი მიჰქროდა. ნაცემი, შიშით ატანილი ჯაგლაგი თავდაუზოგავად მიჰყენებოდა, მარხილი აქეთ-იქით ყირავდებოდა, ბოძებს ეხეთქებოდა, იანსონი კი ლამის ყოველ წუთში გადმოვარდნილიყო მარხილიდან. რალაცას მღეროდა თუ ყვიროდა ესტონურად, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, უაზრო ფრაზებით. უფრო ხშირად კი რალაც გაუცნობიერებელი მძვინვარების, ტანჯვისა და აღტაცების გამო კბილებს აღრქიალებდა და ბრმასავით მიჰქროდა წინ. ვერ ამჩნევდა შემხვედრს, ყვიროდა, გიჟურ სრბოლას არ ანელებდა არც მოსახვევებში, არც დაღმართებში. როგორ არ გაჭყლიტა ვინმე, ან თვითონ როგორ არ დაიმტვრა სასიკვდილოდ, გაუგებარი დარჩა.

ბატონს მისი გაგდება ადრევე უნდოდა, როგორც სხვები აგდებდნენ, მაგრამ რადგან მცირე გასამრჯელოს სჯერდებოდა და სხვა მოჯამაგირეებიც არ იყვნენ უკეთესები, ამიტომ ორი წელი შერჩა ამ ადგილს. იანსონის ცხოვრებაში არაფერი ხდებოდა. ერთხელ წერილი მიიღო ესტონურ ენაზე, მაგრამ ვინაიდან თვითონ უწიგნური იყო, ხოლო სხვებმა ესტონური არ იცოდნენ, წე-

რილი წაუკითხავი დარჩა. და თითქოს არ იქნებოდა, რომ წერილს სამშობლოდან ამბავი ჰქონდა მოტანილი. იანსონმა ორალა ცველური, ურჯუკი გულგრილობით იგი ნებზე ჩაიგდო. ერთხელ სცადა მზარეულ ქალს გაარშოყებოდა, — ეტყობა, ქალი მოსწყურდა, — მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია და ბირში ჩალაგამოვლებული და გამასხარავებული დარჩა: იგი ჩია იყო, კათანდარა, კორფლიანი და დამკენარი, ნამძინარევი თვალები კი თითქოს ქუჩუიანი შუშისა ჰქონდა. იანსონი ამ წარუმატებლობასაც გულგრილად შეხვდა და მზარეულ ქალს აღარ გაჰკარებია.

მაგრამ სიტყვაძუნწი იანსონი ყოველთვის რალაცას უგდებდა ყურს, უსმენდა მოწყენილ, თოვლიან მინდორს, მოფენილს გაყინული ნაკელის ბორცვებით, რომლებიც თოვლით დაფარულ, გვერდოგვერდ მიწყობილ პატარა საფლავეებს ჰგავდა. უსმენდა ლურჯ და ნაზ შორეთს, ტელეგრაფის მოზუზუნე ბოძებს, ხალხის ლაპარაკს. რას ეუბნებოდნენ მინდორი და ტელეგრაფის ბოძები, ეს თავად იცოდა მხოლოდ, ხალხი კი სულ მკვლელობებზე, ძარცვაზე, სახლების გადაწვაზე ლაპარაკობდა. ერთხელ, ღამით, გაიგონა მეზობელი სოფლის ეკლესიიდან პატარა ზარის საწყალობელი რეკვა და ხანძრის ენების ტკრციალი: ვილაც ჩამოსულებს გაეძარცვათ მდიდარი ფერმა, პატრონი და მისი ცოლი მოეკლათ, სახლი კი გადაეწვათ.

არც მათ ფერმაში ცხოვრობდნენ მშვიდად: ძაღლები არა მხოლოდ ღამით, დღისითაც აშვებულნი ჰგავდათ, ხოლო ბატონი ძილის დროს საწოლთან ინახავდა თოფს. ასეთივე თოფი, ოღონდ ერთლუციანი და ძველი, უნდოდა მიეცა იანსონისთვისაც, მაგრამ მან თოფი ხელში შეატრიალ-შემოატრიალა, თავი გადააქნია და რატომღაც უარი თქვა. ბატონმა ვერ გაიგო უარის მიზეზი და იანსონი გათათხა. მიზეზი კი ის იყო, რომ იანსონი უფრო თავის ფინურ დანას ენდობოდა, ვიდრე ამ ძველ, დაქანგულ საგანს.

— ეს მე თვითონ მომკლავს, — თქვა იანსონმა და ნამძინარევი, შუშის თვალებით შეხედა ბატონს.

ბატონმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— ვაი, რა რეგენი ხარ, ივან. მოდი ახლა და იცხოვრე ამათ ხელში!

სწორედ ამ ივან იანსონმა, თოფს რომ არ ენდო, ერთ ზამთრის საღამოს, როცა ახალი მოჯამაგირე სადგურში იყო გაგზავნილი, ჩაიდინა ძალიან მძიმე დანაშაული, რომელიც შეიცავდა გაძარცვას, მკვლელობას და ქალის გაუბატიურებას. ეს მან მოახერხა საოცრად იოლად. მზარეული ქალი სამზარეულოში ჩაკეტა, მერე ზანტად, იმ ადამიანივით, რომელსაც მკვდარივით ეძინება, ზურგიდან მიეპარა ბატონს და სწრაფად, ზედიზედ დაარტყა ზურგში დანა. ბატონი უგონოდ დავარდა ძირს. დიასახლისი აქეთ-იქით მიაწყდა და ყვირილი მორთო, იანსონმა კი კბილები დაკრიჭა, დანა მოიღერა, გადმოაქოთა სკივრი და განჩინა, ამოიღო ფული, და თითქოს ახლა დაინახაო, თავისთვისაც მოულოდნელად მივარდა დიასახლისის და გაუბატიურება მოუწოდოდა. რადგანაც ამ დროს დანას ხელი გაუშვა, ამიტომ უკვე დიასახლისი მოერია და არათუ დანებდა, კინალამ იქით მიახრჩო. ამასობაში იატაკზე დავარდნილი ბატონიც შეინძრა, მზარეულმა ქალმაც გამოტეხა სამზარეულოს კარი და სატაციით ხელში გამოიქრა. იანსონი ყანაში გავარდა. იგი დაიჭირეს ერთი საათის შემდეგ, როცა ფარდულის კუთხეში ჩაყუნცული ზედიზედ ანთებდა ასანთს სახლის გადასაწვავად.

რამდენიმე დღის შემდეგ ბატონი სისხლის მოწამვლით მოკვდა. ხოლო იანსონი, როდესაც სხვა მძარცველთა და მკვლელთა შორის მისი ჯერიც მოვიდა,

გასამართლეს და მიუსაჯეს ჩამოხრჩობა. სასამართლოზე იგი ისეთივე იყო როგორც ყოველთვის: ჩია, კაფანდარა, კორფლიანი, შუშის ნამძინარევი თვალებით. იგი თითქოს ვერც კი ხვდებოდა კარგად, რა ხდებოდა მისთვის და სავსებით გულგრილი ჩანდა. თეთრ წამწამებს ახამხამებდა, ყეყეურად, ჯგულისყურად ათვალთვლებდა უცნობ დარბაზს და ცხვირს იჩიქნიდა ხეშეში, დაკოჭრებული, გაფშეკილი თითით. ვინც იანსონს კვირაობით ხედავდა, ხოლო მე კირხაში*, ალბათ მხოლოდ იგი შეამჩნევდა, რომ ამჯერად იანსონი რამდენიმე რიგიანად იყო ჩაცმული: ყელზე წითელი, ჭუჭყიანი, ნაქსოვი შარფი შემოეხვია და გლაგ-ალაგ თმაც დაესველებინა, თმა, სადაც სველი ჰქონდა, იქ მუჭი იყო და დალაგებულადაც ეწყო, ხოლო მშრალ მხარეს ისე გამოჩრილიყვნენ თეთრი, მეჩხერი ღერები, როგორც ნამჯა მწირსა და დასეტყვილ ყანაში.

როდესაც განაჩენი გამოაცხადეს, რომ სიკვდილს უსჯიდნენ ჩამოხრჩობით, იანსონი უცებ აღელდა. იგი ერთიანად გაწიბლდა და თითქოს სული ეხუთებაო, წამდაუწუმ დაიწყო შარფის მოხსნა და მოხვევა. შემდეგ უაზროდ გაიქნია ხელები, მიუბრუნდა იმ მოსამართლეს, რომელიც განაჩენს არ კითხულობდა, თითი მიაშვირა განაჩენის გამომცხადებელ მოსამართლეს და თქვა:

— იმანა თქვა, რომ მე უნდა ჩამომახრჩონ.

— ვინ იმან? — ბოხი ხმით ჩაეკითხა თავმჯდომარე, რომელიც განაჩენს კითხულობდა.

ყველამ თავშეკავებულად გაიღიმა, ხოლო გაბრაზებულმა იანსონმა ლამის თითი ატაკა თავმჯდომარეს და ბღვერით უპასუხა:

— შენ!

— კო?

იანსონი ისევ მიუბრუნდა მდუმარ, თავშეკავებით მომღიმარ მოსამართლეს, რომელსაც რატომღაც თავის მომხრედ თვლიდა და ალბათ ეგონა, რომ განაჩენის გამოტანაში მას წილი არ ედო, და გაიმეორა:

— იმანა თქვა, რომ მე უნდა ჩამომახრჩონ. მე არ უნდა ჩამომახრჩონ.

— გაიყვანეთ ბრალდებული.

მაგრამ იანსონმა კიდევ ერთხელ მოასწრო დაბეჯითებით გამეორება:

— მე არ უნდა ჩამომახრჩონ.

იგი ისე სულელური შესახედავი ჩანდა თავისი პატარა, გაგულისებულ, სასაცილოდ მედიდური სახით და გაფშეკილი თითით, რომ მეზადრაგე ჯარისკაცმა, რომელსაც იგი დარბაზიდან გაჰყავდა, წესი დაარღვია და ხმადაბლა უთხრა:

— სულელი ხარ შენ, ძმობილო!

— მე არ უნდა ჩამომახრჩონ. — ჩიუტად გაიმეორა იანსონმა.

— ისე ჩამოგახრჩობენ, ფეხის გაქნევასაც ვერ მოასწრებ.

— კმარა, კმარა, გაჩუმდი! — ბრაზით შეუძახა მეორე მეზადრაგემ. მაგრამ ვერ მოითმინა და თვითონაც დაუმატა: — მძარცველს დამიხედეთ! რისთვის მოკალი, სულელი, ადამიანისშვილი? ჰოდა, იქანავე ახლა თოკზე.

— იქნებ შეიწყალონ? — თქვა პირველმა მეზადრაგემ, რომელსაც შეეცოდა იანსონი.

— მაშ! ასეთს შეიწყალებენ სწორედ... აბა, კმარა, გვეყოფა ლაპარაკი.

მაგრამ იანსონი უკვე გაჩუმებული იყო. იგი ისევ იმ საკანში მიიყვანეს, სადაც თითქმის მთელი თვე იჯდა და ისე მისჩვეოდა, როგორც ყველაფერს

* ლუთერანთა ეკლესია.

ეჩვეოდა ხოლმე: ცემა-ტყეპას, არაყს, მოწყენილ თოვლიან მინდორს, მოგ-
ლუვებული ბორცვაკებით მოფენილს. ახლა მას ესიამოვნა კიდევ, თავისი საწო-
ლი და ცხაურებიანი ფანჯარა რომ დაინახა, და თანაც საკმელიც მისცეს, —
დილის აქეთ არაფერი ეჭამა. უსიამოვნო მხოლოდ ის იყო, რაც სასამართლო-
ზე მოხდა, მაგრამ ამაზე ფიქრის თავი არ ჰქონდა. ჩამოხრჩობით სიკვდილის
წარმოდგენაც არ შეეძლო.

თუმცა იანსონს სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ მისწახვეტი ბევრი
იყვნენ და ციხეში განსაკუთრებულ დამნაშავედ არ ითვლებოდა. ამიტომ უში-
შრად და უპატივცემულოდ ელაპარაკებოდნენ, როგორც სხვა პატიმრებს, რო-
მლებსაც სიკვდილით დასჯა არ ელოდათ. თითქოს მისი სიკვდილი სიკვდილად
არ მიაჩნდათ. განაჩენი რომ შეიტყო, ზედამხედველმა მედიდური თანაგრძნო-
ბით უთხრა:

— რაო, ძმობილო, ჩამოგახრჩობენ?

— როდის უნდა ჩამომახრჩონ? — უნდობლად შეეკითხა იანსონი.

ზედამხედველი ჩაფიქრდა:

— მოგიწევს მოცდა, ძმობილო, სანამ ნაკადს არ შეავსებენ. თორემ ერ-
თისთვის, თანაც შენნაირისთვის, თავის შეწყუბებაც არ ღირს. ამას მთელი ამ-
ბავი უნდა.

— აბა როდის? — დაჟინებით დაეკითხა იანსონი.

მას სულაც არ სწყინდა, რომ ერთის ჩამოხრჩობისათვის თავსაც არ იწყუ-
ხებდნენ, ამ მიზეზისაც არ ჯეროდა, საბაბი ეგონა, რათა დასჯა გადაეტანათ,
შემდეგ კი სულ გაეუქმებინათ. ამან გაამხიარულა: ბუნდოვანი და საშინელი წა-
მი, რომელზეც ფიქრიც არ შეიძლებოდა, გადაიწია სადღაც შორს, გახდა ზღა-
პრული და დაუჭერებელი, როგორც საერთოდ სიკვდილი.

— როდის, როდის! — გაბრაზდა ზედამხედველი, ჩლუნგი და პირქუში
მოხუცი, — ადამიანი ძალღიკი არ არის, ფარდულს უკან გაიყვანონ და ჩაა-
ძაღლონ, შენ კი, შტერო, ალბათ ასე გინდა, არა?

— მე არ მინდა! — უცებ მხიარულად დაიქყანა იანსონი, — ეს იმან თქვა,
რომ მე უნდა ჩამომახრჩონ. მე კი არ მინდა!

და, შესაძლოა, პირველად თავის სიცოცხლეში, მან გაიცინა. ეს იყო
კრიალა, სულელური, მაგრამ საშინლად მხიარული სიცილი. თითქოს ბატმა
დაიყაყანა: ყა-ყა-ყა! ზედამხედველმა ვაკვირვებით შეხედა, შემდეგ მკაცრად
შეიკმუხნა: სიკვდილმისჯილის ეს სულელური მხიარულება შეურაცხყოფდა
ციხეს და თვით სასჯელსაც, და მათ რაღაც ძალიან უცნაურ აღსაქმელს ხდი-
და. და მოხუც ზედამხედველს, რომელსაც მთელი სიცოცხლე აქ ჰქონდა გა-
ტარებული და ციხის წესებს ბუნების კანონებით აღიქვამდა, წამიერად მო-
ეჩვენა, რომ ეს კანონებიც და მთელი ცხოვრებაც საგიჟეთი იყო, თვითონ კი
ყველაზე უარესი გიჟი.

— ფუჰ! შენცა ხარ რაღა! — გააფურთხა მან, — რას იკრიჭები, სამიკიტ-
ნო ხომ არ გგონია აქა?!

— მე არ მინდა, ყა-ყა-ყა! — იცინოდა იანსონი.

— სატანა! — თქვა ზედამხედველმა და საჭიროდ ჩათვალა, პირჯვარი გა-
დაეწერა.

სატანას ყველაზე ნაკლებად ჰგავდა ეს ჩია, სახედამკენარი ადამიანი. მაგ-
რამ ბატის ყიყინისებურ სიცილში იყო რაღაც ისეთი, რაც თრგუნავდა ციხის
სიწმინდესა და შეუვალობას, აი, გაიცინებს ერთხელ კიდევ და დაინგრევა და-

მპალი კედლები. ჩამოცვივდება ცხურები, და ზედამხედველი თვითონ გაიყვანს პატიმრებს კიშკრიდან: აჰა, ბატონებო, გაისეირნეთ ქალაქში, იქნებ ვინმეს სოფელში გირჩევნიათ? სატანა!

მაგრამ იანსონმა უკვე შეწყვიტა სიცილი და ახლა მხოლოდ თვალებს ჩვეულებრივად ეშმაკურად.

— აბა, აბა! — თქვა ზედამხედველმა გაურკვეველი მუქარით და წავიდა, თან უკან-უკან იხედებოდა.

მთელი ეს საღამო იანსონი მშვიდად და მხიარულად იყო. „მე არ უნდა ჩამომახრჩონ“, — იმეორებდა თავისთვის. და ეს ფრაზა ისეთი დამაჯერებელი, ბრძნული და უცილობელი იყო, რომ არაფერზე არ ღირდა დარდი. თავისი დანაშაული კარგა ხანია დაივიწყა, ოღონდ ზოგჯერ ნანობდა, დიასახლისის გაუპატიურება რომ ვერ მოახერხა. მალე ესეც დაივიწყა.

იანსონი ყოველ დილით ეკითხებოდა ზედამხედველს, როდის ჩამომახრჩობენო, და ისიც ბრაზიანად პასუხობდა:

— მოესწრები, მოესწრები, სატანა! დაიცადე. — და სასწრაფოდ გაეცლებოდა, რათა იანსონს გაციუნება ვერ მოესწრო.

ერთნაირმა კითხვა-პასუხებმა და იმანაც, რომ ყოველი დღე ჩვეულებრივად იწყებოდა და მთავრდებოდა, იანსონი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ სიკვდილით აღარ სჯიდნენ. ძალიან მალე მოახერხა სასამართლოს დავიწყებაც და დღეობით ეგდო საწოლზე, ბუნდოვნად და სიამით იგონებდა ბორცვაკებით მოფენილ თოვლიან მოწყვნილ მინდორს, სადგურის ბუფეტს, კიდევ რაღაც უფრო შორეულსა და ნათელს. ციხეში კარგად კვებავდნენ და ამიტომ ძალზე ჩქარა, რამდენიმე დღეში, საკმაოდ მოსუქდა. ამან, ცოტა არ იყოს, გააყოყო-ჩა კიდევ.

„ახლა ნამდვილად შემიყვარებდა, — გაიფიქრა მან დიასახლისზე, — ახლა მსუქანი ვარ და ბატონს არ ჩამოვუყვარდები“.

მხოლოდ არყით დათრობა და ცხენით თავზებელაღებული თარეში მონატრა ძალიან.

როდესაც ტერორისტების დაპატიმრების ამბავმა ციხეში შემოაღწია, ზედამხედველმა იანსონს ჩვეულებრივ კითხვაზე უცებ მოულოდნელი და უკმეხი პასუხი გასცა:

— ახლა მალე.

მშვიდად შეათვალიერა და მედიდურად თქვა:

— ახლა მალე, ვფიქრობ, ერთი კვირის მერე.

იანსონი გაფითრდა და თითქოს ჩაეძინაო, ისე აემღვრა შუშისფერი თვალები.

— ხუმრობ?

— ჯერ დაცდა არ შეგეძლო, ახლა კიდევ — ხუმრობო. ჩვენ არ ვხუმრობთ. ეს თქვენ გიყვართ ხუმრობა. ჩვენთვის ხუმრობა არ შეიძლება, — თქვა ზედამხედველმა ღირსეულად და გაშორდა.

საღამოსთვის იანსონი საგრძნობლად გახდა. მისი გადატყეცილი, დროებით დაგლუვებული კანი ისევ უამრავი ნაოკით დაიფარა, ზოგან ჩამოემჩვარა კიდევ. თვალები მთლად ნამძინარევივით გაუხდა. ნელა და ზანტად დადიოდა, დუნედ ამოძრავებდა თავს და თითებს, თითქოს ყოველი მოძრაობა ისეთი რთული და საძნელო საქმე ყოფილიყოს, რაზეც დიდხანს უნდა ეფიქრა. და-

პით საწოლზე წამოწვა, მაგრამ თვალეები არ დაუხუჭავს და ასე თვალთა ეძინა დილაშდევს.

— აჰა! — თქვა კმაყოფილმა ზედამხედველმა, დილით რომ დაინახა იგი, — აჰ, ძვირფასო, სამიკიტნო კი არაა.

თავით ფეხამდე ყურადღებით შეათვალიერა ბრალდებულს და საამური კმაყოფილების გრძობამ მოიცვა იმ მეცნიერებით, რომლის ახორციელებაც ერთხელ დადასტურდა. ახლა ყველაფერი თავისი რიგით წყნარად დაითრგუნა, ციხისა და სიკვდილით დასჯის სიწმინდე აღდგა. და შემწყობლობურად, გულწრფელი სიბრალულითაც კი უთხრა იანსონს:

— ხომ არ გინდა, ვინმე ნახო?

— რატომ ვნახო?

— ისე, გამოსამშვიდობებლად. დედა, მაგალითად, ან ძმა.

— მე არ უნდა ჩამომახრჩონ, — წყნარად თქვა იანსონმა და ირიბად ახედა ზედამხედველს, — მე არ მინდა.

ზედამხედველმა შეხედა და უხმოდ ჩაიქნია ხელი.

საღამოს იანსონი რამდენადმე დამშვიდდა. ისეთი ჩვეულებრივი დღე იყო, ასე ჩვეულებრივად ანათებდა ზამთრის ღრუბლიანი ზეცა, ისე ჩვეულებრივად ისმოდა დერეფნიდან ნაბიჯების ხმა და ვილაცის საქმიანი ლაპარაკი, ისე ჩვეულებრივი და ბუნებრივი სურნელება ჰქონდა მყავე კომბოსტოს წვენიანს, რომ მან ისევ ირწმუნა, სიკვდილით აღარ დამსჯიანო. ღამე კი საშინელი გამოდგა. აღრე იანსონი ღამეს შეიგრძნობდა, როგორც სიბნელეს, როგორც ძილისთვის განკუთვნილ განსაკუთრებით ბნელ დროს, ახლა კი ღამე წარმოუდგა უდუმალი და მრისხანე სახით, სიკვდილი რომ არ ერწმუნა, ისევ ჩვეულებრივად უნდა შეეგრძნო ნაბიჯების ხმა, ლაპარაკი, სინათლე, მყავე კომბოსტოს გემო, მაგრამ ახლა ყველაფერი არაჩვეულებრივი იყო, — ეს სიჩუმეც, ეს სიბნელეც, და ყოველივე ეს თითქოს სიკვდილს შეიცავდა.

და რაც უფრო გრძელდებოდა ღამე, თანდათან საშიში ხდებოდა ყველაფერი. ველურის თუ ბავშვის მიაპიტობით უნდოდა დაეძახა მზისათვის: გამოანათე! თხოვდა, ევედრებოდა მზეს, გაენათებინა ქვეყანა, მაგრამ ღამე შეუვალად ამკვიდრებდა დედამიწაზე თავის შავ საათებს და არ იყო ძალა, რომელიც შეძლებდა ამის შეცვლას. და ამ შეუძლებლობამ, ასე ნათლად რომ წარმოუდგა იანსონის სუსტ გონებას, იგი შიშით აღავსო: ჯერ ბოლომდე ვერც კი გაბედა შეეგრძნო ეს ყველაფერი, რომ უკვე შეიცნო მოახლოებული სიკვდილის გარდუვალობა, და მოდუნებული ფეხი შედგა ეშაფოტის პირველ საფეხურზე.

დღემ ისევ დაამშვიდა იგი, ღამემ კი ისევ შეაძრწუნა. და ასე გრძელდებოდა იმ ღამემდე, როდესაც საბოლოოდ მიხვდა, რომ სიკვდილი გარდუვლად მოვიდოდა სამი დღის შემდეგ, განთიადისას, მზის ამოსვლისას.

იგი არასოდეს დაფიქრებულა, რა იყო სიკვდილი. სიკვდილს მის წარმოდგენაში სახე არ გააჩნდა. მაგრამ ახლა ნათლად იგრძნო და დაინახა, რომ სიკვდილი საკანში შემოვიდა და იანსონს დაუწყო ძებნა ხელის ცეცებით. შეძრწუნებული იანსონი თავის გადასარჩენად აქეთ-იქით მიაწყდა.

მაგრამ საკანი ისეთი პატარა იყო, თითქოს მახვილი კი არა, ბლაგვი კუთხეები ჰქონოდა და ყველაფერი შუაგულისაკენ უბიძგებდა. ვერც რაიმეს მოეფარებოდა. კარიც დაკეტილი იყო. სინათლეს ხელს უშლიდა. რამდენჯერმე თავგზააბნეულად მიაწვა კედელს, ერთხელ კარსაც დაეჯაჯგურა, — ყრუ და უტყვი იყო ყველაფერი. დაეჯახა რაღაცას, პირქვე დაეცა და იგრძნო, რომ

სიკვდილმა ხელი წააგლო. შეძრწუნებული იანსონი მუცლით მიეკრა იატაკს, სახე მუქ, ვუჭყყიან ასფალტში ჩარგო და შიშისაგან დაიღრიალა. იწვა და სარჯარლად ღრიალებდა. სანამ არ შემოვიდნენ, წამოაყენს იატაკიდან, საწოლზე დასვეს და თავზე ცივი წყალი გადაასხეს. მაგრამ იანსონმა მაინც ვერ გაბედა მაგრად დაბუჭული თვალების გაბელა. გაახელდა ერთს, დაინახავდა განადგურებულ ცარიელ კუთხეს ან ვინმეს ჩექმას და ისევ იწყებდა ღრიალს.

ცივმა წყალმა თავისი ქნა. იმანაც გამოაფხიზლა, რომ მოხუცმა მუცელზე ზედამხედველმა თავში რამდენჯერმე ჩაარტყა. სიცოცხლის ამგვარმა შეგრძობამ მართლაც განდევნა სიკვდილი, და იანსონმა თვალები გაახილა. მერე კი, დილაამდე, ტვინამღვრეულ იანსონს მაგრად ეძინა. იწვა ზურგზე, პირი გაღებული ჰქონდა და ხმამაღლა ხროტინებდა; ნახევრად ღია ქუთუთოებიდან თეთრად მოუჩანდა ბრტყელი და მკვდარი უგუგო თვალები.

შემდეგ კი ყველაფერი ამქვეყნად — დღეც, ღამეც, ნაბიჯების ხმაც, ლაპარაკიც, მთავე კომბოსტოს წვნიანიც — მისთვის ერთიან საშინელებად იქცა და იგი ველურმა, რალაც ჯერ არნახულმა გაოცებამ მოიცვა. მისმა სუსტმა გონებამ ვერ შეძლო დაეკავშირებინა ეს ორი, სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო რამ: ჩვეულებრივი ნათელი დღე, კომბოსტოს სუნითა და გემოთი გაბრჭნილი, და ის, რომ ორი დღის შემდეგ, ერთი დღის შემდეგ უნდა მომკვდარიყო. არაფერზე ფიქრობდა. არც საათებს ითვლიდა, შიშით დამუნჯებულიყო ამ გაუგებრობის წინაშე, მისი ტვინი ორად რომ გაეხლიჩა. არანაირი ფერი აღარ ედო სახეზე. არც თეთრი, არც წითელი. შესახედავად მშვიდი ჩანდა, ოღონდ არაფერს ჭამდა და აღარც ეძინა. მთელი ღამე ან ტაბურეტზე იჯდა ფეხებშეკეცილი, ან წყნარად დადიოდა საკანში და ქურდულად, სახენამძინარევი აქეთ-იქით იხედებოდა. პირი სულ ნახევრად ღია ჰქონდა, თითქოს რალაცამ უსაზღვროდ გააკვირვავო. სანამ ხელში რაიმე ჩვეულებრივ საგანს აიღებდა, გამოლენჩებული აკვირდებოდა დიდხანს და მხოლოდ მერე ჰკიდებდა ხელს.

ამის შემდეგ ფანჯრიდან მოთვალთვალე ზედამხედველიც და ჯარისკაციც ყურადღებას აღარ აქცევდნენ. ეს იყო სიკვდილმისჯილის ჩვეულებრივი მდგომარეობა. ზედამხედველის აზრით, ასე იქცევა დასაკლავი პირუტყვი, შუბლში ნაჯახის ყუის დარტყმით დარეტიანებული.

— უკვე დაყრუებულია. ახლა სიკვდილამდე ვერაფერს იგრძნობს, — თქვა ზედამხედველმა, რომელიც გამომცდელად უყურებდა მას, — ივან, გესმის? ივან!

— მე არ უნდა ჩამომახრჩონ, — უსიცოცხლოდ უპასუხა იანსონმა და ქვედა ყბა ჩამოუვარდა.

— არ მოგეკლა და არც ჩამოგახრჩობდნენ, — დამრიგებლურად უთხრა უფროსმა ზედამხედველმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან მედიდურმა, ორდენებიანმა მამაკაცმა, — თორემ რა გამოდის, მოკვლა გინდოდა, ჩამოხრჩობა აღარ გინდა?!

— მუქთად უნდოდა კაცის მოკვლა. რას იზამ, რეგვენია, მაგრამ ეშმაკი.

— მე არ მინდა, — თქვა იანსონმა.

— რა გაეწყობა, ძვირფასო, არ გინდა და ნუ გინდა, — გულგრილად თქვა უფროსმა, — სისულელეების ლაპარაკს ჯობია ქონებას მიხედო. რალაც კი გაქვს ალბათ,

— ნიფხავ-პერანგის გარდა არაფერი აბადია. ჰო, კიდევ ბეწვის ქული აქვს. — ფრანტია!

ასე გავიდა დრო ხუთშაბათამდე, ხუთშაბათს კი, ღამის თორმეტ საათზე, იანსონის საკანში ადამიანები შემოვიდნენ. რომელიღაც სამხრეებიანმა ბატონმა თქვა:

— აბა, მოემზადეთ. უნდა წავიდეთ.

იანსონმა, რომელიც ისევ ზანტად და უსიციოცხლოდ მოძრაობდა, ჩაიკვა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, და კუჩუიანი, წითელი შარფიც მოიხვია. ამის დანახვაზე ერთმა ჩექმეებიანმა ბატონმა, პაპიროსს რომ ეწოდებოდა, უთხრა:

— როგორ თბილა დღეს. გაზაფხულია ნაღდი.

იანსონს თვალები ებლიტებოდა, საცაა დაიძინებდა კიდევ. ისე ნელა და გაჭირვებით მოძრაობდა, რომ ზედამხედველმა უყვირა:

— აბა, აბა, ცოცხლად. ნუ გძინავს!

იანსონი სულ მთლად შეჩერდა.

— მე არ მინდა, — თქვა დუნედ.

ხელი ჩასჭიდეს და წაიყვანეს. ისიც მორჩილად გაჰყვა, მხრებაწურული. ეზოში იანსონს მაშინვე შემოეფრქვა გაზაფხულის ნესტიანი ჰაერი და ცხვირის წვერი დაუსველდა. ღამე იყო, მაგრამ მაინც იგრძნობოდა მოახლოებული გაზაფხულის სითბო. სადღაც მზიარულად წკაპუნობდნენ წვეთები. სანამ მობუზული ჟანდარმები უფარნო შავ კარეტაში ჩასხდებოდნენ, იანსონი ზანტად ისვამდა თითებს სველ ცხვირზე და ცუდად მოხვეულ შარფს ისწორებდა.

4. ჩვენ, ორიოლელები

იმავე სამხედრო-საოლქო სასამართლომ, რომელმაც იანსონი გაასამართლა, ჩამოხრჩობა მიუსაჯა გლახს ორიოლის გუბერნიის ელექციის მაზრიდან, მიხეილ გოლუბეცს, მეტსახელად მიშკა ციგანოკს, თათარს. მისი საბოლოო, ზუსტად დადგენილი დანაშაული იყო სამი ადამიანის მკვლელობა და შეიარაღებული ძარცვა. ამის იქით კი მისი ბნელი წარსულის იდუმალი სიღრმე იწყებოდა. არსებობდა ბუნდოვანი ვარაუდი, მის მონაწილეობაზე მთელ რიგ ძარცვებსა და მკვლელობებში, ბევრგან იგრძნობოდა მისი სისხლიანი თარეშის კვალი. სრული გულახდილობით, სავსებით გულწრფელად უწოდებდა იგი თავის თავს ყაჩაღს და ირონიულად ეკიდებოდა იმათ, რომლებიც ახალმოდურად ირქმევდნენ „ექსპროპრიატორებს“. ბოლო დანაშაულის შესახებ, რის უარყოფასაც აზრი არა ჰქონდა, იგი დაწვრილებით და ხალისით ყვებოდა, ხოლო იმ კითხვებზე, წარსულს რომ ეხებოდა, პასუხის ნაცვლად მხოლოდ გაიკრიჭებოდა და წაუსტვენდა.

— სდიეთ ქარს მინდორში!

როდესაც ძალიან ჩააცივდებოდნენ, ციგანოკი სერიოზულ და ღირსეულ გამომეტყველებას იღებდა.

— ჩვენ, ორიოლელები, გამოჯეკილი ქურდები ვართ, — ამბობდა იგი დინჯად და დარბაისლურად, — ორიოლი და კრომი ქურდების ბუდეებია, კარაჩევი და ლივნი ხომ — ნულარ იტყვიო! ელექცი კი ქურდების პაპაა. რად უნდა ლაპარაკი!

ციგანოკი მას შეარქვეს გარეგნობისა და ქურდული ქცევების გამო. იგი იყო განსაცვიფრებლად შავგვრემანი და გამხდარი, თათრულ, წამოწეულ ყვრი-მალეებზე ყვითელი ლაქები ეყარა. რაღაცნაირად, ცხენივით კარკლავდა თვა-

ლებს და მუდამ სადღაც მიიჩქაროდა. ცქაფი მზერა ჰქონდა. მაგრამ შემადრწუნებლად ჯიქური და ცნობისმოყვარე. ნივთი, რომელსაც ამგვარად შერედავდა, რაღაც თვისებას ჰკარგავდა და სხვანაირი ხდებოდა. მისგან თვალდასრული პაპიროსი ისე უსიამოვნო და ძნელი მოსაწევი იყო. თითქოს უკვე სხვა პირში ყოფილიყო ნადები. რაღაც მარად დაუცხრომელი ენერჯია ბობოქრობდა მის არსებაში. რომელიც ამ კაცს ხან თოკივით ვრებდა, ხან კი მტკიცებით ანთებდა. წყალსაც ლამის მთელ ვედროს სვამდა ცხენივით.

მოსამართლეთა ყოველ შეკითხვაზე იგი ადგილიდან წამოიქრებოდა ხოლმე და მოკლედ, მტკიცედ და რაღაცნაირი სიამოვნებით პასუხობდა:

— მართალია!

ხანდახან ხაზგასმითაც:

— მარ-თა-ლი-ა!

ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, როდესაც ლაპარაკი სხვა რამეს ენებოდა, წამოხტა და თავმჯდომარეს სთხოვა:

— ნება მიბოძეთ, დავუსტვინო!

— კი მაგრამ, რატომ? — გაუკვირდა მას.

— ხომ თქვეს, რომ მე ამხანაგებს ნიშანს ვაძლევდი. ჰოდა, მოგასმენინებთ, ძალიან საინტერესოა.

ოდნავ შეფიქრებულნი თავმჯდომარე დათანხმდა. ციგანოკმა პირში სწრაფად ჩაიდო ორ-ორი თითი, მძვინვარედ გადმოკარკლა თვალები და სასამართლოს სამარისებური სიჩუმე გაფხრიწა ყურისწამლებმა, ველურმა, ყაჩაღურმა სტვენამ. ასეთი სტვენის გაგონებაზე დარეტიანებული ცხენი ყალყზე დგება, ადამიანი კი უნებურად ფითრდება. ყველაფერი იყო ამ გულჯამგმირავ, არც ადამიანურ, არც ცხოველურ გოდებაში: საზარელი ძრწოლა კაცისა, რომელსაც ჰკლავენ, მკვლელის ველური სიხარული, მრისხანე გაფრთხილება, მარტოობის მწუხარება, უსასოო ძახილი შემოდგომის ავდრიან ღამეში.

თავმჯდომარემ რაღაც დაიყვირა, შემდეგ ხელები აუქნია ციგანოკს და ისიც მორჩილად გაჩერდა. და როგორც მსახიობი, რომელმაც ბრწყინვალედ შესრულა ძნელი, მაგრამ ყოველთვის წარმატების მომტანი არია, დაჯდა, პერანგზე შეიწმინდა სველი თითები და კმაყოფილმა გადახედა იქ მყოფთ.

— აი, ყაჩაღი! — თქვა ერთმა მოსამართლემ და ყური მოისრისა.

მეორემ კი რომელსაც გაფანჩული რუსული წვერი და ციგანოკივით თათრული თვალები ჰქონდა, ოცნებიანი მზერა მიაპყრო რაღაცას ციგანოკის თავს ზემოთ, გაიღიმა და შეეპასუხა:

— მაგრამ ხომ ჰეშმარიტად საინტერესო იყო.

და გულმშვიდად, შეუბრალებლად და სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე სასამართლომ ციგანოკს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

— სწორია! — თქვა ციგანოკმა, როცა განაჩენი წაიკითხეს. — საბრძოლველად ტურფა მდებლობზე, სწორია!

შემდეგ მებადრავეს მიუბრუნდა და რიხიანად მიახალა:

— აბა, მივდივართ, ხომ კი, ნაბიჭვარო, მაგრად დაიჭი თოფი, არ წაგართვა!

წარბშეკრულმა ჯარისკაცმა შიშით შეხედა, შემდეგ ამხანაგებს გადახედა და თოფის ჩაბმანი მოსინჯა. მეორემაც იგივე გააკეთა. და მთელი გზა, ციხემდე, ჯარისკაცები კი არ მიდიოდნენ, არამედ თითქოს პაერში მიფრინავდნენ, დამნაშავეს მონუსხულივით შესცქეროდნენ, ვერც მიწას გრძნობდნენ ფეხქვეშ, ვერც ღროს, ვერც საკუთარ თავს.

სიკვდილით დასჯამდე მიშკა ციგანოკს, როგორც იანსონს, ციხეში ჩვიდმეტი დღის გატარება მოუხდა. ჩვიდმეტივე დღე მისთვის ისე სწრაფად გაფრინდა, როგორც ერთი. — გაქცევაზე, თავისუფლებაზე, სიცოცხლეზე ჩაუქრობელი იმედით სავსე დღე. ციგანოკის მბორგავი დაუცხრომლობა, რომელსაც სარბიელი მოუხბო ციხის კედლებმა, ცხაურებმა, მკვდარმა, უტყვემა სარკმელმა, მთელი ძალით აბობოქრდა, მძვინვარებამ ისე აუგზავინა გონება, როგორც ნალვერდალი აგიზგიზებს ხმელ ფიცრებს. ციგანოკის აგზავნილ გონებაში ჩნდებოდნენ, ირეოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ მკაფიო, მაგრამ დაუმთავრებელი აზრები, მათ ერთი შინაარსი ჰქონდა: გაქცევა, თავისუფლება, სიცოცხლე. ხანდახან ნესტოებს ცხენივით დაბერავდა და საათობით უნოსავდა პაერს. ეჩვენებოდა, რომ კანაფისა თუ ხანძრის უფერო კვამლის მძაფრი სუნნი იდგა ან მგელივით წრიალებდა საკანში, მალმალე სინჯავდა კედლებს, ზომავდა, თითით აკაკუნებდა, თვალებით ბურღავდა ქერს, ხერხავდა ცხაურებს. თავისი მოუსვენრობით გააწამა საჭკრეტიდან მოთვალთვალე ჯარისკაცი, რომელიც ისე გაბეზრდა, რომ რამდენჯერმე დაემუქრა, გესვრიო. ციგანოკი უხეშად და დამცინავად შეეპასუხა, და ყველაფერი მშვიდობიანად მხოლოდ იმიტომ დამთავრდა, რომ ჩხუბი მალე გადავიდა უბრალო. ბრიყვულ, მოსათმენ ლანძღვაში, რომლის დროსაც სროლა უაზრო და შეუძლებელი იყო.

ლამით ციგანოკს ღრმად ეძინა, თითქმის არ ინძრეოდა. იწვა უმოძრაოდ, როგორც დროებით უმოქმედო ზამბარა. მაგრამ ადგომისთანავე იწყებდა წრიალს, ფიქრს, სინჯვას. ხელები მუდამ მშრალი და ცხელი ჰქონდა, მაგრამ გული ზოგჯერ უეცრად ეყინებოდა: თითქოს საგულეში გულის ნაცვლად ყინულის ნატეხი ჩაედოთ მისთვის და ამის გამო მთელ სხეულში ქრყოლა უვლიდა. ისედაც შავტუხა ციგანოკს ამ წუთებში თუჯის მოლურჯო ფერი ედებოდა. უცნაური ჩვევაც დასჩემდა: თითქოს რაღაც მეტისმეტად ტკბილი შექამაო, განუწყვეტლივ ილოკავდა ტუჩებს და მომდგარ ნერწყვს ტლაშუნითა და სისინით კბილებიდან აწიტებდა იატაკზე. სიტყვის დასრულება უჭირდა: ისე სწრაფად ჰქროდნენ აზრები, რომ ენა ვერ ეწეოდა მათ.

ერთხელ, დღისით, მეზადრაგის თანხლებით უფროსი ზედამხედველი ეწვია, ალმაცერად შეხედა ფურთხით სავსე იატაკს და პირქუშად თქვა:

— არ გაუბინძურებია?

ციგანოკი მყისვე შეეპასუხა:

— შენ, მაგ შენი ბინძური სიფათით მთელ დედამიწას აბინძურებ და ეგ არაფერი, არა? სად მოძვრები აქ?

პირქუშმა ზედამხედველმა ჯალათად გახდომა შესთავაზა. ციგანოკმა კბილები დაკრიჭა და გადაიხარხარა:

— ვერ იშოვეთ? მაგრად მოგიფიქრებიათ! კარგია, წადი და ჩამოახრჩე, ხა-ხა! კისერი არის, ბაწარიც არის, ჩამომხრჩობი კი არავინაა. ღმერთმანი, მაგრად მოგიფიქრებიათ!

— სამაგიეროდ ცოცხალი დარჩები.

— ოღონდაც! აბა მკვდარი ხომ ვერ ჩამოვახრჩობ. თქვა რაღა რეგვენმა!

— მაშ რა გინდა? შენთვის ხომ სულ ერთია, ასე იქნება თუ ისე.

— მერედა, როგორ ახრჩობთ? ჩუმად ხომ?

— არა, მუსიკით, — შეუღრინა ზედამხედველმა.

— აბა, რეგვენი არა ხარ? მუსიკით უნდა, მაშ როგორ! — და რაღაც თავზებულად წაიმღერა.

— მთლად წასულია შენი საქმე, ძმობილო, — თქვა ზედამხედველმა, — გეყოფა, ახლა, გარკვეულად მიბასუხე.

ციგანოკი გაიკრიჭა:

— რა მოუთმენელია ერთხელაც მოდი და გეტყვი.

და დაუმთავრებელ, მაგრამ მკაფიო სახეების თავბრუდამხვევ, დაბრუნ-
 ნველ ქაოსში შემოიჭრა ახალი აზრი: რა კარგია წითელხალათიან ქართველ-
 ფნა! მან ცოცხლად წარმოიდგინა ხალხით სავსე მოედანი, მალბრძობა და
 და ზედ მოსეირნე ციგანოკი ნაჯახით ხელში, მზე დაპნათის თავებს და მხიარუ-
 ლად ციმციმებს ნაჯახზე ყველა ხალისიანია, ისიც კი იღიმება, რომელსაც სა-
 ცაა თავი უნდა მოჰკვეთონ. ხალხს მიღმა ჩანს ფორნები, ცხენები, სოფლიდან
 ჩამოსული გლეხები, უფრო შორს კი მინდვრები.

— ცა-ახ! — დაამტლაშუნა ციგანოკმა. ტუჩები მოილოკა და პირს მომ-
 დგარი ნერწყვი მოაპურჭყა. და უცებ თითქოს ბეწვის ქუდი ჩამოაფნატეს
 ცხვირზე, სიბნელე და სულისხუთვა იგრძნო, უნდობელი ყინულის ნატებად
 ექცა გული და მთელ ტანში ცივმა ჟრჟოლამ დაუარა.

ერთი-ორჯერ კიდევ შემოვიდა ზედამხედველი, მაგრამ ციგანოკმა კბილე-
 ბის კრეჭვით უთხრა:

— რა მოუთმენელი ხარ, კიდევ ერთხელ შემოიარე.

ბოლოს სარკმელზე მომდგარმა ზედამხედველმა დაუყვირა:

— ბედი გაუშვი ხელიდან, ყვავო! სხვა მონაბეს!

— ჰოდა, ეშმაკმა წაგილოს, თვითონ ჩამოახრჩე! — შეუღრინა ციგანოკმა.
 და ჯალათობაზე ოცნება შეწყვიტა.

მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა სიკვდილით დასჯა, მით უფრო აუტანე-
 ლი სისწრაფით ირეოდა ციგანოკის თავში ნაკუწ-ნაკუწი სახეები. ციგანოკს
 უკვე შეჩერება უნდოდა, სურდა გაეჩაჩხა ფეხები და შემდგარიყო, მაგრამ
 გაცოფებულმა ნიაღვარმა გაიტაცა და ხელის მოსაჭიდიც არაფერი ჩანდა. ყვე-
 ლაფერი დუღდა ირგვლივ. ძილიც შფოთიანი გაუხდა: მოველინენ კუნძები-
 ვით მძიმე და ხორკლიანი სიზმრები, კიდევ უფრო სწრაფი, ვიდრე აზრები. ეს
 უკვე ნიაღვარიც აღარ იყო. ეს იყო დაუსრულებელი ვარდნა უსასრულოდ მა-
 ლალი მთებიდან, თავბრუდამხვევი ფრენა მთელი ამ მშვენიერი ქვეყნის თავზე.
 თავისუფლების დროს ციგანოკს საკმაოდ კობტა უღვაშები ჰქონდა, ციხეში კი
 მოკლე, შავი, ჯაგარა წვერი წამოეზარდა, რამაც შემზარავი და გიჟური იერი
 მისცა. დროდადრო ციგანოკი მართლაც ივიწყებდა ყველაფერს და სრულიად
 უაზროდ დაწრიალებდა საკანში, მაგრამ მაინც სინჯავდა ხორკლიან, მობათქა-
 შებულ კედლებს, წყალსაც ცხენივით სვამდა.

ერთხელ, საღამოს, როდესაც სინათლეები აანთეს, ციგანოკი ოთხზე დად-
 გა შუა საკანში და აკანკალებული ხმით მგელივით აყმუვლდა. იგი ძალზე სე-
 რიოზული იყო ამ დროს და ისე ყმუოდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანსა და
 აუცილებელ საქმეს ასრულებდა. აივსებდა გულმკერდს პაერით, ხელა უშვებ-
 და გრძელ, აკანკალებულ ყმუილს და მერე ყურადღებით, თვალმოჭუტული უს-
 მენდა, როგორ გამოსდიოდა, ხმას საგანგებოდ აკანკალებდა, გულმოდგინედ
 გამოჰყავდა ცალკეული ნოტა ამ ნადირული ყმუილისა, რომელიც სავსე იყო
 აუწერელი ძრწოლითა და წუბილით.

შემდეგ ერთბაშად შეწყვიტა ყმუილი და რამდენიმე წუთს დუმდა. მერე
 კი წყნარად ჩაპბუტბუტა მიწას:

— ძვირფასებო, საყვარლებო... ძვირფასებო, საყვარლებო, შემობრალეთ. ძვირფასებო!... საყვარლებო!..

და კვლავ მიუგდო ყური, როგორ გამოსდიოდა, იტყოდა სიტყვას და მიაცურადებდა.

შემდეგ წამოხტა და მთელი საათი სულმოუთქმელად იგინებოდა უწმაწური სიტყვებით.

— უ, თქვენი... უ, თქვე... ტა-ტა-ტა-ტა!... — ღრმად იგინებდა ჩასისხლიანებულ, გადმოკარკლულ თვალებს ატრიალებდა, — უნდა ჩამომახრჩოთ, ხომ? თითქოს ის ვიყო. უ, თქვენი!..

ცარცივით გათეთრებულმა ჯარისკაცმა, ნალველისა და ძრწლოლისაგან ლამის ატირებულმა, შეაჩარა თოფის ლულა კარებში და ტირილნარევი ხმით დაუყვირა:

— დაგხვრიტავ, ღმერთმანი, გესვრი! გესმის?

მაგრამ სროლა ვერ გაბედა. სიკვდილმისჯილს არ ესროდნენ, თუ ნამდვილი ამბოხება არ იყო, ციგანოკი კი კბილებს აკრაქუნებდა, იგინებოდა, იფურთხებოდა, — მისი ადამიანური ტვინი, სიკვდილ-სიცოცხლის საშინელ მიჯნაზე გამავალი დაშლილიყო ნაწილებად როგორც მშრალი და გამოფიტული თიხის გუნდა.

როდესაც ლამით გამოცხადდნენ საკანში, რათა სიკვდილით დასასჯელად წაეყვანათ, ციგანოკი აწრიალდა და თითქოს გონს მოვიდა, პირში კიდევ უფრო ძლიერი სიტკბო იგრძნო და ნერწყვი შეუჩერებლად წამოუვიდა, მაგრამ ლოყები გაუვარდისფერდა და თვალები ძველებურად, რამდენადმე ველური ცბიერებით აუციმციმდა. ჩაცმისას ჩინოვნიკს ჰკითხა:

— ვინ უნდა ჩამომახრჩოს? ახალმა? ალბათ ხელი არც ექნება გაჩვეული.

— ამაზე ნუ სწუხართ, — ცივად უპასუხა ჩინოვნიკმა.

— როგორ თუ ნუ ვწუხვარ, თქვენო კეთილშობილებავ, მე უნდა ჩამომახრჩონ, თქვენ ხომ არა. სახაზინო საპონს მაინც ნუ დაინანებთ ბაწრისათვის.

— კარგი, კარგი. გთხოვთ გაჩუმდეთ.

— აგე, მაგან ლამის მთელი საპნები გაანადგურა, — მიუთითა ციგანოკმა ზედამხედველზე, — ხომ ხედავთ, როგორ უპრიალებს სიფათი.

— ხმა გაკმიდე!

— ხომ არ დაგენანებათ?!

ციგანოკმა გადაიხარხარა, მაგრამ პირი კიდევ უფრო გაუტკბა და უცებ როგორღაც უცნაურად დაუბუყდა ფეხები. კარებში გასვლისას მაინც მოასწრო დაყვირება:

— კარეტა მოართვით ბენგალის გრაფს!

5. აკოცე და გაჩუმდი

ხუთი ტერორისტისათვის გამოტანილი განაჩენი საბოლოო ფორმით გამოცხადდა და იმავე დღეს დამტკიცდა. ბრალდებულებს არ უთხრეს, როდის ჩამოახრჩობდნენ, მაგრამ ჩვეულებრივ ასე ხდებოდა: ჩამოახრჩობდნენ იმავე ლამით, ან არაუგვიანეს მომდევნო დღისა. და როდესაც ახლობლებთან შეხვედრა მეორე დღისათვის, ესე იგი, ხუთშაბათისათვის შესთავაზეს, ისინი მიხედნენ, რომ სასიკვდილო განაჩენი აღსრულებოდა პარასკევს განთიადისას.

ტანია კოვალჩუკს ახლო ნათესავეები არ ჰყავდა, ხოლო ვინც ჰყავდა, ისინი სადღაც მიყრუებულ მალოროსიაში ცხოვრობდნენ და ალბათ არც იცოდნენ მისი სასამართლოს და სიკვდილით დასჯის ამბავი, მუსიასა და ვერნერს ვინაობა არ გაუმხელიათ და ამიტომ მათ ნათესავეებსაც ვერ შეატყობინებდნენ. და მხოლოდ ორს, სერგეი გოლოვინს და ვასილ კაშირინს ელოდათ შეხვედრა მშობლებთან. ორივეს შიშითა და ძრწოლით ავსებდა ეს შეხვედრა, მაგრამ უფრო ვერ ეთქვეს მოხუცებთან უკანასკნელ საუბარზე, უკანასკნელ კოცნაზე. *გიგუნიჩი*

განსაკუთრებით განიცდიდა მოსალოდნელ შეხვედრას სერგეი გოლოვინი. ძალიან უყვარდა დედ-მამა, სულ ცოტა ხნის წინ ენახა ისინი და ახლა ძრწოლას გვრიდა იმაზე ფიქრი, თუ როგორ შეხვდებოდა მათ. თვით სიკვდილით დასჯა, თავისთავად საშინელი და ზარდამცემი, უჩვეულობის მიუხედავად, ისე ძნელად ასატანი არ ეჩვენებოდა, როგორც ის მოკლე და გაუგებარი რამდენიმე წუთი დროის მიღმა, ცხოვრების მიღმა არსებული რამდენიმე წუთი, როგორ შეეხედა მათთვის და რა ეთქვა — მისი ტვინი ამის გააზრებას ვერ ახერხებდა. სავსებით უბრალოდ და ჩვეულებრივად რომ შეხვედროდა — ჩამოერთმია ხელი, ეკოცნა, ეთქვა: „გამარჯობა, მამა“, — ეგონა, ეს იქნებოდა საზარელი, არაადამიანური, გაუგონარი სიყალბე.

განაჩენის გამოტანის შემდეგ ბრალდებულები თავთავიანთ საქნებში მოთავსეს, და არა ერთად, როგორც კოვალჩუკი ვარაუდობდა. და მთელი დილის განმავლობაში, თერთმეტ საათამდე, სანამ მშობლები მოვიდოდნენ, სერგეი გოლოვინი გიჟივით წრიალებდა საკანში, წვერს აწვალებდა, საცოდავად იბღუნებოდა და რალაცას ბუტბუტებდა. ხანდახან უეცრად შეჩერდებოდა, ჰერს ღრმად ჩაისუნთქავდა და ისე ამოიქშენდა, თითქოს წყლის ქვეშ დიდხანს დაჰყო. მაგრამ ისეთი ჯანმრთელი იყო და ისე გაბრჯენოდა სიჭაბუკე სხეულში, რომ ამ სასტიკი ტანჯვის დროსაც კი სისხლი უჩუბჩუბებდა, ლოყებიც აღისფერი ჰქონდა, ხოლო ცისფერ თვალებში სხივი და მიამიტობა ედგა.

ყველაფერმა გაცილებით უკეთ ჩაიარა, ვიდრე სერგეი მოელოდა. ოთახში, სადაც შეხვედრა იყო დანიშნული, პირველი შემოვიდა სერგეის მამა, გადამდგარი პოლკოვნიკი, ნიკოლაი გოლოვინი. იგი სულმთლად თეთრი იყო. თეთრი ჰქონდა სახეც, წვერიც, თმაც, ხელებიც, თითქოს თოვლის ქანდაკებისთვის ჩაეცვათ ადამიანის სამოსელი. ნაცნობი სერთუკი ეცვა, მოძველებული, მაგრამ კარგად გაწმენდილი, ისევ ბენზინის სუნი რომ უდიოდა. სერთუკზე ახალთახალი განივი სამხრეები ეკეთა. შემოვიდა მტკიცედ, პარადულად, მყარი, გამოკვეთილი ნაბიჯით. გაუწოდა თეთრი, გამხდარი ხელი და ხმამაღლა უთხრა:

— გამარჯობა, სერგეი!

უკან მოკლე ნაბიჯებით მოსდევდა დედა და უცნაურად იღიმებოდა. მანაც ჩამოართვა ხელი და ხმამაღლა გაიმეორა:

— გამარჯობა, სეროჟენკა!

აკოცა ტუჩებში და ჩუმად დაჯდა. არ მივარდნილა, არ აქვითინებულა, არ უყვირია, არ ჩაუდენია რალაც საშინელება, რასაც სერგეი მოელოდა, — აკოცა და ჩუმად დაჯდა. შავი აბრეშუმის კაბაც კი გაისწორა აკანკალებული ხელებით.

სერგეიმ არ იცოდა, რომ წინა ღამით თავის კაბინეტში ჩაკეტილმა პოლკოვნიკმა მთელი ძალა და ღონე შესწირა ამ რიტუალის მოფიქრებას. „კი არ უნდა დავეუბძიმოთ, უნდა შევეუბსუბუქოთ უკანასკნელი წუთები ჩვენს ვაჟს“,

— მტკიცედ გადაწყვიტა პოლკოვნიკმა და გულმოდგინედ აწონ-დაწონა ხელინდელი საუბრის ყოველი მოსალოდნელი წინადადება, ყოველი მოძრაობა. მაგრამ ხანდახან სულ აერ-დაერეოდა. რაც მოფიქრებული ჰქონდა და მუშაობა გადაკრული დივანის კუთხეში მიმჯდარი მწარედ ტიროდა, დიღობ კი ცოლს აუხსნა, შეხვედრისას როგორ უნდა დაეჭირათ თავი.

— მთავარია, აკოცე და გაჩუმდი! — არიგებდა იგი, — შემდეგ შეიძლება ელაპარაკო, ცოტა ხნის შემდეგ, მაგრამ როცა აკოცებ, რა მანქანა უნდა გაჩუმდე. არაფერი უთხრა კოცნისთანავე, გესმის? თორემ რა მანქანა უნდა გაჩუმდე, რაც საჭიროა.

— გავიგე, ნიკოლაი სერგეევიჩ, — ტირილით პასუხობდა დედა.

— არც უნდა იტირო. ღმერთმა დაგიფაროს ტირილისაგან. ხომ მოუკლავ გულს, თუ ტირილს დაიწყებ!

— შენ თვითონ რატომ ტირი?

— შენი შემხედვარე როგორ არ ვიტირებ! არ უნდა ატირდე, გესმის?

— კარგი, ნიკოლაი სერგეევიჩ.

ეტლში კიდევ უნდოდა გაემეორებინა ეს დარიგება, მაგრამ დაავიწყდა. და ასე მგზავრობდნენ ჩუმად, მოხრილები, ჭაღაროსნები და ბებრები. და ფიქრობდნენ. ქალაქი კი მხიარულად ხმაურობდა: ყველიერის კვირა იდგა და ქუჩები ხმაურიანი და ხალხით სავსე იყო.

დასხდნენ. პოლკოვნიკმა ხელი სერთუკში შეიკურა და წინასწარ მოფიქრებული პოზა მიიღო. სერგეი წამით დაჯდა. ახლოს დედის დაღარული სახე დაინახა და წამოხტა.

— დაჯექი, სერიოჟენკა, — თხოვა დედამ.

— დაჯექი, სერგეი, — გაიმეორა მამამ.

გაჩუმდნენ. დედა უცნაურად იღიმებოდა.

— ბევრი ვიცოდვილეთ შენთვის, სერიოჟენკა.

— რა საჭირო იყო, დედი...

პოლკოვნიკმა მტკიცედ თქვა:

— ჩვენ ყველაფერი უნდა გაგვეკეთებინა, სერგეი, რათა არ გეფიქრა, რომ მშობლებმა მიგატოვეს.

ისევ გაჩუმდნენ. სამივეს ეშინოდა ხმის ამოღებისა, თითქოს ყოველ სიტყვას დაკარგული ჰქონდა თავის მნიშვნელობა და ნიშნავდა მხოლოდ ერთს: სიკვდილს. სერგეიმ შეხედა მამის გაწყრილებულ ბენზინის სუნიან სერთუკს და გაიფიქრა: „მსახური აღარ ჰყავს. ესე იგი, თვითონ წმენდს. როგორ ვერ შევამჩნიე აღრე, როდის წმენდდა? ალბათ დილით“. და უცებ ჰკითხა:

— დაიკო როგორაა? კარგად?

— ნინოჩკამ არაფერი იცის, — აჩქარებით უპასუხა დედამ.

მაგრამ პოლკოვნიკმა მკაცრად შეაჩერა:

— რატომ ატყუებ? გაზეთში წაიკითხა... დაე, სერგეიმ იცოდეს, რომ ყველა... მისი ახლობლები... ამ დროს... ფიქრობენ და...

პოლკოვნიკმა ველარ შეძლო დასრულება და გაჩუმდა. ერთბაშად დედას სახე აერია, დაუნაოჭდა, სველი და არაადამიანური გაუხდა. მიმჭრალი თვალები უგონოდ დააქციტა, სუნთქვა აუჩქარდა და გაუძნელდა.

— სე... სერ... სე... სე... — იმეორებდა იგი უმოძრაო ბაგეებით, — სე...

— დედიკო!

პოლკოვნიკმა მისკენ გადადგა ნაბიჯი. მთელი სხეული, სერთუკის თითოე-

ული ნაკეცი, სახის ყოველი ნაოჭი უცახცახებდა, ვერ ატყობდა, რა საშინელი შესახედავი იყო თავისი უსიცოცხლო სითეთრით, თავისი ნაძალადევი, უილა-ჩო სიმტკიცით.

— გაჩუმდი! ნუ აწამებ! ნუ სტანჯავ! მოკლავ ასე! ნუ აწამებ!

შეშინებული დედა უკვე გაჩუმებულიყო, ხოლო მამას ჯერ კიდევ თავშე-
კავებულად უცახცახებდა მკერდთან მიტანილი მუშტი და იმეორებდა:

— ნუ აწამებ!

შემდეგ უკან დაიწია, აკანკალებული ხელი სერთუკში შეიცურა და მთლი-
ანად ბაგეებგათეთრებულმა ხმამაღლა, ძლივს შენარჩუნებული სიმშვიდით, ჰკი-
თხა:

— როდის?

— ხვალ დილით, — ასეთივე გათეთრებული ბაგეებით უპასუხა სერგეიმ.
დედა თავდახრილი იჯდა, ტუჩებს იკვნიტდა და თითქოს არაფერი ესმო-
და. მერე კი მოულოდნელად უბრალო და უცნაური სიტყვები თქვა:

— ნინოჩკამ მთხოვა გაკოცო, სერიოჟენკა.

— აკოცე ჩემ მაგივრადაც, — თქვა სერგეიმ.

— კარგი. ხვოსტოვებმაც მოგიკითხეს.

— ვინ ხვოსტოვებმა? პო, ვიცი!

პოლკოვნიკმა შეაწყვეტინა:

— აბა, წასვლის დროა. ადექი, ქალო, ასეა საჭირო.

ორივემ წამოაყენეს დასუსტებული დედა.

— გამოეთხოვე! — უბრძანა პოლკოვნიკმა, — ჯვარი გარდასახე.

ქალმა ყველაფერი გააკეთა, რაც უთხრეს. ჯვარი გარდასახა, სწრაფად აკ-
ოცა, თან თავს აქნევდა და უაზროდ იმეორებდა:

— არა, არა! არა, არა! რა მეშველება? როგორ ვთქვი? არა, არა. — მშვი-
დობით, სერგეი! — თქვა მამამ.

ხელი ჩამოართვეს და მაგრად, სწრაფად აკოცეს ერთმანეთს.

— შენ... — დაიწყო სერგეიმ.

— რა? — სწრაფად შეაგება მამამ.

— არა, არა! არა, არა! როგორ ვთქვა? — იმეორებდა დედა თავის კან-
ტურით. ისევ დამჯდარიყო და მთელი სხეულით ირწეოდა.

— შენ... — ისევ დაიწყო სერგეიმ.

უცებ სახე საცოდავად, ბავშვურად დაემანქა და თვალები ერთბაშად
აფესო ცრემლებით. ცრემლების ბრჭყვიალში მამის თეთრი სახე და ცრემლმო-
რეული თვალები დაინახა.

— შენ, მამ, კეთილშობილი კაცი ხარ.

— რას ამბობ! რას ამბობ! — შეშინდა პოლკოვნიკი.

და უცებ, თითქოს მოსწყდაო, მისი თავი შვილის მხარზე დაეცა. იგი ერთ
დროს სერგეიზე მაღალი იყო, ახლა კი სერგეის გაესწრო სიმაღლეში, და მამის
ქალარა, გამხდარი თავი თეთრ გუნდასავით იდო შვილის მხარზე. და ორივე ჩუ-
მად და ხარბად კოცნიდნენ ერთმანეთს: სერგეი — ქალარა თავს, მამა — პატი-
მრის ხალათს.

— მე არა? — ხმამაღლა გაისმა უცებ.

მოიხედეს. დედა იდგა, თავი მაღლა აეწია და რისხვით, ლამის სიძულვი-
ლით უცქერდა მათ.

— რა გინდა, ქალო? — შეუყვირა პოლკოვნიკმა.

— მე არა? — თქვა მან თავის კანტურით, უგონო გამომეტყველებით, — თქვენ კოცნით ერთმანეთს, ხომ? მე არა? კაცები ხომ? მე არა? მე არა?

— დედიკო! — მივარდა სერგეი.

აქ მოხდა ის, რისი აღწერაც შეუძლებელია და არცაა საჭირო.

— დაგლოცავ, სერიოჟა, სიკვდილის წინ. ვაჟკაცურად შეგეგებე, როგორც ოფიცერი.

და წავიდნენ. როგორღაც წავიდნენ. იყვნენ, იდგნენ, და უცებ წავიდნენ. აი, აქ იჯდა დედა. აი, აქ იდგა მამა — და უცებ როგორღაც წავიდნენ. საკანში დაბრუნებული სერგეი დაეშვა საწოლზე, პირით კედლისაკენ, რათა ჯარისკაცს არ დაენახა, და დიდხანს ტიროდა. მერე დაიღალა და მკვლარეობით ჩაეძინა...

ვასილ კაშირინთან მარტო დედა მოვიდა. მამა — მდიდარმა ვაჭარმა, არ ისურვა მოსვლა. მოხუცებული დედის მოსვლისას ვასილი ოთახში დადიოდა და სიცივისაგან კანკალებდა, თუმცა თბილოდა და ცხელოდა კიდევ.

— არ ღირდა, დედი, თქვენი მოსვლა. მხოლოდ თავს გაიწამებთ და მეც გამაწამებთ.

— რატომ ჰქენი ეს, ვასია! რატომ ჩაიძინე! ღმერთო!

მოხუცი ატირდა და ცრემლები შალის თავსაფრის ბოლოთი მოიწმინდა. ვასილს და მის ძმებს ჩვევად ჰქონდათ, ეყვირათ დედისათვის, რომელსაც არაფერი გაეგებოდა. ახლაც, სიცივისაგან აკანკალებულმა ვასილმა ბრაზით უთხრა:

— აი, ხომ ხედავთ! ასეც ვიცოდი! თქვენ ხომ არაფერი გესმით, დედა! არაფერი!

— ჰო, ჰო, კარგი. რა მოგივიდა, გცივა?

— მცივა... — მოუჭრა ვასილმა და ისევ სიარული დაიწყო, თან აღმაცურად, ბრაზით უყურებდა დედას.

— ხომ არ გაცივდი?

— უჰ, დედი, რა დროს გაცივებია, როცა...

და უიმედოდ ჩაიქნია ხელი. დედაბერს უნდოდა ეთქვა: „მამაშენი ორშაბათიდანვე მთხოვდა ბლინების დაცხობას“, მაგრამ შეშინდა და ავიშვიშდა:

— ვეუბნებოდი: ხომ შეილია შენი, წადი, მიუტევე-მეთქი. არა. გაჯიუტდა, ბებერი ვირი...

— ეშმაკმა წაიღოს, რა მამა ისაა! როგორი არამზადაც იყო მთელი სიცოცხლე, ისეთივე დარჩა.

— ვასენკა, ამას მამაზე ამბობ? — საყვედურის ნიშნად წამოიწია დედაბერი.

— მამაზე!

— მშობელ მამაზე?

— რა მშობელი მამა ისაა.

უგუნურება და სისულელე იყო. სიკვდილი ახლოვდებოდა, ისინი კი ლაპარაკობდნენ რაღაც უბრალოსა და უმნიშვნელოზე. ბგერებს თითქოს ფეხდაბიჯებული ფშუტე კაკლები გამოსცემდნენ. ვასილი ლამის აეტირებინა ამ ნაღველს, ამ მარადიულ გაუგებრობას, რომელიც მთელი სიცოცხლე კედელივით აღმართულიყო მასა და ახლობლებს შორის, ამ გაუგებრობას, ველურად რომ დაეჭყიტა პატარა, სულელური თვალეები, უკანასკნელ, სიკვდილისწინა საათშიც კი. და ვასილმა იყვირა:

— შეიგენით ბოლოს და ბოლოს, რომ უნდა ჩამოხრჩონი! —
 — შენც არაფერი დაგეშავებია და არც არავინ... — ყვიროდა დედაბერი.
 — ღმერთო! რა არის ეს! ასე ხომ ნადირებიც არ იქცევიან. შვილი ვარ მე
 თქვენი თუ არა?

იგი ატირდა და კუთხეში მიჯდა. ატირდა დედაბერიც თავის კუთხეში. უს-
 უსურები ერთდებიან ასე; თუნდაც წამიერად; სიყვარულის გრძნობით და
 უბირისპირდებიან მომავალი სიკვდილის შიშს. ტიროდნენ ორივენი სიკვდილის
 თბოთი გაუმთბარი სიმარტოვის ცრემლებით. დედამ თქვა:

— შენ მსაყვედურობ, დედა არ ხარო. მე კი ამ დღეებში მთლად გავკა-
 ლარავდი, დავბერდი. შენ კი მსაყვედურობ.

— ჰო, კარგი, დედი, მაბატიეთ. თქვენ ახლა უნდა წახვიდეთ. ძმები
 დამიკოცნეთ.

— განა მე დედა არა ვარ? განა მე ცოდვა არა ვარ?

ბოლოს წავიდა. ტიროდა ხმამაღლა, ცრემლებს თავშლის ბოლოთი იწმენდ-
 და, გზას ვერ ხედავდა. და რაც უფრო შორდებოდა ციხეს, მით უფრო ცხარე
 ცრემლები სცვიოდა. უკან წავიდა ციხისაკენ. შემდეგ გზა დაებნა ქალაქში,
 სადაც დაიბადა, გაიზარდა, დაბერდა. შეეხეტა რომელიღაც უდაბურ ბაღში,
 სადაც რამდენიმე ბებერი, ტოტებდამტვრეული ხე იდგა, დაჯდა სველ, ცივ მე-
 რხზე. და უცებ მიხვდა: მის შვილს ხვალ ჩამოხრჩობდნენ.

დედაბერი წამოხტა. უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ უცებ თავბრუ და-
 ესხა და დაეცა. მოყინული ბილიკი მომლხვალიყო და სრიალებდა. წამო-
 იწეოდა, დაეყრდნობოდა იდაყვებსა და მუხლებზე და ისევ ეცემო-
 და. შავი თავსაფარი მოძვრა და ჭუჭყისფერი ქალარა თმიდან გამელოტებული
 კეფა გამოუჩნდა. და რატომღაც მოეჩვენა, რომ ქორწილში ქეიფობდა: აქორ-
 წინებდნენ ვაჟს. და მან დალია ღვინო და დაითრო ძლიერ.

— არ შემიძლია, ღმერთმანი, არ შემიძლია! — უარის ნიშნად თავს აქ-
 ნევდა და სველ ყინულზე დაფორთხავდა. და მაინც სულ უსხამდნენ ღვინოს,
 სულ უსხამდნენ.

უკვე გული ატკინა ამ სიცილმა, ამ დაძალებამ, ამ გიჟურმა როკვამ, — და
 მაინც სულ უსხამდნენ ღვინოს, სულ უსხამდნენ.

6. საათები გარბიან

ციხეში, სადაც მსჯავრდადებული ტერორისტები ისხდნენ, ძველებური
 საათიანი სამრეკლო იდგა. ყოველ საათზე, ყოველ ნახევარზე, ყოველ მეოთ-
 ხედზე საათი რაღაც გულისწამლებ ხმას გამოსცემდა, ნაღვლიანს, სივრცეში
 ნელ-ნელა გამღვალს გადამფრენი ფრინველების შორეული და საწყალობელი
 ძახილივით. დღისით ეს უცნაური და ნაღვლიანი მუსიკა ქალაქის ხმაურში
 ითქვიფებოდა, ციხის ახლოს გამავალი დიდი და ხალხმრავალი ქუჩის გზისაში.
 ღრქიალებდნენ ტრამვაები, დათქარუნობდნენ ცხენები, შორს, ხანგამოშვებით,
 ავტომობილების საყვირების ხმა ისმოდა. ყველიერზე მეტლვე გლეხები მოს-
 წყდომოდნენ ქალაქს გარეუბნებიდან და პატარა კვიცების კისრებზე შებმუ-
 ლი ეკვნები ჰაერს ზუზუნით ავსებდა. მხიარული, საყველიეროდ შექეიფიანე-
 ბული ხალხის ლაპარაკი ისმოდა ყველგან. ამ აურზაურს ეხამებოდა მოახლო-
 ებული გაზაფხულის სითბო. ამღვრეული გუბეები ქვაფენილებზე, ჩაშავებუ-
 ლი ბეები სკვერებში, ზღვიდან ნესტიანი, თბილი ქარი უბერავდა. და ლამის

დანახვაც შეიძლებოდა, რა მწყობრად და მხიარულად მიფრინავდნენ შორეთში პაერის პაწაწინა ნაწილაკები.

ლამით ქუჩა დიდი ელექტრული მზეების ეულ სინათლეში თვლემდა. და მაშინ უზარმაზარი ციხე, რომლის ბრტყელი კედლების შიგნით ბრტყად იყო სინათლე. ეფლობოდა წყვდიადსა და სიჩუმეში. იგი დუმდელით, უძრავობითა და წყვდიადით ემიჯნებოდა მარადცოცხალ, მოფუთფუთე ქალაქს და მაშინ საათის რეკვაც ისმოდა. უცხო, არამიწიერი, უცნაური მეტროპოლიტანი და ნალვლიანად იბადებოდა და სივრცეში ქრებოდა. ისევ იბადებოდა, უძრავად ნალვლიანად და წყნარად, შეწყდებოდა, ისევ ქდერდა. დიდი, გამჭვირვალე მინის წვეთებივით ეცემოდნენ უცნობი სიმაღლიდან მეტალის წყნარად მელერ თასში საათები და წუთები, თუ გადამფრენი ფრინველები მიფრინავდნენ?

საკნებში, სადაც ცალ-ცალკე იხდნენ მსჯავრდადებულნი, დღისითაც და ღამითაც მხოლოდ ეს რეკვა ისმოდა. შემოდოდა ჭერიდან, ქვის სქელი კედლებიდან, არღვევდა სიჩუმეს, მიდიოდა შეუმჩნეველად, და მერე, ხელახლა, ისევ შეუმჩნეველად ბრუნდებოდა. ზოგჯერ ივიწყებდნენ და აღარ ესმოდათ ეს ხმა, ზოგჯერ სასოწარმკვეთი მოუთმენლობით ელოდნენ, — თითქოს დარეკვიდან დარეკვამდე ცოცხლობდნენ და უკვე აღარ ენდობოდნენ სიჩუმეს. ციხე მხოლოდ მნიშვნელოვანი დამნაშავეებისათვის იყო განკუთვნილი, აქ განსაკუთრებული წესები მოქმედებდა. სასტიკი, მძიმე და უღმობელი, როგორც მისი ქვის კედლები. და თუ სისასტიკეში კეთილშობილება არსებობს, მაშინ კეთილშობილი იყო ეს ყრუ, სამარისებური, საზეიმო სიჩუმე, რომლის ფონზე ყოველი შრიალი და მსუბუქი ოხვრა აღიქმებოდა.

და ამ საზეიმო სიჩუმეში, მიმქროლავი წუთების ნალვლიანი ქდერა რომ არხევდა ჟამიდან ჟამზე, ყოველ სულიერთაგან განშორებული ხუთი ადამიანი, ორი ქალი და სამი მამაკაცი, ელოდა ღამის დადგომას, გათენებასა და სიკვდილით დასჯას. და ყოველი მათგანი თავისებურად ემზადებოდა.

7. სიკვდილი არ არსებობს

მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ სხვებზე ფიქრობდა ტანია კოვალჩუკი. ახლაც სხვებისათვის იტანჯებოდა და დარდობდა. სიკვდილი მას წარმოუდგებოდა, როგორც რაღაც სატანჯველი სერიოზუა გოლოვინისათვის, მუსიასათვის, სხვებისათვის, — მას კი თითქოს არც ეხებოდა.

სასამართლოზე მტკიცედ ეჭირა თავი. სამაგიეროდ ახლა ტიროდა საათობით, როგორც ტირიან ხოლმე მრავალ ჭირ-ვარამნანახი მოხუცი დედაკაცები, ანდა ძალიან გულჩვილი, ძალიან კეთილი ყმაწვილი ქალები. იმაზე ფიქრი, რომ სერიოზუას შესაძლოა არ ჰქონდა თამბაქო, ხოლო ვერნერს საყვარელი მაგარაჩაი, თანაც სიკვდილით დასჯის წინ, ტანიას არანაკლებ აწამებდა, ვიდრე სიკვდილით დასჯაზე ფიქრი. სიკვდილით დასჯა რაღაც გარდუვალი და უცხო იყო, მასზე ფიქრი არც ღირდა. მაგრამ თუ ადამიანს ციხეში, თანაც სიკვდილით დასჯის წინ, არა აქვს თამბაქო, ეს აუტანელი იყო. იხსენებდა ერთად ცხოვრების ათასგვარ სასიამოვნო წვრილმანებს და გული უკვდებოდა, როდესაც წარმოიდგენდა სერგეის შეხვედრას მშობლებთან.

განსაკუთრებით ებრალებოდა მუსია. კარგა ხანი დარწმუნებული იყო, რომ მუსიას ვერნერი უყვარდა, თუმცა ეს სრულიად არ შეეფერებოდა სიმართლეს, და ორივესთვის რაღაც კარგი და ნათელი სურდა, ციხემდე, თავისუფლებაში

მუსია ვერცხლის ბეჭედს ატარებდა, რომელზეც გამოსახული იყო თავის ქალა, ძვლები და მათ ირგვლივ ეკლის გვირგვინი. გულს უკლავდა ტანია კოვალჩუკს ამ ბეჭედის დანახვა, როგორც განწირულობის სიმბოლოსი, და ხან ხუმრობით, ხან კი სერიოზულად ეხვეწებოდა მუსიას, მოიხსენიო.

— მაჩუქე, — თხოვდა ხოლმე.

— ვერ გაჩუქებ, ტანეჩკა. შენს თითზე მალე სხვა ბეჭედი გაჩნდება.



რატომღაც თავის მხრივ მათაც ეგონათ, რომ ტანია ჩქარა გუთნავდა და და ეს სწყინდა ტანიას, რადგან არავითარი ქმარი არ სურდა. იგონებდა ამ ხუმრობანარევ საუბარს მუსიასთან და დედური სიბრალულის ცრემლები ახრჩობდა, — ახლა მუსია მართლაც განწირული იყო. ყოველთვის, როცა საათი დარეკდა, ტანია ნამტირალევ სახეს მალლა სწევდა და მეზობელ საკნებს აუურადებდა, ცდილობდა გაეგო, თუ როგორ მოქმედებდა მის მეგობრებზე სიკვდილის მოახლოების ეს გულისწამლები, ჯიუტი მაუწყებელი.

მუსია კი ბედნიერი იყო.

დაიწყობდა ზურგზე ხელებს და ნელი ნაბიჯით მიმოდის საკანში. დიდი ზომის პატიმრის ხალათში უცნაურად მოჰგავდა მამაკაცს, მოზარდ ყმაწვილს, რომელსაც სხვისი ტანსაცმელი აცვია. ხალათის სახელოები გრძელი იყო, ამიტომ აკეცილი ჰქონდა და წვრილი, თითქმის ბავშვური, გამხდარი ხელები ისე მოუჩანდა ფართო სახელოებში, როგორც ყვავილის ღერო ჩანს უხეში, ჭუჭყიანი დოქის ყელში. ნაზ, თეთრ კისერს უხეში ქსოვილი უხებავდა, ამიტომ დროდადრო ორივე ხელით ითავისუფლებდა ყელს და ფრთხილად ისინჯავდა გაწითლებულ და გაღიზიანებულ კანს.

დააბიჯებდა მუსია საკანში და თავს იმართლებდა ხალხის წინაშე, ღელავდა და წითლდებოდა. თავს იმართლებდა იმიტომ, რომ მან, ასე ახალგაზრდამ და უმნიშვნელომ, ასე ცოტა რამ გააკეთა და თანაც არავითარი გმირობა არ ჩაუდენია, არადა, უნდა მოეკლათ იმ საპატიო და მშვენიერი სიკვდილით, როგორც რგებიან მანამდე ნადვილ გმირებსა და წამებულებს. ადამიანების სიკეთეში, თანაგრძნობაში და სიყვარულში ურყევად დარწმუნებულ მუსიას წარმოდგენილი ჰქონდა, მის ბედზე როგორ ღელავდნენ სხვები, როგორ იტანჯებოდნენ, როგორ ებრალებოდნენ, და სინდისის ქენჯნისაგან წითლდებოდა. თითქოს თავისი ჩამოხრჩობით რაღაც უდიდეს უხერხულობაში აგდებდა მათ.

ბოლო შეხვედრისას დამცველს საწამლავის მოტანა თხოვა, მაგრამ მაშინვე ენაზე იკბინა: ხომ შეიძლება ეფიქრათ, რომ ეს პრანკიაობის ან შიშის გამო ჩაიდინა. და მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში გაუხმაურებელი და შეუმჩნეველი სიკვდილი სურდა, ამ საქციელით შეიძლებოდა კიდევ უფრო დიდი ხმაური გამოეწვია. და საჩქაროდ დაუმატა:

— არა, არ მინდა.

ახლა ერთი რამ სურდა მხოლოდ: აეხსნა და დაემტკიცებინა ხალხისათვის, რომ არ იყო გმირი, რომ სიკვდილი არც ისე საშინელი იყო, რათა არ შებრალებოდათ და არ ეზრუნათ მისზე; რომ მისი ბრალი არ იყო, ასე ახალგაზრდას და ჩვეულებრივს ამგვარი სიკვდილი თუ ერგო და ამდენი ხმაურის მიზეზი გახდა.

ნამდვილად დადანაშაულებული ადამიანივით ცდილობდა მუსია თავის მართლებას. უნდოდა გამოენახა რაიმე, რაც გაამართლებდა მის ასეთ სიკვდილს. მსჯელობდა:

რა თქმა უნდა, მე ახალგაზრდა ვარ და შემეძლო კიდევ დიდხანს მეცოცხლა. მაგრამ...

და როგორც სანთელს ამქრქალებს ამომავალი მზის ბრწყინვა, ასევე უფერული და მქრქალი ჩანდა მისი ახალგაზრდობა და სიცოცხლე იმ დიადისა და მბრწყინავის წინაშე, რაც არილივით დაადგებოდა მის მოკრძალებულ თავს... არ არსებობს გამართლება.

მაგრამ შესაძლოა, სწორედ ისაა განსაკუთრებულსწრაფსწრულში ატარებს: უნაპირო სიყვარული, უსაზღვრო მზადყოფნა გზისკაპიტანს, საკუთარი თავის უკიდურესი უგულვებელყოფა?

განა დამნაშავეა, რომ არ აცალეს იმის გაკეთება, რაც შეეძლო და რისი სურვილიც ჰქონდა? ტაძრის შესასვლელთან, საკურთხეველის კვარცხლბეკთან მოჰკლეს.

მაგრამ თუ ასეა, თუ ადამიანი ფასდება არა მხოლოდ იმით, რაც გააკეთა. არამედ იმითაც, რისი გაკეთებაც სურდა, მაშინ... იგი ღირსია წამებულის გვირგვინისა.

„ნუთუ? — ფიქრობდა მუსია მორცხვად. — ნუთუ ღირსი ვარ? ნუთუ მართლა ღირსი ვარ, ადამიანებმა ჩემზე იტირონ და იღელვონ, ასე პატარა და უმნიშვნელო არსებაზე?“

და აუწერელმა სიხარულმა მოიცვა მუსია. ეჭვი არაა, იგი მიღებულია ნათელ წიაღში. იგი კანონზომიერად ჩადგება იმ ნათელ სულთა რიგებში, რომლებიც ცეცხლის, წამებისა და დასჯის გზით მალღებებიან ზეცად, სადაც სინათლე, სიმშვიდე და უსაზღვროებაა, სადაც წყნარად ბრწყინავს ბედნიერება. თითქოს უკვე დატოვა დედამიწა და მიეახლა სიმართლისა და სიცოცხლის შეუცნობელ მზეს და მის ნათელში ალივლივდა.

„ეს სიკვდილია, განა ეს სიკვდილია?“ — ფიქრობს მუსია ნეტარებით.

და რომ შეკრებილიყვნენ მის საკანში მთელი მსოფლიოს მეცნიერები, ფილოსოფოსები და ჯალათები, დაეწყოთ მის წინ წიგნები, სკალბელები, ნაჯახები და ყულფები და ემტკიცებინათ, რომ სიკვდილი არსებობს, რომ ადამიანი კვდება და კლავენ, რომ უკვდავება არ არსებობს, — მუსიას მხოლოდ გააოცებდა მათი მიაშიტობა. როგორ თუ არ არსებობს უკვდავება, როცა იგი უკვე უკვდავია? რა უკვდავებაზე, რა სიკვდილზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც იგი უკვე ახლაა მკვდარი და უკვდავი, და ისევე ცოცხალია მკვდარიც, როგორც ცოცხალი იყო სიცოცხლეში?

და მის საკანში რომ შემოეტანათ მყრალი კუბო მისივე გაბრწყინილი გვამით და ეთქვათ:

— შეხედე! ეს შენა ხარ!

იგი შეხედავდა და უპასუხებდა:

— არა, ეს მე არა ვარ.

და როცა შეაშინებდნენ და დარწმუნებას დაუწყებდნენ, რომ ეს თვითონ არის, — მუსია ღიმილით მიუგებდა:

— არა, ამას თქვენ ფიქრობთ, რომ მე ვარ. მაგრამ ეს არა ვარ მე. მე ისა ვარ, ვისაც თქვენ ელაპარაკებით. და როგორღა შეიძლება ეგ მე ვიყო?

— მაგრამ შენ მოკვდები და ამ გვამად იქცევი.

— არა, მე არ მოვკვდები.

— შენ ჩამოგაბრჩობენ. აი, ყულფი.

— ჩამოხრჩობენ, მაგრამ მე არ მოგკვდები. როგორ შეიძლება მოგკვდე, როცა უკვე უკვდავი ვარ?

და უკუიქცევიან მეცნიერები, ფილოსოფოსები და ჯალათები, და ძრწოლით იტყვიან:

— არ შეეხოთ ამ ადგილს. ეს ადგილი წმინდაა.



კიდევ რაზე ფიქრობდა მუსია? ბევრ რამეზე, ვინაიდან სიკვდილიდან უკუიქცევიან კიდევ ვერ გაწყვიტა სიცოცხლის ძაფი; სიცოცხლე ჯერ კიდევ მსხვერპლად მისცა თანაბრად მიედინებოდა. ფიქრობდა ამხანაგებზე, გარეთ რომ იყვნენ და ნალველითა და ტკივილით განიცდიდნენ მათ სიკვდილით დასჯას. ფიქრობდა იმაზე, ვინც მასთან ერთად იყო ციხეში, ვისთანაც ერთად ავიდოდა ეშაფოტზე. ვერ გაეგო, რამ შეაშინა ასე ვასილი, რომელიც ყოველთვის მამაცი იყო და შეეძლო სიკვდილსაც შეხუმრებოდა. ჯერ კიდევ სამშაბათ დილით, ქამრებზე როცა იმაგრებდნენ რამდენიმე საათის შემდეგ ასაფეთქებელ ჭურვებს, ტანია კოვალჩუკს მღელვარებისგან ბელები უკანკალებდა და ამიტომაც თან აღარ წაიყვანეს, ხოლო ვასილი ოხუნჯობდა, ღლაბუცობდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ისე გაუფრთხილებლად იქცეოდა, რომ ვერნერმა მკაცრად უთხრა:

— თავი გაანებე სიკვდილთან ფამილარობას!

ახლა რაღად შეშინდა? ისე გაუგებარი იყო მუსიასათვის ეს უცნაური შიში, რომ მალე ამაზე ფიქრიც და მისი მიზეზის ძებნაც შეწყვიტა. უცებ საშინლად მოუნდა სერიოზულად გოლოვინის ნახვა და მასთან ერთად სიცილი. დაფიქრდა და კიდევ უფრო ძლიერ მოუნდა ვერნერის ნახვა და მისთვის რაიმეს დამტკიცება. წარმოიდგინა, რომ ვერნერი დადის მის გვერდით თავისი მკაფიო, მტკიცე ნაბიჯებით და მუსია ეუბნება:

— არა, ვერნერ, ძვირფასო, სისულელეა ეს ყველაფერი, სრულიად არაფერს ნიშნავს, მოჰკლავ თუ არა N-ს. შენ ჭკვიანი ხარ, მაგრამ თითქოს ჭადრაკს თამაშობ. მოჰკლავ ერთ ფიგურას, მოჰკლავ მეორეს და მოიგებ. აქ კი ისაა მთავარი, ვერნერ, რომ ჩვენ თვითონ ვიყოთ მზად სიკვდილისათვის. გესმის? ამ ბატონებს ხომ სიკვდილი ყველაზე საშინელი რამ ჰგონიათ. თვითონ გამოიგონეს სიკვდილი, თვითონვე ეშინიათ მისი და ჩვენც გვაშინებენ. მე ასეც კი მოვიქცეოდი: მარტოდმარტო დავუდგებოდი წინ ჯარისკაცების მთელ პოლკს და სროლას დავუწყებდი ბრაუნინგით. დაე, მე ერთი ვიყო, ისინი კი ათასები. დაე, მე ვერავინ მოვკლა. მთავარია, რომ ისინი ათასებია. როდესაც ათასები კლავენ ერთს, ეს ნიშნავს, რომ გამარჯვებულია ის ერთი. მერწმუნე, ვერნერ, ძვირფასო.

მაგრამ ეს ისეთი ნათელი რამ იყო, რომ აღარც სურდა მეტი მტკიცება, — ვერნერი აღბათ თავად მიხვდა უკვე. ან, შეიძლება, უბრალოდ არ სურდა მუსიას ერთ რამეზე შეეჩერებინა აზრები, როგორც მსუბუქად მოლივლივე ჩიტს, რომელსაც შეუძლია მისწვდეს უსაზღვრო პორიზონტებს, უკიდვანო სივრცეებს და სრული სიბარული განიცადოს მოალერსე და ნაზი ლაყვარლით. განუწყვეტლივ რეკავდა საათი და ყრუ სიჩუმეს არღვევდა. და ამ პარმონიულ, შორ, მშვენიერ ხმებს შეერწყნენ მუსიას აზრები და მათაც დაიწყეს ჟღერა. და მუსიკად იქცნენ მოლივლივე სახეები. თითქოს ბნელ, წყნარ ლამეში ეტლით მიემგზავრებოდა სადღაც ფართო და სწორ შარაგზაზე, ირხეოდნენ რბილი რესორები, ჟღარუნობდნენ ეფენები. მოშორდა ყოველი წუხილი და მღელვარება, დაღლილი სხეული წყვდიადს შეერწყა. და საამოდ დაქანცული აზრები მშვიდად ქმნიდნენ ნათელ სახეებს. ფერებით ამკობდნენ და ნეტარ სიმ-

შვიდემი სძირავდნენ მათ. მუსიას გაახსენდა სამი ამხანაგი. ამას წინათ რომ ჩამოახრჩეს. ნათელი და მხიარული სახეები ჰქონდათ მათ. ახლა ისინი უფრო ახლობელნი იყვნენ მისთვის, ვიდრე ცოცხლები. ასეთივე სიამოვნებით იხსენებს ადამიანი თავისი მეგობრის სახლს, სადაც სალამოხანს უნდა მივიდეს და მოცინარ სახეებს შეხვდეს.

მუსია ძალიან დაიღალა სიარულით. ფრთხილად წამოწვა საწოლზე და მილულული თვალებით განაგრძო ფიქრი. განუწყვეტლივ რეკავდა მისი, არხევდა მუნჯ სიჩუმეს და მის ჰანგს წყნარად ერწყმოდნენ მკვდრი, მკვდრი სახეები. მუსია ფიქრობდა.

„ნუთუ ეს სიკვდილია? ღმერთო, რა მშვენიერია! თუ სიცოცხლეა? არ ვიცი, არ ვიცი, უნდა ვიყურო და ვუსმინო“.

ქარგა ხანია, დაპატიმრების პირველი დღეებიდანვე, მუსიას მუსიკალური წარმოსახვები დაეწყო. თანდაყოლილი სმენა კიდევ უფრო გაუმახვილა სიჩუმემ. სიჩუმის ფონზე მუსია მთელ მუსიკალურ სურათებს ქმნიდა სინამდვილის ნამცეცხვებისაგან: დერეფანში გუშაგის ნაბიჯების ხმას გაიგონებდა, საათის რეკვას, ქარის შრიალს რკინის სახურავზე, თუ ფარნის ჭრიალს. თავიდან მუსიას აკრთობდა ეს, ავადმყოფური პალუცინაციები არ იყოსო, შემდეგ მიხვდა, რომ სრულიად ჯანმრთელია და დამშვიდდა.

უცებ ნათლად და გარკვევით გაიგონა სამხედრო მუსიკის ხმა. გაკვირვებისაგან თვალები დააჭყიტა და თავი ასწია. ფანჯრის მიღმა ღამე იდგა და საათი რეკავდა. „ისევ დაიწყო!“ — გაიფიქრა მშვიდად; და თვალები დახუჭა. მაგრამ მაშინვე ისევ გაიგონა მუსიკის ხმა. მარჯვენა მხარეს გარკვევით ისმოდა, როგორ გამოდიოდნენ შენობის კუთხიდან ჯარისკაცები, მთელი პოლკი და მიანიჭებდნენ ფანჯრის გასწვრივ. ნაბიჯები გაყინულ მიწაზე მწყობრად მიჰყვებოდნენ ტაქტს: ერთი-ორი! ერთი-ორი! ისმოდა კიდევ, როგორ ჭრაქუნებდა ჩექმის ტყავი, როდესაც ვინმეს ფეხი დაუცურდებოდა და ისევ შეეცდებოდა მწყობრში ჩამდგარიყო. სულ ახლოდან ისმოდა მუსიკა, სრულიად უცნობი, მაგრამ ძალიან ხმამაღალი და მხნე საზეიმო მარში. ეტყობოდა, ციხეში რაღაცას დღესასწაულობდნენ.

აი, ორკესტრი გაუსწორდა ფანჯარას, და მთელი საკანი აავსო მხიარულმა, რიტმულმა, მრავალხმიანმა ბგერებმა. ერთი დიდი, სპილენძის საყვირი აშკარად ურევდა, ხან ჩამორჩებოდა, ხან კი სასაცილოდ გარბოდა წინ. მუსიამ ნათლად წარმოიდგინა მესაყვირე ჯარისკაცის მონდომებული ფიზიონომია და გაეცინა.

გაიარეს, მიწყდა ნაბიჯების ხმა: ერთი-ორი! ერთი-ორი! შორიდან უფრო ლამაზი და მხიარული იყო მუსიკა. კიდევ ორიოდეჯერ გაიყვარა სპილენძის საყვირმა ხმამაღლა, ყალბად და მხიარულად, და ყველაფერი მიწყნარდა. და ისევ რეკავდა სამრეკლოდან საათი. რეკავდა ნელა და ნალვლიანად, ძლივძლივობით არღვევდა სიჩუმეს.

„წავიდნენ!“ — გაიფიქრა მუსიამ ოდნავ ნალვლიანად. დაენანა გამქრალი ბგერები, ასეთი მახლობელი და სასაცილო. დაენანა თვით წასული ჯარისკაცებიც, ვინაიდან ეს გულმოდგინე მესაყვირე, ეს მოჭრაქუნე ჩექმებიანი ჯარისკაცები სულაც არ იყვნენ ისინი, რომელთაც სროლას დაუწყებდა ბრაუნინგით.

— კიდევ მოდიოთ, კიდევ! — თხოულობდა მუსია ალერსიანად. და აი, ისევ მოდიან, დაპბრუნავენ თავზე, გარს ეხვევიან გამკვირვალე ნისლივით და მიიწევენ მაღლა, იქ, სადაც ვაღამფრენი ფრინველები მიფრინავენ და ჰკი-

ვიან, როგორც მაცნენი. ჰკვიან, როგორც მაცნენი — მარჯვნივ თუ მარცხნივ, ზევით თუ ქვევით; შორეთს გასძახიან, შორეთს ამცნობენ თავიანთი ფრენის ამბავს. ფართოდ გაუშლიათ ფრთები, და წყვედიადში ისევე იკვლევენ გზას, როგორც სინათლეში. მიაპობენ ჰაერს და გამოზნექილი მკერდები ქვემოდას განათებით ცისფრად მოკიაფე ქალაქის ათინათით. სულ უფრო თანაბრად უცემს გული მუსიას, სულ უფრო მშვიდად და წყნარად სუნთქავს. იძინებს, სახე დაღლილი და ფერმკრთალი აქვს. უბებთან რკალები დატყობია, თანდათან სწრაფობებიდან წვრილი, ქალიშვილური მკლავები მოუჩანს, ბაგეები უღიმის. ხვალ, მზე რომ ამოვა, ეს სახე არაადამიანურად დაიღმიჭება. ტვინი შედედებული სისხლით აივსება, ბუდეებიდან გადმოცვივდებიან შუშადქცეული თვალები. ჯერ კი სძინავს წყნარად და იღიმება თავის დიად უკვდავებაში შთანთქმული. სძინავს მუსიას.

ციხეში კი გრძელდება ცხოვრება — ყრუ და ფხიზელი, ბრმა და თვალმახვილი, როგორც მარადიული შიში. სადღაც დადიან, სადღაც ჩურჩულებენ. თითქოს ვიღაცამ დაიყვირა. შეიძლება არავისაც არ დაუყვირია — მოჩვენება თუ იყო სიჩუმისმიერი.

აი, უხმაუროდ გაიღო სარკმელი, ბნელ საჭვრეტში გამოჩნდა შავი, ულვაშებიანი პირისახე. დიდხანს და გაკვირვებით მიშტერებოდა მუსიას, მერე ისევ უხმაუროდ გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა.

რეკავენ, მღერიან კურანტები, ხანგრძლივად, მტანჯველად. დაღლილი საათი თითქოს მაღალ მთაზე მიიწევს შუალამით, და თანდათან მძიმე და ძნელი სავალი ხდება აღმართი. ცურდება, კვნესით ვარდება ძირს და ისევ ტანჯვა-წვალებით მიცოცავს შავი მწვერვალისაკენ.

სადღაც დადიან. სადღაც ჩურჩულებენ. და შავ, უფარნო კარეტებში უკვე აბამენ ცხენებს.

8. არსებობს სიკვდილი, არსებობს სიცოცხლეც

სერგეი გოლოვინს არასოდეს უფიქრია სიკვდილზე, როგორც რაღაც უცხოზე, ან ისეთ რამეზე, რაც მას სრულიად არ ეხებოდა; იგი იყო ჯან-ლონით სავსე მხიარული ჭაბუკი, დაჯილდოებული იმ მშვიდი და ნათელი სიხალისით, რომელიც ყოველგვარ ცუდ, სიცოცხლისათვის მავნებელ აზრს ან გრძნობას ყოველთვის სწრაფად და უკვალოდ აჭრობს. როგორც სწრაფად უშუშდებოდა განაკაწრი, კრილობა და ნაჩხვლეტი, ასევე სწრაფად იცილებდა იგი მძიმე სულიერ კრილობებსაც. ყოველგვარ საქმეს, თუნდაც გასართობს, ფოტოგრაფია იქნებოდა ეს, ველოსიპედი თუ ტერორისტული აქტისათვის მზადება, იგი ერთნაირი სიმშვიდითა და ხალისიანი სერიოზულობით ეკიდებოდა. ცხოვრებაში ყველაფერი სახალისოა, ყველაფერი მნიშვნელოვანია და ყველაფერი კარგად უნდა გაკეთდეს.

და იგი ყველაფერს კარგად აკეთებდა. დიდებულად მართავდა აფრებს, მშვენივრად ისროდა რევოლვერით. ერთგული იყო მეგობრობაშიც და სიყვარულშიც. ფანატიკურად სჯეროდა „პატიოსანი სიტყვისა“, ამის გამო მეგობრები აქილიკებდნენ. ნაღდ ჯაშუშს რომ ეთქვა მისთვის, პატიოსან სიტყვას გაძლევ, ჯაშუში არა ვარო, სერგეი იმასაც დაუჯერებდა და ამზანაგურად ჩამოართმევდა ხელს. ერთი ნაკლი ჰქონდა: დარწმუნებული იყო, რომ კარგად მღეროდა, ამ დროს კი სრულიად არ ჰქონდა სმენა, მღეროდა საძაგლად და თვით

რევოლუციურ სიმღერებსაც ამახინჯებდა, როდესაც დასცილდნენ, სწყინდა:

— ან თქვენ ხართ ვირები, ან მე, — ამბობდა ნაწყენი სერგეი სერიოზულად. ასევე სერიოზულად გადაუწყვიტეს:

— შენ ხარ, შენ, ვირი. ხმაზე გეტყობა.

მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე კარგ ადამიანებთან დამოკიდებულებაში, იგი ამ ნაკლისათვის უფრო მეტადაც კი უყვარდათ, ვიდრე ღირსებებისათვის.

სიკვდილის არც ფიქრი ჰქონდა და არც ეშინოდა, ის კი პრაქტიკულად, იმ საბედისწერო დღეს, ტანია კოვალჩუკის ბინიდან გამოსვლამდე, მართლმან ისაუბრა მადიანად: ორი ჭიქა რძიანი ჩაი დალია, მთლიანად შევკამა ხუთკაპიკიანი ფუნთუშა, შემდეგ დანანებით შეხედა ვერნერის ხელუხლებელ პურს და თქვა:

— შენ რა, არა ჭამ? ჭამე, გამაგრდები.

— არ მინდა.

— მაშინ მე შევკამ. კარგი?

— აი, მადაც შენა გაქვს, სერიოზა.

პასუხის ნაცვლად სერგეიმ გამოტენილი პირით ყრუდ და დამახინჯებულად წაიმღერა:

„ავი გრიგალი დაგვბრუნავს თავზე...“

დაპატიმრებამ სერგეი დაანაღვლიანა: ვერ გამოუვიდათ კარგად — ჩაცვივდნენ. „ახლა სხვა რამ უნდა შესრულდეს კარგად, — სიკვდილი“, — გაიფიქრა და გაბალისდა. საოცარი ის იყო, რომ ციხეში ყოფნის მეორე დილიდანვე დაიწყო ვარჯიში ვიღაც გერმანელი მიუღერის არაჩვეულებრივად რაციონალური სისტემით. ამ სისტემით ადრევე იყო გატაცებული. გაიხადა ტანზე, და მეთვალყურე გუშაგი შეშფოთებული და გაკვირვებული უყურებდა, როგორ შეასრულა მიუღერის თვრამეტივე ვარჯიში. სიამოვნებდა, როგორც მიუღერის სისტემის პროპაგანდისტს, გაოცებული გუშაგი რომ უყურებდა. და თუმცა იცოდა, რომ პასუხს ვერ მიიღებდა, მაინც გასძახა სარკმელში მოდარაჯე თვალს დამაჯერებელი და მშვიდი ხმით. რათა არ შეეშინებინა, ის კი არ უფიქრია, რომ გუშაგს იგი მართლაც გიჟი ეგონა.

— კარგია, ძმაო, ჯანისათვის. აი, ეს უნდა დანერგოთ პოლკში.

სიკვდილის შიში თანდათანობით, რალაცნაირი ბიძგით დაეუფლა: თითქოს ვიღაც მთელი ძალ-ლონით ქვევით ექაჩებოდა მის გულს. ეს მტკივნეული უფრო იყო, ვიდრე საშიში. შემდეგ ეს შეგრძნება ქრებოდა, რამდენიმე საათის შემდეგ კი ისევ ჩნდებოდა, თანდათან უფრო ხანგრძლივი და ძლიერი ხდებოდა, და უკვე აშკარად იღებდა რალაც დიდი და უცნაური შიშის ბუნდოვან სახეს.

„ნუთუ მეშინია? — ფიქრობდა გაოცებული სერგეი, — სისულელეა!“

მას არ ეშინოდა, ეშინოდა მის ჭაბუკურ, ჯან-ლონით საესე სხეულს, რომელიც ვერ მოატყუა ვერც გერმანელი მიუღერის ვარჯიშებით, ვერც ცივი წყლით დაზელით. და რაც უფრო ემატებოდა ჯან-ლონე ცივი წყლის შემდეგ, მით უფრო მწვავე და აუტანელი ხდებოდა შიშის მეყსეული შეგრძნება. ადრე, მაგარი ძილისა და დილის ვარჯიშის შემდეგ, განსაკუთრებულ ხალისსა და ენერგიას გრძნობდა, ახლა კი ასეთ წუთებში მწვავე, აუხსნელი შიში ეუფლებოდა. შენიშნა ეს და გაიფიქრა:

„ბრიყვი ხარ, ძმაო სერგეი. სიკვდილი რომ არ გაგიძნელდეს, სხეული კი არ უნდა გააკაყო. პირიქით, უნდა დაასუსტო. სულელი ხარ!“

სერგეიმ მიატოვა ვარჯიშიც და ტანის დაზელაც. გუშაგს კი თავის გასა-
მართლებლად ასე გასძახა:

— შენ არ გაგიკვირდეს, რომ აღარ ვვარჯიშობ. ეს ვარჯიშები კარგი რა-
მანაა. ძმაო. მაგრამ ჩამოსახრჩობ ადამიანს არაფერში არგია. სხვებისთვის კი და-
ლიან კარგია.

და მართლაც, თითქოსდა უკეთ იგრძნო თავი. სცადა ნაკლები ექვამა, რა-
თა უფრო მეტად დასუსტებულიყო, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ვარჯიშებდა, მათა ჰაერზე იყო და არც ვარჯიშობდა, მადა მაინც კარგი ჰქონდა და მისი სისუსტე მოერიდა. ჰამდა ყველაფერს, რაც მოჰქონდათ, მაშინ ასე სცადა: საკმლის ნა-
ხევარს ჰამის დაწყებამდე ღვრიდა. ამან თითქოს უშველა: სინანტე და მოთე-
ნთილობა მოერიდა.

— მე შენ გაჩვენებ! — ემუქრებოდა თავის სხეულს და ნალვლიანად, ნა-
ზად ისვამდა ხელს მოდუნებულ, მორბილებულ კუნთებზე.

მაგრამ სხეული მალე ამ რეჟიმსაც მიეჩვია და სიკვდილის შიში ბელახლა
ეწვია. მართალია, ეს ძველებურად მწვავე და დამდაგველი არ იყო, მაგრამ ახ-
ლა გულისრევას ჰგავდა და უფრო უწვირებდა სულს. „დიდხანს აკიანურე-
ბენ და იმიტომ. — გაიფიქრა სერგეიმ. — კარგი იქნებოდა ბოლომდე სულ მძი-
ნებოდა“. შეეცადა, გაეხანგრძლივებინა ძილი, თავიდან შეძლო, მაგრამ შემ-
დეგ, ალბათ იმის გამო, რომ ზედმეტი მოუვიდა, ან სხვა მიზეზით, უძილობა
დაეწყო; დაესია აბეზარი ფიქრები და ათასგვარი აზრები, მათთან ერთად კი
ეწვია დარდი სიცოცხლეზე.

„განა მე სიკვდილის მეშინია? ეშმაკსაც წაუღია, — ფიქრობდა იგი, —
მე სიცოცხლე მენანება. რაც არ უნდა თქვან პესიმისტებმა, სიცოცხლე დიდე-
ბული რამაა. ნეტა პესიმისტს რა მოუვა, ჩამოსახრჩობა რომ მიუსაჯონ? დასა-
ნანია სიცოცხლე, ძალზე დასანანი. ეს წვერი მაინც რაღად ამომივიდა! ჯერ არა
და არ ამომდიოდა, ახლა კი უცებ ამოვიდა. რატომ, ეს მაინც რატომ?“

ნალვლიანად აქნევდა თავს და გრძნობდა, მწარედ ოხრავდა. შეყოვნდე-
ბოდა და ისევ ღრმად ამოიოხრებდა, კვლავ შეყოვნდებოდა მცირე ხნით და
უფრო ხანგრძლივი, უფრო მძიმე ოხვრა აღმოხდებოდა.

ასე გრძელდებოდა სასამართლომდე და მშობლებთან უკანასკნელ, საში-
ნელ შეხვედრამდე. როდესაც საკანში იმის მკაფიო შეგნებით იღვიძებდა, რომ
სიცოცხლეს უნდა გამოთხოვებოდა და წინ რამდენიმე საათილა დარჩენოდა
სიცარიელემდე და სიკვდილამდე, რაღაც უცნაურობა ემართებოდა. თითქოს
მთლიანად, რაღაც უჩვეულოდ გაეშიშვლებინათ, თითქოს არა მარტო ტან-
საცმელი მოეცილებინათ, არამედ მზეც და ჰაერიც, ხმაურიც და სინათლეც.
მოდრაობაც და მეტყველებაც. ეს არც სიკვდილი იყო, არც სიცოცხლე. ეს იყო
რაღაც ახალი, გასაოცრად გაუგებარი, არც სავსებით უაზრო, არც რაიმე აზრის
მქონე, მაგრამ ღრმა, იდუმალი, არაადამიანური და აუხსნელი.

— ფუჰ! ეშმაკმა წაიღოს! — უკვირდა სერგეის და იტანჯებოდა. — რა
არის ნეტავი ეს? სად ვარ მე? მე... რა ვარ მე?

დაითვალეირა თავი, ყურადღებით, ინტერესით, პატიმრის დიდი ფეხსაც-
მელებიდან დაწყებული მუცლით დამთავრებული, რომელზეც ხალათი ჰქონდა
გადმოჩაჩული. გაიარა საკანში, გაჩაჩხა ხელები და ისე გააგრძელა საკუთარი
სხეულის თვალეირება, როგორც ქალმა იცის, ახალი კაბა გრძელი რომ მოე-
ჩვენება. დაატრიალა თავი, — ტრიალებს. საშინელებაა, — ეს კაცი არის სერ-
გეი გოლოვინი და იგი მალე აღარ იარსებებს.

და უცნაური გახდა ყველაფერი.

გაირა საკანში, — უცნაურია, რომ დადის, დაჯდა, — უცნაურია, რომ ზის, დალია წყალი, — უცნაურია, რომ სვამს, რომ ყლაპავს, რომ უჭირავს ტოლჩა, რომ აქვს თითები და რომ ეს თითები უთრთის, ხველებს, უტყდა, თითქოს რაღაც გადასცდაო, ახველებს და ფიქრობს: „რა უცნაურია, რომ ვახველებ“.



„მგონი ტკუიდან ვიშლები! — გაიფიქრა სერგეიმ და რჩემანუფრემა დაასხა. — ესლა მაკლდა, ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი!“

ბელით შუბლი მოიწმინდა, მაგრამ ესეც უცნაური იყო. სუნთქვაშეკრული გაირინდა და ასე დარჩა რამდენიმე საათი. შეწყვიტა ფიქრი, შეანელა სუნთქვა, ერთ ადგილას გაქვაავდა, — ყოველგვარი აზრი სიგიჟე იყო, ყოველგვარი მოძრაობა სიგიჟე იყო. დრო გაქრა, თითქოს სივრცედ გარდაიქმნა, გამჭვირვალე, უპაერო, უზარმაზარ სივრცედ, რომელშიც მოთავსებულიყო ყველაფერი, — დედამიწაც, სიცოცხლაც, ადამიანებიც, და ყოველივე ეს ერთბაშად აღიქმებოდა, აღიქმებოდა ბოლომდე, გამოუცნობ დასასრულამდე — სიკვდილამდე. სიკვდილის ხილვა კი არ სტანჯავდა, არამედ ის, რომ ერთად ხედავდა სიცოცხლესაც და სიკვდილსაც. მკრეხელის ხელს ფარდა გადაეხსნა სიცოცხლისა და სიკვდილის მარადიულად დაფარულ საიდუმლოსათვის და ისინი აღარ წარმოადგენდნენ საიდუმლოს, მაგრამ არც გასაგებნი იყვნენ, როგორც უცნობ ენაზე დაწერილი ქეშმარიტებანი, მის ადამიანურ ტვინში არ იყო ისეთი ცნება, მის ადამიანურ ენაზე არ არსებობდა ისეთი სიტყვა, ყოველივე ამას რომ გადმოსცემდა, და სიტყვა „შეშინია“ იმიტომ წარმოთქვა მისმა ბაგეებმა, რომ არ არსებობდა სხვა სიტყვა, არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებებულიყო სხვა ცნება, ამ ახალ, არაჩვეულებრივ მდგომარეობას რომ გამოხატავდა. ასე დაემართებოდა ადამიანს, თუკი იგი, ადამიანურ შეგრძნებათა და გამოცდილებათა საზღვრებში დარჩენილი, უეცრად იხილავდა ღმერთს, იხილავდა მაგრამ ვერ შეიცნობდა, თუმცა ეცოდინებოდა, რომ ეს არის ღმერთი, და შეაძრწუნებდა გაუგონარი წამება გაუგონარი შეუცნობლობისა.

— მიუღერ! — უცებ ჩამაძალდა, უზომო თავდაჭერებით წარმოთქვა მან და თავი გააქნია. მხოლოდ ადამიანის სულს რომ ჩვევია ზოგჯერ, ერთბაშად ისე შეეცვალა გუნება, და მხიარულად, გულწრფელად გადაიხარხარა. — უპ, მიუღერ! ჩემო ძვირფასო მიუღერ! უმშვენიერესო გერმანელო! მაინც შენ ხარ მართალი, მიუღერ, მე კი, ძმაო, ვირი ვარ.

სწრაფად გაიარ-გამოიარა საკანში გაკვირვებული გუშაგის თვალწინ საჩქაროდ გაიხადა ტანზე და მხიარულად, უდიდესი მონდომებით შეასრულა თვრამეტევე ვარჯიში. გაქიმა და გაწვართა თავისი ახალგაზრდული, ოდნავ გამბდარი სხეული. დაჯდა, დაიწყო ღრმად ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა, ხელებისა და ფეხების ქნევა, და ყოველი ვარჯიშის შემდეგ კმაყოფილებით ამბობდა:

— ესეც ასე! ეს უკვე ნამდვილი საქმეა, ძმაო მიუღერ!

სანე აუწითლდა, კანი ცხელი და სასიამოვნო ოფლით დაეცვარა, გულმაც ძლიერად და თანაბრად დაუწყო ძგერა.

— საქმე ის არის, მიუღერ, — მსჯელობდა სერგეი და მკერდს ისე ზნექდა წინ, რომ კანქვეშ მკაფიოდ ეხატებოდა ნეკნები. — საქმე ის არის, მიუღერ, რომ არსებობს კიდევ მეცხრამეტე ვარჯიში — ბაწარზე კისრით ჩამოკიდება უძრავ მდგომარეობაში. ამას ჰქვია ჩამოხრჩობა. გესმის, მიუღერ? წა-

ავლებენ ხელს ცოცხალ ადამიანს, ვთქვათ, სერგეი გოლოვინს, თოჯინასავით შეახვევენ, კისერზე ბაწარს მოაბამენ და ჩამოკიდებენ, სანამ არ მოკვდება. სასულელეა, მიულერ, მაგრამ რას იზამ, სხვა გზა არაა.

გადიხარა მარჯვენა გვერდზე და გაიმეორა:
— სხვა გზა არაა, ძმაო მიულერ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. საშინელი მარტოობა

რეკავდა საათი, მიდიოდა დრო და შიშსა და ნალველში ამთავრებდა თავის სიცოცხლეს უბედური ვასილ კაშირინი. იგი სერგეისა და მუსიასაგან რამდენიმე ცარიელი საკნით იყო დაშორებული, მაგრამ ისე საშინელ სიმარტოვეში გრძნობდა თავს, თითქოს ქვეყანაზე მის გარდა აღარავინ დარჩენილიყო.

სასოწარკვეთილი კაშირინი ისე მოუსვენრად წრიალებდა საკანში, თითქოს კბილის ტკივილი სტანჯავსო. გაოფლიანებულ ტანზე სველი პერანგი მაწებებოდა, გრუზა თმა უწესრიგოდ ჩამოშლოდა. სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა კედელთან, მიეყრდნობოდა შუბლით. შეჩერდებოდა და თვალებით რაღაცას ეძებდა, წამალს რომ ეძებენ, ისე. გამომეტყველება შეეცვალა, თითქოს ორი სახე ჰქონდა, რომელთაგან ერთი, ახალგაზრდული, სადღაც გადახვეწილიყო, ხოლო მისი ადგილი დაეკავებინა ახალს, საშინელს, სიბნელიდან მოსულს.

სიკვდილის შიში ერთბაშად და მძლავრად დაეუფლა. ჯერ კიდევ დილით, ნაღდ სიკვდილზე რომ მიდიოდა, იგი უშიშრად ეთამაშებოდა მას, ხოლო უკვე საღამოს, განცალკევებულ საკანში ჩასმულ კაშირინს რეტი დაასხა და შთანთქა შლეგური შიშის ტალღამ. სანამ თავისივე ნებით ეგებებოდა ხიფათსა და სიკვდილს და თვითვე განაგებდა თავის ბედს, სიკვდილი, თავისთავად საშინელი, სულაც არ აფიქრებდა და მშვიდად და მხიარულადაც კი იყო: უსაზღვრო თავისუფლების გრძნობა, უშიშარი და შეუპოვარი ნების თამამად და მტკიცედ დამკვიდრება უკვალოდ აქრობდა პატარა, დაღმეჭილ, დედაბრულ შიშს. წელზე შემორტყმული ჯოჯობეთური მანქანით იგი თითქოს თავად ქცეულიყო ჯოჯობეთურ მანქანად, თითქოს დინამიტის ცეცხლოვანი, მომაკვდინებელი ძალა შესძენოდა. და როცა ქუჩაში მიდიოდა აფუსფუსებულ, ყოველდღიურ საზრუნავში ჩაფლულ ადამიანთა შორის, სწრაფად რომ ერიდებოდნენ ეტლში შებმულ ცხენებს და ტრამვაის, კაშირინს თავი წარმოედგინა სხვა, უცნობი სამყაროდან მოსულად, რომელმაც არ იცის, რაა სიკვდილი და შიში.

და უცებ უცნაური, თავზარდამცემი ცვლილება: იგი უკვე ველარ მიდის, სადაც უნდა, არამედ სხვებს მიჰყავთ, სადაც სურთ, იგი უკვე ველარ ირჩევს ადგილს, მას ათავსებენ ცხატრებიან საკანში და შიგ კეტავენ, როგორც ნივთს. მას უკვე აღარ შეუძლია თავისუფლად აირჩიოს სიცოცხლე ან სიკვდილი. მას აუცილებლად და გარდუვალად მოკლავენ. ხორცშესხმული სიმამაცე, სიცოცხლე და ძალა მყისვე გადაიქცა უმწეობის საცოდავ გამოხატულებად, ცხოველად, სასაკლაო რომ ელოდება, ყრუ და მუნჯ ნივთად, რომელიც შეიძლება გადადგან, დაწვან, დაამტვრიონ. რაც არ უნდა თქვას, არავინ მოუსმენს. თუ ყვირილს დაიწყებს, პირში ჩვარს ჩაჩრიან. თუ შესძლებს ნაბიჯის გადადგმას, წაიყვანენ და ჩამოახრჩობენ; და თუ წინააღმდეგობას გაუწევს, თუ მიწაზე გაწვება და აფართხალდება, მოერევიან, ააყენებენ, შეკოჭავენ და შეკოჭილს აიყვანენ სახრჩობელაზე. ამ უაზრო სამუშაოს შეასრულებენ ადამიანები, ისეთივენი, როგორც თავადაა. და ამიტომ ისინი მიიღებენ უჩვეულო და ბოროტ

სახეს: ან მოჩვენებებისას, რაღაცას რომ თითლიბაზობენ, და ყასიდად რომ იქცევიან; ან მექანიკური, ზამბარებიანი თოჯინებისას, რომლებიც ხელს დასტაცებენ, წაიყვანენ და ჩამოახრჩობენ, თოკს მოჭრიან, გვამს დადებენ, წაიღებენ და დამარხავენ.

და ციხეში ყოფნის პირველი დღეებიდანვე ადამიანები და მათი ცხოვრება მისთვის გადაიქცა ლანდებისა და თოჯინების საშინელ სამყაროდ. შიშისაგან თითქმის გონდაკარგული კაშირინი ცდილობდა წარმოეტყვის, რომ ადამიანებს აქვთ ენა და ლაპარაკი შეუძლიათ, მაგრამ ვერ ახერხებდა, — ისინი მუნჯებად ესახებოდა. ცდილობდა გაეხსენებინა მათი მეტყველება, სიტყვები, რომლებითაც ისინი ერთმანეთს მიმართავენ, — ესეც არ შეეძლო. პირს აღებენ, რაღაც ხმას უშვებენ, შემდეგ შორდებიან ერთმანეთს, ნაბიჯებს ადგამენ, მეტი არაფერი.

ასეთი შეგრძნება ექნებოდა ლამით მარტოდმყოფ ადამიანს, თუ უეცრად გაცოცხლდებოდნენ, ამოძრავდებოდნენ, ადამიანს შეიპყრობდნენ და გაასამართლებდნენ ნივთები: კარადა, საწერი მაგიდა, სკამი და დივანი. ადამიანი დაიწყებდა ყვირილს და სირბილს, ვედრებით მოუხმობდა მშველელს, ნივთები კი — კარადა, სკამი, საწერი მაგიდა და დივანი, ერთმანეთში თავისებურად ილაპარაკებდნენ, ხოლო შემდეგ ჩამოსახრჩობად წაიყვანდნენ. დანარჩენი ნივთები კი ყოველივე ამის მოწმენი იქნებოდნენ.

და ყველაფერი თამაშად ეჩვენება ვასილ კაშირინს, ჩამოხრჩობამისჯილს: საკანიც, საჭვრეტეიანი კარიც, საათის რეკვაც, მკვიდრად აშენებული ციხეც. და განსაკუთრებით ის თოფიანი მექანიკური თოჯინა, დერეფანში რომ დაბაკუნობდა, და სხვებიც. შიშით რომ იხედებოდნენ სარკმელში და ჩუმად აწვდიდნენ საჭმელს. რასაც იგი განიცდიდა, არ იყო სიკვდილისწინა, შიში. კაშირინს სურდა კიდევ სიკვდილი: თავისი მარადიული გამოუცნობლობით და გაუგებრობით იგი უფრო მისაწვდომი იყო გონებისათვის, ვიდრე ეს უცნაურად და ფანტასტიკურად შეცვლილი სამყარო. მეტიც: სიკვდილი როგორღაც ანადგურებდა ამ შეშლილ სამყაროში აჩრდილებს და თოჯინებს, ჰკარგავდა თავის დიად და გამოუცნობ აზრს, ხდებოდა რაღაც მექანიკური და მხოლოდ ამიტომ საშინელი, ხელს დასტაცებენ, წაიყვანენ და დაახრჩობენ, თოკს მოჭრიან, გვამს დადებენ, წაიღებენ და დამარხავენ.

გაქრა ამქვეყნად ადამიანი.

სასამართლოზე ამხანაგებთან სიახლოვემ კაშირინი გონს მოიყვანა და წუთით ისევ დაინახა ადამიანები. სხედამ და ასამართლებენ მას, რაღაცას ლაპარაკობენ ადამიანური ენით, ისმენენ და თითქოს იგებენ კიდევც... მაგრამ დედასთან შეხვედრისას გაგიჟებამდე მისული და ამით შეშინებული ადამიანივით ნათლად იგრძნო, რომ შავთავსაფრიანი მოხუცი დედაკაცი კარგად გაკეთებული მექანიკური თოჯინა იყო, იმათი მსგავსი, ასე რომ ლაპარაკობენ: „დე-და“, „მა-მა“, ოღონდ უკეთესად გაკეთებული. ცდილობდა ელაპარაკა მასთან, თან შემკრთალი ფიქრობდა:

„ღმერთო! ეს ხომ თოჯინაა. დედა-თოჯინა. აგერ ჭარისკაცი-თოჯინა. სახლში მამა-თოჯინა, მე კი თოჯინა ვასილ კაშირინი ვარ“.

ცოტაც და გაიგონებდა მექანიზმის ტკაცანს, დაუხეთავი სახსრების ხრკი-ალს. როდესაც დედა ატირდა, წამით რაღაც ადამიანური შეგრძნება დაეუფლა, მაგრამ მის პირველ სიტყვებზევე გაუქრა, და საინტერესო, საშინელი სანახავი იყო, როგორ სდიოდა თოჯინას ცრემლები.

შემდეგ, თავის საკანში, როდესაც აუტანელი გახდა შიში, ვასილ კაშირინმა ლოცვა სცადა. ყოველივე იმისგან, რაც რელიგიის სახით შეზებოდა მის ყმაწვილურ სულს მამის სავაჭრო სახლში, დარჩენოდა მხოლოდ საზიზღარი, მწარე და გამაღიზიანებელი ნალექი. რწმენაც არ ჰქონდა. მაგრამ ოდესღაც, ალბათ ადრეულ ბავშვობაში, მან, გაიგონა სამი სიტყვა. ამ სიტყვებმა გააოცა და უცნაური ლელვა მოჰგვარეს. და მათგან შემდეგაც, მთელ სიცოცხლეში, ფაქიზი პოეზიის სურნელს გრძნობდა. ეს სიტყვები იყო:

განცხადება
 ვასილ კაშირინს
 გიგანტური

„ნეტარ იყვნენ მგლოვარენი“.

ზოგჯერ, მძიმე წუთებში, თავისთვის ჩურჩულებდა, ლოცვის გარეშე, გაუცნობიერებლად: „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი“. — და უცებ მშვიდდებოდა და უნდოდა ვინმე ძვირფასთან მისვლა და ნაღველის გაზიარება:

— ჩვენი ცხოვრება... განა ეს ცხოვრებაა? ეჰ, ჩემო ძვირფასო, განა ეს ცხოვრებაა?

მერე უცებ სიცილი მოუნდებოდა, თმას იბურძგნიდა, ოინბაზობდა, ვინმეს მკერდს მიუშვერდა: აჰა, დამარტყი!

არავისთვის, ყველაზე ძვირფასი ამხანაგებისთვისაც არ უთქვამს თავისი „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი“ და თითქოს თავადაც არაფერი იცოდა მის შესახებ, ისე ღრმად ჰქონდა მიმაღული სულში. იშვიათად იგონებდა, თანაც კრძალვით.

და ახლა, როდესაც ამოუცნობმა, ცხადად წარმოდგენილი იდუმალელებს შიშმა მთლად შთანთქა, როგორც წყალდიდობამ მდინარისპირა ძეწნარი, მას ლოცვა მოუნდა. მოუნდა მუხლებზე დაცემა, მაგრამ ჭარისკაცის შერცხვა, და გულხელდაკრეფილმა წაიჩურჩულა:

— ნეტარ იყვნენ მგლოვარენი!

და გულაჩუყებულმა ნაღვლიანად გაიმეორა:

— ნეტარ იყვნენ მგლოვარენო, მომეახლე, უშველე ვასკა კაშირინს.

ჯერ კიდევ ადრე, როდესაც პირველ კურსზე იყო უნივერსიტეტში და ქეიფობდა ხოლმე, ვიდრე ვერნერს გაიცნობდა და საზოგადოებაში შევიდოდა, იგი თავის თავს დარდიმანდულად „ვასკა კაშირინს“ ეძახდა. ახლა რატომღაც მოუნდა, ასევე ეწოდებინა თავისი თავისათვის. მაგრამ მკვდარი და გულცივი იყო წარმოთქმული სიტყვები:

— ნეტარ იყვნენ მგლოვარენი!

რადაც შეინძრა. თითქოს ვიღაცის წყნარი და მწუხარე ხატება გაცურდა შორს და წყნარად ჩაქრა, არ კი გაუნათებია სიკვდილისწინა წყვდიადი. საათი რეკავდა სამრეკლოზე. ვიღაცამ შაშის ქვა თუ ჩაბმახი დაატკაცუნა, მერე კი გრძლად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაამთქნარა.

— „ნეტარ იყვნენ მგლოვარენო!“ შენც დუმხარ? შენც არაფერს ეუბნები ვასკა კაშირინს?

გულაჩუყებული იღიმებოდა და ელოდა. მაგრამ სიცარიელე სუფევდა სულშიც და ირგვლივაც. არც წყნარი და მწუხარე ხატება დაბრუნებულა. მტანჯველად, ნაღვლიანად მოაგონდა ანთებული თაფლის სანთლები, ანაფორიანი მღვდელი, კედელზე დახატული ხატი, მამა, რომელიც წელში იხრებოდა და სწორდებოდა, ლოცულობდა და თან ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდა ვასკას, ლოცულობს თუ ცელქობსო. და კიდევ უფრო შეძრწუნდა, ვიდრე ლოცვამდე.

გაქრა ყველაფერი.

ლამის გონი წაერთვა. ცნობიერება ჩაუჭრა, როგორც გატყორცნილი ნაპერწკალი. ცივდებოდა ახლახან მიცვლილი ადამიანის ცხედარივით, რომელსაც სითბო ჯერ კიდევ შერჩენია გულში, ხოლო ფეხები და ხელები გაშეშებია. კიდევ ერთხელ, სისხლისფრად აენტო მიმქრალი აზრი, რომ იგი გასკა კაშირინი, შეიძლება აქ შეიშალოს ჭკუაზე, განიცადოს ისეთი წამებანი, რომელთაც არა აქვთ სახელი, მივიდეს ტკივილისა და ტანჯვის იმ ზღვრამდე, სადამდეც არ მისულა არც ერთი სულიერი. თავიც რომ ახალს ვეწესებს, თითოთ რომ ამოიჩიჩქნოს თვალი, ილაპარაკოს და იყვიროს, ტირილით ამტკიცოს, რომ მეტის ატანა აღარ შეუძლია, არაფერი, არაფერი არ შეიცვლება.

არ შეცვლილა არაფერი, ფეხებმა, რომელთაც თავისი ცნობიერება და ცხოვრება აქვთ, გააგრძელეს სიარული და ოფლიანი, მოცახცახე სხეულის ტარება. ხელები, რომელთაც თავის გონება აქვთ, ამაოდ ცდილობდნენ მკერდზე გახსნილი ხალათის შემოხვევას და აკანკალებული, შეციებული ტანის გათბობას. სხეული უკანკალებდა და ამცივნებდა. თვალები გაშტერებოდა. და ეს იყო თითქმის განსვენება.

მაგრამ ველური შიშის ქამი კიდევ ერთხელ დადგა, როდესაც ადამიანები შემოვიდნენ. ჯერ უბრალოდ შეხედა მათ, მერე კი გაიაზრა, რომ დასასჯელად უნდა წაეყვანათ და თითქმის ბავშვივით შეშინდა.

— მეტს აღარ ვიზამ! მეტს აღარ ვიზამ! — ჩურჩულებდა იგი მკვდრისფერი ბაგეებით და ნელა იწევდა საკნის სიღრმეში, როგორც ბავშვობაში იცოდა, როცა მამა ცემას დაუპირებდა.

— წავიდეთ.

ლაპარაკობენ, მოძრაობენ ირგვლივ, რალაცას აწვდიან. დახუჭა თვალები. ერთხანს ირწეოდა, მერე ღუნედ შეუდგა გამზადებას. როგორც ჩანს, ცნობიერებაც დაუბრუნდა: უცებ ჩინოვნიკს პაპიროსი სთხოვა. მანაც თავაზიანად აახსნა დეკადენტური ნახატი და მშვენიერი პორტსიგარი.

10. კედლები ინგრევა

უცნობი, მეტსახელად ვერნერი, ცხოვრებითა და ბრძოლით დაღლილი ადამიანი იყო. ერთ დროს საოცრად უყვარდა სიცოცხლე, ტკბებოდა თეატრით, ლიტერატურით, ადამიანებთან ურთიერთობებით. ბრწყინვალე მეხსიერებისა და ძლიერი ნებისყოფის წყალობით ისე სრულყოფილად შეისწავლა რამდენიმე ევროპული ენა, რომ თავისუფლად შეეძლო თავი გერმანულად, ფრანგულად ან ინგლისულად გაესაღებინა, გერმანულად იგი, ჩვეულებრივ, ბავარიული აქცენტით ლაპარაკობდა, მაგრამ შეეძლო სურვილისამებრ მკვიდრი ბერლინელივით ელაპარაკა. კარგად ჩაცმა უყვარდა, მშვენიერი მანერები ჰქონდა და თავის თანამოძმეთაგან ერთადერთი იყო, ვისაც შეეძლო დასწრებოდა მალაღობის საზოგადოების მეჯლისს, თანაც ისე, რომ ვერავის ეცნო.

მაგრამ ჯერ კიდევ ადრე, ამხანაგებისაგან შეუმჩნევლად, მის სულში მომწიფდა შავბნელი სიძულვილი ადამიანებისადმი. სასოწარკვეთილებაც იყო ამ სიძულვილში და მძიმე, თითქმის სასიკვდილო დაღლილობაც. ბუნებით უფრო მათემატიკოსი იყო, ვიდრე პოეტი, და აქამდე არ იცოდა, რა იყო აღმაფრენა და ექსტაზი. ხანდახან ისეთი შეგრძნება ჰქონდა, როგორც შეშლილს, რომელიც ადამიანის სისხლში ეძებს წრის კვადრატურას. მტერი, რომელსაც ყოველდღიურად ებრძოდა, ვერ უნერგავდა საკუთარი თავისადმი პატივის-

ცემას. ეს იყო სირეგენის, გამცემლობის, სიცრუისა და საზიზღარი თვალთმაქცობის მჭიდრო ქსელი. პროვოკატორის მკვლელობამ, რომელიც ორგანიზაციის დავალებით ჩაიდინა, საბოლოოდ ჩაუქრო სიცოცხლის სურვილი, მოკვლა აუღელვებლად. მაგრამ როდესაც დაინახა მოკლულის ცრუ, მაგრამ ახლი მშვიდი და მაინც შესაბრალისი ადამიანური სახე, ერთბაშად დაკარგა საკუთარი თავის და საქმის პატივისცემა. სინანული კი არ დაუფლებია, უბრალოდ უცებ შესძაგდა თავი, უინტერესო, უმნიშვნელო, მოსაწყენი ეჩვენა სიცოცხლისმაგვარამ ორგანიზაციიდან არ წასულა, როგორც მთლიანი, გაუხლეჩელი ნებისყოფის ადამიანი. გარეგნულადაც იგივე დარჩა, ოღონდ თვალებში რაღაც ცივი და ამაზრზენი ჩაუწვა. არც არავისთვის უთქვამს რამე.

ვერნერი ერთ იშვიათ თვისებასაც ფლობდა: როგორც ზოგ ადამიანს არასოდეს უგრძნია თავის ტკივილი, ასევე მანაც არ იცოდა, რა იყო შიში. სხვათა შიშს არ სძრახავდა, მაგრამ არც მაინცდამაინც თანაუგრძნობდა, როგორც მისთვის უცნობ და განუცდელ, მაგრამ საკმაოდ გავრცელებულ სნეულებას. თავისი ამხანაგები ებრალებოდა, განსაკუთრებით ვასია კაშირინი, მაგრამ ეს იყო ცივი, თითქმის ოფიციალური სიბრალული, რაც ალბათ რომელიმე მოსამართლისთვისაც არ გახლდათ უცხო.

ვერნერი მიხვდა, რომ სიკვდილით დასჯა უბრალო სიკვდილს კი არ ნიშნავდა, არამედ რაღაც სხვას, მაგრამ მაინც გადაწყვიტა მშვიდად შეგებებოდა მას: ეცოცხლა ბოლომდე ისე, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო და არც არაფერი მოხდებოდა. მხოლოდ ამით შეეძლო გამოეხატა უდიდესი ზიზღი სიკვდილით დასჯისადმი და შეენარჩუნებია სულის უკანასკნელი, წარუტაცებელი თავისუფლება. სასამართლოზე, — ამას ალბათ არ დაიჯერებდნენ თვით მისი ამხანაგები, რომლებმაც კარგად იცოდნენ მისი ცივი გულუშიშრობა და ქედმაღლობა, — იგი სიკვდილზე და სიცოცხლეზე არ ფიქრობდა: იგი მთელი გულისყურით, უაღრესი სიმშვიდით თამაშობდა ძნელ საქადრაკო პარტიას. ჭადრაკის შესანიშნავმა მოთამაშემ პატიმრობის პირველი დღიდანვე დაიწყო ეს პარტია და შეუსვენებლივ აგრძელებდა. განაჩენმაც — ჩამოხრჩობით სიკვდილმა — ვერ დასძრა ვერც ერთი ფიგურა უხილავი დაფიდან.

იცოდა, პარტიის დამთავრება არ მოუწევდა, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა იგი. სიკვდილამდე ერთი დღეა იყო დარჩენილი და მაინც დიდიდანვე შეუდგა გუშინდელი არცთუ მთლად მარჯვე სვლის გამოსწორებას. ხელები მუხლებში მოიქცია და დიდხანს იჯდა უძრავად. მერე ადგა და სიარული დაიწყო, თან ფიქრობდა. თავისებური სიარული იცოდა: რამდენადმე წინ გადაიხრებოდა და ისე ძლიერად და მტკიცედ არტყამდა მიწაზე ქუსლებს, რომ მშრალ მიწაზეც კი მისი ნაბიჯები ღრმა და შესამჩნევ კვალს ტოვებდა. წყნარად, ერთი ამოსუნთქვით უსტვენდა მარტივ იტალიურ არიას, — ეს ფიქრში ეხმარებოდა.

მაგრამ საქმე ამჯერად რატომღაც ცუდად მიდიოდა. აშკარა შეგრძნება ჰქონდა, რომ რაღაც დიდი და უხეში შეცდომა დაუშვა. რამდენჯერმე უკან დაბრუნდა, თითქმის თავიდან შეამოწმა სვლები. ყველაფერი თითქმის სწორი იყო, მაგრამ დაშვებული შეცდომის შეგრძნება თანდათან უფრო ძლიერი და უსიამოვნო ხდებოდა. უცებ მოულოდნელმა და საწყენმა აზრმა გაუელვა: მაშინ ხომ არ ცდებოდა, ჭადრაკის თამაშისას ყურადღებას რომ არ აქცევდა სიკვდილით დასჯას და უგულვებელყოფდა სიკვდილის შიშს, რომელიც გარდუვალა სიკვდილმისჯილისათვის?

— არა, რატომ! — თქვა ცივად და უხილავი დაფა მშვიდად დახურა. და

იგივე დაძაბული ყურადღებით, რომლითაც თამაშობდა, შეეცადა გარკვეული-ყო თავის მდგომარეობის საშიშროებასა და გამოუვალობაში: მოათვალიერა საკანი, ცდილობდა არ გამორჩენოდა არაფერი, გამოთვალა, რამდენი საათი იყო დარჩენილი სიკვდილით დასჯამდე, წარმოიდგინა სიკვდილით დასჯის მიახლოებითი და საკმაოდ ზუსტი სურათი და მხრები აიჩეჩა.

— მერე რა? — თითქოს ჰკითხა ვილაცას, — სულ ესაა. სადაა/შიში?

შიშს მართლაც არ განიცდიდა, ის კი არა, შიშის საწინააღმდეგო გრძნობაც კი ეწვია, — ბუნდოვანი, მაგრამ დიდი ვაეკაცურ სიბნელეს კგრძნობა, აღმოუჩენელი შეცდომა უკვე აღარ აღელვებდა, არც აღიზიანებდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა რაღაც კარგსა და მოულოდნელზე, თითქოს ახლო მეგობარი, რომელიც გარდაცვლილი ეგონა, მოულოდნელად ცოცხალი და უვნებელი ენახოს, და იცინოდა.

ვერნერმა ისევ აიჩეჩა მხრები და პულსი გაისინჯა: გული აჩქარებულად, მაგრამ მხნედ და თანაბრად უცემდა. ციხეში პირველად მოხვედრილი ახალბედსავით ყურადღებით მოათვალიერა კედლები, საკეტები, იატაკზე მიხრახნილი სკამი, და გაიფიქრა:

„რატომ ვარ ასე მშვიდად, ხალისიანად და ლალად? სწორედ რომ ლალად! გავიფიქრებ ხვალინდელ სიკვდილზე და თითქოს არაფერი, ვუყურებ კედლებს, — თითქოს კედლებიც აღარ არის. ისე ლალად ვგრძნობ თავს, თითქოს ახლახან გამოვედი ციხიდან, სადაც მთელი სიცოცხლე ვიჯექი, რა არის ეს?“

ხელები აუკანკალდა, ვერნერისათვის ეს გაუგონარი რამ იყო. სულ უფრო ძალუმიად ფეთქავდა აზრი. თითქოს ცეცხლი ანთებოდა თავში და სადაცაა გარეთ გამოიჭრებოდა და გაანათებდა ჯერ კიდევ ღამეულ, ჯერ კიდევ ბნელ შორეთს, და, აი, გამოიჭრა და გაანათა უკიდევანო შორეთი.

გაქრა გაუგებარი დაღლილობა, ასე რომ სტანჯავდა ვერნერს ბოლო ორი წლის განმავლობაში. გულიდან მოსცილდა მკვდარი, ცივი, მძიმე, თვალბდახუჭული და პირშეკრული გველი. სიკვდილის წინ დაუბრუნდა მშვენიერი, გიჟმაჟი სიჭაბუკე. და ეს იმაზე მეტი იყო, ვიდრე მშვენიერი სიჭაბუკე. სულის იმ გასაოცარი გასხივოსნებით, რომელიც იშვიათ წუთებში ეწვევა ადამიანს და ხილვის უმაღლეს უნარს ანიჭებს, ვერნერმა უცებ დაინახა სიცოცხლეს და სიკვდილს და განცვიფრდა ჯერარნახული სანახაობის სიდიადით. თითქოს მაღალ, სამართებლის პირივით ვიწრო ქედზე მიდიოდა და ერთ მხარეს სიცოცხლეს ხედავდა, მეორეზე კი — სიკვდილს, როგორც ორ მოელვარე, ღრმა, მშვენიერ ზღვას, ჰორიზონტს რომ ერთვოდნენ უსაზღვრო სივრცეში.

— ღმერთო, რა ღვთაებრივი სანახაობაა! — თქვა წყნარად, უნებურად წამოდგა და ისე გაიმართა, თითქოს უმაღლესი არსების წინაშე წარმდგარიყო. მისმა ყოვლისგამსჭვალავმა მხერამ გაარღვია კედლები, სივრცე და ღრო, და იხილა სიცოცხლის სიღრმე.

და ახლებურად წარმოუდგა სიცოცხლე. წინანდებურად აღარ ცდილა, სიტყვებით გამოენატა ნანახი: არც იყო ასეთი სიტყვები ჯერ კიდევ ღარიბ, უსუსურ ადამიანურ ენაზე. მისთვის აღარ არსებობდა აღარაფერი კნინი, ბინძური და ბოროტი, რამაც ადამიანები შეაძულა და შეაზიზლა, ასე ქრება საპაერო ბურთით ცად ასული ადამიანისათვის ძირს დარჩენილი ქალაქის ვიწრო ქუჩების ნაგავი და წვირე, და უსახურებაც მშვენიერებად გარდაიქმნება.

ვერნერი უნებურად მივიდა მაგიდასთან და მარჯვენა ხელით დაეყრდნო, ბუნებით ქედმაღალსა და ძლიერს, ჯერ არასდროს არ მიუღია ასეთი ამაყი,

თავისუფალი და მორკმული პოზა, არ მოუბრუნებია ასე თავი, არ გამოუხედავს ამგვარად, რადგან არც არასდროს ყოფილა ასე თავისუფალი და ძალმო-სილი, როგორც აქ, ციხეში. სიკვდილით დასჯამდე რამდენიმე საათით ადრე.

აეხილა, გაუსხივოსნდა თვალები. ახლებურად წარმოუდგნენ ადამიანები, — ძვირფასები და მშვენიერები გახდნენ მისთვის. თითქოს დროჟამზე ამაღლ-და და ნათლად დაინახა, რა ახალგაზრდაა კაცობრიობა, ჯერ კიდევ უხუცეს ტყეში რომ დაძრწოდა ნადირივით. და ყველაფერი, რაც ადამიანებშია, სწრაფი და საძაგელი ეგონა, ყველაფერს სიყვარულით შეხედა. ასევე საყვარელია ბავშვი, დიდივით რომ ცდილობს გაელას და ვერ კი ახერხებს, უთაგ-ბოლოდ რომ ტიქტიკებს გენიალურობის ნაპერწკლით გაბრწყინებული, სა-საცილო შეცდომებს რომ უშვებს და მტკივნეულადაც ისჯება.

— ჩემო ძვირფასებო! — მოულოდნელად გაიღიმა ვერნერმა. და მყისვე გაქრა მისი პოზის შთამბეჭდავობა. ისევ პატიმარად გახდა, ვისთვისაც ვიწრო და მოუხერხებელია საკანი, მოსაწყენი და მომაბეზრებელია გამომცდელი თვა-ლთვალი კარის საჭკრეტიდან. უცნაური იყო: თითქმის ერთბაშად დაავიწყდა ყველაფერი, რაც ახლახან ასე ნათლად და გამოკვეთილად წარმოუდგა. და კი-დეც უფრო უცნაური ის იყო, რომ გახსენებაც აღარ უცდია. უბრალოდ და უფრო მოხერხებულად დაჯდა, ჩვეულებრივი, გულცივი გამომეტყველება და-კარგოდა, და უცხო, არავერნერისეული, მშვიდი და ნაზი ღიმილით შეათვა-ლიერა კედლები და ცხაურები. უცებ ტირილი მოერია, — მსგავსი არაფერი დამართნია ადრე.

— ჩემო ძვირფასო ამხანაგებო! — ჩურჩულებდა და მწარედ ტიროდა, — ჩემო ძვირფასო ამხანაგებო!

რა იდუმალმა გზამ მიიყვანა უდიდესი და უსაზღვრო თავისუფლების შე-გრძნებიდან ამ ნაზ და მხურვალე სიბრალულამდე? არ იცოდა და არც ფიქ-რობდა ამაზე. რად სდიოდა ცრემლები? ძვირფასი ამხანაგები ებრალებოდა, თუ რალაც სხვა, კიდევ უფრო მაღალი და მგზნებარე რამ ატირებდა? ესეც არ იცოდა მისმა ერთბაშად აღორძინებულმა, განახლებულმა გულმა. ტიროდა და ჩურჩულებდა:

— ჩემო ძვირფასო ამხანაგებო! ჩემო ძვირფასო ამხანაგებო!

ამ მწარედ აცრემლებულ და იმავე დროს მღიმარ ადამიანში ვერავინ იც-ნობდა ცივსა და ქედმაღალ, დაღლილსა და კადნიერ ვერნერს, ვერც მოსა-მართლენი, ვერც ამხანაგები, ვერც თავად, ვერნერი.

11. მიჰყავთ

სანამ მსჯავრდადებულებს კარეტებში ჩასვამდნენ, ხუთივე შეკრიბეს დიდ, ცივ, თაღოვან ოთახში, რომელიც გაუქმებულ კანცელარიას თუ ცარიელ მისა-ლებს ჰგავდა, და ნება დართეს, გამოლაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

ამ ნებართვით მხოლოდ ტანია კოვალჩუკმა ისარგებლა მაშინვე. დანარჩე-ნებმა ჩუმად და მაგრად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. ყინულივით ცივი და ცეცხლივით ცხელი ხელები ჰქონდათ. ჩუმად, დაბნეულები იდგნენ და ცდი-ლობდნენ არ შეეხედათ ერთმანეთისათვის. ახლა, როდესაც ერთად იყვნენ, რო-გორღაც-დაირცხვინეს იმის გამო, რაც მარტოობაში გამოსცადა თითოეულმა. ერთმანეთისთვის თვალებში შეხედვისა ეშინოდათ, რათა არ დაენახათ და არც

გაემყლავნებინათ ის ახალი და განსაკუთრებული გრძნობა, ცოტა სამარცხვი-
ნოც კი, ყოველი მათგანი რომ შეეპყრო.

მაგრამ ერთი-ორჯერ რომ შეხედეს და გაუღიმეს ერთმანეთს, მაშინვე
თავისუფალი და ძალდაუტანებელი ურთიერთობა აღდგა მათ შორის. სულ არ
შეცვლილან, და თუ შეიცვალნენ, ისე თანაბრად ეხებოდა ეს ყოველ მათგანს,
რომ თითოეულისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა. ყველა უცნაურად დადიოდა
და ლაპარაკობდა: აჩქარებულად, მოუქნელად, ან ძალიან ნელა, ან ძალიან
რა. ზოგჯერ სული უგუბდებოდათ და რამდენჯერმე იმეორებდნენ სათქმელს,
ზოგჯერ კი შუაზე გაწყვეტილი ფრაზა დამთავრებულად მიაჩნდათ და ვერც
ამჩნევდნენ ამას. თვალების კუთვით, ინტერესით ათვალიერებდნენ ჩვეულე-
ბრივ საგნებს და ვერ ცნობდნენ მათ, როგორც იმ ადამიანებს მოსდით, სათ-
ვალე რომ უკეთიათ და უცებ მოიხსნიან. წამდაუწყუმ სწრაფად იხედებოდნენ
უკან, თითქოს ვინმე ეძახდათ რალაცის საჩვენებლად. მაგრამ ამასაც ვერ ამჩ-
ნევდნენ. მუსიასა და ტანია კოვალჩუკს ლოყებსა და ყურებზე აღმური ასდი-
ოდათ. სერგეი თავიდან ცოტა ფერმკრთალად გამოიყურებოდა, მაგრამ მალე
გამოკეთდა და ისეთივე გახდა, როგორც ყოველთვის იყო.

მხოლოდ ვასილი იქცევდა ყურადღებას. იგი უნცაურად და საშინლად
გამოიყურებოდა სხვებთან შედარებით. ვერნერს შეაყრეოლა და ნაზი მღელ-
ვარებით უთხრა მუსიას ხმადაბლა:

— მუსეჩკა, ხედავ? რა მოუვიდა, ცოტა ხომ არ აურია? უნდა მივხედოთ.
ვასილმა სადღაც შორიდან შეხედა ვერნერს, თითქოს ვერ იცნო, და
თვალეები დახარა.

— ვასია, თმაზე რა მოგივიდა? რა მოგდის? არაფერია, ძმაო, არაფერია,
მალე დამთავრდება. გამხნევდი, გამხნევდი.

ვასილი დუმდა. და როცა ეგონათ, საერთოდ არაფერს უპასუხებდა, ყრუ,
დაყოვნებული, საშინლად შორეული ხმა მოესმათ, თითქოს სამარე იძლეოდა
პასუხს:

— არაფერია. მხნედ ვარ.

და გაიმეორა:

— მხნედ ვარ.

ვერნერს გაეხარდა.

— აი, ასე. ყოჩაღ. ასე, ასე.

მაგრამ შეხედა ბნელ, დამძიმებულ, უღრმესი სიშორიდან წამოსულ მზერას
და ნაღვლიანად გაიფიქრა: „საიდან იცქირება? საიდან ლაპარაკობს?“ და უდი-
დესი სინაზით, როგორც სამარეს ელაპარაკებთან ხოლმე, უთხრა:

— ვასია, გესმის? მე ძალიან მიყვარხარ.

— მეც ძალიან მიყვარხარ, — უპასუხა მან ენის ბორძიკით.

უცებ მუსიამ ვერნერს ხელი გამოსდო მკლავში და მსახიობური, მკვეთ-
რად გამოხატული გაკვირვებით უთხრა:

— ვერნერ, ეს შენა ხარ? შენ თქვი, მიყვარხარო? შენ არავისთვის არ
გითქვამს ეს, რატომა ხარ ასეთი... ნათელი და რბილი? რა მოხდა?

— რა მოხდა?

და ვერნერმაც ასევე მსახიობურად, მკვეთრად გამოხატული გრძნობით,
მაგრად ჩაბლუჯა მუსიას ხელი:

— ჰო. მე ახლა ძალიან მიყვარს. არ უთხრა სხვებს, არაა საჭირო. მცხვე-
ნია, მაგრამ მე ახლა ძალიან მიყვარს.

მათ ერთმანეთს შეხედეს და თვალები გაუბრწყინდათ. და ყველაფერი ჩაქრა ირგვლივ. ასე აქრობს ელვის წამიერი შუქი ყოველგვარ სინათლეს და ცეცხლის მძიმე, ყვითელი ალიც ჩრდილებს მიმოაფენს მიწას.

— ჰო, — თქვა მუსიამ, — ჰო, ვერნერ!

— ჰო, — უბასუბა ვერნერმა, — ჰო, მუსია, ჰო!

რალაც მეყსეულად შეიცნეს და ურყევად დაადასტურეს.

და თვალებანთებული ვერნერი ახლა სერგეისაკენ წავიდა სწრაფად.

— სერიოჟა!

მაგრამ სერგეის მაგივრად კოვალჩუკი გამოეპასუხა, რომელიც ალტაცებული და დედობრივი სიამაყით ტირილამდე მისული, სერგეის სახელოში ექაჩებოდა.

— ვერნერ, გესმის? მე მას დავტირი, თავს ვეკლავ, იგი კი ვარჯიშობს!

— მიუღერის მიხედვით? — გაიღიმა ვერნერმა.

დარცხვნილი სერგეი შეიჭმუნა:

— ტყუილად იცინი, ვერნერ, მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ...

ყველას გაეცინა. უკვე ერთმანეთს გადასდეს სიმხნევე და ძალა, და თანდათან ისეთივენი გახდნენ, როგორებიც ადრე იყვნენ. მაგრამ არც ეს შეუმჩნევიათ. ვერნერმა სიცილი შეწყვიტა და საგანგებო სერიოზულობით უთხრა სერგეის:

— შენ მართალი ხარ, სერიოჟა, სრულიად მართალი ხარ.

— ჰო, აბა დაფიქრდი, — გაეხარდა სერგეის, — ცხადია, ჩვენ...

მაგრამ აქ უანდარმებმა შესთავაზეს, გავემგზავროთო. თავაზიანობაც გამოიჩინეს და წყვილ-წყვილად დაჯდომის ნება დართეს, სურვილის მიხედვით. და საერთოდ, ძალიან თავაზიანად იქცეოდნენ, მეტისმეტადაც კი. ან თავიანთი აღმიანური თანაგრძნობის გამოხატვას ცდილობდნენ, ან უნდოდათ ისე წარმოედგინათ საქმე, თითქოს მათ გარეშე ხდებოდა ყველაფერი თავისთავად. მაგრამ გაფითრებულები იყვნენ.

— მუსია, შენ მასთან მიდი, — მიუთითა ვერნერმა უძრავად მდგარ ვასილზე.

— გასაგებია, — დაუქნია მუსიამ თავი, — შენ?

— მე? ტანია სერგეისთან იქნება, შენ ვასიასთან... მე მარტო დავრჩები. არაფერია, მიჩვეული ვარ, შენ ხომ იცი.

როდესაც ეზოში გამოვიდნენ, ნესტიანი ჰაერი სიბნელეში თბილად და ძლიერად შეეფრქვათ სახეზე. სუთნქვა შეეკრათ, სხეული აუთრთოლდათ. ძნელი იყო დაჯერება, რომ გაზაფხულის ქარი უბერავდა, თბილი, ნესტიანი ქარი. და ნამდვილი, საკვირველი გაზაფხულის ღამე კიდით კიდემდე გაჟღერებულიყო დნობადაწყებული თოვლის სურნელებით. ისმოდა წვეთების ტკაპატკუბი. შეუსვენებლად, ჩქარ-ჩქარა ზედიზედ ვარდებოდნენ მიწაზე მკვირცხლი წვეთები და მწყობრად ასრულებდნენ ტკბილხმოვან სიმღერას. ზოგჯერ ერთი ხმა გადაუხვევდა და სიმღერა მზიარულ, უწესრიგო შხაბუნში გადადიოდა. შემდეგ მტკიცედ ვარდებოდა ერთი დიდი წვეთი და ისევ მკაფიოდ იწყებდა ეღერას სიცოცხლით სავსე საგაზაფხულო სიმღერა. ქალაქის თავზე, ციხის სახურავს ზემოთ, სივრცე მკრთალი ელექტრული სინათლით იყო განათებული.

— უჰ, — ღრმად ჩაისუნთქა სერგეი გოლოვინმა და ამოსუნთქვა შეიკავა, თითქოს ენანებოდა ფილტვებიდან ასეთი მშვენიერი და ცინცხალი ჰაერის ამოშვება.



სწრაფად
შეიჭმუნა

— დიდი ხანია ასეთი ამინდია? — დაინტერესდა ვერნერი, — მთლად გაზაფხულვებულა.

— მეორე დღეა მხოლოდ, — იყო ზრდილობიანი და თავაზიანი პასუხი, — მანამდე სულ დიდი ყინვები იდგა.

ერთიმეორის მიყოლებით, რბილად გაქროლდნენ ბნელი კარეტები, მიყავდათ ორ-ორი, იკარგებოდნენ სიბნელეში, იმ მხარეს, სადაც უფრო ქანაობდა ჭიშკარზე. თითოეულ ეკიბაეს რუხ სილუეტებად ერთმანეთს მებადრაგეები, და მათი ცხენების ფეხქვეშ ხან ნალები ეღერდნენ, ხან დნობადწყებული თოვლი ჭყაპუნობდა.

როდესაც ვერნერი შედიოდა კარეტაში, ჟანდარმმა გაურკვეველად თქვა: — კიდევ ერთი მოდის თქვენთან ერთად.

ვერნერს გაუკვირდა:

— სად? სად მოდის? აჰ, ჰო! კიდევ ერთი? ვინაა?

ჯარისკაცი დუმდა. მართლაც, კარეტის კუთხეში სიბნელეში მიკრუნჩხულიყო პატარა, უძრავი, მაგრამ ცოცხალი არსება. მისი თვალები ფარნის ალმაცერ სხივებზე ბზინავდნენ. დაჯდომისას ვერნერმა ფეხი მოახვედრა მის მუხლს.

— მაპატიეთ, ამხანაგო.

პასუხი არ მიუღია. და მხოლოდ კარეტის დაძვრისას თქვა უცებ დამტვრეული რუსულით და ენის ბორძიკით:

— თქვენ ვინ არის?

— მე ვერნერი ვარ. ჩამობრჩობა მაქვს მისჯილი NN-ზე თავდასხმისათვის. თქვენ?

— მე იანსონი ვარ. მე არ უნდა ჩამომახრჩონ.

მიემგზავრებოდნენ, რათა ორი სათის შემდეგ წარმდგარიყვნენ უდიდესი, გამოუცნობი იდუმალების წინაშე და სიცოცხლეს გამოთხოვებოდნენ. და ისინი გაეცნენ ერთმანეთს. ერთდროულად ორ სიბრტყეზე მიედინებოდა სიცოცხლე და სიკვდილი. და დასასრულამდე სიცოცხლე ყველაზე სასაცილო და უაზრო წვრილმანებად ქცეულიყო.

— თქვენ რა ჩაიდინეთ, იანსონ?

— მე ბატონი დაგჭერი დანით. ფული წავიღე.

ხმაზე ეტყობოდა, იანსონი იძინებდა, სიბნელეში ვერნერმა მისი დუნეხელი მონახა და ჩამოართვა. იანსონმა ასევე დუნედ წაიღო ხელი.

— გეშინია? — შეეკითხა ვერნერი.

— მე არ მინდა.

გაჩუმდნენ. ვერნერმა ისევ მონახა ესტონელის ხელი და თავის მშრალ და ცხელ ხელისგულებში მოაქცია. იანსონის ხელი უძრავად იდო, როგორც ნაფოტი. ხელის წართმევა მეტად აღარ უცდია.

კარეტა ვიწრო და შეხუთული იყო. ჯარისკაცული მაუდის, შმორის, ნაკელისა და ჩექმების სველი ტყავის სუნი იდგა. ვერნერის პირდაპირ ახალგაზრდა ჟანდარმი იჯდა და ცხლად ასუნთქავდა მას ხახვისა და იაფი თამბაქოს ერთმანეთში არეულ სუნს. მაგრამ რომელიღაც ნაჩვრეტიდან სუფთა და ცინცხალი პაერო შემოდიოდა და ამ პატარა, სულის შემხუთველ მოძრავ ყუთში გაზაფხული კიდევ უფრო ძლიერად იგრძნობოდა, ვიდრე გარეთ. კარეტამ ხან მარჯვნივ შეუხვია, ხან მარცხნივ, ხან თითქოს უკან დაბრუნდა: გეგონებოდათ, საათობით ერთ ადგილზე ტრიალებდნენ რატომღაც. თავიდან სქელ ფარდებში მოცისფრო ელექტრული შუქი აღწევდა, მერე უცებ, ერთი მოსახვევის შემ-

დღე, ჩამოხრჩოვილი და მხოლოდ ამით შეიძლებოდა მიხვედრა, რომ მიყრუებულ განაპირა ქუჩებში მიდიოდნენ და უახლოვდებოდნენ ს-ის სადგურს. ზოგჯერ, მკვეთრ მოსახვევში, ვერნერის ცოცხალი, მოხრილი მუხლი მეგობრულად ეხლებოდა ჟანდარმის ასეთივე მუხლს, და ძნელი იყო დაჭერება, რომ მალე სიკვდილით დასჯიდნენ.

— სად მივდივართ? — იკითხა უცებ იანსონმა.

ბნელ ყუთში ხანგრძლივი მგზავრობისაგან ოდნავ დახვეოდნენ და გულს აზიდებდა.

ვერნერმა უპასუხა და მაგრად ჩამოართვა ხელი ესტონელს. უნდოდა ეთქვა რაღაც განსაკუთრებით მეგობრული, ალერსიანი სიტყვა ამ პატარა, დუნე ადამიანისათვის. იგი უკვე ისე უყვარდა, არავინ რომ არ ყვარებია ჯერ.

— ძვირფასო! შენ მგონი, უხერხულად ზიხარ. აქეთ მოიწი, ჩემკენ.

იანსონმა ცოტა ხანს იყუჩა და უპასუხა:

— გმადლობთ, კარგად ვზივარ. შენც უნდა ჩამოგაბრჩონ?

— მეც! — მოულოდნელად მხიარულად, ლამის სიცილით უპასუხა ვერნერმა და რაღაც განსაკუთრებული სითამამითა და სიმშვიდით ჩაიქნია ხელი. თითქოს საჭმე ეხებოდა უაზრო და სულელურ ოინს, რომელიც საყვარელ, მაგრამ საშინლად მხიარულ ადამიანებს უნდა მოეწყოთ მისთვის.

— ცოლი არის? — შეეკითხა იანსონი.

— არა, რის ცოლი! მარტოხელა ვარ.

— მეც მარტო ხარ. მარტო არის, — გაასწორა ცოტა ფიქრის შემდეგ იანსონმა.

ვერნერსაც დაეწყო თავბრუსხვევა. ჟამიჯამ ეჩვენებოდა, რომ რაღაც დღესასწაულზე მიდიოდნენ. უცნაურია, მაგრამ ყველა, ვინც დასასჯელად მიჰყავდათ, იგივეს გრძნობდნენ, და შიშსა და ნალველთან ერთად ბუნდოვანი სინარულიც დაუფლებოდათ რაღაც უჩვეულოს გამო, რაც მალე უნდა მომხდარიყო. სინამდვილე სიგიჟით დამთვრალიყო, ხოლო სიკვდილთან შერწყმულ სიცოცხლეს მოჩვენებები წარმოეშვა. შესაძლებელია, სახლებზე დროშებიც კი ფრიალებდნენ.

— აი, მოვედით! — ინტერესით და მხიარულად თქვა ვერნერმა კარეტის გაჩერებისას და მსუბუქად გადმოხტა. მაგრამ იანსონთან საჭმე გაძნელდა: ჩუმად და რაღაც ძალზე დუნედ გაძალიანდა და არ უნდოდა გადმოსვლა. მოეჭიდა სახელურს, — ჟანდარმმა გაუხსნა ულონო თითები და მოაცილებინა ხელი. მოეჭიდა კუთხეს, კარს, მალალ ბორბალს, — და ჟანდარმმა მაშინვე ადვილად მოაშორა. კი არ ეჭიდებოდა, ზანტად ეკვროდა ყოველგვარ საგანს მდუმარე იანსონი და ადვილად და ძალდაუტანებლად აშორებდნენ. ბოლოს წამოდგა.

დროშები არ ჩანდა. ბნელი, ცარიელი და უსიცოცხლო იყო სადგური. სამგზავრო მატარებლები აღარ მოძრაობდნენ, ხოლო იმ მატარებელში, რომელიც ლიანდაგზე უხმოდ ელოდა მგზავრებს, არც სინათლე იყო, არც ჩამიჩუმი ისმოდა. და უცებ ვერნერს მოწყენილობა დაეუფლა. არც შიში, არც ნალველი, — მოწყენილობა, დიდი, მძიმე, დამაოსებელი მოწყენილობა, რომელსაც გინდა გაექცე, სადღაც დაწვე და თვალეები მაგრად დახუჭო. ვერნერმა გაიზმორა და გრძლად დაამთქნარა. გაიზმორა იანსონმაც და ჩქარ-ჩქარა, რამდენიმეჯერ დაამთქნარა.

— მალე მაინც მორჩებოდეს! — თქვა ვერნერმა დაღლილი ხმით.

იანსონი დუმდა და იბუზებოდა.

როცა ჯარისკაცებით გარშემორტყმულ უკაცრიელ პლატფორმაზე მკრთალად განათებული ვაგონებისაკენ დაიძრნენ, ვერნერი სერგეი გოლოვინის გვერდით აღმოჩნდა. სერგეიმ სადღაც მიანიშნა ვერნერს და ჩაღაც უთხრა. გარკვევით გაისმა მხოლოდ „ფარანი“, ხოლო დანარჩენი სიტყვები გრძელ და ზანტ მთქნარებაში დაიკარგა.

— რას ამბობ? — ჰკითხა ვერნერმა, მანაც მთქნარებდა.

— ფარანი. ხედავ, ბოლავს, — თქვა სერგეიმ.

ვერნერმა მიიხედა. მართლაც ძალიან ბოლავდა ფარანი, ზემოთ უკვე გაეშავებინა მინა.

— კი, ბოლავს.

და უცებ გაიფიქრა: „კაცმა რომ თქვას, რა ჩემი საქმეა, ბოლავს თუ არა, როცა...“ როგორც ჩანს, იგივე გაიფიქრა სერგეიმაც, სწრაფად შეხედა ვერნერს და შებრუნდა. მთქნარება ორივემ შეწყვიტა.

ვაგონებამდე ყველა თავისით მივიდა, მხოლოდ იანსონის ტარება მოუწიათ ხელით: ჯერ ფეხებით მიეხინა, თითქმის მიეკოსა ლანჩებით ხის პლატფორმას, შემდეგ მუხლები მოკეცა და ჟანდარმებს ხელებზე ჩამოეკიდა. ფეხებს ისე მიაფხოკიალებდა, თითქოს გაღეშილი იყო, ხოლო ფეხსაცმელების კვინტები იატაკს ეხახუნებოდა. კარებშიც დიდხანს, მაგრამ ჩუმად ტენიდნენ.

თავისით მიდიოდა ვასილ კაშირინიც, უნებურად იმეორებდა ამხანაგების მოძრაობას, ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ისინი. მაგრამ ვაგონში შესვლისას წაბორძიკდა და როცა ჟანდარმმა იდაყვში ხელი წაავლო შესაკავებლად, ვასილი აცახცახდა, შემზარავად შეჰყვირა და ხელი გამოგლიჯა.

— ვაი!

— ვასია, რა მოგივიდა? — მივარდა ვერნერი.

ვასილი დუმდა და საშინლად ცახცახებდა. შეცბუნებულმა და ნაწყენმა ჟანდარმმა თავის მართლება დაიწყო:

— ვცდილობ დავეხმარო, ესენი კი...

— წამოდი, ვასია, მე შეგეშველები, — უთხრა ვერნერმა და მკლავში ხელი გამოსდო. მაგრამ ვასილმა მკლავი გამოსტაცა და კიდევ უფრო ხმამაღლა შეჰყვირა:

— ვაი!

— ვასია, მე ვარ, ვერნერი.

— ვიცი, ნუ მეხები, მე თვითონ.

აცახცახებული შევიდა ვაგონში და კუთხეში მიჯდა. ვერნერი მუსიასაკენ გადაიხარა, თავით ვასილზე ანიშნა და ხმადაბლა უთხრა:

— ხედავ, როგორაა?

— ცუდადაა, — ასევე ხმადაბლა უპასუხა მუსიამ, — მკვდარია უკვე. ვერნერ, მითხარი, სიკვდილი განა არსებობს?

— არ ვიცი, მუსია. ალბათ არ არსებობს, — უპასუხა ვერნერმა სერიოზულად და ფიქრიანად.

— ასეც ვფიქრობდი. ვასილი კი... დავიტანჯე კარეტაში, თითქოს მიცვალებულთან ვმგზავრობდი.

— არ ვიცი, მუსია. შეიძლება ზოგისთვის კი არსებობს ჯერჯერობით. შემდეგ კი სულ არ იარსებებს. ჩემთვისაც არსებობდა სიკვდილი. ახლა აღარ არსებობს.

მუსიას ოდნავ გაფერმკრთალებული ლოყები აენტო.

— არსებობდა, ვერნერ? არსებობდა?

— არსებობდა. ახლა არა. როგორც შენთვის.

ვაგონის კარიდან ხმაური მოისმა. ქუსლების ბრაზუნით, ქშენით და ვერ-
თებით შემოვიდა მიშკა ციგანოკი, თვალები მიმოატარა და ჯიუტად შედგა.

— აქ ადგილი არაა, ჟანდარმო! — უყვირა მან გასავალებულს. —
ბულ ჟანდარმს. — შენ ისე მომაწყვე, რომ თავისუფლად ვისუნტავს, —
არ წამოვალ და ჩამომხაბრჩე აქ, ფარანზე. კარეტაც როგორი მომცეს, ძალ-
ლისშეიღებმა, აბა, ის კარეტა იყო? ეშმაკის ფაშვი იყო, კარეტა კი არა!

შემდეგ უცებ თავი დახარა, კისერი წაიგრძელა და ასე წავიდა წინ, სხვე-
ბისაკენ. მისი თვალები ველურად და გამგმირავად, ცოტა არ იყოს შლეგუ-
რად იმზირებოდნენ აბურძგნული თმისა და წვერის ჩარჩოდან.

— ოჰ! ბატონები! — გაიჭიმა იგი, — აი, თურმე რა ყოფილა გამარჯობა.
ბატონო!

მან ხელი ატაკა ვერნერს და მის პირდაპირ დაჯდა. შემდეგ გადაიხარა მი-
სკენ, თვალი ჩაუკრა და სწრაფად გადაისვა ხელი ყველზე.

— შენც? ა?

— მეც! — გაიღიმა ვერნერმა.

— ესენიც ყველა?

— ყველა.

— ოჰო! — გაიკრიჭა ციგანოკი და სწრაფად მოათვალიერა ყველა. წამით
დააყოვნა მზერა მუსიასა და იანსონზე. მერე ისევ ჩაუკრა თვალი ვერნერს.

— მინისტრისათვის?

— მინისტრისათვის. შენ?

— მე, ბატონო, სხვა საქმისათვის. მინისტრამდე სად მიმიწვდება ხელი.
მე, ბატონო, ყაჩაღი ვარ, კაცისმკვლელი. არაფერია, ბატონო, შევიწროვდი..
ჩემი ნებით კი არ შემოგეჩხირეთ! იმ ქვეყანაზე ყველას ეყოფა ადგილი.

მან ჩამოწეწილი თმიდან ველურად მოაგლო იქ მყოფთ, სწრაფი, უნდო
მზერა. ყველა ჩუმად, სერიოზულად და თანაგრძნობით უცქერდა. ციგანოკი
გაიკრიჭა და რამდენჯერმე სწრაფად დაარტყა ვერნერს მუხლზე ხელი.

— ასეა, ბატონო! როგორც სიზმარშია: ნუ იხმაურებ, მწვანე მალნარო.

— რატომ მეძინი ბატონს, ჩვენ ხომ ყველა...

— მართალია, — დაეთანხმა კმაყოფილი ციგანოკი, — რალა ბატონი ხარ,
როცა ჩემ გვერდით უნდა ჩამოეკიდო! აი, ვინაა ბატონი, — მიაშვირა თითო
მღუმარე ჟანდარმს, — ე, ეგ თქვენნიანი რალაც ვერაა გუნებაზე, — თვალით
ანიშნა ვასილზე, — ბატონო, პა, ბატონო, გეშინია, არა?

— არაფერია, — ძლივძლივობით უპასუხა ვასილმა.

— როგორ თუ არაფერია! შენ ნუ გრცხვენია, რაა სასირცხვო. მხოლოდ
ძალი აქნევს კუდს და იღრინება, როდესაც დასაბრჩობად წაიყვანენ, შენ კი
ადამიანი ხარ. ეგ დოყლაპია ვინლაა? თქვენნიანი ხომ არაა?

იგი სწრაფად აცეცებდა თვალებს და განუწყვეტლივ აწიტებდა პირზე
მომდგარ მოტკბო ნერწყვს. კუთხეში უძრავად მიყუჟულმა იანსონმა ოდნავ
შეარხია თავისი გაქუცული ბეწვის ქუდის ყურები, მაგრამ პასუხი არ გაუ-
ცია. მის მაგივრად ვერნერმა უპასუხა:

— ბატონი დაქრა.

— უფალო შემიწყალებ! — განცვიფრდა ციგანოკი, ასეთებს როგორ ანებებენ დაჰკრას.

მუსიას ადრევე უყურებდა ციგანოკი ქვეშ-ქვეშ, ახლა კი სწრაფად შემობრუნდა და ჭიჭურ მიაშტერდა.

— ქალბატონო, ა, ქალბატონო! თქვენ რიდასთვის? დახე! ლოყები ვარდივით ულუის და იცინის. შეხედე, მართლა იცინის, — ციგანოკმა მარწყუხებივით თითები ჩასჭიდა მუხლზე ვერნერს, — შეხედე, შენც იცინის!

მუსია გაწითლდა და ოდნავ დაბნეული ღიმილით შეხედა მის გამკოლ, რამდენადმე შლეგურ და კითხვის გამომხატველ ველურ თვალებს.

ყველა გაჩუმებული იყო.

თანაბარი და საქმიანი დაგადუგი გაუდიოდა ბორბლებს. პატარა ვაგონები გულმოდგინედ მიჰქროდნენ ვიწრო რელსებზე. აი, მოსახვევში თუ გადასასვლელზე გამაფრთხილებლად დაუსტვინა ორთქლმავალმა, — მემანქანეს ეშინოდა ვინმე არ გაეტანა. და შემზარავი იყო იმაზე ფიქრი, რომ ადამიანის ჩამონახობაში წილი ედო ჩვეულებრივ ადამიანურ აკურატულობას, მცდელობას, საქმიანობას; რომ დედამიწაზე ყველაზე უგუნური საქმე ხორციელდებოდა ასეთი მარტივი გონივრული წესრიგით. მიჰქროდნენ ვაგონები, მათში ადამიანები ისხდნენ, როგორც ყველგან, მიემგზავრებოდნენ, როგორც ჩვეულებრივ მგზავრობენ შემდეგ კი იქნებოდა გაჩერება, როგორც ყოველთვის: „მატარებელი ჩერდება ხუთი წუთით“.

და მოვიდოდა სიკვდილი — მარადიულობა — დიადი საიდუმლო.

12. მოიხვანეს

გულმოდგინედ მიჰქროდნენ ვაგონები.

აგარაკზე მშობლებთან ერთად ზედიზედ რამდენიმე წელი ცხოვრობდა სერგეი გოლოვინი, ამ გზით ხშირად მგზავრობდა დღისით და ღამით და კარგადაც იცნობდა. და რომ დაეხუჭა თვალები, შეეძლო ეფიქრა, თითქოს სახლში ბრუნდებოდა, ქალაქში ნაცნობებთან შეგვიანებოდა და ახლა ბოლო მატარებლით მიდიოდა.

— მალე მივალთ, — თქვა მან, გაახილა თვალები და გაიხედა ბნელ, ცხურებიან ფანჯარაში.

არავინ განძრეულა, არავის უპასუხია, მხოლოდ ციგანოკმა გააფურთხა ზედიზედ ტკბილი ნერწყვი და სწრაფად მოავლო თვალი ვაგონს, ფანჯრებს, კარს, ჯარისკაცს.

— მცევა, — თქვა ვასილ კაშირინმა დაკიმული, თითქოსდა მართლა გაყინული ტუჩებით. და ეს სიტყვა ასე გაისმა: „მ-ც-ვა“.

ტანია კოვალჩუკი აწრიალდა.

— აჰა, თავშალი, შეიხვიე ყელი. ძალიან თბილია.

— ყელი? — მოულოდნელად თქვა სერგეიმ და ნათქვამმა შეაშინა.

მაგრამ ვინაიდან ყველამ იგივე გაიფიქრა, ამიტომ არც არავის გაუგონია, თითქოს არავის არაფერი უთქვამს, ანდა ყველამ ერთად თქვა ერთი და იგივე სიტყვა.

— არაფერია, ვასია, შეიხვიე, შეიხვიე, გათბები, — ურჩია ვერნერმა.

შემდეგ მიუბრუნდა იანსონს და გულთბილად ჰკითხა:

— ძვირფასო, შენ არა გცივა?

— ვერნერ, იქნებ მოწვევა უნდა. ამხანაგო, მოწვევა ხომ არ გინდათ? — შეეკითხა მუსია, — გვაქვს ჩვენ.

— მინდა.

— მიეცი პაპიროსი, სერიოჟა, — გაეხარდა ვერნერს.

მაგრამ სერგეიმ უკვე მისცა. და ყველა სიყვარულით უყურებდა, როგორ მოჰქიდა იანსონმა თითები პაპიროსს, როგორ აენტო ასანთი და იანსონის პირიდან როგორ გამოვიდა ცისფერი ბოლი.

როგორ
ერწინებ
გინებოდა

— გმადლობთ, — თქვა იანსონმა, — კარგია.

— რა უცნაურია! — თქვა სერგეიმ.

— რაა უცნაური? — მიუბრუნდა ვერნერი, — რა არის უცნაური?

— ესა, პაპიროსი.

გაფითრებულ იანსონს ეჭირა პაპიროსი, ჩვეულებრივი პაპიროსი, ჩვეულებრივ ცოცხალ თითებში და გაკვირვებული, თითქმის შიშითაც კი უყურებდა მას. და ყველა მიაჩერდა წვრილ მილს, რომლის ბოლოდან მბრუნავი ცისფერი ლენტვიტ გამოდიოდა სუნთქვისაგან განზე წასული კვამლი. პაპიროსი ნელა იფერფლებოდა. ბოლოს ჩაქრა.

— ჩაქრა, — თქვა ტანია.

— ჰო, ჩაქრა.

— ოჰ, ეშმაკმა წაიღოს! — თქვა ვერნერმა და შექმუხვნილი, აღელვებული მიაჩერდა იანსონს, რომელსაც პაპიროსიანი ხელი მკვდარივით ჩამოვარდნოდა. უცებ ციგანოკი სწრაფად შემობრუნდა, დაიხარა, სახე სახესთან მიუტანა ვერნერს და ცხენივით თვალეზადმოკარკლულმა წასჩურჩულა:

— ბატონო, რა იქნება, იმ მებადრაგეს რომ... ა? ვცადოთ?

— არაა საჭირო, — ჩურჩულითვე უბასუხა ვერნერმა, — ბოლომდე შესვი.

— რატომ? ჩხუბში ხომ ეს სახალისოცაა, ა? მე, იმას, ის მე, და ვერც შენიშნავს, ისე გათავდება. თითქოს არც კი მომკვდარა.

— არა, არაა საჭირო, — თქვა ვერნერმა და იანსონს მიუბრუნდა, — ძვირფასო, რატომ არ ეწევი?

უცებ იანსონს მოშვებული სახე საცოდავად დაემანჭა, თითქოს ვიღაცამ ძაფი მოჰქაჩაო, რომელმაც ყველა ნაოჭი აამოძრავა და ერთმანეთში გადახლართა. და იანოსმა სიზმარში მყოფივით დაიფშლუკუნა, უცრემლოდ, მშრალი, არაბუნებრივი ხმით:

— მე არ მინდა მოწვევა. აჰ-ხა! აჰ-ხა! აჰ-ხა! მე არ მინდა ჩამოხრჩობა. აჰ-ხა, აჰ-ხა, აჰ-ხა!

შემოეხვივნენ. ტანია კოვალჩუკი გულდათუთქული ტიროდა, სახელოზე ეფერებოდა და გაქუცული ქუდის ყურებს უსწორებდა:

— ნუ ტირი, ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო! ნუ ტირი, ჩემო კარგო, ჩემო ბედშავო!

მუსია განზე იხედებოდა. ციგანოკმა მისი მზერა დაიჭირა და გაიკრიჭა:

— ახირებული კაცია მისი კეთილშობილება! ჩაის სვამს, ფაშვი კი ცივი აქვს, — თქვა მან მოწყვეტილი სიცილით. მაგრამ სახე თუჯივით მოლურჯოშავი გაუხდა და დიდი, ყვითელი კბილები ააკრაქუნა.

უცებ ვაგონები შეტოკდნენ და შესამჩნევად შეანელეს სვლა. ყველანი, იანსონისა და კაშირინს გარდა, წამოიწივნენ და ისევ სწრაფად დასხდნენ.

— სადგურია! — თქვა სერგეიმ.

თითქოს ერთბაშად გამოეტუმბოთ ვაგონიდან ჰაერი, ისე ძნელი გახდა სუ-

ნთქვა. გული საგულედან ამოვარდა, ყელში გაიჩხირა, შმაგად აბორგდა, ში-
შით აყვირდა სისხლსავსე ხმით, თვალები კი დაბლა იცქირებოდნენ აძიგძი-
გებული იატაკისაკენ. ესმოდათ, როგორ თანდათანობით ჩერდებოდნენ ბორ-
ბლები, — გასრიალდნენ, — ისევ ბრუნავდნენ, — და უცებ შედგნენ.

მატარებელი გაჩერდა.

ერთბაშად მოერიათ ძილი. არა, არ ეშინოდათ, არამედ რაღაც უსახო და
უცხო ძილი დაუფლებოდათ: უსხეულო ლანდებივთ მდებარეობდნენ, უხმოდ
ლაპარაკობდნენ, უტანჯველად იტანჯებოდნენ. ძილში გადმოვიდნენ ვაგონები-
დან, დაწყვილდნენ, ჩაისუნთქეს ცინცხალი, საგაზაფხულო ტყის ჰაერი, ძილ-
ში გაძალიანდა დუნედ და უძლურად იანსონი, მაგრამ უხმოდ გადმოათრიეს
ვაგონიდან.

ჩამოვიდნენ კიბეზე.

— ფეხით უნდა წავიდეთ? — იკითხა ვილაცამ თითქოს მხიარულად.

— აქვეა, ახლოს, — უპასუხა მეორემ ასევე მხიარულად.

შემდეგ დიდი, შავი, მდუმარე ჯგუფი წავიდა ტყეში ცუდად დატკეპნილ,
სველ და რბილ გაზაფხულის თოვლიან გზაზე. თოვლიანი ტყიდან მოდიოდა
სუფთა, ცივი ჰაერი. ფეხი სრიალებდა, ზოგჯერ თოვლზე ეცემოდნენ და უნე-
ბურად ამხანაგს წაეპოტინებოდნენ. გზის აქეთ-იქით ქშენით, გაჭირვებით მი-
დიოდნენ გაუკვალავ თოვლში მებადრაგეები. ვილაცამ ბრაზით თქვა:

— გზა მაინც გაეწმინდათ. იყირავე ახლა ამ თოვლში.

ვილაცამ თავი იმართლა:

— გაწმინდეს, თქვენო კეთილშობილებავ, ახლახან დათბა, ვერაფერს გა-
აწყობენ.

ცნობიერება დაბრუნდა, მაგრამ ნაწილობრივ, ნაწყვეტებად, უცნაურ ნა-
კუწებად. ხან საქმიანად ადასტურებდა ფიქრი, რომ მართლაც არ შეიძლებოდა
გზის გაწმენდა. ხან ისევ ქრებოდა ყველაფერი და რჩებოდა მხოლოდ აუტან-
ლად მკვეთრი სუნი ჰაერისა, ტყისა, დნობადაწყებული თოვლისა; ხან უჩვეუ-
ლოდ ნათელი ხდებოდა ყველაფერი, — ტყეც, ლამეც, გზაც, და ისიც, რომ
მათ ახლა, წუთი-წუთზე ჩამოახრჩობდნენ. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა თავშე-
კავებული, ხმადაბალი ლაპარაკი:

— მალე ოთხი იქნება.

— ხომ ვამბობდი, ადრე წამოვედით-მეთქი.

— ხუთზე თენდება.

— კი, ხუთზე. ამიტომ იყო საჭირო, რომ...

მინდორზე შეჩერდნენ, სიბნელეში. ცოტა მოშორებით, გამეჩხერებულ,
გაშიშვლებულ ხეებს იქით, უხმაუროდ მოძრაობდა ორი ფარანი: იქ სახრჩო-
ბელები იდგა.

— კალოში დავკარგე, — თქვა სერგეი გოლოვინმა.

— რა? — ვერ გაიგო ვერნერმა.

— კალოში დავკარგე. მცოცა.

— ვასილი სადაა?

— არ ვიცი. აი, იქ დგას.

უძრავად იდგა სიბნელეში ვასილი.

— მუსია სადაა?

— აქა ვარ. შენა ხარ, ვერნერ?

მიიხედ-მოიხედეს. მხოლოდ იმ მხარეს გახედვას ერიდებოდნენ, სადაც

ჩუმად და საზარელი გარკვეულობით მოძრაობდნენ ფარნები. მარცხნივ, გაშვებულ ტყე თითქოს მეჩხერდებოდა და მოჩანდა რალაც დიდი, თეთრი და ბრტყელი. იქიდანვე მოდიოდა ნესტიანი ქარი.

— ზღვა! — თქვა სერგეი გოლოვინმა და პირით შეისრუტა ჰაერი.

იქ ზღვაა.

მუსია წკრიალა ხმით გამოეხმაურა:

— ჩემს სიყვარულს, ვით მღელვარე ზღვას!..

— რას ამბობ, მუსია?

— ჩემს სიყვარულს, ვით მღელვარე ზღვას, ვერ დაიტევს ნაპირები სიცოცხლის.

— ჩემს სიყვარულს, ვით მღელვარე ზღვას... — გაიმეორა ფიქრიანად სერგეიმ, მიჰყვა მის ხმას და სიტყვებს.

— ჩემს სიყვარულს, ვით მღელვარე ზღვას... — გაიმეორა ვერნერმაც და უცებ მხიარული გაკვირვებით წარმოთქვა: — მუსკა! რა ახალგაზრდა ხარ ჯერ კიდევ!

უცებ ახლოს, პირდაპირ ვერნერის ყურთან, გაისმა ციგანოკის მხურვალე, სულშეგუბებული ჩურჩული:

— ბატონო, ა, ბატონო, ტყეა, ხომ? ღმერთო, რაა ეს! იქ რაა, ფარნები რომ ჩანს, საზრჩობელა ხომ არა? რაა ეს, ა?

ვერნერმა შეხედა: ციგანოკი სიკვდილისწინა სულთმობრძობით იტანჯებოდა.

— დროა გამოვემშვიდობოთ ერთმანეთს, — თქვა ტანია კოვალჩუკმა.

— დაიცა, ჯერ განაჩენს წაიკითხავენ, — უპასუხა ვერნერმა, — იანსონი სადაა?

იანსონი თოვლზე იწვა და მასთან რალაცა მიჰქონდათ. უცებ ნიშადურის ცხარე სუნი დატრიალდა.

— რა ხდება მანდ, ექიმო? ჩქარა მოათავებთ? — შეეკითხა ვილაცა მოუთმენლად.

— არაფერია, უბრალოდ, გული წაუვიდა. თოვლით დაუზილეთ ყურები! აჰა, უკვე მობრუნდა. შეიძლება წაკითხვა.

ფარული ფარნის სინათლე დაეცა ქალაღზე და თეთრ, უხელთათმანო ხელებზე, ქალაღდიც და ხელებიც ოდნავ ცახცახებდნენ. კანკალებდა ხმა...

— ბატონებო, თუ გნებავთ, არ წავიკითხავ განაჩენს ხომ ყველამ იცით! რას იტყვით?

— ნუ წაიკითხავთ, — ყველას მაგივრად უპასუხა ვერნერმა, და ფარანი მაშინვე ჩააქრეს.

მღვდელიც არავინ ინდომა. და მუქი, მღუმარე სილუეტი სწრაფად გაეცალა იქაურობას. განთიადი ახლოვდებოდა: თოვლი გათეთრდა, ჩამუქდნენ ადამიანების ფიგურები, ტყეც უფრო მეჩხერი, სევდიანი და ჩვეულებრივა გახდა.

— ბატონებო, ორ-ორი წამოდით. როგორ დაწყვილდებით, თქვენი ნებაა, ოღონდ გთხოვთ დაუჩქაროთ.

ვერნერმა იანსონზე მიუთითა, რომელიც უკვე ფეხზე იდგა ორი ქანდარმის დახმარებით.

— მე მასთან წავალ, სერიოზა, ვასილი წაიყვანე. წინ წადით.

— კარგი.



— ჩვენ ერთად მოვხვდით, მუსეჩკა? — თქვა კოვალჩუკმა, — აბა, გადავკოცნოთ ყველამ ერთმანეთი.

სწრაფად გადაკოცნეს. ციგანოკი ისე მაგრად კოცნიდა ყველას, რომ კოცნისას მის კბილებს გრძნობდნენ. იანსონი რბილად და დუნედ, ნახევრად ღია პირით კოცნიდა, თუმცა, ალბათ, ვერც ხვდებოდა, რას აკეთებდა. როდესაც სერგეი გოლოვინმა და კაშირინმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს, უცებ კაშირინი შედგა და ხმამაღლა, გარკვეულად მაგრამ სავსებით უცხო, ხმის ხმით დაიძახა:

— მშვიდობით, ამხანაგებო!

— მშვიდობით, ამხანაგო, — უპასუხეს მას.

წავიდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა. ხეებს იქით ფარნები უძრავად გაჩერდნენ. ელოდნენ შეყვირებას, რაიმე ხმაურს, მაგრამ სიწყნარე იყო იქ, როგორც აქ, და უძრავად ანათებდნენ ფარნები.

— აჰ, ღმერთო ჩემო! — ველურად დაიხიხინა ვილაცამ. შეხედეს: ეს სიკვდილისწინა უსასობით იტანჯებოდა ციგანოკი. — ახრჩობენ!

შემობრუნდნენ. და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ციგანოკი იტანჯებოდა, ხელებით ჰაერს ეპოტინებოდა.

— როგორ იქნება ეს! ბატონებო, ა? მე მარტო უნდა ვიყო? ერთად უფრო სახალისოა. ბატონებო! რაა ეს?

ვერნერს ჩაავლო მკლავში ხელი, ხან უჭერდა თითებს, ხან უშვებდა, თითქოს თამაშობსო.

— ბატონო, ძვირფასო, შენ მაინც იყავი ჩემთან, ა? მოწყალება მოიღე, ნუ მეტყვი უარს.

ვერნერმა წუხილით უპასუხა:

— არ შემიძლია, საყვარელო. მე იმასთან ვარ.

— ეჰ, ღმერთო ჩემო! მარტო, ესე იგი, როგორ იქნება ეს. ღმერთო! მუსიამ გადმოდგა ნაბიჯი და წყნარად თქვა:

— წამოდით ჩემთან.

ციგანოკი გაოგნდა და ველურად გადმოკარკლა თვალები.

— შენთან?

— ჰო.

— შეხედეთ ერთი. რა პატარაა და?!.. არ გეშინია? არა, არა, მარტოს მირჩევნია. რა გაეწყობა!

— არა, არ მეშინია.

ციგანოკი დაიკრიჭა.

— შეხედეთ ერთი! მე ხომ ყაჩაღი ვარ. არ გეთაკილები? მეტის ღირსი არცა ვარ. მე არ გაგიბრაზდები.

მუსია დუმდა. განთიადის სუსტი სინათლე ფერმიხდილსა და იდუმალს ხდიდა მის სახეს. შემდეგ უცებ ციგანოკთან მივიდა, ხელები კისერზე მოჰხვია და მაგრად აკოცა ტუჩებში. კაცმა თითები მოჰკიდა მხრებში და მოიცილა. შემდეგ მიიზიდა და მტლაშამტლუშით დაუკოცნა ტუჩები, ცხვირი, თვალები.

— წავედით.

უცებ ახლო მდგარი ჯარისკაცი როგორღაც შეტორტმანდა, ხელები გაშალა და თოფი დააგდო. მაგრამ არ დახრილა მის ასაღებად, წამიერად გახევდა, შემობრუნდა და როგორც ბრმა, ტყისაკენ წავიდა გაუკვალავ თოვლში.


— სად მიდიხარ! — შეშინებულმა ხმადაბლა დაუძახა მეორემ, — შესდექ!

მაგრამ იგი კვლავ ჩუმად და გაჭირვებით მიაღწევდა ღრმა თოვლს. მერე ალბათ რაღაცას წამოედო, ხელები აიქნია და პირდაღმა წაიქცა. ასევე დარჩა.

— თოფი აიღე, ნაბიჭვარო! თორემ მე ავიღებ! — მრისხანედ თქვა ციგანოკმა, — ჯარისკაცად არ ვარგინხარ!

კვლავ ამოძრავდნენ ფარნები. დადგა ვერნერისა და იანოსნის ჯგრი.

— მშვიდობით, ბატონო! — ხმამაღლა თქვა ციგანოკმა, — იმკვეყნად ნაცნობები ვიქნებით. რომ დამინახავ, ზურგს ნუ შემაქცევ. წყალი მრმამორღწ...
ხოლმე, მდულარეში ვიქნები იქ.



— მშვიდობით.
— მე არ მინდა, — თქვა იანოსნმა ღუნედ.

ვერნერმა ხელი შეაშველა და ესტონელმა რამდენიმე ნაბიჯი თავისით გადადგა, შემდეგ შედგა და თოვლზე დაეცა. დაიხარნენ, წამოაყენეს და წაიყვანეს, ის კი სუსტად ფართხალებდა მათ ხელებში. რატომ არ ყვიროდა? ალბათ დაიფიწყდა კიდევ, ხმა რომ ჰქონდა.

და კვლავ გაჩერდნენ მოყვითალო ფარნები.
— გამოდის, მე მარტო დავრჩი, მუსეჩკა, — ნალვლიანად თქვა ტანია კოვალჩუკმა, — ერთად ვცხოვრობდით, ახლა კი...

— ტანეჩკა, საყვარელო...

მაგრამ აქ აგზნებული ციგანოკი ჩაერია. მუსია ხელით ეჭირა, თითქოს ეშინოდა, არავინ წამართვასო, და ჩქარ-ჩქარა, საქმიანად ალაპარაკდა:

— აჰ, ქალბატონო! შენ მარტოც შეგიძლია. შენ წმინდანი ხარ, გაიგე? მე კი ვერ შევძლებ, ვითარცა ყაჩაღი... გაიგე? შეუძლებელია ჩემი მარტო დარჩენა. მეტყვიან, კაცისმკვლელს, შენ საით მოძვრებიო. მე ხომ ცხენებსაც ვიპარავდი, ღმერთია მოწმე! ამასთან კი ისე ვარ... როგორც ჩვილთან, გაიგე?

— გავიგე. რა გაეწყობა, მოდი, კიდევ გაკოცო, მუსეჩკა.

— გადაკოცნეთ, გადაკოცნეთ, — წააქეზა ციგანოკმა ქალები, — თქვენი საქმე ასეთია. კარგად უნდა გამოემშვიდობოთ ერთმანეთს.

წავიდნენ მუსია და ციგანოკი. ქალი ფრთხილად მიდიოდა, ფეხი უცურდებოდა და ჩვეული მოძრაობით კაბას ისწორებდა. ციგანოკს მაგრად ეჭირა მისი ხელი, ფრთხილად სინჯავდა გზას და ქალი სიკვდილისაკენ მიჰყავდა.

სინათლეები გაჩერდნენ. სიწყნარე და სიცარიელე იყო ტანია კოვალჩუკის გარშემო. დუმდნენ ჯარისკაცები, რომლებიც ნაცრისფრად ჩანდნენ განთიადის ბინდბუნდში.

— მარტო დავრჩი — თქვა უცებ ტანიამ და ამოიოხრა, — მოკვდა სერიოზა, მოკვდა ვერნერიც და ვასიაც. მარტო დავრჩი. ჯარისკაცებო, ჰაი, ჯარისკაცებო, მარტო დავრჩი მარტო.

ზღვის თავზე ამოდიოდა მზე.

ყუთში ჩააწყვეს გვამები, — კისერწაგრძელებულები, თვალეზადმოკარკლულები, ენადაჯირჯვებულები. ენები სისხლიანი ქაფით მორწყულიყვნენ და უცნობი, საშინელი ყვავილებივით გადმოშლილიყვნენ ბაგეებს შორის. შემდეგ წაიღეს უკან, იმავე გზით, რომლითაც თვითონ, ცოცხლები, მოვიდნენ. და ისევ ისეთი რბილი და სურნელოვანი იყო გაზაფხულის თოვლი. ისევ ისეთი ცინცხალი და ჯანსაღი იყო გაზაფხულის ჰაერი. და შავად მოჩანდა თოვლზე სერგეის დაკარგული კალოში, სველი და მოღრეცილი.

ასე შეეგებნენ ადამიანები ამომავალ მზეს.





ფრანგულიდან
თარგმნა კახა ივანიშვილიძე

ერთი უცნაურად გაღეული ბუზი ფანჯრებდახურულ ავტობუსში უხმოდ დაფრინავდა და ულონოდ აქეთ-იქით აწყდებოდა. ქანიშმა ერთხანს ის მხედველობიდან დაკარგა, მაგრამ მალე თავის მეუღლის ხელზე დამჯდარს მოპკრა თვალი. ციოდა. ქვიშა ხმაურით ეყრებოდა მინებს და ბუზიც ცახცახებდა ქარის ყოველ წამოჭროლვაზე. ზამთრის ნაცრისფერი დილის მკრთალ შუქზე ავტობუსი ძრავისა და ღერძის ღრქიალით ნელა მიიწეგდა წინ, და რწევა-რწევით საცოდავად მიჯაყაყებდა. ქანიშმა მეუღლეს გახედა. ვიწრო შუბლზე ჩამოყრილი ქალარაშერეული, ჯაგარივთ უხეში თმა, ფართო ცხვირი და უსწორმასწორო პირი მარსელს გაბუტული ფავნუსის იერს აძლევდა. ოღრთილოდროებზე გავლისას კაცი ხან ეხლებოდა თავის ცოლს, ხან უკან ვარდებოდა, მძიმედ იჯდა მუხლებგაშლილი, გაშეშებული და ინერტული, არაამქვეყნიური თვალეებით წინ იმზირებოდა. ნაცრისფერი ფანელის პიჯაკი პერანგის სახელოებს და მაჯებს უფარავდა და კიდევ უფრო მოკლეს აჩენდა მის უბალნო, მსხვილ ხელებს, სხეულის სხვა ნაწილებზე მეტად რომ შერჩენოდათ სიცოცხლის ნიშანწყალი. ამ ხელებს ისე მაგრად ჩაებლუჯათ მუხლებს შორის მოქცეული პატარა ნაჭრის ჩემოდანი, რომ ვერც კი გრძობდნენ ბუზის გაუბედავ მოძრაობას.

უეცრად ქარის ღმუილი გარკვევით გაისმა და ავტობუსი ქვიშის სქელ ბურუსში გაეხვია. მინებს ისე მოაწყდა სილა, თითქოს ვილაცის უხილაემა ხელმა აყარაო. ბუზმა სიფრიფანა ფრთა შეარხია, წამით გაირინდა და გაფრინდა. ავტობუსმა სიჩქარეს უკლო და ალბად გაჩერდებოდა კიდევ, მაგრამ ქარი ჩაწყნარდა, ქვიშის ღრუბელი გაიფანტა და მანქანამაც სვლას უმატა. მტვერში ჩაძირულ პეიჟაზს მხოლოდ შუქფარების სინათლე ჰკვეთდა. ფანჯრებს მიღმა ორიოდე ბეჩავი, გათეთრებული, თითქოსდა ლითონისგან ჩამოსხმული პალმა გამოჩნდა. მალე ისინიც თვალს მიეფარნენ და სადღაც წყვდიადში გაუჩინარდნენ.

— რა დაწყევლილი ქვეყანაა! — თქვა მარსელმა.

მოსასხამებში გახვეულ არაბებს, — მრავლად რომ იყვნენ ავტობუსში, თავი მოემძინარებინათ. ზოგიერთი ფეხმორთხმული იჯდა და მანქანის ჯაყაყზე სხვებზე მეტად ირწეოდა. მათი სიჩუმე და აუღელვებლობა დამთრგუნველად მოქმედებდა ქანიშზე. ეჩვენებოდა, თითქოს რამდენიმე დღე იყო, რაც ამ მუნჯი ექსკორტის თანხლებით მგზავრობდა. არადა, ავტობუსი რკინიგზის ბოლო

სადგურიდან უთენია გამოემგზავრა და სულ რაღაც ორი საათი იყო გასული, რაც ის ამ ცივ დილას გზას მიიკვლევდა ქვიან და მწირ ბორცვებზე, რომელთა უკიდევანო სივრცე ალისფერ პორიზონტში იკარგებოდა. მაგრამ ძლიერმა ქარმა ნელ-ნელა შთანთქა არემარე და აქედან მოყოლებული, მგზავრები ვერ დაიფერს ხედავდნენ; თითქოს თეთრ ღამეში მგზავრობენო, ერთმანეთის მოყოლებით ჩაჩუმდნენ, და ავტობუსში შემოდგომულ ქვიშას თუ ჩამოიბერტყავდნენ ხოლმე დამტვერილი ტუჩებიდან და თვალებიდან.

— ჟანი! — ქმრის დაძახილზე ქალი შეკრთა. მან კიდევ ერთხელ გაიფიქრა, რამდენად არ შეეფერებოდა ეს სახელი მასავით ვეება და ფაშფაშა ქალს. მარსელს აინტერესებდა სად იდო ქსოვილებიანი ჩემოდანი. ჟანიმა ფეხი შეჰყო სკამის ქვეშ, რაღაც საგანს წამოსდო და ჩემოდანი იყო გაიფიქრა. ქალს სუნთქვა უჭირდა და თავისუფლად ვეღარ იხრებოდა წელში. კოლეჯში კი ყველას სჯობნიდა ტანვარჯიშში, სუნთქვაც საოცრად მშვიდი და თანაბარი ჰქონდა. ნუთუ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ? ოცდახუთი წელი. რა სწრაფად გადის დრო! მას კი ეჩვენებოდა, თითქოს გუშინ იყო, ქორწინებასა და თავისუფალ ცხოვრებას შორის არჩევანს რომ აკეთებდა. თითქოს გუშინ იყო, მარტოობაში გაღეულ სიბერეზე ფიქრი რომ ზარავდა. არა, ჟანი არ იყო მარტო; იურიდიული ფაკულტეტის ის სტუდენტი ვაჟი, ადრე წუთითაც რომ არ შორდებოდა, ახლაც მის გვერდით იჯდა.

მარსელი ტანდაბალი იყო. ჟანის არც მისი შავი გადმოკარკლული თვალები მოსწონდა და არც მისი მსუნაგი, მოკლე ქირქილი, მაგრამ მაინც დასთანხმდა ცოლობაზე. სამაგიეროდ ხიბლავდა მისი ვაჟკაცური ლტოლვა სიცოცხლისადმი, აქაურ ფრანგებს რომ ახასიათებდათ, მისი ჩაფიქრებული სახე, როდესაც რაიმე შემთხვევა ან ადამიანები ვერ უმართლებდნენ იმედებს. მაგრამ მაინც ყველაზე უფრო მთავარი, ჟანისთვის გახლდათ ის, რომ ვილაცის უყვარდა; და მარსელიც ყოველ ღონეს ხმარობდა მზრუნელობა არ მოეკლო მეუღლისათვის. იგი ისე ხშირად აგრძნობინებდა ცოლს, მხოლოდ ჩემთვის ხარ გაჩენილიო, რომ ბოლოს და ბოლოს ქალმაც ირწმუნა საკუთარი არსებობა. არა, ჟანი არ იყო მარტო...

ავტობუსი უხილავ დაბრკოლებებს შორის ძლიერი საყვირით მიიკვლევდა გზას. მანქანაში არავინ არ იძროდა. უეცრად ჟანიმა ვილაცის დაჟინებული მზერა იგრძნო და იმ სკამისკენ შემობრუნდა, გვერდით, გასასვლელის მეორე მხარეს რომ დაედგათ. უცნობი არ იყო არაბი და ჟანის გაუკვირდა თავიდანვე როგორ ვერ შევამჩნიეთ. კაცს ეცვა საპარის ფრანგული სამხედრო ნაწილის უნიფორმა, თავზე კი ნაცრისფერი კეპი ეხურა. გარუჯული, წაწვეტებული სახით და მკვეთრად გამოკვეთილი ნაკვეთებით ტურას წააგავდა, იგი თავის ღია ფერის თვალებით პირქუშად აკვირდებოდა ქალს. ჟანი წამოწითლდა და მიუბრუნად მეუღლეს; რომელიც ამ დროს წინ ნისლსა და ქარს გასცქეროდა. ქალი პალტოში ვაეხვია, მაგრამ, თვალიდან არ შორდებოდა გიმნასტურაში გამოწყობილ ფრანგი ჯარისკაცის სახე, უსამველოდ მაღალი და გამხდარი ტანის წყალობით რაღაც მშრალი, მყიფე მასალისაგან, ქვიშისა და ძვლის ერთგვარი ნარევისაგან ჩამოსხმულს რომ ჰგავდა. მოულოდნელად ჟანიმა მის წინ მკდომი გარუჯული არაბების გამხდარ ხელებს მოჰკრა თვალი და თავისთვის გაიფიქრა: უშველებელი მოსასხამების მიუხედავად რა თავისუფლად სხედან მერხზე, სადაც მე და ჩემი ქმარი ძლივს ვეტევითო. ქალმა პალტოს ბოლოები აიკეცა. არა, ის არ იყო ზონზროხა, მასზე უფრო მაღალსა და ხორცსავსეს

იტყოდით. ხორციელი და სასურველი (ამას მამაკაცების მზერიდანაც გრძნობდა) მისი დიდი სხეული, რომელიც ჟანინის აზრით სითბოს და სიმშვიდეს ასხივებდა, საოცრად ეწინააღმდეგებოდა მისსავე ბავშვურ სახეს და ნათელ, ცოცხალ თვალებს.

არა, ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც ჟანინს ეგონა როდესაც მარსელმა მოისურვა, მეუღლე მოგზაურობაში თან წაეყვანა, ქალი უარზე დადგა. მარსელი დიდი ხანი იყო, რაც ამ მოგზაურობაზე ფრთხილდებოდა, უფრო სწორად, ომის დამთავრებისთანავე ჩაიფიქრა, როდესაც საქმე კვლავ ააწყო. ომამდე, ქსოვილების პატარა მაღაზია, რომელიც მან იურიდიული ფაკულტეტის მინებების შემდეგ მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიიღო, საკმაოდ უმართავდათ ხელს. ზღვის სანაპიროზე ახალგაზრდობის წლებში ბედნიერად რომ იგრძნო თავი, ბევრი არაფერია საჭირო, მაგრამ მარსელი ყოველგვარი ფიზიკური და ტვირთვის წინააღმდეგი იყო და ცოლის პლაჟზე ტარებაც ადრიაანად შეწყვიტა. მათი პატარა მანქანა მხოლოდ საკვირაო გასეირნებისას თუ დატოვებდა ქალაქს. დანარჩენი დრო კი მარსელს ერჩივნა, ამ ნახევრად ვეროპულ, ნახევრად აზიურ კვარტლის თაღების ჩრდილში მიკუნჭულ, ფერად-ფერადი ქსოვილებით გამოტენილ მაღაზიაში გაეტარებინა, რომლის მეორე სართულზეც, არაბული შპალერით და ბარბესის ავეჯით გაწყობილი სამი ოთახი ეკავათ. ნახევრად დარაბებშიხურულ, ჩაბნელებულ ოთახებში მრავალი წელი გაატარეს ერთად. შვილი არ ჰყავდათ. თანდათან ყველაფერი დავიწყებას მიეცა: ზაფხული, პლაჟი, სეირნობა, ცაც კი... მარსელს, როგორც ჩანდა, საკუთარი საქმეების გარდა არაფერი აინტერესებდა, ჟანინს მიაჩნდა, რომ მან აღმოაჩინა ქმრის კეშმარიტი გატაცების საგანი — ფული. ეს საოცრად არ მოსწონდა ქალს, თუმცა თავადაც არ იცოდა, რატომ. ბოლოს და ბოლოს ისიც ხომ სარგებლობდა ამ ფულით? მარსელი არ იყო ძუნწი, პირიქით, უფრო ხელგაშლილი ეთქმოდა, განსაკუთრებით ცოლის მიმართ. „ერთიც ვნახოთ და რაიმე შეშემთხვეს, — ამბობდა ის, — შენ უზრუნველყოფილი ხომ უნდა დაგტოვო“. ეს არ იყო ურიგო აზრი, შავი დღისთვის მართლაც უნდა გქონდეს კაცს ორიოდ გროში გადანახული. მაგრამ ამ აუცილებელი საჭიროების გარდა ხომ არის კიდევ რაღაც სხვა... მაშინ რა ქნას ჟანინმა?.. ქალს ეს ფიქრები დროდადრო გაუელვებდა ხოლმე თავში. მანამდე კი ეხმარებოდა ქმარს საკანცელარიო დავთრების მოწესრიგებაში, ზოგჯერ მაღაზიაშიც ცვლიდა მას. ყველაზე ძნელი ასატანი იყო ზაფხული, როდესაც პაპანაქება მოწყენილობის ტკბილ შეგრძნებასაც კლავდა.

მოულოდნელად, შუაგულ ზაფხულში ომი დაიწყო. მარსელი ფრონტზე გაიწვიეს, მაგრამ სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად სცნეს და გამოაბრუნეს. გაძნელდა ქსოვილების შოვნა, გაიყინა საქმე, დაცარიელდა გავარვარებული ქუჩები. ახლა რომ მართლა რამე მომხდარიყო, ჟანინი აღარ იქნებოდა უზრუნველყოფილი. ამიტომაც ბაზარში ქსოვილების პირველი პარტიის გამოჩენისთანავე მარსელმა გადაწყვიტა შუამავლის როლი ეკისრა, შემოეარა მთიანი ზეგანისა და სამხრეთის სოფლები და იქაური არაბი ვაჭრებისთვის თავად მიეყიდა საქონელი. მოგზაურობაში მან ცოლის წაყვანაც ისურვა. ჟანინმა იცოდა, ცუდი გზების გამო მგზავრობა ძნელი იქნებოდა. სუნთქვაც უჭირდა, ერჩივნა სახლში დალოდებოდა მეუღლეს, მაგრამ მარსელი გაჯიუტდა და ვინაიდან მასთან კამათი დიდ ძალას მოითხოვდა, ქალიც იძულებული შეიქნა დაჰყოლოდა ქმრის ნება-სურვილს. ახლა ისინი უკვე იქ იყვნენ და ჟანინი თვალ-

ნათლივ ხედავდა, რომ მის მიერ წარმოდგენილი სურათი სრულიად განსხვავდებოდა სინამდვილისაგან. ქალს აშინებდა სიცხე, ბუზები, ანისის არყის სუნით გაჟღენთილი ჭუჭყიანი სასტუმროები და ვერც კი წარმოედგინა, თუ მათ ნაცვლად, სიცივე, გამჭოლი ქარი და მორენებით მოფენილი, თითქმის ყინულვანი ზეგანი დახვდებოდა. გამგზავრებამდე პალმებსა და რბილ ქვიშაზე ოცნებობდა, აბლა კი საკუთარი თვალით ხედავდა, რომ უდაბნო სულ სივარამ ყოფილა. ირგვლივ მხოლოდ ქვები ეყარა, ცასაც კი ცივი, ღრუჭანსა მჭკრის სებრი მტვერი გადაპკვროდა, ხოლო მიწაზე პალმების ნაცვლად ქვიშა-მტვერი ამოსული გამზმარი სარეველები თუ მოსჩანდნენ.

მოულოდნელად ავტობუსი გაჩერდა. მძღოლმა რაღაც წაბურღლუნა იმენაზე, ჟანიანს მთელი ცხოვრება რომ ესმოდა, მაგრამ მისი არაფერი გაეგებოდა. „რა მოხდა?“ — იკითხა მარსელმა. როდესაც მძღოლმა ამჯერად ფრანგულად გაიმეორა, ქვიშამ კარბურატორში შეაღწიაო, მარსელმა კიდევ ერთხელ დასწყევლა ეს მხარე. მძღოლმა გადაიხარხარა და ანუგეშა მარსელი. კარბურატორს მალე გავწმენდ და გზას გავუდგებიოთ. კარი გაიღო; ავტობუსში ცივი ქარი შემოიჭრა და მგზავრებს სახეში ქვიშა შეაყარა. არაბებმა ცხვირი ჩარგეს მოსასხამებში და მოკუნტულები შეძლებისდაგვარად მოხერხებულად მოეწყვნენ, „დაბურე კარი!“ — იღრიალა მარსელმა. მძღოლი ღიმილით წამოვიდა კაბინისკენ, აუჩქარებლად ამოიღო რამდენიმე საჭირო ხელსაწყო და ისე რომ კარის დაკეტვა არც უფიქრია, ავტობუსის წინ, სადღაც ბურუსში გაუჩინარდა. მარსელმა ამოიხვნეშა: „მერწმუნე, ძრავა სიცოცხლეში თვალითაც არ უნახავს“. „მოეშვი“. — თქვა ქალმა. მოულოდნელად ჟანიანმა მიწაყრილზე, ავტობუსის შორიახლოს, მოსასხამებში გახვეული რამდენიმე უმოძრაო ფიგურა დალანდა და შეცბა. კაპიშუნსა და პირბადის მიღმა მათ მხოლოდ თვალები მოუჩანდათ. ღმერთმა უწყის საიდან მოსულნი უბნოდ აკვირდებოდნენ მგზავრებს. „მწყემსები არიან“, — თქვა მარსელმა.

ავტობუსში სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა. თავჩაქინდრული მგზავრები, ეტყობა, უკიდევანო ზეგანზე თავისუფლად მონავარდე ქარის წუილს უგდებდნენ ყურს, როდესაც ჟანიანმა შეამჩნია, რომ მანქანაში მსხდომთ ბარგი თითქმის არ ჰქონდათ, გაოცდა. რკინიგზის სადგურის ბოლო გაჩერებაზე მძღოლმა მათი ჩემოდანი და რამდენიმე ფუთა ავტობუსის სახურავზე შემოდო. თვით მანქანაში კი, გვერდითა ბადეებზე, მხოლოდ ნუერებიანი ჯოხები და ბრტყელი კალათები ელაგა. როგორც ჩანს, სამხრეთელებს თავისუფლად მგზავრობა ერჩივნათ.

მძღოლი ჩვეული სინალისით დაბრუნდა. პირბადიდან — დანარჩენებივით რომ აეფარებინა სახეზე — გაბრწყინებული თვალები მოუჩანდა. „მივდივართ“, — გამოაცხადა მან და კარი მიხურა. ქარი ჩაწყნარდა და მინებს შემოყრილი ქვიშის წკაპუნნი გარკვევით მოისმა. ძრავამ ერთი ჩაახველა და ჩაქრა, მაგრამ მძღოლმა იმდენი უჩხაკუნა სტარტერს, ისე აქერდა ფეხს აქსელერატორს, რომ როგორც იქნა, ძრავა კვლავ აღრიალდა. ავტობუსი სლოკინ-სლოკინით გაუდგა გზას. ჩამოკონკილი მწყემსებიდან რომელიღაცამ ხელი ასწია. მალე ისიც სადღაც უკან მოიტოვეს ნისლში გაუჩინარებული. გზა გაუარესდა და მანქანამაც ხტუნვა-ხტუნვით იწყო სვლა. არაბები ერთთავად ირწეოდნენ. ჟანიანი ის იყო ჩაძინებას აპირებდა, რომ მისკენ გამოწვდილ, კაშუთი¹ სავსე

¹ კაშუ — აკაციის ან პალმის წვენიდან დამზადებული თათარა, მარმელიდი.

პატარა ყვითელ ქილას მოჰკრა თვალი. მას ჯარისკაცი-„ტურა“ უღიმოდა. ეანიანი შეეყოყმანდა. შემდეგ ერთი-ორი ნაჭერი აიღო და მადლობა გადაუხადა. „ტურამ“ ქილა ჯიბისაკენ წაიღო და სახიდან ღიმილიც გაუქრა. ახლა ის უკვე წინ, გზას გასცქეროდა. ეანიანი მარსელს მიუბრუნდა, მაგრამ მხოლოდ მის ფართო კეფას მოჰკრა თვალი. იგი ფანჯრიდან აკვირდებოდა წილს, რომელიც ფხვიერი მიწაყრილიდან ზემოთ მიიწევდა და თანდათან უფრო ხშირი ხდებოდა.

ერეკენული

რამდენიმე საათის მგზავრობამ ხალხი მოქანცა და მანქანაშიც კი ცხელი ჩაცვდა, მაგრამ უცებ გარედან ყვირილი მოისმა; მოსასხამებში გახვეული ბავშვები ჩიკორებივით ტრიალებდნენ, დახტოდნენ და ტაშისკვრით მისდევდნენ ავტობუსს, რომელიც დაბალ სახლებიან გრძელ ქუჩას მიუყვებოდა; მანქანა ოაზისში შევიდა, ქარი არ ცხრებოდა, მაგრამ კედლები მაინც აკავებდნენ ქვიშის კორიანტელს და აღარც ისე ბნელოდა. მიუხედავად ამისა ცა მაინც მოქუფრულიყო. ამ ახმაურებულ ბრბოში, ავტობუსი ღრჭიალით გაჩერდა თიხის თაღებიან, ფანჯრებჭუჭყიანი სასტუმროს წინ, სადაც მოყაყანე ბრბოს მოეყარა თავი. ეანიანი ჩამოსვლისთანავე შებარბაცდა. სახლების სახურავებს ზემოთ ყვითელ პაეროვან მინარეთს მოჰკრა თვალი. მარცხნივ ოაზისის პალმები მოჩანდა. გულმა მათკენ გაუწია. მალე შუადღე ჩამოჰკრავდა, მაგრამ სიცივე მაინც იგრძნობოდა. ქალს გააფრყოლა, მეუღლეს მოხედა, მაგრამ მისკენ მომავალი ჯარისკაცი შერჩა ხელში. ქალს ეგონა გამიღიმებს ან სულაც დამშვიდობების ნიშნად ხელს დამიქნევსო, მაგრამ ჯარისკაცმა ისე ჩაუარა და გაუჩინარდა, რომ ზედაც არ შეუხედავს მისთვის. მარსელი ავტობუსის სახურავზე შემოდგმულ ქსოვილების ნიმუშებით სავსე ჩემოდანს — უზარმაზარ შავ ყუთს იღებდა. მისი ჩამოთრევა ადვილი საქმე არ იყო. ბარგის გადმოტვირთვა მძლოლს ევალებოდა, ის უკვე ამძვრალიყო სახურავზე და მანქანის ირგვლივ თავმოყრილ მოსასხამებიანებს ელაქლაქებოდა. გაძვალტყავებული სახეებით და ხორხისმიერი ბგერით გარშემორტყმულმა ეანიანმა ძლიერი დაღლილობა იგრძნო. „მე წავალ!“ — გასძახა ქმარს, რომელიც ამ დროს მძლოლის ყურადღების მიპყრობას ცდილობდა.

სასტუმროში შესულ ეანიანს სასტუმროს მეპატრონე — გამხდარი და სიტყვაძუნწი ფრანგი გამოეგება. იგი ქალს შეუშაბანდს ზემოთ (რომელიც ეზოს გადაჰყურებდა), პირველი სართულისაკენ გაუძღვა და მიაცილა ოთახამდე, სადაც მხოლოდ რკინის საწოლი, ემალის საღებავით შეღებილი სკამი და უფარდებო საკიდი დაედგათ. ოთახის ერთ კუთხეში ჭილობის თეჯირს მიღმა ქვიშის თხელი ფენით დაფარული პირსაბანი თასი იდგა. როდესაც სასტუმროს პატრონმა კარი გაიხურა, ქალმა კირით შეთეთრებული შიშველი კედლებიდან წამოსული სიცივე იგრძნო. მან არ იცოდა სად დაედო ხელჩანთა, თვითონ სად მოკალათებულიყო. სულ ერთია დაწვებოდა თუ ფეხზე იდგებოდა, მაინც გაითოშებოდა. საკუთარ სიმარტოვეს, ძვალ-რბილში გამჯდარ სიცივეს და გულზე ლოდვიით დაწოლილ სევდას აყოლილი ეანიანი, ხელჩანთაჩაბლუჯული იდგა ოთახში, მისჩერებოდა თითქმის ჭერთან გამოჰკრილ სათოფურისხელა ფანჯარას და უაზროდ ელოდა რაღაცას. მას არც ქუჩიდან შემოსული ხმაური ესმოდა და არც მარსელის მჭექქარე ხმა უშლიდა ფიქრს, სამაგიეროდ გარკვევით აღიქვავდა „სათოფურიდან“ სასტუმროს ნომერში გადმოღვრილ მდინარის დინების მსგავს ჩხრიალს, რომელსაც ქარი პალმების ტოტებში ბადებდა. შემდეგ ქარი თანდათან გაძლიერდა და „წყლის“ ეს მსუბუქი ჩუხჩუხი აბობოქ-

რებულნი ვირთთა ღრიალში გადარიზარდა. კედლებს მიღმა ქალს, გრიგალში მატყლსავეთ დახვეული პალმების ზღვა წარმოუდგა. არა, აქაურობა სულ სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ ეს უხილავი ტალღები მაინც მალამოსავით ესალბუნებოდნენ მის დაღლილ თვალებს. ქალი წელში მოხრილი, ხელებჩამოყრილი იდგა ოთახში, მის დამძიმებულ ფეხებს ნელ-ნელა სოცოვე ფლებოდა. ეზმანებოდა აშოლტილი, აშრიალეებული პალმები და ის ახალგაზრდა გოგონა, ოდესღაც თავად რომ იყო.

ცოტა რომ მოწესრიგდნენ, ცოლ-ქმარი სასადილო ოთახში ჩავიდა. აქლემებითა და პალმებით მოხატული კედლები ვარდისფერსა და იისფერში იბინდებოდნენ. თალისებურ ფანჯრებში ძუნწად ატანდა დღის სინათლე. მარსელმა სასტუმროს მეპატრონეს აქაურ ვაჭრებზე ჩამოუგდო საუბარი. შემდეგ მათ გიმნასტურაზე სამხედრო ორდენდაბნეული მოხუცი არაბი მოემსახურათ. შეფიქრიანებული მარსელი პურს ძიძგნიდა. ცოლს წყლის დაღვევა დაუშალა: „აუღუღარია, ღვინო დალიე“. უანინი ღვინოს ვერ იტანდა, ამიტომაც არ სვამდა. მენიუში ღორის ხორციც ჰქონდათ. „ყურანი ღორის ხორცს კრძალავს, მაგრამ ყურანმა არ იცოდა, რომ კარგად მოხარშული ღორის ხორცი არ ვნებს ადამიანს. აი, ჩვენ კი ვიცით ღორის ხორცის ყადრი. რაზე ფიქრობ?“ უანინი არაფერზე არ ფიქრობდა, შეიძლება ფიქრობდა კიდევ იმ გამარჯვებაზე, მზარეულებმა ყურანთან ბრძოლაში რომ მოიპოვეს, მაგრამ უნდა ეჩქარა. მეორე დღეს, უთენია გაემგზავრებოდნენ კიდევ უფრო შორს სამხრეთისკენ, მანამდე კი ყველა აქაური, მეტ-ნაკლებად ცნობილი ვაჭრების ნახვა უნდა მოესწროთ. მარსელმა არაბს ყავის მოტანა დაავალა. არაბმა უსიტყვოდ და უხალისოდ დაუქნია თავი და მოკლე-მოკლე ნაბიჯით გავიდა. „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია“. — ჩაიცინა მარსელმა. როგორც იქნა, ყავა მოიტანეს. სასწრაფოდ დალიეს და ცივ, მტვრიან ქუჩაში გავიდნენ. მარსელმა ჩემოდნის წასადებად ახალგაზრდა არაბს უხმო და ანაზღაურების თაობაზე დიდხანს, პრინციპულად ედავა. ეს პრინციპი, რომლის მოწმეც ერთხელ კიდევ გახდა უანინი, ემყარებოდა ერთობ რთულ, გაუგებარ განმარტებას — არაბები შრომის საფასურად ყოველთვის ორმაგს თხოულობენ, რათა საბოლოოდ მეოთხედი მაინც მიიღონ. თუმცა ღორის ხორცი კარგი შემწვარი იყო და ღვინოც სულ ერთი ყლუბი მოსვა, ქალი მაინც ცუდად გრძნობდა თავს. მას სურდა უფრო ელეგანტური გამოჩენილიყო, მაგრამ თბილი პალტო და შალის ტანსაცმელი არ აძლევდნენ ამის საშუალებას. იგი უხმოდ მიჰყვებოდა ჩემოდნიან მამაკაცებს.

ისინი მიუყვებოდნენ პატარა ბაღს, სადაც მტვრიანი ხეები იდგა. გზად შემხვედრი მოსასხამაკეცილი არაბები ისე უქცევდნენ მათ მხარს, თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ. თუმცა ძონძები ეცვათ, სახეზე მაინც ეხატათ სიამაყე, რაც ძალიან აკლდა უანინის თანაქალაქელ არაბებს. უანინი მიყვებოდა ჩემოდანს, რომელიც გზას უკაფავდა ბრბოში. უანგისფერი მიწაყრილი რომ გაიარეს, აღმოჩნდნენ პატარა მოედანზე, სადაც იგივე მტვრიანი ხეები იდგა, სიღრმეში კი ყველაზე უფრო გაშლილ ადგილზე თაღები და ფარდულები აღემართათ. ისინი იქვე ჭურვის ფორმის, პატარა ცისფერკიბიანი სახლის წინ შეჩერდნენ. შენობაში ერთადერთი ოთახი იყო. ოთახში შეუქი მხოლოდ შესასვლელი კარიდან აღწევდა. პრილა ხის დახლს უკან ქალბრძულვაშიანი მოხუცი არაბი იდგა და ჩაიღნიდან ფერად-ფერად სამ პატარა ჭიქაში ჩაის ასხამდა. სანამ ჩაბნელებულ მალაზიაში რაიმეს დანახვას მოახერხებდნენ, ცოლ-ქმარს კარებშივე ახლად-დაყენებული პიტნიანი ჩაის სურნელი ეცათ. მარსელმა გირლიანდებივით ას-

ხმულ თუნუქის ჩაიდნებს, ფინჯნებსა და ლამბაქებს, ღია ბარათების ტურნაკეტების გროვას გაჭირვებით აუქცია გვერდი და პირდაპირ დახლთან აღმოჩნდა. ჟანიმა, სინათლისთვის გზა რომ არ გადაეღობა, ოდნავ გვერდით ჩაიწია და შესასვლელში გაჩერდა. ამ დროს მან მოხუცი ვაჭრის უკან ფარდულის ბოლოში პირამდე გატიკნილ ტომრებზე შემომსხდარ ორ არაბს მოჰკრა თვალი. ისინი ღიმილით შემოსცქეროდნენ ცოლ-ქმარს. კედელზე სხვადასხვა ფერის ხალიჩები და მოქარგული თავშლები ეკიდა. იატაკი ტყავისა და სურნელოვანი მარცვლებით სავსე ყუთებით იყო დაფარული. დახლზე სპილენძის პრილა თეფშებიან სასწორსა და ძველ არშინთან, ცისფერ ქალაღში გახვეული შაქრის თავები ჩაემწკრივებინათ, ერთ-ერთი მათგანი წვერში იყო მოფშვნილი. როდესაც მოხუცმა ვაჭარმა ჩაიდანი დახლზე დადგა და მოსულებს მიესალმა, ჩაის სურნელება გაქრა და მის ნაცვლად შალისა და სანელელების სურნელი მისწვდა ცოლ-ქმარის ყნოსვას.

მარსელი, როგორც საქმიანი საუბრის დროს სჩვეოდა, სწრაფად და ხმადაბლა ლაპარაკობდა. შემდეგ მან არშინი და სასწორი გვერდზე გადადო, ჩემოდნიდან ქსოვილები და თავშლები ამოალაგა და მოხუც ვაჭარს წინ გადაუშალა. მარსელი დელავდა, ხმას უწევდა, უმიზეზოდ იცინოდა, იმ ქალს ჰგავდა, თავის მოწონება რომ სურს, მაგრამ წარმატების იმედი თავადვე რომ არა აქვს. ახლა ის ხელებს ფართოდ შლიდა და ყიდვა-გაყიდვის სცენას განასახიერებდა. მოხუცმა თავი გააქნია, ფინჯნებიანი ლანგარი უკან მდგომ ორ არაბს გადააწოდა და მხოლოდ რამდენიმე სიტყვა თქვა, რომლებმაც, ეტყობა, მარსელს უკანასკნელი იმედი გადაუწურეს. მარსელმა აიღო თავის ქსოვილები, ჩაალაგა ჩემოდანში და სრულიად მშრალი შუბლი ხელით მოიწმინდა. შემდეგ მეკურტნეს უხმო და ორივე თაღებისაკენ გაემართნენ. პირველსავე ფარდულში, მიუხედავად იმისა რომ იქაც ისეთივე ღირსეულად თავდაჭერილი არაბი ვაჭარი დახვდათ, ცოლ-ქმარს ბედმა შედარებით გაუღიმათ. „ამათ თავი ღმერთები ჰგონიათ, ვაჭრობით კი მაინც ვაჭრობენ. რას იზამ, ძნელია ცხოვრება“ — თქვა მარსელმა.

ჟანიმს პასუხი არ გაუცია. ქარი თითქმის ჩადგა. ცა ალაგ-ალაგ მოწმენდილიყო, გეგონებოდათ ღრუბლებში ლურჯი ჭები ამოუჭრიათო, იქიდან ცივი და ნათელი შუქი იღვრებოდა. ცოლ-ქმარმა გადაჭრა მოედანი და მიწურ კედლებში ჩაქედილ ვიწრო, ქუჩებს გაუყვნენ. კედლებიდან დეკემბრის დამკვნარი ვარდები და აქა-იქ შემორჩენილი, გამხმარი, ჭიანი ბროწეულები იმზირებოდნენ. მთელ კვარტალში დამწვარი ხის ქერქის, ქვისა და მტვრის, ცხვრისა და ყავის სუნი ტრიალებდა. ფარდულები ერთმანეთისგან შორი-შორს, პირდაპირ კედლებში გაეჭრათ. ჟანიმი გრძნობდა ფეხები აღარ ემორჩილებოდა. მისაქმარი კი პირიქით თანდათან დამშვიდდა, რალაც-რალაცების გაყიდვა უკვე მოახერხა... ცოლს „ბატარას“ ეძახდა, უხაროდა, რომ მგზავრობამ ფუქად არ ჩაიარა. „რა თქმა უნდა, უშუალოდ მათთან მოლაპარაკება სჯობს“, — ამბობდა ჟანიმი.

ქალაქის ცენტრში ისინი სხვა ქუჩით დაბრუნდნენ. მოსაღამოვდა და ცა თითქმის მოიწმინდა. მოედანზე შეჩერდნენ. მარსელი ხელებს იფშვნიტდა და ჩემოდანს ალერსიანად დასცქეროდა. „შეხედე“, — თქვა ჟანიმმა. მოედნის მეორე მხარეს ღია ცისფერ მოსასხამში, მსუბუქ ყვითელ ჩექმებსა და ხელთათმანებში გამოწყობილი მაღალი, ხმელი, ბრგე არაბი გამოჩნდა, გარუჯული, არწივის ცხვირიანი სახე ამაყად აეწია. მხოლოდ ჩალმასავით შეხვეული ფესი

გამოაჩვენა მას კოლონიური ადმინისტრაციის იმ ფრანგი ოფიცრებისაგან, ზოგჯერ აღფრთოვანებაში რომ მოჰყავდათ ჟანინი. კაცი აუჩქარებლად იძრობდა ხელთათმანებს, თანაბარი ნაბიჯით მოდიოდა მათკენ, მაგრამ ცქერით კი სადღაც მათ მიღმა იცქირებოდა. — „ერიჰა! — მარსელმა მხრები აიჩეჩა, — ამას თავი მართლა გენერალი ჰგონია“. აქაურებს მედიდურება ნამდვილად არ აკლდათ, მაგრამ ეს კაცი აშკარად აღემატება ყველას. ცარიელ მოედანზე იგი პირდაპირ ჩემოდნისკენ მიაბიჯებდა და აინუნშიც არ აგდებდა არც მას და ატყუებდა მდგარ ცოლ-ქმარს. კაცი სწრაფად უახლოვდებოდათ და როცა არაბი თითქმის თავზე წამოადგათ, მარსელმა ხელი ჩაავლო ჩემოდანს და თავისკენ მისწია. უცნობი, თითქოს არც არაფერი მომხდარაო, იმავე თანაბარი ნაბიჯებით გაეშურა მიწაყრილისკენ. ჟანინმა ქმარს გახედა, მარსელს სახეზე სასოწარკვეთილება აღბეჭდვოდა. „მაგათ ჰგონიათ, უკვე ყველაფრის უფლება აქვთ“, — თქვა მან. ჟანინმა არაფერი უპასუხა. ზიზლი მოგვარა არაბის სულელურმა ქედმაღლობამ და თავი უეცრად უბედურად იგრძნო. სახლში დაბრუნება მოუხდა, თავის პატარა ბინა მოენატრა. სასტუმროს გაყინულ ნომერში დაბრუნებაზე ფიქრი ზარავდა. სასტუმროს პატრონის რჩევა გაახსენდა და სთხოვა მასელს ასულიყვანენ ფორტის ტერასაზე, საიდანაც უდაბნო მოჩანდა, თან დაუმატა, ბარგის დატოვება სასტუმროში შეგვიძლიაო. მაგრამ დაღლილი მარსელი სადილამდე გამოძინებას ამჯობინებდა. „გთხოვ“, — თქვა ჟანინმა. მარსელმა შეხედა მეუღლეს და მოლბა: „კეთილი, ძვირფასო“.

ქალი ქმარს სასტუმროს წინ, ქუჩაში ელოდებოდა. თეთრებში გახვეული ბრბო, რომელთა შორის არც ერთი ქალი არ ერია, უფრო და უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა. ჟანინს ამდენი მამაკაცი ერთად არასოდეს ენახა. ისინი კი თითქოს ვერც ამჩნევდნენ მას. ერთი-ორმა არაბმა ზანტად მიაბრუნა მისკენ გარუჯული სახე, მაგრამ დანახვით, თითქოს ვერცა ხედავდნენ. ჟანინისათვის ეს სახეები ტყუპისცალივით ჰგავდნენ ერთმანეთს და ისეთივე ამაყი, ეშმაკური იერი დაჰკრავდათ, როგორც იმ ხელთათმნიან არაბს და ფრანგ ჯარისკაცს ავტობუსში. არაბები მდუმარედ, მსუბუქად მიდი-მოდიოდნენ ფეხებდასიებული უცხოელი ქალის გვერდით, უყურებდნენ და თითქოს ვერც კი ხედავდნენ მას. ჟანინს ულონობა და გამგზავრების სურვილი იპყრობდა. „რატომ ჩამოვედი?“ მაგრამ ამ დროს მარსელიც გამოჩნდა.

სალამოს ხუთი საათი იქნებოდა, ფორტის კიბეს რომ აუყვნენ. ქარი ჩადგა. მოწმენდილ ცას ახლა უკვე მტრედისფერი დაჰკრავდა. სიცივე, რომელიც თანდათან უფრო სუსხიანი ხდებოდა, ცოლ-ქმარს ლოყებს უწვავდა. კიბის შუაგულში კედელს მიყრდნობილმა მოხუცმა არაბმა თითქოს წინასწარვე იცოდა, უარს რომ ეტყოდნენ, ფეხი არ მოუცვლია, ისე შესთავაზა მეგზურობა. მიუხედავად რამდენიმე მიწატყებნილი მოედნისა, კიბე გრძელი და ციცაბო იყო. რაც უფრო ზემოთ ადიოდნენ, მათ წინ გადაშლილი სივრცე ფართოვდებოდა და ისინიც თანდათან იკარგებოდნენ იმ ცივსა და მშრალ ნათელში, სადაც ოაზისის ხმაური მკაფიოდ აღწევდა. ამ კრისტალურ სივრცეში ნაბიჯების ხმა ხმოვან ბგერებად იშლებოდა და მისგან წარმოშობილი ტალღა, თითქოს ანანავებდა გაციისკროვნებულ ჰაერს, რომლის რხევა სიმაღლის მატებასთან ერთად უფრო შესამჩნევი ხდებოდა. როდესაც ტერასას მიაღწიეს, მათ წინ გადაიშალა ტყე, ხოლო მის მიღმა — პორიზონტი. ჟანინს მოეჩვენა, თითქოს მთელი ცა მოეცვა ერთ მოკლე და გამყინავ ბგერას და მისი ეჭო ნელ-ნელა ავსებდა არემარეს. შემდეგ ხმა მიწყდა და ჟანინი მარტო აღმოჩნდა უკიდევანო სივრ-

ცის წინაშე. არაფერი უშლიდა ხელს თვალთ მისწვდენოდა მთელს სივრცეს აღმოსავლეთიდან დასავლეთით. ქვემოთ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მზეზე გამოტანილი წითელი წიწაკები და არაბული ქალაქის თეთრი და ცისფერი ტერასები. სულიერი იქ არავინ ჩანდა, მაგრამ შიდა ეზოებიდან მრჩალული ყავის სურნელებასთან ერთად მხიარული ხმები და რაღაც გაურკვეველი ბაკუნი აღწევდა. ოდნავ მოშორებით თიხის კედლებით არათანაბარ კვადრატებად დაყოფილ პალმების ტევრს აშრილებდა ნელი სიო, რომელიც ტერასამდე ვერ აღწევდა. უფრო შორს თითქმის პორიზონტთან მოყანგისფრო-ნაცრისფერ ქვათა უსიცოცხლო საუფლო იწყებოდა. მხოლოდ ოაზისის შორიახლოს, მდინარესთან პალმების ტევრს აღმოსავლეთიდან რომ უვლიდა, განიერი, შავი კარვები მოჩანდა. კარვების ირგვლივ უმოძრაო აქლემები წერტილებივით აჩნდნა ცრისფერ მიწას და უცნობი დამწერლობის ანბანს ჩამოჰგავდნენ. უდაბნო მდუმარებაში ჩაფლულიყო.

მთელი სხეულით მოაჯირს გადაყრდნობილი ჟანინი უხმოდ იდგა და თვალს ვერ აცილებდა მის წინ გადაშლილ სიციარელებს. მარსელი ცმუკავდა, სციოდა და ჩასვლა უნდოდა. ნეტავ რა არის აქ სანახავი? მაგრამ ქალი თვალს ვერ სწყვეტდა პორიზონტს. მოულოდნელად მას მოეჩვენა, რომ ქვემოთ, შორს სამხრეთით, იქ სადაც ცის და დედამიწის შერწყმა სწორ, მკვეთრ ხაზს წარმოქმნის, ელოდა რაღაც ისეთი მთელი ცხოვრება რომ აკლდა და რომლის არსებობაზეც დღემდე არც კი დაფიქრებულა.

სალამო ახლოვდებოდა, მზის სინათლემ ელვარება დაჰკარგა და საწყლად ბჟუტავდა. და მაშინ ქალმა, სრულიად შემთხვევით რომ აღმოჩნდა ამ ადგილებში, იგრძნო თუ რა ნელ-ნელა ეხსნებოდა გულში წლობით შეკვანძული ჩვევების და დარდის ხლართი. ჟანინი შეჰყურებდა მომთაბარეთა სადგომებს, სადაც კაციშვილი არ ჰაჭანებდა, კარვებიდან არავინ არ გამოდიოდა, მაგრამ იგი მაინც ფიქრობდა იმ ხალხზე, რომლის არსებობაზეც დღემდე არაფერი იცოდა. ქვეყნიერებას მოწყვეტილი ეს ერთი მუჟა უსახლკარო ადამიანები დაბანაკებულიყვნენ ჟანინის თვალწინ გადაჭიმულ უკიდევანო მიწაზე, რომელიც წარმოადგენდა უმნიშვნელო ნაწილს იმ თვალუწვდენელი სივრცისას, ათასეული კილომეტრების დაშორებით სადღაც სამხრეთში, ტყის მაცოცხლებელ მდინარეში რომ იკარგებოდა. უხსოვარი დროიდან ამ დამსკდარ მწირ მიწაზე უსასრულოდ დაეჩეტებოდნენ თავისუფალი ადამიანები — უცნაური სამეფოს არაფრის მქონე გამგებლები. ჟანინმა არ იცოდა, ამგვარი ფიქრი რად ავსებდა ტკბილი, ღრმა სევდით და უხუჟავდა თვალებს, მაგრამ იმას კი გრძნობდა, რომ ის ერთხელ მაინც იყო მეუფე ამ ოდითგანვე მისთვის განკუთვნილი მხარისა და ეს მოხდა მაშინ, როცა არაბული ქალაქიდან ამოსული ხმები მიწყნარდა და უძრავ ზეცას გამყინავი ნათელი გადაეფარა. ჟანინს მოეჩვენა, რომ დრო შეჩერდა და ამიერიდან არც არავინ დაბერდებოდა და არც არავინ მოკვდებოდა, რომ სიცოცხლე შეწყდა მთელ დედამიწაზე და მხოლოდ მის გულში ვიღაც დარდისა და აღტაცებისაგან ტიროდა.

მაგრამ მალე ნათელი და ცივი მზე ისევ ამოძრავდა და მაშინ როდესაც აღმოსავლეთიდან წამოსული ნაცრისფერი ჭავლი მზად იყო შთაენთქა ეს უსახლგრო სივრცე, ვარდისფერად აკიაფებულ დასავლეთში გადაიწურა. სადღაც შორს ძაღლის ყეფამ ჰაერი გაჰკვეთა, მალლა აიჭრა და უფრო გამყინავად გაისმა. ქალმა მხოლოდ ახლა შეამჩნია სიცივისაგან კბილები რომ უკაწკაწებდა. „ხომ არ გაგიყედი, — თქვა მარსელმა, — სული ამოგვხვდება, წავე-

დით... — და ხელი ცოლს უხერხულად ჩაავლო. ჟანინი მოსცილდა მოაჯირს და მორჩილად გაჰყვა ქმარს. კიბეზე მდგარი მოხუცი არაბი უძრავად გაჰყურებდა ქალაქისკენ მიმავალ წყვილს. ჟანინი ვერავის ვერ ამჩნევდა. უსაზღვრო და უეცარი დაღლილობით წელში მოხრილი, ძლივს მიათრევდა ტანს, რომლის სიმძიმე ამჟამად აუტანლად ეჩვენებოდა.

აღტყინებამ გაუარა. საკუთარი სხეული მეტისმეტად დიდი, თეთრი და მოუხეშავი მოეჩვენა იმ სამყაროსთვის, ახლახანს რომ იხილა. აქ მხროლობა ვმვს, ახალგაზრდა ქალიშვილს, კაფანდარა მამაკაცს და მოქნილ ტურას შეეძლოთ უხმაუროდ სიარული. მას კი რა ესაქმებოდა აქ? დაეძინა? სიკვდილს დალოდებოდა?

ჟანინმა მართლაც რომ ძლივს მიაღწია რესტორნამდე. მისი ქმარი ხმას აღარ იღებდა, ხანდახან თუ დაარღვევდა სიჩუმეს, ისიც იმიტომ, რომ დაღლილობა დაეჩივლა. ქალი გრძნობდა, რომ ავად ხდებოდა და ულონოდ ეწინააღმდეგებოდა გაციებას. როგორც იქნა, მიაღწია საწოლამდე, მარსელიც დაწვა და ისე ჩააქრო შუქი, ცოლისთვის არაფერი უკითხავს. ოთახში ყინავდა. გათოშულ ჟანინს სიცხე უწევდა, სუნთქვა უჭირდა, მჩქეფარე სისხლი ველარ უთბობდა სხეულს და თანდათან რაღაც გაურკვეველი შიში ეუფლებოდა. ლოგინში წრიალებდა. ძველ რკინის საწოლს მისი სიმძიმის ქვეშ კრიალი გაჰქონდა. არა, ქალს არ სურდა ავად გამხდარიყო. მარსელს უკვე ეძინა, მანაც უნდა დაიძინოს. ქალაქის ყრუ ხმაური „სათოფურიდან“ შემოდინდა ოთახში. მაგრიტანული კაფეებიდან მოისმოდა ძველი გრამაფონების ხმა. ზანტად მოსიარულე ხალხის ზუზუნთან ერთად ჟანინის ყურამდე აღწევდა სადღაც ადრე გაგონილი მელოდიები. უნდა დაიძინოს. მაგრამ თვალდახუჭულს მცოხნავი აქლემები წარმოუდგა და შავი კარვების თვლასაც მოჰყვა გუნებაში. მარტოობის გრძნობამ შეიპყრო. ნეტა რისთვის ჩამოვიდა აქ? ისე ჩაეძინა ამ კითხვაზე პასუხი არა გაუცია.

ჟანინს მალე გამოეღვიძა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. ღამის მდუმარებას მხოლოდ ქალაქის განაპირას ძაღლების ხრინწიანი ყეფა არღვევდა. ქალს გააყრყოლა, გადაბრუნდა და როდესაც მეუღლის მკვრივი მხარი იგრძნო, ნახევრად მძინარი მიეკრა მას. ჟანინი თითქოს ზემოდან დაცურავდა, ჩაძირვით კი ვერ იძირებოდა ძილის მორევში, შეუცნობელი სიხარბით ებლაუჭებოდა ქმრის მხარს, როგორც ყველაზე უფრო საიმედო საყრდენს. რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ ბაგეებს ერთი ბგერაც კი არ დასცდენიათ, ლაპარაკობდა, მაგრამ თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რას ამბობდა. მხოლოდ ქმრის სხეულის სითბოს გრძნობდა. და ასე იყო მთელი ოცი წლის მანძილზე: მარსელის სხეული ათბობდა ყოველთვის, ავადმყოფობის დროსაც, მოგზაურობაშიც... არადა, რა უნდა ეკეთებინა სახლში მარტოს? ბავშვებიც არ ჰყავდათ. იქნებ სწორედ ეს აკლდა? ქალმა ეს არ იცოდა. იგი უბრალოდ დაყვებოდა მარსელს და კმაყოფილდებოდა იმით, რომ ვიღაცას მაინც სჭირდებოდა. ეს იყო და ეს. ამ საჭიროების აღიარება გახლდათ ის ერთადერთი სიხარული, რომელსაც მარსელი მისთვის იმეტებდა. არა, ჟანინი ნამდვილად არ უყვარდა მარსელს. სიყვარული, თუნდაც ღვარძლიანი, არ შეიძლება ასეთი პირქუში იყოს. თუმცა, როგორია კი საერთოდ სიყვარული? მათ ერთმანეთი უყვარდათ ღამით, სიბნელეში, როდესაც მხოლოდ ხელების ფათურით გრძნობდნენ ერთმანეთს. მაგრამ, არსებობს კი სიყვარული ღამის გარეშე, დღისითაც რომ ძალუძს კივილი? ქალმა ეს არ იცოდა. სამაგიეროდ დარწმუნებული იყო, რომ

მარსელს სჭირდებოდა და ეს იყო მისთვის ყველაზე მთავარი. ამით ცხოვრობდა დღეცა და ღამეც, განსაკუთრებით ღამით, ყოველ ღამით, როდესაც კაცს უყვანინოდ არც სიბერე და არც სიკვდილი არ სურდა. ის ჯიუტი გამომეტყველება, მარსელს რომ ჰქონდა ხოლმე ასეთ წუთებში და ქალს აზერთხელ სხვა მამაკაცებზეც შეუმჩნევია, წარმოადგენდა ამ შერეკილების საერთო სახეს, იქამდე რომ არიან გონიერი კაცის ნიღაბს ამოფარებულნი, საწამ გამმაგება არ დაეუფლებათ და ქალის სხეულს არ ეკვეთებიან; ოღონდ თანვეინდ სულის შემაშფოთებელ მარტობასა და წყვიდადს დაემალონ ქალის მკლავებში და სულაც არ დაგიდევინ ვნებასა და სურვილს.

მარსელი ოდნავ შეირხა, ეტყობა სურდა ქალის სხეულს მოშორებოდა. არა, მას არ უყვარდა ჟანინი, უბრალოდ, მისი დაკარგვისა ეშინოდა. წესით ისინი დიდ ხნის წინ უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს და სიცოცხლის ბოლომდე ცალ-ცალკე ეძინათ. მაგრამ შეუძლია კი ვინმეს მთელი სიცოცხლე მარტო-კა იწვეს? ალბათ მხოლოდ ზოგიერთებს, ისეთებს ვინც მოწოდებამ თუ უბედურებამ სხვებისაგან გარიყა და ყოველ ღამე საწოლში სიკვდილთან ერთად წვეებიან. ამას კი ვერასდროს ვერ შესძლებდა მარსელი — ეს სუსტი და უსუსური ბავშვი, სწორედ რომ მისი ბავშვი, რომელსაც ძალიან სჭირდებოდა ჟანინი და რომელმაც სწორედ ამ წამს ამოიხვნეშა. ჟანინი უფრო მიეკრა ქმარს. მკერდზე ხელი დაადო და გუნებაში იმ საალერსო სახელით მიმართა, წინათ რომ ეძახდა სიყვარულობანას დროს და ზოგჯერ ახლაც რომ დასცდებოდა, ოღონდ დაუფიქრებლად და უალერსოდ.

ჟანინი მთელი გულით უხმობდა მეუღლეს, ბოლოს და ბოლოს მასაც ხომ სჭირდებოდა მარსელი, მისი ძალა, მისი ახირებანი, მასაც ხომ ეშინოდა სიკვდილის. „ამ შიშის გადალახვა რომ შემეძლოს, ბედნიერი ვიქნები“... იმ წუთშივე რაღაც ენით უთქმელი სევდა შემოაწვა და მარსელს მოსცილდა. არა, ჟანინი ვერაფრის გადალახვასაც ვერ შესძლებდა, ის არ იყო ბედნიერი და მოკვდებოდა ისე, ვერასდროს შესძლებდა შიშისაგან თავის დაღწევას. ქალს გული უწუხდა. იხუთებოდა და მთელი არსებით ცდილობდა მოეშორებინა ის უზარმაზარი ტვირთი, მთელი ოცი წლის განმავლობაში რომ აწვა მხრებზე და მხოლოდ ახლად მიხვდა მის არსებობას, ქალს სურდა თავისუფლება, უსათუოდ თავისუფლება, დე, თვითონ მარსელმა და სხვებმაც ვერასოდეს გაიგონ თავისუფლების გემო. ჟანინი თითქმის გამოფხიზლდა, ლოგინზე წამოჯდა და მოლოდინით მიუგდო ყური ძახილს, რომელიც მისი აზრით, სადაცაა უნდა გაეგონა. მაგრამ მდუმარე წყვიდადს მხოლოდ ოაზისიდან მომავალი ძაღლების დაუღალავი, ხრინწიანი ყეფა არღვევდა. სუსტმა ქარმა დაბერა და პალმების ხეივანში მისი ნავარდი ჟანინს წყლის ჩუხჩუხად ჩაესმა. ქარი ქროდა სამხრეთიდან, იმ ადგილებიდან, სადაც უძრავი ცის ქვეშ ღამე და უღაბნო ერთმანეთს შენივთებოდნენ, სადაც სიცოცხლე გაჩერებულიყო, არც არავინ ბერდებოდა და არც არავინ კვდებოდა. შემდეგ ქარის ბუტბუტი გაქრა, თითქოს ნაკადული დაშრაო და ქალს ახლა აღარც კი სჯეროდა, მართლა მოესმა თუ არა საერთოდ რამე იმ უტყვი ძახილის გარდა, რომლის ჩაჩუმებაც და ხმის მომატებაც მხოლოდ მის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული და რომლის მნიშვნელობას ვერასდროს ვერ ჩასწვდებოდა, თუ დაუყოვნებლივ არ გამოეპასუხებოდა. დიახ, დაუყოვნებლივ, ეს კი ნამდვილად იცოდა ჟანინმა.

უხმოდ წამოდგა, საწოლთან შეჩერდა და ქმრის სუნთქვას დაძაბულმა მიუგდო ყური. მარსელს ეძინა. თბილი ლოგინიდან გამოსულ ქალს შეაყრყოლა.

თალისებური ფანჯრებიდან შემოწეული ლამპიონების სუსტ შუქზე ხელის ფათურით იპოვა ტანსაცმელი, აუჩქარებლად იცვამდა. კართან ფეხსაცმლით ხელში მიიპარა. სიბნელეში ცოტა ხნით შეყოვნდა და მერე კარის უხმოდ გაღება სცადა. საკეტმა გაიტკაცუნა, ჟანინი შედგა. გული მძლავრად უცემდა. მიაყუწა და, ჩამიჩუმი არ ისმოდა. ჟანინი დამშვიდდა და კიდევ ერთხელ გადაატრიალა საკეტი. როგორც იქნა, გაალო, დერეფანში გავიდა და ისევ ფრთხილად გამოიხურა კარი. მცირედი ლოდინის შემდეგ კარზე ლოყამიდებულს მარტყელის სუნთქვა შემოესმა. შემობრუნდა და როგორც კი ლამის ცივი ჰაერი სახეში ეცა, გასასვლელისკენ გაიქცა. სასტუმროს კარი დაკეტილი იყო. სანამ ჟანინი რაზას უკირკიტებდა, კიბის ზემოთ ნამძინარევი ლამის დარაჯი გამოჩნდა და ქალს არაბულად გამოელაპარაკა. „ახლავე დავბრუნდები“. — უთხრა ჟანინმა და გარეთ გავარდა.

სახლებსა და პალმებს ზემოთ შავი ცა ვარსკვლავებით მოჭედოლიყო. ჟანინი ვიწრო, ამყამად უკაცრიელ, ფორტისკენ მიმავალ ქუჩაზე მირბოდა. ყინვას აღარ ეშინოდა მზის წინააღმდეგობისა და მთლიანად ჩაეგდო ხელში ღამე; გაყინული ჰაერი ქალს ფილტვებს უწვავდა, მაგრამ ის მაინც გარბოდა და თითქმის ბრმად მიიკვლევდა გზას უკუნეთში. ზემოთ, ქუჩის ბოლოში, რაღაც მოელვარე წერტილები აკიაფდნენ და ზიგზაგით დაეშვნენ მისკენ. ჟანინს მსუბუქი შარიშურივით რაღაც შემოესმა და გაჩერდა. მოკაშკაშე წერტილები უახლოვდებოდნენ და უფრო და უფრო იზრდებოდნენ. ჟანინმა ფართო მოსასხამებსა და ამ მოსასხამებში გაელვებულ ველოსიპედის თვლებს მოჰკრა თვალი. მოსასხამებმა სულ ახლოს ჩაუჭროლეს, ცოტაც და დაეჯახებოდნენ, ქალის ზურგს უკან სამი წითელი ნაპერწკალი აციმციმდა და მეყსეულად შთაინთქა ბნელში. ჟანინმა სირბილით განაგრძო გზა ფორტისკენ. ცივმა ჰაერმა ისე აუწვა ფილტვები, იძულებული შეიქნა კიბის შუაგულში შეჩერებულიყო. მაგრამ მალე რაღაც უხილავმა ძალამ ტერასისკენ უბიძგა და მუცლით მოაჯირს მიახეთქა. ქალს სული ეხუთებოდა, თვალები აუჭრელდა. სირბილმა ვერ გაათბო და მთელი ტანით კანკალებდა. მაგრამ ცივი ჰაერი, ნაწყვეტ-ნაწყვეტ რომ ყლაპავდა, შეუმჩნევლად ბადებდა სუსტ სითბოს, რომელიც ნელ-ნელა ძალავდა ცახცახს. ბოლოს მის თვალწინ ლამის სივრცე გადაიშალა.

აღარც ნიავი უბერავდა და აღარც ჩქამი ისმოდა საიდანმე, ქალის ირგვლივ გამეფებულ მყუდროებას და სიმარტოვეს მხოლოდ ყინვისაგან დამსკდარი, ქვიშად ქცეული ქვების ყრუ ტკაცანი არღვევდა. და მაინც ქალს მოეჩვენა, რომ უხილავმა ქარბორბალამ მის ზემოთ ცის თალი შეატრიალა. ლამის წიაღში უსასრულოდ იბადებოდნენ ათასობით მოკაშკაშე, ყინულის ნატეხებივით ვარსკვლავები, რომლებიც ციდან დაბლა ეშვებოდნენ და ჰორიზონტისკენ მისრიალებდნენ. ჟანინი თვალს ვერ სწყვეტდა მოკაშკაშე შუქთა უსასრულო ციალს და მათ მოძრაობას ადევნებული უფრო ღრმად ეფლობოდა საკუთარ არსებაში, სადაც ახლა სურვილი და სიცივე ერთმანეთს შებმოდნენ. ერთმანეთის მიყოლებით სცვიოდნენ ვარსკვლავები, უდაბნოს ქვებში იკარგებოდნენ და ჟანინიც უფრო და უფრო იძირებოდა ლამის წიაღში. ჟანინი სუნთქავდა და ავიწყდებოდა სიცივე, ყოფის სიმძიმე, ბობოქარი თუ მდორე ცხოვრება, სიცოცხლისა და სიკვდილის მომჭანცავი შიში, ამდენი ხნის მანძილზე რომ გაუბოდა. და აი, ეს უსასრულო სრბოლა როგორც იქნა დამთავრდა... ახლა ქალს ეჩვენებოდა, რომ ხელმეორედ იბადებოდა და მის გამთბარ სხეულს ახალი სასიცოცხლო ძალები ავსებდნენ. მუცლით მოაჯირს მიბჯენილი

მისჩერებოდა ამოდრავებულ ცას და აფორიაქებული გულის დაწყნარებას ელოდა. თანავარსკვლავედების უკანასკნელმა მნათობებმაც დატოვეს ცის კაბადონი და უდაბნოს პორიზონტში ჩაიფერფლნენ. მოძრაობა შეწყდა და მაშინათვე, სიბნელიდან წამოსულმა გაურკვეველმა სიტხემ, აუტანელი სინაზით იწყო ქანინის ავსება. უწყვეტ ნაკადად, მისი არსების სიღრმიდან შემოთ გადაინაცვლა და მკმინავი ბაგეებიდან გადმოიღვარა. იმავე წამს ცივ მიწაზე გაშლარათული ქანინის თავზე, მთელი ცა გადაიშალა.

როდესაც ქანინი კვლავ დიდი სიფრთხილით შევიდა სასტუმროს ნომერში, მარსელს არ გაღვიძებია. მაგრამ დაწვა თუ არა ქალი, მან რაღაც ჩაიბურღუნა და ლოგინზე წამოჯდა. რაღაც ჩაილაპარაკა, ქანინმა ვერ გაიგო. მარსელი წამოდგა და სინათლე აანთო. ქალს შუქი სახეზე სილასავით გადაეწნა. კაცი ბარბაცით გაემართა პირსაბანისაკენ. იქ მინერალური წყალი იბოვა და დიდხანს პირდაპირ ბოთლიდან სვამდა. ცალი მუხლით საწოლს დაყრდნობილი, ის იყო საბანში შეძრომას აპირებდა, რომ მეუღლეს გახედა და შეცბა.

ქალი ცრემლებს ვერ იკავებდა და გულამომჯდარი ტიროდა.

„არაფერია, ძვირფასო, — თქვა ქანინმა, — არაფერი“.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანა ღერი აღივინაჲსა

ბრძანადარანიჲსა უკანო შადე

ბანოფილეა მადჳუ

თავი პირველი

ბრძანა პირველი

1. ომი ჳეშმარიტად! დილისა რიჳრაჳი — თავია სამსხვერპლო ცხენისა, მზე — თვალთა მისი, ჳარი — მშვიინვაა მისი, მისი აფხენილი ხახა — ცეცხლი ვაიშვანარაა; წელიწადი — ტანთა სამსხვერპლო ცხენისა, ცა — ჳურგია მისი, ჳაერისა სივრცენი — მუცელია მისი, მიწა — საზარდულია მისი, ჳეეყნიერებისა კიდენი — ფერდებია მისი, შუალედი კიდენი — ნეკნებია მისი, წელიწადის დრონი — ასონია მისი, თქვენი და ნახევარ-თვენი — შენაწევრებანია მისი, დღენი და ღამენი — კიდურებია მისი, ვარსკვლავნი — ძვლებია მისი, ღრუბლები — ხორცია მისი; საზრდელი მის კუჭში — ჳეიშაა, მდინარენი — ძარღვნია მისი, ღვიძლი და ფილტვები — მთებია, ბალახნი და ხენი — თმანია მისი, ამოშავალი მზე — წინა ნახევარია მისი, ჩამავალი მზე — უკანა ნახევარია მისი, რაჳამსა დააღრჳენს ხახასა, ეღვა ეღავს; რაჳამსა შეიძრწოლებს, მეხი გრგვინავს; რაჳამსა ფსამს, წვიმს, ხმანი — ჳიხვინია მისი.

2. ჳეშმარიტად! დღე იშვა ცხენისთვის ვითა ბარძიმი მაჳიმანისა, რასაცა წინ უდგამენ ცხენსა, აკვანი მისი — აღმოსავლეთისა ჳღვაშია. ღამე იშვა ცხენისთვის ვითა ბარძიმი მაჳიმანისა, რასაცა უკან უდგამენ ცხენსა, აკვანი მისი — დასავლეთისა ჳღვაშია. ჳეშმარიტად! ბარძიმნი მაჳიმანისა იშვენენ ცხენის ორთაჳ მხარეს. რაშად რომ იქმნა, ღმერთებს დააჳროლებდა, ჳუნედ რომ იქმნა — განდჳარვებს, მერნად რომ იქმნა — ასურთ, ტაიჳად რომ იქმნა — კაცთ. ჳღვა — დამბადებელია მისი, ჳღვა — აკვანია მისი.

ბრძანა მეორე

1. პირველჳამად აჳ არა იყო რა. ყოველი მოცული იყო სიკვდილითა ანუ სიყმილითა, უკეთუ სიყმილი — სიკვდილია. მან, სიკვდილად ხმობილმან, ინატრა: „დაე ვიქმნე მე ხორცქმნილი“ — და შეჳქმნა გონება. და დაიძრა იგი

დიდებამოსილი, და დიდებამოსილებითა მისითა, იშვა წყალი. „ჭეშმარიტად — სთქვა მან, — ოდეს შევიმოსე მე დიდებითა, იშვა წყალი. ამიტომაც ბუნება წყლისა — არქა. ჭეშმარიტად სიხარული მიეახლება მას, ვინცა უწყის რომ ბუნება წყლისა — არქაა.“

2. ჭეშმარიტად — წყალი არქაა. იგი, რაიცა იყო ქაფი წყლისა, გამყარდა, და იქმნა იგი მიწად. და მან დაიუძლურა თავი ფეხსი, და მისგან, დაუძლურებულისგან და აგიზგიზებულისგან, იშვა ელვარება მისი არსი, რაიცა ცეცხლია.

3. იგი განიყო სამკერძოთ: ერთკერძო — მზე, ერთკერძო — ქარი. იგია მშვიინვაცა, განყოფილი სამკერძოთ. აღმოსავლისა კიდე — თავია მისი, აქეთ-იქით კიდენი — წინა კიდურნია. დასავლისა კიდე — კუდია მისი, აქეთ-იქითა კიდენი — თეძონია. სამხრისა და ჩრდილოასა კიდენი — ფერდებია; ცა — ზურგია მისი, ჰაერი — მუცელია, მიწა — მკერდია. ასე მყარად დამტკიცებულა იგი წყლებში. ვინცა ეს უწყის, მყარად დამტკიცებულია იქ, საითკენაც მიემართების.

4. და მან ინატრა: „დაე მეორე ტანიც იშვას ჩემგანა“. და გონებასთან მან — სიყმილმან თუ სიკვდილმან — შვა მეტყველება. იგი, რაიცა იყო თესლი, იქმნა წელიწადად. აქამომდინ არა ყოფილა წელიწადი. იგი იმოდენსავე უამს აწიფებდა თესლსა, რაოდენ უამსაც წელიწადი გრძელდების, და ამისა შემდგომად აღმოაცენნა იგი. ოდეს მან აღაფჩინა პირი, აღმოცენებული რომ შთაენთქა, მან აღმოთქვა: ბ ჰ ა ნ. და სიტყვა იგი იქმნა მეტყველებად.

5. და მან იფიქრა: „უკეთუ მოვაკვდინო იგი, მექმნების მცირედი საზრდელი“, მაშინ იმა მეტყველებითა და იმა ტანითა მან შექმნა ყოველი, რაიცა მკვიდრობს სოფლად: რ ი ჩ ნ ი, ი ა ჯ უ ს ნ ი, ს ა მ ა ნ ნ ი, შელოცვანი, მსხვერპლშეწირვა, კაცნი, ხვასტაგი. ყოველსა, რაიცა მან შექმნა, დაუპირა შთანთქმა. ჭეშმარიტად იგი შთანთქავს ყოველივეს, ამიტომაც ბუნება სიკვდილისა — აღ ი თ ი. ვინცა უწყის, რომ ბუნება სიკვდილისა — აღ ი თ ი ა, იგი შეიქმნების ყოველივეს შთანთქმელი, რაიცა მკვიდრობს სოფლად, და ყოველივე შეიქმნების მისი საზრდელი.

6. და მან ინატრა. „დაე კვლავ შევწირო მსხვერპლი, უფრორე დიდი“. და მან დაიუძლურა თავი თვისი, აგიზგიზდა მოღვაწეებითა. და მისგან, დაუძლურებულისგან და აგიზგიზებულისგან, იშვა დიდება და ძალა. ჭეშმარიტად დიდება და ძალა — მშვიინვანია სასიცოცხლონი. ოდეს იშვნენ მშვიინვანი, ტანმა იწყო ზრდა, და მისსა ტანს სუფევდა გონება.

7. და მან ინატრა: „დაე ტანი ჩემი ღირს მექმნეს სამსხვერპლოდ, და დაე ხორციელებინა მე მეოხებითა მისითა“. და იქმნა იგი ცხენად, რა მოიწიფა, ღირსდებინა სამსხვერპლოდ. ამიტომ უხმობენ მსხვერპლშეწირვას ცხენისას ა შ ვ ა მ ვ დ ჰ ა ს. ჭეშმარიტად ვინცა ეს უწყის, მან ა შ ვ ა მ ვ დ ჰ ა უწყის. თავისუფლება რომ მიჰმადლა, იწყო ფიქრი მასზედ, რა გამოხდა წელიწადი, შესწირა იგი თავსა თვისსა, ხოლო სხვა ცხოველნი ღმერთებს შესძლვნა. ამიტომ სწირავენ მსხვერპლად პ რ ა ჯ ა ფ ა თ ა ნ ს ნაკურთხსა ცხენსა, კუთვნილს ყველა ღმერთისას; ჭეშმარიტად ა შ ვ ა მ ვ დ ჰ ა იგია, რაიცა ასხივებს სიბბოს; მისი ტანი — წელიწადია. ეს ცეცხლი — არქაა. ეს სამყარონი — მისი ტანია. ასეთნაირად, ისინი ორნი — სამსხვერპლო ცეცხლი და მსხვერპლშეწირვა ცხენისა. და ხოლო შაინც ისინი — ერთი ღვთაებაა: სიკვდილი. იგა, ვინცა ეს უწყის,

სძლევს ხელმეორე სიკვდილსა, სიკვდილი ვერ სძლევს მას, სიკვდილი შეიქმნების ტანის მისი, და იგი ეზიარების იმა ღვთაებათა.

ბრაჰმანა მისამი



1. პრაჯაპატისაგან იშვნენ ორნაირი არსებანი: ღმერთნი და ასურნი, ხოლო ღმერთნი იყვნენ უმრწემესნი, ასურნი — უფროდსნი. ისინი ერთურთს ამა სამყაროთათვის. ღმერთებმა პრქვეს: „მოდით, ვსძლიოთ ასურთ მსხვერპლშეწირვისა ჟამს უდგითჰას მეოხებით“.

2. ღმერთებმა პრქვეს მეტყველებას: „იგალობე ჩვენთვისა“. — „ახლაგ“, — მიუგო მეტყველებამ, და მეტყველებამან იგალობა მათთვისა. იმა ტკბობასა, რაიცა დამარხულია მეტყველებაში, თვისი გალობითა ანიჭებდა ღმერთებს; ხოლო ყოველივე საამოსა, რასაცა მეტყველებს, — თვისა თავსა. ასურთ გულისხმაყვეს: „ჰეშმარიტად! ჩვენ გვძლევენ ამა მყამობელის შეწევნითა“, — და, თავს რა დააცხრნენ, წაბილწეს იგი ბოროტითა. ბოროტება, რაიცა უპატიოსა მეტყველებს, არის კიდევცა ბოროტება.

3. ამისა შემდგომად ღმერთებმა პრქვეს საყნოსელსა: „იგალობე ჩვენთვისა“. — „ახლაგ“, — მიუგო საყნოსელმა, და საყნოსელმან იგალობა მათთვისა. იმა ტკბობასა, რაიცა დამარხულია საყნოსელში, თვისი გალობითა ანიჭებდა ღმერთებს; ხოლო ყოველივე საამოსა, რასაცა იყნოსავს, — თვისა თავსა. ასურთ გულისხმაყვეს: „ჰეშმარიტად! ჩვენ გვძლევენ ამა მყამობელის შეწევნითა“, — და, თავს რა დააცხრნენ, წაბილწეს იგი ბოროტითა. ბოროტება, რაიცა უპატიოსა იყნოსავს, არის კიდევცა ბოროტება.

4. ამისა შემდგომად ღმერთებმა პრქვეს სახედველსა: „იგალობე ჩვენთვისა“. — „ახლაგ“, — მიუგო სახედველმა, და სახედველმან იგალობა მათთვისა. იმა ტკბობასა, რაიცა დამარხულია სახედველში, თვისი გალობითა ანიჭებდა ღმერთებს; ხოლო ყოველივე საამოსა, რასაცა უმზერს, — თვისა თავსა. ასურთ გულისხმაყვეს: „ჰეშმარიტად! ჩვენ გვძლევენ ამა მყამობელის შეწევნითა“, — და, თავს რა დააცხრნენ, წაბილწეს იგი ბოროტითა. ბოროტება, რაიცა უპატიოსა უმზერს, არის კიდევცა ბოროტება.

5. ამისა შემდგომად ღმერთებმა პრქვეს სასმენელსა: „იგალობე ჩვენთვისა“. — „ახლაგ“, — მიუგო სასმენელმა, და სასმენელმან იგალობა მათთვისა. იმა ტკბობასა, რაიცა დამარხულია სასმენელში, თვისი გალობითა ანიჭებდა ღმერთებს; ხოლო ყოველივე საამოსა, რასაცა ისმენს, — თვისა თავსა. ასურთ გულისხმაყვეს: „ჰეშმარიტად! ჩვენ გვძლევენ ამა მყამობელის შეწევნითა“, — და, თავს რა დააცხრნენ, წაბილწეს იგი ბოროტითა. ბოროტება, რაიცა უპატიოსა ისმენს, არის კიდევცა ბოროტება.

6. ამისა შემდგომად ღმერთებმა პრქვეს გონებასა: „იგალობე ჩვენთვისა“. — „ახლაგ“, — მიუგო გონებამ, და გონებამან იგალობა მათთვისა. იმა ტკბობასა, რაიცა დამარხულია გონებაში, თვისი გალობითა ანიჭებდა ღმერთებს; ხოლო ყოველივე საამოსა, რასაცა ფიქრობს, — თვისა თავსა. ასურთ გულისხმაყვეს: „ჰეშმარიტად! ჩვენ გვძლევენ ამა მყამობელის შეწევნითა“, — და, თავს რა დააცხრნენ, წაბილწეს იგი ბოროტითა. ბოროტება, რაიცა უპატიოსა ფიქრობს, არის კიდევცა ბოროტება, და ასეც მოხდა: ასურთ სძლიეს ღმერთებს ბოროტითა, წაბილწეს ისინი ბოროტითა.

7. ამის შემდგომად ღმერთებმა პრქვეს პირითა სასიცოცხლო მშენებლასა: „იგალობე ჩვენთვისა“. — „ახლაგ“, — მიუგო მან, და პირითა მშენებლამან იგ-

ალობა მათთვისა. ასურთ გულისხმაყვეს: „ჰეშმარიტად! ჩვენ გვძლევენ ამა მუამობელის შეწევნითა“, — და, თავს რა დააცხრენ, შეეცადნენ ბოროტითა მის წაბილწვას. ხოლო ვითა კოშტი მიწისა განიბნევა, ლოდს შენარცხებული, ამგვარად განიბნენ ასურნიცა ქვეყნიერების ყოველსა კიდეს და აღიზოცნენ პირისაგან მიწისა. ასე აღორძინდნენ — ღმერთნი და დაეცნენ — ასურნი. ვინცა ეს უწყის, იგი აღორძინდება თვისივე თავისა წყალობითა, ხოლო მტერი მისი მოძულე — დაემხოზა.

8. ხოლო ღმერთებმა ჰრქვეს: „სადა ჰგიეს იგი, რამაცა ასე შეოხგვეყო ჩვენ?“ იგი — პირშია და აიასიას უწოდებენ; იგი — ანგირასაა, რამეთუ იგი — ტანისმიერ ასოთა არსია.

9. ჰეშმარიტად! ამა ღვთაებას უწოდებენ ღურს, უკეთუ სიკვდილი ვერას ვნებს მას. ვინცა ეს უწყის, სიკვდილი ვერას ვნებს მას.

10. ჰეშმარიტად! მას შემდგომ, ოდეს ამა ღვთაებამ უკუნაქცია იმა ღვთაებათაგან ბოროტება და სიკვდილი, მან წარდევნა ბოროტება იქით, სადაცა მთავრდება ქვეყნიერების კიდენი. აქ განუჩინა დასადგომელი მათსა ბოროტებასა. ამიტომ დაე ნურვინ წავა ხალხთაკენ, ნურვინ წავა ქვეყნიერების კიდეთა დასასრულთაკენ, უკეთუ იგი შეეყრება ბოროტსა, შეეყრება სიკვდილსა.

11. ჰეშმარიტად! მას შემდგომ, ოდეს ამა ღვთაებამან უკანაქცია იმა ღვთაებათაგან ბოროტება და სიკვდილი, მან წარსტაცა ისინი სიკვდილსა.

12. ჰეშმარიტად! პირველად მან წარიტაცა მეტყველება. რაჟამცა იგი დაეხსნა სიკვდილსა, გარდიქცა ცეცხლად. სიკვდილისა სამზღვრის გარდამლახველი, ცეცხლი იგი ელვარებს.

13. ამისა შემდგომად მან წარიტაცა საყნოსელი. რაჟამცა იგი დაეხსნა სიკვდილსა, გარდიქცა ქარად. სიკვდილისა სამზღვრის გარდამლახველი, ქარი იგი განსწმენდს.

14. ამისა შემდგომად მან წარიტაცა სახედველი. რაჟამცა იგი დაეხსნა სიკვდილსა, გარდიქცა მზედ. სიკვდილისა სამზღვრის გარდამლახველი, მზე იგი გიზგიზებს.

15. ამისა შემდგომად მან წარიტაცა სასმენელი. რაჟამცა იგი დაეხსნა სიკვდილსა, გარდიქცა ქვეყნიერებისა კიდეთ. ქვეყნიერებისა კიდეთ გარდალახეს სიკვდილისა სამზღვარი.

16. ამისა შემდგომად მან წარიტაცა გონება. რაჟამცა იგი დაეხსნა სიკვდილსა, გარდიქცა მთოვარედ. სიკვდილისა სამზღვრის გარდამლახველი, მთოვარე იგი ელვარებს. ჰეშმარიტად! ღვთაება იგი წარსტაცებს სიკვდილსა მას, ვინცა ეს უწყის.

17. ამის შემდგომად გალობითა მან მოუპოვა თვისა თავსა საზრდელი, სარგო ჭამადისათვის. რამეთუ ყოველგვარი საზრდელი, რომელიცა მიიღების, მიიღების სასიცოცხლო მშვინითა. ასეთია საფუძველი მისა.

18. და ღმერთებმა ჰრქვეს: „ჰეშმარიტად! ყოველი საზრდელი, რაოდენიცაა იგი, შენ მოუპოვე გალობითა შენსა თავსა. ჩვენც დაგვიდე წილი ამა საზრდელშია“. — მან მოუგო მათ: „მაშინ შემოკრბენით ჩემშია“. — „ახლაჲ“, — ჰრქვეს მათ და ყოველის კიდით შეელწივნენ მას. ამიტომაც ისინი აღივსებიან იმა საზრდელითა, რომელითაც საზრდობს პირითა მშვინევა. ჰეშმარიტად! მასში, ვინცა ეს უწყის, ამგვარადვე შეელწივან თვისნი გვარ-ტომნი, და იგი შეიქმნების სამკვიდრო გვარ-ტომთა, მათი მახვში, წინამძღვარი, მიმღები საზრდელისა, მეუფე. ხოლო უკეთუ ვინმე მის კაცთაგან შეეცდება წინააღმდეგო-

ბასამისა მეცანისა, მაშინ იგი ვერ შეიძლებს თვისთა მორჩილთა მფარველობასა. ხოლო ვინცა მორჩილებს მას და აწინამძღვრებს, და სწადია იქმნეს სამკვიდრო თვისთა მორჩილთა, მას ძალუძს მფარველობა მათი.

19 იგი — აიასია ანგირასაა, რამეთუ იგი — არსია ტანისმიერ ასოთა, ჭეშმარიტად! მშვინვა — არსია ტანისმიერ ასოთა, დიახ, მშვინვა — არსია ტანისმიერ ასოთა. ამიტომაცაა, რომ ტანისა რომელიმე ასო, მშვინვა — არსია ტანისმიერ ასოთა. ამიტომაცაა, რომ ტანისა რომელიმე ასო, მშვინვა — არსია ტანისმიერ ასოთა. ჭეშმარიტად! იგი — არსია ტანისმიერ ასოთა.

20. ხოლო იგი აგრეთვე — ბრიპასფათიცაა: ბრიპათი ხომ მეტყველებაა და იგი — უფალია მეტყველებისა. ამიტომაცაა იგი — ბრიპასფათი.

21. ხოლო იგი აგრეთვე — ბრაჰმანასფათიცაა. ბრაჰმანი ხომ მეტყველებაა და იგი — უფალია მეტყველებისა. ამიტომაცაა იგი — ბრაჰმანასფათი.

22. ხოლო იგი აგრეთვე — სამანიცაა. სამანი ხომ მეტყველებაა. იგი — „მდედრია“ და „მამრი“, აქედანაა სახელი მისი სამანი. და კიდევ იმიტომ, რომ იგი თანასწორია თეთრი ჭიანჭველასი, თანასწორია ქინკლასი, თანასწორია სპილოსი, თანასწორია ამა სამი სამყაროსი, თანასწორია მთელი სამყაროსი, — ამიტომაცაა იგი სამანი, ვინცა ასეთნაირად უწყის სამანი, იგი შეერწყმის სამანსა და მასთან ჰგიეს ერთსა და იგივესა სამყაროსა.

23. ხოლო იგი აგრეთვე — უდგითპაფაა. ჭეშმარიტად! მშვინვა — უთ, რამეთუ მშვინვასა უბურია მთელი ეს სამყარო. ხოლო მეტყველება — გალობაა. იგია — უთ და გითპა, და ამიტომაცაა — უდგითპა.

24. ხოლო ამიტომაცაა ბრძანა ბრაჰმადათთა ჩააქითანეიამ, მეფე სომას გემოხსმხილველმან: „დაე ამა ხელმწიფემან წარმკვეთოს თავი, უკეთუ აიასია ანგირასა იგალობდა უთგითპას სხვაგვარად, ვიდრე იგი. ოდენ მეტყველებითა და მშვინვითა იგალობდა იგი უდგითპას“.

25. ვინცა უწყის სიმდიდრე ამა სამანისა, იგი მფლობელია ამა სიმდიდრისა. ჭეშმარიტად! სიმდიდრე იგი — კეთილხმოვანებაა. ამიტომაცაა იგი, ვისაცაა ჰსწადია აღასრულოს საქურუმო მსახურებანი, ნატრობს კეთილხმოვანსა ხმასა. დაე ამდაგვარი კეთილხმოვანის ხმითა აღასრულოს მან საქურუმო მსახურებანი. ამიტომაცაა მსხვერპლშეწირვის ეამს კაცთ ჰსწადიათ იხილონ კეთილხმოვანის ხმითა იგი, ვინცა ფლობს ამა სიმდიდრეს. ვინცა ასეთნაირად უწყის სიმდიდრე სამანისა, იგი მფლობელია სიმდიდრისა.

26. ვინცა უწყის სიმდიდრე ამა სამანისა, იგი მფლობელია ოქროასა. მისი ოქრო ხომ — კეთილხმოვანებაა, ვინცა ასეთნაირად უწყის ოქრო სამანისა, იგი მფლობელია ოქროასა.

27. ვინცა უწყის საყრდენი ამა სამანისა, იგი ჭეშმარიტად ფლობს საყრდენსა. მისი საყრდენი ხომ — მეტყველებაა. რამეთუ, დაყრდნობილი მეტყველებასა, იგალობს მშვინვა სასიცოცხლო, ხოლო მავანნი ამბობენ, რომ საყრდენი მისი — საზრდელშია.

28. ხოლო ამჟამად გვმართებს ზეაღსვლა განსაწმენდელ ჰიმნთაქენ. ჭეშმარიტად! ფრასთოთარი გალობს სამანსა, და ვიდრე იგი გალობს მას, დაე შემწირველმან აღავლინოს: „წარმიძებ მე არყოფნიდან ყოფიერისკენ. წარმიძებ მე სიწყვდიადიდან სინათლისკენ. წარმიძებ მე სიკვდილიდან უკვდავებისკენ“ ოდეს იგი აღავლენს: „წარმიძებ მე არყოფნიდან ყოფიერისკენ“, დიახ, ჭეშმა-

რიტად! არყოფნა — სიკვდილია, ყოფიერება — უკვდავებაა, — „წარმიძებ მე სიკვდილიდან უკვდავებისკენ, მქმენ მე უკვდავი“, — აი, ამით რას ღაღადებს იგი. ოდეს იგი აღავლენს: „წარმიძებ მე სიწყვდიადიდან სინათლისკენ“. დიახ, ჭეშმარიტად! სიწყვდიადე — სიკვდილია, სინათლე — უკვდავებაა, — „წარმიძებ მე სიკვდილიდან უკვდავებისკენ, მქმენ მე უკვდავი“, — აი, ამით რას ღაღადებს იგი. ხოლო ოდეს იგი აღავლენს: „წარმიძებ მე სიკვდილიდან უკვდავებისკენ“, — აქ აღარაფერია დაფარული.

ხოლო რაიცა შეეხება სახოტბო ჰიმნებსა, დაე მათი გულჩინობა მან მოუპოვოს საზრდელი თვისა თავსა, და დაე ამიტომ მათგან მან აღურჩიოს საჩუქრად თვისა თავსა იგი საწადელი, რაიცა მას სწადია, უდგათარი, ვინცა ეს უწყის, გალობითა დაეუფლება თვისა თავისთვის ანდა შემწირველისთვის იმა საწადელს, რაიცა მას სწადია. ჭეშმარიტად! ეს — პერობაა სამყაროჲსა. არაფერია საშიში, უკეთუ ვერ შეაღწევს უმჯობესსა სამყაროს იგი, ვინცა ასეთნაირად უწყის ეს სამანი.

ბრძანა მიმოხი

1. პირველთამად ყოველი იყო ოდენ ატმანი, პურუშას სახითა. მან მიმოდაიხილა გარემო მისა და ვერვინ იხილა თვინიერ თავისა. და უწინარესად წარსთქვა: „მე ვარ“. ამგვარად იშვა სახელი — „მე“. ამიტომ დღესაც, ვისაცა პკითხვენ სახელსა, უწინარესად მიიგებს: „მე ვარ“, ხოლო მერმე სახელსა იმას, რააცა ჰქვია. ყოველივე ამისა დასაწყისამდე მან დასწვა ყოველი ცოდვანი, ამიტომაცაა იგი — პურუშა. ჭეშმარიტად! ამისა მეცნაური სწვავს მას, თავისზე წინ ყოფნა ვისაცა სწადია.

2. შიშმან დაიპყრა იგი. ამიტომაც მოაქჟამამდე იგი, ვინცა მარტომყოფია, შიშსა დაუპყრავს. ხოლო მან იფიქრა: „ხომ არაფერია თვინიერ ჩემისა, რისად დაუპყრივარ შიშსა?“ და დაუტევა შიშმან, რამეთუ რისა უნდა სშინებოდა მას? ჭეშმარიტად! ოდენ მეორისაგან მოგვეახლების შიში.

3. ჭეშმარიტად! მან არ უწყოდა სიხარული. ამიტომაც იგი, ვინცა მარტომყოფია, არ უწყის სიხარული. და მან ინატრა მეორე და იქმნა იგი იმგვარი, ვითა ქალი და კაცი, ურთიერთგადაქდობილნი. მან განიყო თავი თვისი ორკერძოით. და იშვა ცოლი და ქმარი. „ამიტომაც ჩვენ ჩვენი სახითა მსგავსნი ვართ ერთიანის განყოფილ ნახევართა“, — ასე ბრძანა იაჯნიავალქიამ. ამიტომაცაა სივრცე ქალითა აღესილი. კაცი თანაექცა ქალსა და იშვნენ აღამეანნი.

4. ხოლო ქალმან იფიქრა: „ვითა ძალუძს კაცსა თანაქცევა ჩემთანა? მან ხომ თავისა თვისისგან მშვა მე? უკეთუ ასეა, — მე დავიმაღვი“. და იქცა ძროხად, კაცი — ხარად, და თანაექცა ძროხასა; და იშვნენ ხარ-ძროხანი. და იქცა ქალი ფაშატად, კაცი — ულაყად; იქცა ქალი ხდალად, კაცი — ულაყად და თანაექცა ხდალსა; და იშვნენ ცალჩლიქოსანნი. და იქცა ქალი ნეზვად, კაცი — ვაცად; იქცა ქალი ნერბად, კაცი — ვერძად, და თანაექცა ნერბსა, და იშვნენ თხა-ცხოვარნი. და ასეთნაირად ყოველი, რააცა სულდგმულობს წყვილობითა, მან შვა ჭვეყნად, ვიდრე ჭიანჭველამდე.

5. ხოლო მან გულისხმაყო: „ჭეშმარიტად! მე ვარ შემოქმედი, რამეთუ მე შევქმენ ყოველი“. ამგვარად შეიქმნა იგი შემოქმედი ყოვლისა არსისა. ვინცა ეს უწყის, ჰგიეს იგი ამა მისსა ქმნილებაში.

6. ამისა შემდგომად მან განიპყრო ხელნი და შვა პირითა ცეცხლი, ვითა დედის საშობთან. ამიტომია ორივეთა შიგაწილი უთმო — დედის საშობაცა ხომ უთმოა. და ოდეს ამბობენ: „შესწირე მსხვერპლი ამა ღმერთსა“, „შესწირე მსხვერპლი იმა ღმერთსა“, ყოველივე ეს მისი შექმნილია, რამეთუ იგი ერთადაა ყოველი ღმერთი. ხოლო სინოტივეცა, რააცა არსებობს, მან შექმნა თესლისგან; და იგი — სომაა. ჭეშმარიტად! მთელი ეს სამყარო ოდენ საზრდელია, ცეცხლი — შშთანთქავია საზრდელისა. იგი უუმაღლესი მსხვერპლები ბრაჰმისა, რამეთუ მან შექმნა ღმერთნი, უმჯობესნი თვისას თავზედ; მოკვდავნი უკვდავნი ჰქმნა. ამიტომია იგი — უმაღლესი ქმნილება. ვინცა ეს უწყის, ჰგებს ამა მისსა ქმნილებაში.

7. ყოველივე ეს იმჟამად იყო განსხვავებული. იგი იქმნა განსხვავებული სახელითა და სახითა. და ამბობენ: „ასეთია სახელი მისი, ასეთია სახე“. მოაქვამამდე ხომ ყოველივე სახელითა და სახითა განსხვავდების. და ამბობენ: „ასეთია სახელი მისი, ასეთია სახე“. ატმანმა ყოველივეს შეაღწია ფეხის ფრჩხილებამდე, ვითა სატევარმან — ქარქაშსა, ვითა ცეცხლმან — კერიასა. მას ვერ ჰვრეტენ, რამეთუ იგი პირალუვსებელია. მას, მშვინვიერსა, უწოდებენ მშვინვასა, ამეტყველებულსა — მეტყველებასა, მჰვრეტელსა — სახედველსა, მომსმენსა — სასმენელსა, შემმეცნებელსა — გონებასა. ესენი ოდენ სახელნია მისთა საქმეთა. ვინცა ამათგან თაყვანსა სცემს ოდენ ერთსა, და არა ყოველსა, არა ფლობს ცოდნასა, რამეთუ ერთითა, და არა ყოვლითა, — იგი ნაკლულია. დაე თაყვანი სცენ მას ვითა ატმანსა, რამეთუ ყოველი მისი საქმენი განუყოფადია. იგი ატმანია — ნატერფალი ყოველი არსისა, რამეთუ, ჭეშმარიტად! — ვითა ჰპოვებენ ნატერფალითა დაკარგულს, იმგვარადვე ჰპოვებენ მისითა ყოველსა არსსა. ვინცა ეს უწყის, იგი იხვეჭს სახელსა და დიდებასა.

8. ატმანი უძვირფასესია ძისა, უძვირფასესია სიმდიდრისა, უძვირფასესია ყოველივე დანარჩენისა. იგი — ყოველივეზე დაფარულია. ხოლო უკეთეს მას, ვინც ძვირფასსა უწოდებს არა ატმანსა, არამედ სხვასა, ამცნობენ, რომ იგი დაჰკარგავს იმას, რასაცა ძვირფასად თვლიან, ეს ჭეშმარიტად შეიძლება მოხდეს. ოდენ ატმანსა უნდა ვსცეთ თაყვანი, ვითა ძვირფასსა. ვინცა ოდენ ატმანსა სცემს თაყვანსა, ვითა ძვირფასსა, იგი წარუწყმედელია სიძვირფასითა.

9. ხოლო ამბობენ: „უკეთეს კაცთ სწამთ, რომ ბრაჰმისა შემეცნების წყალობით შეიქმნებიან ყოველითურნი, მაშ რაღა უწყოდა ისეთი ბრაჰმამ, რისი წყალობითაც შეიქმნა იგი ყოველითური?“.

10. ჭეშმარიტად! პირველჟამად ყოველი იყო ბრაჰმა. მან შეიცნო თავი თვისი: „მე ბრაჰმა ვარ“. ამიტომაც იქმნა იგი ყოველსა არსად. ხოლო რომელმა ღმერთთაგანმაც განიღვიძა ამა ცოდნისადმი, იგიცა ყოველსა არსად იქმნა. ამგვარადვე იქმნა რიშთათვის, ამგვარადვე — კაცთათვის. ამისა მხილველმან, რიშმა ვამადევიამ, გულისხმაყო: „მე ვიყავ მანუ და სურია“. ამჟამადაც ასეა, — ვინცა უწყის: „მე ბრაჰმა ვარ“, იგი შეიქმნების ყოველივე არსი. ხოლო ღმერთებსაც არ ძალუძთ წინააღგომა მისი, რამეთუ იგი შეიქმნების ატმანი ღმერთებისა. ვინცა თაყვანსა სცემს სხვა ღვთაებასა და ამბობს: „იგი — სხვაა, ხოლო მე — სხვა“, არა ფლობს ცოდნასა. ღმერთების წინაშე ცხოველივითაა იგი. ჭეშმარიტად! ვითა მრავალთა ცხოველთ მოაქვთ სარგებელი კაცთათვის, ასევე ყოველსა კაცსა მოაქვს სარგებელი ღმერთებისათვის. თუნ-

დაც ერთსა ცხოველსაც ოდეს მოჰკვლვენ, ეს აღძრავს წყრომასა, — რადღა ვსთქვათ მრავალთა გამო? ამიტომაც ღმერთები სწყრებიან, ოდეს კაცთა ეს უწყიან.

11. ჭეშმარიტად! პირველქამად ყოველივე იყო ოდენ ატმანი, მარტო მყოფიარე, არა განივრცოდა. და მან შეჰქმნა კიდევ უფრორე უმჯობესნი სახე-ბანი: ქშათრნი — ისინი, რომელნიცა არიან ქშათრნი ღმერთებს შორის: ინდრა, ვარუნა, სომა, რუდრა, ფარჯანია, იამა, მრითია, იშანა; ამიტომაც არაფერია ქშათრთა უმაღლესი. ამიტომ რაჯასუიეს ეამს ბრაჰმანი თაყვანსა სცემს ქშათრსა ვითა უფრორე უმაღლესსა, იგი ამ პატივს მიაგებს ოდენ ქშათრს. და მაინც ბრაჰმანი — დასაბამია ქშათრთა, ამიტომ, რა უმაღლეს მპყრობელობასაც არ უნდა მიაღწიოს ხელმწიფემან, მაინც ბრაჰმაში ჰპოვებს საბოლოო სამკვიდრებელს, თვისა დასაბამში. ხოლო ვინცა შეურაცხყოფს ბრაჰმსა, იგი წარწყმედს თვისა დასაბამს. იგი შეიქმნების იმაზედ უარესი, ვიდრე იმისა უმჯობესი, ვინცა შეურაცხყო.

12. და მაინც არა განივრცოდა იგი, მან შეჰქმნა ვიშნი — ღმერთების ის მოდგმა, რომელნიცა გამოსახავენ ჯგუფებს: ვასნი, რუდრნი, ადითნი, ვიშვედეენი და მარუთნი.

13. და მაინც არა განივრცოდა იგი, მან შეჰქმნა შუდრთა ვარნა, პუშანას სახეებითა. ჭეშმარიტად! მიწა — პუშანაა, რამეთუ იგი ასაზრდოებს ყოველსა არსსა.

14. და მაინც არა განივრცოდა იგი, მან შეჰქმნა უფრორე უმჯობესი სახეა — დჰარმა. ქშათრი ქშათრთა — აი, რაა დჰარმა. ამიტომაც არაფერია დჰარმისა უმაღლესი. უძლურიცა იმედოვნებს სძლიოს დჰარმისა შემწეობით უფრორე ძლიერსა, ვითა შემწეობით ხელმწიფისა. ჭეშმარიტად! დჰარმა — სიმართლეა. სწორედ ამიტომ მიაჩნიათ, რომ სიმართლისა მთქმელი ამბობს დჰარმას, ხოლო დჰარმისა მთქმელი ამბობს სიმართლეს. დჰარმაცა და სიმართლაც იგივენი არიან.

15. და ჰა, იგი — ბრაჰმანია, ქშათრთა, ვიშა და შუდრთა. ბრაჰმა ღმერთებს შორის იყო ცეცხლი, კაცთა შორის — ბრაჰმანი; ღვთაებრივს ქშათრად იგი მყოფიარობდა ვითა ქშათრი; ღვთაებრივს ვიშად — ვითა ვიშა; ღვთაებრივს შუდრად — ვითა შუდრა. ამიტომაც სწადიათ ყოფნა ღმერთების საუფლოში ცეცხლისა სახით, კაცთა საუფლოში — ბრაჰმანისა სახით, ხომ ამ ორსა სახებაში მყოფიარობდა ბრაჰმა. ხოლო უკეთუ კაცი დაუტევეს ამიერ სოფელს ისე, რომ ვერ შეიცინობს თავსა, მაშინ იმიერ სოფელი, მსგავსად წაუკითხავი ვედისა ანდა განუსრულებელი საქმისა, არავითარ სარგებლობას არ მოუტანს მას, ხოლო თუ მაინც ამისა უმეცარი დიდ და კეთილ საქმეებს იქმს, იგი იღუპება საბოლოოდ. ოდენ ატმანსა უნდა ვსცეთ თაყვანი ვითა სამყაროსა. ვინცა ატმანსა სცემს თაყვანსა ვითა სამყაროსა, საქმე მისი სამარადქამოა. ატმანითა ქმნის ყოველივეს, რასაც მოისურვებს.

16. ხოლო ჭეშმარიტად! ატმანი — საუფლოა ყოველი არსისა. ოდეს იგი აღასრულებს მიძღვნასა და შეწირვასა — იგი საუფლოა ღმერთებისა, ოდეს წარმოთქვამს ვედებსა — საუფლოა რიშებისა; ოდეს შესწირავს ძღვენსა წინაპრებსა, ოდეს სწადია შვილთაშვილობა — საუფლოა წინაპრებისა, ოდეს შეიფარებს კაცთა, ოდეს მოიღებს მათთვის საზრდელსა — საუფლოა კაცთა; ოდეს მიაწვდის ცხოველთ ბალახსა და წყალსა — საუფლოა ცხოველთა; ოდეს მისსა სახლეულში შეეწევიან ცხოველსა, ფრინველსა და ყოველსა, ვიდრე

ჭიანჭველამდე, მაშინ იგი — საუფლოა მათი. ხოლო ვითა სწადიათ ხელშეუხებლობა თვისი საუფლოსი, ასეთნაირადვე სწადია ყოველსა არსსა ხელშეუხებლობა იმისა, ვინცა ეს უწყის. ჭეშმარიტად! ყოველივე ეს საცნაურია და დადგინებული.

17. პირველჯამად ყოველი იყო ოდენ ატმანი, ერთადერთი, და მან ინატრა: „დაე მყავდეს მე ცოლი — და მე შევიძლებ განმრავლებას შთამომავალთა; დაე ვფლობდე მე სიმდიდრესა — და შევიძლებ აღსრულებას საქმეთა“. ჭეშმარიტად! ასეთია ზღვარნი საწადელთა, და მსურველს არ ძალუძს მოიღოს თავისათვის მეტი. ამიტომ ამჟამადაც მარტომყოფი ნატრობს: „დაე მყავდეს მე ცოლი — და მე შევიძლებ განმრავლებას შთამომავალთა, დაე ვფლობდე მე სიმდიდრესა — და შევიძლებ აღსრულებას საქმეთა“. უკეთუ ამ საწადელთაგან იგი ვერ აღასრულებს რომელსამე ერთსა მაინც, თავს ნაკლულოვნად ჩათვლის. ხოლო სისავსე მისი ასეთია: გონება — ატმანია მისი, მეტყველება — ცოლია მისი, მშვინვა — შთამომავლობაა მისი, სახედველნი — საამსოფლო განძია მისი, რამეთუ იგი სახედველით ეუფლება მას. სასმენელნი ღვთაებრივი განძია მისი, რამეთუ სასმენელით ისმენს მას. ხოლო ტანი — საქმენია მისნი, რამეთუ იგი ტანითა აღასრულებს საქმეთ. ხუთწილია ეს მსხვერპლშეწირვა, ხუთწილია სამსხვერპლო ცხოველი, ხუთწილია ადამიანი, ხუთწილია ყოველი, რაიცა მყოფიარობს. იგი, ვინცა ეს უწყის, ეუფლება ყოველსა არსსა.

ბრაჰმანა მიხუთი

1. ოდეს ცოდნითა და მოღვაწეობითა მამამან შვა შვიდნაირი საზრდელი, ერთი საერთო ქმნა ყოველთათვის, ორი ღმერთებს უწილადა, სამი თვისი თავისთვის ქმნა, ერთი ცხოველთ მიუბოძა, მასზედ დაფუძნებულა ყოველი, რაიცა მშვინავს და რაიცა არ მშვინავს. რად არიან წარუხოცველნი ისინი, რომელნიცა დღენიადაც საზრდობენ? ვინცა უწყის ამა წარუხოცველობისა, იგი მიმღებია საზრდელისა სახითა, იგი მიემართება ღმერთებისაკენ; იგი ცოცხლობს თვისისა ძალით. ამგვარია ლექსი.

2. „ოდეს ცოდნითა და მოღვაწეობითა მამამან შვა შვიდნაირი საზრდელი“, რამეთუ მამამან ისინი ცოდნითა და მოღვაწეობითა შვა. „ერთი საერთო ქმნა ყოველთათვის“, — ეს მისი საზრდელია, რომელიცა იჭმების, ყოველთათვის საერთო. ვინცა თაყვანს სცემს მას, იგი არაა დახსნილი ბოროტისაგან, რამეთუ საზრდელი იგი აღრეულია. „ორი ღმერთებს უწილადა“, — ეს ცეცხლოვანი მსხვერპლშეწირვაა და შესაძღვნელი. ამიტომ აღასრულებენ ცეცხლოვან მსხვერპლშეწირვასა და მიძღვნას ღმერთებისადმი. აგრეთვე ამბობენ, რომ ეს — ზეარაკნია ახალმთვარისა და სავსე მთვარისა. ამიტომ დაე ნუ აღასრულებენ მსხვერპლშეწირვას ანგარებითა. „ერთი ცხოველთ მიუბოძა“, — ეს რძეა, რამეთუ კაცნი და ცხოველნი პირველჯამად რძით ცოცხლობენ. ამიტომ პირველხანად ახალშობილს ზეთსა აძლევენ სალოკვად ანდა ძუძუსა საწრვრად, და ახალშობილს უწოდებენ „ბალახისა ვერმჭამელს“. „მასზედ დაფუძნებულა ყოველი, რაიცა მშვინავს და რაიცა არ მშვინავს,“ — რძესა დაფუძნებია ყოველი, რაიცა მშვინავს და რაიცა არ მშვინავს. ხოლო სიტყვებსა: „ვინცა წლის განმავლობაში რძითა შესწირავს მსხვერპლსა, იგი სძლევს მეორეჯის სიკვდილსა“, — ამგვარად ნუ მივიჩნევთ ამას, რამეთუ სწორედ იმა დღეს, რაჟამსაც იგი შესწირავს მსხვერპლსა, სძლევს ამისა მეცნაურის მეორეჯის სიკვდილსა. იგი ხომ ყოველსა საზრდელს შესწირავს ღმერთებსა. „რად არიან წარუხოც-

ველნი ისინი, რომელნიცა დღენიადგ საზრდოობენ? — ჭეშმარიტად! ჰურუშა წარუხოცველია, რამეთუ იგი განუწყვეტლივ წარმოქმნის საზრდელსა. „ვინცა უწყის ამა წარუხოცველობისა“, — ჭეშმარიტად! ჰურუშა წარუხოცველია, რამეთუ იგი განუწყვეტელის ფიქრითა წარმოქმნის საზრდელსა, გითა საქმეთა თვისთა. უკეთუ მან ეს არა ქმნას, საზრდელი შეიმუხრება, იგი მიმღებია საზრდელისა სახითა“. — სახე იგი პირია, იგი მიიღებს მას პირითა. „იგი მიემართება ღმერთებისკენ, იგი ცოცხლობს თვისისა ძალით“, — უკეთესი სიტყვაა.

3. „სამი ქმნა თვისისა თავისთვის“ — გონება, მეტყველებსა, მშვინვა — ესენი მან ქმნა თვისისა თავისთვის. „გონება ჩემი იყო შორს, და მე ვერ ვჭვრიტე, გონება ჩემი იყო შორს, და მე ვერ ვისმინე“, — ამგვარად ამბობენ, რამეთუ ოდენ გონებითა ჭვრეტენ, გონებითა ესმით. სიყვარული, გარდაწყვეტილობა, იჭვი, რწმენა, ურწმუნობა, შეუფალობა, სისუსტე, სირცხვილი, შიში — ყოველივე ეს გონებაა. ამიტომ ისიც კი, ვის უკანა ასო-ნაწილთ შეეხებიან, გონებითა საცნაურყოფს ამას. ხოლო ყოველი, რააცა ბგერაა, არის — მეტყველება. იგი სასრულიცაა და უსასრულოც. ფილტვებისა მშვინვა, ტანსა ქვემდინარი მშვინვა, ტანსა განცხოველებული მშვინვა, ტანსა ზემდინარი მშვინვა, მშვინვა ყოვლადი — ასეთია მშვინვანი, და ყოველი ეს — ოდენ ერთი მშვინვაა. ყოველ ამათგან, ჭეშმარიტად, შემტკიცებულა ატმანი: მეტყველებითა, გონებითა, მშვინვითა.

4. ამგვარივეა სამი სამყაროცა: მეტყველება — ამიერ სოფელია, გონება — ჰაერისა სივრცეა, მშვინვა — ამიერ სოფელია.

5. ამგვარივეა სამი ვედაც, მეტყველება — რიგვედაა, გონება — იაჯურვედაა, მშვინვა — საშავედაა.

6. ამგვარივენი არიან ღმერთნიცა, წინაპარნიცა, კაცნიცა: მეტყველება — ღმერთებია, გონება — წინაპარნია, მშვინვა — კაცნია.

7. ამგვარივეა მამაცა, დედაცა, შვილთაშვილობაცა: გონება — მამაა, მეტყველება — დედაა, მშვინვა — შვილთაშვილობაა.

8. ამგვარივეა იგიცა, რაიცა განცხადებულა; იგიცა, რაიცა განსაცხადებელია; იგიცა, რაიცა განუცხადებელია. იგი, რაიცა განცხადებულა, მეტყველებსა სახე აქვს, რამეთუ მეტყველება — განცხადებულა. განცხადებულ რა იქმნას, მეტყველებამან დაიფაროს თვისი მეცნაური.

9. მას, რაიცა უნდა განცხადდეს, გონებისა სახე აქვს, რამეთუ გონება ისაა, რაიცა უნდა განცხადდეს, იმად რა იქმნას, რაიცა უნდა განცხადდეს, გონებამან დაიფაროს თვისი მეცნაური.

10. მას, რაიცა განუცხადებელია, მშვინვისა სახე აქვს, რამეთუ მშვინვა ისაა, რაიცა განუცხადებელია. განუცხადებელ რა იქმნას, მშვინვამან დაიფაროს თვისი მეცნაური.

11. ტანი ამა მეტყველებისა — მიწაა. სინათლისა სახითა იგი, — მიწიერი ცეცხლია. იმდენივეზე განვრცობილა მეტყველება — რამდენზედაც განვრცობილა ცეცხლი.

12. ამისა შემდგომად, ტანი ამა გონებისა — ცაა. სინათლისა სახითა იგი — მზეა. იმდენივეზე განვრცობილა გონება — რამდენზედაც განვრცობილა ცა, რამდენზედაც განვრცობილა მზე; ორთავენი ერთურთს შეერწყა — ამისაგან იშვა მშვინვა. იგი — ინდრაა, და მას არა ჰყავს მოცილე. ჭეშმარიტად! მოცილე მეორეა. ვინცა ეს უწყის, მას არა ჰყავს მოცილე.

13. ამისა შემდგომად, ტანი ამა მშვინვისა — წყალია. სინათლისა სახითა

იგი — მთოვარეა. იმდენივეზე განვრცობილა მშვინვა — რამდენზედაც განვრცობილა წყალი, რამდენზედაც განვრცობილა მთოვარე. ყოველივე ესენი ტოლნი არიან, ყოველივე უსასრულოა. ჭეშმარიტად! იგი, ვინცა თაყვანსა სცემს მათ ვითა სასრულთა, ეუფლება სასრულსა სამყაროს; ხოლო იგი, ვინცა თაყვანსა სცემს მათ ვითა უსასრულოთ, ეუფლება უსასრულოსა სამყაროს.

14. პრაჯაპატი — წელიწადია, იგი თექვსმეტ ნაწილთაგან შესდგება. ღამენი მისი — თხუთმეტნაწილია, უცვალბებელია მისი მეთექვსმეტედი ნაწილი. მეთა წყალობით იგი კიდევ მატულობს, კიდევ კლებულობს. ახალმთვარობისა ღამეს იგი შეაღწევს თექვსმეტსავე ნაწილსა, ყოველსა მისსა სულიერსა, და იბადება მგორე დილით — ამიტომ ამა ღვთაებისა თაყვანისცემით ასეთსა ღამეს არ ეგვების მოეუხსპოთ მშვინვა სულიერთ, თუნდაც ხვლიკსა.

15. ჭეშმარიტად! კაცმა, ვინცა ეს უწყის, — თავად არის წელიწადი, თექვსმეტნაწილთაგან შემდგარი პრაჯაპატი. მისი საუნჯე — თხუთმეტი ნაწილია, ატმანი — მეთექვსმეტედი ნაწილია მისი. საუნჯის წყალობით იგი კიდევ მატულობს. კიდევ კლებულობს. ატმანი — მორგვია ბორბლისა; საუნჯე ფერსა ბორბლისა. ამიტომ ოდეს მაგანთაგანი კარგავს ყოველსავეს, ხოლო ატმანი მისი ცოცხლობს, ამბობენ, რომ მან დაპკარგა ფერსო ბორბლისა.

16. ჭეშმარიტად! არსებობს სამი სამყარო — სამყარო კაცთა, სამყარო წინაპართა, სამყარო ღმერთთა. სამყარო კაცთა მკვიდრდება წყალობითა ოდენითა, არავითარი სხვა საქმითა; სამყარო წინაპართა — წყალობითა საქმითა; სამყარო ღმერთთა — წყალობითა ცოდნითა. ჭეშმარიტად! სამყარო ღმერთთა — აღმატებულია ყოველსა სამყაროსა. ამიტომაც ადიდებენ ცოდნასა.

17. აჟ, — გადაცემითათვის, ოდეს მაგანთაგანს მიიჩნია, რომ სტოვებს ამიერ სოფელსა, იგი შიშობთაგან ძესა: „შენ — ბრაჰმანი ხარ, შენ — ზვარაკი ხარ, შენ — სამყარო ხარ“. ძე შიუგებს: „მე — ბრაჰმანი ვარ, მე — ზვარაკი ვარ, მე — სამყარო ვარ“. ჭეშმარიტად! იგი, რაიცა შემეცნებელია, — ყოველივე შერწყმულია სიტყვაში: „ბრაჰმანი“. ჭეშმარიტად! იგი ზვარაკი, რაიცა შეუწირავთ, ყოველივე შერწყმულია სიტყვაში: „ზვარაკი“. ჭეშმარიტად! სამყარონი, რაიცა არიან, — ყოველივე შერწყმულია სიტყვაში: „სამყარო“. ჭეშმარიტად! აჰა, ყოველი არსი, „ასერიგად რა ქმნილა ყოველი, დაე იგი შემწე მექმნეს მე ამიერ სოფლისა დახსნაში“, ამგვარად ფიქრობს მამა. ამიტომაც გამეცნიერებულს ძესა უწოდებენ წინამძღვარსა სამყაროს დაუფლებაში, ამიტომ ამეცნიერებულს მას.

რაჟამს ამისა მეცნაური დაუტევებს ამიერ სოფელსა, იგი შეელწევს ძესა თვისი მშვინეებითა. უკეთუ მისგან ჩადენილა რაიმე არამართებული, ძე დაიხსნის მას ყოველივე ამისგან, — ამიტომაც უწოდებენ მას ძესა. ძისა წყალობით დაემკვიდრების მამა ამიერ სოფელსა. ამისა შემდგომ შეელწევთან მას ღვთაებრივი, უკვდავი მშვინვანი.

18. მიწითა და ცეცხლითა მასში შეაღწევს ღვთაებრივი მეტყველება. ჭეშმარიტად! იგი — ღვთაებრივი მეტყველებაა, და ყოველი, რაიცა მისით ილაღადონ, აღესრულოს.

19. ცითა და მზითა მასში შეაღწევს ღვთაებრივი გონება. ჭეშმარიტად! იგი — ღვთაებრივი გონებაა, რისი წყალობითაც იგი შეიქმნეს ნეტარი და აღარ იტანჯოს.

20. წყლითა და მთოვარითა მასში შეაღწევს ღვთაებრივი მშვინვა. ჭეშმარიტად! იგი — ღვთაებრივი მშვინვაა, რაიცა — იძვრის თუ არ იძვრის — არ

განიცდის სინაკლულესა და წარუწყმედელია. ვინცა ეს უწყის, შეიქმნების ატ-
მანი ყოველი არსისა. როგორცაა ეს ღვთაება, ისეთივეა იგიცა. როგორადაც
კეთილპყოფს. ყოველი არსი იმა ღვთაებას, ასევე კეთილპყოფს. ყოველი არსი
იმას, ვინცა ეს უწყის. რა საღმობანიც არ უნდა განიცადონ დაბადებულთა,
იგი საღმობანი მათშივე რჩებიან. ოდენ კეთილი მიელტვის მას, რამეთუ, ჭეშ-
მარიტად! — ბოროტი არ მიელტვის ღმერთებს.

21. აწ გვმართებს განხილვა მსახურებათა. პრაქტიკულად წარმოვიღებოქმედ-
ბანი. წარმოშობილნი ცილობად აღედრნენ ერთურთს. მეტყველებამ გარდი-
წყვიტა: „მე უნდა ვილაპარაკო“. სახედველმან: „მე უნდა ვუძირო“. სასმე-
ნელმან: „მე უნდა ვუსმინო“. ხოლო ამგვარადვე გარდიწყვიტეს სხვა მოქმე-
დებათაც, ყოველმან თვისა საქმისა თანახმად. სიკვდილი იქმნა დამაუძღურე-
ბელ, და სძლია მათ, დაიპყრა ისინი, რა დაიპყრა, განაჩიდა ისინი საქმეთაგან.
ამიტომაცაა ხოლმე მეტყველება დაუძღურებულ, სახედველნი დაუძღურებულ,
სასმენელნი დაუძღურებულ, მაგრამ ვერ დაიპყრა იგი, რაიცა შუა მშვინგაა.
ამ მოქმედებათ სურდათ შეეცნოთ იგი და პრქვეს: „ჭეშმარიტად! — იგი —
უმჯობესია ჩვენზე, რამეთუ — იძვრის თუ არ იძვრის — არ განიცდის სინაკ-
ლულესა და წარუწყმედელია. მოდით, შევიმოსოთ ყოველმან სახეზე მისი“.
და ყოველმან შეიმოსა სახეზე მისი. ამიტომაც სახელითა მისითა უწოდებენ კი-
დეცა მათ „მშვინგებსა“. რომელი გვარ-ტომიდანაც არ უნდა იყოს იგი, ვინცა
ეს უწყის, მისსა სახელსა უწოდებენ იმა გვარ-ტომსა. იმასთან მოცილე, ვინ-
ცა ეს უწყის, ხმება, და ჩამომხმარი, კვდება ბოლოს. აჰა, ხორციელობათათ-
ვის.

22. აჰა, ღვთაებათათვის. ცეცხლმან გარდიწყვიტა: „მე უნდა ვენთო“,
მზემან: „მე უნდა ვათბობდე“. მთვარემან: „მე უნდა ვისხივოსნო“. ხოლო ამ-
გვარადვე გარდიწყვიტეს სხვა ღვთაებათაც, ყოველმან თვისა ღვთაებრივი
საქმისა თანახმად. ხოლო როგორცაა შუა მშვინგა სასიცოცხლო ძალთა შო-
რის, იმდაგვარივეა ქარი ამა ღვთაებათა შორის; რამეთუ ყოველი ღვთაება სამ-
შვიდეს მიელტვის, ხოლო ქარი — არა. ქარი — ღვთაება, რომელიც არასო-
დეს მშვიდდება.

23. აჰა, ლექსიცა:

საიდანაც ამოდის მზე,
ისევე იქ ჩადის.

(ჭეშმარიტად! მშვინგიდან ამოდის მზე და მშვინგასა ჩადის) —

რაიცა ჭეშმენს ღმერთებმა დპარმად,
ოდენ იგია — დღეს, იგია — ხვალაც.

(ჭეშმარიტად! რაიცა გარდიწყვიტეს ადრე, დღესაცა მასვე იქმნიან).

დაე ამიტომ კაცმან აღასრულოს ოდენ ერთი მსახურება. დაე მან ჩაიმ-
შვინოს და ამოიმშვინოს, მნატვრელმან: „და ნუ დამიპყროს მე სიკვდილისამ“.
ხოლო ოდეს იგი აღასრულებს წეს-მსახურებასა, დაე განასრუ-
ლოს იგი. ამდაგვარი გზით იგი ერწყმის ამა ღვთაებას და ეუფლება იმავე სამ-
ყაროს, რასაცა ღვთაება.

ბრაჰმანა მემქმსა

1. ჰეშმარიტად! ყოველივე ეს — სამებაა: სახელი, სახე, საქმე. რაიცა შეეხება მათსა სახელთ, წყარო მათი — მეტყველებაა, რამეთუ მისგან წარმოდინდების ყოველნი სახელნი. მეტყველება — საგალობელია მათი, რამეთუ იგი — საერთოა ყოველი სახელისა. იგი — ბრაჰმანა მათი, რამეთუ იგი მექონია ყოველი სახელისა.

2. აწ, — სახეთათვის: წყარო მათი — სახედველია, რამეთუ მისგან წარმოდინდების ყოველნი სახელნი. სახედველი — საგალობელია მათი, რამეთუ იგი საერთოა ყოველი სახისა. იგი — ბრაჰმანა მათი, რამეთუ იგი მექონია ყოველი სახისა.

3. აჰა, საქმეთათვის: წყარო მათი — ტანია, რამეთუ მისგან წარმოდინდების ყოველნი საქმენი. ტანი — საგალობელია მათი, რამეთუ იგი — საერთოა ყოველი საქმისა, იგი — ბრაჰმანა მათი, რამეთუ იგი მექონია ყოველი საქმისა. სამება იგი ერთიანია, იგივ—ატმანია. ატმანი, ერთიანი, არის სამება. იგი — უკვდავია, დაფარული ცხადიერებით. ჰეშმარიტად! მშვინვა — უკვდავია, სახელი და სახე — ცხადიერებაა. სახელითა და სახითა დაფარულია იგი მშვინვა.

აითარეია უპანიშადა

ნაწილი პირველი

თავი პირველი

1. ჰეშმარიტად! ყოველივე პირველესამად იყო ოდენ ატმანი. და არა იყო თვინიერ მისა, რაიცა ხამხამებდა. და მან იფიქრა: „ახლა მე შევექმნი სამყაროებს“.

2. და შეჰქმნა სამყარონი: ციური წყლები, სინათლე, სიკვდილი, წყალი. ციური წყლები — ცისა თავანზე, ცა — საყრდენია მათი. სივრცე ჰაერისა — სინათლეა. მიწა — სიკვდილია. იგი, რაიცა ქვევითაა — წყალია.

3. და მან იფიქრა: „აჰა, სამყარონი, ახლა მე შევექმნი სამყაროთა მფარველს“. და პურუშას. წყალთაგან რომ აღმოაცენა, მიანიჭა გარესაზე.

4. და მან გაატფო იგი. პირი მისი, გამტფარისა, განიხვნა, ვითარცა კვერცხი. პირიდან ამოვიდა მეტყველება, მეტყველებითგან — ცეცხლი. ნესტონი მისი განიხვნა. ნესტოთაგან ამოვიდა მშვინვა, მშვინვიდან — ქარი. სახედველნი მისი განიხვნა. სახედველთაგან ამოვიდა მხედველობა, მხედველობიდან — მზე. სასმენელნი მისი განიხვნა. სასმენელთაგან ამოვიდა სმენა, სმენიდან — ქვეყნიერებისა კიდენი. კანი მისი განიხვნა. კანიდან ამოვიდა ბალანი, ბალნიდან — ბალახნი და ხენი. გული მისი განიხვნა. გულიდან ამოვიდა გონება, გონებიდან — მთოვარე. ჰიბი მისი განიხვნა. ჰიბიდან ამოვიდა აღმოფშვინვა, აღმოფშვინვიდან — სიკვდილი. საშო მისი განიხვნა. საშოადან ამოვიდა თესლი, თესლიდან — წყალი.

თავი მეორე

1. ეს ღვთაებანი, ამგვარად შობილნი, დაინთქნენ უზარმაზარსა ზღვაში. ატმანმა განსცადა პურუშა შიმშილითა და წყურვილითა. ღვთაებათ ჰრქვეს

ატმანსა: „შეჰქმენ ჩვენთვისა სამკვიდრებელი, სადაცა შევიძლებთ საზრდობასა“.

2. და მან მიჰგვარა მათ ძროხა, მათ ჰრქვეს: „ჰეშმარიტად! არა კმა არს ჩვენდა“. და მან მიჰგვარა მათ ცხენი. მათ ჰრქვეს: „ჰეშმარიტად! არა კმა არს ჩვენდა“.

3. და მან მიჰგვარა მათ პურუშა. მათ ჰრქვეს: „მშვენივრად ქმნილია იგი“. ჰეშმარიტად მშვენივრად ქმნილია პურუშა. და ატმანმა ჰრქვა მათ: „ღმერთმკვიდრეთ თვითეული სამკვიდრებელსა თქვენსა“.

4. და ცეცხლი, მეტყველებად ქმნილი, შევიდა პირსა. ქარი, მშვინვად ქმნილი, შევიდა ნესტოებსა. მზე, მხედველობად ქმნილი, შევიდა სახედველთა. ქვეყნიერებისა კიდენი, სმენად ქმნილნი, შევიდნენ სასმენელთა. ბალახნი და ხენი, ბალნად ქმნილნი, შევიდნენ კანსა. მთოვარე, გონებად ქმნილი, შევიდა გულსა. სიკვდილი, აღმოფშვინვად ქმნილი, შევიდა ჰიპსა. წყალი, თესლად ქმნილი, შევიდა საშოსა.

5. შიმშილმან და წყურვილმან ჰრქვეს ატმანსა: „ჩვენდაცა შეჰქმენ სამკვიდრებელი“. მან ჰრქვა მათ: „მე თქვენ ამა ღვთაებათა ხვედრს გაზიარებთ, თქვენცა მათი თანამოტრაპეზენი შეიქმნებით“. და ამიტომაც, ოდეს შესწირვენ მსხვერპლსა რომელსამე ღვთაებას, შიმშილი და წყურვილი — თანამოტრაპეზენი არიან მისი.

თავი მესამე

1. ატმანმა იფიქრა: „აჰა სამყარონიც, აჰა მფარველნიც სამყაროთა. მე შევექმნი მათთვის საზრდელსა“.

2. მან განატფო წყალი. და მისგან, გამტფარისგან, მან შეჰქმნა ხორცქმნილი სახე. ჰეშმარიტად! ხორცქმნილი სახე, რომელიცა მან შეჰქმნა, არის კიდეცა საზრდელი.

3. უკვე ქმნილმან, ამა საზრდელმან, ინატრა დაღწეოდა ატმანსა. ატმანმა ინდომა ხელთეპყრა საზრდელი მეტყველებითა, მან ვერ შესძლო ხელთეპყრობა მისი მეტყველებითა. უკეთუ მას ხელთეპყრა იგი მეტყველებითა, შეიძლებდა განძლომას საზრდელითა, უკვე ღალადმოფელი მეტყველებისა.

4. ატმანმა ინდომა ხელთეპყრა საზრდელი მშვინვითა, მან ვერ შესძლო ხელთეპყრობა მისი მშვინვითა. უკეთუ მას ხელთეპყრა იგი მშვინვითა, შეიძლებდა განძლომას საზრდელითა უკვე ჩამშვინველი მისი სურნელისა.

5. ატმანმა ინდომა ხელთეპყრა საზრდელი სახედველითა, მან ვერ შესძლო ხელთეპყრობა მისი სახედველითა. უკეთუ მას ხელთეპყრა იგი სახედველითა, შეიძლებდა განძლომას საზრდელითა, უკვე მზილველი მისი.

6. ატმანმა ინდომა ხელთეპყრა საზრდელი სასმენელითა, მან ვერ შესძლო ხელთეპყრობა მისი სასმენელითა. უკეთუ მას ხელთეპყრა იგი სასმენელითა, შეიძლებდა განძლომას საზრდელითა, უკვე მსმენელი მისი.

7. ატმანმა ინდომა ხელთეპყრა საზრდელი კანითა, მან ვერ შესძლო ხელთეპყრობა მისი კანითა. უკეთუ მას ხელთეპყრა იგი კანითა, შეიძლებდა განძლომას საზრდელითა, უკვე შემხები მისი.

8. ატმანმა ინდომა ხელთეპყრა საზრდელი გონებითა, მან ვერ შესძლო ხელთეპყრობა მისი გონებითა. უკეთუ მას ხელთეპყრა იგი გონებითა, შეიძლებდა განძლომას საზრდელითა, უკვე მოფიქრალი მასზე.

9. ატმანმა ინდომა ხელთეპყრა საზრდელი საშოათა, მან ვერ შესძლო ხელთეპყრობა მისი საშოათა. უკეთუ მას ხელთეპყრა იგი საშოათა, შეიძლებდა განძლომას საზრდელითა, უკვე გადმომღვრელი თესლისა.

10. ატმანმა ინდომა ხელთეპყრა საზრდელი ამომშვინვითა, და მან ხელთეპყრა იგი. საზრდელისა ხელთეპყრობელი — ქარია; საზრდელითა ~~ცოცხალი~~ მყოფელი — იგი, ჭეშმარიტად ქარია.

11. მან იფიქრა: „ვითა ძალუძს სიცოცხლე მას თვინიერ ჩქმრსქმან მან იფიქრა: „ვითა შეველწევი მე ამა ტანსა?“ მან იფიქრა: „უკეთუ შეტყველებითა მეტყველებენ, უკეთუ მშვინვითა მშვინვენ, უკეთუ სახედველითა ხედვენ, უკეთუ სასმენელითა ისმენენ, უკეთუ კანითა ეხებიან, უკეთუ გონებითა ფიქრობენ, უკეთუ ამომშვინვითა ამომშვინვენ, უკეთუ საშოათა თესლსა ღვრიან, მაშ მე ვინლა ვარ?“

12. და, განმკვეთელმან თავისა ქალის ნაწიბურისა, მან შეაღწია ამა ბჭეებითა. სახელი ამა ბჭეებისა — ვიდრითია. იგი — ნეტარებაა. იგი იქ სამსა ნავსაყუდელსა ფლობს, სამსა მყოფიარებას ძილისას. აჰა — ნავსაყუდელი, აჰა — ნავსაყუდელი, აჰა — ნავსაყუდელი.

13. რა იშვა, მან იწყო ჭვრეტა არსთა, ფიქრითა: „სხვაზედ აქ რაზედ უნდა ეუბნათ?“ და მან იხილა პურუშა, ბრაჰმასა ყოველისგნითშემღწევი, და პრქვა: „მე ვიხილე იგი“.

14. ამიტომაც მისი სახელია იდანდრა. ჭეშმარიტად! მისი სახელია იდანდრა. ბოლო მას, იდანდრას, ფარულად ინდრას უხმობენ, რამეთუ ღმერთებს იღუმალება უყვართ..

ნაწილი მეორე

1. ჭეშმარიტად! ატმანი იგი პირველხანად შეიქმნების ჩანასახი ადამიანში. ამა თესლსა — ძალასა, ტანის ყოველ ასო-ნაწილთაგან შემკრბარსა, — ადამიანი თვისა თავში ატარებს ვითა ატმანსა. ოდეს იგი თესლსა ჩაულვრის ქალსა, იგი დაჰბადებს მას. ეს პირველი დაბადებაა მისი.

2. თესლი იგი შეიქმნების ატმანი ქალისა — ვითა ნაწილი მისი საკუთარი ტანისა; ამიტომ იგი არა ვნებს მას. იგი კვებავს კაცისა ამა ატმანს, საშოში შეღწეულისა.

3. მას, მკვებავსა, მართებს კვება. ქალი ატარებს მას ვითა ჩანასახსა. იგი კვებავს შვილსა დაბადებამდეც და დაბადებისა შემდგომაც. შვილისა მკვებავი დაბადებამდეც და დაბადებისა შემდგომაც, კვებავს თვისა თავსაც ამა სამყაროთა გაჟამგრძელებისათვის, რამეთუ ამგვარად გაჟამგრძელდების სამყარონი. ეს მეორე დაბადებაა მისი.

4. იგი, მისი ატმანი, შეიქმნების მამისა სანაცვლო კეთილ საქმეთა აღსასრულებლად, ამისა შემდგომად მეორე მისი ატმანი, რა აღასრულებს იმას, რისი აღსრულებაა მართებს, თვისსა ასაკს მიღწეული, დაუტევებს ამიერ სოფელსა. ამიერ სოფლისა დამტევებელი, იგი კვლავ იბადება. ეს მესამე დაბადებაა მისი. რიშთაგან ამგვარად თქმულა:

5. „ჯერ კიდევ დედისა წიაღში მყოფმან, მე შევიცან ყველა დაბადება ღმერთთა.

ასობით რკინის ციხე-სიმაგრე მიცავდა მე; შევარდნისა სისწრაფით გამოვფრინდი იქიდან“.

— ასე სთქვა ვამადევნიამ, ჭერ კიდევ დედისა საშოში მყოფმან.
 6. ამისა მეცნაურმან და ზე აღმართულმან ამა ტანის დარღვევისა შემდგომ, იგი დაეუფლა საწადელთა აღსრულებას იმა ზეციერსა სამყაროს და იქმნა უკვდავი, იქმნა უკვდავი.

ნაწილი მისამე



1. „ვინაა იგი, ვისაცა ჩვენ თაყვანსა ვსცემთ ვითა ატმანსა? რომელია იმთგან ატმანი?“ — იგია, ვისი წყალობითაც მზერენ, ვისი წყალობითაც ესმით, ვისი წყალობითაც იყნოსენ სურნელსა, ვისი წყალობითაც აღავლენენ მეტყველებასა, ვისი წყალობითაც არჩევენ ტკბილსა და მწარესა.

2. იგი, რაიცა გულია და გონება, ცნობიერება, შეგნება, მიხვედრილობა, შემეცნება, სიბრძნე, გამჭრიახობა, სიმტკიცე, აზროვნება, ბჭობა, ლტოლვა, მესხიერება, წარმოსახვა, განზრახვა, სიცოცხლე, სიყვარული, მეუფება — ყოველივე ეს სახელნი შემეცნებისმიერია.

3. იგი — ბრაჰმია, იგი — ინდრია, იგი — პრაჯაპატია და ყოველი ღმერთთა და ხუთი დიადი ელემენტია: მიწაა, ქარია, ჰაერისა სივრცეა, წყალია, სინათლეა; ხოლო ეს ციციქნა ნაირსახოვანი არსებანიცა ამა თუ იმა თესლითგანაა — შობილნი კვერცხითგან, და შობილნი საშოთგან, და შობილნი ოფლითგან, და შობილნი მორჩითგან, და ცხენებიცა, ძროხანიცა, კაცნიცა, სპილონიცა; და ყოველი, რაიცა მშვინავს, და რაიცა იძვრის მიწაზედ, და რაიცა ფრენს ზეცით, და რაიცა უძრავია. ყოველივე ეს შემეცნებითა განცხადებულა, შემეცნებასა დადგრომილა. სამყარო შემეცნებითა განცხადებულა, შემეცნებასა დადგრომილა. შემეცნება — ბრაჰმია.

4. წილხვდომელი ამა შემეცნებელი ატმანითა ზე აღმართული ამა სამყაროდან, იგი დაეუფლა ყოვლისა საწადელისა აღსრულებას იმა ზეციერსა საუფლოს და იქმნა უკვდავი, და იქმნა უკვდავი.

კაუშითაჲი უკანონადა

ნაწილი მეოთხე

1. ჭეშმარიტად ჩინებულნი იყო ცოდნითა გარგია, ბალაქის ძე. სახლობდა იგი უშინართა, სათვათთა, ქურუთა და ფანჩალთა, ქაშიერთა და ვიდეპთა შორის. ოდეს აჯათაშათრუს ეახლა, ქაშიერთა ხელმწიფეს, ბალაქის ძემ ჰრქვა მას: „მე შენ გაუწყებ ბრაჰმისას“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „ათასსა ძროხასა გიბოძებთ შენ“. ჭეშმარიტად! აჰა, სიტყვები, რის ღროსაც მიმორბიან კაცნი, შეძახილითა: „ჯანაქა! ჯანაქა!“

2. მზეში — სილიადეა, მთოვარეში — საზრდელია, ელვაში — ჭეშმარიტებაა, ქუხილში — ბგერაა, ქარში — ინდრა ვაიქუნთჰაა, სივრცეში — საესებაა, ცეცხლში — უძლეველობაა. წყალში — სიმხურვალეა. აჰა, — ღვთაებათათვის. აწ, — ატმანისათვის. ანარეკლში — მსგავსია, აჩრდილში — ორეულია, გამოხმობაში — სიცოცხლეა, ბგერაში — სიკვდილია, ძილში — იამაა, ტანში — პრაჯაპატია, მარჯვენა სახედველში — მეტყველებაა, მარცხენა სახედველში — ჭეშმარიტებაა.

3. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჭეშმარიტად! მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რო-

მელიცა მზეშია“.. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა. „არ ეგების განსჯა მისი. ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ მას ვითა დიადსა, სპეტაკითა შემოსილს, ვითა უმაღლესსა, ვითა მეუფეს ყოველი არსისა. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, შეიქმნების ამაღლებული, მეუფე ყოველი არსისა“.

4. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რომელიცა მთოვარეშია“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „არ ეგების განსჯა მისი. ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა საზრდელისა ატმანს. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, შეიქმნების ატმანი საზრდელისა“.

5. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რომელიც ელვაშია“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა. „არ ეგების განსჯა მისი. მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა ჰეშმარიტებისა ატმანს. იგი ვინცა, ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, შეიქმნების ატმანი ჰეშმარიტებისა“.

6. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რომელიცა ქუხილშია“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „არ ეგების განსჯა მისი. ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა ბგერისა ატმანს. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, შეიქმნების ატმანი ბგერისა“.

7. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რომელიცა ქარშია“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „არ ეგების განსჯა მისი. ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა ინდრა ვაიქუნთჰას, ვითა უძლეველსა მხედრობას. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, შეიქმნების ძლევაშოსილი, უძლეველი, მძლეველი მტერთა“.

8. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რომელიცა სივრცეშია“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „არ ეგების განსჯა მისი. ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა ბრაჰმასა, სავსესა და უძრავსა. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, განიმრავლებს შთამომავლობასა და ხვასტაგსა, დიდებასა, საღმრთო ცოდნის ნათელსა, ზეციერსა სამყაროსა; მიაღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას“.

9. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რომელიცა ცეცხლშია“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „არ ეგების განსჯა მისი. ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა უძლეველსა. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, შეიქმნების უძლეველი ყოველთა შორის“.

10. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რომელიც წყალშია“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „არ ეგების განსჯა მისი. ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა სიმხურვალისა ატმანს. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, შეიქმნების ატმანი სიმხურვალისა“. აჰა, — ღვთაებათათვის. აწ, — ატმანისათვის.

11. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რომელიცა ანარეკლშია“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „არ ეგების განსჯა მისი. ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა მსგავსსა. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, დაჰბადებს თვისისა მსგავს შთამომავლობას, და არა თვისისა არამსგავსს“.

12. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რომელიცა აჩრდილშია“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „არ ეგების განსჯა მისი. ჰეშმარიტად მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა ორეულსა, განუშორებელსა. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, დაჰბადებს ცოლთანა შთამომავლობას, შეიქმნების მფლობელი შთამომავლობისა“.

13. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჭეშმარიტად! მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რომელიცა გამოხმობაშია“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „არ ეგების განსჯა მისი. ჭეშმარიტად! მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა სიცოცხლესა. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, უგრძობლობა არ დაიუფლებს სრულ ჰასაკამდე“.

14. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჭეშმარიტად! მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რომელიცა ბგერაშია“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „არ ეგების განსჯა მისი. მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა სიკვდილსა. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, არ გარდიცვლების, სრულ ჰასაკამდე“.

15. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჭეშმარიტად! მე თაყვანსა ვცემ მძინარ პურუშას, რომელიცა ძილში დახეტილობს“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „არ ეგების განსჯა მისი. ჭეშმარიტად! მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა სიკვდილისა მეუფეს. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, ყოველი მორჩილებს აღმატებულებისა გამო“.

16. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჭეშმარიტად! მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რომელიცა ტანშია“, აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „არ ეგების განსჯა მისი. ჭეშმარიტად! მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა პრაჯაპატის. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, განიმრავლებს შთამომავლობასა და ზვასტაგსა, დიდებასა, საღმრთო ცოდნის ნათელსა, ზეციერსა სამყაროს; მიაღწევს სრულ ჰასაკს სიცოცხლისას“.

18. ბალაქის ძემ ჰრქვა: „ჭეშმარიტად! მე თაყვანსა ვცემ პურუშას, რომელიცა მარჯვენა სახედველშია“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „არ ეგების განსჯა მისი. ჭეშმარიტად! მე თაყვანსა ვცემ მას, ვითა მეტყველებისა ატმანს, ცეცხლისა ატმანს, სინათლისა ატმანს. იგი, ვინცა ასეთნაირად თაყვანსა სცემს მას, შეიქმნების ატმანი ამა ყოველთა“.

19. ამისა შემდგომად ბალაქის ძე დადუმდა. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „ესაა ყოველი, რაიცა უწყი, ბალაქის ძევ?“ — „ესაა ყოველი“, — მიუგო ბალაქის ძემ. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „ჭეშმარიტად! ამაოდ გითქვამს ჩემთვის: „მე გაუწყებ შენ ბრაჰმისას“. ჭეშმარიტად! ბალაქის ძევ, უნდა შევიცნოთ იგი, ვინცა ამა პურუშათა შემქმნელია, ვინცა შემოქმედია ყოველივესი“. მაშინ ბალაქის ძე მიეახლა აჯათაშათრუს ნაჩეხი შეშითა და ჰრქვა მას: „მომეც ნება მოგეახლო შენ, ვითა ყრმა“. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: „წესის დარღვევად მიჩნს, ქშათრიამ რომ ბრაჰმანი განსწავლოს. და მაინც ვეცდები განგიმარტო ზოგიერთი რამ“. აჯათაშათრუმ ჩაჰკიდა ხელი ბალაქის ძესა და ორთავემან წინ გასწიეს. კაცს გარდააწყდნენ მძინარს. აჯათაშათრუმ შესძახა მას: „დიადო მეუფევ, სომა! შემოსილო სპეტაკითა“. კაცი არ განძრეულა. მაშინ აჯათაშათრუმ წაჰკრა კვერთხი, და კაცი მსწრაფლ ზე აღიმართა. აჯათაშათრუმ ბალაქის ძეს ჰრქვა: „ბალაქის ძევ! სად იწვა ეს კაცი? რა გარდახდა მას? აქ საიდან მოვიდა იგი?“ ბალაქის ძემ ეს არ უწყოდა. აჯათაშათრუმ მას ჰრქვა: — ალაგი, ბალაქის ძევ, სადაცა იწვა ეს კაცი, რა გარდახდა მას, საიდან მოვიდა იგი, — ძარღვნია, რომელთაც ეწოდება პითა და გულიდან ქსელისა სახით განეფინება დანარჩენს ასო-ნაწილთ. წმინდა, ვითა ბალანი, განწვალული ათას ნაწილად, უსათუთეს მოწითალო-მოყავისფრო, თეთრ, შავ, ყვითელ და წითელ წვეთთაგან შესდგება იგი. აქა ჰგიეს ადამიანი, ოდეს, რა წარიღებს ძილი, ვერა მზერს სიზმრებსა.

20. ამისა შემდგომად კაცი შეერწყმის მშვიინვასა. მასში შევა მეტყველება ყოველი სახელითა, შევა სახედველი ყოველი სახებითა, შევა სასმენელი ყო-

ველი ბგერითა, შევა გონება ყოველი ნაფიქრითა. ოდეს იგი იფხიზლებს, ვითა მოგიზგიზე ცეცხლს განელტვიან ყოველის კიდით ნაპერწკალნი, ისე ატმანსა განელტვიან სასიცოცხლო ძალნი თვისა საყუდელთ, სასიცოცხლო ძალებსა — ღმერთნი, ღმერთებსა — სამყარონი. ჭეშმარიტად! მშენებამ გონებისა ატმანმა შეაღწია ტანისა ატმანს თმის ღეროებამდე, ფეხის ფრჩხილებამდე. მსგავსად იმისა, ვითა დანა იმალვის ქარქაშში ანდა ცეცხლი ბუხარში, ისე გონებისა ატმანმა შეაღწია ტანისა ატმანს თმის ღეროებამდე, ფეხის ფრჩხილებამდე. სასიცოცხლო ძალნი შეფარებულ არიან გონებისა ატმანსა, ვითა გვარტომში — მახვშსა. მსგავსად იმისა, ვითა მახვში საზრდოობს თვისა გვარტომთან ანდა გვარტომი თვისა მახვშთან, ისე გონებისა ატმანი ნეტარებს სასიცოცხლო ძალთაგან, ხოლო სასიცოცხლო ძალნი — გონებისა ატმანითა. ხოლო ჭეშმარიტად! ვიდრე ინდრამ არ შეიცნო ატმანი, მანამ ასურთაგან ძლეულ იყო იგი. რაჟამცა შეიცნო, აოტა იგინი და სძლია ასურთ, მიაღწია დღეკეთილობას, თავისა პყრობას, მეუფებას ყოველი ღმერთისას, ყოველი არსისას. ვინცა ეს უწყის, განაგდებს თვისთაგან ბოროტსა და მიაღწევს დღეკეთილობას, თავისა პყრობას, მეუფებას ყოველი არსისას, — იგი, ვინცა ეს უწყის, იგი, ვინცა ეს უწყის.

მენა უკანისაღებად

თავი პირველი

1. ვისითა დაძრული და განღვიძებული დაჰქრის გონება? ვისითა აღიძვრის მშენება პირველი? ვისითა დაძრულა მეტყველება, ღალადმყოფელი? რომელმან ღმერთმან უხმო სასიცოცხლოდ სახედველსა და სასმენელსა?

2. დამტევებელი იმისა, რაიცა სასმენელია სასმენელისა, გონებაა გონებისა, მეტყველებაა მეტყველებისა, მშენებაა მშენებისა, სახედველია სახედველისა, — ბრძენნი, ამა სოფელსა გარდასულნი, გაუკვდავდებიან.

3. იქ არა შეიღწევის სახედველითა: — არა შეიღწევის არცა მეტყველებითა, არცა გონებითა. ჩვენ არა ვუწყით, ვერცა შევიცნობთ, ვითა ეგების ამისა სწავლა.

4. ჭეშმარიტად! იგი განესხვავების შემეცნებულსა და შეუმეცნებელისაც უმაღლესია — ასე გვსმენია ძველებისგან, რომელთაც განგვიმარტეს ჩვენ ეს.

5. რაცა გამოუთქმელია მეტყველებითა, რითაცა გამოითქმის მეტყველება — უწყოდე: სწორედ იგია ბრაჰმა, და არა იგი, რასაცა კაცნი თაყვანსა სცემენ ამიერ სოფლად.

6. რაცა წარმოუსახველია გონებითა, რითაცა, ვითა ამბობენ წარმოისახება გონება — უწყოდე: იგია ბრაჰმა, და არა იგი, რასაცა კაცნი თაყვანსა სცემენ ამიერ სოფლად.

7. რაცა უხილავია სახედველითა, რითაცა იხილვის სახედველი — უწყოდე: იგია ბრაჰმა, და არა იგი, რასაცა კაცნი თაყვანსა სცემენ ამიერ სოფლად.

8. რაცა შეუსმენელია სასმენელითა, რითაცა შეისმინებს სასმენელი — უწყოდე: იგია ბრაჰმა, და არა იგი, რასაცა კაცნი თაყვანსა სცემენ ამიერ სოფლად.

9. რაცა უმშენებელია მშენებითა, რითაცა მშენავს მშენება — უწყოდე: იგია ბრაჰმა, და არა იგი, რასაცა კაცნი თაყვანსა სცემენ ამიერ სოფლად.

1. „უკეთუ შენ მიგაჩნია, რომ კარგად უწყვი ბრაჰმა, მაშინ, დასტურ, შენ ოდენ მცირედ უწყვი სახე ბრაჰმისა — სულერთია, იგი შენ შეგვხვება თუ ღმერთებსა. ამგვარად, ამისა ახსნა შენ გმართებს, რამეთუ მე განცხადებულად მიჩნს იგი“.

2. „მე მიმაჩნია, რომ კარგად არ ვუწყვი, და არ ვუწყვი — არ ვუწყვი იგი. ვინცა ჩვენს შორის უწყვის იგი, მან უწყვის იგი, და მან არ უწყვის, რომ არ უწყვის“.

3. ვისთვისაც ბრაჰმა აუხსნელია, მან უწყვის იგი; ვისთვისაც იგი ახსნილია, მან არ უწყვის იგი, იგი შეუცნობელია შემმეცნებლისთვის, შეცნობილია შეუმეცნებლისთვის.

4. იგი შეცნობილია, ოდეს შეცნობილია განღვიძებისა წყალობით, რამეთუ კაცი უკვდავებას ეუფლება ამ დროს. თავისა თვისისა წყალობით კაცი ეუფლება ძალებს, ცოდნისა წყალობით — უკვდავებას.

5. უკეთუ კაცმან უწყვის იგი ამიერ სოფლად, მაშინ ეს ჭეშმარიტებაა; უკეთუ არ უწყვის იგი ამიერ სოფლად — მაშინ ეს დიადი დარღვეულობაა. ბრძენნი, ყოველი არსისთვის მოფიქრალნი, ამა სოფელსა გარდასულნი, გაუკვდავდებიან.

თავი მეთხუთმეტი

1. ჭეშმარიტად! ბრაჰმამან გამარჯვება მოიპოვა ღმერთებისა გამო. ღმერთები ზეიმობდნენ ამ გამარჯვებას. და მათ იფიქრეს: „ჭეშმარიტად ჩვენია ეს გამარჯვება, ჭეშმარიტად ჩვენია ეს სიდიადე“.

2. ჭეშმარიტად! ბრაჰმამ გამოიწო ქცევა ღმერთებისა. და გამოეცხადა მათ. ღმერთებმა ვერ შეიციეს იგი: „რაა იგი სული?“

3. მათ ჰრქვეს აგნის: „ო, ჯათავედას! შეიცან, რაა იგი სული“. — „ახლავე“, — სთქვა მან.

4. აგნი მსწრაფლ წარემართა მისკენ. ბრაჰმამ ჰკითხა მას: „ვინა ხარ შენ?“ — „მე, ჭეშმარიტად, აგნი ვარ, მე ვარ ჯათავედასი“.

5. ბრაჰმამ ჰკითხა: „რა ძალაა შენში?“ — „მე ძალმიძს დავფერფლო ყოველი, რააცა მიწად დამკვიდრებულა,“ — მიუგო მან.

6. ბრაჰმამ დაუყარა წინ ბალახი: „დასწვი იგი!“ აგნი მყის დააცხრა ბალახსა, მაგრამ ვერ შესძლო დაწვა მისი. მაშინ იგი უკუიქცა და სთქვა: „ვერ შევიცან, თუ რაა იგი სული“.

7. მაშინ ღმერთებმა ჰრქვეს ვაიუს: „ო, ვაიუ! შეიცან, რაა იგი სული“. — „ახლავე“, — თქვა მან.

8. ვაიუ მსწრაფლ წარემართა მისკენ. ბრაჰმამ ჰკითხა მას. „ვინა ხარ შენ?“ — „მე, ჭეშმარიტად, ვაიუ ვარ, მე ვარ მათარიშვანი“.

9. ბრაჰმამ ჰკითხა: „რა ძალაა შენში?“ — „მე ძალმიძს წარვხოცო ყოველი, რააცა მიწად დამკვიდრებულა,“ — მიუგო მან.

10. ბრაჰმამ დაუყარა წინ ბალახი: „წარხოცე იგი“. „ვაიუ მყის დააცხრა ბალახსა, მაგრამ ვერ შესძლო წარხოცვა მისი. მაშინ იგი უკუიქცა და სთქვა: „მე ვერ შევიცან, თუ რაა იგი სული“.

11. მაშინ ღმერთებმა ჰრქვეს ინდრას: „ო, მაგჰავათ! შეიცან, რაა იგი სუ-“

ლი“. — „ახლავ“, — თქვა მან. იგი მსწრაფლ წარემართა მისკენ, მაგრამ ბრაჰმა გაუჩინარდა.

12. და ამ სივრცეში ინდრა შეეყარა მზეთუნახავსა, უმუს, ჰიმავათას ასულსა, და ჰკითხა მას: „ვინაა იგი სული?“

თავი მეოთხე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. მან მიუგო: „ჭეშმარიტად! იგი — ბრაჰმაა, თქვენ ბრაჰმისა ბით განდიდდით“. და მაშინ შეიცნო ინდრამ, რომ იგი — ბრაჰმაა.

2. ჭეშმარიტად! ღმერთები — აგნი, ვაიუ, ინდრა — იმად არიან ძლიერი ღმერთებს შორის, რომ ისინი ყველაზე ახლომთ მიეახლნენ ბრაჰმისა და პირველთა შეიცნეს, რომ იგი — ბრაჰმაა.

3. ჭეშმარიტად! ინდრა იმადაა ძლიერი ღმერთებს შორის, რომ იგი ყველაზე ახლომთ მიეახლა ბრაჰმისა და პირველმან შეიცნო, რომ იგი — ბრაჰმაა.

4. აჰა, დამოძღვრა ბრაჰმისათვის: იგია ის, რააცა ბრწყინავს ელვაში, რააცა ხამხამებს სახედველში. აჰა, — ღვთაებათათვის.

5. აწ, — ატმანისათვის. იგია ის, რისკენაც იძვრის გონება. მისი წყალობით ადამიანს ნიადაგ ახსოვს ყოველი. აქედანვეა — ნება.

6. სახელია მისი — უუსასურველესი. თაყვანისცემა მართებს მისი, ვითა უუსასურველესისა. ვინცა ეს უწყის, მას მიელტვის ყოველი არსი.

7. ყრმა: „ო, მაუწყეთ მე უპანიშადა“. მოძღვარი: „გაუწყეთ შენ უპანიშადა. ჩვენ გაუწყეთ შენ უპანიშადა ბრაჰმისათვის“.

8. მოღვაწეობა, თვითფლობა, საქმე — საყრდენია მისი. ვედები — ნაწილია მისი. ჭეშმარიტება — ნავსაყუდელია მისი.

9. ჭეშმარიტად! ვინცა ეს უწყის, განაგდებს თვისთაგან ბოროტსა და უზენაეს ზეციერსა სამყაროს დაემკვიდრება, დაემკვიდრება უზენაეს ზეციერსა სამყაროს.

თ ა ი თ ი რ ი ა უ პ ა ნ ი შ ა დ ა

ბრაჰმისა ნეტარების განყოფილება

თავი პირველი

1. ხოლო გვეთარვიდეს იგი ჩვენ ორთავესა! ხოლო იქმნას იგი გულსრული ჩვენითა! ხოლო ვიმუშაკოთ ჩვენ ძალისხმევეითა! ხოლო გვექმნას ჩვენ მოძღვრება მან ბრწყინვალენი. ხოლო ნუ ვექმნებით ჩვენ მემტერნენი ერთურთსა. ომ! მშვიდობა, მშვიდობა, მშვიდობა!

2. ომ! მეცნაური ბრაჰმისა ეუფლება უზენაესსა. ამისათვის ამგვარად თქმულა: „ვინცა უწყის, რომ ბრაჰმა — ჭეშმარიტებაა, სიბრძნეა, უსასრულოა გულისა სამალავში, უუმალლესსა სივრცეში, იგი ბრძენ ბრაჰმანთან ერთად ეუფლება აღსრულებას ყოვლისა საწადელისა“.

ჭეშმარიტად! ამა ატმანითა იშვა სივრცე, სივრცითა — ქარი, ქარითა — ცეცხლი, ცეცხლითა — წყალი, წყალითა — მიწა, მიწითა — ბალახნი, ბალახითა — საზრდელი, საზრდელითა — ადამიანი.

ჭეშმარიტად! ადამიანი შედგენილია საზრდელისა წვეთაგან. ეს მისი თა-

ვია. ეს მარჯვენა ფერდია. ეს მარცხენა ფერდია. ეს ტანია. ეს ქვედა ნაწილია, ფუძე.

ხოლო ამისათვის — აჰა ლექსიცა:

თავი მორკი



11. ჭეშმარიტად! საზრდელითა აღმოსცენდების არსნი
 იგინი, რომელნიცა ჰგიან მიწად; არსნი
 ზიგნი
 მერმედ საზრდელითა ცოცხოვრებენ
 და ბოლოს საზრდელსა შევლენ,
 რამეთუ საზრდელი — უუძველესია არსთაგან;
 ამიტომაც უწოდებენ მას ყოვლისგანმკურნავ ბალახსა,
 ჭეშმარიტად! ყოველნაირსა საზრდელსა ისინი უჭამენ;
 რომელნიცა თაყვანსა სცემენ საზრდელსა ვითა ბრაჰმასა,
 რამეთუ საზრდელი — უუძველესია არსთაგან;
 ამიტომაც უწოდებენ მას ყოვლისგანმკურნავ ბალახსა.
 საზრდელითა იშვის არსნი.
 შობილნი, ხარობენ საზრდელისა წყალობით;
 იგი კვებავს და თავადაც იკვებება არსნითა
 და ამიტომაც უწოდებენ საზრდელსა.

ამა ატმანსა, შედგენილსა წვეთთაგან, ჭეშმარიტად! განესხვავების შინაგანი ატმანი, შედგენილსა მშვინებითა. მათითა აღვსილა იგი ატმანი. ჭეშმარიტად! მასაცა კაცებრი სახე აქვს. კაცისა მსგავსად — ერთსაცა კაცებრი სახე აქვს და მეორესაც. მშვინვა ფილტვებში — თავია მისი; მშვინვა, ტანსა განცხოველებული, — მარჯვენა ფერდია; მშვინვა, ტანსა ქვემდინარი, — მარცხენა ფერდია; სივრცე — ტანია, მიწა — ქვედა ნაწილია, ფუძე.

ხოლო ამისათვის — აჰა ლექსიცა:

თავი მისამი

1. ღმერთნი მშვინავენ მშვინვითა,
 აგრეთვე — კაცნიცა და ცხოველნიცა,
 რამეთუ მშვინვა — სიცოცხლეა არსთა;
 ამიტომაც უწოდებენ მას ყოვლადსა სიცოცხლესა.
 სრულ ჰასაქს სიცოცხლისას ისინი აღწევენ,
 რომელნიც თაყვანსა სცემენ მშვინვასა ვითა ბრაჰმასა,
 რამეთუ მშვინვა — სიცოცხლეა არსთა;
 ამიტომაც უწოდებენ მას ყოვლადსა სიცოცხლესა.

მისი ტანისმიერი ატმანი — იმგვარივეა, როგორცა წინამავლისა. ამა ატმანსა, შედგენილსა მშვინებითა, ჭეშმარიტად, განესხვავების შინაგანი ატმანი, შედგენილი გონებითა. მისითა აღვსილა იგი ატმანი. ჭეშმარიტად! მასაცა კაცებრი სახე აქვს. კაცისა მსგავსად — ერთსაც კაცებრი სახე აქვს და მეორესაც. იაჯუსი — თავია მისი, რიჩ — მარჯვენა ფერდია, სამანი — მარცხენა ფერდია, დამოდღვრა — ტანია, ათჰარვანგირასნი — ქვედა ნაწილია, ფუძე.

ხოლო ამისათვის — აჰა ლექსიცა:

თავი მეთხუთსი

1. მისგან უკუიქცევიან სიტყვები
გონებასთან ერთად. ვერ შემძლებელი წვდომად მისსა,
ბრაჰმისა ნეტარების მეცნაური
არაოდეს განიცდის შიშსა.



მისი ტანისმიერი ატმანი — იმგვარივეა, როგორცა წინამავლისა. ამა ატ-
მანსა, შედგენილსა გონებითა, ჭეშმარიტად, განესხვავების შინაგანი ატმანი,
შედგენილი შემეცნებითა. მისითა აღესილა იგი ატმანი. ჭეშმარიტად! მისაცა
კაცებრი სახე აქვს, კაცისა მსგავსად — ერთსაც კაცებრი სახე აქვს და მეორე-
საც. რწმენა — თავია მისი, ჭერარსი — მარჯვენა ფერდია, ჭეშმარიტება —
მარცხენა ფერდია, თანხმობა — ტანია, სიდიადე — ჭვედა ნაწილია, ფუძე.
ხოლო ამისათვის — აჰა ლექსიცა:

თავი მეთხუთი

1. შემეცნება წარმართავს მსხვერპლშეწირვას
და წარმართავს აგრეთვე ჭმედებას;
შემეცნებას ყველა ღმერთი
თაყვანსა სცემს ვითა ბრაჰმასა, ვითა ძველთუძველესსა,
ვინცა უწყის, რომ შემეცნება — ბრაჰმაა,
და არა უკუიქცევის მისგანა,
იგი, ტანსა ცოდვათა წარმხოცველი,
ეუფლება აღსრულებას ყოვლისა საწადელისა.

მისი ტანისმიერი ატმანი — იმგვარივეა, როგორცა წინამავლისა. ამა ატ-
მანსა, შედგენილსა შემეცნებითა, ჭეშმარიტად, განესხვავების შინაგანი ატმანი,
შედგენილი ნეტარებითა. მისითა აღესილი იგი ატმანი. ჭეშმარიტად! მასაცა კა-
ცებრი სახე აქვს, კაცისა მსგავსად — ერთსაც კაცებრი სახე აქვს და მეორე-
საც. გულსრულობა — თავია მისი, სიხარული — მარჯვენა ფერდია, უმაღლესი
სიხარული — მარცხენა ფერდია, ნეტარება — ტანია, ბრაჰმა — ჭვედა ნაწი-
ლია, ფუძე.
ხოლო ამისთვის — აჰა ლექსიცა:

თავი მეთხუთხუთი

1. არარსებულად შეიქმნების იგი,
ვინცა უწყის ბრაჰმა ვითა არა-არსი,
ვინცა უწყის: „ბრაჰმა არის“.
მასზედ უწყიან ვითა არსებულზედ.

მისი ტანისმიერი ატმანი — იმგვარივეა, როგორცა წინამავლისა. აწ —
საკითხნი სხვანი: გარდავალს იმა სოფლად სიკვდილისა შემდგომ უმეცარი?
დაეუფლება იმა სოფელს სიკვდილისა შემდგომ მეცნაური?
და ატმანმა ინატრა: „ხოლო შევიქმნა მე მრავალი ფრიად! ხოლო განვამ-
რავლო მე შვილთაშვილობა!“ იგი აღინთო მოღვაწეებითა. მოღვაწეებითა ანთე-

ბულმან, მან შექმნა ყოველივე იგი. რაიცა არსებობს ყოველივეს შემქმნელ-
მან, მან შეაღწია შექმნილსა. შეღწეული, იგი შეიქმნა არსებული და ცხადი,
ახსნილი და აუხსნელი, დამკვიდრებული და დაუმკვიდრებელი, შეცნობილი
და შეუცნობელი, ნამდვილი და ცრუ. ჭეშმარიტებად იქმნა ყოველი, რაიცა აქა,
და მას ეწოდა ჭეშმარიტება.

ხოლო ამისათვის — აჰა ლექსიცა:



თავი მეხვინდი

1. ჭეშმარიტად! პირველჯამად ყოველი იყო არა-არსი;
მისგან, ჭეშმარიტად, იშვა არსი;
მან შექმნა თავი თვისი.
ამიტომაც უწოდებენ მას ღირსეულად ქმნილსა.

ჭეშმარიტად! რაიცა ღირსეულად ქმნილია, იგი, ჭეშმარიტად, — არსია,
რამეთუ, არსსა დაუფლებული, კაცი შეიქმნების ნეტარი, რამეთუ ვინ შესძლე-
ბდა ამომშვინვას, ვინ შესძლებდა ჩამშვინვას, სივრცე რომ ნეტარებით არ იყოს
განცხოველებული, რამეთუ სწორედ იგი გვანიჭებს ნეტარებას, რამეთუ, ოდ-
ეს კაცი ეუფლება უშიშობასა და საყრდენსა ამა უხილავსა, უსხეულოსა,
ამოუხსნელსა, დაუმკვიდრებელსა სამყაროში, მაშინ იგი ეუფლება უშიშობასა.
უკეთუ იგი მასში ჭკრეტს მცირედსა განსხვავებასაც კი, მაშინ მას ეუფლება
შიში, ხოლო ჭეშმარიტად! იგი შიში მეცნაურისაა, არა განმაბჭობელისა.

ბანყოფილება ბჭრიგუ

თავი პირველი

1. ჭეშმარიტად! ბჭრიგუ, ვარუნას ძე, მიეახლა ვარუნას, მამასა თვისსა
და ჰრქვა: „მეუფეო! მაუწყე მე ბრაჰმისა“. მამამან განუმარტა ძესა — რაა სა-
ზრდელი, რაა მშვინვა, რაა სახედველი, რაა სასმენელი, რაა მეტყველება და
ჰრქვა მას: „ჭეშმარიტად! ეცადე შეიცნო, რისაგან იშვნენ იგი არსნი, რისა
წყალობით ცოცხლობენ დაბადებულნი, რასა შევლენ გარდაცვალებისა შემ-
დგომ, და სწორედ იგია — ბრაჰმა“. და ბჭრიგუ აღინთო მოღვაწეებითა, მოღვა-
წეებითა ანთებულმან.

თავი მეორე

1. შეიცნო, რომ საზრდელი — ბრაჰმაა, რამეთუ, ჭეშმარიტად! საზრდე-
ლითა იშვის არსნი, საზრდელითა ცოცხლობენ დაბადებულნი, საზრდელსა შე-
ვლენ გარდაცვალებისა შემდგომ. ეს რომ შეიცნო, იგი კვლავ მიეახლა ვარუ-
ნას, მამასა თვისსა და ჰრქვა: „მეუფეო! მაუწყე მე ბრაჰმისა“. მამამან მას
ჰრქვა: „ეცადე შეიცნო ბრაჰმა მოღვაწეებითა, ბრაჰმა — მოღვაწეაა“. და
ბჭრიგუ აღინთო მოღვაწეებითა, მოღვაწეებითა ანთებულმან

თავი მესამე

1. შეიცნო, რომ მშვინვა — ბრაჰმაა, რამეთუ, ჭეშმარიტად! მშვინვითა
იშვის არსნი, მშვინვითა ცოცხლობენ დაბადებულნი, მშვინვასა შევლენ გარ-

დაცვალებისა შემდგომ. ეს რომ შეიცნო, იგი კვლავ მიეახლა ვარუნას, მამასა თვისსა და ჰრქვა: „მეუფეო! მაუწყე მე ბრაჰმისა“. მამამან მას ჰრქვა: „ეცადე შეიცნო ბრაჰმა მოღვაწებითა“. და ბჰრიგუ აღინთო მოღვაწებითა. მოღვაწებითა ანთებულმან



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

1. შეიცნო, რომ გონება — ბრაჰმაა. რამეთუ, ჭეშმარიტად! გონებითა იშვის არსნი, გონებითა ცოცხლობენ დაბადებულნი, გონებასა შევლენ გარდაცვალებისა შემდგომ. ეს რომ შეიცნო, იგი კვლავ მიეახლა ვარუნას, მამასა თვისსა და ჰრქვა: „მეუფეო! მაუწყე მე ბრაჰმისა“. მამამან მას ჰრქვა: „ეცადე შეიცნო ბრაჰმა მოღვაწებითა. ბრაჰმა — მოღვაწებაა“. და ბჰრიგუ აღინთო მოღვაწებითა. მოღვაწებითა ანთებულმან

თავი მეხუთე

1. შეიცნო, რომ შემეცნება — ბრაჰმაა. რამეთუ, ჭეშმარიტად! შემეცნებითა იშვის არსნი, შემეცნებითა ცოცხლობენ დაბადებულნი, შემეცნებასა შევლენ გარდაცვალებისა შემდგომ. ეს რომ შეიცნო, იგი კვლავ მიეახლა ვარუნას, მამასა თვისსა და ჰრქვა: „მეუფეო! მაუწყე მე ბრაჰმისა“. მამამან მას ჰრქვა: „ეცადე შეიცნო ბრაჰმა მოღვაწებითა. ბრაჰმა — მოღვაწებაა“. და ბჰრიგუ აღინთო მოღვაწებითა. მოღვაწებითა ანთებულმან

თავი მეექვსე

1. შეიცნო, რომ განცხრომა — ბრაჰმაა. რამეთუ, ჭეშმარიტად! განცხრომითა იშვის არსნი, განცხრომითა ცოცხლობენ დაბადებულნი, განცხრომასა შევლენ გარდაცვალებისა შემდგომ. ასეთია ცოდნა ბჰრიგუსი და ვარუნასი, დაფუძნებული უმაღლეს ცაზედ. ვინცა ეს უწყის, ეუფლება საფუძველსა, მდიდარია საზრდელითა და მიმღებია საზრდელისა, უხვია შთამომავლობითა და ხვასტაგითა, საღმრთო ცოდნის ნათელითა, უხვია დიდებითა.

თავი მეშვიდე

1. ხოლო ნუ ჰყვედრის იგი საზრდელსა, — ასეთია მცნება. ჭეშმარიტად! მშეინვა — საზრდელია, ტანი — მიმღებია საზრდელისა. ტანი დაფუძნებია მშეინვასა, მშეინვა დაფუძნებია ტანსა. ამრიგად, საზრდელი დაფუძნებია საზრდელსა. ვინცა უწყის, რომ საზრდელი დაფუძნებია საზრდელსა, ეუფლება საფუძველსა, მდიდარია საზრდელითა და მიმღებია საზრდელისა, უხვია შთამომავლობითა და ხვასტაგითა, საღმრთო ცოდნის ნათელითა, უხვია დიდებითა.

თავი მერვე

1. ხოლო ნუ შეიზიზღებს იგი საზრდელსა, — ასეთია მცნება. ჭეშმარიტად! წყალი — საზრდელია, სინათლე — მიმღებია საზრდელისა. სინათლე და-

ფუძნებია წყალსა, წყალი დაფუძნებია სინათლესა. ამრიგად, საზრდელი დაფუძნებია საზრდელსა. ვინცა უწყის, რომ საზრდელი დაფუძნებია საზრდელსა, ეუფლება საფუძველსა, მდიდარია საზრდელითა და მიმღებია საზრდელისა, უხვია შთამომავლობითა და ხვასტაგითა, საღმრთო ცოდნის ნათელითა, უხვია დიდებითა.



თავი მცხრა

1. ხოლო განამზადოს მან უხვად საზრდელი, — ასეთია მცნება. ჭეშმარიტად! მიწა — საზრდელია, სივრცე — მიმღებია საზრდელისა. სივრცე დაფუძნებია მიწასა, მიწა დაფუძნებია სივრცესა. ამრიგად, საზრდელი დაფუძნებია საზრდელსა. ვინცა უწყის, რომ საზრდელი დაფუძნებია საზრდელსა, ეუფლება საფუძველსა, მდიდარია საზრდელითა და მიმღებია საზრდელისა, უხვია შთამომავლობითა და ხვასტაგითა, საღმრთო ცოდნის ნათელითა, უხვია დიდებითა.

ქათვა უპანიშადა

ნაწილი პირველი

თავი პირველი

1. ჭეშმარიტად! ვაჯაშრავესამ გულუხვად გასცა ყოველი, რაიცა ებადა. მას ესვა ძე, სახელად ნაჩიქეთასი.

2. და ოდეს ჩუქნიდნენ ქურუმთ საბოძვარს, რწმენითა აღივსო იგი, ჭერ კიდევ ყრმა, და მან იფიქრა:

3. „აჰა, ისინი დარწყულდნენ, იბალახეს, გამოწველეს რძე, უნაყოფონი იქმნენ ისინი.

ჭეშმარიტად! უსიხარულონი არიან სამყარონი, სადაცა დავალს განმცემელნი ძროხათა“.

4. და ჰრქვა მან მამასა: „მამავ, ვის მიმცემ მე?“ მეორედ და მესამედ რომ განიმეორა ეს სიტყვები, განრისხებულმა მამამ მას ჰრქვა: „სიკვდილსა მიგცემ მე შენ!“

5. ნაჩიქეთასმა ჰრქვა: „მრავალთა შორის პირველი მივალ მე, მრავალთა შორის შუალა მივალ მე.

რაა ვალი იამასი, რასა აღასრულებს დღეს იგი ჩემითა?

6. მიჰხედე უკან უწინდელსა ხალხსა, გაჰხედე წინ აწინდელთ — თესლისა მსგავსად მწიფს მოკვდავი, თესლისა მსგავსად კვლავ იშვის იგი“.

7. „ცეცბლისა მსგავსად შედის ხშირად ბრაჰმანი სახლში, სადაცა მას უბოძებენ დამაცხოვრებელსა ძღვენსა. მომართვი წყალი, ვაივასვათა.

8. იმედი და მოლოდინი, მეგობრობა, სიხარული, მსხვერპლშეწირვა და კეთილი საქმენი, ძენი და ხვასტაგი —

ყოველივე ეს ელუპება ჭკუანაკლულ კაცსა, ვის სახლშიაც ცხოვრობს ბრაჰმანი, გაუმასპინძლებელი ჭამადითა“.

9. რაკილა შენ დაჰყავ სამი ღამე ჩემთან, გაუმასპინძლებელი ჭამადითა. ბრაჰმან, ღირსეულო სტუმარო, —

თაყვანისცემა შენდა. ბრაჰმან! სიკეთე ჩემდა! აღირჩიე ამიტომ სამი საჩუქარი შენთვისა“.

10. ნაჩიქეთასმა პრქვა: „ო, სიკვდილო! დაე დაცხრეს თავისა ლტოლვებში გაუთამა, მამაჲ ჩემი და მექმნეს შემწყალებ, დაე დაუცხრეს მრისხანებაჲ ჩემდამო.“

დაე მცნოს მე და მომეფეროს, შენითა განტევებულს, — ასეთია სამთაგან პირველი საჩუქარი. რასაცა მე აღვირჩევ“.

11. იამამ პრქვა: „ძველებრ ვალიარებს შენ უდალაქა არუნი მოწყალებითა ჩემითა.“

იგი მშვიდად დაიძინებს ლამ-ლამობით, დაცხრება რისხვაჲ მისი შენი ხილვისას, დახსნილსა სიკვდილისა ხახისგან“.

12. ნაჩიქეთასმა პრქვა: „ზეციერსა სამყაროს შიში არაჲ, შენ არა ხარ იქ და არცა სიბერისა ეშინიათ.“

მძლეველნი შიმშილისა და წყურვილისა, — საღმობისა სამზღვარს გარდამლახველნი, ნეტარებენ კაცნი ზეციერსა სამყაროს.

13. შენ, სიკვდილო, უწყი ზეციერისა ცეცხლისა, მაუწყე მისისა მე, რწმენითა აღვსილს, —

იმისა თუ ვითარ ნეტარებენ ზეციერი სამყაროს მკვიდრნი უკვდავებითა — ასეთია სამთაგან მეორე საჩუქარი. რასაცა მე აღვირჩევ“.

14. იამამ პრქვა: „მე გაუწყებ შენ ზეციერისა ცეცხლისას — მომაპყარ გულისხმა, ნაჩიქეთას, და შეიცან იგი.“

უწყოდე, რომ იგი ცეცხლი — წვდომაჲ უსასრულო სამყაროსი, საფუძველია შემალული გულისა სამალავში“.

15. და იამამ მოუთხრო მას ცეცხლისა — სამყაროს დასაბამისა, სამსხვერპლო საკურთხევლის ნაწილებისა — რაგვარია და რამდენი ისინი, რაგვარია მათი წესრიგი.

და ნაჩიქეთასმა განიმეორა ყოველი, რაიც მას აუწყეს, და სიკვდილისა ღმერთმან, ამითა ფრიად გულსავსემან, კვლავ მიიპყრო გულისხმა მისი.

16. ხოლო დიდსულოვანმა იამამ, მოწყალებითა აღძრულმან, მას პრქვა: „კიდევ გიბოძებ შენ ერთსა ძღვენსა:“

ცეცხლსა ამას მე მივანიჭებ შენსა სახელსა. აჰა, იპყარ ხელთ მრავალსა-ხოვანი ფარლული იგი.

17. ვინცა სამგზის აღანთებს ცეცხლსა ნაჩიქეთასს, იგი, სამებასა შერწყმული, აღასრულუბს სამსა ქმედებას, სძლევს დაბადებასა და სიკვდილსა.

ვინცა შეიცნო და განსცადა ყოველი, ბრაჰმითა შექმნილი, — ღვთაებრივი, ღირსთაყვანისცემი, იგი ეუფლება მარადიულსა სიმშვიდეს.

18. ვინცა სამგზისს აღანთებს ცეცხლსა ნაჩიქეთასს, შემცნობი სამებისა, და ასეთნაირად იფიქრებს ცეცხლსა ნაჩიქეთასზე, იგი სიკვდილისა ხუნდების დამამსხვრეველი, მძლეველი საღმობისა, ნეტარებს ზეციერსა სამყაროს.

19. იგი შენი ზეციერი ცეცხლია, ნაჩიქეთას, რომელიცა აღირჩიე შენ მეორე საჩუქრად.

ცეცხლსა ამას ხალხი შენს სახელს უწოდებს, აღირჩიე მესამე საჩუქარი“.

20. ნაჩიქეთასმა პრქვა: „იქვი აღეძვრის კაცსა შემდგომად სიკვდილისა — ერთნი ამბობენ: იგი არის, ხოლო მეორენი: იგი არ არის. —“

და შევიცნობ მე ამასაც, შენითა გამეცნიერებული. — აჰა, ძღვენი მესამე ძღვენთა შორის“.

21. იამამ ჰრქვა: „თვით ღმერთნიც კი მოაქყამამდე ეჭვობენ ამასა, რამეთუ ძნელია შეცნობა ამა იდუმალი განსაჩხრეკელისა.

აღირჩიე სხვა საჩუქარი, ნაჩიქეთის, ნუ დამამძიმებ მე, დამხსენ მე ამისაგან“.

22. ნაჩიქეთასმა ჰრქვა: „თვით ღმერთნიც კი ეჭვობენ ჩემსად, ღმერთნი სიკვდილისა აღიარებ, რომ ძნელია შეცნობა ამისაგან“.

ხოლო არ ვეძიო სხვა მოძღვარი, შენი სწორფერი, ამისა დამმოძღვრავი. სხვა არა არის საჩუქარი, რაიცა ამას შეედრებოდეს“.

23. იამამ ჰრქვა: „აღირჩიე საჩუქრად ძენი და შვილთაშვილნი, რომელნიცა იცოცხლებენ მრავალყამიერ; მრავლადა ხვასტაგი, სპილონი, ოქრო, ცხენები.

აღირჩიე სამკვიდრებლად ვრცელნი მამულნი მიწიერ სოფლად და იცოცხლე იმდენსა სოფელსა, რაოდენიცა გწადდეს.

24. უკეთუ ყოველივეს შენ მიიჩნევ საჩუქრისა სწორფერად, აღირჩიე სიმდიდრე და ქამგრძელი სიცოცხლე;

იხარე, ნაჩიქეთას, ამ უზარმაზარს მიწაზედ, მე შენ დაგაუფლებ ყოველსა საწადელსა.

25. მრავალნაირია ძნელმისაწვდომნი საწადელნი მოკვდავთა საუფლოში — უშიშრად ისურვე ყოველი, რაიცა გწადდეს.

აჰა, მზეთუნახავნი ეტლებსა, მემუსიკეთაგან ხლებულნი, — ასეთნი მიუღწეველია კაცთათვის.

დაე, ჩემგან ბოძებულთა, გამსახურებდნენ შენ, ნაჩიქეთას, — მხოლოდ არაფერი მკითხო სიკვდილისა“.

26. ნაჩიქეთასმა ჰრქვა: „წარმავალნი იგი სიამენი მოკვდავსა, ო, ანთაქა, უშრეტენ ყოვლისა გრძნობისა ძალასა,

ხოლო სიცოცხლეს ხომ ხანმოკლეა. შენივ იყოს ეტლი, ცეკვა, სიმღერა.

27. სიმდიდრითა ტკბობა არ ეგების კაცს: განა ძალგვიძს ფლობა სიმდიდრისა, ოდეს გიხილავთ შენ?

ძალგვიძს ჩვენ სიცოცხლე, ვიდრე შენ ბატონობ? ოდენ ამა საჩუქრის აღრჩევა მმართვეს მე.

28. წარხოცვად და სასიკვდილოდ განწირული მიწიერ სოფლად, რომელი კაცთაგანი, მიახლებული წარუხოცველობასა და უკვდავებას,

ვინცა შეიციან და გულისხმაყო ტკბობანი, შობილნი გარეგანი გარსითა და ვნებებით, — შეუდგა სიხარულსა ფრიად ქამგრძელი სიცოცხლისა გამო?

29. გვაუწყე ჩვენ, სიკვდილო, იმისა, რასა ეჭვობენ, რამ დაფარულა დიადსა გარდაცვალებაში, —

ძღვენსა ამას, დაფარულში შემადწეველსა, და არა სხვასა, აღირჩევს ნაჩიქეთასი“.

რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ნანა კოპალაიშვილმა



„განა ოდესმე მოთხოვნია შენთვის, უფალო, რომ თიხისაგან შემქმენ-მეთქი ადამიანად?“
დაბარბუღი სამოთხე

ვუძღვნი უილიამ გოდვინს — „პოლიტიკური სამართლისა“ და „კალებ უილიამსის“ ავტორს — უდიდესი პატივისცემითა და მოკრძალებით.

მერი უოლსტონკრაფტ ზელი.

წინასიტყვაობა

ცნობილი მოაზროვნეებისა და საზოგადო მოღვაწეების უილიამ გოდვინის და მერი უოლსტონკრაფტის ქალიშვილმა, გენიალური ინგლისელი პოეტის პერსი ბიში შელის მეუღლემ, მერი ზელიმ (1797—1851) განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ინგლისელ მწერალთა შორის. თავის ფილოსოფიურ-ფანტასტიკურ რომანში „ფრანკენშტაინი ანუ თანამედროვე პრომეთე“ (1818 წ.) მწერალმა ქალმა ორიგინალურად გამოხატა მუდმივი პროგრესის გარდუვალობის იდეა, ადამიანის გონების ყოვლისშემძლეობა. სწორედ ამის გამოა, რომ ეს ნაწარმოები დღესაც განაგრძობს სიკოცხლეს, დღესაც ეხმაურება თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს.

ტექნიკური პროგრესი ერთი მხრივ მიმართულია ადამიანის საკეთილდღეოდ, ხოლო მეორე მხრივ — მის გასანადგურებლად, ამ დილემის წინაშე დგას დღეს კაცობრიობა, ეს დილემა აღელვებდათ ჯერ კიდევ საუკუნე-ნახევარზე მეტი ხნის წინათ ნიჭიერ მწერალ ქალსა და მისი რომანის მთავარ გმირს ვიქტორ ფრანკენშტაინს.

რომანი „ფრანკენშტაინი“ ინგლისური კლასიკის განუყოფელი ნაწილია. იგი უკვე საუკუნე-ნახევარზე მეტია ცოცხლობს შესანიშნავ გამოცემებში, თეატრალურ დადგმებში, სატელევიზიო გადაცემებში და ფილმებში. მისი გავლენით დაიწერა არაერთი ნაწარმოები. ითარგმნა ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ და საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ენაზე.

ტომი I

წერილი I

მისიუ სევილს, ინგლისი.

სანქტ. პეტერბურგი, 11 დეკემბერი, 17.

გაგიხარდება, როცა გაიგებ, რომ ის წამოწყება, რომლის მიმართაც შენ ასეთი ცუდი წინათგრძნობა გქონდა, არავითარი დაბკროლებით არ შეფერხებულა. მე აქ გუშინ ჩამოვედი, და უპირველეს ყოვლისა, მინდა დაგარწმუნო, ჩემო საყვარელო დაო, რომ მე ძალიან კარგად ვარ და სულ უფრო და უფრო

¹ ჯონ მილტონი, „დაკარგული სამოთხე“. თარგმანი ვახტანგ ქელიძისა.

მემატება მტკიცე რწმენა იმისა, რომ ჩემი წამოწყება წარმატებით დამთავრდება.

მე უკვე შორს ვარ, ლონდონიდან ჩრდილოეთით, დავდივარ პეტერბურგის ქუჩებში, ვგრძნობ, ჩრდილოეთის ცივი ნიაფი როგორ დამთამაშებს სახეზე და მხნეობით და სიხარულით მავსებს. იცი ეს რა გრძნობაა? ეს ნიაფი ხომ სწორედ იმ შიდამოებიდან მოჰქრის, საითკენაც მე ასე მივისწრაფი და წინასწარ მაგრძნობინებს იმ ყინულოვან სივრცეთა სუსხს. ამ მკვლევარულ აღმოჩენილი ქარით შთაგონებული ჩემი ოცნებები კიდევ უფრო მგზნებარე და ცხოველყოფელი ხდებიან. ამოდ ვცდილობ თავი დავაჯერო, რომ ჩრდილოეთის პოლუსი ყინულის მიუვალი და უკაცრიელი სამფლობელოა, ჩემი ფანტაზია მას ყოველთვის მშვენიერების და სიხარულის სავანედ წარმომისახავს.

მარგარეტ, იქ მზე არასოდეს არ ჩადის. მისი ნათელი დისკო ოდნავ გამოჩნდება თუ არა პორიზონტზე, მუდმივი ციალით ასხივოსნებს არემარეს. ჩემო დამ, შენ ალბათ ნებას მომცემ ვენდო ძველი მეზღვაურების ნათქვამს, რომლებიც მარწმუნებენ, რომ იქ, იმ ქვეყანაში თოვლი და ყინვა აღარ ბატონობს და თუ მიენდობი მშვიდი ზღვის ტალღებს, მიგიყვანენ ისეთ მხარეში, რომელიც თავისი მშვენიერებით და საოცრებებით აღემატება აქამდე ადამიანის მიერ აღმოჩენილ დედამიწის ზურგზე არსებულ ყველა ქვეყანასო. ვფიქრობ, ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაში არსებობს, უთუოდ ისევე იშვიათი, უჩვეულო და განსაკუთრებულია, როგორც ციური სხეულები ამ ჯერაც ამოუცნობ, მღუმარებით მოცულ სამყაროშიო. რას არ შეიძლება მოელოდე ამ მარადიული სინათლის ქვეყანაში? იქ მე შევძლებ გავიგო საიდუმლოება იმ საოცარი ძალისა, რომელიც იზიდავს კომპასის ისარს, საშუალება მომეცემა თვალყური ვადევნო ციურ სხეულებს და შევამოწმო უამრავი ასტრონომიული მოვლენა. ეს მოგზაურობაც კი საკმარისი იქნება, რომ მათმა მოჩვენებითმა უცნაურობამ ერთხელ და სამუდამოდ მიიღოს თანმიმდევრული და გონივრული ახსნა. მე შევძლებ დავიკმაყოფილო ქარბი ცნობისმოყვარეობა, ვიხილავ ქვეყნის იმ ნაწილს, რომელიც ჯერ არავის უნახავს, გავივლი იმ მიწაზე, რომელსაც ჯერ ადამიანის ფეხი არ შეხებია. ასეთია ჩემი ცდუნებანი და ისინი საკმარისი აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ დამეძლია ხიფათის ან სიკვდილის შიში, წამაქეზა, ბავშვივით სიხარული მეგრძნო ამ ძნელი მოგზაურობის დაწყებისას, — იმ ბავშვივით, თავის მეგობრებთან ერთად ციკქნა ნავით რომ დაუყვება მშობლიურ მდინარეს იქ ჯერაც არნახულ საოცრებათა აღმოსაჩენად. ოცნებები კიდევაც რომ გამიცრუვდეს, მე მაინც ფასდაუდებელ სარგებლობას მოვუტან მთელ კაცობრიობას და ჩვენს შთამომავლობას თუნდაც იმით, რომ პირველი აღმოვაჩენ და გავიკვლევ გზას ჩრდილოეთის პოლუსიდან იმ ქვეყნებისაკენ, რომელთა მისაღწევად ახლა თვეების განმავლობაში გვიწევს ხანგრძლივი მოგზაურობა, ან კიდევ ვეცდები გავიგო მაგნიტის საიდუმლოება, რაც ალბათ მხოლოდ ასეთი მოგზაურობის შედეგადაა შესაძლებელი.

ამ ფიქრებმა გამიქარწყლა მღელვარება, რომელსაც წერილის დაწყებისას განვიცდიდი, გული სიხარულით ამენტო, ენთუზიაზმით აღვივსე. ყოველივე ამან ჩემი სული აღაფრთოვანა და ზეცამდე აამალა, რადგანაც არაფერი ისე არ ამშვიდებს გონებას, როგორც მტკიცე, ურყევი გადაწყვეტილება — ეს ის საყრდენი წერტილია, რომელსაც გონების თვალს მივაპყრობთ ხოლმე. ეს ექსპედიცია იყო ჩემი სიყმაწვილის წლების ნასათუთევი ოცნება. მე დიდი

გატაცებით ვკითხულობდი წიგნებს. სადაც დაწერილებით იყო აღწერილი სხვადასხვა ექსპედიციები, მოწყობილი იმ იმედით, რომ პოლარული ზღვების გავლით წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილამდე მიეღწიათ. შენ ალბათ გახსოვს, რომ ჩემი კეთილი ბიძია ტომასის მთელი ბიბლიოთეკა სწორედ ამ წიგნების მიზნით ჩატარებულ მოგზაურობებზე დაწერილი წიგნებით იყო სავსე. ჩემს სწავლა-განათლებაზე არავინ ზრუნავდა. წიგნების კითხვა კი თავისთავად უზომოდ მიყვარდა. ამ ტომებს გულმოდგინედ ვკითხულობდი და ვეფიქრებოდა ღამით და რაც უფრო კარგად შევისწავლე ისინი, მით უფრო მომემატა ნაღველი. რადგანაც ჯერ კიდევ ბავშვობიდან გაგონილი მქონდა, რომ მამაჩემმა სიკვდილის წინ ფიცით შეკრა ბიძაჩემი — არასოდეს არ გავეშვი ზღვაზე სამოგზაუროდ.

ზღვასთან დაკავშირებულმა ოცნებებმა დაკარგეს თავიანთი მომხიბლავება, როცა პირველად გავეცანი იმ პოეტებს, რომელთა ღვთაებრივმა ქმნილებებმა აღმაფრთოვანა და სულიერად ამამალლა. მე თვით გაეხდი პოეტი და მთელი წელი ვცხოვრობდი ჩემივე ქმნილებათა ზღაპრულ სამყაროში. წარმოვიდგინე, რომ შეიძლებოდა მეც მრგებოდა მცირე ადგილი იმ დიდ ტაძარში, სადაც პომეროსი და შექსპირი აკურთხეს, თუმცა იმედი გამიცრუვდა. შენ კარგად უწყი, რა დიდი იყო ჩემი განცდა ამ მარცხის გამო. მაგრამ სწორედ იმხანად ბიძაშვილის ქონება მივიღე შემკვიდრეობით და ჩემი ფიქრები ისევ ბავშვობისდროინდელ ოცნებებს დაუბრუნდა.

ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს საქმე განვიზრახე. ახლაც კი მახსოვს ის დღე, ის წუთი, როცა გადაწყვიტე ჩემი ცხოვრება ამ დიადი მიზნისათვის შემეწირა. უპირველეს ყოვლისა დავიწყე სხეულის წრთობა. დავყვებოდი ვეშაპმჭერთა ექსპედიციებს ჩრდილოეთის ზღვებში. ნებაყოფლობით ვიკლებდი ყველაფერს. რათა შევეგუებოდი სიცივეს, შიმშილს, წყურვილს და უძილობას; დღისით მეზღვაურებზე მეტს ვწრომობდი მუხლჩაუხრელად, ღამით კი ვსწავლობდი მათემატიკას, მედიცინის თეორიას და ფიზიკის იმ დარგებს, ფათერაკების მაძიებელ მეზღვაურთათვის ყველაზე მეტი სარგებლობა რომ მოაქვს. ორჯერ შევასრულე შკიპერის თანაშემწის მოვალეობა გრენლანდიის ვეშაპმჭერ გემებზე და შესანიშნავად გავართვი თავი ამ საქმეს. გულახდილად უნდა გითხრა, სიამაყით აღვივსე, როცა კაპიტანმა თავისი თანაშემწის ადგილი შემომთავაზა, სამსახური დამიფასა და სულითა და გულით მთხოვედა დავთანხმებულიყავი.

მარგარეტ, ჩემო ძვირფასო, აბა ერთი მითხარი, ნუთუ არ გავხდები იმის ღირსი, რომ აღვასრულო ჩემი დიადი განზრახვა? შემეძლო ცხოვრება უზრუნველობასა და ფუფუნებაში გამეტარებინა, მაგრამ სიმდიდრის ყველა ცდუნებას მე სახელი დ დიდება გამჭობინე. ოჰ, ნეტავი ვინმეს გამამხნევებელი ჰმა მიდასტურებდეს ჩემი გადაწყვეტილების სისწორეს! ჩემი სიმტკიცე და გადაწყვეტილება ურყევია, მაგრამ ხანდახან უიმედობა შემიპყრობს და სულის სიმხნევეც მლალატობს ხოლმე. მე უნდა დავადგე ძალიან ვრძელ და მძიმე გზას, რომლის გაუთავალისწინებელი ფათერაკები ჩემგან დიდ ძალას და შეუდრეკელობას მოითხოვს. მე სხვებიც უნდა გავამხნევეო და საკუთარ თავსაც იმედი მივცე, როცა დანარჩენებს უიმედობა შეიპყრობთ.

ახლა წელიწადის ყველაზე კარგი დროა რუსეთში სამოგზაუროდ. აქ სწრაფად დასრიალებენ თოვლზე მარხილებით. ასე მგზავრობა ძალზედ სასიამოვნოა. ჩემი აზრით, აქაური მარხილები ბევრად უფრო მოხერხებულია და

კარგადაა გამართული, ვიდრე ინგლისური საფოსტო კარტები. სიცივე არც ისე აუტანელია, თუ ბუნებულში ხარ განვეული. ასეთი ტანსაცმელი ჩემთვის უკვე შევარჩიე. აქ უამისობა შეუძლებელია, რადგანაც დიდი სხვაობაა გემბანზე სიარულსა და საათობით ერთ ადგილზე ჯდომას შორის. როცა უმოძრაობით სისხლი ძარღვებში გეყინება, მე კი სულაც არ ვაპირებ/გავითოშო საფოსტო გზაზე სანქტ. პეტერბურგსა და არხანგელსკს შორის წავეყნე.

არხანგელსკში ორი ან სამი კვირის შემდეგ გავემგზავრებ ჩემს მამას იქ გემი დავიჭირავო. ვფიქრობ, ამას ადვილად შევძლებ, თუ გემის მფლობელს წინასწარ გადავუხდის სადაზღვევო თანხას, თანაც ვფიქრობ, შევავროვო ჩემთვის საჭირო რაოდენობა იმ მეზღვაურებისა, რომლებიც შეჩვეულნი არიან ვეშაპზე ნადირობას. ზღვაში გასვლას იენისამდე არ ვფიქრობ, და როდის დავბრუნდები? ოჰ, ჩემო ძვირფასო დამო, როგორ შემიძლია ვუბასუხო ამ კითხვას? თუ წარმატებას მივაღწიე, მრავალი, მრავალი თვე და, შესაძლებელია მრავალი წელი გაივლის. სანამ მე და შენ ერთმანეთს შევხვდებით. და თუ დავმარცხდი, შენ ან ძალიან მალე მნახავ, ან ვერასდროს ველაზ მიხილავ.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, საყვარელო მარგარეტ. ღმერთსა ვთხოვ, ზეცამ გაკურთხოს შენ და დამიფაროს მე, რომ კვლავაც და კვლავაც შევძლო გამოვხატო ჩემი მადლობა შენი ჩემდამი ესოდენ დიდი სიყვარულისა და სიკეთისათვის.

შენი მოყვარული ძმა რ. უოლტონი.

წერილი II

მისიზ სევილს, ინგლისი.

არხანგელსკი, 28. მარტი, 17.

რა ტაატიტ გადის აქ დრო, ალბათ უფრო იმიტომ, რომ ყინულით და თოვლით ვარ გარშემორტყმული, თუმცა კიდევ ერთი ნაბიჯით მივუახლოვდი ჩემს მიზანს. დავიჭირავე ხომალდი და ვავროვებ მეზღვაურებს, რომლებიც ჩემი ღრმა რწმენით მეტად სანდო გულადნი არიან, ასე რომ შემიძლია მათი იმედი ვიქონიო.

მე ყოველთვის მაკლდა ერთი რამ და ამ დანაკლისს ახლა ყველაზე უფრო მწვავედ განვიცდი. განვიცდი როგორც დიდ ბოროტებას. არა მყავს მეგობარი, მარგარეტ, არავინ მყავს ისეთი. ვინც გაიზიარებდა ჩემს სიხარულს ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, ვინც გამამხნეებდა, თუ დავკარგავდი რწმენას, მართალია, შემიძლია ჩემი ფიქრები ქალაქს გავანდო, მაგრამ ქალაქი უბადრუკი საშუალებაა გრძნობათა გამოსახატავად. ვოცნებობ ადამიანზე, რომელიც თანამიგრძნობდა, თვალეებში ჩამხედავდა და უსიტყვოდ მიმიხვდებოდა ყველაფერს. იქნებ რომანტიკოსად და ზედმეტად მგრძნობიარე კაცად ჩამთვალო, ჩემო საყვარელო დამო, მაგრამ იცოდე, მე მართლაც მწვავედ განვიცდი უმეგობრობას. გვერდით არ მიდგას გონიერი, მხნე და ამავე დროს მგრძნობიარე, უმწიკვლო სულის ადამიანი, რომელიც გაიზიარებდა ჩემს მისწრაფებებს, მოიწონებდა ჩემს გეგმებს ან დამეხმარებოდა მათ სწორად წარმართვაში. რამდენი ნაკლის გამოსწორებაში დაეხმარებოდა შენს საბრალო ძმას ასეთი მეგობარი! მე ყოველთვის ძალიან ვღელავ, როცა რაიმეს ვაკეთებ და თუ წინააღმდეგობას გადავაწყდი, სულსწრაფი და მოუთმენელი ვხდები

ხოლმე. მაგრამ ჩემთვის კიდევ უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ მე თვითნასწავლი კაცი ვარ. ჩემი ცხოვრების პირველი თოთხმეტი წელიწადი ჩემს ნებაზე ვიზრდებოდი და ვკითხულობდი მხოლოდ მოგზაურობაზე დაწერილ წიგნებს ბიძია ტომასის ბიბლიოთეკიდან. იმ ასაკში გავეცანი ჩვენი ქვეყნის სახელოვან პოეტებს და მაშინ მივხვდი, თუ რაოდენ აუცილებელი იყო ჩემთვის მშობლიური ენის გარდა სხვა ენების ცოდნაც, მაგრამ უკვე გვიან იყო და ამ გადაწყვეტილების მიღება ვერავითარ სარგებლობას ვერ მოგიტანდა. ახლა ოცდარვა წლისა ვარ და ამ ასაკში მე უფრო გაუნათლებელი და უწიგნური ვარ, ვიდრე თხუთმეტი წლის სკოლის ბიჭები. თუმცა, უნდა ითქვას, მათზე მეტი მიფიქრია და მიოცნებია რაღაც დიდსა და საცხოოზე. მაგრამ ჩემს ოცნებებს აკლია ის, რასაც მხატვრები „ჰარმონიის შენარჩუნებას“ უწოდებენ, და ძალიან მჭირდება მეგობარი, რომელიც საკმაო გონიერებას გამოიჩენს და აბუჩად არ ამიგდებს, როგორც ფუჭ მეოცნებეს და ისე ვეყვარები, რომ შეეძლება მიხელმძღვანელოს.

თუმცა ეს ჩივილი და წუწუნი ზედმეტია. აბა მეგობარს როგორ ვიპოვი ამ უკიდევანო ოკეანის სივრცეში ან აქ არხანგელსკში, ვაქრებსა და მეზღვაურებს შორის. მაგრამ, მიუხედავად უხეში გარეგნობისა, ამათთვისაც არ არის უცხო კეთილშობილური გრძნობები. აი, თუნდაც ჩემი თანაშემწე — საოცრად მამაცი და ყოჩალი კაცია. იგი დღედაღამ დიდებაზე და სახელზე ოცნებობს. წარმოშობით ინგლისელია და მიუხედავად იმისა, რომ განათლებას არ შეურბილებია მისი ეროვნებისა და ხელობისათვის დამახასიათებელი ცრურწმენები, მაინც აქვს არაერთი უკეთილშობილესი ადამიანური თვისება. ის პირველად ვეშაპმჭერ გემზე გავიცანი. როცა გავიგე, რომ იმხანად ქალაქში სამუშაო არ ჰქონდა, ადვილად დავითანხმე მონაწილეობა მიეღო ჩემს წამოწყებაში.

ჩემი თანაშემწე არაჩვეულებრივად კარგი კაცია, გემზე ყველასგან გამოირჩევა თავისი მშვიდი და ლმობიერი ხასიათით. იგი ბუნებით ისეთი კეთილია, რომ არც კი ნადირობს. იმიტომ, რომ ვერ იტანს სისხლისღვრას, თუმცა აქ ნადირობა ერთადერთი და ყველაზე საყვარელი გასართობია. უფრო მეტიც, ჩემი თანაშემწე რაინდივით კეთილშობილი და დიდსულოვანია. რამდენიმე წლის წინათ მას შეჰყვარებია ერთი ხელმოკლე ოჯახის შვილი — რუსი გოგონა. როცა საკმაო ნადავლი თანხა დააგროვა, ქალიშვილის მამამ ქორწინებაზე თანხმობა განუცხადა. ქორწინების ცერემონიის დაწყებამდე ჩემმა თანაშემწემ ერთხელ კიდევ შეიარა თავის საცოლესთან და გაოცდა. ცრემლებად დაღვრლი ქალი ფეხებში ჩაუვარდა და შებრალება და შემწეობა სთხოვა. ქალმა აღიარა, რომ სხვა უყვარდა, მაგრამ მისი სატრფო ღარიბი იყო და მამამისი მასზე დაქორწინების უფლებას არასოდეს არ მისცემდა. ჩემმა კეთილშობილმა მეგობარმა დაამშვიდა ქალი და როცა გაიგო მისი სატრფოს სახელი, მაშინვე უარი განაცხადა თავის უფლებებზე. მას დაგროვილი ფულით უკვე უყიდა ფერმა და მიწის ნაკვეთი, სადაც განზრახული ჰქონდა სამუდამოდ დასახლებულიყო. ეს ყველაფერი და ნადავლი ფულის დარჩენილი ნაწილიც მან თავის მეტოქეს აჩუქა ფერმის მოსაწყობად. ქალის მამას კი თვითონვე გამოსთხოვა თანხმობა შეყვარებულთა ქორწინებაზე. ქალის მამამ მტკიცე უარი განაცხადა, რადგანაც ჩემი მეგობრისათვის მიცემული სიტყვის გატეხა ეთაკილებოდა. როცა მოხუცებული ვერ გადაიბირა, ჩემმა მეგობარმა მიატოვა რუსეთი და მხოლოდ მაშინ დაბრუნდა, როცა გაიგო, რომ მისი ყოფილი

საცოლვე თავის გულის სწორზე დაქორწინდა. „ღმერთო, რა კეთილშობილი ყმაწვილია!“ — წამოგცდება ალბათ შენდა უნებურად. დიახ, ის მართლაც ასეთია. მაგრამ ამის შემდგომ ჩემმა თანაშემწემ მთელი თავისი ცხოვრება გემის ქიმზე გაატარა, და, ბაგირის და ვანტას გარდა, საექვთა, რომ სხვა რამ ინტერესი ჰქონოდა.

თუმცა, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილებას გამოვთქვამ და ამოდ ვოცნებობ მყავდეს ნუგეშისმცემელი ამ ძნელ საქმეში, მაგრამ უნებურად გაფიქრებინოს, რომ ერთი წუთითაც ვმერყეობდე. ეს ისევე გარდაუვალია, როგორც ბედისწერა. ჩემი მოგზაურობა ჭერჯერობით გადაიდო მანამდე, სანამ ხელსაყრელი ამინდი დადგება, რომ საშუალება მოგვეცეს გემში ჩავსხდეთ და ზღვაში გავიდეთ. ზამთარი ძალზე მკაცრი იყო, მაგრამ ზაფხული, როგორც ეტყობა, უჩველოდ თბილი და ადრეული იქნება. ასე რომ, შესაძლებელია უფრო მალე გავშალო იალქანი, ვიდრე ამას ველოდი. დაუფიქრებლად და ნაჩქარევად არაფრის გაკეთებას არ ვაპირებ; შენ საკმაოდ კარგად მიცნობ, რომ ენდო ჩემს კეთილგონიერებას და წინდახედულებას, განსაკუთრებით ყველა იმ შემთხვევაში, როცა სხვა ადამიანების უსაფრთხოება ჩემზეა მონდობილი.

ვერ აგიწერ, რა გრძნობა დამეუფლება ხოლმე, როცა ჩემი წამოწყების მოახლოებას წარმოვიდგენ. შეუძლებელია გადმოგცე ჩემი მღელვარე განცდები, ნაწილობრივ სიამოვნების მომგვრელი და ნაწილობრივ შიშნარევი გრძნობებით აღვსილი ვემზადები გასამზგავრებლად. მე მივემგზავრები ჭერაც უცნობ და შეუსწავლელ მხარეში. „ნისლისა და თოვლის ქვეყანაში“. მაგრამ ალბატროსის მოკვლას არ ვაპირებ და არც არავითარი საფრთხე მელოდება, ამიტომ ჩემო კარგო, ნურაფრის შიში ნუ გექნება.

ნეტავ კიდევ თუ მეღირსება შენი ნახვა, მას შემდეგ, რაც უკიდევანო ზღვებს გადავლახავ და მოვბრუნდები აფრიკის ან ამერიკის უკიდურესი სამხრეთის ნაპირებიდან. ასეთ წარმატებაზე ფიქრიც კი კადნიერებაა, მაგრამ ვერც მარცხს ვეგუები. ნუ შეწყვეტ წერილების მოწერას. მომწერე, როგორც კი შესაძლებლობა მოგეცემა. ეგებ შენმა წერილებმა მაშინ მოაღწიონ ჩემამდე, თუმცა ეს ძალიან მეეჭვება, როცა ჩემთვის ყველაზე მეტად იქნება საჭირო მხარში ამოდგომა სულიერი მხნეობის შესანარჩუნებლად. მე შენ ძალიან ნაზად მიყვარხარ. მომიგონე სიყვარულით, თუ ველარასდროს მოგწვდეს ჩემი წმა.

შენი მოყვარული ძმა რობერტ უოლტონი

წერილი III

მისიუ სემილს, ინგლისი.

7 ივლისი. 17

ჩემო საყვარელო დაო, ამ რამდენიმე სტრიქონს ნაჩქარევად, ფაციფუციტ გწერ, გაცნობებ, რომ კარგად ვარ და საკმაოდ დიდი გზაც განვვლე.

ეს წერილი ინგლისში სავაჭრო გემის საშუალებით ჩამოაღწევს. გემი ახლა არხანგელსკიდან გადის და შინისაკენ მიმავალ გზას დაადგება. იგი ჩემზე უფრო იღბლიანია, მე იქნებ კარავა ხანს ვერ ვეღირსო მშობლიური მხარის ხილვას, მაგრამ მაინც მხნედ ვარ. ჩემი თანამოსაქმენი შეუპოვარი ადამიანები არიან, მათ არ აშინებთ უზარმაზარი მოცურავე ყინულები, რომლებიც წამდაუწუმ გემის ხან ერთ და ხან მეორე მხარეზე ჩაგვიქროლებენ ხოლმე,

რაც უთუოდ იმის ნიშანია, რომ ხიფათით არის სავსე ის ქვეყანა, საითკენაც ჩვენ მივისწრაფით. ჩვენ უკვე ძალიან ძალაღებულ გავხდებით მივალწიეთ. მაგრამ ახლა შუა ზაფხულია. პაპანაქებაა ყველგან და სამხრეთის ქარმა, რომელიც სწრაფად მიგვაქროლებს სანატრელი ნაპირებისაკენ, თუმცა იგი ნაკლებად თბილია ვიდრე ინგლისში. მაინც მაყოცხლებელი სითბო გვაგრძნობინა, რასაც აქ არ ველოდი.

აქამდე ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, რომ ღირსეულად შევხსენოთ მოწერა. ერთი-ორჯერ ძლიერი გრიგალი ამოვარდა და ერთხელაც ანძა გაგვიტყდა. ეს იყო და ეს. გამოცდილი მეზღაურებისათვის კი ეს ისეთი უმნიშვნელო რამ არის, რომ შემდეგ არც კი აგონდებათ ხოლმე. ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუ უფრო უარესი რამ არ შეგვემთხვევა ჩვენი მოგზაურობის დროს.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მარგარეტ, დარწმუნებული იყავი, რომ როგორც ჩემი, ისევე შენი გულისათვის ვეცდები ხიფათს არ გადავეყარო. ვიქნები მშვიდი, შეუპოვარი და კეთილგონიერი.

მომიკითხე ინგლისელი მეგობრები.

შენი უალრესად მოყვარული რ. უ.

წერილი IV

მისიუ სავილს, ინგლისი,

5 აგვისტო, 17

ისეთი უცნაური რამ შეგვემთხვა, თავს ვერ ვიკავებ, რომ არ მოგწერო, თუმცა იქნებ არც ღირდეს, რადგანაც სავსებით შესაძლებელია ამ წერილების მიღებამდე ვნახოთ ერთმანეთი.

გასულ ორშაბათს, 31 ივლისს ჩვენ აღმოვჩნდით ყინულის ტყვეობაში. ყინული ისე მკიდროდ შემოეკრა გემს ყოველი მხრიდან, რომ მხოლოდ ზღვის დარჩენილი ვიწრო ზოლი იძლეოდა ოდნავ წინსვლის საშუალებას. ჩვენი მდგომარეობა რამდენადმე სახიფათო შეიქნა, რადგანაც გარშემორტყმული აღმოვჩნდით სქელი, გაუვალი ნისლით. ამიტომაც ჩვენი ხომალდი დრეიფზე დადგა ყინულებში. თუმცა იმედს არ ვკარგავდით, რომ ატმოსფეროში მომხდარი ცვლილება ამინდსაც სასიკეთოდ შეცვლიდა.

დაახლოებით ორ საათზე ნისლი გაიფანტა და ჩვენ ვიხილეთ ყოველი მიმართულებით გადაჭიმული ყინულის უკიდვანო და უსწორმასწორო ველი. ჩემი ეკიპაჟის ზოგიერთ წევრს გმინვა აღმოხდა, მე გონება დამეძაბა და მღელვარე ფიქრებმა შემიპყრო, მაგრამ მოულოდნელად ჩვენი ყურადღება უცნაურმა სანახაობამ მიიპყრო და საკუთარი სავალალო მდგომარეობა დაგვაფიწყა. ძლივს გავარჩიეთ დაბალი მარხილი, რომელშიც ძაღლები იყვნენ შებმულნი. მარხილს გეზი ჩრდილოეთისაკენ ეჭირა და დაახლოებით ნახევარი მილით იქნებოდა ჩვენგან დაშორებული. დავინახეთ რალაც არსება, რომელსაც ადამიანის ფორმა ჰქონდა, მაგრამ აშკარად გიგანტური ტანისა იყო, იჯდა მარხილში და ძაღლებს მიერეკებოდა. ჩვენ კოგრიტით ვადევნებდით თვალს მოგზაურის სწრაფ წინსვლას, სანამ იგი არ შეერწყა ყინულის შორეულ უთანაბრო ზედაპირს.

ამ უჩვეულო ხილვით გაოცებულნი სახტად დავრჩით. ჩვენ დარწმუნე-

ბუნნი ვიყავით, რომ უახლოესი ხმელეთიდან მრავალი ასეული მილი გვაშორებდა, მაგრამ ამ მოჩვენებამ გვაფიქრებინა, რომ მიწა არც ისე შორს იყო, როგორც ვვარაუდობდით. ყინულით შებოჭილებს საშუალება არ გვქონდა მარხილის კვალს გავდევნებოდით. მაგრამ დიდი ინტერესით კი ვადევნებდით თვალყურს.

ამ უცნაური შემთხვევიდან ორი საათი იქნებოდა, როცა ტალღების ხმაური შემოგვესმა. დაღამებამდე ყინული გაიხსნა და ჩვენი გემი გათავისუფლდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დრეიფზე ვიდექით ყინულებში, რადგან ვშიშობდით, სიბნელეში არ შევკახებოდით უზარმაზარ მცურავ ხორგებს, რომლებიც ყინულის გახნისას ჩნდებიან ხოლმე. ეს დრო გამოვიყენე და რამდენიმე საათით დასასვენებლად წავედი.

დილით, როგორც კი ინათა, გემბანზე ავედი და დავინახე, რომ მეზღვაურები, უკლებლივ ყველანი გემის ერთ მხარეს შეჩვეულნი, გემბანიდან გადახრილიყვნენ და, როგორც ეტყობოდა, ვილაც ზღვაში მყოფს გაცხარებით ელაპარაკებოდნენ. მარხილი აღმოჩნდა. ესეც ჩვენ მიერ წინადლით ნანახ მარხილს ჰგავდა, ღამეში უზარმაზარ ყინულის ნამსხვრევს ნელი დინებით ჩვენს გემამდე მოეცურებინა. მხოლოდ ერთი ძალიდა დარჩენილიყო ცოცხალი. მაგრამ მარხილში ადამიანიც იჯდა და მეზღვაურები მას დაეინებით თხოვდნენ გემზე ამოსულიყო. წინადლით ნანახი მოგზაურივით იგი არ ჰგავდა რომელიღაც უცნობი კუნძულის ველურ მკვიდრს, — აშკარად ევროპელი იყო. როცა მე გემბანზე გავედი, ჩემმა თანაშემწემ თქვა: „აი, ჩვენი კაპიტანიც მოვიდა, ის ნებას არ მოგცემთ, ამ შუა ზღვაში დაიღუპოთ“.

როგორც კი დამინახა, უცნობმა ინგლისურ ენაზე მომმართა, თუმცა მის მეტყველებაში უცხოური აქცენტი იგრძნობოდა. „სანამ თქვენი ხომალდის გემბანზე ამოვიდოდე, — თქვა მან, — პატივი დამდეთ და მითხარით, საით მიემართება იგი?“

ალბათ წარმოიდგენ ჩემს განცვიფრებას, როცა ასეთი კითხვით მომმართა სიკვდილის პირას მისულმა კაცმა. ვისთვისაც ჩემი ვარაუდით ხომალდი ისეთი ფასდაუდებელი საუნჯე უნდა ყოფილიყო, დედამიწის ზურგზე არსებული ვერავითარი სიმდიდრეც რომ ვერ შეცვლიდა. მე მაინც ვუპასუხე, ჩვენ მკვლევარები ვართ და პოლუსისაკენ მივიწვევთ-მეთქი.

ამის გაგონებამ, როგორც ეტყობა, დააკმაყოფილა იგი და დაგვეთანხმა გემბანზე ამოსულიყო. ღმერთო დიდებულო! მარგარეტ, ამ უბედურთან იქით დაგვეკირდა ჩვეწნა-მუდარა, რათა დაგვეთანხმებინა, რომ სიკვდილს გადაგვერჩინა. ამის დამნახავი შენ რომ ყოფილიყავი, მართლაც გაოცდებოდი. ხელ-ფეხი თითქმის მთლად მოყინული ჰქონდა. ძალაგამოცლილი იყო დაღლილობისა და ტანჯვა-წვალებისაგან. არასდროს მინახავს ასეთი გაუბედურებული კაცი. ჯერ კაიუტაში შევიყვანეთ, მაგრამ როგორც კი სუფთა ჰაერი მოაკლდა, გრძნობა დაკარგა, ამიტომაც ისევ გემბანზე გავიყვანეთ, ბრენდით დაეზილეთ, ერთი-ორი ყლუპი ძლივძლივობით გადავყლაპეთ კიდევ და მოვასულიერეთ. როგორც კი სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო, საბნებში გავახვიეთ და სამზარეულოს ღუმელის საკვამლე მილთან ახლოს დავაწვინეთ. ის ნელ-ნელა მოეგო გონს და ცოტა წვნიანის შემდეგ მთლად გამოცოცხლდა.

ამ ვითარებაში ორმა დღემ ისე განვლო, რომ მას ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. მე უკვე ვშიშობდი, ამდენმა ტანჯვა-წამებამ ალბათ ჭკუიდან შეშალა-მეთქი. ცოტათი რომ მოიხედა, ჩემს კაიუტაში გადავიყვანე და თვითონ ვუფ-

ლიდი, რამდენადაც საკუთარი საქმე ამის საშუალებას მაძლევდა. არასდროს ასეთ საინტერესო ადამიანს არ შევხვედრივარ. მას ველური, თითქმის შეშლილი კაცის გამომეტყველება აქვს, მაგრამ საკმარისია ვინმემ მის მიმართ ან სიტყვით, ან საქმით სულ მცირე სიკეთე გამოაქვინოს. რომ სახე ისე გსურს წყინდება, თითქოს ნეტარების სხივი გადაეფინაო. მსგავსი კეთილი და სანდომიანი გამომეტყველება კაცისა არასოდეს მინახავს. მაგრამ უმეტესად მისი უფრო ღი და სასოწარკვეთილია; ზოგჯერ კბილებს ისე აღჭრიალებს, ვინცაღიანობის უბედურებით გამოწვეული სიმძიმის აუტანელი გამბდარა მისთვის.

როცა ჩემმა სტუმარმა ცოტათი მოიკეთა, დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რათა ეკიბაყის წევრები შემეკავებინა. მათ ერთი სული ჰქონდათ, უცნობისათვის კითხვები დაეყარათ, მაგრამ მეზღვაურებს მე არ ვაძლევდი უფლებას იგი თავიანთი ამოცნობისმოყვარეობით გაებეზრებინათ, ვიცოდი, მხოლოდ სრული სიმშვიდე და მოსვენება თუ დაუბრუნებდა უცნობის სულს მხნეობას და სხეულს ძალას, მაგრამ ერთხელ ჩემმა თანამემწემ მაინც ჰკითხა, რამ მოგიყვანათ ამ უკაცრიელ ყინულეთში და თანაც ასეთი უცნაური ეკიბაყითო.

სახეზე მაშინვე ღრმა მწუხარება აღებეჭდა.

„გაქცეულს ვეძებ“, — უპასუხა მან.

„ვისაც თქვენ ეძებთ, ასეთივე მარხილით მოგზაურობს?“

„დიახ“.

„მაშინ, ჩემი ვარაუდით, ჩვენ ის ვნახეთ, წინა დღით, ვიდრე თქვენ გემბანზე ამოგიყვანდით, შორს, ყინულებში ძალღებშებმული მარხილი დავინახეთ. რომელშიც კაცი იჯდა“.

ამ სიტყვებმა მიიქცია უცნობის ყურადღება, მან უამრავი შეკითხვა მოგვცა. ძალიან აინტერესებდა, საით ჰქონდა გეზი აღებული დემონს, როგორც მან იმ უცნაურ არსებას უწოდა. მალე ამის შემდეგ, როცა ის ჩემთან მარტო დარჩა, მითხრა: „მე, უეჭველია, ცნობისწადილით აგავსეთ თქვენ, ასევე ეს დიდებული ხალხიც, მაგრამ პირადად თქვენ მეტისმეტად თავაზიანი და ტაქტიანი კაცი ბრძანდებით, არაფერს მეკითხებით“.

„რა თქმა უნდა, ჩემი მხრიდან ნამდვილად დიდი კადნიერება და უღმობლობა იქნებოდა, აბეზარი ცნობისმოყვარეობით შემეწუხებინეთ“.

„კი, მაგრამ თქვენ ხომ უჩვეულო და საბიფათო მდგომარეობაში მყოფი გადამარჩინეთ და დიდი ზრუნვის წყალობით სიცოცხლაც დამიბრუნეთ“.

მალე ამის შემდგომ მკითხა, როგორ ფიქრობთ, ყინული რომ გაიხსნა, ის მეორე მარხილი დაიღუპებოდა თუ არაო? მე მივუგე, რომ დარწმუნებით ამის შესახებ ვერაფერს ვეტყვოდი, რადგანაც ყინული შუალამემდე არ გახსნილა და ამ დრომდე მოგზაურს შეეძლო უსაფრთხო ადგილამდე მიეღწია.

ამ დროიდან მოყოლებული უცნობს დაუოკებელი სურვილი გაუჩნდა განუწყვეტლივ გემბანზე ყოფილიყო და თვალყური ედევნებინა, ხომ არ გამოჩნდებოდა ჩვენ მიერ ადრე ნახაზი მარხილი. მაგრამ მე დავიყოლიე კაიუტაში დარჩენილიყო; ვუთხარი ძალიან დასუსტებული ხართ და შეეჭვება ნესტიან ჰაერზე ყოფნას გაუძლოთ-მეთქი, თან პირობაც მივეცი, თქვენ მაგივრად თვალყურს სხვა ადევნებს და თუ თვალსაწიერზე რაიმე ახალი შევამჩნიეთ, მაშინვე შეგატყობინებთ-მეთქი.

ასეთია ჩემი ჩანაწერები გემის დღიურში, ამ უცნაური შემთხვევიდან მოყოლებული დღემდე. უცნობმა საგრძნობლად მოიკეთა, მაგრამ სულ ჩუმად და და თუ მის კაიუტაში ჩემ გარდა ვინმე შევა, მოუსვენრობა შეიპყრობს

ხოლმე. ადამიანებთან ურთიერთობისას იგი ისეთი უწყინარი და თავაზიანია, რომ მეზღვაურებს უკვე გული შესტკივით მასზე, თუმცა მასთან ურთიერთობას ერიდებიან კიდევ. რაც შემეხება მე, ალბათ მალე მას ღვიძლ ძმასავით შევიყვარებ. მისი უსაზღვრო და ღრმა მწუხარება დიდ სიბრაალულს და თანაგრძნობას იწვევს ჩემს სულში. ის, როგორც ეტყობა, დიდებული კაცი იყო თავისი ცხოვრების საუკეთესო წლებში, რადგან ახლაც უფრო უფრო და სულიერად განადგურებულიც ინარჩუნებს მიმზიდველობას ყველაფერს სიმბათიას.

ჩემო ძვირფასო მარგარეტ, ერთ ჩემს წერილში გწერდი, ამ უკიდევანო ოკეანეში მეგობარს ვერ ვიპოვი-მეთქი, მაგრამ შენ წარმოიდგინე მაინც ვიპოვე ადამიანი, რომელიც ამდენ უბედურებას რომ არ გაეტეხა, ჩემი ჭირის და ლხინის თანაზიარი იქნებოდა.

მე აუცილებლად განვაგრძობ უცნობის შესახებ წერას, თუ მასთან დაკავშირებით რაიმე ახალი და საგულისხმო მოხდა.

13 აგვისტო, 17.

ჩემი სიყვარული სტუმრისადმი დღითიდღე იზრდება. იგი ჩემში ერთსა და იმავე დროს აღფრთოვანებასა და სიბრაალულს იწვევს. განა შემიძლია გულდამშვიდებით ვუყურო, ასეთი კეთილშობილი არსება რა განადგურებულია ამდენი უბედურებით, და სიბრაალულით გული არ მომიკვდეს? ძალიან მშვიდი და გონიერი კაცია. ეტყობა, დიდი განათლება აქვს მიღებული. მისი საუბარი გამოირჩევა სიმსუბუქით და შეუდარებელი მჭევრმეტყველებით, თუმცა თვითეულ სიტყვას დიდი სიფრთხილით არჩევს.

ის საგრძნობლად მომჯობინდა და გემბანს არ შორდება, როგორც ეტყობა, ჩვენ წინ მავალი მარხილის დანახვის მოლოდინში. თუმცა თავად უბედურია, მაგრამ ისე ძლიერ არ ჩაუთრევია მწუხარებას, რომ მის გარშემო მყოფ ადამიანთა საქმიანობით არ დაინტერესდეს. იგი ბევრს მეკითხება ჩემი განზრახვის შესახებ. მე გულანდილად ვუამბე ჩემი თავგადასავალი. მას ესიამოვნა, რომ გულით მივენდე და ზოგიერთი შესწორება შეიტანა ჩემს გეგმაში, რაც, ჩემი აზრით, ჩვენი საქმისათვის მეტად სასარგებლო იქნება. მის საქციელში არ იგრძნობა პედანტურობა, ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, მხოლოდ და მხოლოდ მის გარშემო მყოფ ადამიანთა კეთილდღეობისათვის ზრუნვას უკავშირდება. ხშირად, როცა სევდა დარევს ხელს, განმარტოვდება და ცდილობს როგორმე მოერიოს მის სულში ჩაბუდებულ წყვილადს და მისი წრის კაცისათვის შეუფერებელ პირქუშ გამომეტყველებას. ამ მწვავე განცდათა პერიოდული შემოტევა სწრაფადვე გაუვლის ხოლმე. თითქოს მზემ ღრუბელი გადაიყარაო, მაგრამ სევდა არასდროს სტოვებს მას. მე ყოველნაირად ვეცადე მისი ნდობა დამემსახურებინა და დარწმუნებული ვარ, მოვახერხე კიდევ. ერთ დღეს ვუთხარი, ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა ისეთი მეგობარი მეპოვა, რომელიც თანაგრძნობას გამიწევდა და რჩევას მომცემდა; იმ ყაიდის კაცი არა ვარ, რჩევის მიღება შეურაცხყოფად რომ მიაჩნიათ-მეთქი. „მე თვითნასწავლი პიროვნება ვარ და ალბათ ძალიან გამიჭირდება მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების იმედზე ყოფნა, ამიტომაც ჩემი ნატვრა ისაა, ჩემი თანამოსაქმე ჩემზე უფრო ჭკვიანი და გამოცდილი იყოს, რომელიც მხარს დამიჭერდა და დამეხმარებოდა. მართალი გითხრათ, არც ის მეჩვენებოდა შეუძლებლად, რომ ქეშმარიტ მეგობარს ვიპოვიდი“. — ვუთხარი მე.

„გეთანხმებით, — მიპასუხა უცნობმა, — რომ მეგობრობა არა მარტო სანატრელი და საოცნებო რამაა, არამედ რეალურად შესაძლებელიც. ერთ დროს მე მყავდა მეგობარი, უკეთილშობილესი არსება ამქვეყნად, ამიტომ ჩემს თავს უფლებას ვაძლევ, ჩემი აზრი გამოვთქვა მეგობრობის შესახებ. თქვენ იმედით აღსავსე ხართ — მთელი სამყარო თქვენ წინაა გადაშლილი და ახლ გაქვთ სასოწარკვეთის მიზეზი. მაგრამ მე, მე კი ყველაფერი დაგკარგე და ცხოვრებას თავიდან ველარ დავიწყებ“.

ამ სიტყვებზე სახეზე უსაზღვრო ნალველი გამოეხატა, რამაც მე სულით ხორცამდე შემძრა. მერე უეცრად დადუმდა და თავის კაიუტაში განმარტოვდა.

თუმცა იგი სულიერადაა განადგურებული, საოცარი სიღრმით აღიქვამს ბუნების მშვენიერებას. ვარსკვლავებით მოქედილი ცა, ოკეანე და ამ საოცარი ადგილების ლანდშაფტი ჯერ კიდევ ძალიან მოქმედებს მასზე და სულიერად აღამაღლებს. ასეთი კაცის არსებობა თითქოს გაორებულია: იგი შეიძლება იტანჯებოდეს და გადატანილმა უბედურებამ იქნებ გასტეხოს კიდევ, მაგრამ როდესაც თავის თავში ჩადრმავდება, შარავანდედმოსილ ციურ არსებასავითაა, ირგვლივ ნათელი ადგას და ამ ღვთაებრივი ნათლის რკალში ვერავითარი დარდი და უშეცრება ვერ აღწევს.

შეიძლება დამცინო, ასეთ აღფრთოვანებას რომ გამოვხატავ ღვთაებრივი ყარობის მიმართ, და თუ მართლა ასე მოხდა, უდავოა, შენ დაგიკარგავს ის უბრალოება და სისადავე, რაც ესოდენ მომხიბლავს გზდიდა, და მაინც, თუ არ დაიშლი. იყოს ნება შენი, მე კი ყოველდღე ვპოულობ ახალ-ახალ მიზეზს, რათა ისევ და ისევ განუწყვეტლივ გავიმეორო მასზე ერთხელ უკვე ნათქვამი.

19 აგვისტო, 17

გუშინ უცნობმა მითხრა: „ალბათ გრძნობთ, კაპიტანო უოლტონ, რა დიდი, წარმოუდგენლად დიდი უბედურება მაქვს გადატანილი. კარგა ხნის წინ გადავწყვიტე, ამ დამლუპველი უბედურების ხსოვნა ჩემთან ერთად მოკვდებამეთქი, მაგრამ თქვენ მაიძულეთ შემეცვალა გადაწყვეტილება, თქვენც ესწრაფვით ცოდნას და მეცნიერებას, ისევე როგორც თავის დროზე მე ვესწრაფოდი, და გულით მინდა იმედი ვიქონიო, რომ თქვენი სურვილების დაკმაყოფილება არ იქნება თქვენითვის გველის შხამიანი კბილივით საშიში, ისე როგორც ის ჩემთვის გამოდგა. არ ვიცი, ჩემი დამარცხების ამბავი რაიმე სარგებლობას მოგიტანთ თუ არა, მაგრამ თუ თქვენც მეცნიერებისაკენ მიისწრაფვით, ყური დაუგდეთ ჩემს ნაამბობს. მე მჯერა, ჩემს ამბავთან დაკავშირებული უცნაური შემთხვევები ისეთ წარმოდგენას შეგიქმნიან სამყაროს შესახებ, რომ კიდევ უფრო სრულყოფენ თქვენს შესაძლებლობებს და შემეცნების უნარს. თქვენ მოისმენთ ამბავს ისეთ უძლეველ ძალასა და უცნაურ შემთხვევებზე, რაც თქვენთვის უჩვეულო და ძნელად დასაჯერებელი იქნება. მაგრამ, ეჭვი არ მეპარება, ჩემ მიერ მოთხრობილი ამბები გულწრფელად და აშკარად თვითონვე გამოხატავენ თავიანთ ჭეშმარიტებას“.

ადვილად შეგიძლია წარმოიდგინო, რა ნასიამოვნები დავრჩებოდი, როცა ასეთი სიახლოვე მაგრძნობინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე ვერ ავიტანდი, გადატანილი უბედურების დაწვრილებით მოყოლით თავისი დარდი და ნალველი ისევ განედლებოდა. დაპირებული ამბის მოსმენის მოლოდინში ადგილს ვერ ვპოულობდი, ერთის მხრივ, ცნობისმოყვარეობისა და, მეორეს მხრივ, დი-

დი სურვილიც გამო, თუ ძალა შემწევდა, როგორმე შემემსუბუქებინათ საშინელი ბედისწევრით დამძიმებული მისი მდგომარეობა. ეს მოზღვავებული გრძნობები ჩემი პასუხით გამოვხატე.

„გმადლობთ, — მიპაუხა მან, — გმადლობთ თანაგრძნობისათვის, მაგრამ ყოველივე ამოა; ჩემი ბედი თითქმის გადაწყვეტილია, მე მხოლოდ ერთ შემთხვევას ველოდები და შემდგომ ამისა განვისვენებ სრული სიმშვიდით. მე ვგრძნობ, რასაც განიცდით თქვენ“, სწრაფად განაგრძო მან, როდესაც შეამჩნია, რომ მისი შეჩერება დავაპირე; „ჩემი ბედის ჩარხს წალმა ველარაფერი დაატრიალებს. მოისმინეთ ჩემი თავგადასავალი და მიხვდებით, რომ ჩემი ბედი გადაწყვეტილია“.

მან შემდგომ მითხრა, რომ თავისი ამბის თხრობას მეორე დღეს, ჩემი მოცალეობის უამს დაიწყებდა. ამის პასუხად მე გულითადი მადლობა გადავუხადე. გადავწყვიტე, ყოველ ღამე, როცა ჩემი საქმით დაკავებული არ ვიქნებოდი, რაც შეიძლება ზუსტად, მისივე სიტყვებით ჩავწერო ყველაფერი, რასაც დღის განმავლობაში მომიყვება. და თუ მოუცლელობის გამო ეს ვერ მოვახერხებ, რაც არ უნდა იყოს, მოკლედ მაინც ჩავინიშნავ ყოველივეს. მარგარეტ, ეს ხელნაწერი უეჭველად დიდ სიამოვნებას მოგანიჭებს! წარმოიდგინე ოდესმე, მომავალში, რა დიდი სიამოვნებით, გულისხმიერებითა და თანაგრძნობით წავიკითხავ ამ ხელნაწერს მე, რადგანაც ასე ახლოს ვიცნობ ამ საოცარი ამბების მთხრობელს და პირადად მისგან მექნება ყველაფერი მოსმენილი!

თავი პირველი

მე უნევეაში დავიბადე. ჩემი ოჯახი ყველაზე წარჩინებული ოჯახთაგანია იმ რესპუბლიკაში. ჩემი წინაპრები მრჩევლის და ქალაქის თავის მოვალეობას ასრულებდნენ წლების განმავლობაში. მაღალ საზოგადოებრივ თანამდებობაზე მყოფი მამაჩემი დიდი ღირსებით გამოირჩეოდა და ძალიან კარგი სახელით სარგებლობდა. ყველა, ვინც კი იცნობდა, დიდი პატივით ეპყრობოდა იმ მოუსყიდავი პატიოსნებისა და დაუღალავი ზრუნვისათვის, რასაც იგი საზოგადოებრივი საქმისადმი იჩენდა. მისი ახალგაზრდობის წლები ქვეყნისათვის გამუდმებულ ზრუნვაში გაილია. მამაჩემი სიჭარმაგეში დაქორწინდა. თავისი თანამდებობა ისეთ მემკვიდრეებს გადასცა, ვინც მის ღირსებას არ შებღალავდა და მის სახელსაც შთამომავლობისათვის უკვდავყოფდა.

რადგან მისი ქორწინების ვითარება ძალიან კარგად გადმოსცემს მამაჩემის ხასიათს, თავს ვერ ვიკავებ, რომ არ მოგიყვებთ ამის შესახებ. მამაჩემს უახლოეს მეგობრებს შორის ჰყავდა ერთი სოფდაგარი, რომელიც ძალიან მდიდარი კაცი იყო, მაგრამ თავის საქმეში მრავალჯერ მარცხი განიცადა და გაკოტრდა. ეს კაცი, გვარად ბოფორი, ამაყი და ქედმოუხრელი ხასიათისა იყო და ვერ შეეგუა, გაღარიბებულს და ყველასაგან დავიწყებულს იმავე ქვეყანაში ეცხოვრა, სადაც წინათ, ესოდენ სახელგანთქმული და გამოჩინებული, მაღალი მდგომარეობის გამო დიდი პატივით სარგებლობდა, ამიტომაც მევალებს პირის შეურცხვენლად გაუსწორდა და ქალიშვილთან ერთად ქალაქ ლუცერნში განმარტოვდა, სადაც ყველასთვის უცხო და მიუსაფარი, სიღარიბით დაბეჩავებული ცხოვრობდა. მამაჩემს ბოფორთან ჭეშმარიტი მეგობრობა აკავშირებდა და მისმა ასეთმა უიღბლობამ და უცნაურმა გახიზვნამ ძალიან ატკი-

ნა გული, მამა დარდობდა მეგობრის დაკარგვას და გადაწყვიტა მოეძებნა იგი, ამასთანავე რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, აეძულებინა ბოფორი მობრუნებოდა ამ ცხოვრებას მამაჩემის ფულისა და დახმარების მეშვეობით.

ბოფორმა ყველა ღონე იხმარა, რომ მისი კვალისათვის ვერავის მიეგნო, მაგრამ მამაჩემმა ათი თვის ძებნის შემდეგ მაინც მიაგნო. ამით განარებულ მამაჩემი დაუყოვნებლივ გაეშურა ბოფორის სახლისაკენ, რომელიც ვერდენში ვარდნილ ქუჩაზე — რიუსის ახლოს იდგა. მამაჩემს იმ სახლში მესაქონელი მხოლოდ სასოწარკვეთილება და უბედურება დახვდა. თავისი ავლადიდების განიავების შემდგომ ბოფორმა სულ ცოტაოდენი ფულის შენახვა მოახერხა, რითაც მზხლოდ რამდენიმე თვეს შეეძლო თავი გაეტანათ. მას იმედი ჰქონდა, რაიმე რიგიან სამსახურს იშოვიდა სავაქრო პალატაში, ამიტომაც ეს დრო ბოფორმა უმოკმედობაში გაატარა. მისი მწუხარება კიდევ უფრო აუტანელი და საწამებელი გახდა, რადგან მოცალეობის უამს ბევრი ფიქრის და დარდის დრო ჰქონდა და ამ მწუხარებამ ბოლოს ისე ჩაითრია, რომ მესამე თვის მიწურულს ლოჯინად ჩავარდა და უკვე ძალ-ღონის მოკრება და რაიმეს წამოწყება აღარ შეეძლო.

ქალიშვილი ბოფორს დიდი მზუნველობით უვლიდა, სასოწარკვეთილი ქალი ხედავდა, რომ მცირეოდენი ფული სწრაფად ილეოდა და მომავალში დახმარების იმედი არსაიდან ჩანდა. მაგრამ კაროლინა ბოფორი ჩვეულებრივი ყაიდის ქალი არ გახლდათ. რაც უფრო მეტად უჭირდა, მით უფრო ემატებოდა მზნეობა და სულის სიმტკიცე, რათა უბედურებაში ჩავარდნილი უმწეოდ არ დარჩენილიყო. მან უბრალო სამუშაო იშოვა. ნამჯის დაწვნა დაიწყო და კიდევ სხვადასხვა გზით რამდენიმე გროშის შოვნას ახერხებდა, რაც მამა-შვილს ძლივს ყოფნიდა თავის სარჩენად.

რამდენიმე თვემ ასეთ ყოფაში გაიარა. მამამისი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა, კაროლინას მთელი დრო ავადმყოფის მოვლას და მასზე ზრუნვას უნდებოდა. საარსებოდ შეგროვილი ქალის გროშებიც გამოილია. მეათე თვეზე მამამ კაროლინას მკლავზე დალია სული და ქალიშვილი დაობლებული და გადატაკებული დატოვა. ეს კი უკვე ძალიან ძნელი ასატანი იყო ქალისათვის, ამ უბედურებამ საბოლოოდ დაჯაბნა და ქედი მოახრევინა. სასოწარკვეთილი ქალი მუხლებზე დაეცა მამამისის კუბოს წინ და მწარედ ატირდა. როცა მამაჩემი მასთან ოთახში შევიდა, კაროლინა სწორედ ამ ყოფაში ნახა. მამაჩემი საცოდავ ქალიშვილს მფარველ ანგელოზად მოეგლინა და ქალმაც თავის თავზე მზრუნველობა და თავისი ბედი მამაჩემს მიანდო. როცა მამაჩემმა თავისი მეგობარი ბოფორი მიწას მიაბარა, კაროლინა ქენევაში წაიყვანა და იქ თავის ნათესავს ჩააბარა. ორი წლის შემდეგ კაროლინა ბოფორი ცოლად გაჰყვა მამაჩემს.

როცა მამამ ცოლი შეირთო და შვილი გაუჩნდა, მთელ დღეებს ოჯახს და ამ თავის ახალ მოვალეობებს ახმარდა, ამიტომ უარი თქვა მრავალ საზოგადოებრივ საქმეზე, რითაც წინათ იყო დაკავებული, და მთელი თავისი დრო შვილების აღზრდას დაუთმო. მე, როგორც უფროსი შვილი, მამის მემკვიდრე, თანაშემწე და დამხმარე ვიყავი მის მიერ წამოწყებულ ყველა საქმეში. იშვიათად თუ ეყოლება ვინმეს ისეთი მოყვარული მშობლები, როგორიც მე მყავდა. მათი მუდმივი და ერთადერთი საზრუნავი ჩემი ჯანმრთელობა და რიგიანად აღზრდა იყო, განსაკუთრებით შვიდი წლის განმავლობაში, როცა მე მათი ერთა ვიყავი. მაგრამ, სანამ ჩემს ამბავს გავაგრძელებდე, ერთი შემთხვევა უნდა გა-

ვიხსენო, რომელიც ჩემი პატარაობისას, ოთხი წლისა რომ ვიყავი, მაშინ მოხდა.

მამაჩემს და ჰყოლია, რომელიც გულმხურვალედ ჰყვარებია. მამიდაჩემი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ერთ კეთილშობილ იტალიელზე გათხოვილა. ქორწინების შემდეგ, ძალიან მალე იგი ქმარს გააყოლია სამშობლოში და მამაჩემი იშვიათად თუ იგებდა თავისი დის ამბავს. მერე მამიდაჩემი გარდაცვლილა. რამდენიმე თვის შემდეგ, მამაჩემს წერილი შეუწერა რომელითაც სიძე ატყობინებდა, რომ იტალიელი ქალის შერთვას აპირებდა და მამაჩემს თხოვდა გარდაცვლილი დის ერთადერთ შვილზე, პატარა ელიზაბეთზე ეზრუნა. „ეს ჩემი სურვილია, — სწერდა სიძე, — რომ თქვენ ელიზაბეთი საკუთარ ქალიშვილად მიიჩნიოთ და ამ რწმენით აღზარდოთ. დედამისის ქონება ბავშვს დარჩება, რის დამამტკიცებელ საბუთებსაც მე თქვენ განდობთ. გთხოვთ ჩაუფიქრდეთ ამ ჩემს წინადადებას და გადაწყვიტოთ, რა სჯობს — თქვენ თვითონ აღზარდოთ თქვენი დისშვილი თუ დედინაცვალს მიანდოთ მისი გაზრდა“.

მამაჩემი მაშინვე იტალიაში გაეშურა უყოყმანოდ, რათა პატარა დისშვილი თავის ახალ ოჯახში ჩამოეყვანა. დედაჩემისაგან ხშირად მსმენია, რომ ელიზაბეთი ისეთი მშვენიერი ბავშვი იყო, რომლის მსგავსი არასოდეს ენახა, თანაც ციციქნა გოგონა იმთავითვე მშვიდ და მოსიყვარულე ბუნებას ავლენდა. ყოველივე ამან და კიდევ, უდიდესმა სურვილმა — ახალი კავშირით უფრო გაეძლიერებინა და განუყოფელი გრძნობით განემტკიცებინა ჩვენი კერა — დედაჩემს აფიქრებინა, ელიზაბეთი ჩემს მომავალ მეუღლედ მიეჩნია. ბავშვობაშივე ჩემზე ელიზაბეთის დაწინდვა დედაჩემის სურვილი იყო და არასოდეს ჰქონია მიზეზი, ამის გამო სინანული ეგრძნო.

ამ დროიდან მოკიდებული ელიზაბეთ ლავენცა ჩემი ბავშვობის თამაშობების მუდმივი თანამონაწილე, ხოლო როცა უკვე წამოვიზარდე, ჩემი განუყრელი მეგობარი შეიქნა. ელიზაბეთი დამჯერი, სათნო, თანაც ჭრიჭინასავით უზრუნველი, მხიარული და ანცი იყო. სიცოცხლით სავსე და მგზნებარე, ამავე დროს ძლიერი და ღრმა გრძნობების პატრონი, არაჩვეულებრივად გულმხურვალე ბუნებით გამოირჩეოდა. ამქვეყნად მისნაირად არავის არ ალაღებდა თავისუფლება, თანაც იშვიათად თუ ვინმეს შეეძლო მასავით მომნუსხავი გრაციით დამორჩილებოდა სხვის ჭირვეულობას და სურვილებს. მდიდარი ფანტაზია ჰქონდა და თანაც ძალიან მუყაითი იყო. მის სახებაში მისი შინაგანი ბუნება და გონიერება ირეკლებოდა. თაფლისფერი, სხივიანი თვალები მომხიბლავად უციმციმებდა, მსუბუქსა და ჰაეროვანს. თუმცა შეეძლო თავის სუსტ მხრებზე უმძიმესი უღელი დაედგა, მაინც ამქვეყნად ყველაზე ნაზ არსებად ჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ მე მხიბლავდა მისი გონიერება და წარმოსახვის იშვიათი უნარი, ისე ვუვლიდი და ველოლიავებოდი, როგორც პატარა, საყვარელ, ნებიერ ცხოველს. უნდა ვაღიარო, რომ არასდროს მენახა ერთ პიროვნებაში ასე სრულყოფილად შერწყმული და ასე უპრეტენზიოდ გამოხატული გარეგნული მშვენიერება და სულიერი სიმდიდრე.

ელიზაბეთს ყველა ეთაყვანებოდა. თუ მსახურებს რაიმე სათხოვარი ჰქონდათ, ეს ყოველთვის ელიზაბეთის შუამდგომლობით ხდებოდა. ჩვენთვის უცხო იყო უთანხმოება და კინკლაობა; თუმცა ხასიათით ერთმანეთისაგან ძალიან განვსხვავდებოდით, ამ განსხვავებაშიც იგრძნობოდა ის ჰარმონია, რომელიც ჩვენს ურთიერთობაში არსებობდა. მე უფრო ჩუმი და ფილოსოფიურად განწყობილი ვიყავი, ვიდრე ელიზაბეთი, არც მასავით დამყოლი ხასიათი მქონ-

და სწავლაში მასზე უფრო ვბეჯითობდი და მტკიცე ნებისყოფას ვიჩენდი. დიდ სიხარულს მანიჭებდა რეალურ სამყაროსთან დაკავშირებული მოვლენების გამოკვლევა, ელიზაბეთს კი პოეტთა ზეციური სამყარო იტაცებდა. ეს სამყარო ჩემთვის საიდუმლოს წარმოადგენდა, რომლის ამოცნობა ხატვით მჭონდა გადაჭყეული, მისთვის კი — თავისუფალი სივრცე იყო და ცდილობდა თავის წარმოსახვაში ხორცშესხმული ადამიანებით დაესახლებინა.

ჩემი ძმები ჩემზე ბევრად უმცროსები იყვნენ, მაგრამ სკოლის მშენებლის შორის ერთი მეგობარი მყავდა, რომელიც ამ დანაკლისს მინაზღაურებდა ჰენრი კლერვალის მამაჩემის ახლო მეგობრის, უენეველი დიდვაქრის ვაჟი იყო. ეს ბიჭი დაჯილდოებული იყო განსაკუთრებული ნიჭით და არაჩვეულებრივი წარმოსახვის უნარით. მახსოვს, ცხრა წლისამ ერთი ზღაპარი შეთხზა, რამაც ჩვენ ძალიან გაგვაოცა და გაგვახარა. ჰენრის რაინდული რომანები და მათი რომანტიკა იტაცებდა. მახსოვს, ჯერ კიდევ სულ პატარები ამ რომანების გავლენით დაწერილ მის პიესებში ვთამაშობდით ხოლმე. ამ პიესების მთავარი გმირები ორლანდო, რობინ ჰუდი, ამადისი და წმინდა გიორგი იყვნენ.

ასე მგონია, არავის ჰქონია ჩემზე ბედნიერი სიყმაწვილე. ძალზე ღმობიერი მშობლები და გულითადი მეგობრები მყავდა. სწავლას არასდროს არ გვაძალბდნენ, მეცადინეობას მოვრჩებოდით თუ არა, ბუნების წიაღში გავდიოდით, რაც აღრმავებდა ჩვენს ცნობისმოყვარეობას, ძალა გვემატებოდა და მეტი გულმოდგინებით ვაგრძელებდით მეცადინეობას. ელიზაბეთს არავინ აიძულებდა გულმოდგინედ ესწავლა ხატვა, რომ მისთვის ამხანაგებს არ ეჯობნათ. მაგრამ რადგან დიდი სურვილი ჰქონდა ბიკოლამისისათვის ესიამოვნებინა, ლამაზ პეიზაჟებს უხატავდა. ჩვენ ვსაწვლობდით ლათინურს და ინგლისურს, რათა თავისუფლად შეგვეძლებოდა ამ ენებზე დაწერილი წიგნების კითხვა; სიზარმაცისათვის ფიზიკურად არ გვსჯიდნენ, ალბათ ამიტომაც იყო, რომ სწავლა კი არ გვეზარებოდა, პირიქით, გვწყუროდა და სწავლის პროცესი ჩვენთვის გართობა — სხვა ბავშვებისათვის კი მძიმე შრომა იყო. შესაძლოა იმდენ წიგნს არ ვკითხულობდით ან კიდევ ენებს ისე სწრაფად ვერ ვითვისებდით, როგორც სხვა ბავშვები, რომლებსაც ჩვეულებრივი მეთოდებით წვრთნიდნენ, მაგრამ ყველაფერი, რასაც ვსწავლობდით ძალიან ღრმად წვდებოდა ჩვენს გულსა და გონებას.

ჩვენს ოჯახურ წრეში არ შემოძლია არ მოვიხსენიო ჰენრი კლერვალი, რადგანაც იგი ყოველთვის ჩვენთან იყო; სკოლაში ერთად დავდიოდით და მთელ დღეებს ჩვენთან ატარებდა ხოლმე. მამამისს უხაროდა, რომ დედისერთა და თავის ოჯახში თანატოლებს მოკლებული ჰენრი ამხანაგებს ჩვენს სახლში პოულობდა და ჩვენც სრულ ბედნიერებას ვერ ვგრძნობდით, თუ კლერვალი ჩვენთან არ იყო.

სიამოვნებას მანიჭებს ბავშვობის მოგონებები, ეს ხომ ის დრო იყო, სანამ უბედურება დამიბნელებდა გონებას, დაამსხვრევდა ჩემს ნათელ ოცნებებს, ხალხს გამოვდგომოდი და საკუთარ თავზე მწარედ ჩამაფიქრებდა. როცა ჩემი ადრეული დღეების სურათებს ვხატავ, გვერდს ვერ ავუვლი იმ ამბებს, რომლებმაც სულელური ნაბიჯი გადამადგმევინა და ამ უბედურებამდე მიმიყვანა. გონების თვალთ რომ გადავხედავ, ვრწმუნდები, ის დიდი გატაცება, რომელმაც შემდგომ ჩემი ბედ-იღბალი გადაწყვიტა, მთის მდინარესავეით უმნიშვნელო და თითქმის უჩინარი სათავიდან წარმოიშვა, მაგრამ დინებისას

მომძლავრდა. ნიაღვრად იქცა, ჩაიქროლა და თან წარიტაცა ყველა ჩემი იმედი და სიხარული.

საბუნებისმეტყველო მეცნიერება ის ავი სული აღმოჩნდა, რომელმაც თავისი სურვილით აბრუნა ჩემი ბედის ჩარხი, ამიტომაც მსურს ჩემს ნაამბობში იმ მოვლენებზე გავამახვილო ყურადღება, რომლებმაც ამ მეცნიერებისაკენ გადამიბირა. ცამეტი წლისა ვიყავი, მთელი ოჯახით ტონონის მახლობლად რომ ვისვენებდით. საბანაოდ და დროს გასატარებლად ჩამოვყავდით აქ, მაგრამ ავღარმა შინ გამოგვკეტა. შემთხვევით კორნელიუს აგრიპას ერთ შრომას გადავაწყდი. უხალისოდ გადავშალე წიგნი. თეორიამ, რომლის დამტკიცებასაც აგრიპა ცდილობს, და იმ გასაოცარმა ფაქტებმა, რომელთა შესახებაც ის მსჯელობს, დამაინტერესა და მალე ჩემი გულგრილობა აღტაცებაში გადაიზარდა. თითქოს გონება გამინათდა. გახარებულმა ხტუნვით გავწიე მამაჩემისაკენ და ვაცნობე ჩემი აღმოჩენის შესახებ. არ შემძლია თავი შევიკავო და არ აღვნიშნო, რომ მასწავლებლებს მრავალი საშუალება აქვთ თავიანთ მოსწავლეთა ყურადღება სასარგებლო ცოდნისაკენ მიმართონ, მაგრამ ამ საშუალებებს ისინი ხშირად უგულებელყოფენ. მამაჩემმა წიგნის სათაურს დაუდევრად დახედა და მითხრა: „ოჰ, კორნელიუს აგრიპა! ჩემო ძვირფასო ვიქტორ, ამაზე ტყუილად დროს ნუ დაკარგავ, სისულელეა, აბდაუბდაა“.

ამის თქმის მაგივრად მამაჩემს რომ თავი შეეწუხებინა და აეხსნა ჩემთვის, ახლა აგრიპას დებულებანი სრულიად საფუძველს მოკლებულიაო, მას რომ ეთქვა, ახლა მეცნიერების თანამედროვე სისტემა არსებობს და თუმცა წინანდელი სისტემა უტყუარი და სასარგებლო იყო, ახალს გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვს ვიდრე ძველს, რადგანაც ამ უკანასკნელის შესაძლებლობები ქიმიას ეყრდნობაო — ასეთ შემთხვევაში მე, რა თქმა უნდა, აგრიპას გვერდზე მოვისროდი და ჩემს ცხოველ წარმოსახვას სრულად მივმართავდი ქიმიის რაციონალური თეორიისაკენ, რომელიც თანამედროვე აღმოჩენათა შედეგია. შესაძლოა ჩემი აზრები აღარ წარმართულიყვნენ ასე საბედისწეროდ, რამაც ასეთ განადგურებამდე მიმიყვანა. მაგრამ მამამ ისე ზერელად გადაავლო წიგნს თვალი, რომ არც კი დავიჭერე, თუ მისი შინაარსი იცოდა, და უფრო ხარბად დავეწაფე კითხვას.

შინ რომ დავბრუნდით, ჩემი პირველი საზრუნავი ჯერ აგრიპას და შემდგომ პარაცელსუსის² და ალბერტ დიდის³ შრომათა სრული კრებულების შოვნა იყო. სიამოვნებით წავიკითხე და შევისწავლე ამ ავტორთა გასაოცარი ფანტაზიის ნაყოფი. ეს წიგნების საუნჯედ მივიჩნიე და, მეგონა, მათი არსებობა ჩემ გარდა ცოტა ვინმემ თუ იცოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი სული მქონდა ეს საიდუმლოდ შეძენილი ცოდნა მამისათვის გამეზიარებინა, მაინც თავს ვიკავებდი, რადგან მამაჩემი დაუზოგავად კიცხავდა ჩემს სათაყვანებელ აგრიპას. ჩემი აღმოჩენა ელიზაბეთს გავუმჟღავნე, ოღონდ პირობა ჩამოვართვი, საიდუმლოს მკაცრად შეინახავდა. მაგრამ ელიზაბეთი ამით სულაც არ დაინტერესებულა და ისევ ეულად დარჩენილმა განვაგრძე ჩემი გამოკვლევები.

¹ კორნელიუს ჰენრიხ აგრიპა ნეცესჰაიმელი (1486—1535) — გერმანელი ფილოსოფოსი, ჰუმანისტი, ექიმი, მოგზაურა.

² ფილიპე აურელი პარაცელსუსი (1493—1541) — გერმანელი ექიმი და ბუნებისმეტყველი.

³ ალბერტ დიდი. ალბერტ ფონ ბოლშტაიდტი (1193—1280) — შუასაუკუნეების გამოჩენილი სწავლული, თავისი დროის სქოლასტიკის მეთაური.

უცნაურად მოგეჩვენებათ, რომ ალბერტ დიდს შეიძლებოდა მეთვრამეტე საუკუნეში გამოჩენოდა მიმდევარი, მაგრამ ჩვენი ოჯახი არ იყო მეცნიერებით გატაცებული და ქენევის უმაღლეს სასწავლებლებში მე არც ერთი ლექცია არ მჭონდა მოსმენილი. ამიტომაც ოცნებებით გართული რეალობას არ გამოვუფიქრობებოვარ და მე დიდი გულმოდგინებით დავიწყე ფილოსოფიური ქვის და სიცოცხლის ელექსირის ძებნა. ამ უკანასკნელმა დაიბყრო მთელი ჩემი ყურადღება. სიმდიდრე არ მაინტერესებდა, მაგრამ რა დიდება მელოდა მეცნიერების მყოფობისაგან თავის დასალწევ საშუალებას აღმოვაჩენდი და ადამიანს სიკვდილისაგან უვნებელყოფდი, გარდა ძალადობით გამოწვეული მკვლელობის შემთხვევისა!

მარტო ეს არ იყო ჩემი ოცნება, ჩემი საყვარელი ავტორები სიამოვნებით მბირდებოდნენ ესწავლებინათ უწმინდური ძალისა და სულების დამორჩილება, რაც მე დიდად მსურდა, და თუ ჩემი ჯადოქრობა ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა, მე ამას ჩემს გამოუცდელობას და შეცდომებს ვაბრალებდი და არა ჩემს მოძღვართ, რომელთაც ოსტატობა და სიზუსტე აკლდათ.

ბუნებრივი მოვლენები, რომლებიც ყოველდღე ჩვენ თვალწინ ხდებოდა, არასდროს არ რჩებოდა ჩემი ყურადღებისა და კვლევის მიღმა. დისტილაცია და ორთქლის გასაოცარ ეფექტებზე ჩემს საყვარელ ავტორებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. ამ დარგში მათმა უმეცრებამ ძალიან გამაკვირვა. ყველაზე მეტად დამაინტერესა ექსპერიმენტებმა, რომელსაც ერთი ჩვენი ნაცნობი გენტლმენი ჰაერის ტუმბოზე ატარებდა.

წინანდელ ფილოსოფოსთა მიერ ასეთი და სხვა მრავალი საკითხის არცოდნამ, ჩემს თვალში მათ ავტორიტეტს ჩრდილი მიაყენა და ჩემზე მათი გავლენა შეასუსტა. მაგრამ, სანამ ჩემს გონებაში მათ ადგილს სხვა სისტემა არ დაიკავებდა, ასე ხელაღებით ვერ მივატოვებდი მათი წიგნების კითხვას.

ქალაქგარეთ, ბელრივის ახლოს, სახლი გვქონდა. ასე თხუთმეტი წლისა ვიქნებოდით, როცა იქ საშინელი ჭექა-ქუხილის მოწმენი გავხდით. იგი იურას მთაგრეხილის უკანა მხრიდან გავრცელდა. მეხი საშინელი ხმაურით გავარდა და მისი გრიალი მთელ ზეცის თაღს მოედო. ადგილიდან არ დავძრულვარ და ქარიშხლის მძვინვარებას ცნობისმოყვარეობით და აღტაცებით ვადევნებდი თვალს. კართან ატუზულმა მოულოდნელად შევამჩნიე, რომ სახლიდან დაახლოებით ასე ოც იარღზე მდგომ ბებერ, ლამაზ და ტოტებგანიერ მუხას ალი ივარდა და როგორც კი ეს თვალისდამაბრმავებელი სინათლე ჩაქრა, მუხაც გაქრა და მისგან მხოლოდ დანახშირებული კუნძილა დარჩა. მეორე დილით, როცა მივედით, ვნახეთ, მუხა საოცრად იყო დაღეწილი. მეხს ხე კი არ გაებო მხოლოდ, სულ პატარ-პატარა ნაფოტებად ექცია. ასე გაცამტვერებული არასდროს არაფერი მენახა.

ამ ხის განადგურებამ უკიდურესად გამოაცა და მამას დიდი ინტერესით გამოვკითხე, რაში მდგომარეობდა ელვისა და ჭექა-ქუხილის არსი და საიდან წარმოიშვნენ ისინი. „ელექტრობა წარმოშობს მათ“ — მიპასუხა მამამ და თან ელექტრობის ძალის სხვადასხვა შედეგები დამიხასიათა. მამამ ელექტროხელსაწყო გააკეთა და რამდენიმე ცდა გვიჩვენა. შემდეგ სიმზე ფრანი ისე გამოაბა, რომ ელექტროსადენის საშუალებით ღრუბლებიდან სითხე ეონავდა.

ამ ბოლო დარტყმამ ჩემს თვალში საბოლოოდ დაამხო კორნელიუს აგრიპა, ალბერტ დიდი, პარაცელსუსი — ყველა ისინი, ვინც ასე დიდი ხნის მანძილზე ჩემი ოცნებების მეუფენი იყვნენ. მაგრამ რალაც განგების ძალით არ

გამოვიჩინე მონდომება, რათა რომელიმე ახალი სისტემა შემესწავლა, და ეს შემდეგი გარემოებით იყო განპირობებული.

მამაჩემმა სურვილი გამოთქვა, რომ მე საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში მომესმინა ლექციების კურსი, რაზედაც სიამოვნებით დავთანხმე. რაღაც მოულოდნელმა შემთხვევამ ხელი შემიშალა ამ ლექციებს მანამ დავსწრებოდი, სანამ კურსი თითქმის დასასრულს არ მიუახლოვდა. ერთ-ერთი უკანასკნელი ლექცია ჩემთვის სავსებით გაუგებარი გამოდგა. პროფესორი სხაპასხუპით ლაპარაკობდა კალიუმზე და ბორის მჟავაზე, გოგირდმჟავას მარილზე და ოქსიდებზე, მე კი ამ ტერმინებზე წარმოდგენაც არ მქონდა. მე შევიჩავრე საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, თუმცა ისევ დიდი სიამოვნებით ვკითხულობდი პლინიუსს და ბუფონს და, ჩემი აზრით, ორივე ავტორის შრომები თანაბრად საინტერესო და სასარგებლო იყო.

იმ ასაკში ჩემი საქმიანობა ძირითადად მათემატიკის და უმეტესად ამ მეცნიერებასთან დაკავშირებული სხვა დარგების შესწავლა იყო. ძალიან დიდ დროს ვუთმობდი ენების შესწავლასაც. ლათინური ენა უკვე კარგად ვიცოდი და შედარებით ადვილად გასაგები ბერძნული წიგნების კითხვაც დავიწყე ულექსიკონოდ. სრულყოფილად ვიცოდი აგრეთვე ინგლისური და გერმანული ენები. ასეთი იყო ჩემი მიღწევათა ნუსხა ჩვიდმეტი წლის ასაკში. თქვენ ახლა ალბათ ადვილად წარმოიდგენთ, რომ ჩემი ყოველი წუთი დაკავებული იყო ცოდნის შეძენით და მრავალფეროვანი ლიტერატურის შესწავლით.

კიდევ ერთი მოვალეობა დამეკისრა, ჩემი ძმების მასწავლებელი გავხდი. ერნესტი ექვსი წლით ჩემზე უმცროსი და ჩემი პირველი მოწაფე იყო. პატარაობიდანვე სუსტს, მე და ელიზაბეთი გამუდმებით თავს დავტრიალებდით ხოლმე. ძალიან თვინიერი და დამჯერი იყო, მაგრამ ბუნებით ნაზს, მუყაითად შრომა არ შეეძლო. ყველაზე პატარა, უილიამი, ჯერ სულ მთლად ბალდი, ისეთი კარგი იყო, მისი დამნახავი გულგრილი ვერ დარჩებოდით, უნდა შეგყვარებოდათ. სიცოცხლით სავსეს, ცისფერთვალებას, ფუნჩულა ლოყებზე ფოსოები უხდებოდა. თავად არაჩვეულებრივად მოყვარული, უფაქიზესი გრძნობით გვიყვარდა.

ასეთი იყო ჩვენი ოჯახური წრე. ჩვენი დამნახავი კაცი იფიქრებდა, აქ ღვთის თვალი ტრიალებს და გაჭირვება და უბედურება ვერასდროს მოიკალათებსო. მამაჩემი ჩვენს სწავლას ხელმძღვანელობდა, დედა კი ჩვენი გართობის და სიამოვნების მუდმივი თანამონაწილე იყო. არცერთი ჩვენთაგანი უპირატესობით არ სარგებლობდა. ჩვენ შორის ბრძანებით მიმართვას ვერასდროს ვერ გაიგონებდით. ერთმანეთის სიყვარული საკუთარის დათმობას და სხვისი მცირედი სურვილის ასრულებას გვავალებდა.

თავი მერე

ჩვიდმეტი წლისა რომ გავხდი, მშობლებმა გადაწყვიტეს ინგოლშტადტის¹ უნივერსიტეტის სტუდენტი გავმხდარიყავი. ყენევის სკოლებში მანამდეც დავდიოდი, მაგრამ ჩემი განათლების სრულყოფისათვის მამაჩემს აუცილებლად მიაჩნდა, გავცნობოდი არა მარტო მშობლიური მხარის, არამედ სხვა ქვეყნე-

¹ ინგოლშტადტი — ქალაქი ბავარიაში, მიუნხენის ჩრდილოეთით.

ბის ადამ-წესებსაც. ჩემი გამგზავრების დღეც წინასწარ უკვე დათქმული იყო, მაგრამ სანამ ეს დღე დადგებოდა, ჩემს ცხოვრებაში პირველი უბედურება დატრიალდა, რაც მომასწავებელი გახდა ჩემი მომავალი ტანჯვა-წვალებისა.

ელიზაბეთს ქუთრუშა შეეყარა, მაგრამ მისი ავადმყოფობა სერიოზული არ გამოდგა და მალე მოიკეთა. სანამ ავადმყოფის იზოლირება იყო საჭირო, დედას ყველანაირად ვარწმუნებდით. თავი შეეკავებინა ავადმყოფის მოვლაში და დედამ პირველად ყურად იღო ჩვენი ვედრება, მაგრამ, როცა გაიგო საყვარელი ელიზაბეთი მომჯობინდა, უკვე უმისოდ აღარ გაეძლებოდა და მანამდე შევიდა ავადმყოფის ოთახში, ვიდრე ინფექციის გადადების საშიშროება გაივლიდა. ამ წინდაუხედავი აჩქარების შედეგი საბედისწერო აღმოჩნდა. მესამე დღეს დედაჩემი მძიმედ ავად შეიქნა. მისი ყელჭირვება დამლუბველი გამოდგა და მასთან მოსულ მნახველთა გამომეტყველება უკიდურესი საშინელების მოახლოების მაუწყებელი იყო. ამ მომხიბლავ ქალს სასიკვდილო სარეცელზეც არ დაუკარგავს სულის მხნეობა და ღვთაებრივი სიკეთე. მან შეაერთა ჩემი და ელიზაბეთის ხელები. „ჩემო შვილებო, — თქვა მან, — ჩემი რწმენით მომავალ ბედნიერებას ყოველთვის თქვენს შეერთებას ვუკავშირებდი. ახლა თქვენი კორწინების მოლოდინიღაა მამათქვენის ნუგეში. ელიზაბეთ, ჩემო საყვარელო, ახლა ჩემი მაგივრობა შენ უნდა გაუწიო შენს პატარა ბიძაშვილებს. ღმერთო! რა მწარედ ვნანობ თქვენთან დაშორებას. ო, რა აუტანლად მძიმეა ჩემთვის თქვენგან წასვლა, როცა ასე ბედნიერი და თქვენი სიყვარულით განებივრებული ვარ. მაგრამ ასეთი ლაპარაკი არ მეკადრება, მთელ ძალ-ღონეს მოვიკრებ, რათა პირზე ღიმილით შევხვდე სიკვდილს და თავს იმით დავიიმედებ, რომ იმქვეყნად შევხვდებით ერთმანეთს“.

დედა მშვიდად მიიცვალა; მისი გაყინული სახეც კი ჩვენდამი უსაზღვრო სიყვარულს გამოხატავდა. ალბათ საჭირო არაა შევებო იმათ განცდებს, ვისაც უსაყვარლეს არსებას წარსტაცებს ამქვეყნად ყველაზე უფრო გამოუსწორებელი ბოროტება — დაუნდობელი სიკვდილი. სულში რომ სიცარიელეს ჩაგიბუდებს და სახეზე სასოწარკვეთილების დაღს დაგასვამს. ბევრი წყალი ჩაივლის მანამ, სანამ გონება დაემორჩილება იმ აზრს, რომ ვისაც ყოველდღე ვხედავდით, ვისი არსებობაც ჩვენი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილი გვეგონა, შეიძლებოდა სამუდამოდ წასულიყო ჩვენგან, რომ სამუდამოდ ჩაქრა სხივი საყვარელ თვალთა და სამუდამოდ დადუმდა ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი და სანუკვარი ხმა. ასეთია პირველ დღეთა მწარე ფიქრები. მაგრამ, როცა დროის მსგელელობა გვიდასტურებს აუნაზღაურებელი დანაკლისის რეალობას, სწორედ მაშინ იგრძნობა ნამდვილი მწუხარების სიმწარე. განა არის ჩვენ შორის ვინმე, ვისაც ამ მსახვრალმა ხელმა საყვარელი ადამიანი არ წარსტაცა? და რისთვისღა აღვწერო ის მწუხარება, რაც ყველას განუცდია, რაც ყველასთვის გარდუვალია? ბოლოს და ბოლოს დადგება დრო, როცა მწუხარება ასატანი ხდება და იგრძნობა, რომ იგი შენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი აღარაა, და ღიმილი უნებლიეთ ბაგეს რომ ვაგებობს, თუმცა ჯერ ისევ მკრებხელობად მიგაჩნია, მაგრამ უკვე აღარ გაურბი, სულს ეგ ღიმილი უკვე სწყურია. დედაჩემი აღარ იყო. მაგრამ ჩვენ ჩვენი ვალი დაგვრჩა მოსახდელი. ვინც ცოცხალი დავრჩით, ცხოვრების დინებას უნდა მივყოლოდით და თავი ბედნიერად ჩაგვეთვალა მანამდე, სანამ ერთი ჩვენთაგანი მაინც გადარჩებოდა და არ გახდებოდა სიკვდილის მსხვერპლი...

ჩემი ინგოლშტადტში გამგზავრება, რომელიც ამ ამბების გამო გადაიდო,

ისევ დღის წესრიგში დადგა. მამამ სულის მოსათქმელად უფლება მომცა რამდენიმე კვირით სახლში შევეყოვნებულიყავი, ამ პერიოდმა მეტად ნაღვლიანად განვლო; დედაჩემის გარდაცვალებამ, ჩემმა ნაჩქარევმა გამგზავრებამ ყველას სული დაგვიმძიმა. მაგრამ ელიზაბეთი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ჩვენს პატარა წრეში ისევ დაებრუნებინა მიმქრალი სიცოცხლის ხალისი ბრცოლამისის გარდაცვალების შემდგომ ელიზაბეთმა თამამად გაუსწორა თვალი სინამდვილეს, სულის მხნეობა შეიმატა და ახალი ენერგიით აღიარდა და დაწყვიტა უდიდესი პასუხისმგებლობით შეესრულებინა მასზე დაკისრებული, მემკვიდრეობით გადაცემული მოვალეობანი და მათგან უპირველესად მიიჩნია, ყველაფერი ელონა ბიძამისის და ბიძაშვილების ბედნიერების უზრუნველსაყოფად. მე მამშვიდებდა, ბიძამისის გართობას ცდილობდა, ჩემი ძმების აღზრდას ხელმძღვანელობდა — არასდროს მინახავს ელიზაბეთი უფრო მომზიბლავი, ვიდრე მაშინ, როცა საკუთარი თავი სრულიად დაივიწყა და მარტოოდენ სხვათა ბედნიერებისათვის იღვწოდა.

ბოლოს ჩემი გამგზავრების დღეც დადგა. გარდა კლერვალისა, ყველა ჩეგობარს გამოვეთხოვე. კლერვალმა უკანასკნელი საღამო ჩვენთან ერთად გაატარა. იგი მწარედ ჩიოდა, რომ არ შეეძლო თან გამომყოლოდა. ვერაფრით ვერ გადაიბირა მამამისი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა კლერვალი თანამოსაქმედ გაეხადა. მამამისი ხარკს უხდიდა თავის საყვარელ თეორიას, რომლის მიზნდვითაც კომერციისათვის უმაღლესი განათლება ზედმეტი ბარგი იყო. პენრის ნათელი გონება ჰქონდა, იოტისოდენა სურვილი არ გააჩნდა დრო ამად დაეკარგა და ესიამოვნა კიდევ, როცა გაიგო, მამამისის პარტნიორი უნდა გამხდარიყო. მაგრამ მას შესაძლებლად მიაჩნდა, რომ კაცი ძალიან კარგი ვაჭარიც და ამავე დროს ფართო განათლების პატრონიც ყოფილიყო.

ჩვენ გვიანობამდე შევრჩით საუბარს. ვუსმენდით კლერვალის უკმაყოფილო ლაპარაკს და სამომავლო პატარ-პატარა გეგმებს ვსახავდით. მეორე დღეს, ადრე დილით, მე გავემგზავრე. ელიზაბეთს ცრემლები წასკდა. მათი მიზეზი ნაწილობრივ ჩემი განშორებით გამოწვეული სევდა იყო, ნაწილობრივ კი იმ მწარე სინანულს გამოხატავდა, რომ არ დამცალდა ამავე გზას სამი თვის წინ დავდგომოდი, როცა დედაჩემის ლოცვა-კურთხევა თან გამყვებოდა.

მივეგდე ჩემ წასაყვანად მოსული ეტლის კუთხეში და მწარე ფიქრებმა ამიყოლია. მუდამ გარშემორტყმული ვიყავი გულითადი და სათნო ადამიანებით, რომლებიც სულ იმის ცდაში იყვნენ, ურთიერთისათვის სიხარული და სიამოვნება მიენიჭებინათ, ახლა კი მარტო დავრჩი. უნივერსიტეტში, რომლისკენაც ასე მივისწრაფოდი, ჩემ ირგვლივ ახალი მეგობრები უნდა შემომეკრიბა და ჩემი თავის ქომაგი უნდა ვყოფილიყავი. აქამდე განმარტოებულად ვცხოვრობდი და ოჯახური წრით ვიყავი შემოფარგლული, რამაც დაუძლეველი ანთიპათია გამიღვივა უცხო ხალხის მიმართ. მიყვარდა ჩემი ძმები, ელიზაბეთა, კლერვალი. ესენი ჩემი ძველი ნაცნობი, საყვარელი ადამიანები იყვნენ და ასე მეგონა, ვერ შევეგუებოდი უცხო წრეს. ასეთ ფიქრებში ვიყავი გართული მოგზაურობის დასაწყისში, მაგრამ, რაც უფრო წინ მივიწევდი, სულის მხნეობა მემატებოდა და გულშიც იმედი ჩამესახა. ცოდნის შეძენის დაუოკებელი სურვილი მქონდა. სახლში ყოფნისას ხშირად იმის წარმოდგენაც კი მიძნელებოდა, რომ სიჭაბუკე სახლში გამოკეტილს გამეტარებინა. მწყუროდა ქვეყანა მენახა და საზოგადოებაში ჩემი საკუთარი ადგილი დამემკვიდრებინა. და

ახლა, როცა ნატვრა მისრულდებოდა, დარდი და სინანული, ჩემი მხრივ, ნამდვილად სისულელე იქნებოდა.

ინგოლშტადტში მგზავრობა მეტად ხანგრძლივი და დამქანცველი გამოდგა. ასე რომ, საკმაოდ ბევრი თავისუფალი დრო მქონდა ამაზე და კიდევ ბევრ სხვა რამეებზე საფიქრელად. ბოლოს, როგორც იქნა, თვალი მოვკარი ქალაქის მაღალ თეთრ შპილს, ეტლიდან გადმოვედი, ჩემს განცალკევებულ ოთახში შემიყვანეს და დამტოვეს, რათა საღამო ჩემს ნებაზე გამეტარებინა.

მეორე დღით ვეწვიე და ჩემი სარეკომენდაციო წერილები უნივერსიტეტის წამყვან ლექტორებს, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პროფესორს ბატონ კრემპეს. მან თავაზიანად მიმილო და რამდენიმე შეკითხვა მომცა, რომ გაეგო, რა წარმატებას მივალწიე იმ დარგებში, რომლებიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებას მიეკუთვნება. სიმართლე რომ ვთქვა, შიშით და ცახცახით მოვიხსენიე ის ავტორები, რომლებსაც ამ საგნებთან დაკავშირებით ოდესღაც გავეცანი. პროფესორმა თვალები ფართოდ გააღო და გაცხებული შემომაჩერდა: „თქვენ რა, მართლა დაკარგეთ დრო ამ სისულელის შესასწავლად?“ — თქვა მან.

მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. „ყოველი წუთი“, თანაგრძნობით განაგრძო ბატონმა კრემპემ, „ყოველი წამი, რომელიც თქვენ ამ წიგნებზე დახარჯეთ, სავსებით და აუნაზღაურებლად დაკარგულია. მეხსიერება მერყევი სისტემებით და არაფრისმთქმელი, უსარგებლო სახელებით გადაგიტვირთავთ. ღმერთო დიდებულო! რომელ უკაცრიელ ადგილას ცხოვრობდით, ნუთუ არავინ ღვთისნიერი არ გამოჩნდა თქვენთვის, ეთქვა, რომ ეს ზღაპრები, ასე ხარბად რომ ითვისებდით, ათასი წლისაა და სიძველისგან ობი აქვს მოკიდებული? ნამდვილად არ ველოდი, რომ ამ განათლებულ და მეცნიერულ საუკუნეში ალბერტ დიდის და პარაცელსუსის მოწაფეს შევხვდებოდი. ჩემო ბატონო, როგორც ვატყობ, მეცადინეობის თავიდან დაწყება მოგიწევთ“.

პროფესორმა ეს მითხრა, შემდგომ განზე გადგა და რამდენიმე წიგნის სია გადმომცა ბუნებისმეტყველებაში. მირჩია, ეს წიგნები მეშოვნა, და გამომიშვა. თან დასძინა, მომავალი კვირიდან განზრახული მაქვს დავიწყო ლექციების კურსის კითხვა ზოგად ბუნებისმეტყველებაში, ახალგაზრდა პროფესორი, ბატონი უოლდმანი კი მონაცვლეობით, კვირის სხვა დღეებში ჩაატარებს ლექციებს ქიმიისში.

შინ იმედგაცრუებული არ დავბრუნებულვარ, რადგანაც ის ავტორები, პროფესორმა ასე დაუზოგავად რომ გაკიცხა, კარგა ხანია უსარგებლოდ მყავდნენ მიჩნეული. მაგრამ ამავე დროს ვიგრძენი, რომ არავითარი მისწრაფება არ მქონდა, პროფესორ კრემპეს მიერ შემოთავაზებული წიგნები დამემუშავებინა. ბატონი კრემპე ჯმუხი, პატარა ტანის, ულამაზო კაცი იყო, უსიამოვნო, ჩახლჩილი ხმა ჰქონდა. ალბათ, ნაწილობრივ ამიტომაც იყო, რომ ამ ლექტორმა ჩემში წინასწარვე კეთილგანწყობა ვერ გამოიწვია და თავისი საგნის მიმართ ყოველგვარი ინტერესი დამიკარგა. მით უმეტეს, რომ მე, თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებას აღმაცერად ვუყურებდი. სულ სხვა იყო, როცა მეცნიერები უკვდავებისა და ძალაუფლების მოპოვების საიდუმლოს ეძებდნენ. ეს, მართალია, უნაყოფო, მაგრამ მაინც დიდებული მისწრაფებები იყო. ახლა კი საქმის ვითარება სრულიად შეიცვალა, ახლა ისე ჩანდა, რომ მკვლევართა მისწრაფებანი შემოიფარგლა სწორედ იმ იმედთა გაცრუებით, რომელზედაც ეფუძნებოდა ჩემი სიყვარული მეცნიერებისადმი. ჩემგან მოით-

ხოვდნენ, რომ ჩემი ფუჭი, მაგრამ მაინც დიდი და ზღვარდაუდებელი მოცნებები უბადრუკ ჩალის ფასად ღირებულ რეალობაზე გამყვება.

ამ ფიქრებში ვიყავი ჩაფლული ინვოლუტადტში ჩასვლის პირველ ორსამ დღეს, რომლებიც თითქმის სულ მარტობაში გავატარე. მაგრამ, როგორც კი შემდგომი კვირა დაიწყო, მაშინვე გამახსენდა კრემპეს ნათქვამი — ქიმიაში ლექციები ჩაგიტარდებათ. გულახდილად რომ ვთქვა, სულაც არ მეპიტნავებოდა წავსულიყავი და ამ ბაქია, თავის თავზე უზომოდ უფროდგენის მქონე ქონდრისკაცის ქადაგება მომესმინა, მაგრამ კრემპეს ნათქვამს ხსენებმა ბატონმა უოლდმანმა დამაინტერესა. ეს კაცი ჯერ არ მენახა, რადგანაც ქალაქში არ იმყოფებოდა.

ნაწილობრივ ცნობისმოყვარეობის და ნაწილობრივ იმის გამო, რომ უქმად ვიყავი, აუდიტორიაში შევედი, სადაც მალე ბატონი უოლდმანი შემობრძანდა. ეს პროფესორი თავის კოლეგას სულ არ ჰგავდა. ასე ორმოცდაათი წლისა თუ იქნებოდა. კეთაზე მთლად შავი თმა საფეთქლებთან შექალარავებოდა. დაბალი იყო, მაგრამ ტანი გამართულად და ლაღად ეჭირა. მასავით მელოდიური და მომხიბლავი ხმა არასოდეს მსმენია. ლექციის დასაწყისში მან მიმოიხილა ქიმიის განვითარების ისტორია და სათანადო დასკვნებიც გამოიტანა. ილაპარაკა სხვადასხვა სწავლულთა მიერ ქიმიაში დანერგილ მრავალ გაუმჯობესებულ სიხლზე; უდიდესი მოკრძალებითა და აღფრთოვანებით მოიხსენია გამოჩენილ მეცნიერთა სახელები. შემდეგ მოკლედ ილაპარაკა ამ მეცნიერთა თანამედროვე მდგომარეობაზე და აგვისხნა ბევრი ელემენტარული ტერმინი. რადენიმე მოსამზადებელი ცდის ჩატარების შემდგომ, არასდროს არ დამავიწყდება, ისეთი სიტყვებით შეასხა ხოტბა თანამედროვე ქიმიას:

„თანამედროვე მეცნიერების წინამორბედნი, — თქვა მან. — შეუძლებელს გვპირდებოდნენ, მაგრამ მათ არაფერი აღმოუჩენიათ, ხოლო თანამედროვენი ძალიან ცოტას გვპირდებიან; მათ იციან, რომ ლითონთა გარდაქმნა შეუძლებელია, ხოლო სიცოცხლის ელექსირი განუხორციელებელი ოცნებაა. მაგრამ ამ მეცნიერებმა, რომელთაც ღმერთმა ხელები და თვალები თითქოს იმიტომ უბოძა, რომ მტვერში ამოგანგლულებმა ტყუილუბრალოდ იცოდვილონ მიკროსკოპითა და ტიგელით, სწორედ ამ მეცნიერებმა მოახდინეს ნამდვილი სასწაულები. ისინი ღრმად სწვდებიან ბუნების საიდუმლოებას და გვიჩვენებენ, რა ხდება მის დაფარულ სფეროებში. ისინი ცაში იჭრებიან, მათ გამოიკვლიეს, როგორ მოძრაობს სისხლი ჩვენს სხეულში და რისგან შედგება ჰაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ. მათ უცნობი და თითქმის დაუმორჩილებელი ძალები დაიპყრეს. ზეცაში მესხა და ჭექა-ქუხილს განაგებენ. თუ მოისურვებს, მიწისძვრას გამოიწვევენ, თუ მოისურვებს, თვით უჩინარ სამყაროსაც გაუკადნიერდებიან და მის ფარულ ძალებს თავის ნება-სურვილზე აამოქმედებენ“.

ლექციის კითხვისას მის მანერაში ერთგვარი პატივმოყვარეობა იგრძნობოდა, რაც მის ოჯახში ყოფნისას უაღრესმა თავაზიანობამ და ჩემდამი გულთბილმა, ალერსიანმა მოპყრობამ შესცვალა. პროფესორი დიდი ყურადღებით მისმენდა, როცა ჩემი სწავლა-განათლების შესახებ ვუყვებოდი. კორნელიუს აგრიპას და პარაცელსუსის ხსენებისას გაეღიმა, მაგრამ ბატონ კრემპეს მსგავსად აბუჩად არ აუგდია ისინი. მან თქვა: „ამ ადამიანთა დაუცხრომელ გულმოდგინებას თანამედროვე მეცნიერები ძალიან უნდა უმადლოდნენ. მათ შედარებით იოლად გადასაწყვეტი ამოცანა დაგვიტოვეს: ეს არის ის, რომ მათი დახმარებით პირველად აღმოჩენილ ფაქტებს ახალი სახელწოდებები ვუწო-

დოთ და ახალი სისტემებით დავალაგოთ. გენიოსთა შრომა, თუნდაც არის წორად წარმართული, თითქმის ყოველთვის საბოლოოდ კაცობრიობის საკეთილდღეოდ გამოიყენება“. მე მოვისმინე მისი მსჯელობა, თავისუფალი ყოველგვარი ბლენძვისა და პრანჭვისაგან, და ვუთხარი, რომ მისმა ლექციამ გამიქარწყლა ცრუ წარმოდგენა თანამედროვე ქიმიაზე. ამავე დროს ვთხარი, რომოდე სიტყვა ეთქვა იმ წიგნების თაობაზე, რომლებიც უნდა მეშოვნა.

„მე ბედნიერი ვარ“, თქვა ბატონმა უოლდმანმა, „რომ მიმდევრები გნებნებოდა, და თუ თქვენი ნიჭი თქვენს მონდომებას შეესაბამება, მერსი“. მისი წარმატებაში ეჭვიც არ მეპარება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათაგან ყველაზე მეტი აღმოჩენები ქიმიაშია, ამიტომაც ამოვიჩიე ქიმია და გადავწყვიტე მისი საფუძვლიანად შესწავლა; მაგრამ ამავე დროს უყურადღებოდ არ დამიტოვებია მეცნიერების სხვა დარგებიც. უსუსურია ის ქიმიკოსი, ვინც მხოლოდ თავისი საგნითაა შემოფარგლული. თუ გსურთ გახდეთ ჭეშმარიტი მეცნიერი და არა მხოლოდ უბრალო ექსპერიმენტატორი, გირჩევთ საფუძვლიანად შეისწავლოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა დარგი, მათ შორის მათემატიკაც უცილობლად“.

შემდგომ მან თავის ლაბორატორიაში წამიყვანა და სხვადასხვა ხელსაწყოების დანიშნულება ამიხსნა, თან მითხრა, რომელი მათგანი უნდა მეშოვა, და შემპირდა, როცა მეცნიერებაში ცოტად თუ ბევრად გაერკვევით, ჩემს ხელსაწყოებსაც გათხოვებთ, მანამდე კი ვერ განდობთ, ვაითუ მათი შექმნილ მი დააზიანოთო. შემდგომ ჩემი თხოვნის თანახმად წიგნების სია გადმომცა და გამოვემშვიდობე.

ასე დამთავრდა ჩემთვის ესოდენ მარადსახსოვარი დღე. ამ დღემ გადაწყვიტა ჩემი მომავალი ბედ-იღბალი.

თავი მესამე

ამ დღიდან მოკიდებული ბუნებისმეტყველება, კერძოდ კი ქიმია, ჩემი ერთადერთი გატაცება გახდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გულმოდგინებით დავიწყე თანამედროვე მკვლევართა ნაშრომების კითხვა, სადაც ჩემთვის საინტერესო საკითხები ნიჭიერად იყო გააზრებული და საფუძვლიანად შესწავლილი. ვესწრებოდი ლექციებს და ახლოს ვეცნობოდი უნივერსიტეტის ლექტორებს, ბატონ კრემპესაც კი სულ სხვა თვლით დავუწყე ცქერა. ეს კაცი ისეთ საღ აზრს და ღრმა ცოდნას ამჟღავნებდა, რომ მისი საძაგელი გარეგნობა და აუტანელი ქცევა მის ამ ღირსებებს ჩრდილს ვერ აყენებდა. ბატონ უოლდმანის სახით კი ჭეშმარიტი მეგობარი შევიძინე. მისი კეთილგანწყობა და დიდი სითბო ჩემ მიმართ არასდროს არ იყო ჭკუის სწავლების ტონით შეფერილი და დოგმატიზმით დამძიმებული. მისი რჩევა-დარიგებანი გულახდილობით იყო გამთბარი და პედანტურობას სრულიად მოკლებული. ვფიქრობ, ამ კაცის გულითადობამ და მიმზიდველმა ხასიათმა უფრო განაპირობა ჩემი მისწრაფება ბუნებისმეტყველების იმ დარგისადმი, რომელშიაც ის მუშაობდა, ვიდრე თანდაყოლილმა დიდმა ინტერესმა მეცნიერებისადმი. მაგრამ ეს სულიერი მდგომარეობა, რომელიც ცოდნასთან მიახლოების ჩემს პირველ ნაბიჯებს ახლდა თან, დიდხანს არ გაგრძელებულა. რაც უფრო ღრმად ვეუფლებოდი მეცნიერების საფუძვლებს, მით უფრო მთელი არსებით მიტაცებდა მეც-

ნიერება და ხარბად ვეწაფებოდი ცოდნის წყაროს. ბეჯითობა: რასაც პირველ ხანებში მხოლოდ მოვალეობის გულისათვის ვიჩენდი, შემდგომ ისეთ მუყაითობაში და მგზნებარე გატაცებაში გადაიზარდა, რომ ხშირად ცისკარი, ვარსკვლავებს რომ აქრობს ცის კაბადონზე, ლაბორატორიაში მომუშავეს მომისწრებდა ხოლმე.

ასე თავდაუზოგავი მუშაობით, ადვილი წარმოსადგენია, რომ ძალიან მალე წარმატებას მივალწიე. სტუდენტებს ჩემი გულმოდგინეობა უცუბდათ, ლექტორებს კი ჩემი ცოდნა და უნარი. იმ დროს, როცა ბატონი უოლდმანი გულწრფელად ხარობდა ჩემი წარმატებებით, პროფესორ კრემპე მზაკვრული ლიმლით ხშირად მკითხავდა: „რაო, რას იქმს კორნელიუს აგრიპა?“ ამ ყოფაში ორმა წელმა ისე განვლო, ერთხელაც არ ჩავსულვარ ქენევაში. მთელი ენერგიით და გატაცებით ახლის ძიებაში ჩავიძირე იმ იმედით, რომ ეს ყველაფერი მეცნიერული აღმოჩენით დაგვირგვინდებოდა. მხოლოდ იმათ, ვისაც აქვს ამის გამოცდილება, შეუძლიათ გაიგონ, როგორია სამეცნიერო კვლევის ხიბლი და მიმზიდველი ძალა. ყველა სხვა სახის საქმიანობა უკვე განვლილი გზების ტკეპნაა, მაშინ როცა სამეცნიერო კვლევა თქვენ წინაშე აღმოჩენებისა და საოცრებების უსასრულო სივრცეს შლის. საშუალო შესაძლებლობების, ჩვეულებრივი ნიჭის მქონე კაცი თუ ერთი პრობლემით დაინტერესდა, უეჭველად დახელოვნდება ამ დარგში და მე, რომელსაც მხოლოდ ერთი მიზანი მამოძრავებდა და დღე და ღამე ერთადერთ პრობლემას ვუჭირკიტებდი, ისეთ წარმატებებს მივალწიე, რომ ორი წლის შემდეგ ქიმიური აპარატურის გასაუმჯობესებელი საშუალებები გამოვიგონე, რამაც უნივერსიტეტში დიდი აღიარება და პატივისცემა მომიპოვა. როდესაც ამ მიჯნას მივალწიე და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ყველა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხს გავეცანი, როცა ავითვისე ყველაფერი, რის მოცემაც კი ინგოლშტადტის პროფესურას შეეძლო, ინგოლშტადტში ყოფნა უკვე ვერაერთარ სარგებლობას ვერ მომიტანდა და გადავწყვიტე მშობლიურ ქალაქს და ჩემს მეგობრებს დაუბრუნებოდი, მაგრამ ამ დროს მოულოდნელი ამბავი მოხდა, რამაც გაახანგრძლივა ჩემი აქ დარჩენა.

ჩემს ყურადღებას განსაკუთრებით ერთი ფენომენი იქცევდა. ეს იყო ადამიანის და, საერთოდ, ყოველი ცოცხალი ორგანიზმის აგებულება. მე ხშირად ვეკითხებოდი თავს, ნეტავ სად არის-მეთქი სიცოცხლის საწყისი, მისი არსი? ეს კადნიერი შეკითხვა ყოველთვის ითვლებოდა ამოუცნობ საიდუმლოებად. არადა, რამდენჯერ ვმდგარვარ ახალი აღმოჩენების მიჯნაზე, მაგრამ სიმხდალე და დაუდევრობა ზღუდავდნენ ჩვენს გამოკვლევებს. ჩემს გონებაში ეს ყველაფერი ბევრჯერ ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე ამას იქით მთელი ჩემი ყურადღება მიმემართა ბუნებისმეტყველების იმ დარგებისაკენ, რომლებიც ფიზიოლოგიას განეკუთნება, და უფრო დაწვრილებით შემესწავლა ისინი. უდიდესი ენთუზიაზმი რომ არა, ჩემი მუყაითობა მოსაბეზრებელი გახდებოდა და ჩემი შრომა — გაუსაძლისი. სიცოცხლის პირველი მიზეზი რომ ამოვიცნოთ, უპირველეს ყოვლისა სიკვდილს უნდა მივმართოთ. შევისწავლე ანატომია, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. აუცილებელი იყო ადამიანის სხეულის ხრწნის და ლპობის ბუნებრივ პროცესებზე დაკვირვება. ჩემი აღზრდის პროცესში მამაჩემმა ყოველივე იღონა, რათა ჩემს სულში არ შემოჭრილიყო უჩვეულოს წინაშე შიში. მე არ მახსოვს ავკანკალებულიყავი ცრუმორწმუნეობრივი მონაპორების მოსმენისას, ან აჩრდილთა შიში განმეცადოს. სიბნელის ში-

ნი ჩემთვის უცხო იყო, სასაფლაო კი მხოლოდ მიცვალებულთა განსასვენებელ ადგილად მიმაჩნდა, სადაც ჯან-ლონით და სილამაზით აღსავსე სხეული მატლების მსხვერპლი ხდებოდა... ახლა მე დღე და ღამე სამარხებში და აკლდამებში უნდა გამეტარებინა, რათა დაგვერვებოდი ამ გახრწნის მიზეზებს და პროცესს. მთელი ჩემი გულისყური ისეთ მოვლენებს მივაპყარი, რაც ყველაზე მეტად აუტანელია ადამიანის ფაქიზი გრძნობებისათვის. მე დავინახე, როგორ ნადგურდება და იხრწნება ადამიანის მშვენიერი სხეული. დავინახე, როგორ დილის ცელი რა უღმობლოდ მუსრავს სიცოცხლით სავსე სილამაზისა და როგორ ხდება საფლავის მატლების კერძი ერთ დროს გულისა და გონების წარმტაცი მშვენიერება. ის იყო შევჩერდი და კიდევ ერთხელ შევამოწმე და გავაანალიზე სიცოცხლიდან სიკვდილში გარდამავალი და პირუკუ მონაცვლე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ყველა წვრილმანი, რომ უკუნი სიბნელიდან უცარი სინათლე გამოიჭრა და ნათელი მომფინა. ეს შუქი, თვალისმომკრელი და სასწაულებრივი, ამავე დროს ისეთი ცხადი იყო, ისეთ უზარმაზარ შესაძლებლობებს ასურათხატებდა, რომ მე თავს რეტი დამეხსნა. გაოგნებული ვიყავი: ამდენი ნიჭიერი ადამიანიდან, — იმავე საკითხებს რომ იკვლევდა. — მხოლოდ მე ერთადერთს მხვდა წილად აღმომეჩინა ეს განსაცვიფრებელი საიდუმლო.

გახსოვდეთ, გიყის მოჩვენებებზე არ გელაპარაკებით. ყველაფერი, რასაც ახლა გიყვებით, ისევე ტეშმარიტაა, როგორც ის, რომ მზე ანათებს ცაზე. შეიძლება მართლაც რაღაც საოცრების ხელი ერიო, მაგრამ აღმოჩენისაკენ აღმავალი სტადიები სავსებით დასაშვები და შესაძლებელი იყო. მრავალი დღე-ღამის არაადამიანური შრომისა და დაძაბულობის შედეგად შევძელი აღმომეჩინა სიცოცხლის ჩასახვის საიდუმლოება, უფრო მეტიც, მე აღმოვაჩინე, როგორ შეიძლება უსიცოცხლო მატერიას სული ჩავუდგა.

გაოცება, რომელიც პირველ ხანებში დამეუფლა, მალე აღტაცებამ და უსაზღვრო სიხარულმა შესცვალა. ამდენი ხნის კაპანწყვეტის შემდეგ ჩემი ნატვრა ასრულდა — ეს იყო დიდი ჯილდო და ჩემი შრომის უდიდესი საზღაური. ეს აღმოჩენა ისეთი გრანდიოზული და განსაცვიფრებელი იყო, რომ ყოველი ნაბიჯი, რომელმაც მასთან მიმაახლოვა, ახლა სრულიად გადამავიწყდა და მხოლოდ მათ შედეგებს ვკვრეტდი და ვტკბებოდი. ის, რასაც სამყაროს განიდან მოკიდებული დიდი ბრძენკაცნი სწავლობდნენ და ნატრობდნენ, ახლა ჩემს ხელთ აღმოჩნდა. ვერ ვიტყვი, რომ ჯადოსნური ფარდა ჩემ თვალწინ ერთ წამში აიხადა. მიღებულმა ცოდნამ ჩემს გამოკვლევებს სწორი გეზი მისცა, გზად და ხილად გამომადგა, ჩემს მიზანთან ახლოს მიმიყვანა და ჯერ კიდევ აუხდენელი ჩემი სანუკვარი ოცნება ხელშესახები გახდა. მე იმ არაბს ვგავდი, ცოცხლად დამარხულმა ერთადერთი მბეუტავი სანთლის წყალობით ჭურღმულს რომ თავი დააღწია და სული შერჩა.

ჩემო მეგობარო, თქვენს თვლებში ისეთი ცეცხლი აკიაფდა, ისეთი გაოცებით და იმედით შემომყურებთ, ალბათ გგონიათ, ჩემს საიდუმლოს გაგიმხელთ. ეს არ მოხდება. ბოლომდე მოთმინებით მოისმინეთ ჩემი ამბავი და აღვილად მიხვდებით ჩემი თავშეკავების მიზეზს. მე არ მინდა, რომ თქვენ, ისეთივე თამამი და ფიცხი, როგორიც მე ვიყავი მაშინ, დალუპვის გზას დაადგეთ. დაე, არა ჩემმა მეგობრებმა, არამედ ჩემმა საკუთარმა მაგალითმა გიჩვენოთ თქვენ, თუ რაოდენ საშიშროებას მოიცავს ცოდნა. ის ადამიანი, ვისთვისაც სამყარო მშობლიური ქალაქით იფარგლება. ბევრად უფრო ბედნიერია იმ პი-

როვნებაზე, ვისაც სურს აღზევდეს და გადალახოს ბუნების მიერ დაკანონებული საზღვრები.

როდესაც ჩემს ხელში ასეთი გასაოცარი ძალა აღმოჩნდა, კარგა ხანს ვყოყმანობდი, ვერ გადამეწყვიტა რა სახით გამომეყენებინა იგი, თუმცა შემწევდა უნარი სიცოცხლის სხივი ამენტო, მაგრამ სრულყოფილი სხეულის შექმნა — სისხლძარღვების, კუნთებისა და ვენების — მთელი თავისი რთული სისტემით, ჯერ კიდევ წარმოუდგენლად მძიმე და ძნელად განსახორციელებელ საქმედ რჩებოდა. თავდაპირველად ვყოყმანობდი, გამებედა და ჩემი მსგავსი არსება შემექმნა თუ მარტივი ორგანიზმის შექმნით დავეკმაყოფილებულიყავი. მაგრამ ჩემი წარმოსახვა ისე იყო ეგზალტირებული პირველი წარმატებებით, რომ გაკადნიერებულს ეჭვიც არ შემპარვია, ისეთი რთული ორგანიზმის მქონე საუცხოო არსებასაც კი, როგორცაა ადამიანი — გავაცოცხლებდი. ის ხელსაწყოები, რაც ხელთ მქონდა, საკმარისი არ იყო ამ წარმოუდგენლად ძნელი წამოწყებების განსახორციელებლად, მაგრამ ეჭვიც არ მეპარებოდა საბოლოო გამარჯვებაში. ჩემი თავი წინასწარვე შევაგუე მრავალ მოსალოდნელ მარცხს და ბედის უკუღმართობას — იმას, რომ შეიძლებოდა დაბრკოლებებს ჩემი მუშაობა წამდაუწუმ შეეფერხებინათ ან არასწორი გზით წარემართათ და იმასაც, რომ საბოლოოდ ჩემი ქმნილება შესაძლებელია არასრულყოფილი ყოფილიყო. მაგრამ ავწონ-დავწონე რა მეცნიერების და ტექნიკის ყოველდღიური მიღწევები, გული დავიიმედე და ვიფიქრე, ჩემი წამოწყება, სხვა თუ არაფერი, მომავლის წარმატებებს მაინც ხომ ჩაუყრის-მეთქი საფუძველს. იმან, რომ ჩემი განზრახვა ერთობ კადნიერი და თითქმის არარეალური იყო, მაინც ვერ შემაჩერა. ამ გრძნობებით შეპყრობილმა დავიწყე ადამიანის მსგავსი არსების შექმნა. რადგანაც სხეულის ცალკეული პატარ-პატარა ნაწილების შეკრება ძალიან დააბრკოლებდა ჩემი მუშაობის ტემპს, ჩემი პირველადი განზრახვის საწინააღმდეგოდ გადავწყვიტე შემექმნა რვა ფუტი სიმაღლის და პროპორციულად სათანადო სიდიდის გიგანტური არსება. მივიღე თუ არა ეს გადაწყვეტილება, რამდენიმე თვე ჩემთვის საჭირო ხელსაწყოების შეგროვებასა და გამართვას მოვანდომე, მერე კი საქმეს შევუდექი.

ამის შემდგომ ვერ წარმოიდგენთ, პირველი წარმატებებით გაბრუებული როგორ წამლექა ქარიშხალივით მოვარდნილმა მღელვარე ფიქრებმა, რომლებიც სულს მიწეწავდნენ და მოსვენებას მიკარგავდნენ. სიცოცხლისა და სიკვდილის გამმიჯნავი ზღვარი პირობითი მეჩვენა. ახლა ეს ზღვარი მე უნდა გადამელახა და ბნელით მოცული ჩვენი სამყაროსათვის ნათელი მომეფინა. ადამიანების ახალი მოდგმა ლოცვა-კურთხევას არ მომაკლებდა მის შემოქმედს და პირველსაწყისს. მრავალი ბედნიერი და საუკეთესო არსება ჩემი მადლიერი იქნებოდა, რომ ამ ქვეყანაზე გაჩნდა. ამქვეყნად არც ერთი პირიშო არ იქნებოდა თავისი მამის ისე მადლიერი, როგორც ჩემი ნაშიერი. რადგანაც შემეძლო მკვდარი მატერია გამეცოცხლებინა, ვიფიქრე, დროთა განმავლობაში შევძლებდი, თუმცა ახლა ეს შეუძლებლად მიმაჩნდა, აღმედგინა სიცოცხლე იქ, სადაც სიკვდილმა სხეული აშკარად გასახრწნელად გაწირა.

ეს ფიქრები მიმხნევებდნენ გულს, როცა გაუნელებელი ინტერესით და დიდი გულმოდგინებით შევუდექი ჩემს საქმეს. ბევრი მეცადინეობით სახეზე ფერი დამეკარგა, ხოლო კარჩაკეტილმა ცხოვრებამ ძალ-ღონე გამომაცალა. ზოგჯერ მიზანთან სულ ახლოს მისულს მარცხი განმიცდია, მაგრამ მაინც იმ იმედს ვებღაუჭებოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაჰკრავდა ჩემი გამარჯვების

მაუწყებელი საათი. საიდუმლო, რომელიც მხოლოდ მე ერთმა ვიცოდი, ის იმე-
დი იყო, რომელსაც სასოებით შევეყურებდი და რომელიც ჩემი ცხოვრების
აზრი და მიზანი გახდა. შუალამით, მთვარის შუქზე, დაძაბული, სუნთქვაში
რთული და უკიდურესად აღზნებული კვალდაკვალ მივყვებოდი ბუნების
ჩაღწევის მიმალულ ლაბირინთებს. ვინ წარმოიდგენს ჩემი ნაჩუმათევე შრომის
საშინელებას, როცა სასაფლაოს წმიდათაწმიდაც შევებლალე, მკრეხველი
დავერიდე და საფლავის ბნელ და ნესტიან ჭურღმულეებში დავიწყო
კიდევ იმას — ცოცხალ ქმნილებებს წამებით რომ სულს ვხდიდი, ~~ათა უსუ-~~
ლო მატერია გამეცოცხლებინა. ახლაც კი, როცა ყოველივეს ვიგონებ, მთელი
ტანით ვცახცახებ და თვალები ცრემლებით მევსება, იმხანად კი დაუძლეველი
და თითქმის გაშმაგებამდე მისული წადილი ისევ წინ მიმაქანებდა. თითქოს
სული და გული ამომეცალა, ყოველგვარი გრძნობა დაეკარგე. მარტო ამ მიზ-
ნის დევნაშილა ვიყავი. ეს ალტყინება დროებითი გამოდგა, რაც უფრო მეტი
სიმწვავეთ მაშინ ვიგრძენი, როცა ამ არაბუნებრივმა გამალიზიანებელმა შეწ-
ყვიტა მოქმედება და მე ისევ ჩემს ჩვეულებრივ ყოფას დავუბრუნდი. აკლდა-
მებში ძვლებს ვაგროვებდი, ცოდვიანი ხელებით ვეხებოდი ადამიანის სხეუ-
ლის იდუმალეებით მოცულ ნაწილებს. სხვენზე, ერთ მივარდნილ ოთახში, უფ-
რო სწორად საკანში, რომელიც სხვა ოთახებიდან გამოცალკევებული იყო დე-
რენითა და კიბით, ჩემი ამაზრზენი ლაბორატორია გაემართე. თვალები გად-
მოცვენაზე მქონდა, როცა ამ საქმიანობის ყოველ წვრილმანს ვაკვირდებოდი.
კაბინეტი, სადაც გვამებს კვეთავდნენ, და სასაკლავო ამარაგებდა მასალით ჩემს
ლაბორატორიას. ზოგჯერ ერთიანად შემძრავდა ზიზლის გრძნობა და ზურგს
ვაქცევდი დაწყებულ საქმეს, მაგრამ დაუკმაყოფილებელი და სულსწრაფი
ცნობისწადილი, რომელიც განუწყვეტლივ იზრდებოდა, მაიძულებდა ჩემი საქ-
მე ბოლომდე მიმეყვანა.

ზაფხულის თვეები მიიწურა, მე კი მთელი არსებით ისევ ამ ერთი მიზნით
ვიყავი გატაცებული. იმ წელიწადს მართლაც გამორჩეულად დიდებული
ზაფხული იდგა. კარგა ხანია ველ-მინდვრები ასე არ დახუნძლულა ხეხილით,
არც ასეთი უხვი ალოობა და ბარაქიანი რთველი ყოფილა. მაგრამ ბუნების
მშვენიერება მე აღარ მალეღებდა. იმ საოცარმა ძალამ, რომლითაც ვიყავი
შეპყრობილი და რამაც გულგრილი გამხადა გარე სამყაროს მიმართ, მაიძულა
ჩემი მეგობრებიც დამევიწყებინა, რომლებიც ასე შორს იყვნენ ჩემგან და
დიდი ხანია არ მენახა. მე ვიცოდი, რომ მათ აღელვებდათ ჩემი დუმილი. კარ-
გად მახსოვდა მამაჩემის სიტყვები: „ვიცი, სანამ შენი თავით კმაყოფილი იქ-
ნები, ყოველთვის სიყვარულით მოგვიგონებ და შენს ამბავსაც ხშირ-ხშირად
გაგვაგებინებ. შემინდე, თუ შენს სიჩუმეს შენ მიერ სხვა მოვალეობების
უგულვებელყოფადაც ჩავთვლი“.

ასე რომ, მშვენივრად ვიცოდი, რა განცდებში იქნებოდა მამაჩემი, მაგ-
რამ ჩემი აზრი და გონება ისე დაიბყრო ამ საზიზლარმა საქმიანობამ, ისე
მძლავრად შემბოჭა, რომ არ ძალმიძდა მისთვის თავის დანებება. ჩემივე სურ-
ვილით ჩემი ახლო ურთიერთობებიც დროებით დავივიწყე, მოყვარული გული
გავიცივე მანამ, სანამ ის დიდი საქმე, რომელმაც შთანთქა მთელი ჩემი არსე-
ბა, არ დასრულდებოდა.

იმ დროს მამაჩემს უგულობას დავწამებდი, თუ ჩემს უყურადღებობას
უხეირობად ან დანაშაულად ჩამითვლიდა. ახლა კი დავრწმუნდი — მამაჩემი
მართალი იყო, მთლად უცოდველი რომ არ ვეგონე! სრულყოფილი ადამიანი

ყოველთვის უნდა ინარჩუნებდეს სულის სიმშვიდეს და კეთილგონიერებას, არასდროს ენებათაღელვას და წუთიერ სურვილს არ უნდა მისცეს უფლება დაურღვიოს მყუდროება. მე ვფიქრობ, არც ცოდნის შესაძენად გაწეული შრომა უნდა იყოს გამონაკლისი. თუ მეცნიერული კვლევა, რომელსაც გულმოდგინედ და თავდაუზოგავად ეწევი, ჩრდილს აყენებს და აკნინებს თქვენს სიყვარულს მშობლების და ახლობლების მიმართ, ან გუჯერავს მისწრაფებას ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ ყოველთვის სიხარულით მსმენელი ინსტიტუტებისადმი, რომელსაც ვერაფერი ვერ გაანელებს, როცა თქვენი საქმიანობა ისეთ ადამიანურ ურთიერთობებში იჭრება, რომლებიც ხელშეუხებელია — მაშინ უეჭველია, ეს საქმიანობა კანონგარეშეა და რაღაც ისეთს შეიცავს, რაც არასაკადრისი და შეუფერებელია ადამიანისათვის. ნეტამც ყოველთვის ვგრძნობდეთ ამას და ვიცავდეთ ამ წესს. მაშინ კაცი არასოდეს ისეთ რამეს არ გამოეკიდებოდა, არც მოინდომებდა ისეთი რამ ექმნა, რაც დაარღვევდა მის ოჯახურ მყუდროებას. ეს რომ ასე ყოფილიყო, საბერძნეთს ვერ დაიმონებდნენ. კეისარი თავის სამშობლოს არ გაწირავდა. ამერიკის დაპყრობაც თანდათანობით მოხდებოდა: მექსიკის და პერუს სახელმწიფოები არ დაემხოებოდნენ.

მორალის ქადაგებას მოვყევი და სულ გადამავიწყდა, რომ ჩემი ამბის ყველაზე საინტერესო მომენტზე შევჩერდი, მაგრამ თქვენმა გამომეტყველებამ გამახსენა, რომ თბრობა უნდა განვაგრძო. თავის წერილებში მამაჩემი არ მსაყვედურობდა; ჩემი სიჩუმით გამოწვეული მისი დაეკვება იმაში მელანდებოდა, რომ ახლა უფრო დაწვრილებით მეკითხებოდა ჩემი საქმიანობის შესახებ, ვიდრე უწინ. ზამთარი, გაზაფხული და ზაფხული ისე მიილია, თავაუღებლად ვმუშაობდი. წინათ ალტაცებას მგვრიდა, ახლა კი ყვავილები ისე აყვავდნენ და ხეებზე კვირტები ისე გაიფურჩქნენ, არც შემიმჩნევია, ისე ვიყავი შთანთქმული ამ საქმიანობით. ფოთლები ჩამოტყნა, სანამ ჩემი საქმე დასასრულს მიუახლოვდებოდა. ახლა ყოველ დღეს სამზეოზე გამოპქონდა ჩემი დიდა წარმატებები, მაგრამ ჩემს ალტაცებას მღელვარება და შიში ანელებდა. მე თავად საბადოებში ჩაგდებულ, მონობისაგან გაძვალტყავებულ ან სადმე უბადრუკ ადგილას მომუშავე კაცს უფრო ვგავდი, ვიდრე შემოქმედს, რომელიც თავისი საყვარელი საქმით იყო გატაცებული. ღამლამობით ციებ-ცხელებამ დამრია ხელი და ნერვები უარესად დამეძაბა. ავად შევიქენი და ამას კიდევ უფრო მეტად იმიტომ განვიცდიდი, რომ წინათ ჩინებული ჯანმრთელობა მქონდა და ხშირად ვიკვებნიდი, რკინის ნერვები მაქვს-მეთქი. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ სეირნობა და გართობა მალე მოსპობდა ამ ავადმყოფობის გამომწვევ სიმპტომებს. თავს შევპირდი, როგორც კი ჩემს კმნილებას დავასრულებ, იმ დღიდანვე გართობას და დროსტარებას არ მოვიკლებ-მეთქი.

თავი მეოთხე

ერთხელაც, ნოემბრის ავდრიან ღამეს საკუთარი თვალთ ვიხილე ჩემი მძიმე შრომის შედეგი. უაღრესად ალელვებულმა, თითქმის აგონიაში მყოფმა შევაგროვე სიცოცხლის ჩასახვისათვის საჭირო ყველა ხელსაწყო, რათა ჩემს ფეხებთან მწოლიარე უსულო არსებაში სიცოცხლის სხივი ამეწათო. შუალამე გადასული იყო, ასე პირველი საათი იქნებოდა. ფანჯრის მინებზე წვიმის წვე-

თების სევდიანი წკაპუნი არღვევდა ღამის მყუდროებას. სანთელი თითქმის დაიდგენთა და უეცრად მბეჭუტავ სინათლეზე დავინახე, ამ არსებამ როგორ გააღო ბაცი ყვითელი ფერის თვალები, მძიმედ ამოისუნთქა და ხელ-ფეხის კრუნჩხვა დაეწყო.

არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ ჩემი მღელვარება ამ საშინელ სახანაო-ბის ხილვისას, ან როგორ აგიწეროთ უბედური არსება, რომელსაც უკეთესი არაადამიანური შრომით, დიდი წვალებით და უდიდესი მზრუნველობით მოქმედებდა. კიდურები პროპორციული ჰქონდა, ნაკვთებიც მშვენიერი შევეურჩიე. მშვენიერიო? — ღმერთო დიდებულო! მშრალი, დანაოჭებული ყვითელი კანის ქვეშ მკვეთრად მოუჩანდა სისხლძარღვები და კუნთები. მისი გრძლად ჩამოშლილი, შავად მბზინვარე თმა და მარგალიტივით თეთრი კბილები მის წყლისფერ, თითქმის უფერულ თვალებთან და შავი პირის ვიწრო კრილთან საშინელ კონტრასტს ქმნიდნენ.

ცხოვრებაში არაფერია ადამიანის გრძნობებივით ცვალებადი. თითქმის ორი წელი თავდაუზოგავად ვიშრომე ერთადერთი მიზნისათვის — უსულო სხეულის გასაცოცხლებლად. ამას შევეწირე ჯანმრთელობა და სიმშვიდე. ასეთი თავაწყვეტილი, ზღვარგადასული, დაუოკებელი იყო სურვილი — და ახლა, როცა ჩემი შრომა დასრულდა, ოცნების მშვენიერება გაქრა და, გაოგნებულს და სუნთქვაშეკრულს, თავზარდამცემი შიშით და ენითაუწერელი ზიზღით აღმევსო გული. ვეღარ ავიტანე ჩემი ქმნილების ყურება, ოთახიდან გამოვევარდი და ჩემს საწოლ ოთახში აღელვებული მოვყევი ბოლთის ცემას. თვალზე რული არ მეკარებოდა, ბოლოს დაღლილობამ თავისი გაიტანა, დავშოშმინდი, ლოგინზე გაუხდელი მივეგდე და შევეცადე ცოტა ხნით მაინც დამევიწყებინა ყველაფერი. მაგრამ ამაოდ: დაძინებით კი დამეძინა, მაგრამ კოშმარულმა სიზმრებმა გადამრია. ელიზაბეთი მესიზმრა, ქორფა და მშვენიერი აქ, ინგოლშტადტში, ქუჩაში მოსეირნობდა, გაცეებულმა და გახარებულმა გულში ჩავიკარი. მაგრამ მის ბაგეს შევეხე თუ არა, ბაგეზე მკვდრისფერი დაედო, სახის ნაკვთები შეეცვალა და მეგონა, დედაჩემის გვამს ვეხვეოდი. ტანზე სუდარა ეფარა და ვხედავდი, მის ნაკეცებში როგორ დააცოცავდნენ საფლავის მატლები. ელდანაკრავი წამოვევარდი. შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა, კბილები ამიკაწკაწდა და ხელ-ფეხში ნერვრულმა კრუნჩხვამ დამიარა. დარაბებში შემოქრილ მთვარის ბუნდოვან, ყვითელ შუქზე ჩემ მიერ შექმნილი ბედკრული, საზიზღარი მონსტრი დავინახე. მან საწოლის ფარდა ასწია და თვალები, თუკი შესაძლოა მათ თვალები ეწოდოს — მე მომაპყრო, პირი გააღო და რამდენიმე დაუნაწევრებელი ბგერა ამოილულლულა. თან კბილებდაკრეჭილი იცინოდა და ლოყებზე საზიზღარი ნაოჭები უჩნდებოდა. ეტყობა, ლაპარაკობდა, მაგრამ მე არ მესმოდა. ცალი ხელი ჩემკენ გამოიშვირა, თითქოსდა ჩემს შეჩერებას ლამობდა, მაგრამ მე გამოვუსხლტი და კისრისტებით დავეშვი კიბეზე. ჩვენი სახლის ეზოს შევაფარე თავი. მთელ ღამეს უაღრესად აღელვებული ვწრიალებდი, წინ და უკან მოუსვენრად ბოლთას ვცემდი, თან შიშით თავზარდაცემული გაფაციცებით ვაყურადებდი, თითქოსდა ყოველი ბგერა შეიძლებოდა ჩემ მიერ გაცოცხლებული დემონური არსების მოახლოების მაუწყებელი ყოფილიყო.

ოპ, მოკვდავთაგან ვერავინ შეძლებდა მისთვის შეეხედა და არ შეძრწუნებულყო. ვერც ერთი გაცოცხლებული მუშია ვერ იქნებოდა ისეთი საზარელი, როგორიც ეს ბედკრული არსება იყო. როცა ჩემს დაუმთავრებელ ქმნი-

ლებას თვალჩაყვებით მივჩერებოდი, მაშინაც შეუხედავი იყო, მაგრამ სახსრები და კუნთები რომ აამოძრავა, ისეთი რამ გამოდგა, ამგვარი საშინელების წარმოდგენა დანტესაც კი გაუჭირდებოდა.

მთელი ღამე ტანჯვაში გავატარე. ზოგჯერ გული თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ღამობდა, ისე სწრაფად და ძლიერ ამიძვრდებოდა, ყველა/ძარღვის თრთოლვას ვგრძნობდი, ზოგჯერ კი მეტისმეტი სისუსტისაგან მუხლები მეკვეთებოდა და თავს ძლივს ვიკავებდი, რომ მიწაზე არ გაგშლილიყავი. შიშის გრძნობას იმედის გაცრუებით გამოწვეული სიმწარეც თან ერთვოდა. ჩემი ოცნების საგანი — ამდენ ხანს ჩემი სულისა და გულის ღებნა რომ იყო, ახლა სატანჯველ ჯოჯოხეთად გადამექცა. ასე უეცრად შეიცვალა ყველაფერი, ყოველივე საბოლოოდ დაემხო!

როგორც იქნა, ირიყრაყა. ავდრიანი დილა გათენდა და ჩემს უძილობისაგან დაწითლებულ თვალებს წინ წარმოუდგა ინგოლშტადტის ეკლესია თეთრი შპილით და საათით. საათი ექვსს უჩვენებდა. მეკარემ ჩემი ღამის თავშესაფრის — ეზოს კიშკარი გააღო თუ არა, გარეთ გამოვედი და ჩქარი ნაბიჯით გავყვავი ქუჩას. საშინელ არსებასთან შეხვედრას თავს ვარიდებდი, ქუჩის ყოველ მოსახვევში შეშინებული ველოდი მის გამოჩენას. შავი, მოქუფრული ციდან წვიმა სცრიდა, თავიდან ფეხებამდე გავილუმბე, მაგრამ რალაციით შეგულიანებული ისევ წინ მივიწევდი.

ერთხანს ასე ვიარე, მინდოდა ძალიან დავლლილიყავი, რომ დამძიმებული სული როგორმე შემემსუბუქებინა. ქუჩებში ისე დავწანწალებდი, წარმოდგენა არ მქონდა, სად ვიყავი ან რას ვაკეთებდი. გული შიშისაგან მიკანკალებდო, არცული მივაბიჯებდი და უკან მოხედვაც კი ვერ გამებედა.

როგორც ის მგზავრი, გზას რომ მისდევს,
 უკაცურს, მღუმარს,
 შიშით აღსავსე, შეშფოთებით ჩერდება ოდეს,
 და თუკი ერთხელ გზას გახედავს —
 წინ გასწევს უშალ,
 არ მოიხედავს ამ გზისაკენ აღარასოდეს,
 რადგანაც იცის ძრწოლვით სავსე
 მშფოთვარე გულმა,
 რომ საზარელი შავი ეშმა ფეხდაფეხ
 მოსდევს!

ამ ყოფით ბოლოს ერთ ფუნდუკს მივალწიე, სადაც ნაირ-ნაირი დილიყნები და ეტლები ჩერდებოდნენ ხოლმე. აქ, თვითონაც არ ვიცი რატომ, შევჩერდი და რამდენიმე წუთი თვალმოუშორებლად მივჩერებოდი ეტლს, რომელიც ქუჩის ბოლოდან ჩემკენ მოემართებოდა. როცა მომიახლოვდა, კარგად გავარჩიე, რომ შვეიცარული დილიყანი იყო. ზუსტად იქ გაჩერდა, სადაც მე ვიდექი, კარი გაიღო თუ არა, პენრი კლერვალს მოვკარი თვალი. როგორც კი დამინახა, ეტლიდან ჩამოხტა. „ჩემო ძვირფასო ფრანკენშტაინს! — შესძახა მან, — როგორ გამიხარდა შენი ნახვა. რა ბედნიერებაა, ეტლიდან გადმოვედი და შენც აქ დამხვდი!“

ვერაფერი შეედრება იმ სიხარულს, კლერვალის დანახვისას რომ ვიგრძენი, მისმა ჩამოსვლამ მამაჩემი, ელიზაბეთი და ჩემთვის ესოდენ ძვირფასი მშობ-

¹ სემუელ ტეილორ კოლრიჯი, „ძველი მეზღვაური“, 1798. (ლექსები თარგმნა მედეა ზაალიშვილმა.)

ლიური კერა მომაგონა. ხელი ჩავკიდე და წუთით ჩემი უბედურება და შიში სრულიად გადამავიწყდა. რამდენიმე თვის მანძილზე პირველად უეცრად ახლავიგრძენი სულიერი სიმშვიდე და ნათელი, უღრუბლო სიხარული. მეგობარს გულითადად შევბვდი და ორივენი ჩემი კოლეჯისაკენ გავემართეთ. ერთხანს ჩვენ საერთო მეგობრებზე მელაპარაკებოდა და თავის იღბალს უბედლოდა, ინგოლშტადტში ჩამოსვლის ნება რომ დართეს. „შენ ადვილად შეგეძლება, — მითხრა მან, — რა ძნელი იქნებოდა მამაჩემის დაყოლიება? უფრო უფრო წმუნება, რომ ვაჭარი კაცისათვის სრულიად არაა აუცილებელი მხოლოდ ანგარიში იცოდეს. თუმცა მამაჩემი ვერ გადავარწმუნე, რადგან ყოველ ჩემს დაყინებულ თხოვნაზე მისი პასუხი „უეჭვილდელი მღვდლის“ პოლანდიელი სკოლის მასწავლებელივით¹ ურყევად ერთი და იგივე იყო: „მე წელიწადში ათი ათას ფლორინს ვშოულობ ბერძნული ენის გარეშე, მაღიანად გეახლები ბერძნული ენის გარეშე!“ მაგრამ ბოლოს სწავლის მიმართ მის სიძულვილს ჩემდამი მისმა სიყვარულმა გადააქარბა და მამამ უფლება დამართო ცოდნის ქვეყანაში გავმგზავრებულიყავი“.

„შენმა ნახვამ უზომოდ გამახარა. ერთი მითხარი, როგორ არიან მამაჩემი, ჩემი ძმები და ელიზაბეთი?“

„ძალიან კარგად, ბედნიერად. მხოლოდ ის აწუხებთ, რომ შენ ასე იშვიათად ატყობინებ შენს ამბავს. სხვათა შორის თავად მინდა ამის გამო ცოტათი დაგტუქსო. მაგრამ, ჩემო ძვირფასო ფრანკენშტაინ, — განაგრძო მან, მერე უეცრად შეჩერდა და სახეში ჩამაცქერდა, — წელან ვერ შევამჩნიე, რა ავადმყოფური იერი გაქვს. გამხდარხარ და გაცრეცილხარ. ისე გამოიყურები, თითქოს რამდენიმე ღამეა თვალი არ მოგიხუჭავს“.

„მართალი ხარ, სწორედ მიხვდი. ბოლო დროს ერთმა საქმემ ისე ჩამითრია, რომ თავს რიგიანად დასვენების უფლებას არ ვაძლევდი. როგორც ხედავ, ყველაფერი ამის ბრალია. მაგრამ გულწრფელად გეუბნები, რომ ეს საქმე უკვე დამთავრდა, და მე, როგორც იქნა, გავთავისუფლდი“.

კანკალმა ამიტანა, გასულ ღამეს მომხდარი ამბის არათუ მოყოლა, გახსენებაც კი არ შემეძლო. ნაბიჯს ავუჩქარე და ჩემს კოლეჯში სწრაფად მივედი. აქ გონს მოვეგე და ისეთმა რამემ გამიელვა თავში, რომ ამ აზრმა ტვინი დამწვა — ხომ შეიძლებოდა, ის საოცრება, მე რომ ჩემს ბინაში დავტოვე, ჯერ კიდევ იქ ყოფილიყო. ცოცხალი და უვნებელი. მეშინოდა, სადმე მისთვის თვალი არ მომეკრა, უფრო მეტად კი ის მაშინებდა, რომ შეიძლებოდა ჰენრის დაენახა იგი. ჰენრის შევეხვეწე წუთით კიბის ძირში შეყოვნებულიყო, მე კი გიჟივით ავვარდი კიბეზე და ჩემს ოთახს მივაშურე. ხელი უკვე კარის სახელურზე მედო, როცა გონს მოვეგე. ფეხი ავითრიე, გულმა ფანცქალი დამიწყა. მერე კარი სწრაფად შევალე და აჩრდილის ნახვის მომლოდინე პატარა ბავშვივით გავირინდე. კარს უკან არავინ ჩანდა, შიშით გაოგნებული ოთახში შევედი. იქაც არავინ იყო. საზარელი სტუმარი არც საძილე ოთახში დამხვედრია. ღმერთი თუ ასე შემეწეოდა, არ მეგონა. მაგრამ, როცა დავრწმუნდი, ჩემი მტერი სადღაც გამქრალიყო — ტაში შემოვკარი და გახარებულმა კლერვალთან ჩავირბინე.

ორივენი ჩემს ოთახში ამოვედით და მალე მსახურმაც საუბრე შემოგვიტანა. სიხარულმა ისე გადამრია, თავს ვერ ვიკავებდი, და ეს განა მარტო სი-

¹ ოლივერ გოლდსმიტის (1728—1774) რომანის „უეჭვილდელი მღვდლის“ პერსონაჟი.

ხარული იყო? მეტიმეტი მღელვარებისაგან მთელი ტანი მითრთოდა, მაჯაც ძალიან აჩქარებული მქონდა. ერთ ადგილზე ვერ ვჩერდებოდი. სკამებს ვახტებოდი, ტაშს ვუკრავდი და ხმამაღლა ვხარხარებდი. კლერვალმა პირველად ჩემი უჩვეულო სიხარული თავის ჩამოსვლას მიაწერა, მაგრამ, როცა ყურადღებით დამაკვირდა, ჩემს თვალეში სიგიჟე შეამჩნია, რისი მიზეზიც მისთვის გაუგებარი იყო; ხოლო ჩემი ხმამაღალი, თავშეუკავებელი უჩვეულო ისტერიული სიცილი აოცებდა და აშინებდა.

„ჩემო ძვირფასო ვიქტორ! — წამოიძახა კლერვალმა, — ღვთის გულისათვის, თქვი, რა მოხდა? გეხვეწები, ასე ნუ იცინი. ღმერთო ჩემო, რა ცუდად ხარ! რა მოგივიდა?“

„ნურაფერს მკითხავ! — ვიყვირე მე და თვალეზე ხელი ავიფარე: მომელანდა, თითქოს საძაგელი მოჩვენება ოთახში შემოიძარა, და სადაცაა ყველაფერს იტყვის-მეთქი. — ოჰ, მიშველე, ჰენრი, მიშველე!“ — წარმოვიდგინე, თითქოს მონსტრმა ხელი დამავლო, მე თავგანწირვით გავიბრძოლე და ბნედიანივით დაკრუნჩხული იატაკზე გავიშხლართე.

საბრალო კლერვალი! რა დღეში ჩავარდებოდა! ჩემთან შეხვედრა, რომელსაც ასე სიხარულით ელოდა, ჩაუმწარდა. მაგრამ მისი დანალღვლიანება მე არ შემიმჩნევია, რადგანაც გონებაში მიხდომილი ვიყავ და დიდხანს, ძალიან დიდხანს გონს არ მოვსულვარ.

ეს იყო ნერვული ცხელების დასაწყისი, რომელმაც რამდენიმე თვე ლოგინს მიმაჯაჭვა. ამ დროის განმავლობაში ჩემი ერთადერთი მომვლელი ჰენრი იყო. მე შემდგომ გავიგე, რომ ჰენრიმ, იცოდა რა მამაჩემის ხანდაზმული ასაკი და ის, რომ მამა ასეთ ხანგრძლივ მოგზაურობას ვერ გაუძლებდა, ელიზაბეთს კი ჩემი ავადმყოფობა გულს ძალიან ატკენდა — დაუმალა მათ ჩემი უკიდურესად სავალალო მდგომარეობა. ჰენრიმ მშვენივრად იცოდა, მასავით კარგად და სათუთად ვერავინ მომივლიდა და რადგან ჩემს გამოჯანმრთელებაში ეჭვიც არ ეპარებოდა, ფიქრობდა, რომ მათ კარგს უკეთებდა.

სინამდვილეში კი მე მართლაც ძალიან ავად ვიყავი და თუ არა ჩემი მეგობრის დაუღალავი და თავდაუდებელი ზრუნვა — ვერაფერი მომარჩენდა. ჩემ მიერ შექმნილი მონსტრის ლანდი სულ თან მდევდა და მოსვენებას არ მძლევდა. ყოველ ღამე მასზე ვბოდავდი. უეჭველია, ჰენრის აოცებდა ჩემი ლაპარაკი. პირველ ხანებში ეს ყველაფერი ჩემი ავადმყოფობით გაღიზიანებულ წარმოსახვას დააბრალა. მაგრამ, რადგანაც მე ჯიუტად, გაუთავებლად სულ ერთი და იგივეს ვუბრუნდებოდი, ჰენრი დარწმუნდა, რომ მე ჩემს ავადმყოფობას რაღაც არაჩვეულებრივ და საშინელ შემთხვევას უნდა „ვუმადლოდე“.

ავადმყოფობა პერიოდულად ისევ მძაფრად მიტევდა, რაც ჰენრის ძალიან აღელვებდა და დარდით ავსებდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ფეხზე დავდექი. მახსოვს, პირველად რომ გავარჩიე ჩემ ირგვლივ საგნები და სიხარულით აღვსილმა შევამჩნიე, რომ ჩემს ფანჯარასთან შემოჭარული ხეები შემოდგომის ხმელი ფოთლების ნაცვლად ყლორტებს შეემოსა. დიდებული გაზაფხული იდგა, ზღაპრულად ლამაზი და მომაჯადოებელი, ამანაც დიდად შეუწყო ხელი ჩემს მორჩენას. ვიგრძენი, რომ სიხარული და სიყვარული ისევ განელდა ჩემს გულში. სევდა გამიქარვდა და სულ მალე ისევ ისეთი მხიარული გავხდი, როგორც მანამ ვიყავი, სანამ ეს საბედისწერო ვნება შემიპყრობდა.

„უსაყვარლესო კლერვალ! — წამოვიძახე მე, — რა კეთილი და კარგი ხარ! აპირებდი მთელი ზამთარი სწავლაში გაგეტარებინა და ამის მაგივრად ჩემს

მოვლას შეაღიე. ნეტავ თუ ოდესმე გადაგიხდი ამ სიკეთეს. სინდისი მქენჯნის, ასე რომ გაგამწარე, მაგრამ ვიცი, მაპატიებ“.

„სიკეთეს იმით გადაგიხდი, თუ დამშვიდდები, თავს მოერევი და რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელდები. რადგანაც ასეთ კარგ გუნებაზე ხარ, შეიძლება ერთი რამ გითხრა?“

მე შევკრთი. ერთი რამე? რა უნდა მითხრას? ნუთუ იმას მეტყვის, რაზეც ფიქრიც კი ვერ გამიბეღია?

„დამშვიდდი. — მითხრა კლერვალმა, რადგან შემამჩნია, რომ მღელვარებისაგან გავწითლდი. — იმას, რაც შენ ასე გაღელვებს, სულაც არ გიხსენებ. მაშაშენი და შენი მამიდაშვილი სიხარულით ცას ეწევიან, შენი ხელით დაწერილი წერილი რომ მიიღონ. იმათ არც კი იციან, რომ მძიმედ ავად იყავი და ალბათ ნერვიულობენ შენი ასეთი ხანგრძლივი დუმულის გამო“.

„ჩემო საყვარელო ჰენრი, სულ ეს არის, რაც უნდა გეთქვა? ეს როგორ იფიქრე, რომ შეიძლებოდა პირველ რიგში ჩემთვის ესოდენ საყვარელი და ჩემი მოყვარული მეგობრები არ გამეხსენებინა?...“

„რადგან ასეა, ჩემო კარგო, ალბათ გაგიხარდება წერილის ნახვა, რომელიც აგერ რამდენიმე დღეა აქ დევს და შენ გელოდება. ვფიქრობ, შენი მამიდაშვილის წერილი უნდა იყოს“. — კლერვალმა წერილი გადმომცა.

თავი მეხუთე

ვიქტორ ფრანკო-საბჭოთაოსი

„ჩემო ძვირფასო!

ვერ აგიწერ, შენი ავადმყოფობით ყველანი რა შეწუხებულნი ვართ. ვერაფრით დავალწიეთ თავი იმ აზრს, რომ შენი მეგობარი კლერვალი გვიმალავს, რა მძიმე ავადმყოფი ხარ. აგერ უკვე რამდენი თვე გავიდა, რაც შენი ხელით დაწერილი ბოლო წერილი მივიღეთ. მთელი ამ დროის განმავლობაში ალბათ ხელში კალმის აღებას ვერ ახერხებდი და იძულებული იყავი კლერვალისათვის გეკარნახა წერილები. უთუოდ ძალიან ავად იქნებოდი, ამან ყველანი უბედურ დღეში ჩაგვყარა. ისე ვართ გასაცოდავებული, როგორც შენი საყვარელი დედის გარდაცვალების შემდგომ ვიყავით. ბიძაჩემი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ შენ ძალიან მძიმე და საშიში ავადმყოფობა შეგეყარა და ძლივს დავაკავეთ, ინგოლშტადტში რომ არ გამოგზავრებულიყო. კლერვალი სულ იმას გვწერს შენზე, მომჯობინდა და უკეთ არისო. მე დიდი იმედი მაქვს, ამას მალე დაადასტურებ შენი ხელით დაწერილი წერილით. ვიქტორ! შენმა ავადმყოფობამ ნამდვილად ძალიან საცოდავ დღეში ჩაგვავდო. დაგვიხსენი ამ შიშისაგან და ამქვეყნად ყველაზე ბედნიერი ჩვენ ვიქნებით. მამაშენი გასულ ზამთართან შედარებით ისე მხნედ გამოიყურება, ათი წლით გაახალგაზრდავებული გეგონება. ერნესტმაც ისე მოიკეთა, ვერც კი იცნობ, თექვსმეტი წლის სრულდება და ის ავადმყოფური იერი, რამდენიმე წლის წინ რომ ჰქონდა — თითქმის გაუქრა. ახოვანია და თანაც ვერცხლის წყალივით მოუსვენარი.

გასულ ღამეს მე და ბიძაჩემი კარგა ხანს ვსაუბრობდით ერნესტის მომავალ პროფესიაზე. სიყმაწვილეში გამუდმებულმა ავადმყოფობამ ერნესტი გააზარმაცა, შრომის ჩვევები სულ ვერ გამოიმუშავა. ახლა აღარ იცის, მოზღვა-ვებული ენერჯია რაში დახარჯოს. სულ გარეთაა, მთელ დღეებს ან ნაღში ატარებს ან მთებში დაეხეტება. ამიტომაც, ჩემი ვარაუდით, ჯობია ერნესტი ფერ-

მერი გამოვიდეს. ხომ იცი, ეს საქმე ყველაზე უფრო მომწონს. ფერმერებს სიცოცხლით საგსე, მხიარული და ბედნიერი ცხოვრება აქვთ. არა მარტო ყველაზე ნაკლებად საზიანო, არამედ პირიქით, ადამიანისათვის ყველაზე უფრო სასარგებლო და სასიკეთო საქმიანობაა. ბიძაჩემს ძალიან უნდა ერნესტს იურიდიული განათლება მისცეს და მოსამართლედ გაზარდოს. მაგრამ, მე რომ მკითხო, ერნესტს ეს საქმე სრულებით არ შეეფერება. ჩემი აზრით, ბევრად უფრო დასაფასებელია, მიწა დაამუშაო და კაცის სარჩო მარტო უფრო იყო ნდობით აღკურვლილი პირი და დროდადრო კაცის უკეთურებისა და შორტ-მოკმედების თანამონაწილე გახდეს, რასაც იურისტის პროფესია გაიძულებს. მე იმას ვამბობ, რომ შეძლებული ფერმერის საქმიანობა თუ უფრო კეთილშობილური არა, უფრო უზრუნველი და ბედსვიანი მაინც არის, ვიდრე მოსამართლის საქმიანობა, რომლის უბედურება ყოველთვის იყო ადამიანის ბუნების ბნელ მხარეებში ჩარევა. ბიძაჩემს გაეღიმა და მითხრა, უპრიანი იქნებოდა, შენ თვითონ ყოფილიყავიო ადვოკატი. ამით დასრულდა ამ თემაზე ჩვენი საუბარი.

ახლა ერთ ისეთ ამბავს გეტყვი, რომელიც, ვფიქრობ, გასიამოვნებს და ალბათ გაგართობს კიდევ. ჟიუსტინა მორიცი გახოვს? ალბათ უკვე აღარ გეხსოვება. ორი სიტყვით მოგიყვები მის ამბავს. მაღამ მორიცი, ჟიუსტინას დედა, ქვრივი იყო, ოთხი შვილის პატრონი, ჟიუსტინა მესამე შვილია. ეს გოგონა, მამის ნებიერა, რაღაც უცნაური ახირების გამო დედამისმა აითვალწუნა და ბატონი მორიცის გარდაცვალების შემდეგ აუტანლად ექცეოდა. ბიცოლაჩემმა ეს ყოველივე შეამჩნია და როცა გოგო თორმეტი წლის გახდა, დედამისი დაიყოლია, საცხოვრებლად ჩვენთან გამოეშვა. ჩვენს ქვეყანაში რესპუბლიკურმა მმართველობამ დაამკვიდრა უფრო მარტივი და ჯანსაღი წეს-ჩვეულებანი, ვიდრე ჩვენ გარშემო მყოფ დიდ მონარქიებშია. კლასებს შორის განსხვავება აქ უფრო ნაკლებად იგრძნობა. საზოგადოების დაბალი ფენები უფრო დაბვეწილი და ცივილიზებულნი არიან, იმიტომ რომ არ განიცდიან მეტისმეტ სიღარიბესა და აბუჩად აგდებას. ენევეაში მოახლე გოგონა სულ სხვა რამ არის, ვიდრე საფრანგეთსა და ინგლისში. ასე და ამრიგად, ჟიუსტინამ ჩვენს ოჯახში ჰპოვა თავშესაფარი და აქ მოახლის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში ეს სულაც არ ნიშნავს უმეცრებას ან აბუჩად აგდებას და ადამიანური ღირსების დაკარგვას.

ახლა კი, ვფიქრობ, უსათუოდ გაგახსენდებოდა ამ პატარა ამბის გმირი. ჟიუსტინა შენ ძალიან გიყვარდა. ერთხელ როგორღაც თქვი კიდევ, ცუდ გუნებაზე რომ ვარ, ჟიუსტინას ერთი შემოხედვა საკმარისია, რომ გულიდან ნალველი გადამეყაროსო, და ამის მიზეზად იმასვე ასახელებდი, რასაც არიოსტო ანეელიკას მშვენიერების დახასიათებისას: მართლაცდა, ძალიან გულლია გამოხედვა და სანდომიანი, ბედნიერებით გაცისკროვნებული სახე აქვსო. ბიცოლაჩემს ჟიუსტინა ძალიან შუუყვარდა, და თუმცა პირველად არც უფიქრია, შემდგომ ჩინებული განათლება მისცა. გოგონამ ეს სიკეთე ერთი ასად გადაუხადა, ამქვეყნად ყველაზე უფრო მადლიერი არსება გამოდგა. სიტყვით ამას არასდროს არ გამოხატავდა, მაგრამ მისი თვალები ნათლად მეტყველებდნენ, რომ თავის მფარველ ქალბატონს აღმერთებდა. თუმცა უზრუნველი, მხიარული და ბევრ რამეში კარაფშუტა იყო, მაგრამ ბიცოლაჩემის ყველა სურვილს უსიტყვოდ ხვდებოდა. ჟიუსტინა ბიცოლაჩემს სრულყოფილების და ყოველგვარი სიკეთის ხატებად თვლიდა და ლაპარაკსა და ქცევაში ცდილობდა მიებაძა.

როცა ჩემი უსაყვარლესი ბიცოლა გარდაიცვალა. ყოველი ჩვენგანი ისე ვიყავით განადგურებული ჩვენი საკუთარი განცდებით, რომ ქრისტიანასათვის ღრვეს ეცალა. უბედური ქრისტიანა!.. ავადმყოფობის დღიდან ბიცოლას ლოგინს არ მოშორებია და უდიდესი მზრუნველობით და სიყვარულით უვლიდა მისი გარდაცვალების შემდეგ საცოდავი მძიმე ავად გახდა, მაგრამ მას კიდევ უფრო მეტი განსაცდელი ელოდა.

ერთმანეთის მიყოლებით და-ძმა დაეხოცა და დედამისი — მესამე მსოფლიო ომის დროს ქვეყნის დატოვების შემდეგ ქალიშვილს, ქრისტიანას თუ არ ჩავთვლით, — უშვილოდ დარჩა. ამ ქალში სინდისმა გაიღვიძა. დაიწყო იმაზე ფიქრი, რომ მიკერძოებული სიყვარულისათვის ზეცამ საყვარელი შვილების სიკვდილით დასაჯა. იგი კათოლიკე იყო და დარწმუნებული ვარ, მისმა მოძღვარმა ეს აზრი დაუდასტურა, რამაც ქალი მწარედ ჩააფიქრა. ამიტომაც შენი ინგოლშტადტში წასვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ მონანიე დედამ შვილი თავისთან იხმო. საწყალი გოგო! მწარედ ტიროდა, როცა ჩვენს სახლს ტოვებდა. ბიცოლაჩემის გარდაცვალების შემდეგ ქრისტიანა ძალიან გამოიცვალა. გლოვამ და დარღმა მისი ანცი ხასიათი შეცვალა და მიხრა-მოხრას და ქცევას მიმზიდველი სინაზე და სინატიფე შემატა. ვერც დედამისთან ცხოვრებამ დაუბრუნა ძველებური სიმხიარულე. საბრალო ქალი — დედამისი მონანიების ქამს ძალიან მერყევი იყო. ხან ქრისტიანას სთხოვდა მისდამი გამოჩენილი უკეთურობა ეპატიებინა, ხან კი და-ძმების სიკვდილში ადანაშაულებდა. გაუთავებელმა ფორიაქმა და ნერვიულობამ მადამ მორიცს გული გამოუხრა, ჯანმრთელობა შეურყია, რამაც პირველ ხანებში კიდევ უფრო გულფიცხი და აუტანელი გახდა — ახლა კი საცოდავი სამუდამოდ განისვენებს. გასული ზამთრის დამდეგსვე, როგორც კი ცივი ამინდები დაიჭირა, პირველ დღესვე სული განუტევა. ქრისტიანა ჩვენ დაგვიბრუნდა. მე ის ძალიან შევიყვარე — როგორც უკვე გითხარი, ქცევით და ლაპარაკის მანერით სულ ჩემს უსაყვარლეს ბიცოლას მაგონებს ჩემი ჭკვიანი, კეთილი უწყინარი, კობტა ქრისტიანა.

ახლა ერთი-ორი სიტყვა ჩემს საყვარელ ბიჭზე პატარა უილიამზეც მინდა გითხრა, ნეტავ ერთი განახალი თავის ასაკთან შედარებით ძალიან გამაღლდა, მოცინარი ცისფერი თვალები, შავი წამწამები და ხვეული თმა აქვს. როცა იღიმება, ფუნჩულა ვარდისფერ ლოყებზე პატარა ფოსოები უჩნდება. ერთი-ორი პატარა ცოლიკოც ჰყავს, რომელთაგან ხუთი წლის კობტა გოგონა ლუიზა ბირონი გამორჩევით უყვარს.

ახლა, ძვირფასო, ვფიქრობ, ნებას მომცემ ცოტა წაგეპორაო ჩვენს ენეველ ნაცნობებზე. ლამაზმანმა მისს მენსფილდმა ეს-ესაა მიიღო მილოცვები თავის მოახლოებულ ქორწინებასთან დაკავშირებით. იგი ახალგაზრდა ინგლისელ ესკვაირს — ჯონ მელბურნს მიჰყვება ცოლად. მისი უშნო და — მანონი გასულ შემოდგომაზე ცოლად გაჰყვა მდიდარ ბანკირს, ბატონ დუვილარდს. ლუის მენოირმა — თქვენი სკოლის ამხანაგმა, აი იმან, შენ რომ ძალიან გიყვარდა, კლერვალის ენევიდან წასვლის შემდეგ ბევრი მარცხი განიცადა, მაგრამ სულის მხნეობა აღიდგინა და კობტა და ცქრიალა ფრანგი ქალის მადამ ტავერნიერის შერთვას აპირებს. ეს ქალი ქვრივია და მასზე ბევრად უფროსი, მაგრამ დიდი მოწონებით სარგებლობს და უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს.

წერილის წერამ კარგ გუნებაზე დამაყენა, მაგრამ მაინც ვერ დავმშვიდებულვარ და ისევ შენი ჯანმრთელობის ამბავს ვკითხულობ. ძვირფასო ვიქტორ, თუ ძალიან ავად არ ხარ, თვითონ მოგვწერე წერილი და გაგვახარე ყველანი;

არადა, ვაიეთუ მართლა ძალიან ავად ხარ. ამის წარმოდგენაც კი მიძნელებს, თვალებიდან ცრემლი მდის.

ნახვამდის, ჩემო ძვირფასო.

ელიზაბეთ ლამენცა.

ვეზივა, 18 მარტი, 17

„ო, ჩემო ძვირფასო, საყვარელო ელიზაბეთ!“ — ~~ჩემი ძვირფასო~~ როცა წერილი წავიკითხე. ახლავე, ახლავე მივწერ და ნალველს გავუქარებ. საპასუხო წერილი დავწერე, როგორც ეტყობა, ძალიან დავიძაბე და საშინელი დაღლილობა ვიგრძენი. მაგრამ მე გამოჯანმრთელების გზაზე ვიდექი და დღითიდღე სულ უკეთ და უკეთ ვგრძნობდი თავს. ორი კვირის თავზე უკვე ქუჩაში გავედი.

როცა მოვმჯობინდი, ჩემი უპირველესი საზრუნავი გახდა უნივერსიტეტის ზოგიერთი პროფესორის წინაშე კლერვალის წარდგენა. ამ დროს ისეთ უსიამოვნებას გადავაწყდი და ისეთი სულერი ტკივილი განვიცადე, რომ კრილობები კიდევ უფრო გამიღრმავდა. იმ საბედისწერო ღამის შემდეგ, როცა დასრულდა ჩემი შრომა და დაიწყო ჩემი ტანჯვა და უბედურება, საშინელი ზიზლით განვეწყე საბუნებისმეტყველო მეცნიერებისადმი და მის შესახებ რაიმეს გაგონებაც კი მზარავდა. მაშინაც კი, როცა უკვე მოვრჩი და ფეხზე დავდექი, ქიმიური ხელსაწყოების დანახვა საკმარისი იყო, რომ ნერვული აშლილობის სიმპტომები გამოეწვია და უკიდურესად ავზნებულს ნერვული შეტევები დამწყებოდა. ჰენრიმ ეს რომ შეამჩნია, ჩემს დასანახავად არაფერი არ გააჩერა და მთელი ხელსაწყოები სადღაც გადამაღა. რადგან მიხვდა, რომ ჩემი ყოფილი ლაბორატორია შევიძულე, ოთახიც კი გამომიცვალა, მაგრამ როცა ჩემი პროფესორები მოვინახულე, კლერვალის ყოველგვარმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. ბატონმა უოლდმანმა დიდი ტანჯვა მომაყენა, როცა სულით და გულით მომილოცა და ქება შემასხა მეცნიერებაში ჩემ მიერ მიღწეული განსაცვიფრებელი წარმატებების გამო, მაგრამ მალე იგრძნო, რომ ამ თემაზე ლაპარაკი არ მსიამოვნებდა და რაკი ვერ ჩასწვდა ამის ნამდვილ მიზეზს, ყველაფერი ეს ჩემს თავმდაბლობას მიაწერა და საუბარი სასწრაფოდ სხვა საგანზე გადაიტანა. ახლა უკვე ჩემზე კი არა, თვით მეცნიერებაზე ლაპარაკობდა, მაგრამ აშკარა იყო ისევე ჩემი მიღწევების წამორჩენა სურდა. რა უნდა მექნა? ბატონ უოლდმანს უნდოდა ჩემთვის ეს იამოვნებინა და ამის მაგივრად მაწამებდა. ასე მეგონა, ჩემ წინ ერთი-ერთმანეთის მიყოლებით საწამებელ იარაღებს აწყობდა, რომ მერე ნელი, ულმობელი სიკვდილით მოვეკალი. მის სიტყვებზე ვიკრუნჩხებოდი, მაგრამ ტკივილს ვმაღავდი, რომ არაფერი შეემჩნიათ. კლერვალი ისეთი მგრძნობიარე და გამჭრიახი თვალის პატრონი იყო, ვერაფერს გამოაპარებდი. მიმიხვდა, ვიტანჯებოდი, და თქვა: მეცნიერებაში ჭერ მთლად უმეცარი ვარ, არაფერი გამეგება, ჯობია, სხვა რამეზე ვილაპარაკოთო, და ჩვენც ჩვეულებრივ ამბებზე დავიწყეთ საუბარი. გულში ჩემს მეგობარს ვლოცავდი, თუმცა მისთვის არაფერი მითქვამს. მშვენივრად ვხედავდი, რომ კლერვალს ეს ყველაფერი აოცებდა, მაგრამ ერთხელაც არ უცდია ჩემთვის საიდუმლო ეთქმევიანებინა. მიუხედავად იმისა, რომ კლერვალი უზომოდ მიყვარდა და უაღრესად დიდ პატივს ვცემდი, ვერასდროს ვერ გავბედე მისთვის ჩემი საიდუმლო გამენდო. მართალია, ეს ამბავი გონებიდან არ მშორდებოდა, მაგრამ თითოეული წერილმანის გახსენებისთვის ძალა არ შემწევდა, რასაც თავს ვერ ავარიდებდი. კლერვალისთვის ეს ამბავი რომ მომეყოლა.

ბატონი კრემპე პროფესორ უოლდმანივით გამგები და ტაქტიანი არ აღმოჩნდა. მაშინ, ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისათვის, როცა ჩემი მგრძობიარობა უკიდურესად იყო გაფაქიზებული, მისი უხეშობით და უკმეხობით შეფერილი პანეგირიკები უფრო მეტ ტანჯვას მაყენებდა, ვიდრე ბატონი უოლდმანის კეთილგანწყობილება. „ეშმაკმა დალახვროს! — წამოიყვირა მან, ბატონო კლერვალ, დამერწმუნეთ, ამ ყმაწვილმა ყველას პირში ჩაღწკნა ჩემი გულგანუღმობა. რა გოცებული მიყურებთ, არ გჯერათ? და მაინც, იცოდეთ, ეს სიმართლეა. გუშინდელი ღლაპი, — რამდენიმე წლის წინ კორნელიუს აგრიპა სახარებასავით რომ სწამდა, — უნივერსიტეტში ახლა პირველი კაცია. თუ დროზე არ მოვთოკეთ, ყველას თავზე ლაფს დაგვასხამს. დიახ, დიახ, — მან ჩემს გაწამებულ სახეს შეავლო თვალი და ისევ განაგრძო, — ბატონი ფრანკენშტაინი ერთობ თავმდაბალი და მოკრძალებული ყმაწვილია. ჭეშმარიტად შესანიშნავი დვისებაა, არა? ყმაწვილი კაცი თავმდაბალი უნდა იყოს. ბატონო კლერვალ, ახალგაზრდობისას მეც ასეთი ვიყავი, მაგრამ ეს თავმდაბლობა ძალიან მალე ცვდება“.

ბატონმა კრემპემ ახლა თავის ქება დაიწყო და, საბედნიეროდ, ჩემთვის მეტად გამაღიზიანებელ საკითხს გადაუხვია.

კლერვალი საბუნებისმეტყველო მეცნიერებით არასდროს არ ყოფილა გატაცებული. მისი მგზნებარე ფანტაზია მეცნიერების წვრილმანებისათვის ვერ იცლიდა. მისი შესწავლის ობიექტი იყო უცხო ენები. ფიქრობდა, ენებს სრულყოფილად დაუფლებოდა და ენევაში დაბრუნების შემდეგ თავად ჩასდგომოდა სათავეში ენების შესწავლას. მას შემდეგ, რაც სრულყოფილად შეიტვისა ბერძნული და ლათინური ენები, სპარსული, არაბული და ებრაული ენებით დაინტერესდა. ჩემთვის უსაქმურობა ყოველთვის მოსაბეზრებელი იყო და ახლა, როცა სულს ასე სწყუროდა თავიდან მოეშორებინა აბეზარი ფიქრები და როცა ასე შევიძულე ჩემი წინანდელი სამუშაო, დიდი შვება ვიგრძენი, როცა ჩემს მეგობართან ერთად აღმოსავლეთმცოდნეთა შრომების შესწავლა დავიწყე. სხვათაგან განსხვავებით, მათი სევდა სიმშვიდის მომგვრელია, ხოლო სინარული ამალღებული. როცა მათ ნაშრომებს კითხულობ, ცხოვრება მზის კაშკაშად გესახება, აყვავებული ვარდების ბალი გგონია ან მშვენიერი ლამაზმანის ღიმილად და სიყვარულის ჩაუქრობელ ცეცხლად გეჩვენება, რომელიც გულს გიწვავს. რაოდენ არ ჰგავს ეს ყოველივე საბერძნეთის და რომის ვაჟკაცურ და პეროიკულ პოეზიას.

ზაფხული ამ საქმიანობაში გავიდა. გადაწყდა, ენევაში შემოდგომის მიწურულს დავბრუნებულიყავი. მაგრამ რალაც შემთხვევების გამო შეეყოვნდი, ამასობაში ზამთარმა მომისწრო, თოვლმა გზები დაფარა და ჩემი გამგზავრება მომავალ გაზაფხულამდე გადაიდო, რამაც ძალიან დამწყვიტა გული. ერთი სული მქონდა, ჩემს მშობლიურ ქალაქს და ჩემს საყვარელ მეგობრებს როდის ვნახავდი. ფეხს იმიტომ ვითრევდი, რომ არ მინდოდა კლერვალის მარტო დატოვება უცხო ქვეყანაში, სანამ იქაურ მკვიდრთ არ გაიცნობდა და დაუახლოვდებოდა. ზამთარი ასე თუ ისე მზიარულად გავატარე და თუმცა გაზაფხულმა უჩვეულოდ დაიგვიანა, როცა გვეწვია, მისმა მშვენიერებამ ლოდინის სიმწარე დაგვაფიწყა.

მაისის თვე დადგა, ყოველდღე ეილოდებოდი წერილს, რითაც უნდა შემეტყო, როდის იყო დანიშნული ჩემი აქედან გამგზავრების დღე. ამ დროს პენრიმ შემომთავაზა ინგოლშტადტის მიდამოები მოგვენახულებინა, ჩემს ნაც-

ნობ საყვარელ ადგილებს გამოვმშვიდობებოდი, სადაც ასე დიდხანს ვცხოვრობდი. მე სიამოვნებით დავეთანხმე, იქაც, ჩვენს სამშობლოში ყოფნისას ძალიან მიყვარდა მასთან ერთად ტყე-ღრე ხეტიალი.

აქეთ-იქით სიარულში ორი კვირა გავატარეთ. ჩემი განმრთობა და სულიერი სიმშვიდე კარგა ხანია აღსდგა და ახლა ამ სუფთა ჰაერში, მოგზაურობის შთაბეჭდილებებმა და ჩემს მეგობართან ყოფნამ კიდევ უფრო მეტი ძალა შემმატა და გამამხნევა. მეცნიერებით გატაცებამ მეგობრებს ჩემთვის მართა, საკუთარ თავში ჩამკეტა, მოკლედ, უკარება გამხადა. მაგრამ კლერვალმა ჩემი ყველა საუკეთესო გრძნობა გამოაღვიძა. თავიდან მასწავლა ბუნების და ბევრობის სიხარულით გაციკროვნებული საბეების სიყვარული. ჩემო გულითადად მეგობარო! როგორ გიყვარდი. როგორ ცდილობდი ჩემს ამაღლებას გონებრივადაც და სულიერადაც. ეგოისტურმა სწრაფვამ შეზღუდა ჩემი თვალთახედვა და დააქნინა ჩემი პიროვნება. შენმა მზუნველობამ და სიყვარულმა გული გამითბო და ისევ გაიღვიძა ჩემმა გრძნობებმა სიკეთისა და სიყვარულისათვის. მე ისევ ის ბედნიერი არსება შევიქენი, რაც რამდენიმე წლის წინათ ვიყავი — ყველას მოყვარული და ყველას სიყვარულით განებივრებული, უზრუნველი და უღარდელი. როცა ბედნიერი ვიყავი, ბუნება ჩემს არსებაში არაჩვეულებრივ გრძნობებს იწვევდა. მოწმენდილ ცას და ხასხასა მწვანე მინდვრებს ალტაცებაში მოვყავდი და სიხარულით ვივსებოდი. მართლაცდა თვალწარმტაცი, ღვთაებრივი გაზაფხული დადგა. ღობეებში გაზაფხულის ყვავილები იფურჩქნებოდნენ, ზაფხულში გასაშლელი კი ჭერ კიდევ კვირტში იყო. მე აღარ მაშფოთებდა ის დარდი, რომელიც შარშან მტანჯავდა, გულს მიღონებდა და ჩემი ყოველგვარი ცდის მიუხედავად ლოდევით გულზე მაწვა და ვერ მომეშორებინა.

ჰენრი მეცხრე ცაზე იყო სიხარულით, მე რომ გახალისებულს და გამხიარულებულს მხედავდა. იგი ჩემს გართობას ცდილობდა და ამავე დროს თავის გრძნობებსაც ვერ მალავდა. საოცარი იყო მისი უღვევი ენერჯია და უსაზღვრო შესაძლებლობები. მისი საუბარი ფანტასტიკური გამონაგონით იყო სავსე. და ხშირად, როცა სპარს და არაბ მწერლებს ბაძავდა, არაჩვეულებრივი ფანტაზიით და ვნებათა ღელვით აღსავსე ამბებს იგონებდა. ხან კი ჩემს საყვარელ ლექსებს კითხულობდა, ან კამათში ჩამითრევდა ხოლმე.

კოლეჯში კვირას, ნაშუადღევს დავბრუნდით. სოფლად გლეხები ცეკვავდნენ და ყველა, ვინც გზაზე გვხვდებოდა, მხიარული და ბედნიერი იყო. მეც სულიერი აღზევება ვიგრძენი, აღფრთოვანებული მიწაზე ფეხს არ ვაბიჯებდი. გული მოჭარბებულ სიხარულს ვერ იტევდა და თითქოს გასკდომას ლამობდა.

თავი მეთექვსე

სახლში დაბრუნებულს მამაჩემის წერილი დამხვდა.

„ვიპტორ ფრანკენშაინს“

ჩემი საყვარელო ვიქტორ!

აღბათ მოუთმენლად ელოდებოდი წერილს, რომ შენი ჩამოსვლის დღე დაგვეთქვა. ჭერ მხოლოდ ერთი-ორი სიტყვის მოწერას ვაპირებდი, ამა და ამ დღეს გელოდები-მეთქი. მაგრამ ეს ჩემი მზრიდან სულმდაბლობა და შენ მიმართ კი უღმობელოება იქნებოდა. ჩემო ბიჭო, რა სახტად დარჩები, როცა

ბედნიერად და მხიარულად დახვედრის მაგივრად, შენს მშობლიურ სახლში
 ცრემლებს და უბედურებას იხილავ. ვიქტორ, რა სიტყვები მეყოფა, რომ ჩვენი
 საცოდაობა და უბედურება გაუწყო. შვილო, დიდი ხანია ჩვენგან წახვედი, მაგ-
 რამ უჩვენობა ვერ გაგიციებდა გულს ჩვენი სიხარულისა და მწუხარებისა ში-
 მართ. ამდენი ხნის მონატრებულ შვილს ასეთი დარტყმა როგორ მოგაგენო.
 გულით მინდა შეგამზადო ამ სამწუხარო ამბის მოსასმენად, მაგრამ [ხედავს] ~~ეს~~
 ეს შეუძლებელია. შენ უკვე ალბათ სულმოუთქმელად, თვალის ერქმს ვაძინებ ~~ეს~~
 ბით გინდა წერილში მოძებნო სიტყვები, რომლებიც საშინელ ამბავს გამ-
 ცნობენ.

უილიამი აღარა გვყავს! — ჩემი ტკბილი ბიჭი, მისი ღიმილი გულს რომ
 ასე მითბობდა და მიხალისებდა, ჩემი უწყინარი, მხიარული ბიჭი! ვიქტორ, უი-
 ლიამი მოგვიკლეს.

შვილო, ძალა აღარ შემწევს განუგეშო! მხოლოდ და მხოლოდ მოკლედ
 მოგიყვები, როგორ მოხდა ეს ამბავი.

გასულ სამშაბათს — 7 მაისს მე, ჩემი დისწული და შენი ძმები სასეირ-
 ნოდ პლენპალეში წავედით. თბილი და წყნარი საღამო იყო და ჩვეულებრივ-
 ზე მეტხანს შევრჩით. უკვე ჩამობინდდა, როცა უკან დაბრუნება მოვინდო-
 მეთ, და აღმოჩნდა, რომ უილიამი და ერნესტი, რომლებიც წინ მიდიოდნენ,
 აღარ ჩანდნენ. ბიჭები სანამ დაბრუნდებოდნენ, იქვე დასასვენებლად ჩამოვს-
 ხედით. მალე ერნესტი მოვიდა და გვკითხა, უილიამი ხომ არ დაგინახავთო.
 თურმე დახუკობანას თამაშობდნენ. უილიამი დასამალად გაქცეულა. ერნესტს
 ვერაფრით ვერ უბოვია. მერე თურმე კარგა ხანს ელოდა, მაგრამ უილიამი
 აღარ დაბრუნებულა.

ამან ჩვენ ძალიან აგვაფორიაქა და განვაგრძეთ ბიჭის ძებნა. დაღამებამდე
 ამოდ ვეძიეთ, მერე ელიზაბეთმა ივარაუდა, ვნახოთ, იქნებ შინ დაბრუნდო.
 მაგრამ ბიჭი არც შინ აღმოჩნდა. ისევ უკან დავბრუნდით, ახლა უკვე ჩირალ-
 დნებით. რა დამაძინებდა, როცა ჩემი პატარა ბიჭი დაიკარგა და გათოშილი
 მეგულეობდა სადღაც იმ ნესტიან ღამეში. ელიზაბეთი ძლიერ იტანჯებოდა.
 გამთენიისას, ასე ხუთი საათი იქნებოდა, როცა ვიპოვეთ ჩემი საყვარელი ბიჭი,
 ჭერ კიდევ წინა ღამით სიცოცხლით და ჯან-ღონით სავსეს ახლა ნაცრისფერი
 ედო და უსულოდ გამოტილიყო ბალახზე. ყელზე მკვლელის თითების ნაკვა-
 ლევი ეტყობოდა.

უილიამი შინ წავასვენეთ. ჩემს სახეზე აღბეჭდილმა ტანჯვამ ელიზაბეთი-
 სათვის ყველაფერი ნათელი გახადა. ელიზაბეთი გვამის ნახვას დაჟინებით მო-
 ითხოვდა. თავდაპირველად შევეცადე გადამეფიქრებინა, მაგრამ იგი შეუპოვ-
 რად იწევდა. ბიჭის კისერს შეხედა თუ არა, ხელი ხელს შემოჰკრა და წამოიყ-
 ვირა: „ო, ღმერთო ჩემო! მე მოვკალი ჩემი საყვარელი ბავშვი!“

მას გული წაუვიდა და ძლივს მოვაბრუნეთ. გონს მოსვლისთანავე ისევ
 ტირილი აუვარდა. ელიზაბეთმა მითხრა, რომ სწორედ იმ საღამოს უილიამი
 ჩააცივდა, გინდა თუ არა, დედაჩემმა რომ გაჩუქა, ის ძვირფასი მედალიონი
 გამიკეთე ყელზეო. მედალიონი ვეღარ ვნახეთ და ელიზაბეთმა თქვა, ეტყობა,
 ამ ნივთმა მიიბყრო მკვლელის ყურადღება და ეს ცოდვა ჩაადენინაო. თუმცა
 ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ჭერჭერობით მედალიონი ვერსად აღმოვაჩინეთ. თუმ-
 ცა ამას რას დავეძებ, რაღა აზრი აქვს, ჩემს საყვარელ უილიამს ხომ ვერ გა-
 მიცოცხლებს.

ჩამოდი, ჩემო ძვირფასო ვიქტორ. მხოლოდ შენ შეგიძლია ელიზაბეთი

ანუგეშო. გამუდმებით ტირის და უსაფუძვლოდ უილიამის სიკვდილს იბრალეებს. მისი სიტყვები გულს მიკლავს. ჩვენ ყველანი ძალიან გავუბედურდით, დაგვიბრუნდი და ცოტათი მაინც გვანუგეშე. უბედური დედაშენი ვაი, ვიქტორ, ახლა, რომ იცოდე, ღმერთს მადლობას ვწირავ, თავისი საყვარელი ციციქნა ბიჭის ასეთ საზარელ მკვლელობას რომ ვერ მოესწრო.

ჩამოდი, შეილო, სული არ დაიმძიმო შურისძიების წყურვილით, გულში მშვიდობა და სიყვარული ჩაისახე, რათა გაღრმავების გზაზე უსაფუძვლოდ ბუნი კრილობები მოგვიშუშო, შემოდი გლოვის სახლში, ჩემო მეგობარო. დე, არა მტრების სიძულვილი, არამედ სიკეთე და შენიანების სიყვარული იყოს შენი მეგობარი.

უბედური, განადგურებული მამაშენი

ალფონს ფრანკენშტაინი

ქენევა, 12 მაისი, 17—.

კლერვალი, რომელიც თვალს არ მაცილებდა, საბტად დარჩა, როცა დაინახა, რომ წერილის კითხვისას სიზარული სასოწარკვეთილებით შემეცვალა, წერილი მაგიდაზე დავაგდე და სახეზე ხელები ავიფარე.

„ჩემო ძვირფასო ფრანკენშტაინ, — წამოიძახა ჰენრიმ, როცა დაინახა, რომ მწარედ ვტიროდი, — ღმერთო ჩემო, ნუთუ სულ თან უნდა გდევდეს უბედურება? მითხარი, კიდევ რა მოხდა, ჩემო საყვარელო მეგობარო“.

წერილზე ვანიშნე, მე კი აღელვებულმა ოთახში ბოლთის ცემა დავიწყე. როცა ჩვენი უბედურება შეიტყო, კლერვალს თვალებიდან ცრემლები წასკდა.

„როგორ განუგეშო, ჩემო მეგობარო, — თქვა მან. — შენი უბედურება უნუგეშოა. ახლა რას აპირებ?“

„სასწრაფოდ უნდა გავემგზავრო ქენევაში, ჰენრი, წამომყევი, ცხენები შევუკვეთო“, — ვუთხარი მე.

გზაში კლერვალი შეეცადა დავემშვიდებინე. იმით კი არა, რომ ნუგეში ეცა, არამედ იმით, რომ ჩემ მიმართ დიდ ერთგულებას, უსაზღვრო სიყვარულს და თანაგრძნობას ამჟღავნებდა. „საბრალო უილიამი, — თქვა მან. — რა საყვარელი ბავშვი იყო, ახლა თავის ანგელოზ დედასთან ერთად განისვენებს. მისი მეგობრები ტირიან და გლოვობენ, ის კი ვერაფერს ვერ გრძნობს, ვერც ტკივილს, ვერც მკვლელის მარწუხებით შემოკდობილ ხელებს. საფლავის მიწა ფარავს მის პატარა სათუთ სხეულს. მას აღარ სჭირდება სიბრაღე. ტანჯვა და მწუხარება ცოცხლად დარჩენილთა ხვედრია და მხოლოდ დროა მათი განცდების შემამსუბუქებელი. ძალდატანებით არ შეიძლება სტოიკოსთა პრინციპის გატარება, რომლის მიხედვითაც სიკვდილი უბედურებად არ ითვლება, ადამიანი ვალდებულია თავის თავში მონახოს ძალა და საყვარელი არსების სამუდამოდ დაკარგვით გამოწვეულმა დარღმა და ვარაშმა არ წააქციოს და სასოწარკვეთილებაში არ ჩააგდოს. მაგრამ კატალინა რომ კატალინაა, ისიც კი დასტიროდა თავის ძმის ცხედარს“.

კლერვალი აჩქარებული ნაბიჯით მომყვებოდა და თან ასე მელაპარაკებოდა. მისი სიტყვები გონებაში ღრმად აღმებეჭდა და მერე მარტო დარჩენილს ხშირად მაგონდებოდა. როგორც კი ცხენები გაამზადეს, სასწრაფოდ გამოვემშვიდობე ჩემს მეგობარს და ეტლში ჩავჯექი.

ჩემი მგზავრობა დარდით და ნალველით იყო დამძიმებული. პირველად ვჩქარობდი შინ მისვლას. მიხდოდა თანაგრძნობა გამეწია და ნუგეში მეცა დამ-

გლოვიარებულ შინაურთათვის. მაგრამ როცა მშობლიურ ქალაქს მივუახლოვდით, უკვე წელი მწყდებოდა და მიხდოდა შევყოვნებულიყავი. შემოსეულ ფიქრებს თავს ვეღარ ვართმევდი. ბავშვობიდან ჩემთვის ნაცნობი, ექვსი წლი უნახავი ადგილები გავიარეთ. როგორ შეცვლილა ყველაფერი ამ დროის განმავლობაში. ერთი საშინელი და უეცარი ცვლილება უკვე მოხდა. ათას სხვა წვრილმანს შეეძლო სხვა ცვლილებებიც გამოეწვია. შიშმა ამიტანა ჩემთვის მეკრა, ქვეშეცნეულად ათასგვარი უბედურების მომლოდინეს ცხველები და ყვებიანა, თუმცა რომ გვეკითხათ, კერძოდ რისი მეშინოდა, ვერ აგიხსნიდით.

ასეთი მძიმე სულიერი განცდებით ორი დღე დავყავი ლოზანაში. გავყურებდი ტბას, მისი ზედაპირი წყნარად ლივლივებდა, ირგვლივ ყველაფერი მყუდროებას მოეცვა და თოვლით დაფარული მწვერვალები. ეს „ბუნების სასახლენი“ ჩვეული დიდებულებით იყვნენ მოსილნი. მათმა უდრტვინველმა სილამაზემ თანდათან დამამშვიდა და გზა განვაგრძე ქენევისაკენ.

გზა ტბის ნაპირს მიუყვებოდა და რაც უფრო ვუახლოვდებოდი ქენევას, სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა. მე უკვე გარკვევით ვხედავდი იურას მოქუფრულ კალთებს და მონბლანის კაშკაშა მწვერვალს. პატარა ბავშვივით უმწეოდ ავტირდი. „ჩემო საყვარელო მთებო! შენ, ჩემო მშვენიერო ტბავ! იმ როგორ ხვდებით თქვენს ყარიბ მწირს. თქვენი მწვერვალები გაციკროვნებულია, ცა და ტბა ლაყვარდოვანი და უდრტვინველი. ნეტავი რის მომასწავებელია ეს ყოველივე. რას მიქადით? სიმშვიდეს? თუ დასცინით ჩემს უბედურებას?...“

ვშიშობ, ჩემო მეგობარო, წინასწარი ამბების წვრილმანებზე საუბრით თავი არ შეგაწყინოთ. მაგრამ ის დრო შედარებით ბედნიერი იყო ჩემთვის და სიამოვნებით ვიგონებ. ჩემო ნანატრო, საყვარელო სამშობლოვ! შენს ღვიძლ შვილზე უფრო მეტად ვის ძალუძს გამონატოს ის უსაზღვრო სიხარული, მე რომ განვიცადე შენი მთების, ნაკადულების და განსაკუთრებით შენი თვალწარმტაცი ტბის ხილვისას.

მაგრამ მაინც სახლს რომ ვუახლოვდებოდი, ისევ დარდმა და შიშმა შემიპყრო. შემომიღამდა. დაზინდდა. უკვე ძლივსღა ვარჩევდი მთების ჩამუქებულ კონტურებს, სულშიც ჩამობნელდა. ჩემ ირგვლივ ჩაბნელებული არემარე ბორბლების ვრცელი და ბუნდოვან ასპარეზად მევლინებოდა და ქვეცნობიერად ვკვრეტდი, რომ განწირული ვიყავი ამქვეყნად მოკვდავთ შორის ყველაზე უბედური არსება გავმხდარიყავ. ვაი რომ ჩემი წინასწარმეტყველება მართალი გამოდგა. მხოლოდ ერთი რამ ვერ გავითვალისწინე — ყველა უბედურება, რასაც ჩემი წარმოსახვა მიხატავდა და რაც შიშის ზარს მცემდა, ზღვაში წვეთი აღმოჩნდა იმ ტანჯვასთან შედარებით, რის გადატანაც მე მეწერა.

ქენევის მიდამოებს რომ მივუახლოვდი, მთლად დაღამდა. ქალაქის კარი უკვე დაეკეტათ და მე იძულებული გავხდი ღამე სოფელ სეშერონში გამეტარებინა, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთით ნახევარი ლიეს მანძილზე მდებარეობდა. მოწმენდილი ცა და ნათელი ღამე იყო, დაძინება არ შემეძლო და გადავწყვიტე ის ადგილი მენახა, სადაც ჩემი საცოდავი უილიამი მომიკლეს. რადგანაც ქალაქში შესვლა აღარ შეიძლებოდა, იძულებული გავხდი ტბაზე ნავით გადავსულიყავი, რათა პლეინპლეში ჩავსულიყავი. ამ ხანმოკლე მოგზაურობის დროს მე, დავინახე, რომ მონბლანის მწვერვალზე ელვის დაკლაკნილი, ცეცხლოვანი ენებმე თვალწარმტაც სურათებს ხატავდნენ. ავდარი ახ-

ლოვდებოდა. ნაპირს მივალწიე და პატარა ბორცვზე ავედი, რომ ქარიშხლისათვის იქიდან თვალყური მედევნებინა.

გაავდრდა. ცა შავი ღრუბლებით მოიჭუფრა, ჭერ წვიმა ნელ, მსხვილ წვეთებად წამოვიდა, შემდეგ კი კოკისპირულად დაუშვა.

ბორცვიდან ძირს დავეშვი და გზა განვაგრძე, თუმცა უკუნი სიბნელე ჩამოწვა და ქარიშხალი ყოველ წამს სულ უფრო მძლავრდებოდა. მუხაკა და ქექა-ქუხილის საზარელი გრუხუნ-გრიალი კი იქაურობას გაუფრთხილდა. ქექა-ქუხილს ბანს აძლევდა სალევის, იურას და სავოს ალბები. ელვის დამაბრმავებელი, მოკაშკაშე, ცეცხლოვანი ენები თვალს მჭრიდა, ტბის ზედაპირს ისე აელვარებდა, თითქოს გზას ცეცხლოვანი საბურველი გადაათარესო. შემდეგ ერთ წამში ყველაფერი წყვდიადში შთაინთქა, და სანამ დაღლილი თვალი სიბნელეს შეეჩვეოდა, უცბად ყველა მხრიდან ერთბაშად მოვარდა ქარიშხალი, როგორც იცის ხოლმე შვეიცარიაში. ყველაზე მეტად ქალაქის ჩრდილოეთ მხარეს, ტბის იმ ნაწილზე ქუხდა, რომელიც ბელრივის კონცხსა და სოფელ კობეს შუა მდებარეობს. იქით კი ტბის აღმოსავლეთით მდებარე კუწუბიანი მთის მთა ხან განათდებოდა, ხან კი ისევ სიბნელეში იკარგებოდა.

გაოცებული ვადევნებდი თვალს ქარიშხლის სტიქიას, ასეთ მშვენიერს და ამავე დროს ასეთ შემადრწუნებელს, თან ჩქარი ნაბიჯით წინ მივიწევდი. ცაში გამართულმა ამ დიდებულმა ბრძოლამ ძლიერ ამადელვა. ხელები ერთმანეთს გადავაჭდე და ხმამალა დავიყვირე! „უილიამ, ჩემო ანგელოზო! ეს შენი დაკრძალვაა, ეს კი შენი სამგლოვიარო გალობა!“ ეს სიტყვები ვთქვი თუ არა, დავინახე ხეების ჩქოლნარს იქიდან ვილაცა მოიპარებოდა. ერთ ადგილას გავხვედი და თვალჩაიებით მივაშტერდი. არ შეიძლებოდა შევმცდარიყავი. ელვამ იქაურობა გაანათა. ახლა ცხადად დავინახე მისი გარეგნობა. გიგანტური ტანი, ადამიანისათვის წარმოუდგენლად საზარელი სიმახინჯე — ჩემთვის მყისვე ნათელი გახდა, რომ ეს იყო ჩემ მიერ შექმნილი საზიზღარი, ბინძური დემონი. გამაყრეოლა, აქ რა უნდოდა, რას აკეთებდა? იქნებ ჩემი ძმის მკვლელია-მეთქი, გავიფიქრე და წამსვე ვირწმუნე ამ აზრის სიმართლე. კბილების კაწკაწი ამიტყდა და ძალაგამოცლილი მივეყუდე ხეს. ბოროტმა სულმა გვერდზე ჩამიჭროლა და წყვდიადში გაუჩინარდა. აბა ადამიანი როგორ აღმართავდა ხელს ანგელოზივით ბავშვზე, მკვლელი ის იყო! ამაში უკვე ეჭვი არ მეპარებოდა. ამის გაფიქრებაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ეს აზრი ამ ფაქტის უტყუარ დამამტკიცებელ საბუთად მიმეჩნია. ჭერ ვიფიქრე, ამ სატანას გამოვდევნებოდი, მაგრამ როცა უეცრად გაიელვა და თვალი მოვკარი მონ სალევის ციცაბო კლდეებზე როგორ თავისუფლად მიცოცავდა, დავრწმუნდი, რომ ყველა ცდა ფუჭად ჩამივლიდა. მალე მან მთის წვერს მიაღწია და გაუჩინარდა.

გაქვავებულივით ვიდექი. ქექა-ქუხილი მიწყნარდა, წვიმა კი ისევ მოდიოდა და ყველაფერი უკუნი სიბნელით იყო მოცული. გონებაში ისევ ავწონდავწონე ის საოცარი ამბავი, რაც თავს დამატყდა და რის გადავიწყებასაც დღემდე ამაოდ ვცდილობ. თანმიმდევრობით გავიხსენე ჩემი მუშაობის ყველა ეტაპი ამ ურჩხულის შექმნამდე, შემდეგ ისიც გამახსენდა, ჩემივე ხელით შექმნილი ცოცხალი არსება ჩემს საწოლთან მდგარი ზემოდან რომ დამყურებდა, მერე როგორ გაქრა და დაიკარგა. თითქმის ორი წელი გავიდა იმ ღამის შემდეგ, რაც მე მას სიცოცხლე ვაჩუქე. ვინ იცის, იქნებ ეს ბოროტმოქმედება მისთვის პირველი არცაა. ვაი მე უბედურს! ქვეყნად თავისუფლად გათარეშებ

თავზეხელაღებულ არამზადას, რომლისთვისაც უდიდესი სიამოვნება სისხლის ღვრა და ხალხის ხოცვა-ყლეტვაა. ჩემი ძმა განა მან არ გამოასალმა სიცოცხლეს?! ვერავენ წარმოიდგენს, იმ ღამით, ღია ცის ქვეშ, წვიმასა და სიცივეში თავით ფეხებამდე გალუმბულმა და გაყინულმა რა ენით გამოუთქმელი ტანჯვა გადავიტანე. მაგრამ უამინდობას და ავდარს ვერც ვგრძნობდი, ამ საშინელი-ბით გამოწვეულმა სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. ის არსება, რომელიც ხალხში გავრიე და რომელსაც ადამიანებს შორის ყოფნის უფლებაც არა ჰქონდა, უდიდესი ძალის აღმოჩნდა და თავისი საზიზღარი მიზნებით შეპყრობილი, ახლახანს ჩადენილი მკვლელობის მსგავსად, მხოლოდ ბოროტებას თესავდა და ირგვლივ ყველას შიშის ზარს სცემდა. იგი — ბოროტი სული, ჩემი სისხლის მსმელი, საფლავიდან ამომძვრალი ვამპირი აღმოჩნდა, რომელიც ყველაფერს სპობდა, რაც კი ამქვეყნიად ძვირფასი და საყვარელი გამაჩნდა.

ირიყრაყა. ქალაქისაკენ გავემართე. ქალაქის კარი ღია დამიხვდა და სწრაფად მივაშურე მამაჩემის სახლს. უპირველესი, რაზეც ვფიქრობდი, ის იყო, რომ ყველაფერი, რაც კი მკვლელის შესახებ ვიცოდი, გამემჟღავნებინა და უმაღვე დასადევნებლად გავმზადებულიყავით. მაგრამ როცა დავფიქრდი, ჩემიანებისათვის რა უნდა გამენდო, შიშისაგან ენა მუცელში ჩამივარდა და ყოყმანი დავიწყე. არსება, რომელიც მე თვით შევქმენი და სიცოცხლე მივანიჭე, შუალამით მიუვალი მთის კიუხებში შემხვდა. გამახსენდა, ამ საშინელი არსების შექმნისას რა ნერვიულმა აგზნებამ შემიპყრო. ახლაც მაშინდელივით ნერვიულად აგზნებულს ისედაც ზღაპარივით დაუჭერებელ ნაამბობს სიცხიანის ბოდვად ჩამითვლიდნენ. დარწმუნებული ვარ, სხვას რომ ჩემთვის ასეთი რამ ეამბნა, სულელურ მონაჩმახად ჩავთვლიდი. თანაც ჩემი ნათესავები კიდევაც რომ დამერწმუნებინა და გამოდევნებაზე დამეყოლიებინა, სულერთია, ეს საშინელი მხეცი ნებისმიერ მდევნელს გაუსხლტებოდა. გარდა ამისა, გამოდევნებას რა აზრი ექნებოდა. ვინ შეიპყრობდა არსებას, რომელიც მონ სალევის ქარაფიან კალთებზე კინკასავით დაცოცავდა. ამ მოსაზრებებმა შემაფიქრიანა და დუმილი ვარჩიე.

დაახლოებით ხუთი საათი იქნებოდა, როცა მამაჩემის სახლის კარი შევადღე. მსახურები გავაფრთხილე, არავინ არ გააღვიძოთ-მეთქი, და ბიბლიოთეკაში შევედი, რათა ოჯახის წევრების გაღვიძებას დავლოდებოდი. ექვსი წელი სიზმარივით სწრაფად გაფრინდა და აუნაზღაურებელი დანაკარგი და მოუშუშებელი კრილობა დამიტოვა. ახლა კი იმავე ადგილას ვიდექი, სადაც ექვსი წლის წინ, ინგოლშტადტში წასვლისას, მამაჩემს მოვეხვიე და გამოვემშვიდობე. ჩემი საბრალო, მოხუცი მამა. ნუგეშად ისლა შემომრჩა. დედაჩემის სურათს შევხედე, ბუხრის თავზე რომ იდგა. ეს ჩვენი საოჯახო რელიქვია იყო. ეს სურათი მამაჩემმა დაახატვინა. მასზე გამოსახული იყო მამის კუბოსთან დაჩოქილი მგლოვიარე კაროლინა ბოფორი. გამხდარს და გაცრეცილს ტანზე. ძველი, გახუნებული კაბა ეცვა, მაგრამ კეთილშობილ სახეზე ისეთი ღირსება და მშვენიერება აღბეჭდოდა, რომ სიბრაულისთვის ვერც გაიმეტებდით. ამ სურათთან იქვე უილიამის მინიატურა ეკიდა, ამის დანახვაზე თვალებიდან ცრემლები წამსკდა. ამ ყოფაში რომ ვიყავი, ოთახში ერნესტი შემოვიდა. მას ჩემი ჩამოსვლა გაეგო და სასწრაფოდ ჩემ შესახვედრად წამოსულიყო. ნაღველნარევი სიხარულით შემეგება, სევდიანად გამიღიმა და მითხრა: „კეთილი იყოს შენი მოსვლა, ჩემო საყვარელო ვიქტორ! ოჰ, ნეტავ სამი თვის წინათ ჩამოსულიყავი, ყველას მხიარულს და ბედნიერს გვნახავდი. ახლა

კი გავუბედურადით და, ხედავ, ღიმილის ნაცვლად, ცრემლებით გვხვდებით. მა-
მაჩემი ამ უბედურებამ სულმთლად გაანადგურა. ამ საშინელმა ამბავმა დედა-
ჩემის სიკვდილით გამოწვეული დარდი და ნალველი განუახლა. საცოდავი ელი-
ზაბეთიც უნუგეშოა“. ამ სიტყვებზე ერნესტი ატირდა.

„ნუ, ნუსტირი, — ვუთხარი მე. — ასე ნუ მხვდები, გთხოვ, ცოტათი მაინც
დამშვიდდე, რომ ამდენი ხნის თქვენმა უნახავმა, მამაჩემის სახლში დაბრუ-
ნებულმა მთლად განადგურებულად არ ვიგრძნო თავი. მიტხარე ნუ მამა როგორ
უძლებს ამ უბედურებას? ჩემი საწყალი ელიზაბეთი როგორ უძლებს?“

„აი, ვის სჭირდება ნუგეშისცემა; ელიზაბეთი უილიამის სიკვდილში თავის
თავს ადანაშაულებს და ამით სიცოცხლეს იმწარებს, მაგრამ ახლა როცა მკვლე-
ლი აღმოაჩინეს...“

„რაო, მკვლელი აღმოაჩინეს? ღმერთო დიდებულო! კი, მაგრამ, როგორ?
ვინ შეძლებდა მის გამოდევნებას? ეს ხომ წარმოუდგენელია. რას ამბობ, აბა
მინდორში ქარი ვის დაუჭერია ან მთის მდინარე ბზით ვის გადაუხერგავს“.

„ვერ მივხვდი, რის თქმა გინდა... ლამის გავგიჟდი, როცა ხელი იმ გოგოს
დაადეს. პირველად ეს ამბავი არავის არ სჯეროდა. თუმცა საეჭვო უკვე არა-
ფერია, მაგრამ ელიზაბეთს ახლაც არ სჯერა. მართლაც, ვინ წარმოიდგენდა,
რომ ჟიუსტინა მორიცი, ასეთი კეთილი და ერთგული, ყველასათვის ასე
საყვარელი გოგო, გამხეცდებოდა და საშინელ ბოროტმოქმედებას ჩაიდენდა?“

„ჟიუსტინა მორიცი? საბრალო, საცოდავი გოგო, ბრალს მაგას სდებენ?
ეს ხომ ცილისწამებაა! ერნესტ, მიტხარი, ხომ არავის სჯერა ეს ამბავი?“

„პირველად მართლაც არავის არ სჯეროდა, მაგრამ შემდგომ ზოგი ისეთი
რამ გამომეღავენდა, რომ ამ გარემოებათა გამო იძულებული გავხდი ჟიუს-
ტინასათვის ბრალი დაგვედო. თან თვითონვე ისე უცნაურად იქცევა, საუბე-
დუროდ, საეჭვო აღარაფერი დარჩა. ჟიუსტინას დღეს ასამართლებენ და შენ
თვითონ გაიგებ ყველაფერს“.

შემდეგ ერნესტი მომიყვა, რომ იმ დილას, როცა საცოდავი იულიამის
მკვლელობა გაიგეს, ჟიუსტინა ავად გამხდარა და კარგა ხანს წოლილა. რამდე-
ნიმე დღის შემდეგ ერთმა მსახურმა თურმე შემთხვევით ჟიუსტინას კაბის ჯი-
ბეში დედაჩემის სწორედ ის მინიატურა ნახა, რომელიც, როგორც ეტყობა,
უილიამის მკვლელობის მიზეზი გახდა. ამ მსახურმა მინიატურა მაშინვე სხვა
მსახურს აჩვენა. ის კი თავის უფროსების დაუკითხავად მოსამართლესთან წა-
სულიყო. ფიცით ჩვენების მიცემის შემდეგ ჟიუსტინა დააპატიმრეს. მხილების
შემდეგ ჟიუსტინამ ისე აურია და ისე გიჟივით იქცეოდა, რომ მასზე მიტანილი
ეჭვი დაადასტურა“.

ეს მართლაც უცნაური ამბავი იყო, მაგრამ ამით ჩემი რწმენა ერთი წამი-
თაც არ შერყეულა, და მე სრულიად დარწმუნებულმა ვუპასუხე: „თქვენ ყვე-
ლანი ცდებით; მე ვიცი, ვინც არის მკვლელი. ჟიუსტინა, ჩვენი კარგი, საბრა-
ლო ჟიუსტინა ალაღმართალი და უდანაშაულოა“.


ამ დროს ოთახში მამაჩემი შემოვიდა. მე დავინახე, რომ დარდსა და ნალ-
ველს შიშვე დალი დაესვა მისთვის სახეზე, მაგრამ მაინც შეეცადა ხალისიანად
შემგებებოდა. ნალვლიანი მისალმების შემდეგ მამას არ უნდოდა ჩვენი უბე-
დურება ეხსენებინა და სულ სხვა რამეზე წამოიწყო ლაპარაკი. მაგრამ ერ-
ნესტმა წამოიძახა: „ღმერთო ჩემო! მამა! ვიქტორი ამბობს, უბედური უილიამი,
ვიცი, ვინ მოკლაო!“

„ჩვენც ვიცი, ჩვენდა საუბედუროდ, — უპასუხა მამაჩემმა. — ისე კი

წერჩია, არასდროს არაფერი გამეგო და არც არაფერი მცოდნოდა, ვიდრე ის ადამიანი, ვისაც ასე ვაფასებდი და პატივს ვცემდი, ასეთი უმადური და ხელიდან წასული გამომდგარიყო“.

„ჩემო საყვარელო მამა, თქვენ ცდებით, ჟიუსტინა უდანაშაულოა“

„თუ ასეა, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ როგორც დამნაშავეს პასუხი აგებინონ. დღეს სასამართლო იქნება და გულით მწადაია და იმედი მაქვს, რომ ჟიუსტინას გაანთავისუფლებენ“.



ამ სიტყვებმა დამამშვიდა. ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ჟიუსტინას და არც სხვა ვინმე ძე-ხორციელს ამ მკვლელობაში ბრალი არ მიუძღოდა. ამიტომაც შიში არ მქონდა იმისა, რომ წვრილმანი დეტალები გამოჩნდებოდა, რომელთა საშუალებითაც ჟიუსტინას არაპირდაპირ სამხილს წაუყენებდნენ და მსჯავრს დასდებდნენ. ერთი სული მქონდა, ჟიუსტინას როდის გასამართლებდნენ, გულდამშვიდებული ვიყავი და სრულიადაც არ მოველოდი, რომ განაჩენი დამღუპველი იქნებოდა.

მალე ელიზაბეთი შემოგვიერთდა. მას შემდეგ, რაც იგი უკანასკნელად ვნახე, ძალიან გამოცვლილიყო. მაშინ ელიზაბეთი ერთი პატარა, კოხტა, ანცი, ხუმარა — ყველასათვის საყვარელი და ყველასაგან განებივრებული გოგო იყო. ახლა კი, ექვსი წლის შემდეგ, დროს მისთვის უფრო მეტი ეშხი და ლაზათი შეემატებინა, ჩემ წინ დაქალებული და გალამაზებული, ტანაშოლტილი და პირმშვენიერი ელიზაბეთი იდგა. მისი ფართო და ნათელი შუბლი გონიერებასთან შერწყმულ გულუბრყვილობას და გულღია ხასიათს გამოხატავდა. მისი მშვიდი და სათნო თაფლისფერი თვალები ახლახან გადატანილ ელდას სევდითა და ნაღველით აღევსო. სუსტსა და ჰაეროვანს, თეთრყირმიში სახე და ხშირი ოქროსფერი თმა ამშვენებდა. ძალიან გულთბილად და სიყვარულით შემეგება: „ჩემო საყვარელო ბიძაშვილო, შენმა ჩამოსვლამ იმედი მომცა და გამამხნევა, — თქვა მან. — იქნებ შენ გამონახო რაიმე გზა ჩემი საცოდავი, უდანაშაულო ჟიუსტინას გასამართლებლად. ღმერთო დიდებულო! თუ ის დამნაშავედ და ბოროტმოქმედად ცნეს, მაშ ვინღაა დაზღვეული, რომ მასზე ექვი არ მიიტანონ ან ვინღა არის ამქვეყნად სანდო. მე მჯერა მისი და ისევე ვენდობი, როგორც საკუთარ თავს. ეს უბედურება ჩვენთვის ორმაგად მძიმეა. მართო ის ანგელოზივით ბავშვი კი არ დავკარგეთ, ახლა ამ უბედურ გოგოსა ვკარგავთ. მე იგი ძალიან მიყვარს და საკუთარი თვალით ვხედავ, რომ ბედისწერა უილიამზე უფრო მწარე ხვედრს უმზადებს. ის რომ მსჯრავდებული ვნახო, ჩემთვის ყველაფერი დამთავრდება, მე უკვე ველარასდროს ველარ ვიგრძნობ სიხარულს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს არ მოხდება და მე კვლავ ბედნიერი ვიქნები, ჩემი პატარა უილიამის ასეთი საშინელი სიკვდილის შემდეგაც კი“.

„ჟიუსტინა ამ საქმეში უბრალოა, ჩემო ელიზაბეთ! — ვთქვი მე. — ეს დამტკიცდება. ნურაფრის გეშინია, თავი გაიმხნევე და დარწმუნებული იყავი, რომ მას გაამართლებენ“.

„რა კეთილი ხარ, ჩემო კარგო! ყველამ დაიჯერა, რომ ჟიუსტინა დამნაშავეა და ეს სიცოცხლეს მიწამლავს. ვინ-ვინ და მე ხომ ვიცი, რომ ეს არ მოხდებოდა. ყველამ როგორ ირწმუნა ეს სიცრუე და განუდგა ამ უბედურს. არადა, მის შემხედვარეს სასო წამერთვა“. ელიზაბეთი ატირდა.

„ჩემო ტკბილო დისწულო, — უთხრა მამამ, — შეიშრე ცრემლი. თუ ის, როგორც შენ ამბობ, მართლა უდანაშაულოა, ენდე ჩვენი მოსამართლეების კანონიერებას, მე კი ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ჟიუსტინა ყოველგვარი მიკერძობების გარეშე გაასამართლონ“.



თარგმნა ირაკლი ჯაფარიძემ

მოგონებები მაიაკოვსკიზე

ამ მოგონებათა ავტორი - მსახიობი ვერონიკა პოლონსკაია იყო ვლადიმერ მაიაკოვსკის თვითმკვლელობის ერთადერთი მოწმე და, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი მიზეზი თუ საბაბი. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა პოეტთან მისი სიცოცხლის უკანასკნელ წელიწადს. მოგონებები დაიწერა 1930 წლის 14 აპრილის ტრაგედიიდან რვა წლის შემდეგ - 1938 წელს, დაიბეჭდა თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ - 1987 წელს. ე. პოლონსკაიას მონათბრობი გამოიჩინევა უშუალოდ და გულწრფელობით, გვაცნობს მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების პრაქტიკულ საინტერესო დეტალებს, იმ სირთულეებსა და მძიმე მარტოობას, რომლებმაც პოეტის თვითმკვლელობა განაპირობეს.

მთარგმნელი

მაიაკოვსკი 1929 წლის 11 მაისს გავიცანი მოსკოვში, დოღზე. იგი გამაცნო ოსიპ ბრიკმა. ბრიკს ვიცნობდი, ვინაიდან მიღებდნენ ფილმში „შუშის თვალი“, რომელსაც ლილია ბრიკი დგამდა.

როცა მაიაკოვსკი გაგვშორდა, ოსიპ ბრიკმა მითხრა:

— დააკვირდით, როგორი შეუსაბამო ტანი აქვს: ამოდენაა და რა მოკლე ფეხებზე დგას.

მართლაც, გაცნობისას მაიაკოვსკი როგორღაც დიდად და შეუსაბამად შერყენა: თეთრი პლაშჩი, შუბლზე ჩამოფხატული ქუდი და ხელოვნური, რომელსაც შეტად ეწერებოდად ხმარობდა. ხერხოვანი, თავიდანვე დამაფრთხო მხილვით მისთვის დამახასიათებელმა, ხმაურთანმა დაპარაკმა.

დავიბენი და არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი ამ ვეება ადამიანთან.

შემდეგ მოგვიახლოვდნენ კატაევი, ოლეშა. პილნიაკი და სამხატვრო თეატრის მსახიობი იანშინი. რომელიც მაშინ ჩემი ქმარი იყო. უკვლანი შევთანხმდით, რომ სადამოს კატაევთან წავიდოდით.

მაიაკოვსკიმ შემომთავაზა: სამხატვრო თეატ-

რში გამოგივლი ჩემი მანქანით და კატაევთან წავიყვანო.

სადამოს თეატრიდან გამოვედი, მაგრამ მაიაკოვსკის ვერ შევხვდი. დიდხანს დავსერილობდი გორკის ქუჩაზე ტელეგრაფის პირდაპირ და ველოდი. სამხატვრო თეატრის გასასვლელის კუთხეში ნაცრისფერი, ორადგილიანი მანქანა იდგა.

უცებ მანქანის მძღოლი მომიბრუნდა და გასერიანება შემომთავაზა. მე ვკითხე, ვისი იყო მანქანა. „პოეტ მაიაკოვსკისა“, — მიპასუხა მან. როცა ვუთხარი, რომ სწორედ მაიაკოვსკის ველოდებოდი, ძალზე შეშინდა და მთხოვა არ გამეცა.

მაიაკოვსკიმ დამავალა, — ამიხსნა მძღოლმა, სამხატვრო თეატრთან დავლოდებოდი, თვითონ კი, აღბათ, ბილიარდის თამაშს გადაჰყვარ ხასტუმრო „სტლეკტში“.

მე შევბრუნდი თეატრში და იანშინთან ერთად წავედი კატაევთან. კატაევმა მითხრა, რომ სამდენჭერზე დარეკა მაიაკოვსკიმ და ვკითხე, ხომ არ მოსულაო. მალე ისევ დარეკა. ბოლოს კი თვითონაც მოვიდა.

ჩემს კითხვაზე, თუ რატომ არ გამომიარა, მაიაკოვსკიმ ძალზე ხერხოვნიად მიპასუხა:

— ადამიანის ცხოვრებაში არსებობს გარკვეული რამეები, რომელთა წინააღმდეგაც ვერ წახვალ. ასე რომ, არ უნდა გამოჩაგრდეთ...

ჩვენ როგორღაც უცებ ძალიან მოგვეწონა ერთმანეთი, და მე ძალზე გავმხიარულდი. თუმცა, მგონი საერთოდ ხალამოც კარგი იყო.

მანიაკოვსკიმ წითხრა:

— სწრაფად რატომ იცვლებით? დილით, დღეზე, უწნო იყავით, ახლა კი რა ლამაზად გამოიყურებით...

შევთანხმდით, მეორე დღეს შევხვედროდით ერთმანეთს.

შევხვდით დღისით, ვსერირობდით ქუჩებში. ამჯერად მანიაკოვსკიმ ჩემზე სრულიად სხვაგვარი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე წინა დღეს. სრულიად არ ჰგავდა გუშინდელ მანიაკოვსკის, უკმებს, ხმაურთან, მოუსვენარს ლიტერატურულ ხაზოგადობაში.

მანიაკოვსკი გრძნობდა ჩემს უხერხულობას და ძალზე თავაზიანად და დელიკატურად საუბრობდა მეტად უბრალო, უოველდღიურ ამბებზე.

მეკითხებოდა თეატრის შესახებ, ამბავილებდა ჩემს უურადლებას გამვლელიებზე, მიაშობდა და უცხოეთზე.

ქუჩის ამ ნაწივრეტ-ნაწივრეტ საუბრებშიც კი შევნიშნე მახვილი თვალთახედვა ღირსშესანიშნავი მხატვრისა, სიღრმე აზროვნებისა.

იგი მეტად პერსპექტიულად აზროვნებდა.

ასე მანამდე არავის უსაუბრია ჩემთან უცხოეთზე. არ იგრძნობოდა თავყანისცემა მატერიალური კულტურის, კომფორტისა და მრავალი სხვა ასეთი წვრილმანისადმი.

დასავლეთზე საუბრისას, მანიაკოვსკი მეპატრონესავით არჩევდა იქ ნანახიდან იმას, რაც ჩვენს ქვეყანას გამოადგებოდა. იგი აღიარებდა კულტურისა და ტექნიკის წარმატებებს დასავლეთში, ხოლო კაპიტალისტური ექსპლუატაციის ფაქტები და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა საოცარ აღელვებასა და გულისწყრომას იწვევდა.

დიდმა სიზარულმა ამიტაცა, ასეთ ადამიანთან ერთად რომ ვსერირობდი. უკიდურესად დავიბენი და ავლელდი, თუმცა შინაგანად ბედნიერი გახლდით და ქვეცნობიერად ვგრძნობდი, რომ თუკი ეს კაცი მოინდომებდა, ჩემი ცხოვრების თანამოწმარე გახდებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ასევე ვსერირობდით ქუჩაში, მან სახლში მიმიპატიუა.

მე ვიცოდი მისი ბინა გენდრიკოვის შესახებ ვიწმინდან ნამყოფი ვიყავი ლილია ბრიკთან მანიაკოვსკის უცხოეთში ყოფნის დროს — და ძალზე გაკვირვებული დავრჩი, ლუბიანკაზე მისი ხამულშაო კაზინეტის არსებობა რომ შევიტყვე.

სახლში — ლუბიანკაზე — თავის წიგნებს მიჩვენებდა. ოთახში მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ნათარგმნი მანიაკოვსკის წიგნებით ხავსე კარადა იდგა.

მან მანახა ეს წიგნები.

თავის ლექსებს მიკითხავდა.

მახსოვს, კითხულობდა „მარცხენა მარხს“, ნაწივრეტებს პოემიდან „კარგი ქრისტიანული სიკვდილის, ადრინდელ ლირიკულ ნაწივრეტებს (მეტა ზუსტად არ შემიძლია ყველაფერი გავიხსენო).



ჩინებულად კითხულობდა — უჩვეულო გამომეტყველებით, სრულიად მოულოდნელი ინტონაციებით, და კარგად უთავსებდა ერთმანეთს მსახიობის ოსტატობასა და ელფერს. და თუკი ადრე, მანიაკოვსკის წიგნების კითხვისას, კარგად არ მესმოდა დაწვეტილი სტრიკონების შინაარსი, ახლა ერთბაშად დავრწმუნდი, რა აუცილებელია ეს დანაწევრება რიტმისათვის.

მას მეტად ძლიერი, დახალი ხმა ჰქონდა, რომელსაც შესანიშნავად იმორჩილებდა. ძალზე აღელვებულად, დიდი ტემპერამენტით გადმოცემდა თავის ნაწარმოებებს და დიდ იუმორს ფლობდა ლექსის კომედიური დიალოგების წაკითხვისას. გარდა შესანიშნავი პოეტისა, მანიაკოვსკის პიროვნებაში დავინახე დიდი არტიტული ნიჭიც. ძალზე ამბავილვა მისმა წაკითხვამ და პირდაპირ შემძრა ნაწარმოებებმა, რომლებსაც აქამდე მეტად შედაპირულად ვიცნობდი. შემდგომში მან მანწავლა საერთოდ პოეზიის გაგება. რაც მთავარია, მე შევიუვარე და გავიგე მანიაკოვსკის ნაწარმოებები.

მანიაკოვსკი ბევრს მიაშობდა, თუ როგორ მუშაობს.

მოჭადოებულვი ვიყავი მისი ტალანტითა და მომხიბვლელობით. ჩემს აღტაცებას, აღბათ, გამომეტყველებაზე მიხვდა, რადგან სიტყვებით გამოთქმა არ შემეძლო.

მომეჩვენა, რომ მასაც ესაიშოვნა; კმაყოფილმა გაიარ-გამოიარა ოთახში, ხარკეში ჩაიხედა და შეძთხა:

— მოგწონთ ჩემი ლექსები?

და როცა დამადასტურებელი პასუხი მიიღო, მოულოდნელად მომეხვია.

ჩემმა პროტესტმა ძლიერ გააოცა, ბავშვივით განაწყენდა, გაიბღინდა, მოიღუშა და მითხრა:

— კარგი, მომეცით თათი, მეტს აღარ ვიწამ, უკარება!

ყოველდღე მივდიოდი მასთან ლუბიანკაზე. მახსოვს, ერთ ხალამოს, როცა სახლში მაცილდებდა და ლუბიანკის მოედანზე გავიარეთ, გამვლელთა გასაოცრად, მოედანზე მაზურკის ცეკვა დაიწყო. ცეკვავდა მარტო, ასეთი დიდი და მოუქნელი, მაგრამ ძალზე მსუბუქად და ამავდროს სახაცილოდ.

საერთოდ უკიდურესობანი ახასიათებდა. მე არ მახსოვს აუჩქარებელი, მშვიდი მიაკოვსკი: იგი ან გაბრწყინებული, ხმაურისანი, მხიარული, უცნაურად მიმზიდველი იყო, იმეორებდა ლექსების ცალკეულ სტრიქონებს, მღეროდა ამ ლექსებს მის მიერვე შეთხზულ თავისებურ მოტივებზე, — ანდა, მოიღუშებოდა და საათობით სდუმდა. ძალიან ადვილად დიზიანდებოდა. უცებ გაბორბტდებოდა.

ერთხელ დანიშნულ დროზე ადრე მივედი ლუბიანკაზე და სახტად დავჩინე: მიაკოვსკი ოჯახობდა. მტერის დიდი ტილოთი და ქაგრისი: ოთახს ალაგებდა. ოთახში შევობლის სამი ბავშვი თამაშობდა.

მიაკოვსკის უყვარდა ბავშვები და მათაც უყვარდათ, „ბიძია მიაკოვსკი“ მოხვლა.

როგორც შემდეგ დავრწმუნდი, მიაკოვსკის ბავშვური აწარტით შექმლო ყველაზე უჩვეულო წვრილმანით გატაცება.

მახსოვს, გატაცებით აძრობდა ღვინის ბოთლებიდან ეტიკეტებს. როცა გაუჭირდებოდა, ბრაზობდა, მერე კი სხვა საშუალებას მიაგნო: წყლით აღბობდა ეტიკეტებს და ადვილად დასუფთად ძვრებოდა. ბიჭუნახავით ხარობდა.

მეტად აწიწი გახლდათ (ხენის გადადების ეშინოდა). არასოდეს შეეხებოდა მოაჯირს, კარის სახელურს ცხვირსახოციოთ პკიდებდა ხელს და ისე ალებდა. კიკებს დიდხანს ათვალიერებდა და წმენდდა. ლუდის კაობის სახელურს მარცხენა ხელით იჭერდა. მარწმუნებდა, ასე არაფინ არ სვამს და არაფინ ტუჩები შეხებია იმ ადგილს, რომელიც მე მიმაქვს პირთან.

ძალიან ეტვიანი იყო, ეშინოდა გაციების: უმნიშვნელო ტემპერატურის დროსაც კი ლოგინს მიაშურებდა.

თეატრი, მგონი, საერთოდ არ უყვარდა. მახსოვს, მიაშობდა, რომ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მასზე მოახდინა სამხატვრო თეატრის დადგმამ „ცხოვრების კლანტებში“. რომელიც როდესღაც ადრე ნახა. თუმცა, იქვე დაყინვით დასძინდა, ყველაზე უფრო ამ სპექტაკლში ბალიშებიანი დიდი დივანი დამამახსოვრდაო. მას შემდეგ ვაცნებობდი, რომ შექნებოდა ბინა და ასეთი დივანიო.

თეატრში არც ვუნახივარ, მოხვლას კი ხელაპირებდა. საერთოდ არ უყვარდა მსახიობები, განსაკუთრებით მსახიობი ქალები. შეუბნებოდა, იმიტომ მიუყვარხარ, რომ „პრანკია“ არა ხარ და შენზე ვერც იფიქრებ, მსახიობი რომ ხარო.

როგორც მახსოვს, ორჯერ ვიყავით ცირკში და სამჯერ შეიერხოდნის თეატრში. ვნახეთ ბენიშენსკის „გასროლა“. ვიყავით „ბაღლინჯოსა“ და „აბანოს“ პრემიერებზე.

„აბანოს“ პრემიერამ აშკარად წარუშატებლად ჩაიარა, მიაკოვსკი ამან ძალიან დაამწუხრა, თავს

ძალზე უმწეოდ გრძნობდა და არ უნდოდა სახლში მარტო წასვლა.

სახლში მიიპატოცა რამდენიმე კაცი სამხატვრო თეატრიდან, არსებითად სრულიად შემთხვევითი აღაშინები: მარკოვი, სტეპანოვი, იანშინ, ვიყავი მეც. მეგობართაგან არ არაფინ მოსულა და, როგორც შევატყვევებ, ამას ძალზე განიცდიდა.

ვერცხნიკა

მახსოვს, ავად უყვარდებოდა მათხარაკი მსახიობს დავუაზლოვდი, უნდა ვიყოფო არის მსახიობობა და როგორი მსახიობები იყვნენ ადრე, ამიტომ ვკითხულობ „მსახიობ მედვედვის მოგონებასო“. გატაცებული იყო ამ წიგნით და რამდენჯერმე დამირეკა, მიკითხვდა ტელეფონში და ძალიან მხიარულობდა, ხარხარებდა.

მიაკოვსკის, ძირითადად, ლუბიანკაზე ვხვდებოდი. თითქმის ყოველდღე მივდიოდი ხუთი-ექვსი საათისათვის და მოვდიოდი სპექტაკლზე.

1948 წლის გაზაფხულზე ჩემი ქმარი უაწანო წავიდა გადაღებებზე, მე კი მასთან მოგვიანებით უნდა ჩავსულიყავი. ერთი კვირა, რომელიც შედარებით მეტ თავისუფლებას მაძლევდა, თითქმის არ დავშორებივარ მიაკოვსკის, მიუხედავად იმისა, რომ ქმრის ოჯახში ვცხოვრობდი. ყოველდღიურად ერთად ვსადილობდით, მერე მივდიოდით მასთან, ხალამოობით ვსეირნობდით, ამ შევდიოდით კინოში, ხშირად რესტორნებშიც დავდიოდით.

მაშინ, აღბათ, ყველაზე ძლიერი პერიოდი მქონდა სიყვარულისა და შეუყვარებისა. მახსოვს, მტკივნეულად განვიცდიდი, რომ ის არ ფიქრობდა ჩვენი ურთიერთობის მომავალზე.

მაშინ რომ შემოეთავაზებინა ხულ მესთან უოფნა, ბედნიერი ვიქნებოდი. ძალზე ვეტვიანობდი, თუმცა, თითქონ, ამის საბაზი არც მქონდა.

მიაკოვსკის ჩემი ეტვიანობა აშკარად მოსწონდა. ამით იგი თავს იქცევდა. მახსოვს, ცოტა მოგვიანებით, მასთან სახლში მსატვარი ქალი მუშაობდა, აწიკებდა ალაკატებს გამოფენისთვის და მიაკოვსკი განზრახ თხოვდა მას, ტელეფონზე ეპასუხა, ხოლო როცა შეხვედრისას ჩემ გულისტკივილს გამოვხატავდი იმის გამო, რომ სახლში ქალი უწის, იცინოდა.

ძალზე სახიხარულო და ნათელი მოგონებები მაქვს სოქსა და ზოსტაზე.

გაზაფხულზე (როგორც იანშინთან ვიყავი შეთანხმებული) გავემგზავრე უაწანში, ხოლო მიაკოვსკი სოქში უნდა ჩასულიყო, სადაც უამრავი დისპუტი ელოდა. შემდეგ იანშინი ნათესავებთან გავემგზავრა აგარაკზე, მე კი სამხატვრო თეატრის მეგობარ მოგონებთან ერთად ზოსტაში წავიდი.

ძალიან კარგად მახსოვს უაწანში გამგზავრება. მიაკოვსკიმ მანქანით გამომიარა, ჩვენთან

... მათემატიკაში წამოვიდა, რომელმაც
... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და
... მათემატიკის განვითარება ჩემი და

— შეგიძლიათ მშვიდად დაუფლოსთ, ნორკო-
... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

— ნორკოქა, ახლავე დავბრუნდები; უნდა
... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

როცა ჩემთვის ეურნალის საყიდლად წავიდა,
... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

— წესიერი მწერალი რომ იყოს, ადამიანთ-
... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

ეჭირა, თავზე თბილი ფეტრის ქუდი ეხურა და
... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

შემდეგ უკვე ჩვენ ორი ვსერირობდით ხამ-
... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

უკვე გვიანი იყო. მათემატიკის მატარებელზე
... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

მათემატიკის მოკლადი იყიდა, რათა, რ-
... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და

... დაიწყო მათემატიკის განვითარება ჩემი და



ბნელი ლაშქ იყო და უამრავი ციციანთელა ციცი-
ციმებდა.

მაიაკოვსკი რივერანზე ცხოვრობდა, პირველ
ნომერში. არ წავედით რესტორანში სავაზიმოდ
და მივირთვით ციცი ქათამი, რომელიც დანა
ჩანგლის უქონლობის გამო ხელით დავგლიჯეთ.
შემდეგ სანაპიროზე და პარკში გავიხიერეთ.
პარკშიც ციციანთელები დაფრინავდნენ.

მაიაკოვსკიმ თქვა:

— უპ, გააწყალეს გული!

შემდეგ სახლში დავბრუნდით. ნომერი ძალ-
ზე პატარა და დახუთული იყო. ვევედრებოდი
აივანის კარი გაგვეღო, მაგრამ არ დამთანხმდა.
მუცვებოდა, რომ ერთხელ ვილაც ვიყმა ესროლა
და ამან ისე დააშინა, რომ მას შემდეგ იარაღს
ატარებს.

დღლით ზღვაზე საბანაოდ გავიქეცი.

დაბრუნებულს, კორიდორშივე შემომესმა
ყვირილი ოთახიდან. შუა ოთახში წყალში ცუ-
რავდა ვეებერთელა რეზინის ტაშტი. ყვიროდა
სასტუმროს მოახლე, ილანძლებოდა, რომ, „მო-
ქალაქე უოველდღე ისე ახველებს იატაკს, მოწ-
მენდა შეუძლებელია“.

კიდევ ერთი შტრიხი:

მაიაკოვსკის ბქონდა საათი და ტრაბახობდა,
რომ საათის შუშის გატეხვა შეუძლებელი იყო.
სოკში კი დავინახე, რომ შუშა გატეხილი გაბლ-
დათ. ვკითხე, როგორ მოხდა ეს. მითხრა, რომ
დაენიძლავა ნაცნობ ქალს, რომელიც ამბობდა,
რომ მისი საათის შუშაც არ ტყდებოდა. ერთ-
მანეთს მიაჩვენეს საათების შუშები; და აი, ქა-
ლის შუშა გადარჩა, მაიაკოვსკისა კი გაიხზარა.

არ მესიამოვნა ეს ისტორია: გავიფიქრე, ვინ
შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ქალი, თანაც მაგი-
დაზე წავაწყდი დეპეშას: „სალამი მოსკოვიდან
— ელენა“.

არაფერი მითქვამს, მაგრამ იგრძნო, რომ რა-
ღაც შეწყინა და სულ შეკითხვებოდა, რაში იყო
საქმე.

გამაცილა ხოსტის მატარებელზე, თვითონ კი,
რამდენიმე საათის შემდეგ გაემგზავრებოდა გე-
მით იალტაში. დავპირდი, რომ მეც გემით ჩავი-
დოდი მასთან ნ-მ აგვისტოს, მაგრამ ავად გავბ-
დი და ვერ შევძელი ჩასვლა. ის კი სწუხდა და
დეპეშას დეპეშაზე მიგზავნიდა. ერთმა დეპეშამ,
თავისი სილიდით, ტელეგრაფისტებიც კი გააოგ-
ნა. მთხოვდა ჩავსულიყავი. მერე მიდეპეშა, რომ
თვითონ ჩამოვიდოდა, ღელავდა ჩემი ავადმყო-
ფობის გამო.

მე ვუპასუხე, რომ არ ჩავიდოდი და არც თვი-
თონ ჩამოსულიყო, რომ შევბვედროდით ერთ-
მანეთს მოსკოვში, ვინაიდან უკვე გახშირდა ლა-
პარაკი ჩვენს ურთიერთობაზე და ვშიშობ, იან-
შინის ყურამდეც არ მიაღწიოს-მეთქი.

თეატრის ხეზონის დახაწყისისათვის მსახიო-

ბები ვბრუნდებოდი მოსკოვში. ჩავდიოდი
ტუტუიანები, მტვრიანები, მაგარი ვაგონით. სე-
გონა დედა დაშხვდებოდა.

უცებ შეკითხვიან:

— ნორა, ვინ გხვდებია!

გავედი ბაქანზე და ძალზე ვავეოცდი, მაია-
კოვსკი რომ დავინახე. ხედში რჩი წითელი ვა-
რდი ეჭირა.

ვერონიკა

ისეთი ელენგანტუბუბუბუბუ იყო. რი
შემრცხვა ჩემი ტუტუიანი შესახედაობისა.

თანაც, იქვე ჩემს ჩემოდანს სახელური მოძე-
რა, ხაკეტი გაიხსნა და გადმოცვივდა ქაგრიბე-
ბი, სავარცხლები, საპონი, ტანსაცმელი, კხი-
ლის ფხვნილი.

მაიაკოვსკი მანქანით იყო. მითხრა, რომ იან-
შინი ქერ არ დაბრუნებულყო მოსკოვში. დე
დაჩემისთვის დაურეკავს და უთხოვია არ დამხ-
ვედროდა, ვინაიდან თვითონ დაშხვდებოდა
ისიც უთქვამს, რომ სურს ვარდების დიდი თაი-
გული მარუქოს, მაგრამ ეშინია, დიდმა თაიგულ-
მა შეუვარებულ გინნაზისტს არ დამამსგავსოსო,
თანაც ჩემი ვეება ფიგურისათვის ეს სახაცილი
იქნებო. ამიტომ გადაეწყვიტა მხოლოდ ორი
ვარდი მოეტანა.

ჩემთან შეხვედრამ გაახარა და ისეთი ალერ-
სიანი იყო, როგორც არასდროს.

სოკის შემდგომი პერიოდის გახხენება მიჭირს,
რადგან 14 აპრილის ტრაგედიის შემდეგ მემსი-
ერების გამოთიშვა დამჩემდა.

ბშირად ვხვდებოდი ერთმანეთს.

ძველებურად მივდიოდი მასთან ლუბიანკაზე
იანშინმა არა იცოდა რა მაიაკოვსკის ბინის
შესახებ. უოველგვარად ვცდილობდი მის და-
მაღვას.

ბშირად, სამივენი, იანშინთან ერთად, თეატ-
რალურ კლუბსა და რესტორნებში დავდიოდით.
მაიაკოვსკი თამაშობდა ბილიარდს. ძალიან
მიყვარდა მისი თამაშის ყურება.

მანსოვს, ზამთარში, მისი მანქანით პეტროვს-
კო-რაზუმოვსკოეში წავედით. საშინლად ციო-
და. სულ გავითოშეთ. გადმოვედით მანქანიდან
და თმვლში ვგორავდით. მაიაკოვსკი ძალზე მხი-
არული იყო.

ჭოხით ტალახზე ისრით განგმირული გული და-
სატა და დაწერა „ნორა — ვალოდია“.

ძალიან მიბრაზდებოდა, სახელს რომ არ ვე-
ძახდი. როცა მარტონი დავრჩებოდი, „შენო-
ბით“ ვლაპარაკობდით, მაგრამ არ შემიძლო მი-
სთვის მხოლოდ სახელით მიმეშართა. დამცინო-
და, რომ „იმანოს“ ვეძახდი.

მაშინ, პეტროვსკო-რაზუმოვსკოედან დაბრ-
უნებისას, პირველად გავიგონე მისგან — „მიყ-
ვარხარ“.

ბევრს ლაპარაკობდა ჩვენს ურთიერთობაზე.
ამბობდა, მიუხედავად ჩვენი სიახლოვისა, ისე-

მე ვგრძნობა მაქვს, თითქოს პატარა დიდი იყო. ამის შემდეგ, ხანდახან პატარა დიდი მეძახდა. ამ დღეს ბევრს მიყვებოდა თავის ცხოვრებაზე; იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოვიდა მოსკოვში ჩერ კიდევ უმაწვილი, ცხოვრობდა აქაც, პეტროვსკო-რაზუმოვსკოეში და ისე უჭირდა, იმულებული იყო მოსკოვში ფეხით ჩახულიყო სოფელში. მიაშობდა თავის რომანზე მარიასთან, ცხეზე, ნაცნობ ქაშუშზე, რომელიც დასდევდა. უდიდესი სინაზითა და სიყვარულით იხსენებდა დედას.

უვებოდა თუ რა მოუთმენლად ელოდებოდა დედა და როგორ ამზადებდა შვილის საყვარელ კერძებს იმ იმედით, რომ ვალოდია მოვა.

საყვედურობდა საკუთარ თავს, რომ ასე იშვიათად იმყოფებოდა დედასთან.

დათქმულ დროს დედას ფულს აძლევდა და ძალზე განიცდიდა, თუკი ერთი-ორი დღით დაუფიქრებოდა. ხშირად მინახავს მისი უბის წიგნაკში ჩანაწერი:

„დედას აუცილებლად ფული“.

ანდა ჩვეულებრივად — „დედა“.

თავიდან ვერაფრით ვერ გავიგე ბრიკებისა და მაიაკოვსკის ოჯახური სიტუაცია. ისე შეგობრულა. ცხოვრობდნენ ერთად, რომ ჩემთვის გაურკვეველი იყო, რომელი მათგანი გახლდათ ლილია ბრიკის ქმარი. ამიტომ, თავდაპირველად ბრიკებთან უფიქრისა, თავს ძალზე უხერხულად ვგრძნობდი სოფელში.

ერთხელ ბრიკები ლენინგრადში იყვნენ. მაიაკოვსკისთან ვიყავი, გენდრიკოვზე. არც იანშინი იმყოფებოდა მოსკოვში და მაიაკოვსკი მთხოვდა მასთან დავრჩენილიყავი ღამით.

— ხვალ დილით რომ ლილია იურიევნა მოვიდეს? — ვკითხე მე. — რას გეტყვით, რომ დამინახავს?

მაიაკოვსკიმ მიპასუხა: — გეტყვის: „ნორაჩკასთან ცხოვრობ?.. რას იხამ, მომწონს“.

ვიგრძენი, ცოტა არ იყოს სწყინდა ის გარემოება, რომ ლილია ბრიკი ასე გულგრილად უყურებდა ამ ფაქტს.

მომეჩვენა, რომ მაიაკოვსკის კვლავ უყვარდა იგი და გული შეტკინა.

თანდათან მივხვდი, რომ მაშინ მთლად მართალი არ ვიყავი. მაიაკოვსკი ძალიან კარგად იყო განწყობილი ლილია ბრიკის მიმართ. რაღაც გაგებით, ეს ქალი იყო და იქნებოდა მისთვის პირველი, მაგრამ მისადმი სიყვარული (როგორც ასეთი) უკვე წარსულს ჩაბარდა.

მაიაკოვსკი არაჩვეულებრივად ნაზად და მზრუნველობით ეპყრობოდა ლილია ბრიკს. ჩამოსვლისას უკველთვის უკავილებით ხვდებოდა. უყვარდა მისთვის ათასგვარი წვრილმანის ჩუქება. მახსოვს, სადაც რეზინის გასაბერი სპილო-

ები იშოვნა. ერთი სპილო ვებერთელა იყო და მაიაკოვსკი სიხარულით ამბობდა:

— ნორაჩკა, მოგწონთ ლილიას სპილოები? თქვენც გაჩუქებთ ასეთებს.

საზღვარგარეთიდან მანქანა ჩამოიყვანა და ლილია ბრიკს მისცა.

თუკი თვითონ დასჭირდებოდა მანქანა, უკველთვის ბრიკს სთხოვდა.

ისიც ძალზე კარგად ეპყრობოდა მაიაკოვსკის, მეგობრულად; მაგრამ მომთხოვნი და დებსოტი იყო.

ხშირად იმიჯნებდა წვრილმანებს, ნერვიულობდა, უყურადღებობაში ადანაშაულებდა მაიაკოვსკის.

ეს ცოტა მტკივნეულიც კი იყო, რადგან ასეთი ამოუწურავი თავაზიანობა არსად არასდროს მინახავს, არც მაშინ და არც შერე.

მაიაკოვსკი მიაშობდა, რომ ძალიან უყვარდა ლილია ბრიკი. მის გამო ორჯერ უნდოდა თავის მოკვლა; ერთხელ ისროლა კიდევ პირდაპირ გულში, მაგრამ იარაღმა უმტყუნა.

დაწვრილებით არ უთქვამს, თუ როგორ დაშორდნენ ერთმანეთს.

უცხოეთში უკანასკნელად უფიქრისა მაიაკოვსკის რომანი შქონდა ვიღაც ქალთან. მას ტატიანა ერქვა. ჩანს, ძალიან უყვარდა იგი. როცა საბჭოთა კავშირში დაბრუნდა, დეპეშა მიიღო; ტატიანა იუწყებოდა, რომ ცოლად გაჰყვა ფრანგს.

ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს, თავიდან, ლილია ბრიკი გაახარა ჩვენმა ურთიერთობამ, რადგან თვლიდა, რომ ეს ურთიერთობა ტატიანას დაავიწყებდა ვლადიმერ მაიაკოვსკის.

და საერთოდ მეჩვენებოდა, რომ ლილია ბრიკი ძალზე ადვილად ეგუებოდა მის რომანებს, თითქოს მფარველობდა კიდევ, როგორც, მაგალითად, ჩემს შემთხვევაში. ეს პირველ ხანებში ხდებოდა.

მაგრამ, თუკი ვინმე ღრმად შეტოპავდა, ბრიკი ნერვიულობდა. სურდა, მაიაკოვსკისათვის ერთადერთი და განუყოფელი უფიქრისა.

როცა მაიაკოვსკის სიკვდილის შემდეგ ლილია ბრიკს ვესაუბრებოდი, მას ასეთი ფრაზა წამოსცდა:

— არასოდეს ვაპატიებ ვალოდის ორ რამეს. უცხოეთიდან ჩამოვიდა და საზოგადოებაში არაჩემდამი მიძღვნილი ლექსები წაიკითხა ისე, რომ არც გავუფრთხილებივარ. და მეორე, — უვლას წინაშე და ჩემს წინაშეც გიცქერდათ თქვენ, ცდილობდა თქვენს გვერდით დამჭდარიყო და შეგნებოდათ.

მაიაკოვსკი ბევრს ეწეოდა, მაგრამ ადვილად შეეძლო თავის დანებება, რადგან არ ულაპავდა. ჩვეულებრივად პაპიროსიდან პაპიროსს უკიდებდა, სოლო, როცა ნერვიულობდა, მუნდშტუკს დეჰავდა.



მხოლოდ ერთხელ, ეს იყო 14 აპრილი, ვნახე მთვრალი, კატაგეთანი.

სვამდა ურძინს ღვინოს, უუვარდა შამპანურა, არაყს არ ეკარებოდა. ღუბინაჯაზე უოველთვის იყო ღვინოს, კანფეტებისა და ხაღის მარაგი.

ძალზე აკურათული გახლდათ. ნივთები უოველთვის წესრიგში ჰქონდა. უოველი მათგანი თავის განსაზღვრულ ადგილზე იდო. რაღაც პედანტურად ალაგებდა ხოლმე სახლის და ბრაზობდა, თუკი რამე წესრიგში არ აღმოჩნდებოდა.

მრავალი ჩვევა ჰქონდა. მაგალითად, ფეხსაცმელებს დაკეცილი ურძინის საშუალებით იყმევდა. მიუხედავად იმისა, რომ კაწაპი ჰქონდა. ოთახში ადგილის ამოჩემება უუვარდა ჩვეულებინამებრ, ან საწერ მაგიდასთან იქდა, ან ფეხებ გადაჭვარდინებული, და ბუბრის თაროზე იდაუვებდაურდნობილი ზურგიით ბუზარს ეუფლებოდა. ამასთან ერთად ან ეწეოდა ან ნელ-ნელა წრუპავდა ღვინოს ჭიჭიდან, რომელიც იქვე თაროზე იდგა. შერე უცებ მოსწყდებოდა ადგილს ან რაღაცას ჩაიწერდა ხაწერ მაგიდასთან ანდა უბრალოდ დადიოდა, უფრო სწორად, და რბოდა პატარა ოთახში და შერე ისევ ხაწვის მდგომარეობას უბრუნდებოდა.

მაშ ასე, როდესაც კავკასიიდან მოსკოვში დავბრუნდი და რკინიგზის სადგურში მაიაკოვსკის შევხვდი, ვიჩქმუნე, რომ მას ძლიერ ვუუვარდი და თავი ბედნიერად ვიგრძენი. ხშირად ვხვდებოდი ერთმანეთს. როგორღაც ვველაფერი სახიზარულოდ და უღარდელად მოეწყო.

მაგრამ, მალე მაიაკოვსკის ხასიათი გაუფუქდა. რაღაცა ძალიან აწუხებდა, გულჩათბრობილი გახდა. ჩემს შეკითხვებზე, თუ რატომ იყო ახეთ გუნებაზე, ხუმრობდა, და ხერტოდ, თითქმის არახოდეს მიწიარებდა თავის გასაჭირს; ხანდახან თუ წამოცდებოდა რამე...

მაშინ დაღლილობასა და ჩანმრთელობას უჩიოდა და ამბობდა, რომ მხოლოდ ჩემთანაა კარგად. ძალიან ჭირვეულობდა და ავადმყოფურად ექვიანობდა.

ადრე სრულიად მშვიდად ებურობოდა ჩემს ქმარს, ახლა კი ექვიანობდა, მიზეზს ეძებდა, იღუშებოდა. ხმას არ ადებდა ხაათობით. მიჭირდა მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა. შერე, უცებ მოწყერა გადაუვლიდა და ეს ვეებართვლა კაცი ისევ მხიარულობდა, ბტოდა, ვველაფერს მუხრს ავლებდა, თავის ხასს ავუგუნებდა.

ხშირად ვხვდებოდი ერთმანეთს, მაგრამ ძირითადად ხალხში, რადგან ჩემი ქმარი თითქოს მიხვდა ჩვენს ურთიერთობას, თუმცა მაიაკოვსკის ძალზე კარგად ეპურობოდა.

იანშინს მოსწონდა მაიაკოვსკისა და მისი ნაცნობების საზოგადოებაში უოფნა, თუმცა მაიაკოვსკისთან ერთად უხალისოდ მიშვებდა. იძუ-

ლებული ვიყავი დაშეშალა ჩვენი შეხვედრები ამიტომ ისინი უფრო ხანმოკლენი გახდნენ.

თანაც დიდი როლი მივიღე პიესაში „ჩვენი ახალგაზრდობა“. ჩემთვის ახალგაზრდა დამწყები მსახიობისათვის სამხატვრო თეატრში როლის მიღება უდიდესი მოვლენა იყო და ძალიან ვამბობდი, სამუშაო.

თავიდან ძალზე გახარებული იყოს; ოცნებობდა, როგორ მოვიდოდა პრემიერაზე. უოველ სპექტაკლზე მოიტანდა ყვავილებს „უცნობი საგან“ და ა. შ. მაგრამ, რამდენიმე დღის შემდეგ, დარწმუნდა რა, როგორ ჩამითრია სამუშაომ, მოიღუშა, გაბოროტდა. წაიკითხა ჩემი როლი და შეთბრა, რომ როლი საშინელია და აღბათ პიესაც. თუმცა, პიესა არ წაუკითხავს არც წაიკითხავს და სპექტაკლზეც არაფრის დიდებით არ მოვა. და საერთოდ, შე არ უნდა ვიყო მსახიობი, უნდა დავტოვო თეატრი...

ეს ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ ძალზე მწარედ და მივხვდი, რომ მაიაკოვსკი მართლა ასე ფიქრობდა და ასე სურდა.

ძალზე მოშთხოვნი გახდა, მიადწია უოველდღიურ შეხვედრებს და არა მარტო ღუბინაჯაზე, არამედ ქალაქშიც, უოველდღე ვთანხმდებოდი, რომ შეხვედრადიო ერთ-ერთ კაფეში, ან სამხატვრო თეატრთან, ანდა სამხატვრო თეატრის პატარა სცენის პირდაპირ, გორკის ქუჩაზე.

ჩემთვის საკმაოდ ძნელი იყო შესახვედრად გამოსვლა დღისით, სამუშაოს გამო და იმის გამოც, რომ მიჭირდა თეატრიდან მარტო წამოსვლა. ხშირად მაგვიანდებოდა, ან საერთოდ არ მოვდიოდი, ანდა იანშინთან ერთად გამოვეცხადებოდი. მაიაკოვსკი ბრაზობდა, შე კი თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი.

მახსოვს, რეპეტიციის შემდეგ გავიპარებოდი და გავრბოდი კაფესაენ ტერის ბუღვარზე. მაგიდას უქდა ფართოფარფლებაქუდიანი დაღვრემილი ფიგურა, და, უოველთვის ერთ პოეში: ხელები ქოხზე ეწყო, ნიკაპი — ხელებზე; დიდ მუქ თვალებს კი კარებს არ აცილებდა.

ამბობდა, რომ ოფიციატების დახაციანი გახდა, რადგან საათობით მელოდა ხოლმე, ვთხოვდი, კაფეში ნუ შევხვდებით, ვერ ვახერხებ, რომ ზუსტად მოვიდე-მეთქი, მაგრამ მაიაკოვსკი მბახუხობდა:

— მიმიფურთხებია ოფიციატებისთვის, დაკინონ. მოთმინებით დაგელოდები, ოღონდ მოდი!

ამ დროისათვის სამუშაო არ გამოსდიოდა. წერდა ცოტას. „ახანოზე“ მუშაობდა. მთხოვიკიდეც, დავალებები მიმეცა, რათა წერა გაადვილებოდა; ყველა დავალება უნდა ჩამებარებინა მისგან, ამიტომ, დიდი აღფრთოვანებით წერდა, ვინაიდან იცოდა, რომ პიესის დაწერილ ნა-

სიღმის ჩავიხარებდი. ჩვეულებრივად, მის უბის
სიღმის ჩავიხარებდი. ჩვეულებრივად, მის უბის
სიღმის ჩავიხარებდი. ჩვეულებრივად, მის უბის

ჩახსოვს ჩვენი სამი შეხვედრა იმ წამთარს.
ჩახსოვს ჩვენი სამი შეხვედრა იმ წამთარს.

ერთი შეხვედრა ასე შესდგა: რაკი ძლიერ
ერთი შეხვედრა ასე შესდგა: რაკი ძლიერ
ერთი შეხვედრა ასე შესდგა: რაკი ძლიერ

ჩემთვის ეს ძალზე არასასიამოვნო იყო და
ჩემთვის ეს ძალზე არასასიამოვნო იყო და

მეორე შეხვედრა „ახანოს“ პრემიერის შემ-
მეორე შეხვედრა „ახანოს“ პრემიერის შემ-

თუმცა ძალზე მკაცრად განვხავეთ და ბევრი
თუმცა ძალზე მკაცრად განვხავეთ და ბევრი

შესამე ხალამო. სახუმარო იუბილზე, რომე-
შესამე ხალამო. სახუმარო იუბილზე, რომე-

სახუმარო იუბილზე მე და იანშინი გვიან
სახუმარო იუბილზე მე და იანშინი გვიან

ხალამოს კაბაში გამოწყობილი მივედი, სხვე-
ხალამოს კაბაში გამოწყობილი მივედი, სხვე-

უოველ წუთში გვერდით მივუჭიდებოდი, გამო-
უოველ წუთში გვერდით მივუჭიდებოდი, გამო-

მახსოვს, რამდენიმე დღის შემდეგ მაიაკოვს-
მახსოვს, რამდენიმე დღის შემდეგ მაიაკოვს-

— ვერ გამიფია, რატომ იყო ვალდია ასეთი
— ვერ გამიფია, რატომ იყო ვალდია ასეთი

მალე ბრიკები საზღვარგარეთ წავიდნენ. მაია-
მალე ბრიკები საზღვარგარეთ წავიდნენ. მაია-

მათი გამგზავრების შემდეგ გრიპით გაბდა
მათი გამგზავრების შემდეგ გრიპით გაბდა

Избавясь от смертельного насморка

и чиха

Приветствую вас, товарищ врачиха.

ვიცი, რომ ასევეთან და ამხანაგებთან უთანხმოება მოუვიდა და იჩხუბეს კიდევ. შერიგდნენ. მაგრამ, აშკარა იყო, რომ ნამდვილი შერიგება არ მომხდარა.

მახსოვს მთავრობის შესვლა რაპპ-ში. იგი გახალისებული იყო, გვარწმუნებდა, რომ სწორად მოიქცა და კმაყოფილია რაპპ-ის წევრობით. მაგრამ იგრძნობოდა, რომ ერცხვინებოდა და მთლად არ სჭეროდა, რომ თავის თავის წინაშე მართალი იყო. და თუმცა საკუთარ თავს არ უტყულებოდა, იგი ისე არ მიიღეს რაპპ-ში, როგორც მთავრობის ეკადრებოდა.

გამოფენის დღეები ახლოვდებოდა.

მთავრობის ამით იყო გატაცებული.

არ გვაგრძნობინებდა, თორემ ძალზე უჭირდა მარტოობა.

არც ერთი ლიტერატორი ამხანაგი არ მისულა დასახმარებლად.

მისი ოთახი, ლუბიანკაზე, სამაქეტო სახელოსნოს დაემსგავსა. იგი ქალაქში დარბოდა და მასალებს ეძებდა.

მთელი დღეები რაღაცას ვაწებებდით, ვარჩევდით. სადღილი რომელიღაც მეზობელ ქალს მოჰქონდა. სადილობის შემდეგ ისევ პლაკატებში ვიჭებებოდით.

შერე ხბექტაკლზე მივდიოდით. მთავრობისთვის კი მხატვარი გოგონები რჩებოდნენ და რაღაც-რაღაცებს აწებებდნენ, წერდნენ.

გამოფენაზეც თვითონ ფუსფუსებდა.

ერთხელ მწერალთა კლუბში მივედი მასთან. ხელში ჩაქურჩი ეჭირა, პწკალაზე იდგა და კედელზე პლაკატებს აკრავდა. (მხოლოდ ლავუტი ეხმარებოდა, მაგრამ ლავუტს გამოფენის ორგანიზაციასთან დაკავშირებით უამრავი საქმე ჰქონდა. ასე რომ, მთავრობის თითქმის ყველაფერს მარტო აკეთებდა).

გამოფენის გახსნის დღეს ხბექტაკლი და რეპეტიცია ჰქონდა. ხბექტაკლის შემდეგ შევხვდი. დაღლილი და კმაყოფილი იყო. მითხრა, რომ მოვიდა უამრავი ახალგაზრდობა, რომელიც ძალზე დაინტერესდა გამოფენით.

ბევრი შეკითხვა მისცეს. მთავრობის, როგორც ყოველთვის, თვითონ კახულობდა, თანაც დიდი ხალისით. დამთვალეიერებლბმა არ გამოუშვებს, ხანამ რამდენიმე თავისი ნაწარმოები არ წაიკითხა. შემდეგ მითხრა:

— მაგრამ წარმოუდგენელია, ნორა, არცერთი მწერალი არ მოხუტა... ამხანაგებიც კი!

მეორე საღამოს, მასთან ერთად წავიდა გამოფენაზე. მითხრა, რომ იქ დედამისი იქნებოდა.

ადრეც შეუბნებოდა, რომ სურს, დედა გასწავლოს, რომ ოდესმე წამოყვანს მასთან.

აქ ისევ მითხრა:

— ნორკოჩკა, დედას გაგაცნობ. მაგრამ, რაღაცაზე ძალზე ნაწყენი იყო, შეიძლება გამოფენისადმი მწერალთა უინტერესობის გამო, თუმცა საკმაოდ ბევრი ხალხი შეიკრიბა.

პროლეტარიატი

შეიძლება იმანაც [სტალინი] უტყუარად ვთქვამოდა: პლაკატები ისე არ დაქიდებს, როგორც მას სურდა. საშინლად ნერვიულობდა, ბრაზობდა, უყვიროდა გამოფენის მოწყობით.

მე განზე გავდექი. მომიახლოვდა და მითხრა:

— ნორკოჩკა, აი დედაჩემი.

სრულიად სხვაგვარი წარმომედგინა მთავრობის დედა. ჩემს წინ იდგა პატარა მოხუცი ქალი — თავზე შავი მოსახვევით. რაღაც უცნაური სანახავი იყვნენ ისინი ერთად. ძალიან პატარა ჩანდა დედა თავისი ვეებერთელა შვილის გვერდით. თვალები — თვალების გამოშეტყულება — ძალზე მიუგავდა მთავრობის თვალებს. ისეთივე გამჭრიახი, ახალგაზრდული გამოხედვა ჰქონდა.

არ მახსოვს როგორ შევხვდით ახალ წელს და ერთად შევხვდით თუ არა. ჩვენი ურთიერთობა სულ უფრო ნერვიულ ხასიათს ღებულობდა.

ხშირად ვერ იკავებდა თავს უცხო ხალხში, გავყავდი ურთიერთობის გასარკვევად. თუკი რაიმე უსიამოვნება მოხდებოდა, ყველაფერი სასწრაფოდ უნდა გაერკვია.

მოდუშული, ჩუმი და მოუთმენელი გახლდათ. ამ დროს მისგან ფეხმძიმედ ვიყავი. აბორტი გავიკეთე. ამან ფსიქოლოგიურად იმოქმედა ჩემზე. ისედაც გადავიქაჩე ამდენი სიცრუითა და გაორებული ცხოვრებით, აქ კი, სავადმყოფოში იანშინმა მინახულა... ისევ ტუფილის თქმა მომიხდა. აუტანელი გახდა ყველაფერი ეს.

ოპერაციის შემდეგ, რომელმაც არც ისე მშვიდობიანად ჩაიარა, საშინელი აპათია დამეუფლა საერთოდ ცხოვრებისადმი და, რაც მთავარია, გამიჩნდა ზიზღი ფიზიკური ურთიერთობისადმი.

მთავრობის ვერაფრით ვერ ურიგდებოდა ამას. მას ძალზე აწვალებდა ჩემი ფიზიკური (მოჩვენებითი) გულგრილობა. ამან გამოიწვია უამრავი მძიმე, აუტანელი, უაზრო ჩხუბი.

მაშინ ძალზე ახალგაზრდა ვიყავი იმისათვის, რომ ყველაფერ ამას გამოვკვეთულიყავი და მთავრობის დამერწმუნებინა, ეს დროებითი დეპრესია იყო, რომ, თუკი ცოტა ხნით მომეშვებოდა და ასე მოუთმენლად და ნერვიულად აღარ ვანიცდიდა ჩემს ფიზიკურ გულგრილობას, თანდათანობით გაივლიდა ყველაფერი და ძველ-

ხურ ურთიერთობას დავუბრუნდებოდი. მას ჩემი ასეთი გულგრილობა აცოფებდა. ხშირად ვაჩუქებულნი იყავით, უღმრთოები კი. ნერვიუ-დად, ექვით უპურებდა უველაფერს. ღიზიან-დებოდა და შარს მდებდა უბრალო წვრილმა-ნების გამო.

მე კიდევ უფრო მიუვარდა იგი. ვაფასებდი და ვუგებდი ადამიანურად. ვერ წარმომედგინა სიცოცხლე მის გარეშე, მენატრებოდა, ვისწრა-ფოდი მისკენ; ხოლო, როცა მივდიოდი და ისევ ურთიერთწყენინება იწყებოდა, გაქცევა მი-დოდა.

ამაზე იმიტომ ვწერ, რომ, როცა ახლა დაწვ-რილებით ვიხსენებ წარსულს, ვრწმუნდები, ჩვენი ურთიერთობის ეს მხარე უდიდეს როლს თამაშობდა. ეს იყო მიზეზი მაიაკოვსკის ავად-მყოფური და ნერვიული დამოკიდებულებისა ჩემდამი; ეს იყო მიზეზი ჩემი უწყმანისა და მერყეობისა იანშინთან გაშორებისა და მაიაკოვს-კისთან ერთად ცხოვრების საკითხშიც.

საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, რომ უნდა გადავეწვიოთ და ამომერჩია. მეტი სიყრუე აღარ შემეძლო. ახლაც ვერ ამიხსნია, რატომ მეძნელებოდა იან-შინთან გაშორება.

მაგრამ არა ქმრის დაკარგვის შიშის გამო. მაშინ მეტად განსხვავებული ცხოვრებით ვცხო-ვრობდით.

ძალზე ადრე დავქორწინდი (17 წლისა ვიყა-ვი). კარგი, ამხანაგური ურთიერთობა გვქონდა, თუმცა მეტი არაფერი. იანშინი, როგორც გო-გონას ისე შეპყრობოდა. ჩემი არც ცხოვრება აინტერესებდა, არც სამსახური. არც მე ვცდა-ლობდი მის ცხოვრებასა და ფიქრებში ჩაწვდო-მას. მაიაკოვსკისთან კი უველაფერი სხვანაირი გახლდათ. ეს იყო ნამდვილი, სერიოზული ურ-თიერთობა. ვგრძნობდი, რომ ვაინტერესებდი. ბევრს ცდილობდა დაშხმარებოდა, გარდავექმე-ნი, ადამიანი გავეხადე.

მე კი, მიუხედავად 22 წლის ასაკისა, ძალიან დავხარბდი. მსურდა მისი აზრების გაგება, მა-ინტერესებდა და მალეღვებდა მისი საქმეები, სამუშაო და ა. შ. თუმცა მეშინოდა მისი ხა-სიათისა, მისი მძიმე წუთების, მისი დესპოტიზ-მისა ჩემს მიმართ.

აქ კი — 30 წლის დასაწყისში — მაიაკოვს-კიმ მოითხოვა, იანშინს გავშორებოდი, მისი ცოლი გავმხდარიყავი და თეატრი მიმეტოვებო-ნა.

მე ვაჭიანურებდი ამის გადაწყვეტას. ვუთხა-რი, რომ გავხდებოდი მისი ცოლი, მაგრამ ჩერ-ჩერობით არა.

მან შეითხა:
— მაგრამ ეს მაინც მოხდება? შემეძლია

დაგიჩერო? შემეძლია ვირწმუნო და ვაკეთო უველაფერი, რაც ამისათვისაა საჭირო?

მე ვუპასუხე:
— დიახ, ირწმუნე და აკეთე!
მას შემდეგ, ეს ფორმულა, „ირწმუნე და აკეთე“ ჩვენი პაროლი გახდა.

უველთვის ხაზოგადობაში (ჩაღმსწერი) შეხ-ვედრისას, თუკი უჭირდა, შეკითხვობოდა: „ვირ-წმუნო და ვაკეთო?“ და დამაკმაყოფილებელი პასუხის მიღებისას წყნარდებოდა.

„ირწმუნე და აკეთე“ რეალურად გამოიხატა იმაში, რომ იგი ჩაეწერა ბინის მიღებაზე მწე-რალთა სახლში, სამხატვრო თეატრის პირდაპირ. გადაწყდა, რომ იქ გადავიდოდით.

რა თქმა უნდა, უაზრობა იყო — დავვეცადა ბინისათვის და ამისდა მიხედვით გადავეწვიოთ. ერთად ვყოფილიყავით თუ არა; მაგრამ მე მი-დოდა დრო მომეგო, რადგან მეშინოდა, და ვა-უოვნებდი იანშინთან გადამწუვებტ საუბარს, ხოლო მაიაკოვსკის ეს მაინც ამშვიდებდა.

დარწმუნებული ვარ, რომ მაიაკოვსკის ცუდი განწყობილებისა და ტრაგიკული სიკვდილის მიზეზს ჩვენს ურთიერთობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ჩვენი უსიამოვნებანი მხო-ლოდ ერთ-ერთი რგოლი გახლდათ მიზეზთა ჩაქვში, რომელიც ერთბაშად დაატუდა თავს.

უველაფერი არ ვიცი, შემეძლია მხოლოდ ვი-ვარაუდო და მივხვდე რადაცებს, იმასთან შე-პირისპირებით, რამაც განსაზღვრა მისი ცხოვ-რება მაშინ, 1930 წელს.

მგონია, რომ ეს წელი მაიაკოვსკისათვის შე-მოქმედებითი წარუმატებლობით დაიწყო.

მართალია, კარგი გამოუვიდა პოემა „მთელი ხმით“, მაგრამ ეს შესანიშნავი ნაწარმოები მა-შინ უცნობი იყო.

მაიაკოვსკი მძაფრად განიცდიდა თავის წარუ-მატებლობებს, გულგრილობას მისი შემოქმე-დებისადმი იმ წრეების მხრიდან, რომელთა აზ-რსაც იგი აფასებდა.

ძალზე წვალობდა ამის გამო, თუმცა არავის უტყუდებოდა.

მისი ფიზიკური მდგომარეობაც ძალზე ცუდი გახლდათ. როგორც ჩანს, გადაღლისაგან ხში-რად ემართებოდა ხან სამდლიანი, ხანაც ერთ-დლიანი ვრიპი.

უკვე მოგახსენეთ, მაიაკოვსკიზე მძიმედ იმო-ქმედა ამხანაგების ჩამოშორებამ.

მე მგონი, აშკარა შემოქმედებითი კრიზისი აქონდა, დროებითი კრიზისი, რომელმაც დამ-ღუპველად იმოქმედა მასზე. მერე კრიზისმა გაიარა, დაიწერა პოემა „მთელი ხმით“, მაგრამ ძალები უკვე ამოწურული იყო.

უკვე აღვნიშნე, რომ გამოფენაზე მწერლება არ მოვიდნენ. „აბანოს“ წარუმატებლობა ხა-მარცხვინოც კი არ იყო. კრიტიკა და ლიტერა-

ტურული წრები პიესის ჩვენდნახ გულგრილად შეხედნენ. მაიაკოვსკიმ იცოდა, როგორ ეპასუხა ლანძღვისათვის, გაბორტებული კრიტიკისათვის, სამარცხვინო ჩვენდნისათვის. უველაფერი ეს, მხოლოდ სიმხნევესა და აზარტს შესძენდა ბრძოლისათვის. მაგრამ სიჩუმემ და მისი შემოქმედებისადმი გულგრილობამ ცხოვრების რიტმიდან ამოაგდო.

იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ვარემოება: ლენინზე დაწერილი პოემისა და რევოლუციისათვის წლისთავისათვის გამოცემული პოემა „კარგია!“-ს ავტორს — მაიაკოვსკის, არ შეიძლება ხაში წლის შემდეგ არ ეგრძნო, რომ ქვეყანა პირველი ზუთწლედის გეგმის შესრულების ახალ, საპასუხისმგებლო, ძნელ გზაზე დგებოდა და იგი — რევოლუციის მოთავე, შკადავებელი და აგიტატორი — ვალდებული იყო მშვენიერი ხვალისდელი დღე დაენახებინა ხალხისათვის, რომელმაც ძნელი ღრე გადაიტანა.

უველაზე ადვილი იყო საბჭოთა აგიტატორისა და სოციალიზმისათვის მებრძოლის პოზიცია დაეთმო.

მაიაკოვსკიმ ეს არ გააკეთა.

კრიტიკოსების მრავალ მოწოდებას, უკან დაეხია — შემდეგი სტრიქონებით უპასუხა:

И мне бы
строчить
романы на вас, —
доходней оно
и прелестней.

Но я
себя
смирять,
становясь

На горло
собственной песне.

(სიმღერები, რომლებსაც არ გამოთქვამდა, გონებას უმძიმებდნენ. აგიტაციური ლექსები კი მოცლილი კრიტიკოსების მოთქმა-მოთქმას იწვევდა, რომ მაიაკოვსკი ამოიწურა).

და ბოლოს, РАПП-თან დაკავშირებულმა ეპიზოდმა ერთხელ კიდევ დაანახვა მაიაკოვსკის, რომ ლიტერატურული მოღვაწეობის ოცი წლისთავისათვის იგი არცერთმა მხარემ არ აღიარა. განსაკუთრებით კი ის აწუხებდა, რომ მთავრობის ორგანოებმა არანაირად არ აღნიშნეს მისი იუბილე.

ვთვლი, რომ ჩვენი ურთიერთობა მისთვის აღმოჩნდა ხავსი, რომელსაც ცდილობდა ჩახკიდებოდა.

ახლა შევეცდები დაწვრილებით გავიხსენო მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები, დაახლოებით 8 აპრილიდან.

დილა, მზიანი დღე. მე მივდივარ მაიაკოვსკისთან გენდრიკოვზე. მას მორიგი გრიპი აქვს

უკვე გამოჩანს მრთელების გზაზეა. მაგრამ ვადაწვევითა, ერთ-ორი დღე შინ იქდეს. ბინა სავსეა მზით. მაიაკოვსკი საუზმობს და თან შინამოსამსახურეს ეჩხუბება.

ძალი ბუღია საშინლად გახსარა ჩემმა დანავამ. საკუთარ თავზე მალლა წყება, მერე დივანზეც ახტა, ცდილობს ცხვარა ამილოკოს.

მაიაკოვსკი მეუბნება: — ხედავთ, ნოროქა, გაგვიხარდა თქვენი მოხვლა მე და ბუღიას.

მოდის ლევ გრინკურგი. მაიაკოვსკი მანქანა აძლევს და ხთხოვს მთელი რიგი დავალებების შესრულებას. ერთ-ერთი მათგანი: აძლევს ლუბიანკის ბინის გასაღებს. თხოვს, აიღოს 2500 მანეთი და მწერალთა ბინის გადასახადში შეიტანოს 500 მან. მოაქვთ წერილი ლილია ბრიკოსაგან. წერილში ფოტოა: ლილიას ბოკვერი უჭირავს ხელში. მაიაკოვსკი სურათს ვაკჩევნებს. გრინკურგი ცუდად ხედავს და ამბობს: — ეს რა ლეკვი უჭირავს ლილიჩკას?

მაიაკოვსკი და მე დიდ ალტაცებაში მოვეყვართ იმას, რომ მან ლომი ლეკვად ჩათვალა, საშინლად ვხარხარებთ.

გრინკურგი დარცხვენილი მიდის. შევდივართ მაიაკოვსკის ოთახში, ფეხებით ავდივართ საწოლზე და ვჭდებით. შუაში ბუღია წის. იწვება განხილვა მომავალი ბინებისა ერთ ბაქანზე (ერთი ბრიკებს, მეორე — ჩვენ). იგი მშვენიერ ხასიათზეა.

მივდივარ თეატრში. მოვდივარ სადილზე იან-შინთან ერთად და ვიგვიანებ ერთი საათით.

არაჩვეულებრივი დაღვრემილობა. მაიაკოვსკი არაფერს მიირთმევს, ხმას არ იღებს (რალაც ეწუინა). უცებ თვალები ცრემლით ევსება და მეორე ოთახში გადის.

მახსოვს, იმ დღეებში სამივენი ერთად ვიყავით სადღაც. საბლში ვბრუნდებოდით. მაიაკოვსკიმ მანქანით მოგვიყვანა სახლამდის და ვეითხრა:

— ნოროქა, მიხაილ მიხაილოვიჩ, გთხოვთ არ დამტოვოთ, გამაცილეთ გენდრიკოვზე.

გავაცილეთ, შევედიოთ, ვისხედით 15 წუთი, ღვინოს ვსვამდით. იგი ჩვენთან ერთად სახეირნოდ წამოვიდა და ბუღიაც თან წამოიყვანა. იანშინს მაგრად ჩამოართვა ხელი და უთხრა:

— მიხაილ მიხაილოვიჩ, რომ იცოდეთ, როგორი მადლობელი ვარ თქვენი, ეხლა ჩემთან რომ შემოიარეთ; რომ იცოდეთ, რისგან გადამარჩინეთ.

რატომ იყო იმ დღეს ასეთ ხასიათზე, არ ვიცი. იმ დღეს ჩვენს შორის ცუდი არაფერი მომხდარა. იმ დღეებში კიდევ თეატრალურ კლუბში ვიყავით. თავისუფალი მაგიდები არ იყო და მაგიდას მივუხსნედით სამხატვრო თეატრის მსახიობებთან ერთად, რომლებიც გავაყანი კიდევ.

ეს სულ ნერვიულობდა. აღუშვებოდა: აქ იყო
ჩივი კაცი. რომელიც მდებარეობდა მათგან.

მათკონსკი იყო ამათ შესახებ და უცნაურ
სწინედი ეგვიანობა დაიწყო ზემო წარსულში
ქმ. სულ წასვლა უნდოდა. მე კი ვაგვებდი.
ესტრადაზე რაღაცას ასრულებდნენ. მერე მათ-
კონსკის სთხოვეს გამოსვლა გავიდა. მაგრამ
ესაღიხოდ. როდესაც უკვე ესტრადაზე იყო,
ლიტერატორმა გადამერჩინა უთხრა:

— ვლადიმირ ვლადიმეროვიჩი, წაგვიკითხო
სილო ნაწილი პოემისა „კარგია“.

მათკონსკი ძალზე გუხლიანად უპასუხა:

— გადამერჩინს სურს პოემისი ღრმა ცოდნა
გამომუშავნოს და მოხოს წაუკითხო „კარგია“
საგამ მე არ წავიკითხავ, რადგან ახლა ამან
ღრო არ არის.

მან წაიკითხა შენაგალი პოემისა „მოცილი
ხით“. წაიკითხა არაჩვეულებრივად მოაგონებში.
ამან ხაოცარი მოახედალენა მოახდინა.

ესე გააოგნა და დათრგუნა ვეღლა თავისი ტა-
ლანტითა და ტემერამენტით, რომ მას შეეძღვა
საც კითხვა დაამთავრა. რამდენიმე წამი გაგრა-
ჩედა ხიჩუმე.

ობივატელებში მამინ განმტკიცებულნი იყო
შეზღუდულები მათკონსკისზე, როგორც ხულიგან-
ზე და სითქმის არამზადაზე ქალებთან ურთიერ-
ობაში.

მახსოვს, როცა პირველ ბანებში ვხვდებოდი,
ბერძენი „კეთილისმზურველი“ მარწმუნებდა, რომ
ესე ცუდი ადამიანია, უხეში, ცინიკი და ა. შ.

რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ არის ხარ-
ბალი.

შეგავსი დამოკიდებულება ქალისადმი არსად
შემხვედრია და შემომჩნევია. ეს თავს იჩენდა
მის ურთიერობაში ღილია ბრიკთან და ჩემ-
თან. არ შეშინია ვთქვა, რომ მათკონსკი რომან-
ტიკოსი იყო. ეს არ ნიშნავს ამას, რომ იგი
თავისთვის ქმნიდა ქალის იდეალს და თავის გა-
მონაგონს ეტრფოდა.

არა, იგი შეტად კარგად ამჩნევდა ვეღლა
ნაკლს, უცვარდა და იღვანდა ადამიანს იხედა,
როგორც სინამდევალეში იყო.

ეს რომანტიულობა არასოდეს გადადიოდა ხენ-
ტიმენტალობაში.

მათკონსკი არასდროს მიშვებდა ისე, რომ
რამე ნივთი არ დამეტოვებინა. როგორც იგი
ამბობდა „გირაოდ“: ბეჭედი, ხელთათმანა ან
ცხვირსახოცი.

ერთხელ მოხუცობა უელხახვევი მარტკა და ორ
სამკუთხედად გაჭრა.

ერთი მათგანი ეოველთვის თან უნდა შეტა-
რებინა, მეორე კი, ლუბიანკის ოთახში ლამაზს
გადააფარა და მოიხრა, როცა სახლში ვრჩებო-
დამაბ ვუუფრებ და თავს უკეთ ვგრძობ: მეტ
ვენება, რომ შენი ნაწილი ჩემთანაა.

ერთხელ ხელმწიფით კარტს ვთამაშობდით და
ნაილავი წავაგე. დვინის ბოკლები მოითხოვა
ჩემგან. დუვინი ბოკალი ვაჩუქე. ისინი მუხუფ-
ნი აღმოჩნდნენ და ადვილად ამსხვერვლდნენ.
მალე მხოლოდ ორილა დარჩა. მათკონსკი მე-
ტად ცრუმორწმუნედ განიცდიდა ამან ამბო-
და. თითქოს გადარჩენილი ორი ბოკალი წვენი
ურთიერთობის სიმბოლო იყო. *მეტი ვინმე
გვეტყვიან*
თი მოგვანი მარც დაიმსხვერვლდა *მეტი ვინმე
გვეტყვიან*
დავშორდებოდით.

ეოველთვის თვითონ რეცხავდა მათ და ურთი-
ლად ამშრალებდა.

ერთ ხალხის ლუბიანკაზე ვიხვდილი. მათ-
კონსკი მოიხრა:

— ნორჩკა, შენ იცი რა ხარ ჩემთვის. მინ-
დოდა ლექსი მომეძღვნა ამის გამო. მაგრამ ასე
ხევრი მაქვს დაწერილი სიუვარულზე, რომ უკვე
ამეღლაფერო ნათქვამია.

უუპასუხე, რომ ვერ გამოვიდა, როგორ შეიძ-
ლება ერთხელ და ხამულამოდ თქვას ვეღლა-
ფერი და ვეღლახათვის. მე წავიხია, ვეღლა ადა-
მონისადმი უნდა იყოს ახლებური დამოკიდე-
ბულება, თუკი ეს სიუვარულია. და, სხვა სიტუ-
ციშიც ვუთხარი.

მან დაიწყო თავისი ვეღლა სახიუვარულთ
ლექსის წაკითხვა.

მერე უკვბ განაცხადა:

— ხუდუნებში მათკონსკი ამოიწურა, მათ-
კონსკი მხოლოდ აგიტატორია, მხოლოდ რეკ-
ლამებს აკეოებს... მე რომ შევიძლია ვწერო
სიუვარულზე, ქალზე. მე მინდა ასე ვწერო. მივირს
არ ვწერო ამის შესახებ; მაგრამ ქერ ამის ღრო
არ არის. ქერჭრობით მოაფარია ლურსმნები,
ქანჩები. მალე კი სიუვარულზე წერა იქნება
საჭირო. ესენინი თავისებური ტალანტია. მათ-
რამ ახლა ესენინობა არ გვვირდება და არ მინ-
და მას დავემსგავსო!

იქვე წამიკითხა ნაწევრები პოემიდან „მოცილი
ხით“ აქამდე მხოლოდ პოემის შესავალი მქო-
ნდა მოხმენილი. შემდეგი როდის დაიწერა არც
კი ვიყოლი.

Любит, не любит? Я руки ломаю
и пыльцу
разбрасываю разломавши.

ეს წამიკითხა და მოიხრა:

— ეს ნორკიანაზეა დაწერილი.
როცა თხულებათა კრებული ვჩაბე, რომე-
ლად ქერ კიდევ არ იყიდებოდა, გამოგნა ამან,
რომ პოემა „მოცილი ხით“ ღილია ბრიკს ეძღ-
ვნებოდა.

არადა მასში უამრავი ფრაზია, რომლებიც აშ-
კარად მე შეებდა.

უპირველეს ყოვლისა ნაწევრია, რომელიც
მათკონსკის ხიკადილისშემდგომ წერილში იყო
მოთავსებული:

Как говорят инцидент исперчен
любовная лодка разбилась о быт
С тобой мы в расчете
И не к чему перечень
взаимных болей бед и обид, —

არ შეიძლება ლილია ბრიკს ეძღვნებოდეს.
ახეთი სიუვარული ბრიკისადმი უკვე შორეული
წარსული იყო.

და ფრაზა:

Уже второй
должно быть ты легла
А может быть
и у тебя такое
Я не спешу
и молниями телеграмм
мне незачем
тебя
будить и беспокоить.

საეჭვოა, მაიაკოვსკის ემკითხავა, დაწვა თუ
არა ლილია ბრიკი, რადგან ერთ ბინაში ცხოვ-
რობდნენ. და თანაც, „ელვა დეკემბი“ ჩვენი
ურთიერთობის მნიშვნელოვანი ეპიზოდი გახლ-
დათ.

ბშირად ვთხოვდი არ ენერვიულა, დაწყნარე-
ბულიყო, გონიერებისათვის მოეხმო.

პოემაში ამაზეც მიპასუხა:

Надеюсь верую вовеки
не придет
Ко мне позорное благоразумие.

თეატრში ბევრი საქმე მქონდა. პიესის რეჟე-
ტიციას ვავდიოდით. ვემზადებოდით, რათა იგი
ნემიროვიჩ-დანჩენკოსათვის გვეჩვენებინა. უვე-
ლანი ძალზე ვღელავდით, გაძლიერებული ტემ-
პით ვმუშაობდით არახარეპტიციო ხაათებშიც.
მაიაკოვსკის იშვიათად ვნახულობდი, შიგადა-
შიგ. მეტად გატაცებული ვიყავი როლით, რო-
მელიც ცუდად გამომდიოდა. ვღელავდი, მხო-
ლოდ ამაზე ვფიქრობდი. მაიაკოვსკი ნაწყენი
იყო, რომ ჩამოვშორდი. მოითხოვდა ჩემგან
თეატრიდან წამოსვლას, იანშინთან გაშორებას.

ამის გამო ძალიან მიჭირდა მასთან უოფნა.
შეხვედრებს ვაფურბოდი. ერთხელ ვუთხარი,
რომ რეჟეტიცია მქონდა, მე კი ვილაყასთან
ერთად კინოში წავედი.

გაიგო ამის შესახებ: დარეკა თეატრში და
უთხრეს, რომ იქ არ ვიყავი. მაშინ, ჩემს საბლ-
თან მოვიდა გვიან ღამე და ფანჯრებს ქვეშით
დახეირობდა. დავუძახე. ამოვიდა, იქდა მოღუ-
შული, ხმას არ იღებდა.

მეორე დღეს ქმართან ერთად ცირკში დამა-
ტიყა: ღამით რეჟეტიცია იყო მინი პანტომი-
მისა 1906 წლის შესახებ. მთელი დღე ერთმა-
ნეთი ვერ ვნახეთ და ურთიერთობა ვერ გავარ-

კვიეთ. როდესაც ცირკში მივედი, იქ დაგვი-
და. ლოყაში ვისხედით. მაიაკოვსკი თავს ცუდად
გრძნობდა. ფცებ წამოხტა და იანშინს უთხრა:

— მიხილ მიხილოვიჩ, ნურას უნდა მოვე-
ლაპარაკო... თუ ნებან მოვცუვებთ, მანქანიც ს-
ვისეირნებთ.

იანშინმა (ჩემდა გასაკვირვად) ეს უბრალოდ
მიიღო და რეჟეტიციის საწინააღმდეგე დარჩა, ჩვენ
კი ლუბიანკაზე წავედით.

იქ მან მითხრა, რომ ვერ იტანს სიცრულს,
არასოდეს მაპატიებს ამას; რომ ჩვენ შორის
უველაფერი დამთავრებულია.

დამიბრუნა ბექედი, ცხვირსახოცი. მითხრა,
რომ დილით ერთი ბოკალი დაიმსხვრა. ესე იგი,
ახეა ხაჭირო. მეორე ბოკალი კედელს მიანარცხა.
იქვე, უამრავი უკმეხი სიტყვა მომახალა. მე ავ-
ტირდი. მომიხლოვდა და შევირვიდით.

როცა უკან წამოვედით ცირკისაკენ, აღმოჩ-
ნდა, რომ თენდებოდა. მაშინდა გაგვახსენდა
იანშინი, რომელიც ცირკში დავტოვეთ.

აღელვებული მივედი ლოყასთან, მაგრამ საბე-
დნიეროდ იანშინს მშვიდად ეძინა. თავი ლოყის
ბარიერზე ედო. როცა გავადგიძდეთ, არ შეუნშ-
ნავს, რომ ასე დიდხანს დავიგვიანეთ.

ცირკიდან დილით ვბრუნდებოდით. უკვე საე-
ხებით გათენებული იყო და საუცხოო, მზი-
არულ ხანიათზე ვიყავით. მაგრამ ეს შერიგება
ხანგრძლივი არ აღმოჩნდა: მეორე დღესვე გან-
მეორდა ჩხუბი, წამება, წყენა.

და, რათა უველაფერი ეს თავიდან ამეცილე-
ბინა, ვთხოვე წახულიყო. ვინაიდან ისედაც ახ-
რებდა იაღტაში გამგზავრებას. ვთხოვე წახუ-
ლიყო მანამ, ვიდრე სპექტაკლ „ჩვენი ახალგაზ-
რდობის“ პრემიერა არ ჩატარდებოდა, რომელ-
შიც ვმონაწილეობდი. ვეუბნებოდი, რომ ცოტა
ხნით დავშორდებოდით, ერთმანეთისაგან დავის-
ვენებდით და მეორე გადავწყვეტდით ჩვენს მი-
მავალ ბედს.

ბოლო დროს, კინოსთან დაკავშირებული ტუფ-
ილის შემდეგ, არც ერთი წუთით არ შენდობო-
და. განუწყვეტლივ რეკავდა თეატრში, მამოწ-
მებდა, თუ რას ვაკეთებდი, მელოდა თეატრთან
და გარეშე პირების თანდასწრებითაც ვერ მა-
ლაფდა თავის განწყობილებას.

ბშირად მირეკავდა საბლშიც. საათობით ეს-
უბრობდით ბოლმე. ტელეფონი საერთო ითაბ-
ში იყო და მხოლოდ „ნოს“ და „არას“ თქმა
შემეიღო.

ბცვას და არეულად ლაპარაკობდა. უსამარ-
თლოდ მსაყვედურობდა. ეკვიანობდა.

ქნობის ნათესავებს ეს უცნაურად ეჩვენებო-
დათ, აღმაყურად მიუყრებდნენ, და იანშინმა,
რომელიც აქამდე შედარებით მშვიდად ებუ-
ბოდა ჩვენს შეხვედრებს, დაიწყო ნერვიული-
ბა, უკმაყოფილების გამოთქმა. უველა მზრიდან

გათავებელი უსიამოვნებისა და საუვედურების ატმოსფეროში ვცხოვრობდი.

ამ დროს ჩვენ შორის გათამაშდა მეტად მძაფრი სცენა: წვრილმანით დაიწყო. ეხლა დაწვრილებით ვერ ვიხსენებ. იგი არ იყო მართალი ჩემს მიმართ, ძალიან მაწყენინა. ორივე მეტად აღელვებულები ვიყავით და თავს ვერ ვიმორჩილებდით.

ვიგრძენი, რომ ჩვენი ურთიერთობა ზღვარს მიუახლოვდა. ვთხოვე, თავი დაენებებინა ჩემთვის და ამის შემდეგ მტრებად დავშორდი ერთმანეთს.

ეს მოხდა 11 აპრილს.

12 აპრილს დილის სპექტაკლი მქონდა. ანტირაქტზე ტელეფონთან დამიძახეს. ლაპარაკობს მიაკოვსკი. აღელვებული მატყობინებს, რომ წის სახლში ლუბიანკაზე და ძალზე ცუდად ვგრძნობს თავს... და არა მხოლოდ ამ წუთშია ცუდად, არამედ, ხანძრად ცხოვრებაში...

მხოლოდ მე შემიძლია ვუთხელო, ამბობს იგი. აი, მაგიდას უწის და გარს ახვევია საგნები — სამელნე, ლამპა, ფანჯარი, წიგნები და სხვა.

ვიქნები მე — სამელნეც საჭირო იქნება, ლამპაც, წიგნებიც...

არ ვიქნები და — უკლაფერი გაქრება, უკლაფერი გამოუსადეგარი გახდება.

ვამშვიდდები, ვეუბნებოდი, რომ არც მე შემიძლია მის გარეშე ცხოვრება, რომ უნდა შევხვედეთ ერთმანეთს, მინდა მისი ნახვა, რომ სპექტაკლის შემდეგ მივიდოდი.

მიაკოვსკიმ მითხრა:

— ხო, მართლა, ხორა, მთავრობისადმი მიწერილ წერილში მოგიხსენიეთ, რადგან ჩემი ოჯახის წევრად გთვლით. წინააღმდეგი ხომ არა ხართ ამისა?

მაშინ ვერაფერი გავიგე, ვინაიდან მანამდე არაფერი უთქვამს ჩემთვის სვითმკვლელობის შესახებ.

და კითხვაზე, ოჯახში ჩემს ჩარიცხვას რან დაკავშირებით, ვუპასუხე: — ღმერთო ჩემო, ვლადიმირ ვლადიმოვიჩ, არ მესმის, რას მეუბნებით. მომიხსენიეთ, სადაც გენებოთ!

სპექტაკლის შემდეგ მასთან მივედი.

აშკარა იყო, მოსალაპარაკებლად ემზადებოდა. საუბრის გეგმაც კი შეედგინა და უკლაფერი მითხრა, რაც გეგმაში ჩაენიშნა. სამწუხაროდ, დაწვრილებით ვერ ვიხსენებ ამ საუბარს, ხოლო გეგმის ფურცელი ეხლა დილია ბრიკთან ინახება.

სავსებით შესაძლებელია, ამ დოკუმენტით მთელი საუბრის აღდგენა შევძლო.

შერე ორივე დავცხროთ.

მიაკოვსკი ძალზე აღერხიანი გახდა. ვთხოვე, არ შეწუხებულყო ჩემს გამო, ვუთხარი, რომ

მისი ცოლი გავხდებოდი. მაშინ ეს მტკიცედ გადაწყვიტე. მაგრამ საჭიროა — ვუთხარი მე — მოვიფიქროთ, ტაქტიკადა როგორ მოვექცეთ იანშინს.

მაშინვე ვთხოვე, სიტყვა მოეცა, რომ ექიმთან წავიდოდა, რადგან იმ დღეებში აშკარად ავადმყოფურად გამოიყურებოდა. ვთხოვე, ორი დღით მაინც წახულიყო სადმე დახსენებულ სახლში.

მახსოვს, აღვნიშნე ეს ორი დღე მის უბის წიგნაკში. ეს დღეები 18 და 14 აპრილი იყო.

მიაკოვსკი თან მთანხმდებოდა, თან არა. ძალზე ნაწი იყო, მხიარულიც კი.

მანქანამ გამოუარა, რათა გენდრიკოვზე წაეყვანა. მეც სახლში წავედი ხანადილოდ: მან წამიყვანა.

გზაში თავს ამერიკული (ინგლისური) თამაშით ვიქცევდით, რომელიც მან მახწავლა: ვინც პირველი დაინახავდა წვეროხანს, უნდა ეთქვა — „წვერები“. ამ დროს, თვალი მოვკარი ზურვს ღვევ გრინკრუგისა, რომელიც თავისი სახლის კარებში შედიოდა.

მე ვთქვი:

— აი ლოვა მიღის.

მიაკოვსკი არ დამეთანხმა. მე ვუთხარი:

— კარგი, თუ ეს ლოვაა, მაშინ 18-ში და 14-ში დაიხვეწებ და ერთმანეთს არ შეგხვედებით.

იგი დამთანხმდა. მანქანა გავაჩერეთ და გიჟებით გავიქეცილ ლოვასკენ. ის აღმოჩნდა.

გრინკრუგი მეტისმეტად გაოცდა, რომ ასე აღელვებულებმა მივირბინეთ მასთან.

ჩემი სახლის კარებთან მიაკოვსკიმ მითხრა:

— კარგით. გაძლევთ სიტყვას, რომ ორი დღე არ გინახულვებთ, მაგრამ, რომ დაგირეკოთ ხომ შეიძლება?

— როგორც გენებოთ, — ვუპასუხე მე, — ისე კი, სჯობს არ დარეკოთ.

დამპირდა, რომ ექიმთან წავიდოდა და ამ ორ დღეს დაიხვეწებდა. საღამოს სახლში ვიყავი. დამირეკა. დიდხანს და ძალიან ტკბილად ვინახუბრეთ, მითხრა, რომ წერს, კარგ ხანიაოზეა და ახლა ესმის: ბევრ რამეში ცდებოდა და უკეთესიცაა თუ ორი დღით ერთმანეთს დავახვეწებთო...

13 აპრილს, დღისით ერთმანეთი არ გვინახავს. დარეკა სადილობისას და შემომთავაზა. 14-ში დილით დოღზე წავსულიყავით.

ვუთხარი, რომ დოღზე წავიდოდი იანშინთან და სამხატვრო თეატრის მსახიობებთან ერთად, რადგან ჩვენ უკვე მოლაპარაკებულები ვიყავით. მას კი ვთხოვე, როგორც შევთანხმდით, არ მოსულიყო და არ ვენახე.

შკიბნა, საღამოს რას ვაპირებდი. ვუთხარი, რომ კატაევთან ვიყავი დაპატიუებული, მაგრამ

არ წავიდოდეს: ხოლო რას დავამირებდი. ჭერ არ ვიცოდი.

საღამოს იანშინთან ერთად მაინც წავიდა კატა-
გეთან. მაიკოვსკი უკვე იქ დამხვდა. ძალზე დაღ-
ვრემილი და მოვრალი იყო. დაინახა თუ არა
მითხრა: — დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ იქ
ნებოდით!

გავბრაწდი, ჩემს კვალს რომ გამოჰყვა. იგი
კი იმაზე ბრაზობდა, რომ მოვატყუე და მივე-
დი. თავიდან მაგიდასთან ერთმანეთის გვერდით
ვისწედიო და სულ ურთიერთობას ვარკვევდი-
ძალზე სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდი.
რადგან ჩვენი კამათი დამსწრეთა დიდ ცნობის-
მოყვარეობას იწვევდა, ხალხი კი საკმაოდ ბევრი
იყო.

შახსოვს: კატაევი, მიხი ცოლი, იურა, ოლეშა,
ლიფანოვი, მხატვარი როსკინა, ჩვენინი, შარ-
კოვი.

იანშინი აშკარად გრძობდა ვეღაფერს და
ისიც უხამოვნებისათვის ეშინებოდა.

ჩვენ მიწერ-მოწერა წამოვიწყეთ მაიკოვსკის
უბის წიგნაკში. ბევრი ხაწუნები სიტყვა დაიწერა,
ბევრქერ შევუბრუნებეთ ერთმანეთს. ვილანძ-
ღებოდით: არაფრის გამო, ამოღე, უაზროდ.

მერე მაიკოვსკი სხვა ოთახში გავიდა. მაგი-
დას მიუტოლა და შემპანურის სმა განაგრძო.

მე გავიგე, გვერდით დავუქევი სავარძელში
და თავზე ხელი გადავუსვი. მან მითხრა:

— გაწიეთ თქვენი საძაგელი ფეხები.

მითხრა, რომ ახლა, ყველას თანდასწრებით,
ეტვის იანშინს ჩვენი ურთიერთობის შესახებ.
ძალზე უბეზოდ მომმართავდა. მღანძღავდა:
მაგრამ ამქერად მისმა უბეზობამ და თანძღვამ
ალარ დამამცირა და გამაბრაზა: მივხვდი, რომ
ჩემს წინაშე იყო უბედური სრულიად ავადმ-
ყოფი ადამიანი, რომელსაც ახლავდნენ შევქმნილ
საშინელი სიხუფელის ჩაღენა, მოვხვდი. რომ
მაიკოვსკის შევქმნილ პეტებს უაზრო ხანდალი,
უღირსად დაეჭირა თავი, სასაცილო გამხდარყო-
მისთვის შემთხვევით საზოგადოებაში.

რა თქმა უნდა, შემეშინდა კიდევ (იანშინის
წინაშე, და აქ შეკრებოლი ადამიანების წინა-
შეც), შემეშინდა იმ საცოდავი, დამამცირებელი
როლისა, რომელშიც მაიკოვსკი ჩამაყენებდა,
თუკი ხაჭაროდ ვ მოაყუბავდა იანშინის წინაშე
ჩვენს ურთიერთობას.

მაგრამ, ვიმეორებ, თუკი საღამოს დახაწვისა-
დღეობით ვიყავი მაიკოვსკის საქციელით
უბეზოდ ვექცეოდი და ვცდილობდი გამეღამებო
კიდევ. — ახლა, რაც უფრო საშინელ, იურა
ნელ შეუბრუნებოდას შევხვდებოდა, მათ უფრო
ძვირფასი ხდებოდა ჩემთვის საწაღებ და ვით-
ვარულმა შემოიქრა მის მიმართ.

ვცდილობდი დამეყოლიებინა ვევედრებოდა
დამშვიდებულყოფი ვეფერიბოდა. ვეფერიბოდა.

ხოლო, მაგრამ აღერსი აბელებდა მას, ამდენ-
ვარებდა და აშმაკებდა.

ჩვევლვერი ამოიღო, განშიცხვდა, რომ თავს
მოიკლავდა. შემუქრებოდა, რომ მეც მომკლავ-
და, დულა მომიწვირა, მახვდა, რომ კიდევ
უფრო ვამერაიულებდი.



ერისნული

ვველა მე გამომეცხვი მომწვირა
წინაქერში მაიკოვსკიმ უყვებ ძალზე მშვე-
დად შემომხვდა და მითხრა:

— ნორკოქა, თავზე ხელი გადამიხვიეთ, თქვეს,
მაინც ძალიან, ძალიან კარგი ხართ...

როდესაც ჭერ კიდევ მაგიდასთან ვისწედიო და
ურთიერთობას ვარკვევდიო, მაიკოვსკის აღ-
მობდა:

— ღმერთო ჩემო!

მე ვუთხრა:

— დაუქვოვებელია, ქვეყანა გადატრიალდა!
მაიკოვსკი ღმერთს უნმობს!.. ნუთუ გწამთ!
მან მიმასუხა:

— ებ, ახლა მე თვითონ არ ვიცი, რისი მწამს..

ეს უჩაზა სიტყვა-სიტყვით ჩავიწერე, ხოლო
ტონით, რომლითაც იგი ითქვა, მივხვდი, რომ
მაიკოვსკიმ არა მარტო ჩვენი გაქცეუბული
ურთიერთობის გამო გამობატა გულისტკივილი.

აქ გაყოლებით შეტი იგრძნობოდა: დაეჭვმა
საკუთარ ლიტერატურულ ძალეში იმ კერძ-
დისათვის, გულგრილობა, რომლითაც შეხვდ-
ნენ მის იუზაულეს, და ყველა სიძნელე, რომელ-
საც მაიკოვსკი ცნობების გზაზე შეხვდა, თუ-
ცა, ამის შესახებ მერე დავწერ.

მაშლში ფეხით მივდიოდაო, იგი მიგვაყო-
ლებდა.

ისევ მოიღუშა, ისევ შემუქრებოდა. ამბობდა
რომ ეხლავე ვევედრებოდა ერთოდა იანშინს.

მაიკოვსკისთან ერთად მივდიოდი. იანშინი,
შგონი, ჩვენიანს მიმყვებოდა, ჩვენ ხან უარ-
ვრებოდაო, ხან წინ გავრბოდიო, ლამის ის-
ტერიამ შემაქერო, მაიკოვსკიმ რამდენქერმე
მიმართა იანშინს:

— მიხილ მიხილოვინ!

მაგრამ კოხვანე: — რაშია ხაქმე?

ქანუბობდა:

— არა, მერე იკოს.

ვევედრებოდა არაფერი ეთქვა, ვიცრემლებო-
დი, მაიკოვსკიმ მითხრა, რომ სურდა მეორე
დილაზე ეტობე.

მეორე დღეს, თერთმეტის ნახევარზე, ნები-
როვით-დამჩენკოსათვის პიესის ჩვენება გვექონ-
და დანიშნული.

შევთანხმებით, რომ დილის 8 საათზე გამო-
მივდიოდა.

მერე, მაინც უთხრა იანშინს, რომ მეორე

დღეს აუცილებლად უნდა ელაპარაკა მასთან, და ერთმანეთს დაეშორდით.

ეს უკვე 14 აპრილი იყო.

დილით, ცხრის ნახევარზე, ტაქსით გამოვიარა, რადგან მის მძღოლს გამოსასვლელი დღე ჰქონდა. ძალზე ცუდად გამოიყურებოდა.

ნათელი, მზიანი. აპრილის მშვენიერი დღე იყო. ნამდვილი გაწაფბული იდგა.

— რა კარგია, — ვუთხარი მე, — შეხედე, რა მზეა. ნუთუ ისევ გუშინდელი ხუთღელური აზრები გაწუხებს. მოდი დავივიწყოთ უველაფერი... მძღოლევ სიტყვას?

მიპასუხა:

— ვერ ვამჩნევ მზეს, ახლა მაგისტვის არ შეკალია სისულელეებს კი თავი გავანებებ. მივბვი, რომ ვერ ვიპოვებ ამას დედამისის ხატით. სხვას კი რა ხელი აქვს ჩემთან, თუმცა, უველაფერზე სახლში მოვილაპარაკებთ.

ვუთხარი, რომ თერთმეტის ნახევარზე ნემი-როვირ-დანჩენკოსთან ძალზე სერიოზული რეპეტიცია მქონდა და წუთსაც ვერ დავაგვიანებდი.

მივედიტ ლუბიანკაზე, ტაქსი გააჩერა.

ძალიან გაბრაზდა, ისევ რომ ვჩქარობდი. დაიწყო ნერვიულობა, მითხრა:

— ასეც ეს თეატრი მძულს, დაანებე თავი, ეშმაკსაც წაუღიას ასე აღარ შემიძლია, არ გაგიშვებ რეპეტიციაზე და არც ამ ოთახიდან გაგიშვებ! არასოდეს!


კარები გადაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. ისე აღელვებული იყო, პალტოს ვამდა და ქუდის მოხდაც კი დავიწყდა.

დივანზე ვიჯექი, იქვე დაჯდა იატაკზე და ატირდა. პალტო გავხადე და ქუდი მოვხადე. თავზე ხელს ვუსვამდი, უველანაირად ვცდილობდი და მეწყნარებინა. კარებზე დააკაკუნეს. წიგნების დამტარებელმა წიგნები მოუტანა (ლენინის თხზულებათა კრებული). მეწიგნემ შეამჩნია რა ცუდ დროს მოვიდა, წიგნები ტახტზე დაუარა და გაიქცა.

მაიაკოვსკიმ ჩქარი ხიარული დაიწყო ოთახში. თითქმის დარბოდა. მოითხოვდა, რომ იმ წუთიდანვე, იანშინისათვის უველაფერის ახსნის გარეშე, დავრჩენილიყავი მასთან. ბინის ცლა უაზრობაა, ამბობდა იგი. მე ხაჩქაროდ უნდა მივატოვო თეატრი. დღეს რეპეტიციაზე არ უნდა წავიდე. თვითონ შეივლის თეატრში და ეტყვის, რომ მე მეტს აღარ მივაღ. თეატრი ჩემს ვარეშე არ დაიღუპება და, იანშინსაც თვითონ აუხსნის უველაფერს, მე კი მასთან აღარ გამიშვებ.

ის ეხლა ჩამკეტავს ამ ოთახში, ოვითონ კი თეატრში წავა. მერე იუილის უველაფერს, რაც აქ მჭირდება. მექნება უველაფერი, რაც სახლში მქონდა. არ უნდა შეშინოდეს თეატრიდან გამოსვლის, ისე მოხეკცევა, რომ თეატრს დამა-

ვიწყებს. მთელი ჩემი ცხოვრება, დაწყებული უველაზე სერიოზული დეტალებით და დამთავრებული წინდის ნაკეციოთ. მისი განუწყვეტელი ყურადღების საგანი იქნება.

ნუ შემაშინებს განსხვავება ასაკს შორის! მას შეუძლია ახალგაზრდა, მხიარული იყოს ესმის, რომ, რაც გუშინ მოხდა, საწინდრობა იყო, მაგრამ ეს არასოდეს განმეორდება!  წიგნები უველურად, უხამსად დამეჩვენებოდა დილით.

გუშინ იგი აუტანელი და უხეში იყო და ამის გამო დღეს საკუთარი თავი ეწიწლება, მაგრამ ამას აღარ გავიხსენებთ. ვითომ არაფერიც არ მოხდა. მან უკვე დაბია უბის წიგნაკის ის ფურცლები, რომლებიც გუშინდელ მიწერ-მოწერას შეიცავდნენ და სავსე იყო ურთიერ სალანდლავი სიტყვებით.

ვუპასუხე, რომ მიყვარს იგი, მასთან ვიქნები. მაგრამ არ შემიძლია დავრჩე ისე, რომ იანშინს არაფერი ვუთხრა. ვიცო, რომ იანშინს ვუყვარვარ და ვერ გადაიტანს ჩემს ასე წახვლას; როგორ წავიდე ისე, რომ არაფერი ვუთხრა და სხვასთან როგორ დავრჩე. მიყვარს როგორც ადამიანი, პატივს ვცემ ქმარს და არ შემიძლია ასე მოვეპყრო.

თეატრსაც არ მივატოვებ და ვერც ვერასოდეს მივატოვებდი. ნუთუ არ ესმის, რომ, თუკი თეატრიდან წავალ, უარს ვიტყვი სამუშაოზე. ჩემს ცხოვრებაში ისეთი სიცარიელე გაჩნდება, რომლის ამოვსებაც შეუძლებელი იქნება. ეს უდიდეს სიძნელეებს მოუტანს პირველ რიგში მას, როცა ცხოვრებაში სამუშაოს შეიცნობ, თანაც ისეთ საინტერესო სამუშაოს, როგორც სამხატვრო თეატრშია. არ შეიძლება მხოლოდ ცოლი იყო შენი ქმრისა, თუნდაც ისეთი დიდებული ადამიანისა, როგორც მაიაკოვსკია.

ასე რომ, რეპეტიციაზე აუცილებლად უნდა წავიდე და წავალ კიდევ. მერე სახლში იანშინს უველაფერს ვეტყვი და საღამოს მასთან გადავალ საბოლოოდ.

მაიაკოვსკი არ შეთანხმებოდა. დაყინებით მოითხოვდა, უველაფერი ეხლავე გადაწყვეტილიყო, თუ არა და, აღარაფერი არ იყო საჭირო. ერთხელ კიდევ ვუპასუხე, რომ ასე მოქცევა არ შემიძლო.

შკობხა:

- ესე იგი წახვალ რეპეტიციაზე?
- დიახ, წავალ.
- იანშინსაც ნახავ?
- დიახ.
- მაშ, ასე! მაშინ წადი, წადი ახლავე, ამ წუთში.
- ვუთხარი, რომ რეპეტიციაზე ვერ აღრე იყო. ამ წუთში წავიდოდი.
- არა, არა, ახლავე წადი.

ვკითხე...

— გნახავ დღეს?

— არ ვიცი.

— ხუთზე ხომ მაინც დამირეკავ?

— კი, კი, კი.

ოთახში წრიალებდა, ხაწერ მაგიდასთან მიიბინა. ქალაქის შრიალი გავიგონე, მაგრამ არაფერი დამინახავს, რადგან ხაწერ მაგიდას ეფარებოდა.

ეხლა ასე მგონია, რომ კალენდრიდან 18 და 14 რიცხვები ამოხია.

შერე უქრა გამოალო, მიაჭახუნა და ისევ ოთახში წრიალებდა.

ვუთხარი:

— ნუთუ არც გამაცილებთ?

მომიახლოვდა, მაკოცა და ხრულიად მშვიდად და აღერსიანად მითხრა:

— არა, გოგონი, წადი მარტო... ჩემზე ნუ იდარდებ...

გამიღიმა და დაამატა:

— დაგირეკავ ტაქსის ფული გაქვს?

— არა.

20 მანეთი მომცა.

— მაშ დამირეკავ?

— კი, კი.

გამოვედი. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი ხადარბაზოს კარებისაკენ.

გაისმა სროლის ხმა. მუხლები მომეკვეთა და კორიდორის კედლებს მივაწყდი: ვერ ვაიძულე ჩემი თავი შევხულიყავი.

მომეჩვენა, რომ დიდი დრო გავიდა, ვიდრე შესვლას გავბედავდი. მაგრამ, როგორც ჩანს, თვალის დახამბამებაში შევედი. ოთახში ჭერ კიდევ იდგა გასროლის ბოლი.

ხელებგაშლილი მაიაკოვსკი ხალიჩაზე იწვა. მკერდზე პაწაწინა სისხლის ლაქა ემჩნეოდა.

მახსოვს, მივვარდი და დაუხრულეხლად ვამეორებდი:

— ეს რა ჩაიდინეთ? ეს რა ჩაიდინეთ?

თვალეები ღია მქონდა, პირდაპირ შემომყურებდა და თავის წამოწევის ცდილობდა.

მომეჩვენა, რომ რალაციის თქმა უნდოდა, მაგრამ თვალეები უკვე უხიციოებო იყო.

ხაზე, კიხერი წითელი მქონდა, ჩვეულებრივზე უფრო წითელი.

შერე თავი გადაუვარდა და ნელ-ნელა გაფითრდა.

ხალხი შეგროვდა. ვილაც რეკავდა, ვილაც მეუბნებოდა:

— სასწრაფო დახმარების კარეტის შესახვედრად გაიქეციო!

არაფრის მოსაზრება არ შემეძლო. ეზოში გავვარდი, შემოსული კარეტის საფეხურზე ავბტი, ისევ კიბეზე ამოვირბინე.

მაგრამ კიბეზე ვილაცამ მითხრა:

— გვიანაა, მოკვდა.

მე კარგად მესმოდა, თუ რამდენი პასუხისმგებლობა შეკისრებოდა, როგორც ადამიანს, რომელიც მაიაკოვსკის სიცოცხლის ბოლო წელს იცნობდა და მის ცხოვრებაში შეიჭრა. ხშირად ვცდილობდი გამეხსენებინა ჩვენი შეხვედრები, მისი აზრები, სიტყვები, ქცევა.

მაგრამ, 14 აპრილს, [ქვემოთ] ძალზე მოულოდნელი იყო [ქვემოთ] [ქვემოთ] სრულ სახოწარკვეთილებაში ჩამავდო და გამაშმაგა.

ეს სასოწარკვეთილება უაზრო გულგრილობითა და მეხსიერების გამოთიშვებით დამთავრდა.

ძალისძალით ვაიძულედი თავს, გამეხსენებინა მისი სახე, სიარული, შემთხვევები, რომლებშიც მონაწილეობდა, — და ვერ შევძელი, სრული სიცარიელე იყო.

მხოლოდ ახლა, 8 წლის შემდეგ, თუმცა ნაწევრ-ნაწევრად, მაგრამ მაინც, შევძელი, აღმედგინა ეს წელიწადი — 1929 წლის მაისიდან 1930 წლის 14 აპრილის ჩათვლით.

ეს წელიწადი უველაზე უბედური და უველაზე ბედნიერია ჩემს ცხოვრებაში.

მინდოდა, ამ შენიშვნების პირველ ნაწილში აღმედგინა და გამეხსენებინა იმ პოლონსკიას გრძნობები, როგორიც მაშინ ვიყავი, გრძნობები იმ 21 წლის გოგონასი, რომელიც ცხოვრებასა და ხალხს არ იცნობდა და რომელსაც უდიდესი ბედნიერება ერგო წილად, ახლოს გაეცნო მშვენიერი, დიდებული ადამიანი — მაიაკოვსკი.

რა თქმა უნდა, ახლა უველაფერს სხვაგვარად აღვიქვამ.

და როგორ მსურს, ცხოვრება უკან მობრუნდეს, ის წელიწადი დამიბრუნდეს! რა თქმა უნდა, უველაფერი სხვანაირად იქნებოდა.

დიდხანს, 14 აპრილის შემდეგ, დილაობით, ახალგაღვიძებული, ვფიქრობდი:

„არა — ეს სიზმარია“.

შერე უცებ გარკვევით ამოტივტივდებოდა, მაიაკოვსკი მოკვდა. და ამას ისევ აღვიქვამდი როგორც ფაქტს, რომელიც პირველად შემოვიდა ჩემს ცნობიერებაში.

მაიაკოვსკი მოკვდა.

და როგორ არ უნდა მესმოდეს, იმ პერიოდში მისთვის უველაზე ახლო ადამიანს, როგორ არ უნდა მესმოდეს, რომ იგი აშკარად გონების დროებითი დაბნელებით გამოწვეულ ავადმყოფურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მხოლოდ ამ მდგომარეობაში შეეძლო თავის მოკვლა.

მე კი ჩემს თავს ვეუბნები: მაინც დაუჭერებელია, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც მაიაკოვსკია, თავის რწმენით იდეის საბოლოო გამარჯვებისა, რომლისთვისაც იბრძოდა, თავისი ნიჭით, თავისი მდგომარეობით ლიტერატურა-

ს და ხაერთოდ ქვეყანაში. — ასეთ დასასრულამდე მივიდა.

რა უნდა უოფილიყო ის ნაპრალები, რომელიც ესაზღვრებოდა, იმ დიადთან შედარებით, რაც უსოფრებაში ერგო.

და, როცა თვითმკვლელობაზე წამოიწყო ლასარაკი 18 აპრილს კატაევთან, ერთი წამითაც ვერ დავიჭერბდი, რომ მაიაკოვსკის შექმნილი ანის ჩადენა.

ვხედავდი, რომ შეურაცხად მდგომარეობაში იყოფებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ გოგონასავით მაშინებდა; გარემოებათა მთელი ქაჭვით ზღვარამდე მისული — მაშინებდა, ხათა დაეჭვარებინა ჩვენი ურთიერთობის საბოლოო გარკვევა.

18 აპრილის საუბარს, „ოქახში ჩემი ჩართვის“ შესახებ, მნიშვნელობა არ მივანიჭე, ვერ კავიგე ვგი...

რა თქმა უნდა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მე მოწმე არ ვყოფილვარ, მე დრამის მოქმედი სარი ვიყავი. და თუკი ტკივილი და წყენინება მივაყენე, უფრო მეტი ტკივილისა და წყენინების მოთმენა მიხდებოდა მისგან. ურთიერთსაყვედურები, ხშირი ჩხუბი კი სულში გროვდებოდა გამოუთქმელად, აღმოუფხვრელად...

ცხოვრებას არ ვიცნობდი. ახლო ადამიანები იმ პერიოდში არ მყავდა.

უველას დავშორდი. ჭერ ერთი იმიტომ, რომ ზოელი ჩემი ცხოვრება მაიაკოვსკიმ შეავსო, და მეორეც, ჩემი არაგულწრფელი მდგომარეობის გამო ვერავის ვერ ვესაუბრებოდი ჩემს ურთიერთობაზე მაიაკოვსკისთან. უველაფრის განცდა მიხდებოდა მარტო, ბუნდოვნად...

რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რომ მაიაკოვსკის უდიდესი პიროვნების გვერდით არავითარ ღირებულებას არ წარმოვადგენ. მაგრამ ამის დადგენა ხომ თანამედროვე პოეზიიდან უფრო ადვილია.

მაშინ — 80 წლის შემოდგომაზე — არსებობდა ორი ადამიანი, ორივე ცოცხალი და ორივე ბუნებრივად თავმოყვარე, თავიანთი სისუსტეებითა და ნაკლით.

ახლა შევეცდები გავიხსენო, როგორი წარმომიდგება მაიაკოვსკი ამჟამად, 8 წლის შემდეგ ჩვენი ურთიერთობების გარეშე, ძალზე ნათლად მახსოვს ერთი დისპუტი ექიმთა სანატორიუმში, სადაც ვახლდი მას. მაიაკოვსკი თავის წარმოდებებს კითხულობდა.

სამხრეთის საუცხოო ბნელი ღამე იყო კითხვა მიმდინარეობდა ბრტყელ სახურავზე — სანატორიუმის ტერასაზე.

მხმენელები ირგვლივ მოთავსდნენ, როგორც ცირკში. ამ დიდი წრის ცენტრში იდგა მაიაკოვსკი. იგი ძალზე კარგად გრძნობდა თავს თავისებურ არენაზე.

აუდიტორია შესდგებოდა ახალგაზრდა დამსვენებლებიდან, რომლებიც უკანა რიგებში ტერასის მოაჯირზე მოთავსდნენ, და პროფესორებისა და ხანში შესული ექიმებისაგან, რომლებმაც წინა რიგები დაიკავეს. ამ დროს ვერკალარა ადამიანებმა შეკრებს და ჩაქეტეს წრე, რომელშიც მაიაკოვსკი მიმოდიოდა. განათება რომ გაეძლიერებინათ, სტუდენტები შემოიტანეს და მაგიდებზე დასდგნენ. სწრაფად ფანტასტიური ათინათი ანათებდა მაიაკოვსკის და თითქოსდა საგანგებოდ შერჩეულ მოხუცთა სრულიად ქალარა თავებს.

დავინტერესები: თავად თვითონ, მისი ხმა, მისი ლექსები რატომ ერწყმის ასე ამ ცახ, ქარს. ამ კაშკაშა ვარსკვლავებს? თუმცა მაიაკოვსკი ხომ სამხრეთელია. აქამდე როგორღაც შავიწყდებოდა მისი წარმომავლობა. მას ხომ ძალზე ახასიათებდა, როგორც კარგად აღნიშნა ლევ ნიკულისმა, „ინტერნაციონალური იერი პოეტისა“.

მაიაკოვსკის გამოსვლის შემდეგ წაკითხულის განხილვა დაიწყო. აზრები თავიდანვე მკვეთრად გაიყო. ახალგაზრდობა, როგორც უოველთვის, აღფრთოვანებით ლებულობდა მაიაკოვსკის, მოხუცი ექიმები, კლასიკური პოეზიის აშკარა თავყვანისმცემლები, კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი.

მაიაკოვსკი კარგ გუნებაზე იყო. ფიცხლად და თავშეუკავებლადაც კი შეეკამათა ხანში-შესულ პროფესორს, რომელმაც თქვა, რომ არ ძალუძს მაიაკოვსკის ნაწარმოებები პოეზიად მიიჩნიოს.

— ხად არის ლექსის სინარნარე, — ამბობდა მოხუცი, — სინარნარე, რომელიც ეალერსება ხმენას, ხადაა სასიამოვნო საზომები და ა. შ. მაიაკოვსკის ლექსები ჭრიან ყურს, როგორც დოლის ბრაბუნე, — დაამთავრა პროფესორმა. — აი, პუშკინი კი, კეშმარიტი პოეტია.

თავიდან, მაიაკოვსკი ცდილობდა ზრდილობიანად ეპასუხა. ამბობდა, რომ პუშკინის რიტმები და მისი დრო შორსაა ჩვენგან, ვინც 18-19 წლები განვიცადეთ. ჩვენ სრულიად განსხვავებული ტემპითა და რიტმით ვცხოვრობთ, და ეს გვავალდებულებს სრულიად სხვაგვარ, აჩქარებულ ხალექსო ფორმას, დაწყვეტილ სტრიქონს და ა. შ.

პროფესორისათვის ეს მოსაზრებანი ნაკლებად დამაჭერბელი იყო და იგი ქიუტად იმეორებდა:

— არა, თქვენ პოეტი არ ხართ, აი პუშკინი კი...

აკ მაიაკოვსკი გაგულისდა და პროფესორს თავს დაატება მთელი თავისი ტემპერამენტი და იუმორი. მთელი აუდიტორიის ხარხარისა და ტაშის თანხლებით მიიმხრო არა მარტო ახალ-

გაზრდობა, არამედ ამ პროფესორის ამბანაგუბიც — ხანდაზმული ექიმები.

საწყალი პროფესორი სახაცილო გახდა. გამმარტებებს იძლეოდა დიდი შესვენებებით. ძველებური სტილით და თანაც ენა ებმოდა. აუუვირდენს: „საკმარისია“, „გაჩუმდი“ და სხვა. ის კი მაინც ლაპარაკობდა. მაიაკოვსკიმ ბრწყინვალედ სძლია მას, სრულიად გაანადგურა.

პროფესორი დაისაჯა შეხედულებების გამო, ენაბლუობის გამო, ხათვალეებისა და კალმუბის გამოც. სამწუხაროდ, არ მახსოვს მაიაკოვსკის მოსწრებული თქმები, მაგრამ იგი აშკარად ეშხში იყო შეხული იმ ხალამოს.

მაშინ მაიაკოვსკი ამბობდა:

— პუშკინს იმიტომაც აფხანებენ, რომ თითქმის ახი წლის უკან მოკვდა. პუშკინსაც აქვს სუსტი ადგილები. რომლებსაც ძლიერ აკრიტიკებდნენ მის სიცოცხლეში თანამედროვენი. ახლა კი პუშკინს გენიის შარავანი ადგას, რადგან კლასიკოსთა მტვრიან თაროზე დევს. თვითონ მაიაკოვსკიც ახი წლის შემდეგ შეიძლება კლასიკოსი გახდეს.

სამწუხაროდ, ვერ ვიგონებ პუშკინის სუსტი ადგილების ორ მაგალითს, რომლებიც მაიაკოვსკიმ იქვე დაიმოწმა.

ამ მაგალითების შემდეგ პროფესორი გაშმაგდა, წამოხტა და, უფერად გაახალგაზრდავებულმა წარმოთქვა ძალზე კარგი სიტყვა პუშკინის დახატავად.

ენაც კი თითქმის აღარ ებებოდა.

როცა დისპუტიდან ვბრუნდებოდით მანქანით, ვუთხარი, რომ, ჩემი აზრით, მთლად სწორად არ ლაპარაკობდა პუშკინის შესახებ. რა თქმა უნდა, თავისი გონებამახვილობით სრულიად გაანადგურა მოხუცი, მაგრამ ვაიმარჯვა ენამახვილობით და არა არხებითად. ის საწყალი გალანძღული ენაბლუ სშირად მართალი იყო. მაიაკოვსკი მეტად მოურიდებლად მოეპყრო პუშკინს.

ჩაფიქრდა და მითხრა:

— შეიძლება თქვენ მართალიც იყოთ, ნორკოჩკა. მე გადავაპარბე, პუშკინი, რა თქმა უნდა, გენიოსია, რაკი დაწერა:

Я знаю; жребий мой измерен;
Но чтоб продлилась жизнь моя,
Я утром должен быть уверен,
Что с вами днем увижусь я.

ბევრჯერ ვახლდი მაიაკოვსკის გამოსვლებზე ხოჭში და მახსოვს, რა მშვენივრად კითხულობდა წითელარმიელთა აუდიტორიის წინაშე. დელავდა და შეკითხებოდა, ხომ კარგად უსმენდნენ? ესმოდათ თუ არა წითელარმიელებს მისი ნაწარმოებები და ა. შ.

მაიაკოვსკის უუვარდა კითხვა ახალგაზრდობისათვის, რომელიც უოველთვის მბურვალეოდ

ხვდებოდა. ასეთ შემთხვევაში სრულიად სხვა ვარად კითხულობდა და კამათობდა, ვიდრე დისპუტებზე. დისპუტებზე უოველთვის ძალზე ენა მახვილი, ბრწყინვალე, მოურიდებელი იყო. მაგრამ უველათერი ეს მოჩვენებრივად შესახებოდა, რალაც შეგნებულად დაუდევრად იცმევდა ამ დისპუტებზე, თითქოს სურდა ფეხხუმად გამოჩენილიყო, თუმცა უსურველად უკედანტურად აკურატული ვახლდა და უსმრქმუქუქუქინის საკითხში.

აქ შეგნებულად დაუდევრად გაიკვანძავდა მალსტუხს და დადიოდა გრძელზე გრძელი, ბუნებრივზე დიდი ნაბიჭებით.

როცა დარბაზში ვიქეცი და ვუუურებდი, ვერ ვცნობდი მაიაკოვსკის — ასე უბრალოსა და დელიკატურს ცხოვრებაში. აქ, თითქოსდა, რალაც იფხატავდა თავზე და თამაშობდა იმ მაიაკოვსკის, როგორიც გარეშეებს წარმოედგინათ.

და მეჩვენებოდა, რომ მისი მიზანი საკუთარი ნაწარმოებების გაცნობა კი არ იყო, არამედ — ფინალური ნაწილი დისპუტისა, როდესაც იგი ასე თავისუფლად და ბრწყინვალედ ანადგურებდა, დასცინოდა, ამარცხებდა თავის მოწინააღმდეგეებს.

ამ დროს მაიაკოვსკი არ ფიქრდებოდა კრიტიკაზე, უურადლებას არ აქცევდა მას და გამომსვლელეებზე უველათერ სასტიკი თავდახხმის გზით უკუაგდებდა მას.

მაიაკოვსკი უოველთვის იძლეოდა არხებით პასუხს, თავისი მახვილი თვლით აღმოაჩენდა სახაცილოს ადამიანში, რომელიც მას უპირისპირდებოდა, და ზუსტი განსაზღვრებით იქვე ანადგურებდა მოწინააღმდეგეს. მისი მომხიბლობა, იუმორი და ნიჭი იმბრობდა უველას, მაშინაც კი, როცა მაიაკოვსკი მართალი არ იყო.

სრულიად სხვაგვარი ვახლდათ, როცა ამბანაგურ ატმოსფეროში გამოდიოდა. მუშების აწითელარმიელთა წინაშე, როცა უკითხავდა ახალგაზრდობას — კომკავშირლებს ან სტუდენტებს, აქ მისთვის მთავარი იყო — უოფილიყო ვახებები, მისახვედრი, მეტანა თავისი ნაწარმოებები მსმენელამდე. აქ არახოდეს არ ედავებოდა კრიტიკას, მოთმინებით უხსნიდა უველათერს, რაც გაუგებარი აღმოჩნდებოდა მისი ნაწარმოებებიდან, უურადლებით ისმენდა შენიშვნებს, იწერდა მათ და გამოსვლის შემდეგ დიდხანს არჩევდა მათ.

ხშირად თხოვდა სხვადასხვა ორგანიზაცია მისულიყო თავისი ნაწარმოებების წასაკითხად. მაიაკოვსკი უარს არახოდეს ამბობდა, დიდი ხლისით ეთანხმებოდა და არახოდეს ალაღატებდა: არ ავციანებდა და აუცილებლად მიდიოდა, თუკი დაჰპირდებოდა.

მახსოვს, ერთხელ სემიონ კირხანოვს შევხვდი, მაშინ ჩერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა

იყო. კირსანოვი სამხედრო ფორმაში გახლდა (ერეობა, წითელ არმიას მსახურობდა). მაიაკოვსკი მეტად აღერსიანად ლაპარაკობდა მასზე. ამბობდა, რომ მისი მოსწავლეა, რომ ძალიან ნებისმიერი ბიჭია. იქვე, ქუჩაში კითხულობდა ნაწევრებს კირსანოვის ლექსებიდან.

მოგვიანებით თვით კირსანოვი კითხულობდა თავის ნაწარმოებებს ბრიყების ბინაში.

მისი ორი ლექსი მახსოვს. ერთი — მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი, სადაც მაიაკოვსკის გემბ დარბებს, მეორე კი — „ოცდაერთი წელი“.

მაიაკოვსკი ამჯერად ხმამაღლა აქებდა ლექსებს, კოცნიდა კირსანოვს, მერე უეცრად საშიშლად შეცბა და უთხრა:

— ხედა, არ გეგონოთ, ახეთი კმაყოფილი ამიტომ ვარ, რომ ჩემზე დაწერეთ. არა, ეს მართლა ძალზე კარგია!

მეორე დღეს მაიაკოვსკი სულ ერთ სტრიქონს მღეროდა კირსანოვის ლექსიდან:

Сердце Рики Тики Тавви
Словно как во сне
И личинка ромашка
На сковороде.

ამას მღეროდა 19-20 წლებში პოპულარული სიმღერის მოტივზე — «В Петербурге дом мысокный». მღეროდა შეუსვენებლად და ბოლოს და ბოლოს შევევედრე, შემობრალე-მეთქი, გაიციხა და მითხრა:

— შაბათივით, შეტს აღარ ვიწამ, მაგრამ ძალზე კარგია: არადა მართლაც გვირილასავითაა, ნორკოჩკა, — ჩაბლილი ერბო-კვერცხი...

მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ წაბოიწყო თავის გვირილაზე. მახსოვს, რომელიღაც მიერუბული კუთხიდან გამოუფწავნეს კომკავშირლების მიერ დაწერილი ლექსი. ლექსში ასეთი სტროფია:

И граждане и гражданки,
В том не видя воровства,
Превращают ёлки в палки
В день веселый рождества.

მას ძალიან მოსწონდა ეს ოთხტაქოვანი. ვერა ინბერმა გაზეთში დაბეჭდა ლექსი:

Посмотрю на губы те,
На вино Абрау,
Что ж вы не пригубите
Мейне либе фрау?

მაიაკოვსკის რითმა მოეწონა. მითხრა: — დაფიქრდით, ნორკოჩკა, ეს ძალზე კარგია! არაფრით არ მოველოდით ამას ამ კალმატონისგან.

ძალიან აფასებდა პასტერნაკს. ამბობდა, რომ პასტერნაკის შემოქმედება მეტად ინდივიდუალურია.

პასტერნაკი მხოლოდ თავისთვის წერს. იგი ძალზე მიჭიერია. საინტერესო ასოციაციები და მიხვედრები აქვს. მაგრამ არახოდეს იქნება გასაგები და მისაწვდომი მასისათვის.

მაიაკოვსკის აღიზიანებდა სიზარმაცე, ძალტურა, უბამსობა, მახსოვს, აღმშრომელი უტკინი და მოღჩანოვი ამბობდა, უნებოდეს ეს არიან, მაგრამ ტკბილად უჩაღებენ ენას უკვეთს, პასტერნაკარა გრძობიყოებს. კმაყოფილდებიან „რიშნებს“ შორის ადვილი წარმატებით და არაფრად აგდებენ და უფიქრდებიან იმას, სად მოიყვანს ეს ვა მომავალში.

აფასებდა „შორის“ ავტორს. იური ოლეშას მდიდარი ფანტაზიის, რომანტიზმისა და ნათელი ენისათვის, მაგრამ ამბობდა, რომ სხვაგვარა ცხოვრების წესის გამო, დაბეჭდებით ამტკიცებდა, მისგან არაფერი გამოვაო, ოლეშას უველა ხაქციელი ძალზე მოჩვენებითია. მოაჩნია, რომ ერთი კარგი წიგნი დაწერა და უკვე შიდაწია მწვერვალს, რომ საკმარისად ვერ უზებენ, არ აფასებენ, ეს კი უფრო ადვილი გზაა: იბეჭათლო დუქნებში და იუვირო აუღიარებელი გენოსის ვარო, იმის შავიერ, რომ შავ სამუშაოს მიუჭდე და მწერალი გახდე. დასაბანი კია, ამბობდა მაიაკოვსკი, დიდი შეხამდებლობები აქვს.

მაგრამ როგორ სიმკაცრესაც იჩენდა უველაფრის მიმართ, რაც სისულელედ მოაჩნდა, ახვეც ძალიან გულისხმიერი იყო კარგი წიგნებისა და საერთოდ მისი ამხანაგების ლიტერატურულ წარმატებებისადმი.

კარგი ლექსები ძალზე ახარებდა. მახსოვს, აღტაცებაში მოიყვანა ვეტლოვის ლექსმა „ბრენადა“ და ხვეტლოვზე ასეთი ფრაზა თქვა:

— ეს ბიჭი შორს წავა. ძალიან აფასებდა პოეტ ახევს. ამბობდა, რომ ახევო — დიდი, კარგი ოსტატია. ერთხელ ასევე უხე ისიც კი სთქვა, რომ ის თითქმის კლასიკოსია.

აფასებდა სევერიანინს, რომელსაც ნიჭიერ სიტყვათშემოქმედად აველიდა. მაგალითად, მოსწონდა სევერიანინის მიერ მოგონილი ხიტვა — „Вмолниться“:

Моя дежурная адъютантеса
Принцесса...
Вмолнилась в комнату
быстрой экспресса...

სევერიანინისაგან, ამბობდა მაიაკოვსკი, უნდა იხწავლოს ეს ბელონება ბევრმა თანამედროვე პოეტმა.

ამბობდა, რომ ახალგაზრდობისას ბევრს სეხულობდა სევერიანინისაგან.

მაიაკოვსკის გააჩნდა იშვიათი ნიჭი საკუთარი ნაწარმოებების კრიტიკულად განხილვისა. ძალ-

ზე კარგად ესმოდა და აფახებდა თავის ნაწარმოებების უველა ნაკლსა და ღირსებას. მართალია, ძალზე იშვიათად აღიარებდა თავის შეცდომებს, ყოველთვის შეუპოვრად იბრძოდა საკუთარი ნაწარმოებებისათვის, მაგრამ მე ვინწავლავ გამოერჩია: კბილებით იმიტომ იცავდა თავის შექმნილს, რომ დარწმუნებული იყო მის სიკარგესა და სისწორეში, თუ — სიჭიუტისა და თავმოყვარეობის გამო. ასე იყო პიესა „აბანოსთან“ დაკავშირებითაც.

მუშაობის ბოლო პერიოდში ყოველდღე მიკითხავდა „აბანოს“ ნაწილ-ნაწილ. მაბარებდა გაცვეთილებს, რომლის დავალებასაც თვითონ მოხმავდა. უბის წიგნაკიდან ორ-სამ გვერდს, ანდა უფრო მეტს წამიკითხავდა და მაშინ ძალიან ამაყოფილებდა, რომ დავალება გადაჭარბებით შეასრულა. ხანდახან, შეცბუნებული, დამნაშავესავით მოდიოდა ჩემთან, როგორც მოსწავლე მკაცრ მასწავლებელთან, და მორიდებით მომეწოდებდა წიგნაკს, რომელშიც აღნიშნული გვერდები ცარიელი იყო.

ძლიერ ამაყი და ბედნიერი გახლდით და ისე გულუბრყვილო ვიყავი, მეგონა, ძალიან ვებმარებოდი მაიაკოვსკის მუშაობაში.

როცა „აბანო“ დაამთავრა, ბრიყების ბინაში კითხვა მოეწყო. არ შემიძლია უველა გავიხსენო, ვინც წაკითხვას ესწრებოდა. მახსოვს იანშინი. პიესას დიდი წარმატება ხვდა. მოსაზრებანი ერთსულლოვანი და აღტაცებული იყო. ალბათ, ეს წარმატება, ძირითადად, მაიაკოვსკის წაკითხვამ განაპირობა, რადგან იგი ყოველთვის კარგად კითხულობდა, ამ საღამოს კი წაკითხვა უკეთესად, ვიდრე ოდესმე.

მახსოვს ასეთი აზრი გამოითქვა: ეს „ბაღლინჯოზე“ გაცილებით უკეთესია, სრულიად ახალი დრამატურგიული ფორმაა. ბრწყინვალე ხასიათებია. შესანიშნავი ენაა და ა. შ.

იანშინი აღტაცებაში მოიყვანა პიესამ. მეორე დღეს თეატრში ჰყვებოდა ახალი მოვლენის შესახებ, რომელიც მაიაკოვსკიმ შექმნა. ამტკიცებდა, რომ პიესა სამხატვრო თეატრში უნდა დაიდგას. ამ საუბრების შემდეგ, დაინიშნა პიესის წაკითხვა სამხატვრო თეატრში, რომელიც რატომღაც არ შესდგა.

წაკითხვისა და განხილვის შემდეგ მაიაკოვსკიმ რატომღაც სამხატვროლოში გამიხმო და ეკითხა:

— როგორია?

პირველად მოვისმინე პიესა მთლიანად. მაიაკოვსკის ასე იმიტომ აინტერესებდა ჩემი აზრი, რომ დარწმუნებული იყო ჩემს უაღრეს გულწრფელობასა და სიმართლეში მის მიმართ. ძალზე აღტაცებული აზრი გამოვთქვი პიესაზე. მომეჩვენა, რომ მაიაკოვსკი ემაყოფილი იყო, მაგრამ ხშირად მაინც ჩაფიქრდებოდა ხოლმე.

შემდეგ „აბანო“ წაკითხა მეიერხოლდის თეატრში და მუშათა ორგანიზაციებში. მუშებმა ძალზე მოიწონეს პიესა, თეატრმაც; მეიერხოლდი მხურვალედ გამოეხმაურა. ყოველი წაკითხვის შემდეგ კრიტიკოსები ბევრ რამეს უარყოფდნენ პიესაში, მაგრამ საერთო აზრი ერთი იყო და ჩანდა, პიესას დიდი წარმატება ექნებოდა.

მაიაკოვსკი გახარებული იყო, მაგრამ რაღაც ეჭვები გულს უხრავდნენ ჩაფიქრებული და აღნიშნებული გამოჩუქრებოდა...

„აბანოს“ პრემიერაზე ძალზე გამომწვევად ეჭირა თავი. ანტრაქტებზე ძლიერ მკვასხედ პასუხობდა პიესასთან დაკავშირებულ კრიტიკულ შენიშვნებს. დაბნეულად და დაუდევრად ისმენდა ქებას. თუმცა, მასთან ცოტა ხალხი მიდიოდა, უმეტესობა თითქოს ერიდებოდა, და ისიც მეტ დროს კულისების უკან ატარებდა. ჩემი და ჩაფიქრებული იყო. ძალზე გამომწვევად უკრავდა თავს, დამთავრებისას რაღაც უთხრა კიდევ მაყურებლებს.

მაიაკოვსკის ძალიან იტაცებდა ყოველგვარი სამუშაო. მუშაობაში მთლიანად ერთვებოდა. „აბანოს“ პრემიერის წინ სრულიად დაიხარჯა მთელ დროს თეატრში ატარებდა. წერდა ლექსებს, წარწერებს მაყურებელთა დარბაზისათვის „აბანოს“ წარმოდგენაზე. ჩამოკიდებასაც თვითონ ადევნებდა თვალს. მეტე ხუმრობდა, მეიერხოლდის თეატრში დამიქირავეს არა მარტო ავტორად და რეჟისორად (ბევრს მუშაობდა მსახიობებთან ტექსტზე), არამედ მღებავად და ხუროდაცო, ვინაიდან თვითონ ვხატავ და თვითონვე ვაქედებო. როგორც ძალზე იშვიათი ავტორი, იმდენად განიცდიდა სპექტაკლს, რომ დადგმის უწვრილმანეს დეტალებში მონაწილეობდა, რაც, რა თქმა უნდა, სრულიად არ შედიოდა მის ფუნქციებში.

ნაგალითად, ცირკში პანტომიმის „მოსკოვი იწვის“ დადგმის წინ, ყოველდღე მიდიოდა მხატვრის სახელოსნოში და ამოწმებდა მთელ სამუშაოს წარმოდგენისა, იგივე ხუტაფორიებსაც კი; ათვალეიერებდა უველა კოსტიუმს, მახობრივი სცენებისათვის განკუთვნილ უმნიშვნელო კოსტიუმებსაც კი უურადლებით სინჯავდა და მხატვარ ქალთან ერთად განიხილავდა.

დიდი გულისხმიერებითა და უურადლებით ეპყრობოდა უველას. ჩვეულებრივ, ჩივიერი პიროვნებანი, რომლებიც საკუთარ უპირატესობას გრძობენ, მითუმეტეს — თუკი მანვილგონიერებითაც არიან დაჯილდოებულნი, თავიანთ მოვალეობად თვლიან საზოგადოების უურადლებას ცენტრში იყვნენ. ხშირად დავკვირვებივარ, თუ როგორ ესაუბრებიან ხალხს მწერლები, მსახიობები. ისინი ამჯობინებენ თვითონ ილაპარაკონ, იხუმრონ, მაგრამ უცებ თანამოსაუბრეს წამოცდებოდა ხოლმე ამ მწერლისა თუ მსახიობისათვის

საქართველოში და ეს მოთავისებ იმწამსვე უს-
რებს დასტავებს, უსრადღებით უსმენს, ხოლო
როცა ამ ადამიანისაგან მიიღებს თავისთვის
საინტერესოს, აღარ ხეირდება იგი, აწვევინებს
ლაპარაკს ან დაბნეული უსმენს და თავისას ფი-
ქრობს.

მაიაკოვსკი, რა თქმა უნდა, ყოველთვის საზო-
გადოების უსრადღების ცენტრში იყო, მაგრამ
თვითონ არ ცდილობდა ამას. ეს თავისთავად
ხდებოდა, რადგან ყველა მის მომხიბვლობას,
ტაღანტას და მახვილგონიერებას ემორჩილე-
ბოდა და მისგან განსაკუთრებულ, მოულოდნელ,
მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სიტყვებსა
და ქცევას ელოდნენ. თვითონაც სრულიად სხვა-
გვარად ეპყრობოდა ადამიანებს, უფრო ღრმა
გაგებით. უყვარდა ხალხი და უსრადღებისა
იყო მისდამი. ყველაფერი აინტერესებდა ადამი-
ანისა, ცნობისმოყვარეობით ესაუბრებოდა, აზ-
რებს უზიარებდა ადამიანებს.

ყველაზე საუკეთესოდ, რაც მაიაკოვსკიზე
დაწერილა, მიმაჩნია ლევ ნიკულინის პატარა
სტატია — „მთელი ხმით“. კიდევ უფრო გამა-
ოცა იმან, რომ ნიკულინი მხოლოდ ნაცნობი
იყო მაიაკოვსკისა, თანაც არც ისე კარგი ნაც-
ნობი.

ნიკულინმა კი მაიაკოვსკის არსი, ჩემი აზრით,
ძალზე სწორად და ღრმად გამოიკვლო.

პარიზული მოგონებების ამ პატარა ბროშუ-
რის მიხედვით ჩემს თვალწინ გაცოცხლდა მაია-
კოვსკი. ბევრი მისი საქციელი თითქოსდა უფრო
გამოიკვეთა, უფრო გასაგები გახდა ასე მრავ-
ლისმთქმელი რამდენიმე გვერდის მეშვეობით.

ღიამ, მაიაკოვსკი იყო ისეთი, როგორც ნი-
კულინს წარმოუდგენია, გარეგნობასაც კი ძალ-
ზე უსუსტად და ნათლად ხატავს.

ძალიან მინდა აქ მოვიყვასო სტრიქონები, სა-
დაც ნიკულინი მაიაკოვსკის მარტოობას აღწერს:

„ცოტა ვინმე თუ ფიქრობდა, რა ხდებოდა,
როდესაც იგი მარტო რჩებოდა თავის ვიწრო
ოთახში ღუბიანკის გასასვლელზე, ანდა ხასტუშ-
რის ბნელ და პატარა ნომერში. მარტოობისა
და ეჭვიანობის ფურიები მიეხედნენ და ღრღნი-
დნენ ამ ძლიერ, ირონიას ამოფარებულ ადამი-
ანს...“

ცხოვრებაც გაივლის. „ალაგ-ალაგ მოსაწყენი
სიყვარულიც“, როგორც კიესა, რომელსაც ხაში
თვის არაადამიანური შრომა შეეწირა. მარტო-
ობის ფურიებიც დაეუფლებიან გულსა და ლექ-
სებს, და უკარნახებენ.

„მე მინდა გამოგოს ჩემმა ქვეყანამ, თუ არ
გამიგებს, რას ვიზამ...“ გულისგამწყვალებელი
წვეული ეჭვიანობა, არაადამიანური ბრძოლა ლი-
რიკული პოეტისა პოლიტიკურ პოეტთან, პოე-
ტისა, რომელიც ჩინებულად ფლობს პირდაპირი
ლირიკული შემოქმედების საიდუმლოებას და

უარს ამბობს ლირიკოს-პიანოტიზორის ხერ-
ხებზე“.

ყველაფერი ეს სწორად მიმაჩნია.

მართალია ნიკულინი, როცა კარტის შესახებ
წერს. კარტს ხომ საქმოდ დიდი ადგილი უჭირა
ვლადიმირ მაიაკოვსკის ცხოვრებაში, და ბევრს
მისი კარტით გატაცება არ მოსწონდა. ნიკულინი
წერს:

ქართული

„ძალ-ღონის ისეთი მარტოობა მისაქმეს-
კის, ისეთი დაუმცხრალი ენერჯია, იგი ყოფნიდა
არაადამიანური შრომისათვის, ლიტერატურული
კამათისა და ჩხუბისათვის, და კიდევ იმდენი
რჩებოდა, არ იცოდა სად წაეღო ეს ამოუწუ-
რავი ტემპერამენტი. და მაშინ იწყებოდა ძრავის
უქმი სვლა კარტისა და ბილიარდის მაგიდებთან,
მონაკოს რუღეტის მაგიდასთანაც კი. ფარისე-
ლები ფრუტუნებდნენ, ბრაზობდნენ, კიცხავდ-
ნენ, არ ესმოდათ, რომ ეს იყო არა თამაშის
ვნება, არა ანგარება, არამედ — ზედმეტი ენერ-
ჯიის დახარჯვის აუცილებლობა. მისთვის მთავა-
რი იყო დაეძლია პარტნიორის წინააღმდეგობა,
იძულებით დაემორჩილებინა იგი; მისთვის მთა-
ვარი იყო აზრის სისხარტი, რომელიც შეეძლო
გამოემყვანებინა კარტის მაგიდაზეც კი. და იგი
იყო დაუცხრომელი და, არსებითად, თამაშში
დაუმარცხებელი“.

და მართლაც, მაიაკოვსკისათვის მნიშვნელო-
ბა არ ჰქონდა მატერიალურ მოგებასა და წაგე-
ბას. უყვარდა მოგება აზარტის გამო, წაგებისას
კი ბრაზობდა, როგორც სპორტსმენი. რომელ-
მაც თამაში წააგო.

მახსენდება კარტის თამაში მაიაკოვსკის
ოთახში, გენდრიკოვის შესახვევში. მას სხვადა-
სხვა ფერის კოჭები ჰქონდა, თვითონ წითლები
უყვარდა და ყოველთვის დაობდა ამის გამო.
ჩვეულებრივად, ძალზე მხიარული და გონებაშა-
ვილი იყო თამაშის დროს, აქვე სახელდახელოდ
იგონებდა თავის სიტყვებს, რომლებიც კარტებს
და მათ მნიშვნელობას აღნიშნავდნენ.

თამაშის დაწყების წინ ყოველთვის ამბობდა:

— მოდი, ვითამაშოთ ნაღდ ფულზე.

ესე იგი, ვისაც ფული გაუთავდებოდა, ვალე-
ბის გარეშე გადიოდა თამაშიდან. რა თქმა უნ-
და, თამაშის დროს ეს არახოდეს სრულდებოდა.
თუკი მაიაკოვსკის არ გაუმართლებდა, რაიმე
საგნებს ამოიღებდა საწერი მაგიდის უქრიდან —
ფანქრებს, კოლოფებს, გასაღებებს და ა. შ. და
გვერდზე დაიწყებდა, ან ბულკას დაისვამდა
მუხლებზე და იტყოდა:

— ეს ბედნიერებისათვის! აი ახლა კი გამი-
მართლებს.

თამაშისას სულ რაღაცას ბურტყუნებდა, მღე-
როდა, ლაპარაკობდა, რითმებს არჩევდა; ძალზე
საინტერესო იყო მასთან თამაში და საათობით
ისხდნენ არა მარტო თამაშის ინტერესით, არა-

მედ თვით მიაკოვსკის გამო. ვინაიდან მისი ქცევა მეტად გადაძვლები გახლდათ.

მიაკოვსკი ძალზე მძაფრად აღიქვამდა სამყაროს, სინამდვილეს, საგნებს, ადამიანებს. შემიძლია ვთქვა, რომ — ბიპერბოლიურადაც კი. მაგრამ მისი ხედვის სიმძაფრე, თუმცა ძალზე ინდივიდუალური, — პასტერნაკისაგან განსხვავებით, არ გახლდათ მოწყვეტილი სხვა ადამიანთა წარმოდგენების, აზრებისა და ასოციაციებისაგან. იგი უველასათვის მისაწვდომი იყო.

მიაკოვსკის უველა შედარება მეტად მოულოდნელია, და ამასთანავე გჭერა, — ეს ზუსტად შენი განსაზღვრებაა, შენი ასოციაცია, ოღონდ შენ ვერ მიხვდი, ვერ შესძელი ზუსტად ასე გამოგებატა აზრი, საგანი, მოქმედება...

მისი განსაზღვრებები კი ისეთი ნათელი და მძაფრია, რომ ხედები, ეს მართლაც ასეა და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს.

მიაკოვსკი პირველად მოვიდა დედაჩემის ბინაში. გავიდა აივანზე, გადაიხედა ბაღში და თქვა:

— აი ხე, — ეს ხომ კამერტონია.

და მართლაც ცხადი გახდა, რომ ეს ხე კამერტონის ასოციაციას იწვევს, რომ ეს მშვენიერი განსაზღვრებაა: ათეული წლების განმავლობაში ხალხი უყურებდა ამ ხეს აივნიდან და ვერავინ შეამჩნია ეს, ვიდრე მიაკოვსკიმ არ აღმოაჩინა.

თუკი ბიპერბოლიზმი ეხმარებოდა შემოქმედებაში, საგანთა, მოვლენათა, ადამიანთა აღქმაში; ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, ხელს უშლიდა. იგი უველაფერს აწვიადებდა, რასაკვირველია — უნებლიეთ. ასეთი ამაღლებული აღქმა ბუნებრივად ბჭონდა მომადლებული. მაგალითად, ერთხელ მივიდა დედაჩემთან:

— ნორა თქვენთანაა?

— არა.

არც მოუსმენია ახსნა-განმარტება, სახე შეეცვალა, თითქოსდა რაიმე დაუჭერებელი, გამოუსწორებელი მოხდა.

— თქვენ დაგაგვიანდათ, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ, და ნორა თქვენს შესახებდრად წამოვიდა.

იმ წუთშივე შეიცვალა. სახე გაუბრწყინდა, გაეცინა, კმაყოფილი და ბედნიერი გახდა.

ეს ბიპერბოლიზმი ახასიათებდა მთელ მის ცხოვრებასა და უველა მის ნაწარმოებს. ეს იყო მისი არსი. მე აღვწერ პირითადად იმას, რაც ჩვენი შეხვედრების დროს გადამხდა. უმნიშვნელო ეპიზოდებსაც კი აღვწერ ჩვენი ურთიერთობიდან, რადგან, თუკი, მისთვის წვრილმანები მოვლენებად იქცეოდა, როგორღა უნდა გაეწვალეებინა დიდ, მნიშვნელოვან მოვლენებს ცხოვრებაში.

და ისევ, როცა მის სიკვდილსა და უველა წინა

გარემოებას ვუბრუნდები, როცა ვიხსენებ უველაფერს, რაც აწვალებდა და ტანჯავდა, ვრწმუნდები, რომ თვისება უველაფერის გაწვიადებისა, რაც მას ეხებოდა, არც ერთი წუთით არ აღევდა დამშვიდების საშუალებას, რომ გარკვეულიყო თავის თავში, ხელში აეყვანა სკუთარი თავი. პირიქით, უველაფერი იწოდებოდა, უდიდეს ტანჯვას ანიჭებდა და უველაფერს მიაკოვსკის, ასე ბრძენსა და ვეფხუვებდა და ნებებოდა დროებით წარუმატებლობებს.

მიაკოვსკის ამავე ბიპერბოლიზმმა ითამაშა ასეთი ტრაგიკული როლი ჩვენს ურთიერთობაში. სწორედ ამ თვისებამ გადააქცია 14 აპრილის დილას ჩვენი წაქინკლავება ნამდვილ განხეთქილებად მის თვალში და კატასტროფამდე მიიყვანა.

ჩემთვის ხომ მასთან ცხოვრების საკითხი გადაწყვეტილი იყო. მიუვარდა იგი და თუკი ჩემს ასაკსა და ხასიათს გაითვალისწინებდა, მშვიდად და ფრთხილად მომეპყრობოდა, დამეხმარებოდა გავრკვეულიყავი ჩემს გარემოში, აუცილებლად მასთან ვიქნებოდი. მიაკოვსკიმ კი დამაფრთხო. მოთხოვნამ იმისა, რომ თეატრი დამეტოვებინა, კმრისგან სასწრაფოდ წამოვხუდიყავი, ოთახში ჩავეკეტე. იხე ძალიან შემაშინა, — ვერ შევძელი მივმხვდარიყავი, რომ უველა ეს მოთხოვნა, რა თქმა უნდა — უაზრო, ერთ საათში გაქრებოდა, თუკი ახლავე დავემორჩილებოდი და ვეტყუოდი, რომ თანახმა ვარ.

სავსებით ცხადია, მხოლოდ ასე დაწყნარდებოდა, თვითონვე მიხვდებოდა თავისი მოთხოვნების სისასტიკეს.

მე კი სწორად ვერ მივუდექი, საჭირო სიტყვები ვერ შევარჩიე და ხერიოზულად ვაახუზობდი მის ულტიმატუმებს. და აი ასეთმა გაუგებრობამ მიგვიყვანა ასეთ შიშვე, ტრაგიკულ დასასრულამდე.

ვლადიმირ მიაკოვსკი, მიუხედავად იმისა, რომ პარტიული ბილეთი არ ბჭონდა, ნიშუშია შესანიშნავი კომუნისტისა, უდიდესი სიწმინდასა და იდეურობისა.

მიაკოვსკის შეხედულება ცხოვრებაზე, გარემომცველ სინამდვილეზე ყოველთვის და უველაფერში (სულ ასე მეჩვენებოდა) სრულიად საბჭოური იყო.

მიაკოვსკის არ შეეძლო აღექვა ცხოვრება და მოვლენები თავისი პირადი შეხედულებებით. იგი ძალიან განიცდიდა უველაფერს, რაც ქვეყანაში ხდებოდა, დაწყებული დიდი მსოფლიო მოვლენებით, დამთავრებული მეტად წვრილმანი საყოფაცხოვრებო ფაქტებით. და ამ წვრილმანებშიც პარტიული იყო.

მიაკოვსკი კატეგორიულად ვერ იტანდა ზემორობას, ანეკდოტებს, თუკი მათში ანტისაბჭოური სულისკვეთება იგრძნობოდა. შეეძლო ხე-

რიონულად ესაუბრა რაიმე დროებით ნაკლებად, აღშფოთებულიყო ამით, მაგრამ ამაზე არასოდეს ხუმრობდა და არც სხვას აძლევდა ამის უფლებას.

მახსოვს, მეჩხუბა და მიყვარა კიდევ, როცა ვუთხარი, რომ რაღაც უცხოური ნივთი ვიყიდე ქალისაგან, რომელსაც ხშირად მოქმენდა ასეთი ნივთები თეატრში მსახიობებისათვის და, აშკარა იყო, მხოლოდ ამით გახლდათ დასაქმებულნი. მანიაკოვსკი ძლიერ აღშფოთდა და აღელდა ამის გამო.

უოველივე ეს სულაც არ გამოხდით არაბუნებრივად, როგორც ეს ხშირად ხდება. არა იგრძნობოდა უსაზღვრო სიწმინდე და პრინციპულობა.

მანიაკოვსკი არაჩვეულებრივად მომთხოვნი და მკაცრი იყო ადამიანებისა და მათი საქმიანობის მიმართ, დაწყებული თავისი ლიტერატურული ამხანაგებიდან, რაზეც უკვე მოგახსენე, წვრილმანი მუშაკისაგანაც კი კარგ ნამუშევარს მოითხოვდა.

მალაზიაში ყიდულობდა რაიმეს თუ რესტორანში შევიდოდა — განსაკუთრებით მკაცრი იყო მოსამსახურე პერსონალისადმი. რასაკვირველია, შარიანი არ გახლდათ. არა, მანიაკოვსკის სურდა და მოითხოვდა, რომ მის ქვეყანაში ყველა ადამიანს შეგნებულად ეგო პასუხი თავის ნამუშევრის ხარისხზე.

სამაგიეროდ ძალზე ახარებდა ჩვენი ქვეყნის წარმატება და მიღწევა ყველა დარგში, და აქაც, ყველაზე დიდი საქმეებიდან — წვრილმანებამდე.

ახალი შენობა შენდებოდა თუ ახალი შუქნიშანი იდგმებოდა, ქუჩაზე ასფალტს ახამდნენ თუ მილიციონერები ახალ ფორმას იცმევდნენ, — ყველაფერი მისი საქმე იყო.

ბავშვივით ხარობდა და ამბობდა:

— დაფიქრდით, ჩვენთან ეს უკვე მოგვარებულია, ეს უკვე შეგვიძლია და კარგადაც ვაკეთებთ, მართლაც შესანიშნავია, არა?

ბევრს აინტერესებდა, რატომ არ იყო მანიაკოვსკი პარტიის წევრი. არ მახსოვს არცერთი დისკუსია, რომელზედაც ეს კითხვა არ დაეხვათ მისთვის ზეპირად ან წერილობით. სიტყვა-სიტყვით ვერ ვიხსენებ როგორ პასუხობდა: ლბათ, ამის სტენოგრაფიული ჩანაწერი არსებობს და ცნობილიცაა. ჩემი აზრით, ყველაზე კარგად ამ კითხვას უპასუხა პოემაში „მთელი ხმით“:

Явившись
в Це Ка Ка
ндущих
светлым лет,
над бандой
поэтических
рвачей и выжиг

Я ПОДЫМУ,
как большевистский партбилет,
все сто томов

МОНХ
партийных интрижек.

საუბარში მანიაკოვსკი აღნიშნავდა, რომ თავს პარტიულად თვლიდა, ხოლო ფურცლებზე, შესვლა პარტიაში, მისი სიტყვით, დაკრძალვით ვაღიდელებულებას, რომელიც პატიონსად და ერთგულად უნდა შეესრულებინა. ეს დიდ დროს წაართმევდა, ის კი თვლიდა, რომ ჩვენი ქვეყანა ჭერ კიდევ როგორღაც ხამხედრო მდგომარეობაშია და, რომ ის თავისი ლექსებით პარტიასა და ქვეყანას სჭირდება.

დაკრძალვის დღეს ლილია ბრიკმა ტელეფონში მითხრა, არაფრის დიდებით არ დაეხწროთ მანიაკოვსკის პანაშვიდს, რადგან ობივატელების თქვენდამი ცნობისმოყვარეობამ და ინტერესმა შეიძლება შედმეტი ინციდენტი გამოიწვიოს.

გარდა ამისა, ასეთი ფრაზაც მითხრა:

— ნორა, ნუ ჩაუშვარებთ ვალოდიას ახლობლებს მასთან გამომშვიდობების ბოლო წუთებს.

ჩემთვის ეს მოხაზრებანი დამაჭერბელი იყო და მივხვდი, რომ პანაშვიდს არ უნდა დავხწრებოდი.

17 და 18 აპრილს ლილია ბრიკმა თავისთან მიმიწვია. მივედი იანშინთან ერთად, რადგან არცერთა წუთით არ შემეძლო მარტო დარჩენა. ბრიკი ძალიან უკმაყოფილო იყო იანშინის თანხლებების გამო.

სასადილოში ვილაღები ისხდნენ...

ისეთი შეგრძნება მოქონდა, რომ ლილია ბრიკს არ უნდოდა იმათ დავენახე.

სწრაფად მიხურა სასადილოს კარები და თავის ოთახში შეგვიძღვა. მაგრამ სურდა ცალკე ესაუბრა ჩემთან.

ამიტომაც თხოვა იანშინს, სასადილოში გასულიყო, თუმცა აშკარად არ უნდოდა იგი იქ მყოფ ადამიანებს შეხვედროდა.

ძალზე გულახდილი საუბარი გვქმნდა. ყველაფერი ვუამბე ჩემს ურთიერთობაზე მანიაკოვსკისთან, 14 აპრილზე, საუბრის დროს ხშირად იმეორებდა:

— დიან, ასეთი იყო ვალოდია.

მიამბო თავის ურთიერთობაზე მასთან. ვახუთქილებაზე, იმაზე, თუ როგორ იკლავდა თავს ვალოდია მისი გულისხათვის.

მერე მითხრა:

— არ გადანაშაულებთ, რადგან მეც ასე მოვიქცეოდი. მაგრამ მომავლისათვის ამ საშირეღმა ფაქტმა უნდა დაგარწმუნოთ, როგორ გულისხმიერად და მზარუნველობით უნდა მოეპყროთ ადამიანებს.

30 წლის ივნისის შუა რიცხვებში კრემლიდან

დაპირველ და მთხოვეს მოსალაპარაკებლად მივსულიყავი.

მივხვდი, რომ მაიაკოვსკის სიკვდილისწინა წერილზე უნდა ესაუბრაო ჩემთან.

გადავწყვიტე, ხანამ კრემლში წავიდოდი, მოვლაპარაკებოდი ლილია ბრიკს, როგორც მაიაკოვსკის ახლობელ ადამიანს, რომელიც განხვეწებული დებსა და დედას იცნობდა, ვფიქრობდა, რომ მაიაკოვსკის ოჯახის წევრობის უფლება არ მქონდა, თუკი ამის ხურვილი მის ახლობლებს არ გააჩნდათ.

ლილია ბრიკი ყოველთვის კარგად მეპყრობოდა და ამ რთულ საკითხშიც მისი დახმარების იმედი მქონდა.

ლილიამ შირჩია, უარი შეთქვა ჩემს უფლებებზე.

— დაფიქრდით, ნორა, — მითხრა, — რა მძიმე იქნება ეს დედისა და დებისათვის, ისინი ხომ ვალოდიან სიკვდილის ერთადერთ მიწვად გთვლიან და თქვენი სახელის გაგონებაც კი არ შეუძლიათ გულგრილად.

მერე მითხრა, რომ იცის მთავრობის აზრი, ეს აზრი, მისი სიტყვებით ასეთია: რა თქმა უნდა, მთავრობა, პატივს სცემს განხვეწებულის სურვილს და წინ არ აღუდგება მაიაკოვსკის თხოვნას მის მემკვიდრეებს შორის ჩემი ჩართვის შესახებ. მაგრამ არაოფიციალურად თხოვეს მას, ერჩია ჩემთვის, უარი ვთქვა ჩემს უფლებებზე.

ერთი მხრივ, შეჩვენებოდა, რომ მაიაკოვსკის ხსოვნის გამა უარი არ უნდა შეთქვა ამაზე, რადგან ეს თვითონ მაიაკოვსკიზე უარის თქმაც იქნებოდა. მისი ხურვილის შეუსრულებლობითა და მისი დახმარების უარყოფით თითქოს ხაზს გადავუსვამდი ყველაფერს, რაც იყო და რაც ასე ძვირფასია ჩემთვის.

მეორე მხრივ, ბევრს ვფიქრობდი, მაქვს კი უფლება, მივაყენო მის ახლობლებს ტკივილი და შევიქრა მათ ოჯახში მათივე სურვილის წინააღმდეგ?

ისე, რომ არაფერი გადამიწყვეტია, კრემლში წავიდი.

გამომიძახა ВЦНК-ის თანამშრომელმა ამხ. შიბაილომ, მან მითხრა:

— აი, ვლადიმირ ვლადიმისოვიჩმა თავის მემკვიდრედ გაგხადათ, როგორ უფურცობთ ამას?

ვუპასუხე, რომ ეს რთული საკითხია და იქნებ თვითონვე გამარკვევებოდა.

— იქნებ საგუტროს ვუჩვენებოდა? — სრულიად მოულოდნელად შეითხა შიბაილომ.

ხრულიად განადგურებული ვიყავი ასეთი მოულოდნელი და უნეში განცხადებით, რომელმაც დამიდასტურა ლილია ბრიკის სიტყვები.

— თუშეცა იფიქრეთ, ეს სერიოზული საკითხია, ასე დავშორდით.

ამის შემდეგ ერთხელ კიდევ ვიყავი ამხ. შიბაილოსთან და საბოლოოდ ისევ ვერაფერზე შევთანხმდით.

ამის შემდეგ არავის არასოდეს არაფერი უთქვამს ჩემთვის განხვეწებული ვლადიმირ მაიაკოვსკის ნების აღსრულებაზე. მისი ხურვილი ჩემს მიმართ არა და არ შესრულდა.

გავიდა 8 წელი. არავინ დაინტერესებულა, მიუხედავად იმისა, რომ მაიაკოვსკის უკანასკნელი დღეების, უკანასკნელი საათების მოწმე ვიყავი.

და აი, წელს გავიგონე პირველი თბილი, გულითადი სიტყვები: მაიაკოვსკის მუზეუმის დირექტორი ამხ. ეზერსკაია მწერს:

„თქვენ იყავით მაიაკოვსკის ყველაზე ახლობელი ადამიანი მისი ცხოვრების უკანასკნელ წელიწადს. თქვენ უნდა მოგვითხროთ. თქვენ არ გაქვთ უფლება უარო გვითხრათ“.

არაფერზე ვამბობ უარს.

მე მიყვარდა მაიაკოვსკი. მას ვუყვარდი მე და ამაზე არასოდეს ვიტყვი უარს.

დეკემბერი, 1988 წ.



სიბრძნე ზირაჟისა



თარგმნა გვანცა კოლატაძემ

თავი XXIII

1. უფალო, მამაო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, ნუ მიმატოვებ მე მათ ნებაზე და ნუ დაუშვებ, რომ დავეცე მათი წყალობით.
2. ვინ მიუჩენს მათრახს ზრახვათა ჩემთა და გულის ჩემსას სიბრძნის მასწავლებლებს, რათა მათ არ შეიწყალონ უმეტრებანი ჩემნი და ხელი არ შეუწყონ შეცოდებათა ჩემთა.
3. რათა არ განმრავლდნენ უმეტრებანი ჩემნი და არ გაიზარდოს ცოდვანი ჩემნი და არ დავეცე მე წინაშე მოწინააღმდეგეთა და არ იხაროს ჩემზე მტერმა ჩემმა?
4. უფალო, მამაო და ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო, ნუ ამაწევინებ მე თვალებს მალლა.
5. და გულისთქმა განმაშორე მე.
6. ნუ შემიპყრობს მე წაღიერება მუცლისა და ვნებათაღელვა და ნუ მიმცემ მე ურცხვ სულს.
7. მოიხშინეთ, შევიღნო, მოძღვრება პირისათვის, ვინც მას დაიკავს, ვერ დაიმორჩილებს.
8. ბაგენი მიხი. იგი შეიპყრობს ცოდვილს და შეურაცხყოფს ბილწისიტყვასა და ამპარტავანს.
9. პირს შენსას ნუ მიაჩვევ ფიცს და ჩვევად ნუ გაიხადი სახელის მოხსენებას წმინდისა.
10. რამეთუ ვითარცა მონას, რომელიც განუწყვეტლივ იხტება არ მოაკლდება წყლულები, ასევე, ვინც მუდამ იფიცება და ახსენებს სახელს [წმინდისა] ვერ განიწმინდება ცოდვისაგან.
11. კაცი ფიცმრავალი, უსჯულოებით აღივსება და მის სახლს შოლტი არ ასცდება. თუკი შესცოდავს, ცოდვა მისი მასზე იქნება და თუკი არად ჩააგდებს, ორმაგად შეცდება, ხოლო თუ ტყუილუბრადოდ დაიფიცა, ვერ განმალდდება და სახლი მისი აღივსება უბედურებით.
12. არის სიტყვა სიკვდილით შემოსილი, დაე, ნუ იპოვება იგი იაკობის მემკვიდრეობასა შინა. ყოველივე ეს ხომ შორს დგას ღვთისმოსავთაგან და - [იხინიც] არ გაებმებიან ცოდვათა შინა.
13. საძაგელ უზრდელობას ნუ მიაჩვევ პირს შენსას, რადგანაც მასშია სიტყვები ცოდვისა.
14. გაიხსენე მამა შენი და დედა შენი, როცა დიდებულთა შორის იჯდები, რათა არც მათ დაგივიწყონ არასოდეს და ჩვეულების მიხედვით სისულელდე არ ჩაიდინო და არ ინატრო, რომ არ დაბადებულყოფი და დღე შენი დაბადებისა არ დაწყდეს.
15. ადამიანი მიჩვეული ხალანძლავ სიტყვებს, მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე ვერ აღიწრდება.

- 16. ორი თვისება ცოდვას განამრავლებს, მესამე კი მოიწევს რიხხვასა.
- 17. ხული თბილი, ვითარცა ცეცხლი ანთებული, მანამ არ ჩაქრება, ვიდრე არ დაიღვას. კაცი შეძავი თავის სხეულში ვერ მოიხვენებს მანამ, ვიდრე ცეცხლი არ ანთება. გარყვნილი კაცისათვის უველა პური ტკბილია და არ დაცხრება იგი აღსასრულამდე.
- 18. კაცი შემოკდე თავის ხარცელზე ვულში ამბობს: „ვინ მხედავს მე ჩემს ირვლივ წუვლიადია და კედლებიც მფარავენ და ვერავინ დამინახავს, რისი უნდა მე შინა დებს? ცოდვები ჩემი არ მოეხენება უზენაესს“.
- 19. მას მხოლოდ ადამიანთა თვალები აშინებს და არ იცის, რომ უნდა მხედოს ათასჯერ ნათელია მზეზე. ისინი ადამიანთა უველა გზას ხედავენ და დანაკარგულ ქუჩებშიც აღწებენ.
- 20. მისთვის უოველივე ცნობილია შექმნამდე, ისევე როგორც შემდგომად აღსასრულია.
- 21. ასეთი [კაცი] ქალაქის ქუჩებში დაისჯება და სადაც ვერ იფიქრებდა, იქ წაასწრებენ მას.
- 22. ასევე ქალის, მიმტოვებელი ქმრისა, ვინც მეშვიდრეს უცხოსაგან იუოლიებს.
- 23. რადგანაც, ჯერ ერთი, არ დაემორჩილა კანონს უზენაესისა და მეორედ, შესცოდა წინაშე თავისი ქმრისა და მესამე, ავხორცობით იმრუსა და შვილები დაბადა უცხო კაცისაგან.
- 24. გამოიუვანენ მას საკრებულოს წინაშე და მის შვილებსაც გამოიძიებენ.
- 25. შვილნი მისინი ძირს ვერ გაიდგამენ და ნაყოფს ვერ გამოიღებს რტოები მისი.
- 26. თავის ხსოვნას საწუევლად დატოვებს და არ წარიხოცება სირცხვილი მისი.
- 27. დარჩენილები კი შეიკნობენ, რომ არაფერია უმჯობესი მიშე უფლისა და არაფერია უფრო ტკბილი, ვიდრე დაცვა უფლის მცნებათა.

თავი 111

- 1. სიბრძნე შეაქებს ხულს თავისას და თავის ხალხში ხოტბას შეიხმამს.
- 2. პირს ვაალებს უზენაესის ეკლესიაში და წინაშე მისი მხედრობისა თავს შეიქებს:
- 3. „მე გამოვედი პირისაგან უზენაესისა და ვითარცა ნისლმა დავფარე დედამიწა.
- 4. მაღალზე დავდგი მე კარავი ჩემი და ტახტი ჩემი სვეტზე ღრუბლისა.
- 5. მარტომ შემოვიარე სიბრგვალე ზეცისა და მოვვლე სიღრმენი უფსკრულისა.
- 6. და ვიუფლე ტაღლები ზეცისა, მთელი დედამიწა და უოველი ხალხი და ტომი.
- 7. უველა მათგანში ვეძებე განსვენება და ვის სამკვიდრებელში დავბინავდი!
- 8. მაშინ მიბრძანა მე უოველთა დამბადებელმა და შემქმნელმა ჩემმა, მანაზა კარავი განსასვენებელი და მითხრა: „იაკობში დაივანე და ისრაელში დამკვიდრდი“.
- 9. უწინარეს საუკუნისა, დასაბამიდანვე, შემქმნა მე და ვიდრე უკუნისამდე არ გავთავლები.
- 10. წმინდა კარავში ვიმხაზურე მე მის წინაშე და სიონში ამგვარად განვმტკიცდი.
- 11. ასევე მან თავის ხაყვარელ ქალაქში მომასვენა მე და იერუსალიმშია მეუფება ჩემი.
- 12. და გავიდგი ძირი სახელგანთქმულ ხალხში, რომელიც ხვედრია უფლისა და სამემკვიდრეო მისა.
- 13. ავმალღდი ვითარცა ნაძვი ლიბანსა შინა და ვითარცა კვიპაროსი აერმონის მთებზე.
- 14. ავმალღდი როგორც ფინიქი ენგადსა შინა და როგორც ბუჩქები ვარდისა იერიქოსა შინა და ავმალღდი ვითარცა ზეთისხილი მშვენიერი ველსა ზედა და ვითარცა ჭადარი.
- 15. გამოვეცი არომატული სურნელება ვითარცა დარიჩინმა და ახალანთმა და ვითარცა გუნდრუკმა ჩრეულმა კეთილსურნელება მოვფინე, როგორც ხალბანმა, ონიქსმა და სტაკტმა და როგორც საკმევლის კვამლმა კარავში.
- 16. გავწვადე რტოები ვითარცა ტერემინთოსმა და რტონი ჩემნი — რტონი დიდებისა და მაღლისა.
- 17. მე წარმოვშვი მაღლი როგორც ვენახმა და უვავილნი ჩემნი ნაყოფია დიდებისა და სიმდიდრისა.
- 18. მოდიოთ ჩემთან, რომელთაც გაქვთ სურვილი ჩემი და გაძებით ჩემი ნაყოფით.
- 19. რადგანაც გახხენება ჩემი თაფლზე უცაბესია და დამკვიდრება ჩემი — ფიჭის თაფლზე ხასიაშოვნო.
- 20. მკამელთა ჩემთა კიდევ მოშივდებათ და მსმელთა ჩემთა კვლავ მოხწყურდებათ.
- 21. მსმენელი ჩემი არ შერცხვება და რომელნიც ჩემთან მუშაკობენ, არ შეხცოდავენ.
- 22. უოველივე ეს — აღთქმის წიგნია უზენაესი ღვთისა და კანონია, რომელიც მოსემ შემკვიდრებლად გვიანდერძა ჩვენ — იაკობის საკრებულოს.

- 25. ის გვაძლევს სიბრძნით როგორც ფისონი და როგორც ტიგრიხი დღეთა შინა ახალთა.
- 26. ის გვაძლევს გონებით ვითარცა ევფრათი და ვითარცა იორდანე დღეებში მკისა.
- 27. ის ასხივებს მოძღვრებას როგორც სინათლე და როგორც გეონი — დღეებში რთვლისა.
- 28. პირველმა [ადამიანმა] ვერ შეიმეცნა იგი სრულად და ასევე ვერ გამოიკვლევს მას უკანასკნელიც.
- 29. რადგანაც ზღვაზე უფრო დიდია აზრი მისი და განზრახვა მისი უფრო ღრმა, ვიდრე უფსკრული თვალუწვდენელი.
- 30. და შე ვითარცა აზრი მდინარიდან და ვითარცა ნაკადული გამოვედი სხვადასხვაგვარად.
- 31. ვთქვი: „მოვრწყავ მე ბაღს ჩემსას და დავათრობ ბოსტანს ჩემსა“. მდინარედ იქცა, მდინარე ჩემი კი ზღვად.
- 32. და გამოვაბრწყინებ სწავლებას ვითარცა განთიადს და შორს მივფენ მას.
- 33. და დავღვრი მოძღვრებას, ვითარცა წინასწარმეტყველებას და დავუტოვებ მას ერს საუკუნოდ.
- 34. ხედავთ, რომ მხოლოდ ჩემთვის როდი დავშვერი, არამედ ყველასთვის, ვინც სიბრძნეს ეძიებს.

თავი 11

- 1. სამით მოვირთე და წარვდექი გამშვენებული წინაშე უფლისა და ადამიანთა. [ესენია] ერთსულოვნება ძმათა შორის, სიყვარული მახლობლებისა და ცოდ-ქმარი, ერთმანეთთან თანხმობით მცხოვრებნი.
- 2. და სამგვარი [ადამიანი] შეიძულა სულმა ჩემმა და ფრიად საძაგელია ცხოვრება მათი: ღატაკი ქედმაღალი, მატყუარა მდიდარი და მოხუცი მრუსი, გონება რომ მოაკლდა.
- 3. იმას, რაც სიჭაბუკეში ვერ შეაგროვე, როგორღა შეიძენ შენი სიბერის უამს?
- 4. რარიგ შეშვენის მხცოვანებს მსჯავრი და უფროსებს მოცემა რჩევისა!
- 5. რარიგ უხდება მოხუცს სიბრძნე და დიდებულებს აზრი და განსჯა!
- 6. მოხუცთა გვირგვინია მრავალნაცადობა და სიამაყე მათი — შიში უფლისა.
- 7. ცხრა აზრი მივიჩნიე გულში ნეტარად და მეთეს ენით ვიტყვი: [ესაა] კაცი, ვინც ბარბოს შვილებით და ვინც სიკოცხლეშივე ნახავს დაცემას მტერთა.
- 8. ნეტარია ის, ვინც გონიერ ქალთან ცხოვრობს, ვინც არ შესცოდა ენით და მასზე უღირსს არ ემსახურა.
- 9. ნეტარია ის, ვინც სიბრძნე შეიძინა და მიუთხრობს მას მსმენელთა ყურებს.
- 10. ხომ დიდია ის, ვინც სიბრძნე შეიძინა, მაგრამ არა იგი უფრო დიდი მოშიშზე უფლისა.
- 11. შიში უფლისა ყოველივეს აღმატება და ვინაც იგი აქვს, ვინ შეედრება?
- 12. ყოველგვარი კრილობა დაითმინება, მაგრამ არა კრილობა გულისა და ყოველი ბოროტება, მაგრამ არა ბოროტება ქალისა.
- 13. ყოველი თავდასხმა, ოღონდ არა თავდასხმა მოძულეთა და ყოველი შურისძიება, ოღონდ არა შურისძიება მტერთა.
- 14. არ არსებობს თავი უფრო [სხამიანი] ვიდრე თავი უხსენებლისა და არ არსებობს გულისწყრომა უფრო დიდი, ვიდრე გულისწყრომა მტრისა.
- 15. ღოშმა და დრაკონთან ერთად ცხოვრებაზე დავთანხმდები, მაგრამ უკეთურ ქალთან ცხოვრებაზე კი — არა.
- 16. უკეთურება ქალისა ცვლის მის მზერას და სახეს მისას დააბნელებს ვითარცა დათვისას.
- 17. ქმარი მისი დაქდება მახლობელთა შორის და მოისმენს რა [მასზე], მწარედ დაიკვნებებს.
- 18. ყოველი ბოროტება მცირეა ქალის ბოროტებასთან შედარებით, დაე, ხვედრი ცოდვილისა დაატყდეს მას.
- 19. ვითარცა მოხუცის ფეხებისათვის აღმასვლა ქვიშიან გზაზე, ასევე აჩხილი ცოლი მშვიდი კაცისათვის.
- 20. ნუ უთვალთვალე სიღამაზე ქალისას და ცოლთან ნუ ავხორცობ.
- 21. საწყენია, უტიფრობა და დიდი სირცხვილია, როცა ცოლი მეუფობს თავის ქმარზე.
- 22. გული დამდაბლებული, საზე სევდიანი და გულის კრილობაა დედაკაცი უკეთური. დაშვებული ხედები და დაუძღურებული მუხლებია ქალი: რომელიც თავის ქმარს შვებას არ ანიჭებს.

- 24. ქალისაგანაა სათავე ცოდვისა და მისი წყალობით ვიხოცებით ყველანი.
- 25. ნუ მისცემ წყალს გასავალს და უფლებას ბოროტ დედაკაცს.
- 26. თუ შენი ხელით ვერ წარმართე, მოიკვეთე იგი შენი ხსეულიდან.

თავი \ \ \ I



- 1. ბედნიერია ქმარი კარგი ცოლისა და რიცხვი მისი დღეების ორმაგად.
- 2. ხათხო ცოლი ახარებს თავის ქმარს და მის წლებს სიმშვიდით აღსავსებულად.
- 3. კარგი ცოლი — კეთილი ბედურია — იგი მიეცემა მოშიშთა უფლებას.
- 4. [მახთან] გული მდიდრისაც და ღარიბისაც ბედნიერია. ხოლო სახე ყოველთვის მზიარული.
- 5. სამისა ეშინია გულს ჩემსას, მეოთხეზე კი ვლოცულობ: ქალაქის მტრობისა, ბრბოს ამბოხისა და სიკვდილის მოჭორვისა. უოველივე ეს საშინელია.
- 6. ხატკივარია გულისა და მწუხარებაა ცოლი, რომელიც [მეორე] ცოლზე ეტვიანობს და შოლტი მისი ენისა ყველას გადაწვდება.
- 7. ბოროტი ცოლი მორყეული უღელია ხარისა, პატრონი მისი — ვითარცა შემპყრობი მორიელისა.
- 8. დიდი ჭავრია შემთვრალე ცოლი და ვერ დაფარავს იგი თავის აუგს.
- 9. მრუშობა ქალისა თვალთა ზეაპყრობით და მისი წამწამებით გამოიცინობა.
- 10. ურცხვ ქალიშვილს დარაჯი მიუჩინე, რათა თავისუფლება ვერ იპოვოს და ბოროტად არ გამოიყენოს საკუთარი თავი.
- 11. მოერიდე უტიფარ თვალს და ნუ გაიკვირვებ, თუკი შესცოდავს შენს წინაშე.
- 12. ვითარცა მწყურვალი მგზავრი პირს აღებს და ახლო-მახლო ყველა წყალს ეწაფება, ასე დაქდება იგი წინაშე ყოველი პალოსა და წინაშე ისრისა კაპარჭს გაადებს.
- 13. თავაზიანობა ცოლისა მის ქმარს ახარებს და გონიერება მისი ამოხიერებს ძვალით მისთა.
- 14. უფლის წყალობაა მდუმარე ცოლი და ფასდაუდებელია სული განსწავლული.
- 15. მადლი მადლზეა მორცხვი დედაკაცი და არ არსებობს ღირსეული ხაზომი თავშეკვებული ხულისა.
- 16. ვითარცა ამომავალი მზე უფლის სიმაღლეთა შინა, ასევე ხილამაზე კარგი ცოლისა — ნიწესრიგებული ხახლია მისი.
- 17. ვითარცა ლამპარი ანთებული წმინდა შანდალში, ამგვარია სიმშვიდის ახაკში ხილამაზე მისი სახისა.
- 18. ფერხნი [მისნი] მშვენიერნი მტკიცე ტერფებზე, ვითარცა ხვეტები ოქროსა-ვერცხლის ხაურდენზე.
- 28. ორზე იდარდა გულმა ჩემმა, მესამეზე კი რისხვამ იფეთქა: როცა მებრძოლი ვაჟაკი გახაკირს ვანიცდის და კაცთა გონიერთა აბუჩად იგდებენ, მას კი, ვინც ხიშართლიდან ცოდვისაკენ მიიქცევა, უფალი განამწაადებს მახვილისათვის.
- 29. ძნელად რომ ვაქარი ცდუნებას გაეკცეს და ვერ დაიხსნის თავს ცოდვისაგან ხირაქი ღვინისა.

თავი \ \ \ II

- 1. მრავალთა შესცოდეს უფლისა გამო და მძებნელი სიმდიდრისა თვალს მიატრიალებს.
- 2. კვათა სიმტკიცეში ღურბმანი ჩაერქობა, აღებ-მიცემობისას კი ცოდვა შეიჭრება.
- 3. უკეთუ [კაცი] ბეჭილად არ იკავებს თავს ღვთის შიშით, მსწრაფლ დაემხოება სახლი მისი.
- 4. საცრის შერხვეისას ნავავი რჩება, ასევე უწმინდურობანი კაცისა — მისი მსჯელობისას.
- 5. ჭურჭელს თიხისას ღუმელი გამოცდის, ხოლო კაცს მისი საუბარი.
- 6. ხის მოვლა-პატრონობას ნაყოფი წარმოაჩენს, ადამიანის გულის ზრახვებს კი — სიტყვა.
- 7. ნუ შეაქებ საუბრის დაწყებამდე, რადგანაც იგია გამომცდელი ადამიანთა.
- 8. თუკი ხიშართლეს მისდევ, დაეწვი კიდევაც მას და შეიმოსები მისით, ვითარცა სამოსით დიდებისა.
- 9. ფრინველნი თავიანთ მსგავსებთან ეძებენ თავშესაფარს და ხიშართლეს იმათ დაუბრუნდება, რომელნიც მისით მოქმედებენ.
- 10. ვითარცა ღოში უსაფრღება ნადავლს, ასევე ცოდვა — უხამართლობის ჩამდენთა.

11. თხოვა ღვთისმოსავისა მუდამ სიბრძნეა, უგუნური კი იცვლება ვითარცა მთვარე.
12. უგუნურებთან დროს ნუ დაქარგავ, არამედ ყოველთვის გაატარე იგი კეთილგონიერთა შორის.
13. სულელთა საუბარი საძაგელია, ხოლო სიცილი მათი — თავის შექცევა ცოდვითა.
14. უხედობა ფიცმრავალისა თმას უაღუზე აქენებს და მათი კამათი დაახშობს ყურადღებას.
15. ქედმადლობა ჩხუბი — სიხბლისღვრას და მათი ლანძღვა მძიმედ მოხასმენი.
16. ვინც საიდუმლო გაამჟღავნა, ნდობა დაქარგა და ვერ იპოვის მეგობრებს [უგუნურებს] წყლისა.
17. შეიძვრე მეგობარი და იყავი ერთგული მისი, ხოლო უკეთუ მის საიდუმლოებას გაამჟღავნებ, ნულარ დაედევნები უკან.
18. რადგანაც მსგავსად კაცისა, რომელმაც მტერი მოკლა, მოკალი შენ მეგობრობა მახლობელისა.
19. თითქოსდა ჩიტი გაგეშვას ბელიდან, ისე დაქარგე მახლობელი და ველარ მოინადირებ მას.
20. ნულარ დაედევნები მას, რადგანაც იგი შორს გაგიდგა და გაგექცა ვითარცა შველი ხაფანგისაგან.
21. რამეთუ შეიძლება კრილობის შეხვევა და შერიგება ჩხუბის შემდეგ, მაგრამ ვინც საიდუმლო გაამჟღავნა იმედიც დაქარგა (შერიგებისა).
22. ვინც თვალთ ანიშნებს, ის ბრძიებს აწყობს და ვერავინ შეაჩერებს მას ამისაგან.
23. შენს თვალთა წინაშე თავის პირს დაატკობს და გაიკვირვებს სიტყვათა შენთა, მაგრამ ბოლოს კი შეირყვნის პირსაც და შენს სიტყვებშიც საცდურს აღმოაჩენს.
24. მრავალი მოვიძავე, მაგრამ არავინ მსგავსად მისა და მას უფალიც შეიძულებს.
25. ქვის მადლა მხროლელი თავის თავს უხვრის და დარტყმა მზაკრული კრილობას გახსნის.
26. მთხრელი ორმოსა თვითონვე ჩავარდება მასში და მახის დამგებელიც თვითონვე გაეშვება.
27. ვინც ბოროტებას სჩადის, მასვე მიუბრუნდება და ვერც გაიგებს, საიდან დაატყდა თავს.
28. დაცინვა და ლანძღვა ამპარტავანისა და შურისძიება მსგავსად ღომისა ჩაუსაფრდება მას.
29. მოხარული ღვთისმოსავთა დაცემისა მახეში გაეშვებიან და სევდა დააძაბუნებს მათ ვიდრე სიკვდილამდე.
30. სისაძაგლეთა ასევე რისხვა და წყრომა და კაცი ცოდვილიც მათგან შეიპყრობა.

თავი XXVIII

1. მაძიებელი შურისა შურისძიებას უფლისაგან იპოვის, რომელიც თვალყურს ადევნებს და ხედავს ცოდვათა მისთა.
2. მიუტევე უსამართლობა მოყვასსა შენსა და მაშინ ვედრებისას შენც მიგეტევება ცოდვანი შენნი.
3. ადამიანი ადამიანზე გამწყრალია და თავად კი უფლისაგან ეძიებს განკურნებას.
4. თავის მსგავს ადამიანს ვერ უთანაგრძნობს და საკუთარ ცოდვათა გამო კი ივედრება.
5. თავადაც ბოროტელი ბოღმას ინაბავს და ვინ განწყენდს მას ცოდვებისაგან?
6. გაიხსენე აღსასრული და შეწყვიტე მტრობა, გაბრწნა და სიკვდილი [გაბსოვდეს] და მცნებანი დაიცავი.
7. მცნებები გაიხსენე და მახლობელზე ნუ განრიხდები, უზენაესის აღთქმა [გაბსოვდეს] და უგუნურება მოიძულე.
8. თავი შეიკავე ჩხუბისაგან და ცოდვებს შეიმცირობ, რადგანაც გულფიცხი კაცი ჩხუბს დაანთებს.
9. და კაცი ცოდვილი მეგობრებში შფოსს შეიტანს და მშვილად მხცოვრებთა შორის შუღლს ჩამოაგდებს.
10. როგორიცაა შეშა ცეცხლისა, ისე გაჩაღდება იგი და ჩხუბიც მისი სიძლიერისდამიხედვით დაინთება, ადამიანის ძალის შესაფერისი იქნება მისი გულისწყრომა და რისხვა მისი ქონებისდამიხედვით გაიზრდება.
11. ცხარე შუღლი ცეცხლს აღაჯნებს, ცხარე ჩხუბისაგან კი სისხლი დაიღვრება.
12. უკეთუ ნაკვერცხლებს შეუბერავ, გაჩაღდება და უკეთუ დანერწყვავ, ჩაქრება და ორივე შენი პირისაგან გამოდის.

- 14. წვეულებას იყოს დამსმენი და ორენიანი, რადგანაც მრავალნი მშვიდად მცოვრები დადუბეს.
- 15. შესამე ენამ ბევრი შეარუია და დევნა ისინი ხალხიდან ხალხში, მტკიცე ქალაქები დაარღვია და დიდებულთა სახლები დაამხო.
- 16. შესამე ენამ ქველი დედაკაცები განდევნა და მოწყვითა ისინი თავიანთ კაფას.
- 17. მოხვენებას ვერ იპოვის მსმენელი მისი და უშფოთველად ვერ იცხოვრებს.
- 18. დარტყმა შოდტისა წველულებს წარმოშობს, დარტყმა ენისა კი შეძობს რაჭს ძვალთა.
- 19. მრავალნი დაეცნენ პირით მახვილისა, მაგრამ არა იმდენნი რამდენნიც ვინც.
- 20. ბედნიერია, ვინც დაიფარა თავი მისგან, ვინაც არ დაატყდა რისხვა მისი, ვინც არ ათრია უღელი მისი და მისი ბორკილებით არ შეიკრა.
- 21. რადგანაც უღელი მისი — უღელია რკინისა და ბორკილნი მისი — სპილენძის ბორკილები.
- 22. სიკვდილი ბოროტი — სიკვდილი მისი და ჭოჭოხეთიც კი უკეთესია მასზე.
- 23. ვერ იუფლებს იგი ღვთისმოსავეს და არ დაიწვებიან ისინი მისი ალით.
- 24. მიმტოვებელნი უფლისა კი დაექანებიან მისკენ და გაჩადდება იგი მათ შორის და აღარ ჩაქრება. წარბეზება იგი მათთან ვითარცა ლომი და ვითარცა ჭიქი გაანადგურებს მათ.
- 25. ქონება შენი ეკლით მოზღუდე და შეკარი შენი ვერცხლი და ოქრო.
- 26. სახწორი და საზომი შექმენი შენს სიტყვათათვის და პირს შენსას კარი და საყტი გაუკეთე.
- 27. უფრთხილდი, რათა არ წაიბოროციო მის გამო და წინაშე მომნადირებელისა არ დაეცე.

თავი XXX

- 1. ვინც წვალობას ვაიღებს, სესხად აძლევს მახლობელს და ვინც მას ხელითა თვისითა განამტკიცებს, მცნებებს დაიცავს.
- 2. მიახესხე მოუვახს მისი გასაჰირის ეამს და თვითონაც დროზე დაუბრუნე მახლობელს.
- 3. მტკიცედ დაიცავი სიტყვა, მისი ერთგული იყავი და უოველ ეამს იპოვი შენთვის საჰიროს.
- 4. ბევრმა მიიჩნია სესხი ვითარცა ნაპოვნი და ტანჯვა მიაყენა მას, ვინც შეეწია.
- 5. ვიდრე მიიღებდეს, ხელებს დაუკოცნის მას და მახლობლის ფულზე ხმას დაიმდაბლებს. უკან მიცემისას კი დროს გააჰიანურებს. უზრუნველ პასუხს გასცემს და დროს მოიმიზეზებს.
- 6. თუკი შეძლებს მიცემას, ნახევარს ძლივს მიუტანს და ვითარცა ნაპოვნი, ისე ჩაეთვლება [მხესხებელს], ხოლო უკეთუ ვერ შეიძლებს, [ამ უკანასკნელმა] დაკარგა თავისი ფული და ტუილუბრალოდ მტერიც შეიძინა, რადგანაც მას წუველახა და ვინებას გაუგზავნის და ნაცვლად პატივისა უპატიობას მიაგებს.
- 7. ამგვარი ვერაგობისა გამო მრავალნი არიდებენ თავს [გახესხებას], ეშინიათ რა, რომ ტუილად დაკარგავენ.
- 8. მაგრამ ღარიბის მიმართ ხელგრძელი იყავ და მას მოწყალეობას ნუ დაუგვიანებ.
- 9. შეეწიე ვლახას მცნებისა გამო და მისი გასაჰირისას ხელცარიელს ნუ გაუშვებ.
- 10. დაბარჩე ვერცხლი ძმისა და მეგობრის გულისათვის და ნუ დაუანგავ მას ღოდის ქვეშ წარსაწყმედად.
- 11. საუნჯე შენი უზენაესის მცნებისამებრ დააწყვე და უფრო მეტ სარგებლობას მოგიტანს, ვიდრე ოქრო.
- 12. შენი მოწყალეობა შენს საგანძურთა შინა ჩაკეტე და იგი გიხსნის შენ უოველგვარი გასაჰირისაგან.
- 13. და მტრისაგან მტკიცე ფარსა და მძიმე შუბზე უკეთ დაგიცავს.
- 14. კაცი კეთილი მახლობელს თავდებად დაუდგება, ხირცხვილდაკარგული კი მიატოვებს მას.
- 15. ნუ დაივიწყებ მადლს თავდებისა, რადგანაც შენთვის მისცა მან სული თვისი.
- 16. მდგომარეობას თავდებისა აწეწს ცოდვილი და ხულით უმადური [თავის] მხსნელს მიატოვებს.
- 17. თავდებობამ მრავალნი დაღუპვამდე მიიყვანა და შეარუია ისინი ვითარცა ზღვის ტაღლამ.
- 18. სახლიდან განდევნა ძლიერი ვაჟკაცები და უცხო ტომებში ახეტიალა.

19. ცოდვილი, თავისთავზე ამღები თავდებობისა და მოგებას გამოდევნებული — სასჯელსა შინა ჩავარდება.

20. შეეწიე მახლობელს შენი შეძლებისდამიხედვით და უფროსილდი, რომ თავადაც არ ჩავარდე.

21. დასაბამი ცხოვრებისა წყალი, პური, სამოსელი და სახლია — დამფარველი სიბრძნისა.

22. უმჯობესია ცხოვრება ლატაკისა შორების საფარქვეშ, ვიდრე უცხოთა შორის ბრწყინვალე ნადიმები.

23. მადლიერი იყავ მცირეზეც და დიდზეც და საყვედურს სახლეულისა და სახლშიც და სიკაცსა და სიკაცსა.

24. უკეთურია სიკაცსა [ნეტიალისას] სახლიდან სახლში, სადაც კი დახინავდები, პირსაც ვერ გააღებ.

25. უნდა აკამო და ასვა უმადურებს და უფრო მეტიც, მწარეც მოისმინო.

26. „შემოდი, გადამთიელო, სუფრა გაამზადე და თუ გაქვს რამე, მაკამე მე“.

27. „უნდა წახვიდე, გადამთიელო, საპატიო პირისა გამო, ძმა მესტუმრა და სახლი მჭირდება“.

28. მძიმეა გონიერი კაცისათვის თავშესაფრის დაუვედრება და საყვედური მსესხებელისა.

თავი XXX

1. ვისაც თავისი შვილი უუვარს, დასჯას მოუხშირებს, რათა ბოლოს მისით გაიხაროს.

2. დამმოდვრელი თავისი შვილისა მისგან შეწყვენას მიიღებს და თავს მოიწონებს ნაცნობთა შორის.

3. ვისც თავის შვილს ასწავლის, მტერში შურს აღძრავს, მეგობართა წინაშე კი მისით გაიხარებს.

4. აღესრულა მამა მისი და თითქოსდა არც აღესრულა, რადგანაც დატოვა თავისი მსგავსი შემდგომად თავისა.

5. თავის სიკაცსაში უუურებდა მას და ხარობდა და არც სიკვდილის ეამს იყო მწუნსარე.

6. რადგანაც მტრებისათვის შურისმაძიებელი დატოვა, მეგობრებისათვის კი — გადამხდელი მადლისა.

7. გამნებივრებელი შვილისა კრილობებს შეუხვევს მას და ყოველ წამოყვირებაზე შეუქანდება გული მისი.

8. ცხენი გაუხედნელა დაღმა დაშვებისას გაჩიუტდება, შვილი, მიშვებულთა თავის ნებაზე კი, დაექანება.

9. გაანებივრე შვილი და დაგაშინებს, გაერთე მასთან და დაგამწუხრებს შენ.

10. ნუ გაიცინებ მასთან, რათა მასთან ერთად არ დაიტანჯო და ბოლოს კბილები არ აღჩივლოს.

11. ნუ მისცემ მას უფლებას სიკაბუკეში

12. და დაეევე გვერდები მისი, ვიდრე ნორჩია, რათა არასოდეს გაჩიუტდეს და შენს მორჩილებაზე ხელი არ აიღოს.

13. აღწარდე შვილი შენი და შრომა გასწიე მასზე, რათა მისი უხამსი საქციელი საზრუნავად არ გაგიხდეს.

14. უმჯობესია ლატაკი ჯანმრთელი და ძალ-ღონით ძლიერი, ვიდრე მდიდარი დაძაბუნებული სხეულით.

15. სიმრთელე და სიძლიერე ყოველ ოქროს სჯობს და სხეული ჯანსაღი — განუზომელ სიმდიდრეს.

16. სიმდიდრე როდია უკეთესი ჯანმრთელ სხეულზე და არ არსებობს უფრო დიდი სიხარული, ვიდრე სიხარული გულისა.

17. გამწარებულ სიკაცსაღეს სიკვდილი სჯობს და ხანგრძლივ ხნეულებას — საუკუნო განსვენება.

18. სიტკბო დაღვრილი მოკუმულ პირთან იგივეა, რაც ხანოვადე, დადგმული საფლავზე.

19. რა ხარგებლობას მოუტანს კერპს მსხვერპლი? [რადგანაც] ვერ შეკამს და ვერც დაუნოსავს: ახვეე დევნილიც უფლისაგან

20. თვალებით უუურებს და კვნების ვითარცა საჭურისი, ქალწულს რომ ეხვევა და ოხრავს.


21. ნუ მიეცემი სულით მწუნხარებას და თავს ნუ გაიწამებ ეჭვიანობით.

22. სიბარული გულისა — სიკაცხლეა ადამიანისა და მხიარულება კაცისა — დღეგრძელობა მისი.

23. შეიყვარე სული შენი და გული შენი გაამხნევე და ხანგრძლივი დარდი განიშორე შენგან, რადგანაც დარდმა მრავალი დაღუპა და უსარგებლო იგი.

24. ექვიანობა და გაშმაგება დღეებს ამოკლებს, ზრუნვას კი ნადრევად მოაქვს სიბერე

25. გული ნათელი და კეთილი თავის საქმელსა და სასმელზეც იზრუნებს.



1. მღვიძარება სიმდიდრისა გამო სხეულს ჩამოახშობს და მასზე ზრუნვა ძილს განდევნის.
2. ფხიზელი მზრუნველობა რულსაც არ მოგვაკარებს და ძილს წაგვართმევს მძიმე სწეულება.

3. იშრომა მდიდარმა ქონების შეგროვებისათვის და განხვეწების უამს გულსაც მოიქცრებს მისი სიკეთით.

4. მოყვარული ოქროს ვერ განმართლდება და ვინც უპირატესობისათვის იბრძვის, თვითონვე შეცდება.

5. მრავალნი დაეცნენ ოქროს გულისათვის და მათსავე თვალწინ მოხდა დაღუპვა მათი.

6. იგია ძელი შებრკოლებისა მათთვის, ვინაც გაიტაცებს და უოველ უგუნურსაც იგი შეიპყრობს.

7. ბედნიერია მდიდარი, რომელიც უმწიკვლო აღმოჩნდა და რომელიც უკან არ გამოუდგო ოქროს.

8. ვინ არის იგი? და ჩვენ განვადიდებთ მას, რამეთუ სასწაული მოახდინა თავის ხელში.

9. ვინ შეცდა ოქროთი და მაინც უმწიკვლო დარჩა? დაე, იყოს ეს მისთვის საამაყო; ვის შეეძლო შემცდარიყო და არ შეცდა? ბოროტება ჩადინა და არ ჩაიდინა?

10. მყარი იქნება ქონება მისი და მის მოწყალებათა თაობაზე გვაუწყებს საკრებულო.

11. მდიდრულ ხუფრას მიუჭექი? ნუ დაადებ პირს შენსას და ნუ იტყვი: „მასზე ხომ ბევრია“.

12. გახსოვდეს, რომ ხარბი თვალი ბოროტებაა. თვალზე უფრო გაუმადლარი რა შეიქმნა? ამიტომაც მისტირის ყველაფერს რასაც კი ხედავს.

13. საითყენაც იგი გაიხედავ, ხელს ნუ გაიწოდებ და ლანგარს ნუ ჩაბლუჭავ.

14. მახლობელზე საკუთარი თავის მიხედვით იმსჯელე და უოველი საქმე განსაჭე.

15. ვითარცა კაცმა შექამე, რჯსაც შეგთავაზებენ და ნუ იცობნები, რათა არ შეგიძაგონ

16. [კამა] პირველმა შეწყვიტე ზრდილობისა გამო და გაუმადლარი ნუ იქნები, რათა არასოდეს იქცე საცდუნებლად.

17. და თუ მრავალთა შორის დაქდები, მათგან პირველი ხელს ნუ გაიწოდებ.

18. კაცი, კარგად აღზრდილი, მცირედსაც იკმარებს და არც თავის ხაწოლზე აქოშინდება.

19. ჯანსაღი ძილი ზომიერ კუქს მოაქვს. დილით ადრე ადგა და სული მისი მახთანაა. გაუმადლარ კაცს კი ტანჯვა უძილობისა, ქოლერა და მუცლის კრა ექნება.

20. უკეთუ დამძიმდი ხორაგეულით, ხუფრიდან ადექი და შეიხვენე.

21. მისმინე, შეილო, და ნუ უგულვებელმყოფ შე და სიტყვებს ჩემსას ბოლოს ირწმუნებ. ყველა შენს საქმეში სიფრთხილით იყავ და არ შეგეყრება არცერთი სწეულება.

22. პურადს ბაგენი დალოცავენ და მტკიცება მისი სიკეთისა — ხარწმუნოა.

23. პურადმვირზე ქალაქი დრტვინვას დაიწყებს და მტკიცება მისი სიძუნწისა — სწორია.

24. ღვინოში სიმამაცეს ნუ გამოიჩენ, რამეთუ ღვინომ მრავალი დაღუპა.

25. ფოლადის სიმტკიცეს ქურა გამოცდის, ქედმაღალთა გულს კი ღვინო ჩხუბისას.

26. ადამიანთა სიკაცხლისათვის ღვინო საჭიროა, თუკი მას ზომიერად შესვაშენ. რა არის სიკაცხლე გარეშე ღვინისა? იგი ხომ კაცთა სასიბარულოდ შეიქმნა.

27. მხიარულება გულისა და შვება სულისა — ღვინო შესმული ზომიერად და შესაფერისად ეამისა.

28. სიმწარე სულისა — ბევრი ღვინის სმა უამსა მღელვარებისა და ჩხუბისა.

29. თრობა ზრდის სიშმაგეს უგუნურისა შებრკოლებამდე, ართმევს ძალასა და კრილობებს აყენებს.

30. ნუ ამხელ მახლობელს ნადიმზე ღვინის სმისას და მისი მხიარულების ეამს ნუ დაამცირებ, ნუ ეტყვი მას ხიტყვას საყვედურის და ნუ დაამძიმებ შენი მოთხოვნებით.

თავი XXXII

1. თუ შენ [მონადიმეთა] წინამძღოლად დაგადგინეს, თავს ნუ ამალღებ, არამედ იყავ მათ შორის ვითარცა ერთი იმათგანი, ჭერ მათზე იზრუნე და მაშინ დაქეპი,
2. როცა უოველ საქმეს აღასრულებ, რაც გევალება, რათა მათით გაიზარდ და თავაზიანობისათვის გვირგვინი მიიღო.
3. ისაუბრე, წინამძღოლო, რამეთუ შენ ეს შეგეფერება, დარბაისლური უფროსი და შეუშლი ხელს მუსიკასაც.
4. როცა [მას] უსმენენ, ენად ნუ გაიკრიფები და ნუ ბრძენობ უდროო დროს.
5. ვითარცა ბეჭედი ლაღისა ოქროს სამკაულში, ასევე კეთილმზოვანება მუსიკისა ნადი, მზე ღვინის სმისას.
6. ვითარცა ბეჭედი სმარაგდისა ოქროს ბუდეში, ასევე მანგი მუსიკისა ტკბილი ღვინის სმისას.
7. თუკი შენ გვირდება, როცა გკითხავენ, ორიოდ სიტყვით თქვი, კაბუკო.
8. უმთავრესი, მცირედით მრავალი და იყავი ვითარცა მცოდნე და მახთან შემძლე დუმილისა.
9. დიდებულთა შორის ყოფნისას მათ თავს ნუ გაუტოლებ და ნუ მრავალსიტყვაობ, როცა სხვა საუბრობს.
10. ქუხილს ელვა უსწრებს, ხოლო სიმორცხვეს კეთილგანწყობა.
11. დროულად წამოდექ და ხოლო ნუ იქნები, სახლისკენ იჩქარე და ნუღარ შეუოვნდები.
12. იქ გაერთე და ისა ჰქმენ, რაცა გსურს, მაგრამ კედმაღლური სიტყვით ნუ შესცოდავ.
13. ამისთვის დალოცე, ვინც შეგქმნა შენ და ვინაც თავისი სიკეთით დაგათრო.
14. მოშიში უფლისა შეიწყნარებს შეგონებას და რომელნიც მისთვის რიყრაუზე დგებიან, კურთხევას მიიღებენ.
15. მძებნელი რჯულისა მისით აღივსება, ხოლო თვალთმაქცი დაბრკოლდება.
16. მოშიშნი უფლისა სამსჯავროს იპოვიან და აღინთება მართლმსაჯულება, ვითარცა სინათლე.
17. კაცი კოდეილი თავს აარიდებს მხილებას და შენდობასაც მისი სურვილისდამიხედვით იპოვს.
18. კაცი გონიერი განსჯას არ უგულებელყოფს, უგუნურ და ამპარტავანს კი შიში ვერ შეარყევს.
19. დაუფიქრებლად ნურაფერს გააკეთებ და თუ გააკეთებ, ნუღარც დამწუხრდები.
20. ნუ გაემართები გზით, სადაც ნანგრევებია, რათა ქვას ფეხი არ წამოჰკრა.
21. ნუ მიენდობი სწორ გზასაც
22. და უფროსილდი თვით შენს შვილებსაც კი
23. და უოველ საქმეში სულს შენსას მიენდე, რამეთუ ესაა დაცვა მცნებებისა.
24. მორწმუნე რჯულისა მცნებებს უფროსილდება და უფლის მოიმედე არ დამცირდება.

თავი XXXIII

1. მოშიშს უფლისა არ შეემთხვევა უბედურება, არამედ განსაცდელისგანაც კი დაიხსნება.
2. კაცი ბრძენი რჯულს არ შეიძულლებს, მისი თვალთმაქცურად დამცველი კი, — ვითარცა ხომალდი გრიგალსა შინა.
3. კაცი გონიერი იწამებს რჯულს და რჯულიც სარწმუნოა მისთვის, ვითარცა პახუხი ცხადმყოფელი.
4. მოამწადე სიტყვა და მაშინ მოგისმენენ, შეაუღლე აღზრდასთან და მაშინ მოგისმენენ.
5. გული სულელისა — ბორბალი ეტლისა და აზრი მისი — ვითარცა მბრუნავი ღერძი.
6. მეგობარი გამჟირდველი — ვითარცა ცხენი შფოთიანი, ვინც არ უნდა შეაქდეს, კიხვინებს.
7. რატომღა სჯობს ერთი დღე მეორეს, რამეთუ სინათლე წელიწადის უოველი დღისა მზისაგანაა?
8. უფლის სიბრძნითა ისინი გაყოფილი, მან განასხვავა დრონი და დღესასწაულნი.
9. მათგან ზოგიერთი ამალღა და წმინდამყო, ზოგი კი ჩვეულებრივ დღეთა რიცხვს მიაკუთვნა.
10. და უოველი ადამიანი მიწისაგანაა და მიწისგან შეიქმნა ადამიც.
11. მაგრამ უოველისმცოდნე უფალმა გაყო ისინი და გზანი მათი განასხვავა.

12. მათგან ზოგიერთი აკურთხა და აამაღლა, ხოლო ზოგიერთი წმინდა მკურ და თავისთან მიიხატა, სხვანი კი დაწვევლა და დაამდაბლა და შიაკცია ისინი სადგომისაგან მათისა.
13. ვითარცა თიხა მექოთნის ხელში, ვის ნებაზეცაა დაშოკიდებული უველა გზა [თიხისა], დაშინებულ მათი შემოქმედის ხელშია და ისიც მიაგებს მათ მისი სამსჯავროსდა მიხედვით.
14. ვითარცა ბორცუბას უპირისპირდება სიკეთე და სიკვდილს სიცოცხლე, ასევე ღვთის-მოსაჯეს ცოდვილი.
15. ამგვარად შეხედე უკველ საქმეს უზენაესისა, ისინი ორ-ორია და ერთიმეორეს უპირისპირდება.
16. და მუ, უკანასკნელი, ფხიზლად გავიხარჯე, ვითარცა უკანასკნელ-სკრეფავებს კვალში ჩამდგარი.
17. და ღვთის კურთხევით მაინც მოვასწარი და ავავსე საწნაზელი ვითარცა მერთვლემ.
18. შეიგნეთ, რომ მხოლოდ ჩემთვის როდი დავშვერი, არამედ უველასათვის, ვინც ცოდნას ეძებს.
19. შეიხმინეთ ჩემი, დიდებულნი ერისა და ხაერებულონ წინამძღვარნი, უურად იღეთ:
20. შეიღსა და ცოლს, ძმასა და მეგობარს ნუ იუფლებ შენი სიცოცხლის უამს, და სხვას ნუ მისცემ ქონებას შენსას, რათა არ შეინანო და არ მოითხოვო იგი.
21. ვიდრემდე ცოცხლობ და პირში სული ვიდგას, ნუ შეცვლი შენს თავს ნურცერთი ბორციელით.
22. რადგანაც უმჯობესია შეიღებმა გთხოვონ შენ, ვიდრე შენ უუურებდე შეიღებს ხელეში.
23. უველა შენს საქმეში პირველი იუაგი და ლაქას ნუ წასცხებ პატივს შენსას.
24. შენა სიცოცხლის დღეთაგან უკანასკნელ დღეს და სიკვდილის უამს გაეცი სამკვიდრებელი.
25. საზრდელი, ქოხი და ტვირთი — ვირს; პური, წვრთნა და საქმე კი — მონას.
26. დაახაქმე მონა და იპოვი მოსვენებას, გაუხსენ ხელეხი მას და თავისუფლების ძებნას დაიწყებს.
27. ქედს [ხარისა] უღელი და აკურები მოდრეკენ, ცბიერ მონას კი ბორცილები და წუღულები.
28. მიუჩინე მას ხაქმე, რათა არ გაჯარმაცდეს, რამეთუ მრავალი ბორცუბა გვასწავლა მცონარობამ.
29. დააუენე იგი ხაქმეზე, როგორც შეშვენის და თუკი არ დაგემორჩილა, მძიმე ბორცილები დაადე მას.
30. მაგრამ ნურცერთ ბორციელს ნუ გახჭი შედმეტად და განუსქელად ნურაფერს გააკეთებ.
31. თუ გუავს შენ მონა, ისე იუოს ვითარცა შენ, რადგანაც იგი ხისხლით შეიძინე.
32. თუ გუავს შენ მონა, მოექვეცი მას როგორც ძმას, რადგანაც დაგპირდება ის, ვითარცა სული შენი.
33. თუკი შენ ბორცუბად მოექცევი მას და ისიც ადგება და გაიქცევა, რომელ გზაზედა მოძებნი?

თავი XXXIV

1. ფუკი და ცრუ იმედები აქვს უგუნურ კაცს და ხუღელებს ფრთებს ახხამენ სიზმრები.
2. ვითარცა შემპყრობელი ჩრდილისა და მდევნელი ქარისა, ასევე მორწმუნე სიზმრებისა.
3. ხილვა სიზმრებისა ზუსტად იგივეა, რაც მსგავსება სახისა წინაზე სახისა.
4. უწმინდურისაგან რა იქნება წმინდა და სიცრუისაგან რა იქნება სიმართლე?
5. წინასწარმეტყველებანი, ფრინველებზე მისნობანი და სიზმარნი ამაონი არიან და აოცნებებენ გულს ვითარცა მშობიარეს.
6. თუკი ისინი შესაგონებლად არ არიან მოვლენილნი უზენაესისაგან, გულისთ ნუ მიეცევი მათ.
7. რადგანაც მრავალნი აცდუნეს სიზმრებმა და დაეცნენ მოიშედენი მისი.
8. კანონი აღსრულდება გარეშე სიცრუისა და სიბრძნე სრული იქმნება მორწმუნის პირით.
9. კაცმა მოხეტიალემ მრავალი იცის და მრავალნაცადი გონივრულს გვაუწყებს.
10. ვინც გამოუცდელია, მცირემცოდნეცაა, ხოლო ვინც იხეტიალა, გამოცდილებაც გაიმრავლა.
11. მრავალი რამ ვნახე ჩემი ხეტიალისას და ბევრად მეტი ვიცო, ვიდრე ვამბობ.

12. შრავალქერ სასიკვდილო საფრთხე დამეშუქრა. მაგრამ გამოცდილების წყალობით გადავრჩი.

13. სული უფლის მოშიშთა ცხონდება, რამეთუ სასოება მათი — მათი მხსნელია.

14. მოშიში უფლისა არაფერს შეუშინდება და არც სიმბდალეს გამოიჩენს, რადგანაც იგია იმედი მისი.

15. ნეტარია სული უფლის მოშიშისა. ვის უკირავს იგი და ვინ არის საყრდენი მისი?

16. თვალნი უფლისა მის მოყვარულთა ზედა, იგია მცველი ძღვევამოსილი [ქვეყნისა] მტკიცე, საფარველი ბორშაკისაგან და საფარველი შუადლის სიცხისაგან, ამტკიცებელი მტრისა და შემწე დაცემისას.

17. ამშაღლებელი სულისა და განმანათლებელი თვალისა, მომცემელი კურნებისა, სიცოცხლისა და კურთხევისა.

18. გასაკიცხია მსხვერპლი მირთმეული უსამართლო [მონახვევისაგან] და არც უსჯულოთა ძღვენია კეთილსათნო.

19. უწმინდურთა ძღვენს უწენაესი არ აკურთხებს და არც ცოდვებზე მოუღებთა გული მსხვერპლშეწირვათა სიმრავლის გამო.

20. ვითარცა დაკვლა შვილისა წინაშე მამისა მისისა, ახევე მიმრთმეველი მსხვერპლისა გლახაკის ავლადიდებიდან.

21. პური გაჭირვებულთა — სიცოცხლეა დატაკთა, წამრთმეველი მისი — ვითარცა კაცი სისხლისმსმელი.

22. მოყვასის მკვლელია, ვინც მას საქმელს წაგლეჩს და სისხლს ღვრის, ვინც საზღაურს ართმევს დაჭირავებულს.

23. თუ ერთი აშენებს და მეორე არღვევს, რა სარგებელი ექნებათ გარდა დაღლისა?

24. როცა ერთი ღოცულობს, მეორე კი იწყევლება, ვის ხმას შეისმენს მეუფე?

25. ვინც განიზანება გვამის შეხების შემდეგ და ისევ შეეხება მას, რა სარგებელი მისი განიზანვისა?

26. ახევე კაცი, რომელიც მარხულობს თავისი ცოდვებისათვის, მაგრამ კვლავ წავა და იშავებს ჩაიდენს — ვინ გაიგონებს ვედრებას მისას? რა სარგებლობას მიიღებს სიმდაბლითა თვისითა?

თავი XXV

1. მტკიცე რჯულითა ძღვენს გააძრავლებს და ვინც მცნებებს იცავს, მსხვერპლს სწირავს ხსნისათვის.

2. ვინც სამაგიეროდ მადლს მიუზღავს, მას წმინდად გაცრილი ფქვილი მიაქვს, ხოლო გამაღები მოწყალებისა — ვითარცა მსხვერპლის შემწირველი ქებისა.

3. კეთილსათნოა უფლისათვის განშორება ბოროტისაგან და შეიწყალებს [იგი] უსამართლობისაგან განდგომილს.

4. ნუ წარდგები წინაშე უფლისა ხელცარიელი, რამეთუ ყოველივე ამას მცნება მოითხოვს.

5. შესაწირავი მართლისა გააპოხიერებს საკურთხეველს და კეთილსურნელება მისი — წინაშე უწენაესისა.

6. მსხვერპლი მართალი კაცისა შეწყნარებულია და ხსოვნა მისი დავიწყებული არ იქნება.

7. კეთილი თვალით ადიდე უფალი და ნუ დაამცრობ დასაბამს შენს ნახელავთა.

8. მზიარული იყოს სახე შენი ყოველი გაცემისას და სიხარულით მიუძღვენი ათეული.

9. მიეცი უწენაესს მოცემისამებრ მისისა და კეთილი თვალით — იმისდამიხედვით, რასაც შენი ხელით მოიპოვებ.

10. რადგანაც უფალი სამაგიეროს მიმზღველია და შვიდწილად გადაგიხდის შენ.

11. ძღვენს ნუ შეამცირებ, რამეთუ არ მიიღებს და ნურც უსამართლო შესაწირავის იმედი გექნება.

12. რადგანაც უფალი მსაქულია და მასთან პირფერობა არ შეიძლება.

13. იგი არ მიიბრუნებს პირს გლახაკისაგან და ვედრებას მისას შეისმენს.

14. აბუჩად არ აიგდებს ვედრებას ობლისა და არც ქვრივისა, თუკი იგი ხათქმელს გადმოდვრის.

15. განა ქვრივის ღაწვებზე ცრემლები არ მოგორავს და არ ჩივის ხმამალლა იმათ წინააღმდეგ, ვინც დაამდაბლა ისინი?

- 16. მხახურს [ღვთისა] კეთილსათნოდ შეიწყნარებენ და სათხოვარი მისი ვიდრე ღრუბ-
ლებამდე ამალდებდა.
- 17. ლოცვა მდაბლისა ღრუბლებამდე აღწევს და მანამდე არ იქნება ნუგეშცემული, ვიდრე
ღმერთს არ მიუახლოვდება.
- 18. და მანამდის არ განშორდება, ხანამ უზენაესი არ გადმოხედდეს, სამართლდრთ არ განს-
ჯის და განაჩენს არ გამოიტანს.
- 19. და არც უფალი დააყოვნებს და აღარც ხულგრძელი იქნება ~~მკურნალობს~~
- 20. ვიდრე არ დაამხვრევს წელებს უწყალოთა და შურისძიებებს ~~მკურნალობს~~ წარმართე-
ბსაც.
- 21. ვიდრე არ შემუხრავს სიბრავლეს მჩაგვრელთა და უსამართლოთა სკიპტრას არ და-
ამხვრევს.
- 22. ვიდრე სამაგიეროს არ მიუზღავს კაცს მის საქმეთა მიხედვით და ადამიანთა საქმეებს
მათი მანაფიქრისდამიხედვით.
- 23. ვიდრე სამსჯავროზე არ განსჯის თავის ხალხს და არ გაახარებს მას თავისი მოწყა-
ლებით.
- 24. რადგანაც მშვენიერია მოწყალება მწუხარების უამს, ვითარცა საწვიმარი ღრუბლები
გვალვისას.

თავი XXXVI

- 1. შეგვიწყაღე ჩვენ, მეუფეო, ღმერთო უოველთაო, მოგვხედე და შიში შენი დახდე
უოველსა ხალხსა ზედა.
- 2. ხელი შენი აღმართე უცხო ხალხებზე, რათა იხილონ ძალა შენი.
- 3. ვითარცა მათ წინაშე წმინდა იქმენ ჩვენ შორის, ასევე განდიდდი მათ შორისაც წინაშე
ჩვენსა.
- 4. დაე, მათაც შეგიცნონ შენ, ისევე როგორც ჩვენ შეგიცანით, რომ არ არის ღმერთი
შენს გარდა, უფალო.
- 5. ხელახლა გამოაჩინე სასწაულნი და მქმენ საკვირველნი, განადიდე ხელი და მარჯვენა:
შკლავი.
- 6. აღმართე გულისწურომა და რისხვა გადმოღვარე, გაანადგურე მოწინააღმდეგე და შე-
მუსრე მტერი.
- 7. დააჩქარე ღრო და ფიცა გახსოვდეს და დაე მოუთხრონ შენს დიდ საქმეებზე.
- 8. დაე, მძვინვარებამ ცეცხლისა შთანთქას თავდახსნილი [მახვილისაგან] და შენი ხალხის
ბოროტისმყოფელთა დაღუპვა იპოვონ.
- 9. შემუხრე თავები მტრების წინამძღოლთა, რომელნიც ამბობენ: „არავინაა ჩვენს გარდა“.
- 10. შეკრიბე ყველა ტომი იაკობისა და დაიმკვიდრე იხინი, როგორც დასაბამიდანვე იყო.
- 11. შეიწყაღე ხალხი, უფალო, რომელსაც შენი სახელი ეწოდა და ისრაელი, რომელსაც
პირმშო უწოდე.
- 12. შეიწყაღე ქალაქი შენი სიწმინდისა — იერუსალიმი, — განსახვენებელი ალაგა შენი.
- 13. აღავსე სიონი შენი სათნოების კებით და ხალხი შენი — შენი დიდებით.
- 14. მიეცი დასტური მათ, რომელნიც დასაბამიდანვე შენ გეკუთვნოდნენ და აღმართე წი-
ნასწარმეტყველება შენი სახელით.
- 15. მიეცი ჭილდო შენთვის დამთმენთა და დაე შენი წინასწარმეტყველებისა ირწმუნონ.
- 16. შეისმინე, უფალო, ვედრება შენი მონებისა შენი ხალხისათვის აარონის კურთხევის
მიხედვით.
- 17. და შეიცნოს დედამიწაზე მყოფმა უოველმა, რომ უფალი ხარ, ღმერთი საუკუნეთა.
- 18. უოველ საჭმელს ინელებს კუკი, მაგრამ არის საჭმელი საჭმელზე უკეთესი.
- 19. სახა გამოარჩევს ნანადირევის კერძს, ასევე გული გონიერი ცრუ სიტყვებს.
- 20. გული ცბიერი მწუხარებას გვანიჭებს, მაგრამ კაცი მრავალნაცადი სამაგიეროს მი-
გებს მას.
- 21. ქალი უოველ მამაკაცს მიიღებს, მაგრამ არის ქალწული ქალწულზე უმჯობესი.
- 22. სილამაზე ქალისა საბეს ახალისებს და სასურველია მამაკაცისათვის ყველაზე მეტად.
- 23. თუ მას ენაც თბილი და აღერსიანი აქვს, მაშინ მის ქმარს ვერავინ შეედრება ადამის
ძეთაგან.
- 24. ვინც ცოლს მოიყვანს, სათავეს უდებს მოგებას, [შეიძენს რა] შესაფერის დამხმარესა
და საურდენს განხვენებისა.

25. სადაც არ არის ზღუდე, იქ კონება დაიტაცება, ხოლო ვისაც ცოლი არა მყავს, ბეტი-
აღისას ოხვრას დაიწუებს.

26. რადგანაც ვინ ენდობა, იარაღსმულ ავაზაკს, ქალაქიდან ქალაქში მოხეტიალეს?

27. ახევეთ კაცი, რომელსაც არა აქვს ზუდე და სადაც დაუღამდება, იქ დაივანებს.

თავი XXVII



1. უოველ მეგობარს შეუძლია თქვას: „მე მას დავუმეგობრდი“, მაგრამ არსებობს მეგობარი, რომელიც მეგობარია მხოლოდ ხანებით.

2. განა საწუნარი არაა ვიდრე სიკვდილამდე? ამხანაგი და მეგობარი, რომელიც მტრად გადაგექცა?

3. ო, ბოროტო ზრახვაო, საიდან დაგორდი, რათა ხმელეთი მზაკვრობით დაგეფარა?

4. მეგობარი ტყდება მეგობრის სიხარულით და მწუხარების უამსაც მის წინაშე იქნება.

5. მეგობარი მეგობართან ერთად შრომობს მუცლის გულისთვის, ხოლო ომის დროს ფარს დაწვდება.

6. ნუ დაივიწყებ მეგობარს სულსა შინა შენსა და ნუ დაივიწყებ მას სიმდიდრესა შინა შენსა.

7. უველა მრჩველი აქებს [თავის] რჩევას, მაგრამ ზოგიერთი თავის სასარგებლოდ ურჩევს.

8. მრჩველისაგან დაიცავი სული შენი და ქერ გამოიციან, — რა სურს მას, რადგანაც შენ საძლოა მისთვის სასარგებლო რამ გირჩიოს, შესწე კი წილი მყაროს.

9. და გითხრას შენ: „კეთილია გზა შენი“, ხოლო თავად პირისპირ დადგეს იმის დასანახად, — რა შეგებთხვევა.

10. რჩევას ნუ მკითხავ ქვეგამხედვარსა შენსა და შენს მოშურნეთაგან დაფარე განზრახვა [შენი].

11. [ნუ ითათბირებ] ცოლთან მის მეტოქეზე და მხდალთან ომზე, ვაქართან ვაცვლა-გამოცვლაზე და მუიდველთაგან გაუიდვაზე, მოშურნესთან მადლიერებაზე და უწყალოსთან ქველმოქმედებაზე, მცონარასთან ნურცერთ საქმეზე, ერთი წლით დაქირავებულთან [სამუშაოს] დასაწრულზე და ზარმაც მონასთან დიდ საქმეზე და არასოდეს დაეურდნო მათ ბკობისას.

12. არამედ უოველთვის მიმართე მხოლოდ ღვთისმოსავ კაცს, ვისზედაც შეიტყობ, რომ მცნებებს მტკიცედ იცავს, ვინც თავისი სულით შენივე სულისაა და ოფკი დაეცეში, შენთან ერთად დამწუხრდება.

13. და დაეურდენი გულისხმას შენსას, რადგან მასზე უფრო ხანდო არავინ არ გყავს.

14. სული კაცისა ხომ ზოგჯერ მეტს გვაუწუებს ვიდრე შვიდი მეთვალყურე, მაღალზე ნჯდომი თვალყურის სადევნებლად.

15. უოველივე ამისათვის კი ევედრე უზენაესს, რათა ქეშმარიტებით წარმართოს გზა შენი.

16. დასაბამი უველა საქმისა განსჯა, უოველგვარ საქმეზე უწინარესი კი, — რჩევა.

17. კვალი გულის ცვალებადობისა ოთხ მდგომარეობას წარმოშობს;

18. ხორცილება და სიკეთეს, სიცოცხლესა და სიკვდილს, მათი მეუფე კი უოველთვის ენა.

19. ზოგი კაცი გაწაფულია, მრავალს მოძღვრავს, მაგრამ ურგებია საკუთარი სულისათვის.

20. ზოგიერთი სიტყვით ბრძენობს, მაგრამ საძულველია, ამგვარს უოველგვარი საზრდელი მოაკლდება.

21. რადგანაც არ მიეცემა მას უფლისაგან მადლი და მოკლებულია უოველგვარ სიბრძნეს.

22. ზოგი ბრძენია საკუთარი სულისათვის და ნაყოფი მისი ცოდნისა ბაგესა ზედა — სარწმუნოა.

23. კაცი ბრძენი თავის ხალხს აღზრდის და ნაყოფი მისი ცოდნისა — სანდოა.

24. კაცი ბრძენი კურთხევით აღივსება და მას შენატრის უოველი მხილველი მისი.

25. სიცოცხლე კაცისა — დღეების რიცხვით განისაზღვრება, ხოლო დღენი ისრაელისა კი განუსაზღვრელია.

26. ბრძენი დაიმკვიდრებს ნდობას თავისი ერისა და სახელი მისი საუკუნოდ იცოცხლებს.

27. შვილო, გამოსცადე სული შენი შენი სიცოცხლის მანძილზე, იხილე, რა არის მისთვის ბოროტი და ნუ მისცემ მას.

28. რადგანაც უოველს როდი მოაქვს უველასათვის სარგებელი და უოველ სულს როდი ეხათნობება უოველივე.

29. ნუ მოიყირკებ უოველგვარ ხიამეს და ხორაგეულს ნუ მივარდები.

- 20. რამეთუ ბევრი კამისაგან ჩნდება, ხნეულება და გაუმაძღრობას კოლერამდე შეცვალოს.
- 21. გაუმაძღრობით მრავალნი აღსრულნენ, თავშეკავებული კი სიცოცხლეს გაიგრძელებს.

თავი XXVIII



- 1. კაცივი ცვი ექიმს კაცივითა მისითა, რამდენადაც იგი გვირდება.
- 2. რადგანაც მკურნალობა უზენაესისაგანაა და ნიკიც შეუფერხებელია [მას].
- 3. ცოდნა ექიმისა მის პიროვნებას ამაღლებს და დიდებულთს წინაშეც მსახურს მოუხვევს.
- 4. უფალმა მიწისაგან შექმნა წამლობა და კაცი გონიერი არ უგულებელყოფს მას.
- 5. განა ხისაგან არ დატკბა წყალი. რათა ხაცნაური გამხდარიყო ძალი მისი?
- 6. მანვე მისცა ადამიანებს ცოდნა, რათა ედიდებინათ მის საკვირველ საქმეთა გამო.
- 7. რომლითაც განკურნა [ადამიანი] და მოსპო ხალხობა მისი. ვინც წამლებს ამზადებს, მათგან ნარევს შექმნის
- 8. და არ დასრულდება საქმენი მისი და მისგანაა მშვიდობა დედამიწის ზურგზე.
- 9. შვილო, ავადმყოფობას შენსას აბუჩად ნუ აიგდებ, არამედ შეევედრე უფალს და განკურნავს შენ.
- 10. განშორდი ცდუნებას, წარმართე ხელნი და გული ყოველგვარი ცოდვისაგან განიწმინდე.
- 11. მიუძღვენი კეთილსურნელება, გახსოვდეს სამინდო და მსგავსად მომაკვდავისა მსხვერპლი პოხიერი შესწირე.
- 12. და მიეცი ადგილი მკურნალს, რადგან იგი უფალმა შექმნა და ნუ განიშორებ შენგან, რამეთუ იგი გვირდება.
- 13. არის უამი, როცა მათაც ხელთა აქვთ წარმატება.
- 14. რადგანაც ისინიც უფალს ევედრებიან შემწეობას [ავადმყოფის] მოსახვეწებლად და განსაკუთრებულად, რათა სიცოცხლე გაგრძელდეს.
- 15. მაგრამ ვინც თავისა შემოკმედის წინაშე სცოდავს, დაე, ჩავარდეს მკურნალის ხელში.
- 16. შვილო, მკვდარს ცრემლები დაადინე და ატირდი ვითარცა საშინელ სატანჯველში ჩავარდნილი, შემოსე გვამი მისი შესაფერისად და ნუ უგულებელყოფ დამარხვას მისსა.
- 17. მწარედ დაიტირე და მხურვალედ იმოთქმე, რათა არ დაგძრაზონ და იგლოვე მისი ღირსებისდამიხედვით ერთი ან ორი დღე გასაქარვებლად დარდისა.
- 18. რამეთუ დარდი სიკვდილსაც იწვევს და მწუხარება გულისა — ძილის დამშრეტია.
- 19. უბედურებას თან მწუხარებაც ახლავს და ცხოვრება ღატაკისა — დარდია გულისა.
- 20. ნუ მიეცემი სევდას გულითა შენითა და განიშორე იგი გახსენებით აღსასრულისა.
- 21. არ დაივიწყო ეს, რადგანაც დაბრუნება შეუძლებელია, ვედარც მას არგებ და თავსაც დაიტანჯავ.
- 22. გახსოვდეს სახქელი ჩემი, რადგან იგი შენიცაა: გუშინ მე [დავისაქი], დღეს კი შენ [დაისქები].
- 23. მიცვალებულის განხვეწებასთან ერთად მისი ხსოვნაც მოახვეწე და მწუხარება მასზე გაგიქარვდება მისი სულის გამოხვეწისას.
- 24. წიგნიერი სიბრძნე მოცალეობის ხელსაყრელ ეამს [შეიძლება] და იგი შეიძენს მას, ვისაც ცოტა საქმე აქვს.
- 25. როგორღა გახდება ბრძენი ის, ვისაც გუთანი უპყრია, შოლტით ამაყოფს, ხარებს ერეკება ამგვარ საქმეთა შინა მოქცეული და ვისი საუბარიც მხოლოდღა მოზვრებს შეებება?
- 26. გული მისი კვლების გაუვანაზე ფიქრობს და საზრუნავი მისი — ხბორების საკვებია.
- 27. ახევია უველა ზურო და ზუროთმოდგარი, რომელიც ღამეს ვითარცა დღეს — იგი ატარებს. ხოლო ვინც ბეჭედთა ჩუქურთმებს ქრის და ბეჭითად იღვწის მისთვის სხვადასხვა ფორმის მისაცემად, გულით ცდილობს, რომ გამოსახულება მსგავსი იყოს, საზრუნავად კი საქმის დასრულება აქვს.
- 28. ახევე მჭედელიც, მახლობლად მჭდომარე გრდემლისა და რკინის ნაკეთობაზე ჩაფიქრებული. სხეულს მისას აძაბუნებს კვამლი ცეცხლისა და ნიადაგ ებრძვის ღუმელის სიცხეს. უროს ხმა უბზობს მას უურთასმენას, თვალები კურკლის მოდელისკენ უჭირავს, გულით კი ნაკეთობის დამთავრებისაკენ მიისწრაფვის და მის სრულყოფილ შემკობაზე ზრუნავს.
- 29. ახევე შექმონეც, რომელიც თავის საქმეს უზის და ფეხებით ბორბალს ატრიალებს, მუდამ თავის საქმეზე ზრუნავს და მთელი თავისი სამუშაო გამოთვლილი აქვს.
- 30. მარჯვენითა თვისითა ფორმას აძლევს თიხას, ხოლო ფეხებით მის ხიმაგრეს არბი-

ლებს, გულთ ისწრაფვის, რომ ქურკელი დასრულდეს და საზრუნავი მისი — ლუმელის გა-
წმენდაა.

21. ყოველ მათგანს თავისი ხელების იმედი აქვს და თითოეული თავის საქმეში ბრძენდება.

22. მათ გარეშე ვერ აშენდება ქალაქი და არც მოსახლეობა დაშვიდრდება და იცხოვრებს
მასში.

23. მაგრამ არ ეძებენ მათ ხალხის ბჭობისას და არც კრებაზე იწვევენ, არც მსახურთა
სავარძელში ხხედან და არც სამსჯავროს დადგენილებათა თაობაზე მსჯელობენ.

24. არც გამართლებასა და სასჯელს აცხადებენ და იგავენსაც არ იგონებენ, მაგრამ ამ-
ტყიებენ ცხოვრების ყოფას და თავიანთი ხელოვნების წარმატებაზე ლოცულობენ.

თავი XXXIX

1. მხოლოდ ის, ვინც მიუძღვნის თავის სულს უზენაესის კანონის განსჯას, მოიძიებს ყო-
ველთა წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმეტყველებათა შინა გაიწაფება.

2. დაიმახსოვრებს სახელოვან კაცთა გადმოცემებს და იგავთა ხვეულებში შეიჭრება;

3. გამოიკვლევს დაფარულ აზრს ანდაზებისა და იგავთა გამოცანებით განისწავლება.

4. დიდებულთა შორის იმხაზურებს და წინაშე წინამძღოლისა წარდგება. იმოგზაურებს
უცხო ტომთა ქვეყანაში, რადგანაც გამოსცადა ადამიანთა შორის სიკეთეცა და ბორო-
ტებაც.

5. გულს თავისას ისე წარმართავს, რომ რიჟრაჟზე ადგეს უფლისათვის, — ვინც შექმნა
იგი და ილოცებს წინაშე უზენაესისა, ვედრებით გააღებს პირს თვისას და თავის ცოდვათა
შესახებ შესთხოვს.

6. და თუკი დიდებული უფალი ინებებს, გონების სულით აღივსება, დააწვიმებს სიტ-
ყვებს თავისი სიბრძნისა და ვედრებისას უფალს განადიდებს.

7. კეთილად წარმართავს თავის ნებასა და გონებას და უფლის საიდუმლოთა შეიშეცნებს.

8. წარმოაჩენს სიბრძნეს თავისი მოძღვრებისა და კანონით უფლის აღთქმისა იამაყებს.

9. მის სიბრძნეს მრავალნი შეაკებენ და არ დაივიწყებენ უკუნისამდე. სახსენებელი მისი
არ წაიშლება და სახელი მისი თაობიდან თაობაში იცოცხლებს.

10. სიბრძნეს მისას განადიდებენ ერები და ქებას მისას გვაუწყებს საკრებულო.

11. სანამ იცოცხლებს, უფრო დიდ სახელს მოიხვეჭს ვიდრე ათასნი და როცა განისვენ-
ნებს, მემკვიდრეობით გადახცემს მას.

12. კვლავაც განვსჯი და მოგიტბრობ, რადგანაც სავსე ვარ ვითარცა მთვარე აღვსების
ეამს.

13. ისმინეთ ჩემი, ღვთისმოსავნო შვილნო, და იზარდეთ, ვითარცა ვარდი ნაღვარევე ველ-
ზე დარგული

14. და გამოეცით კეთილსურნელება ვითარცა ხემ საკმეველინა და აყვავდით ვითარცა
შროშანი. მომფინეთ სურნელება და ივალობეთ საგალობელი და ყველა საქმის უფალი აკუ-
რთხეთ.

15. მიუძღვნით სახელს მისას დიდება, განადიდეთ იგი ხოტბა-შესხმით, ბაგეებით გალო-
ბითა და ბარბითებით და განდიდებისას ასე წარმოთქვით:

16. „ფრიად მშვენიერია ყოველი საქმე უფლისა და დროულად აღსრულდება ყოველი
ბრძანება მისი“. არ შეიძლება თქმა: „ეს რა არის? ეს რისთვისაა?“, რადგანაც ყოველივე თავის
დროზე გაირკვევა.

17. მისი სიტყვით იქმნა წყალთ ვითარცა ზვინი და მისი პირიდან თქმულით გაჩნდა შესა-
კრებელი წყალთა.

18. ყოვლად სათნოა ბრძანებანი მისი და არავის ძალუძს დააკნინოს მისი მხხნელი ძალა.

19. მის წინაშეა საქმენი ყოველი ბორცვიელისა და დაფარული მისი თვალებისათვის არ
არსებობს.

20. [ყოველივე] დასაბამიდან სამარადისოდ განჭვრიტა და არაფერია მისთვის საოცარი.

21. არ შეიძლება თქმა: „ეს რა არის? ეს რისთვისაა?“, რადგანაც ყოველივე საჭიროები-
სამებრ შეიქმნა.

22. კურთხევა მისი ფარავს ვითარცა მდინარე და ვითარცა წარღვნა ხმელეთს ათრობს.

23. მაგრამ მის რისხვასაც გამოსცდიან ერები, როგორც ოდესღაც, როცა წყლები მლა-
შობად აქცია.

24. ღვთისმოსავთათვის გზები მისი სწორია, უსჯულოთათვის კი, — შემაბრკოლებელი.

25. დასაბამიდანვე შეიქმნა სიკეთე კეთილთათვის, ხოლო ცოდვილთათვის ბოროტება.

- 26. იმათგან, რაც ადამიანს სასიცოცხლოდ სჭირდება, მთავარია: წყალი და ცეცხლი, რკინა და მარილი, ფქვილი ხორბლისა და რძე, თაფლი და უურძნის წვენი, ზეთი და ხამონელი;
- 27. უოველივე ეს ღვთისმოსავთა სასიკეთოდაა, მაშინ, როცა ცოდვილებს შეიძლება სატანჯველად ექცეს.
- 28. არიან ქარნი, შურისსაძიებლად შექმნილნი, სიშმაგისას რომ აძლიერებენ თავიანთ შოლტებს. ისინი ძალას ღვრიან ქროლვისას და მათი შემოქმედის გულახწყრომას დააცხრობენ.
- 29. ცეცხლი და ხეტყვა, შიმშილი და სიკვდილი — უოველსვე წესს შექმნილს საძიებლად შექმნილი.
- 30. მხეცთა კბილები და მორიღენი, ქვეწარმავალნი და მახვილი შურს ძიობენ უსჯულოთა დახალუპავად.
- 31. ბრძანება მისი ახარებთ, საჭიროებისდამიხედვით მზად არიან გაჩნდნენ მიწაზე და თავის დროზე შეახრულონ სიტყვა მისი.
- 32. ამიტომაც იმთავითვე გადავწყვიტე: განვსაჩე და აღვწერე.
- 33. რომ მშვენიერია ყველა ხაქმე უფლისა და იგი დროულად მოგვანიჭებს უოველივეს, რაც გვჭირდება.
- 34. და, რომ არ შეიძლება თქმა: „ეს ამაზე უკეთურია“, რადგანაც თავის დროზე უოველივე სათნო გახდება.
- 35. ამგვარად, იგალობეთ მთელი გულითა და პირით და აკურთხეთ სახელი უფლისა.

თავი XL

- 1. დიდი ჯაფაა დაწესებული უოველი ადამიანისათვის და მძიმეა უღელი ადამის შეილთა დღიდან მათი გამოხვლისა დედის მუცლიდან, ვიდრე იმ დღემდე, როცა უოველთა დედას უბრუნდებიან.
- 2. განსჯა მოსალოდნელისა და სიკვდილის დღისა მათ ფიქრებსა და გულის შიშს [იწვევს].
- 3. დიდებულ ტახტზე მქდომარედან დაწუებული ვიდრე დამდაბლებულამდე მიწად და ნაცრად.
- 4. ძოწეულისა და გვირგვინის მატარებლიდან ვიდრე სელით შემოსილამდე, [უველასთანა] გულახწყრომა და ეჭვი, შფოთი და მღელვარება, შიში სიკვდილისა და მტრობა.
- 5. და საწოლზე მოსვენების უამს ძილი ღამისა წეწს მის გონებას;
- 6. მცირე ხნით, ან თითქმის არასოდეს ისვენებს იგი; ამიტომაც ძილშიაც იხევე ფხიზლობს ვითარცა დღისით და შეშფოთებულია სთავისი გულის ხილვით. მსგავსად ბრძოლის ველიდან გაქცეულისა
- 7. მიხთვის საჭირო უამს გაიღვიძებს და გაოცდება, რომ საშიში არაფერია.
- 8. [ანც ემართება] ყველა ხორციელს ადამიანიდან ვიდრე პირუტყვამდე, ხოლო ცოდვილებს კი შეიძქერ უფრო მეტად.
- 9. სიკვდილი და სისხლი, შუღლი და მახვილი, განსაცდელნი და შიმშილი, მწუხარება და მათრახი, —
- 10. უოველივე ეს შექმნილია ურჯულოთათვის და წარღწაც მათ გამო მოხდა.
- 11. უოველივე, რაც მიწისაგანაა, მიწადვე მიიქცევა და რაც წყლისაგანაა, ზღვასვე უბრუნდება.
- 12. შეიშუსრება ყველა ძღვენი და უსამართლობა, ერთგულება კი იდგომება სამარადემოდ.
- 13. უსამართლოთა ქონება ამოშრება ვითარცა ხევი და მსგავსად ძლიერი ქუხილისა თავსმა წვიმის უამს, დაივრგვინებს.
- 14. ვინც ხელგაშლილია, იგი მხიარულიც იქნება, დამნაშავენი კი ბოლოს წარწყმდებიან.
- 15. ურჯულოთა შთამომავლობა რტოებს ვერ იმრავლებს და ფეხვები უწმინდური — ციცაბო კლდეზე.
- 16. ისლი წყლისა და მდინარის ნაპირთა უწინარეს ყველა ბალახისა აღმოიფხვრება.
- 17. მადლი, ვითარცა ხამონხე, კურთხევითაა [სავსე] და მოწყალება საუკუნოდ დარჩება.
- 18. ტკბილია სიცოცხლე თავისი ხვედრით კმაყოფილთა და მშრომელისა, მაგრამ ორივეს აღემატება შპოვნელი საუნჯისა.
- 19. შეიღები და გაშენება ქალაქისა სახელს ამკვიდრებენ, მაგრამ ორივეზე უკეთესად ითვლება უმწიკვლო ცოლი.
- 20. ღვინო და მუსიკა ახარებს კაცის გულს, მაგრამ ორივეზე მეტად — სიყვარული სიბრძნისა.

- 21. უსაღმესო და ბარბითი ატკობენ სმღერასა მაგრამ ორივეს აღმატება ტყბილი ენა.
- 22. მიმწოდველობა და სილამაზე სასურველია თვალისათვის, მაგრამ ორივეზე უფრო — სიმწვანე ნათებისა.
- 23. მეგობარი და ამხანაგი უამიდან უამამდე ხედებიან ერთმანეთს, ცოლი კი ყოველთვის ქმართანაა.
- 24. ძმები და შემწეობა — გასაქირის უამს, მაგრამ ორივეზე დიდი მხსნელია მოწყობება.
- 25. ოქრო და ვერცხლი ნაბიჯებს ამტკიცებენ, მაგრამ ორივეზე საიმედოა კეთილი რწმენა.
- 26. ქონება და ძალა ამაღლებენ გულს, მაგრამ ორივეზე უფრო — შიში უფლისა არ შეიძლება დამარცხება უფლის მოშიშობა და არ სჭირდება მას ძებნა მფარველისა.
- 27. შიში უფლისა — ვითარცა ხაშოთხე კურთხეული, ყოველგვარ დიდებაზე მეტად შე-
მოსავს მას.
- 28. შვილო, გლახაკის ცხოვრებით ნუ იცხოვრებ, რამეთუ სიკვდილი უმჯობესია მათხოვ-
რობაზე.
- 29. სხვისი სუფრის შემყურე კაცი გონივრული ცხოვრებით როდი ცხოვრობს, რადგანაც იგი ამდაბლებს თავის სულს სხვისი საქმელით. კაცი გონიერი და აღზრდილი კი თავს დაიცავს [ამგვარი ყოფისაგან].
- 30. ურცხვის პირში ხათხოვარი თითქოსდა ტკბება, მაგრამ შიგნულში კი ცეცხლი ენ-
თება.

თავი XLI

- 1. ო, სიკვდილო, რა მწარეა შენი გახსენება ადამიანისათვის, რომელიც მშვიდად ცხოვ-
რობს თავის სიმდიდრესა შინა, კაცისათვის უზრუნველისა და ყოველი მხრივ ბედნიერისა, ვა-
საც კიდევ აქვს ძალა საქმლის მიღებისა.
- 2. ო, სიკვდილო, მშვენიერია შენი განაჩენი გასაქირში ჩავარდნილი კაცისა და ძალ-
ლონე მოკლებულისათვის. გადაბერებულისა და ყოველივეზე ზრუნვით დამძიმებულისათვის და იმა-
თთვის, ვინც ნუგეში დაკარგა და თმენის ღონე გამოეღია.
- 3. ნუ გეშინია სიკვდილის განაჩენისა, გაიხსენე წინაპარნი შენი და შთამომავლობა შენი.
- 4. იგია ხახკელი უფლისაგან ყოველი ხორციელისათვის და რად უარყოფ მას, რაც უზ-
ენაესს ესათნობება? ათი თუ, ახი თუ, ათახი წელი — არ არსებობს ჯოჯობეთში კვლევა სი-
ცოცხლის [ხანგრძლივობისა].
- 5. ცოდვილთა შვილები საძაგელ შვილებს შობენ, რომელნიც უწმინდურებს უკავშირ-
დებიან.
- 6. მოდგმა ცოდვილთა შვილებისა წარიწყმდება და მათ თესლთან ერთად მუღამ ყვიდ-
რება და სირცხვილი გავრცელდება.
- 7. ურჯულო მამას შვილები აგინებენ, რამეთუ პატივი მის გამო აეხადათ.
- 8. ვაი, თქვენდა, ურჯულო კაცნო, რომელთაც დათმეთ რჯული უზენაესი ღვთისა;
- 9. როცა იბადებით, საწყველად იბადებით და როცა კვდებით, ზვედრად წყველას იღებთ.
- 10. ყოველი, რაც მიწისაგანაა, მიწისაკენვე მიისწრაფვის, ასევე ურჯულონიც — წაბ-
ლიდან — წარწყმედაშდე.
- 11. ადამიანები თავიანთ სხეულებს იგლოვენ, ხოლო ცოდვილთა უკეთური სახელიც კი
წარიბოცება.
- 12. იზრუნე სახელზე, რამეთუ იგი უფრო დიდხანს იქნება შენთან, ვიდრე მრავალი ათახი
საგანძური ოქროსი.
- 13. დღენი კარგი ცხოვრებისა დათვლილია, კეთილი სახელი კი საუკუნოდ რჩება.
- 14. დაიცავით, შვილნო, მოძღვრება მშვიდობით; სიბრძნე დაფარული და საუნჯე უჩინა-
რი, — რაა ხარგებელი ორივესაგან?
- 15. კაცი დამფარველი თავისი სიხულელისა სჯობს კაცს — დამფარველს თავისი სიბრძ-
ნისა.
- 16. ამიტომაც გრცხვენოდეთ იმისა, რასაც ვეტყვით, რადგანაც ყოველივე როდია სასირ-
ცხვილო და არც ყოველივე ფასდება უველას მიერ ჭეშმარიტებით.
- 17. გრცხვენოდეთ გარყვნილებისა მამისა და დედის წინაშე და სიცრუისა წინაშე წინამ-
ძღოლისა და მეუფისა.
- 18. შეცოდებისა მსაჯულისა და მთავრის წინაშე და ურჯულოებისა წინაშე ხაკრებულოსი
და ხალხისა.

- 19. ნაცნობისა და მეგობრის წინაშე უსამართლობისა და ადგილისა, სადაც დასახლდით, ქურდობისა,
- 20. [გრცხვენოდეთ] ღვთის სიმატლისა და [მისი] აღთქმისა და სუფრაზე იდაყვებით დაბჯენისა,
- 21. მოტყუებისა სესხება — მიცემისას და დუმილისა შემხვედრთა წინაშე,
- 22. ცქერა შეძავი ქალისა და ნათესავისაგან პირის მიბრუნება,
- 23. [გრცხვენოდეთ] წილისა და ძღვენის წართმევისა და გულისთქმისა გათხოვილ ქალზე,
- 24. არშეყოებისა შენსავნე მხევალთან და ნუ შეეხები მის საწოლს, ~~არც მის წინაშე~~
- 25. [გრცხვენოდეთ] მეგობრებისათვის დასაყვედრებელი სიტყვებისა და გაყემის შემდეგ ნუღარ დაამადლით,
- 26. [გრცხვენოდეთ] ქორის გამეორებისა და დაფარულ სიტყვათა გამჟღავნებისა;
- 27. იყავი ქეშმარიტად მორცხვი და მოიპოვებ სიყვარულს ყოველი ადამიანისა.

თავი XLII

- 1. ამათ გამო კი არ შეგრცხვეს და მლიქვნელობისათვის ნუ შესცოდავ:
- 2. [ნუ გრცხვენია დაცვა] უზენაესის კანონისა და აღთქმისა და სამსჯავროსი, რათა უწმინდური განსაჯო.
- 3. ამხანაგთან და თანამგზავრებთან კამათისა და მეგობრებისათვის მემყვიდრეობის მიცემისა,
- 4. სიზუსტისა წონასა და ზომასი, მიუხედავად იმისა, ბევრს მოიგებ თუ ცოტას,
- 5. მიუღგომლობისა უიდეა-გაუიდეხას, შვილების მკაცრად აღზრდისა და ბოროტი მონიხათვის გვერდების დასისხლიანებისა;
- 6. უკეთური ცოლისათვის კარგია ბეჭედი და სადაც მრავალი ხელია, იქ ჩაკეტე;
- 7. თუკი გასცემ, ანგარიშითა და ზომით გაეცი და ყოველი გაცემაცა და მიღებაც ჩაიწერე;
- 8. [ნუ გრცხვენია] დამოძღვრა უგუნურისა, ბრძუვისა და მოხუცისა, რომელიც ახალგაზრდებს ეჭიბრება და ქეშმარიტად აღზრდილი იქნები და ყოველ ადამიანს მოეწონები.
- 9. ფარული ხაზრუნავია ახული მამისათვის და დარდი მასზე ძილს დაუფრთხობს; სიყმაწვილისას, — რომ არ დაქენეს და ქმართან ცხოვრებისას, — რომ არ შეიძაგონ;
- 10. ქალწულობისას, რომ არ წაიბილწოს და მამის სახლში არ დაორხულდეს, გათხოვებისას, — რომ არ დაარღვიოს [ცოლქმრული ერთგულება] და ქმართან ცხოვრებისას ბერწი არ აღმოჩნდეს.
- 11. უტიფარ ქალიშვილს მტკიცედ უდარაჯე, რათა არახოდეს გაქციოს შენ დასაცინად მტრებისა, საქორაოდ ქალაქისა, სასაყვედუროდ ხალხისა და წინაშე ხაზოგადობისა არ შეგარცხვიროს.
- 12. ნუ შეხედავ სილამაზეს ყოველი კაცისა და ქალთა შორის ნუ დაჯდები;
- 13. რამეთუ როგორც ჩრჩილი გამოდის სამოხიდან, ასევე ქალისაგან — ქალური მზაკვრობა.
- 14. უმჯობესია კაცი უკეთური, ვიდრე დედაკაცი აღერსიანი, დედაკაცი, რომლის ურცხვობაც დასაყვედრია.
- 15. ახლა, გავიხსენებ უფლის საქმეებს და რაც მინახავს, იმაზე მოგითხრობთ: უფლის სიტყვითაა საქმენი მისი.
- 16. მანათობელი მზე უველაფერს ხედავს და საქმე მისი აღსავსეა უფლის დიდებით.
- 17. უფალმა არც წმინდანებს მისცა უფლება, უველა მის საკვირველ საქმეზე მოეთხროთ, რომელიც უოვლისმპყრობელმა უფალმა დაამტკიცა, რათა საშუარო მტკიცედ მდგარიყო.
- 18. იგი შეიჭრა უფსკრულსა და გულში და იხილა ხვეულები მათი, რადგანაც უზენაესმა შეიმეცნა ყოველი ცოდნა და საუკუნის ნიშანი განჭვრიტა.
- 19. გვაუწყებს რა წარსულსა და მომავალზე და ამჟღავნებს რა დაფარულთა კვალს
- 20. არცერთი გულისთქმა არ გამოეპარება მას და ვერ დაიფარება მისგან ვერცერთი სიტყვა.
- 21. მან განამშვენა დიდებული საქმენი თავისი სიბრძნისა და არხებობს უწინარეს საუკუნისა და საუკუნოდ, არცრა შეშმატებია და არცრა დაკლებია და არცრა მრჩვეული მოუთხოვია.
- 22. რა სახურველია ყოველი საქმე მისი, თუმცა მას ვითარცა ნაპერწყმებს, ისე ვხედავთ;
- 23. უველა ისინი ცოცხლობენ და სამარადისოდ რჩებიან ყოველგვარი საქიროებისათვის და უველანი [მას] ემორჩილებიან.

24. უკველივე არმაგია, ერთი მეორეს უპირისპირდება და ნაკლულვანი მას არაფერი არ შეუქმნია;

25. ერთი ამტკიცებს სიკეთეს მეორისა და ცქერათ მისი დიდებისა ვინ გაძლება?

თავი XLIII



1. სიზვიადე სიმაღლისა, სიმტკიცე სიწმინდისა და სახე ზეცისა სახილველად დიდებულია;
2. გამოჩნდება თუ არა, ამოსვლისთანავე გვაუწყებს [მათზე] მზე, ქმნილება საკვირველია საქმე უზენაესისა.
3. შუადღისას ახმობს იგი ქვეყანას და სიცხეს მისას წინ ვინ დაუდგება?
4. ქურახს უბერავენ ნაკეთობათა გამოსადნობად, მაგრამ მზე სამგზის მეტად წვავს მთებს. ცეცხლის აღმურით ხუნთქავს იგი და თვალებს ჭრის ბრწყინვალე სხივებით.
5. დიდია უფალი, ვინც შექმნა იგი და ვისი სიტყვითაც ისწრაფვის თავის გზაზე.
6. და მთვარეც უოველ უამს მარვენებელია დროისა და საუკუნის ნიშნისა.
7. მთვარისაგანაა მინიშნება დღესასწაულისა — სინათლე მისი მცირდება გავსებასთან ერთად.
8. თვე იწოდება მისი სახელით; იგი საკვირველად იზრდება ცვალებადობისას, გუმბათია ზესთა მწყობრისა და მანათობელი ზეცის სიმყარისა;
9. მშვენება ზეცისა — ვარსკვლავთა დიდებაა, ელვარე სამკაული — უფლის სიმაღლეთა შინა;
10. სიტყვით წმინდისა დგანან წებისამებრ და არ იღლებიან თავიანთ სადარაჯოზე.
11. შეხედე ცისარტყელას და აკურთხე შემქმნელი მისი, ფრიად მშვენიერია თავისი ბრწყინვით;
12. დიდებული რკალით გარს ერტყმის ზეცას; იგი უზენაესის ბელმა გადაქიმა.
13. მისივე ბრძანებით მოისწრაფვის თოვლი და მსწრაფლ ანათებენ ელვანი მისი სამსჯავროსი.
14. ამისთვის გაიხსნენ საგანძურნი და გამოფრინდნენ ღრუბელნი, ვითარცა ფრინველები.
15. ძლევამოსილებითა თვისითა ძალა მისცა ღრუბლებს და დაამსხვრია ლოდები ხეტყვისა.
16. მისი მზერისაგან მთები ირუევიან და მისი ნებით ქრის სამხრეთის ქარი.
17. მისი ქუხილის ხმა ათრთოლებს დედამიწას, ასევე ჩრდილოეთის ქარიშხალიცა და გრიგალიც.
18. ჩამოჰყრის თოვლს მსგავსად თავქვე დაშვებული ფრინველებისა და ცვენა მისი — ვითარცა კალია დაბლა მოფენილი. სილამაზე მისი სისპეტაკისა აოცებს თვალს და გულს განაცვიფრებს ბარდნა მისი.
19. მოაფრქვევს ჰირბლს ვითარცა მარილს, რომელიც გაუინვისას წაიმახება.
20. დაბერავს ცივი ქარი ჩრდილოეთისა და წყალი ყინულად იქცევა. იგი დაფარავს წყლის უოველ შესაკრებელს და შემოსავს წყალს თითქოსდა აბკრით.
21. გამს მთებს, უდაბნოსაც წვავს და ვითარცა ცეცხლი შეტრუსავს ბალახს.
22. მაგრამ უოველივეს სწრაფი მკურნალია ნისლი; ჩამოყრილი ცვარი ხორშაკს გააგრილებს.
23. ბრძანებითა მისითა [უფალმა] დააცხრო უფსკრული და აღმოაცენა მასზე კუნძულები.
24. ზღვით მოგზაურნი მოგვითხრობენ მის საფრთხეებზე და გვაოცებს, რახაც ჩვენი უურებით ვისმენთ.
25. რამეთუ იქაა დიდებული და საკვირველი საქმენი მისი, სიჭრელე ყველა ცხოველისა და ურჩხულთა საუფლო.
26. მისი წყალობით ბედნიერია მაცნე მისი და მის სიტყვას ყველა ემორჩილება.
27. მრავალი შეგვიძლია ვთქვათ, მაგრამ მას მაინც ვერ შევწვდებით და სიტყვის დასასრულს; იგი უოველივეა.
28. სად ვიპოვოთ ძალა მის სადიდებლად? რამეთუ დიდია იგი ყველა მის საქმეზე.
29. საშიშია უფალი და ფრიად დიდებული და საკვირველი მეუფება მისი.
30. მადიდებელთა უფლისა აამაღლეთ იგი რამდენადაც შეძლებთ და მაინც უფრო მაღლა იქნება. მოიკრიბეთ ძალა მისი ამაღლებისას, მაგრამ ნუ დაშვრებით, რამეთუ მაინც ვერ მიადწევთ.
31. ვინ იზიდა იგი და აგვიხსნის? და ვინ განადიდებს მას იმგვარად როგორც არის?

22. მრავალია დაფარული, რაც ამითვე უფრო დიდია, ჩვენ კი მხოლოდ მცირე ნაწილი ვიხილეთ მისთა საქმეთა.

23. რამეთუ უოველივე უფალმა შექმნა და სიბრძნე მისცა ღვთისმოსავებს.

თავი XLIV



1. ახლა კი შევაქოთ სახელოვანი ვაჟაკები და მამები ჩვენი მოღვაწეები. 2. მრავალი დიდება შექმნა უფალმა [მათი სახით] და დასაბამიდანვე აღივსო მისი. 3. [ესენი იყვნენ] მეფენი თავიანთ სამეფოთა შინა და კაცნი სახელოვანთა მშენებელნი ძლიერებითა, მომცემელნი გონივრული რჩევისა და მაუწყებელნი წინახწარმეტყველებისა.

4. ისინი წინამძღოლობდნენ ხალხს თათბირისას და წიგნით განსწავლისას; ბრძნული იყო სიტყვები მათი მოძღვრების.

5. მათ შეთხზეს ჰანგები მუსიკისა და ჰიმნები მოუთბრეს ჩაბაწერად.

6. კაცნი მდიდარნი, დაჯილდოებულნი ძალით და მშვიდად მცხოვრებნი თავიანთ სახლებში.

7. უველა ისინი პატივდებულ იყვნენ საკუთარ ტომთაგან და თავიანთი ღვთის დიდებით [გალიებს].

8. მათ შორის არიან ისეთნიც, რომელთაც დატოვეს სახელი ხოტბა-დიდების შენახსმელად.

9. და ისეთნიც, რომელთა ხსენებაც აღარ დარჩა და ისე გაქრნენ თითქოს არც ყოფილიყვნენ და ისე იქმნენ, თითქოს არც მოხილიყვნენ და ასევე მათ შემდგომაც — შვილებიც მათი;

10. მაგრამ იყვნენ ისინი კაცნი მოწყალენი, რომელთა სამართლიან საქმეებს არ დაივიწყებენ;

11. მათი თესლისაგან დარჩა შემკვიდრეობა კეთილი — შთამომავლობა მათი;

12. მათი წყალობით აღთქმათა შინა იქნება თესლი მათი და შვილები მათი;

13. თესლი მათი ვიდრე უკუნისამდე იარსებებს და მათი დიდება არ წაიშლება.

14. მათი გვაგები მშვიდობასა შინა დაიშარხა და სახელი მათი მოდგმაში ცოცხლობს;

15. ტომები მოგვითბრობენ მათ სიბრძნეზე და ეკლესიაც მათ ქებას გვაუწყებს.

16. ენუქი ხათრო ეყო უფალსა და ნათესავთათვის სინანულის ნიშნად იქცა.

17. ნოეს, რომელიც სრულქმნილი და სამართლიანი აღმოჩნდა, სამაგიერო რისხვის უამს მიეწღო. ამიტომაც გადარჩა მაშინ, როდესაც ღვთაებთაზე წარღვრა მოხდა.

18. მას მიეცა საუკუნო აღთქმა, რომ წარღვნით აღარ დაიღუპებოდა არცერთი ხორციელი.

19. აბრამი — დიდი მამა მრავალი ტომისა, რომელსაც დიდებით ვერავინ შეედრება.

20. მან დაიცვა რჩული უწენაესისა და მასთან აღთქმა დადო. აღთქმა თავის ხორცსა ზედა დაამტკიცა და გამოცდისას ერთგული აღმოჩნდა:

21. ამიტომაც [უფალმა] უიცი მისცა მას, რომ ტომები მისი თესლით იკურთხებოდნენ, შეპირდა, რომ გაამრავლებდა მას მსგავსად ქვიშისა და თესლს მისას აამაღლებდა ვითარცა ვარსკვლავს, მისცემდა სამემკვიდრეოს მას ზღვიდან ზღვამდე და მდინარიდან ვიდრე კიდემდე დედამიწისა.

22. და ისაკაცაც ამგვარად დაუმტკიცა მამისა მიხისა, აბრამის, გამო

23. კურთხევა უველა ადამიანისა და აღთქმა. განისვენა მან იაკობის თავზე და სცნო იგი კურთხევითა თვისითა. მისცა მას სამკვიდრებელი, რომელიც დაყო ნაწილებად და თორმეტ ტომს გაუყო.

თავი XLV

1. და წარმოშვა მისგან კაცი გულმოწყალე, რომელმაც მადლი მოიპოვა უოველი ხორციელის თვალში, ღვთისთვისაც და კაცთათვისაც საუვარელი მოსე, რომლის ხსენებაც კურთხეულია.

2. ძლიევამოსილებით წმიდანებს დაამსგავსა და განადიდა იგი საქმეთა წყალობით დასაშინებლად მტრებისა;

3. მისი სიტყვებით შეწყვიტა სასწაულებრივი მინიშნებანი და პატივდებულ ბუო იგი წინაშე მეფეთა. მისი მეშვეობით მბრძანებლობდა თავის ხალხს და მახვე არჩენა დიდება თვისი;

4. ერთგულებისა და სიმშვიდისათვის წმინდა ბუო იგი და უოველი ხორციელისაგან გამოარჩია;

5. მოასმენინა მას თავისი ხმა, შეიკვანა იგი ბურუსსა შინა და პირისპირ მისცა მას მცნე-

ბანი. — კანონი სიკოცხლისა და ცოდნისა, რათა იაკობისათვის ესწავლებინა აღთქმა და ისრაელისათვის სასჯელნი მისი.

6. [მან] ააშაღლა აარონი, მსგავსი მისი სიწმინდითა, ძმად მისი ლევის ტომიდან:

7. დაუდვა მას აღთქმა საუკუნო და მისცა მას მღვდელობა ერისა. ხანატრელ ჰყო იგი მშვენიერებითა და შემოართუა მას სარტყელი დიდებისა;

8. შემოსა იგი სრული ქებითა და გამოაწყო მდიდრული სამოსელით: საცვლებითა, მოდრჩითა და ეკომილითა;

9. შემოართუა მას ბურთულაეები და ოქროს მრავალი ეყვანიც შემოავლო, რათა უფლისა დადგმისას ხმები გამოეცათ და ტაძარში რეკვა ამტყდარიყო მისი ხალხის შვილებისათვის შესახსენებლად.

10. შემოსა ოქროსა და იაკინთის წმინდა სამოსით და სახეებით ნაქარგი ბისონითა, სიტყვით სამსჯავროსი და გამოცხადებით ქრეშმარიტებისა, ოხტატის ნახელავი მეწამული ქსოვილით.

11. ძვირფასი თვლებით ნაქანდაკარი ბეჭდით ქვისმთლელის ნაოსტატარ ოქროს ბუდეში, რომელზედაც სამაზხოვროდ ამოკვეთილია წარწერები [სახელებისა] ისრაელის ტომთა რიცხვის მიხედვით.

12. თავხაბურავს შემოტ ოქროს გვირგვინით, რომელიც ნიშანია სიწმინდის ბეჭდისა, სიამაყეა ღირსებისა, ქმნილებაა ხელოვნებისა და სამკაულია, თვალებისათვის სასურველი;

13. უწინარეს მისა როდი ხდებოდა ასე და ვერც უცხოტომელი შემოსება ამგვარად ვერასოდეს, არამედ მხოლოდ მისი შვილები და შთამომავლობა მისი სამარადეთამოდ.

14. მსხვერპლი მისი უოველდღე შეიწირება და ყოველთვის ორჭერ.

15. აივსო მოსემ ხელი და სცხო მას ზეთი წმინდა, მასა და მის თესლს საუკუნო აღთქმა მიეცა დღეთა შინა ზეცისა. რათა ემხაზურონ უფალს და აკურთხონ ხალხი მისი — [მისი] სახელით.

16. გამოარჩია იგი უოველი სულიერისაგან, რათა უფლისათვის ძღვენი მიერთმია: საკმეველი და კეთილსურნელება, გასახსენებლად იმისა, რომ თავისი ხალხი შეიწყალო.

17. მისცა მას მცნებანი მისი და უფლება სამსჯავროს დადგენილებათა ზედა, რათა იაკობისათვის ესწავლებინა გამოცხადებანი და მისი რკჟულით ისრაელი გაენათლებინა.

18. მას წინ აღუდგნენ უცხონი და შეშურდათ მისი უდაბნოში ადამიანებს, რომლებიც თან ახლდნენ დათანხა და აბირონს და სკოპეს ბრბოს სიშმაგითა და გულისწყრომით;

19. იბილა უფალმა და არ მოეწონა და აღესრულნენ ისინი სიკოფით რისხვისა. მოახდინა მათზე სასწაული და შემუსრა ისინი თავისი ცეცხლის ალით.

20. და შეპაატა აარონს დიდება და მისცა მას შემკვიდრეობა: ჩანასახი პირველნაყოფთა გაუყო მას, უწინარესად კი მოუშადა პური საძღოლად.

21. რამეთუ კამენ [იხინი] უფლის მსხვერპლს, რომელიც მას და მის თესლს მისცა.

22. ხამაგიეროდ მას არა აქვს სამეკვიდრეოდ მიწა ხალხისა და არ უნდა ჰქონდეს წილი ხალხს შორის, რადგანაც თავად უფალია ზვედრი და შემკვიდრეობა მისი.

23. ასევე ფინეზიც, ელეაზარის შვილი, შესამე სადიდებლად, რამეთუ იყო იგი მოშურნე უფლის შიშისა, ხალხის განდგომისას შტკიცედ იდგა კეთილგანწყობილებით თავისი სულისა და ივედრებოდა ისრაელის შეწყალებისათვის.

24. იმისათვის მიეცა მას აღთქმა მშვიდობისა, რომ უოფილიყო წინამდგომი წმინდანებისა და მისი ხალხისა და მის თესლს სამარადისოდ ჰქონოდა ღირსება მღვდლობისა.

25. ისევე როგორც დავითს, იესეს შვილს, იუდას ტომიდან მიეცა აღთქმა, რომ სამეფო შემკვიდრეობა გადავიდოდა მხოლოდ შვილიდან შვილზე, ასევე შემკვიდრეობა მღვდლობისა აარონსა და მის თესლს [შიეკუთვნა].

26. დაე, მოგცეთ თქვენ [ღმერთმა] სიბრძნე გულისა, რომ ხალხი მისი სიმართლით განსაჯოთ, რათა არ წარიხოცოს სიკეთენი მისი და დიდება მისი შთამომავლობასაც ჰქონდეს.

თავი XLVI

1. ძლიერი იყო ბრძოლისას იესო, ძე ნავესი, შემკვიდრე მოსეხი წინასწარმეტყველებათა შინა, რომელიც მისი სახელისდა შესაფერისად დიდი იყო ღვთის რჩეულთა გადარჩენისას და შურისგების ეამს ისრაელის დასამკვიდრებლად ამბოხებულ შტრებზე.
2. როგორ განდიდდა, როცა აღმართა ხელი თვისი და ქალაქსა ზედა მახვილი განფინა.
3. უწინარეს მისა ვინ იყო ამგვარი? რამეთუ მან ბრძოლები უფლისათვის გამართა.
4. განა მისი ხელით არ გაჩერდა მზე და ერთი დღე თითქოსდა ორად გადაიქცა?

- 5. მოუწოდა მან უზენაეს მეუფეს, როცა მტრებმა უოველი მხრივ შეაფიწროვეს: შეისმინა მისი დღღმა უფალმა და ლოდები სეტყვისა მძლავრად
- 6. დაუშინა მტრულ ხალხს და ფერდობზე [მოიხა] შემუსრა მოწინააღმდეგენი, რათა წარმართებს შეეცნოთ სრული აღჭურვილობა მისი და რომ ბრძოლა მისი უფლის წინაშეა.
- 7. და შეუდგა იგი უკან მეუფეს და მოსეს დღეებში ქმნეს სიკეთე მან და ქალებმა, იფონეს ძემ; ისინი წინ აღუდგნენ მტრებს, დააბრკოლეს ხალხი ცოდვის ჩადენისაგან და ბოროტი დრტვინვა დააცხრეს.
- 8. მხოლოდ ეს ორნიღა გადარჩნენ ექვსახი ათასი ქვეითისაგან, რათა შეეცვანათ ხალხი სამეგვიდროში, — ქვეუანაში, რომელთაც გამოსდის რძე და თაფლი.
- 9. და მისცა უფალმა ქალებს ძალა, რომელიც სიბერემდე შეინარჩუნა, დედამიწის სიმაღლეზე ასახვლელად და თესლმა მისმა მიიღო სამკვიდრებელი.
- 10. რათა დაენახა ისრაელის ეველა შვილს, რა მშვენიერია შედგომა უფლისა.
- 11. ასევე მსაჯულნიც, თითოეული მისი სახელისდამიხედვით, რომელთაც არ წაიბილწეს გული და უფალს არ განუდგნენ, — დაეკურთხეულთა შორის იყოს ხსენება მათი.
- 12. ძვლები მათი აყვავდეს მათი ადგილებიდან და სახელი მათი სადიდებლად გადაეცეს შვილთა მათთა.
- 13. მისმა უფალმა შეიყვარა ხამოელი, წინასწარმეტყველი უფლისა, ვინც სამეფო დააარსა და თავის ხალხს მეფენი უკურთხა.
- 14. იგი ხალხს უფლის კანონით სჯიდა და მოხედა უფალმა იაკობს.
- 15. თავისი რწმენით ის იყო წინასწარმეტყველი ქეშმარიტი და მის სიტყვებში შეიცნობა სიზუსტე ხილვისა.
- 16. მოუხმო მან უოველისშემძლე უფალს, როცა მტრებმა უოველი მხრივ შეაფიწროვეს და შესწირა მას ძუძუმწოვარა კრავი;
- 17. და დაიქუბა ზეციით უფალმა და გუგუნითა დიდითა სასმენელ ჰყო ხმა თავისი.
- 18. და შემუსრა ტიროსელთა წინამძღოლნი და ეველა მთავარი ფილისტიმისა.
- 19. ეამის წინ საუკუნო მიძინებისა დაადასტურა წინაშე უფლისა და მირონცხებულისა მისისა: „ქონება, ფეხსაცმელიც კი არ ამიღია არცერთი ბორციელისა“, და არავის უთქვამს მისთვის საყვედური.
- 20. მან იწინასწარმეტყველა მიძინების შემდგომადაც და მეფეს აუწყა აღსასრული მისი, მიწიდანაც აიშალლა ხმა თავისი და იწინასწარმეტყველა, რომ ურჯულოება ხალხისა წარიბოცებოდა.

თავი XLVII

- 1. შედგომად ამისა აღდგა ნათანი წინასწარმეტყველებისათვის დავითის დღეებში.
- 2. ვითარცა ცხიმი, მსხვერპლისაგან გამორჩეული, ასევე დავითიც — შვილთა შორის ისრაელისა.
- 3. მსგავსად თიკნებისა ლომებს ეთამაშა, ხოლო დათვებს კი ვითარცა ცხვრის კრავებს.
- 4. განა სიკაბუტეში არ მოკლა ბუმბერაზი და საყვედური ჩამორეცხა ხალხს, ოდეს აღმართა ხელი შურდულის ქვეით და დაამხო სიამაყე გოლიათისა?
- 5. რადგანაც უზენაეს უფალს მოუწოდა და მარჯვენაში მან მისცა ძალა, რათა დაემარცხებინა ომში მძლე კაცი და აეშალდებინა რქა მისი ხალხისა.
- 6. ამგვარად განადიდა იგი [ხალხმა] მრავალთა შორის და უფლის კურთხევით მას ხოტბა შეასხა, — ვითარცა ღირსს დიდების გვირგვინისა.
- 7. რამეთუ გაანადგურა გარშემო მტრები, დაიმორჩილა მოწინააღმდეგე ფილისტიმელნი და რქანი მათი დღემდე შემუსრა.
- 8. შემდგომად ეველა თავისი საქმისა წმინდა უზენაესს მადლს უძღვნიდა საქები სიტყვით. მან მოელი გულით უმღერა უფალს და შეიყვარა შემქმნელი მისი.
- 9. და დააყენა მგალობელნი საკურთხევლის წინ, რათა მათი ხმებით დაეტკბო გალობა.
- 10. მისცა მან დღესახწაულებს კეთილმშვენიერება და დაადგინა ეამნი ვიდრე აღსასრულამდე შესაქებად ღვთის წმინდა სახელისა და ტაძრის ცისკრიდანვე ასახშიანებლად.
- 11. უფალმა მიუტევა მას ცოდვანი მისი და რქაი მისი საუკუნოდ ააშალლა, მისცა მას მეფური აღთქმა და ტახტი დიდებისა ისრაელში.
- 12. შემდგომად მისა აღდგა მისი ბრძენი ვაჟი და მამის წყალობით იცხოვრა ბედნიერად.
- 13. სოლომონმა მშვიდობიან დღეებში იმეფა, რამეთუ ღმერთმა უოველმხრივ მოახვეწა, რათა აღემართა სახლი მის სახელზე და მოემწაადებინა ტაძარი საუკუნო.

14. რა ბრძენი იყავ შენი სიჭაბუკის უამს და გონიერებით სავსე, ვითარცა მდინარე.
15. სულმა შენმა დაფარა დედამიწა და აღავსე იგი იდუმალი იგავებით.
16. შორეულ კუნძულებამდე მიადწია სახელმა შენმა და შენი სიმშვიდისათვის შეგეყვარეს.
17. შენი გალობითა და ანდაზებით, იგავებითა და განმარტებებით ქვეყნები განცვიფრდნენ.
18. სახელითა უფალი ღმერთისა, რომელიც ისრაელის ღმერთად იწოდება. შეკრიბე ვერცხვით ვითარცა კალა და ვითარცა ტყვია, ვერცხლი გაამრავლე.
19. მაგრამ მიდრიკე წილნი შენი ქალებისაკენ და დაემონე მათ შენი სხეულით.
20. დაქა წახსებ დიდებას შენსას და თესლი შენი ისე შეაგინე, რომ რისხვას შენს წილთა შედეა და მათ დაიტირეს უგუნურება შენი.
21. ხელისუფლება ორი უოფილიყო: და ეფრემიდან დაედო სათავე ურჩ სამეფოს.
22. მაგრამ უფალი არ დაივიწყებს თავის მოწყალებას, არცერთს არ წარწყმედს თავის საქმეთაგან, არ შემუსრავს შთამომავლობას მისი რჩეულისა და მისი მოყვარულის თესლს არ აღმოფხვტის.
- და მისცა მან იაკობს ნეშტი [დანარჩომი], ზოლო დავითს კი — ძირი იმისგან.
23. და განისვენა სოლომონმა თავის მამებთან და შემდგომად მისა თავისი თესლისაგან ხალხს დაუტოვა უშეცარი და კუანაქლული რობოამი, რომელმაც ხალხი განიშორა მისი საბჭოსაგან.
24. და იერობოამი, შვილი ნაბატინა, ვინც ისრაელს შეაცოდინა და ეფრემიც ცოდვის გზას გაუყენა. ფრიად გამრავლდა ცოდვები მათი, რისთვისაც თავიანთი ქვეყნიდან განიდევნენ.
25. და უოველგვარი უკეთურება მოიძიეს, ვიდრე მათზე შურისძიებამ არ მოაწია.

თავი XLVIII

1. და აღდგა ელია წინასწარმეტყველი და სიტყვა მისი ანათებდა ვითარცა ლამპარი.
2. ვინც თავს დაატება მათ შიშშილი და შურითა თვისითა შეამცირა [რიცხვი] მათი.
3. სიტყვით უფლისა შეიპურო ზეცა და ამგვარად სამგზის ჩამოიტანა ცეცხლი.
4. რა დიდებული იქმენ, ელია, შენი სასწაულებით და ვინ შეგედრება შენ დიდებით?
5. შენ აღადგინე გვაში სიკვდილისა და ქოქოხეთისაგან უზენაესის სიტყვით;
6. შენ დაამხე მეფენი წარსაწყმედად და დიდებულნი მათი სარეცლებიდან.
7. სინაზე მოისმინე მხილება [მათი] და ქორებზე სასჯელნი შურისძიებისა.
8. შენ სცხე მეფეებს სააგიეროს მისაზღველად და შენს შემკვირე წინასწარმეტყველებს.
9. შენ აშაღდი ცეცხლის გრიგალით ცეცხლოვანი ცხენების ეტლზე.
10. შენ დანიშნული იყავ დროზე სამხილებლად, რათა დაგეცხრო რისხვა ვიდრე სიშმაგებდე მიადწივდა, შვილისაკენ მოგექცია გული მამისა და ტომები იაკობისა აღგედგინა.
11. ნეტარ არიან მხილველნი შენი. — შემკულნი სიყვარულით და ჩვენც სიცოცხლით ვცხოვრდებით.
12. ელია გრიგალით დაიფარა და სულითა მისითა ელისე აღივსო. და არ შერყეულა იგი მთავართა წინაშე მის დღეთა შინა და მასზე ვერც ვერავინ იმეუფა.
13. ვერავის სიტყვამ ვერ ძლია იგი და მიძინების უამსაც იწინასწარმეტყველა სხეულმა მისმა;
14. თავის სიცოცხლეშიც კმნა სასწაულნი და საკვირველია სიკვდილის შემდგომაც საქმენი მისი.
15. მიუხედავად უოველივე ამისა, ხალხმა არ მოინანია და არ განუდგა თავის ცოდვებს, ვიდრე ტყვეებად არ წახსტეს თავისი მიწიდან და მთელ ქვეყანაზე არ გაიფანტა.
16. და დარჩა ხალხი ფრიად მცირე და მთავარი დავითის სახლიდან. მათგან ზოგიერთი სათნოდ იქცეოდა, ზოგიერთმა კი ცოდვები გაამრავლა.
17. ეზეკიამ განამტკიცა ქალაქი თვისი და მის შუაგულში წყალი შეიყვანა, რკინით გათხარა კლდე და წყლისათვის საცავი ააშენა.
18. მის დღეთა შინა [ქალაქს] თავს დაეხსა სენაქერიმი და წარგზავნა მასთან რაფხაქა, რომელმაც ხელი მისი აღმართა სიონზე და ამპარტავნებით მედიდურობდა.
19. მაშინ აცახცახდნენ გულეები და ხელები მათი და იტანჯებოდნენ მშობიარეთა მხგავსად:
20. და მოუბმეს უფალს: გულმოწყალებს და ხელები მისკენ გაიწოდეს. მსწრაფლ შეიბე მინა მათი ზეცაგან წმიდამ და ისინი ეხსიან ხელით დიხხხნა.
21. მან დაამარცხა ასირიელთა მხედრობა და ანგელოზმა მისმა შემუსრა იგი.
22. რამეთუ ეზეკია წინაშე უფლისა სათნოდ იქცეოდა და განმტკიცდა გზაზე დავითისა.

მამისა, მისისა, ვითარცა ამცნო ესაია წინასწარმეტყველმა დიდმა და ხარწმუნომ თავისი ხილ-
ვებით.

- 23. მის დღეთა შინა მზე უკუიქცა და შექმათა მეფეს ხიცოცხლე.
- 24. თავისი დიდი ხელთ იხილა შორეული მომავალი და სიონში მგლოვარენი ანუგეშა.
- 25. საუკუნოდ აუწყა მომავალი და დაფარულნი ჰანამ, ვიდრე ასინი კრულდებოდნენ.

თავი XLIX



ქართული

1. ხსენება იოსიასი, — ვითარცა საკმეველი შეზავებული, რამდენიმე მსტატურად შეამზადა. ბაგეთა შინა დატკებთა ვითარცა თავლი და ვითარცა მუსიკა-ნადიმზე ღვინის ხმისას.

- 2. მან წარმართა ხალხი მოხაქცევად და ბიწიერებანი უსჯულოებისა შემუსრა.
- 3. მან წარმართა უფლისაკენ გული თვისი და ურჯულოების დღეებში ღვთისმოხაზობა განამტკიცა.

4. დავითის, ეზეკიასა და იოსიას გარდა ყოველმა შესცოდა ცოდვით, რადგანაც დათმო რჯული უწენაესისა; და იუდეას მეფენიც მიიქცნენ.

- 5. რამეთუ მისცეს თავიანთი რქა სხვებს და უცხო ტომებს თავიანთი დიდება.
- 6. რჩეული ქალაქი სიწმინდისა გადაიწვა და მოობრდა ვზები მისი.
- 7. როგორც იწინასწარმეტყველა იერემიამ, როცა იგი შეურაცხუვებს, თუმც საშოშივე წმინდა იქმნა წინასწარმეტყველად. აღმოსაფხვრელად, დასამარცხებლად და შესამუსრად მსგავსად შენებისა და დანერგვისა.

8. იეზეკიელმა იხილა სახილველი დიდებისა, რომელიც მას უჩვენა [ღმერთმა] ქერუბიმის ეტლზე.

- 9. შეახსენა მტრები წვიმის სახით და სიკეთე აუწყა მათ, რომელთაც [თავიანთი] ვზები გაანწორეს.

10. და თორმეტი წინასწარმეტყველი — დაე, აყვავდეს ძვლები მათი თავიანთი ადგილებიდან, რადგანაც ანუგეშეს იაკობი და იხსნეს ისინი ხარწმუნო იმედით.

- 11. როგორ ვადიდოთ შორობაბელი? იგი ვითარცა ბეჭედი მარჯვენა ხელზე.
- 12. ასევე იესოც, იოსებუკის ძე; მათ დააფუძნეს სახლი თავიანთ დღეებში და აღუმართეს უფალს წმინდა ტაძარი მომზადებული საუკუნოდ სადიდებლად.
- 13. დიდია ხსენება ნეემიასი ვინც დაშობილი ზღუდენი აღგვიმართა, დაგვიყენა ბქენი და კლიტენი და აღგვიდგინა დანგრეული სახლები ჩვენი.
- 14. დედამიწაზე არავინ შექმნილა მსგავსი ენუქისა, რამეთუ იგი ამაღლდა მიწისაგან.
- 15. და არც იოსების მსგავსი კაცი დაბადებულა, ვინც იუო ძმების წინამძღოლი, საყრდენი ხალხისა; და ძვალთა მისთა პატივი სცეს.

16. ადამიანთა შორის განდიდდნენ სემი და სეთი, მაგრამ ყველა ცოცხალზე მაღლა, რომელიც შეიქმნა, ადამია.

თავი XLIX

1. სიმონი, ძე ონიასა, დიდი მღვდელი, ვინც სახლი ხიცოცხლეშივე შეაკეთა და თავის დღეთა შინა ტაძარი განამტკიცა.

- 2. მისგან ჩაეყარა საფუძველი ორმაგ სიმაღლეს — აგებას ტაძრის მაღალი ზღუდისა.
- 3. მის დღეებში შემცირდა საცავი წყლისა, ტბორა, ისევე როგორც შემოწერილობა ზღვისა.

4. თავისი ხალხი, რომ უბედურებისაგან დაეფარა, მან გაამაგრა ქალაქი აღუისაგან თავდასაცავად.

- 5. რა დიდებული იუო იგი ხალხს შორის ტაძრის კრეტსაბმელიდან გამოსვლისას!
- 6. ვითარცა ღრუბლებში ვარსკვლავი ცისკრისა და ვითარცა დღეთა შინა ხავხე მთვარე.
- 7. ვითარცა მზე, მბრწყინავი მაღალ ტაძარზე და ვითარცა ცისარტყელა მანათობელი დიდებულ ღრუბელთა.
- 8. ვითარცა კოკორი ვარდისა გაზაფხულის დღეებში და ვითარცა შროშანი წყლის ნაპირებზე, ვითარცა უღორტი საკმევლის ხისა ზაფხულის დღეებში.
- 9. და ვითარცა საცეცხლურში ცეცხლი და საკმეველი, ვითარცა ჭურჭელი ოქროსაგან გამოქვდალი და შემკული ყველა ძვირფასი კვით.

10. ვითარცა ზეთისხილი ნაყოფით დახუნძლული და ვითარცა კვიპაროსი აშოლტილი ვიდრე ღრუბლებამდე.

11. როცა მან დიდებული სამოსი მიიღო და ხრულიად შეიმოსა სამკაულებით, წმინდა საკურთხეველზე ასვლისას ტაძარი ირგვლივ გააბრწყინა.

12. ასევე, საკურთხევლის ცეცხლთან დგომისას, როს მღვდლებს ხელთაგან [შესაწირავის] ნაწილებს იღებდა, მის ირგვლივ იყო გვირგვინი ძმებისა, ვითარცა რტოები ლიბანის კედარისა, რომელნიც მსგავსად ფინიკის ტოტებისა — გარს ერტყმოდნენ.

13. და აარონის უველა შვილი მათი დიდებითა და ხელთა მათთა შინა შესაწირავით უფლისა — ისრაელის მთელი საკრებულოს წინაშე.

14. საკურთხეველზე მსახურების დასრულებისას უზენაესი უოველისმპყრობელი უფლისა მღვდლის შესამკობად.

15. ხელი მისი გაიწოდა სამსხვერპლო თასზე, ჩაასხა მასში ხიხლი უურძნისა და საკურთხევლის სამირკველზე დაღვარა იგი, რათა უოველთა მეუფე უზენაესს კეთილსურნელება ეუნოსა.

16. მაშინ შესძახეს აარონის შვილებმა, გამოჰვიდოთ საყვირებს ჩაჰბერეს და სასმენელ მკვეს ხმაი დიდი უზენაესისათვის შესახხენებლად.

17. მაშინ მთელი ხალხი ერთად აჩქარდა და მიწაზე საბით დაემხო, რათა თაყვანი ეცა უფლისა მათისა, უზენაესი უოველისმპყრობელი ღვთისათვის.

18. და შეაქცეს იგი მგალობლებმა თავიანთი ხმებით და ვრცელ ტაძარში ტკბილი საგალობელი გაიხმა:

19. და შეევედრა ხალხი უზენაეს უფალს მოწყალის წინაშე ვედრებით ვიდრე აღსრულდებოდა ქება უფლისა და ასე დაასრულეს მსახურება მისი.

20. მაშინ ჩამოსვლისას გაიწოდა მან ხელი მისი ისრაელის შვილთა მთელ საკრებულოზე, რათა კურთხევა უფლისა მიეცა ბავითა თვისითა და იქადოდა მისი სახელით.

21. [ხალხმა] გაიმეორა თაყვანისცემა უზენაესისაგან კურთხევის მიხალგებად.

22. და აწ აღიდეთ ღმერთი უოველთა, უველგან დიდთა საქმეთა მოქმედი, რომელიც საშოდანვე გვიგრძელებს ჩვენს დღეებს და მისი წყალობისამებრ გვეპყრობა.

23. დაე, მოგვცეს ჩვენ სიხარული გულისა და დაე, მშვიდობა იყოს ჩვენს დღეთა შინა ისრაელში სამარადისოდ.

24. შეინარჩუნოს წყალობა მისი ჩვენს მიმართ და დაე, თავის დროზე დაგვიხსნას ჩვენ.

25. ორი ხალხი მოიძაგა სულმა ჩემმა და შესამე არც არის ხალხი;

26. სამარიასა და ფილისტიმის მთაზე მჯდომარენი და ხალხი ბრიყვი, რომელიც სიკიშის მკვიდრია.

27. მოძღვრება სიბრძნისა და კეთილგონიერებისა აღწერა ამ წიგნში იესო იერუსალიმელმა, შვილმა ზირაქისა, ელენაზარის ძისა, ვინც თავისი გულიდან სიბრძნე დააწვიმა.

28. ნეტარია ის, ვინც ამ [მოძღვრებით] გაიწაფება და ვინც გულში ჩაიდებს მას, განბრძენდება.

29. ხოლო თუკი მას აღასრულებს, უოველივეს შეძლებს, რადგანაც გზაი მისი — ნათელი უფლისა.

თავი XLXI

1. აღვიარებ შენ, უფალო, მეუფეო და ვაქებ შენ, ღმერთო, მხსნელო ჩემო, ვადიდებ შენს სახელს,

2. რამეთუ მფარველად და შემწედ შეუავ მე, იხსენი სხეული ჩემი წარწყმედისა, ცილისმწამებლური ენის მახისა და სიცრუის შემთხვევლი ბაგეებისაგან, ჩემზე ამხედრებულთა წინაშე შემეწიე და გადამარჩინე მე

3. შენი დიდი მოწყალებისა და სახელისათვის კბილთა ღრჭენისაგან, რომელნიც მზად იყვნენ შევეჭამე, ჩემი სულის მძებნელთა ხელისა და მრავალი ჭირისაგან, რომელიც მქონდა.

4. უოველი მხრივ შემხუთველი ცეცხლისაგან და შუაგულისაგან ცეცხლისა, სადაც არ დავიწვი,

5. სიღრმისაგან ჯოჯობეთის სტომაქისა, უწმინდური ენისა და ცრუ სიტყვისაგან

6. და მეფის წინაშე უსამართლო ენის ცილისმწამებისაგან. სული ჩემი სიკვდილს მიუახლოვდა და სიცოცხლე ჩემი ახლოს იყო ქვესკნელთან.

7. უოველი მხრიდან შემომერტუნენ მე და არ ჩანდა მხსნელი, ადამიანთაგან თვალებით ვეძებდი შემწეობას, მაგრამ ამაოდ.

8. და გავიხსენე წყალობა შენი, უფალო, და საქმენი შენი დასაბამიდან, რომ შენ გადარ-

ჩენ შენზე მონდობილთა და დაიხსნი მათ მტრების ზელთაგან.

9. და აღვაშაღლე შიწიდან ვედრება ჩემი და სიკვდილისაგან დახსნა შეგთხოვე.

10. მოვუხმე უფალს, მამას ჩემი უფალისა. — არ მივეტოვებინე გასაჭირის დღეებში, როცა ამპარტავანთაგან არ იყო შემწეობა. დაუცბრომლად ვადიდებ შენს სახელს და ხოტბის შესხმით გიგალობებ.

11. რადგანაც ვედრება ჩემი შესმენილ იქნა, გადამარჩინე მე წარწყმედას და ბოროტი დროისგანაც დამიხსენი.

12. ამისთვის განგადიდებ და შეგაქებ შენ და ვაკურთხებ სახელს უფლისა.

13. ჭერ კიდევ სიკაბუკისას. ვიდრე სამოგზაუროდ წავიდოდი, ცხადად მოვიძიე სიბრძნე ჩემს ლოცვაში.

14. მასზე ვლოცულობდი წინაშე ტაძრისა და ბოლომდე მისი მძებნელი ვიქნები.

15. ვითარცა მტევანმა უვავილისაგან დამწიფებულმა, ისე გაახარა მან გული ჩემი. ფებმა ჩემმა სწორი გზით იარა და სიყრმიდანვე მას კვალში ჩავეუდექი.

16. უური ჩემი მცირედ მივუპყარ, მივიღე [იგი] და მრავალი რამ ვპოვე მასში ჩემი დამ- მოძღვრელი.

17. წარმატებასაც მივადწიე და ვინც მე სიბრძნე მომცა, მას განვადიდებ.

18. გადავწყვიტე მას გავყოლოდი, ვმოშურნეობდი სიკეთეს და არ შევრცხვენილვარ.

19. ხულმა ჩემმა მის გამო იღვაწა და რჯულის საქმეშიც ზუსტი ვიყავი. ხელები ჩემი მალლა აღვაპყრე და უგუნურება ჩემი ვალიარე.

20. ხული ჩემი მისკენ წარვმართე და სიწმინდით ვპოვე იგი. გული ჩემი იმთავითვე მას მივეცი და ამიტომაც არ მიმატოვებს;

21. შიგნეული ჩემი მის მოსაძებნად შეირყა და ამიტომაც შევიძინე განძი კეთილი.

22. სანაცვლოდ მომცა უფალმა ენა და მისით შევაქებ მას.

23. მომიახლოვდით მე უმეცარნო, და სახლში მოძღვრებისა დამკვიდრდით.

24. რადგანაც გვირდებათ თქვენ იგი და თქვენს ხულებსაც ფრიად სწყურიათ.

25. გავაღე პირი ჩემი და წარმოვთქვი: შეიძინეთ იგი თქვენთვის უვერცხლოდ.

26. ქედი თქვენი მის უღელს მოუდრიკეთ და დაე. თქვენმა ხულმა მიიღოს მოძღვრება; მისი პოვნა ახლოსაც შეიძლება.

27. თქვენივე თავლებით იზილეთ, რომ მცირედ დავშვერი და სანაცვლოდ მოვიპოვე დი- დი სიმშვიდე.

28. ეზიარეთ სწავლას თუნდაც დიდძალი ვერცხლის ფახად და მისით მრავალ ოქროს შე- იძენო.

29. დაე, გაიხაროს ხულმა თქვენმა მისი მოწყალებით და ნუ შეგრცხვებათ მისი ქებისა.

30. საქმე თქვენი დროულად გააკეთეთ და საზღაურს თავის დროზე მოგანიჭებთ.





თარგმნა ავთანდილ ჯოხაძემ

აპოლონი და დიონისე

(ნიცშეს შესახებ)

I

„ტრაგედიის დაბადება“

თავის წიგნში „ტრაგედიის დაბადების შესახებ“ ახალგაზრდა ნიცშეს ბერძნულ სიძველეთაგან ორი მთავარი ელენური ღვთაების, დიონისეს და აპოლონის, კოლოსალური გამოსახულებები აღგვიდგინა. ეს ნიმუშები საოცრად მკაფიოდ და სრულყოფილად გამოხატავენ სიციცხლის ორ, პოლარულად ურთიერთსაპირისპირო შეგრძნებას, რომლებიც ათადან და ბაბადან მოყოლებული განუწყვეტლივ ებრძვიან ერთმანეთს კაცობრიობის ისტორიაში. აი რატომ იქცა თითქოსდა ესოდენ წვრილმან საკითხზე მხოლოდ-დამხოლოდ სპეციალისტთა ინტერესებისათვის დაწერილი ნაშრომი, — „ელენური ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“, — წიგნად, რომელსაც ყველა განათლებული ადამიანი უნდა იცნობდეს.

აღვადგინოთ ზოგად ხაზებში ამ ორი ბერძნული ოვთაების სახე ისე, როგორც ეს ნიცშეს ესმოდა.

აღვადგინოთ ზოგად ხაზებში ამ ორი ბერძნული, პომეროსისდროინდელი ბერძენი, აპოლონურად აღიქვამდა სიციცხლეს: შექუთრებდა იგი მოვლენათა წარმტაც სამყაროს, — იმას, რასაც მაიას მაცთურ საბურველს უწოდებენ, — და მას ნამდვილ ცხოვრებად აიჩნევდა. მრავალ-

ვალსაზრედ იაზრებდა მაშინდელი ბერძენი სამყაროს, — დროისა და სივრცის ფორმებში, — წესით, რომელსაც შოპენჰაუერი principium individuationis-ს უწოდებდა. „ამ წესით, — წერს შოპენჰაუერი, — ადამიანი ხედავს არა საგანთა დედაარსს, რომელიც ერთიანია, არამედ მხოლოდ ამ დედაარსის გამოვლინებებს, რაღაც განცალკევებულს, განმხოლოებულს, ურიცხვს, მრავალწახნაგას და, ასე განსაჯეთ, წინააღმდეგობრივსაც. „იღამიანს, რომელიც ასეთი თვლით უცქერის სიციცხლეს, ნიცშე, შოპენჰაუერის კვალდაკვალ, ბობოქარ ზღვაზე მოცურავენს ადარებს. ლელავს, გუგუნებს უკიდვგანო ზღვა: ხან მაღლა აბურცავს წყლის გორებს, ხან დაბლა დაანთქამს. თავის ვარცლა ნავს მინდობილი მოცურავე კი ზის არჩეინად, აინუნშიაც არ აგდებს აზავთებულ უსასრულობას. ასევე მშვიდად ეწევა ცხოვრების უღელს მუხანათ წუთისოფელში principium individuationis-ს მინდობილი ადამიანი, დროისა და სივრცის ყალიბში აღიქვამს სიციცხლეს: ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევს უსასრულო წარსულსა და უსასრულო მომავალში ერთნაირად ტანჯვითა და კირთებით სავსე უკიდვგანო სამყაროს; ერთადერთი რამ არის მისთვის ნამდვილი, — შემოფარგლული აწმყო, უახლოესი მიზნები, დაბნული პორიზონტები.

ამ ილუზიის ტყვეობაში აპოლონს ჩაუვლია

დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3, 4.

ადამიანი. ის მაცდური, „რეალური“ სამყაროს ღმერთია. ხარობს მზიური ღვთაების ხიბლით მოჭადროებული ადამიანი, პარმონიას და სილამაზეს ქვრეტს ცხოვრებაში, აინუნშიაც არ აგდებს უფსკრულებსა და საშინელებებს. ინდივიდუუმის ტანჯვა-წვალებას აპოლონი მოვლენათა მარადისობის სხივებისკროვანი ქებადიდებით ამარცხებს; მკმუნჯარება გაძევებული ბუნების ფარვლებიდან, აპოლონური ილუზიის ტყვეობაში მყოფი ადამიანი თვალდაბნეული სამყაროული ტანჯვა-წუხილის მიმართ.

და აი, სულიერი პარმონიის და ნათელი ცხოველმყოფელობის ამ საუფლოში უცებ ახალი, კომეროსისდროინდელი ადამიანისათვის ჯერ არნახული, ღვთაება, ბარბაროსი და ველური დიონისე შემოგრიალდა. სიშმაგის ცეცხლით აღანთო მან უდრტიწველი გულები, გამძვინვარებულ: ექსტატიკურ ბრბოს გამოუძლეა და მთელი ელადა მოიარა ძლევამოსილმა.

ტანჯული ღმერთი დიონისე, — რომელსაც მარად გლეჯენ და მარად აღდგება, — სიციცხლის „ქეშმარიტი“ არსების სიმბოლოა. სიციცხლე ტანჯული ღმერთის გამოვლენაა, სამყაროების შესაქმნით ნაქარბისა და ნამეტისაგან განიშებტება გაწამებული ღვთაება, იმ სიეწროვისაგან თავისუფლდება, რომელსაც მასში თავმოყრილი კონტრასტები ქმნიან. სამყარო ამ უდიდესი, კონტრასტებით და წინააღმდეგობებით სავსე, მარტვილის მარად ცვალებადი და მარად განახლებული ზმანებაა, მარტოდენ ეს პირველერთიანი, დასაბამიერი, ზეშთაცოცხალი არსებაა ნამდვილარსებული. ის ყოველი მოვლენისაგან დამოუკიდებელი და ყოველგვარ მოვლენაზე უწინარესია. მოვლენა მხოლოდ მონამგვანია (გოეთეს ცნობილი ლექსი: „ყოველივე წარმავალი მხოლოდ მონამგვანია“).

მზერა, რომელმაც ერთხელ უკვე უწია სიციცხლის იღუმალ „ქეშმარიტებას“. შიის მაცდური საბურველით ველარ აიხვეეს თვალს, ველარ ისასოებს რეალური სამყაროს ამო ბრწყინვალეებით. ის უკვე ჭირ-ვარამსა და საშინელებებს ამჩნევს ცხოვრებაში, ხედავს დანათოსებულ, ნაფლეთებად ქცეულ სამყაროს, სამყაროული ტანჯვის პირველგამომწვევს, — principium individuationis-ს დასაბამიერი, ერთიანი არსების გათვისებულ, ურთიერთშეუთანხმებელ „მოვლენებად“ დანაწევრებას. სიციცხლის უწინდებური ვაგების ფარვლებში ადამიანი ელარ ახერხებს ცხოვრების შემზარავი წინააღმდეგობების მორიგებას და გამთლიანებას, სიციცხლეს საზრისი ეკარგება. ერთხელ მეფე მიდასმა, ბევრი წვალების მერე, ტყეში დიონისეს თანამდევი ბრძენი სილენი დაიჭირა და ჰკითხა: რაშია ადამიანის უზენაესი ბედნიერება?

დემონი ჭიუტად სდუმდა, ბოლოს შემზარავად გადაიხარხარა და მიუგო:

— სვეუბედური, დღემოკლეა ებ თქვენი მოდგმა. — სიდუხჭირის და შემთხვევის წერა რად მაიძულე იმის გამხელა, რისი ვაგებაა არა გმართებდა? უზენაესი ბედნიერება არ გამჩდარიყავ, ახრჩქნეს ქარაობა ყოფილიყავი. — მიუხედავად ამის შენთვის, აწ ერთადერთი რამ განუგეშებს: რაც შეიძლება ნაადრევად გამოეთხოვო ამ წუთისთვის.

აი, ის უიმედო ქეშმარიტება, რომელიც ტანჯული ღმერთის უზენაესი საიდუმლოს შესამეტნებლად ამზადებს ადამიანს.

ხაზადაფჩენილი უფსკრულის პირას შიში დაზაფრული ადამიანი გაშტერებულა. შეეხო დიონისე მის სულს და ისიც გადასხვაფერდა, „საკუთარი ტყავიდან გამოვიდა“; ორგიულად აღტყინებული ადამიანი, სიშმაგის ექსტაზში ჩავარდა; პირთვნული საზღვრები გაქრა და სულს საგანთა გულისგულისაკენ, პირველერთიანი ყოფნისაკენ გაეხსნა გზა. ეს სანეტარო აღტყინება უველაზე ნათლად სიმთვრალის ანალოგიით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, დამბანგავი სასმელით თრობის დროს, ანდა, როცა გაზაფხული მოიკრებს ძალას და მთელ ბუნებას გააბაღისებს, კაცის სულში დიონისური შეგრძნებები ილვიძებენ: აღფრთოვანებული, თავდავიწყებამდე მისული ადამიანი თავის „მე“-ს ჰკარგავს: აღარ არსებობს „მე“, აღარ არსებობს სიმრავლე, სივრცე და დრო, ყველაფერი ჩვენს ქვემოთ, სადღაც შორს ჩაკარგულა. სწორედ ამ განცდაზე თქვა დოსტოევსკის კირილოვმა: „თითქოს უცებ შეიგრძნობ მთელ ბუნებას და ამბობ: კი, ეს სიმართლეაო!“

დიონისეს ხიბლით მოჭადროებული ყოველი კაცი გრძნობს, რომ არა მარტო შერწყმია და შერიგებია საკუთარ მოყვასს, არამედ გაიგივებია კიდევ მას. მოძულეებული დედაბუნება თავისი ძე შეცთომილის დაბრუნებას ზეიმობს, გულში იხუტებს ადამიანს. ყველაფერი ერთ უზარმაზარ, მისტიკურ მთლიანობად შერწყმია ერთმანეთს. რალც ზებუნებრივი გასმიანდა სულში და ადამიანმაც თავისი ღვთაებრიობა შეიგრძნო, აღზევებული და ფრთაშესხმული მიმოდის იგი, სხვაგვარ სიარულს მისჩვევია, სურს როცა-როცით აიჭრას ცაში. ადამიანი თითქოს თვალსა და ხელს შუა გადაიქცა მხატვრულ ქმნილებად: სიმთვრალით გახლებულ ადამიანში თითქოს ბუნების უზარმაზარმა შემოქმედმა ძალამ იფეთქა, რათა უზენაესი ნეტარება და კმაყოფილება განაცდევინოს პირველ არსებულს.

ამრიგად, დიონისე, — ისევე როგორც აპოლონი, — გვარწმუნებს, რომ ყოფნა მარად

სასიხარულოა, ოღონდ ამ სიხარულის წყარო მოვლენებში კი არ უნდა ვეძიოთ. არამედ მათ მიღმა. ჩვენ გეჭვრება, რომ ყველაფერი, რაც კი წარმოიშობა, სიკვდილის წერა ხდება. ჩვენ თვალს ვუსწორებთ პიროვნული არსებობის საშინელებებს, სასოს კი მაინც არ წარვიკვეთავთ. — მეტაფიზიკური ნუგეში მეცხეულად გამოგვიტაცებს ცვალებად მოვლენათა ამოვების სფეროდან, ორიოდ წამით მართლა ვიქცევით პირველარსებად, ყოფნის დაუოკებელ წყურვილს შევიგრძნობთ, და რაკი სამყაროული ნების წრეგადასული ნაყოფიერების წყალობით ცხოვრებაში აურაცხელი ფორმები ხორციელდება, უკვე აუცილებელიც კი გვგონია შეხლა-შეშობლი. ტანჯვა-წამება და წარმონაქმნთა განადგურდება. თითქოს უსაზღვრო, დასაბამიერ მსოფლიო სიხარულში ავითქვიფეთ, დიონისურად აღტყინებულეებმა შევიგრძენით ამ სიხარულის მარადიულობა და წარუვალობა. მიუხედავად მსოფლიო ნების სისასტიკისა, მიუხედავად შიშისა და თანატანჯვისა, სიცოცხლე მაინც გვეხალისება, ოღონდ — არა როგორც ინდივიდუუმებს, არამედ, როგორც ერთიან ცოცხალ არსებას. რომლის ნება-სურვილსაც შევრწყმივართ.

ნიცშეს არ გამოჰპარვია საფრთხე, რომელსაც მისი ხალისიანი დიონისე უჭადის სიცოცხლეს. დიონისური ადამიანი გრძნობს, რომ მის დიონისურ სამყაროს ღრმა უფსკრული მიჯნავს ყოველდღიური სინამდვილისაგან. როგორც კი ისევ აღდგება ჩვენს ცნობიერებაში ყოველდღიური სინამდვილე, მაშინვე ზიზღი დაგვეუფლება მის მიმართ. პირველარსებულთან ერთიანობის განცდის ოდენ მოგონება ვერ აბათილებს ადამიანის ტანჯვას მოვლენათა სამყაროში. ადამიანი უკვე ყოფნის აბსურდულობას და განსაცდელს ამჩნევს, გულში ტყის ღმერთის სილენის საშინელ სიბრძნეს ინახავს. ადამიანს ნებაჩაკლულობის განწყობილება ეუფლება და „გული ერევა“: მან შეიძინო და ყოველნაირი საქმიანობაც შეზიზღდა. რაღა აღსადგენია ერთგელ უკვე დაზანყებული სამყარო. ადამიანი მაინც ვერ შეცვლის საქმის დედაარსს.

და მართლაც, ყოველთვის, როცა დიონისური აგზნება გვარიანად გავრცელდება, შეიშინება, რომ პიროვნული ბორკილებისაგან დიონისურ გათავისუფლებას, უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების დაკნინება მოჰყვება შედეგად. რაც გულგრილობამდე და ამ ინსტიტუტებისადმი მტრობამდე მიდის ორგანიზმის სფეროში, — ამბობს ნიცშე. — ხალხისთვის ერთადერთი გზა არსებობს, — გზა ინდური ბუდიზმისაყენ: არასაადმი მისი მისწრაფების გამო მთლად აუ-

ტანელი რომ არ შეიქმნას, ბუდიზმს ექსტაზის იშვიათი წუთები სჭირდება. რომელიც მას დროზე, სივრცეზე და ინდივიდუალობაზე აღამალლებს. თავის მხრივ ეს ექსტაზები ისეთ ფილოსოფიას მოითხოვენ, რომელიც გვასწავლის წარმოსახვის ძალით დავძლიოთ ყოველდღიურ უნუგეშო შუალედური მდგომარეობები. მაგრამ დიონისურ ელინს ბუნებრივად უფრო-ყოფის ბუდისტური საფრთხე არ ემუქრებოდა. თავისი მახვილი თვალთ აკვირდებოდა ის მსოფლიო ისტორიის ყოვლისგამატიანებელ მსვლელობას, ხედავდა ბუნების სისასტიკეს, გრძნობდა ტყის ღმერთის სილენის სიბრძნის მართებულობას და, მიუხედავად ამისა, მაინც ძალუმი, ხალისიანი ცხოვრებით ცხოვრობდა. მას სილამაზე შეელოდა.

დიონისემდელ, პომპროსისდროინდელ ბერძენსაც არსებითად იგივე სილამაზე ასულდგმულებდა. როდესაც საბერძნეთში დიონისე შემოიქრა, გარეგნულად გულდამშვიდებული ბერძენი დიდად განცვიფრებული მისჩერებოდა მას, მაგრამ ამ განცვიფრებას თანდათან შიშიც გაერთია: დიონისური ბერძნის შეგნებაში სულ უფრო მტკიცდებოდა იზრი, რომ სიცოცხლის დიონისური ვაგება არც მისთვის უნდა ყოფილიყო მთლად უცხო. ის უკვე გრძნობდა, რომ ყოფნა მთელი თავისი სილამაზით და დამიჯნულობით ტანჯვასა და შემეცნების ფარულ ნიადაგს ემყარებოდა, ის უკვე ხედებოდა, რომ ცხოვრებისადმი იაპონური დამოკიდებულება საბურველივით გადაკეროდა დიონისურ ქეშმარიტებას, რომელსაც ასე მკაფიოდ შეიგრძნობდა.

ახლა ნიცშეს მნიშვნელოვანი შესწორება შეაქვს პომპროსისდროინდელი ბერძნის სიცოცხლესთან დამოკიდებულების სურათში. ძველი ბერძენი, — ამბობს ის, — ყოველთვის გრძნობდა და განიცდიდა ყოფნის საშინელებებს, ძველ ბერძენებს ყოველთვის უჭდებოდა ჭკუაში ტყის ღმერთის სილენის შემადრწუნებელი სიბრძნე. როგორ ეწყობა, — კითხულობს ნიცშე, — აპოლონის და დანარჩენ ოლიმპიელი ღმერთების ნათელ სამყაროს ეს ავისმომასწავებელი სიბრძნე? როგორ და ისე, როგორც განაწამება მარტვილის მომქადოები ხილვები — მისსავე ტანჯვას.

ცხოვრება რომ გაუსაძლისი არ შექმნილიყო, ყოფნის საშინელებების შემყურე ელინს თავი შუალედური მხატვრული სამყაროსათვის, ოლიმპიელთა გაკისკროვნებული მოჩვენებებისათვის უნდა შეეფარებინა. ძველი ბერძნის ის პარმონია, რომელსაც ასე შურით შევყურებთ, სულაც არ ყოფილა უბრალო სულიერი წონასწორობა და აღმდგრველობა ამ პარმონიაში თურმე აპოლონური კულტურის უმაღლესი ზე-

მოქმედება უნდა დაგვეჩინა, იმ კულტურისა, რომელმაც მსოფლქვერტის საშინელ სიღრმეებთან და ტანჯვის უაღრესად მძაფრ გრძობასთან კიდელში მძლავრი და ხალისიანი ილუზიების შემწობით გაიმარჯვა. აპოლონური ბერძნის პარმონიულობას ლამაზი ილუზიის წიაღში ჩაღრმავებულობა განაპირობებდა ეს პარმონიულობა ბნელი უფსკრულიდან ამოზრდილი ყვავილი გამოდგა, ეს პარმონიულობა საკუთარ ტანჯვასა და სიბრძნეზე მოპოვებული გამარჯვება, ელინური ნების მიერ სიმშენიერის ასახვის წყალობით მოპოვებული გამარჯვება ყოფილა.

აპოლონის ეს მკურნალი ტყუილი პომეროსის ბერძენს სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებდა. მოგვიანო ხანის დიონისურ ბერძენს კი ტრაგედია შეელოდა. მასში დიონისური „ქეშმარიტების“ აპოლონური „ილუზიის“ ურთიერთქმედებამ უდიდეს სიღრმეს და პარმონიულობას მიაღწია.

მაგრამ როგორ მიგვიყვანს ტრაგედია სიცოცხლის დამკვიდრებამდე? აქი ტრაგიკული გმირის ტანჯვები იმავე სიღრმის უნუგემო სიბრძნეს გამოხატავენ? დიდი ტრაგიკოსების — ესქილეს და სოფოკლეს ტრაგედიები აქი გმირთა სიკვდილით და სიცოცხლის ყველაზე უიმედო უარყოფით თავდება? რატომ არ გვიწერავს ტრაგედია განწირულობის შეგრძნებას, რაღა პირიქით გვიშვრება — რაღა სულს გვიხვეწს და სიცოცხლესთან გვაგუებს? როგორ ახერხებს უსახური და დისპარმონიული, — რაც ტრაგიკული მითის შინაარსს შეადგენს, — სიცოცხლესთან ჩვენს შერიგებას? როგორ და იმ იდუმალი ძალის წყალობით, რომელიც ხელოვნებაშია დამალული, — ძალით, რომელიც ცხოვრებისეულ საშინელებებს სილამაზედ და ესთეტიკური ტკბობის საგნად აქცევს.

საოცრად ღრმად, გაბედულად და ორიგინალურად გვიხატავს ნიცმე იმ რთულ სულიერ პროცესს, რომელსაც, მისი აზრით, ბერძენი განიცდიდა ტრაგედიის ქვერტისას.

ტრაგედიის ქორში, განსაკუთრებით კი მის მუსიკაში (სიტყვამ მოიტანა და უნდა აღინიშნოს, რომ ეს მუსიკა ჩვენთვის სრულიად უცნობია) თავისთავად ელინდება უსახდერო დიონისური წუხილი, სიხარული თუ სასოწარკვეთა. ეს მუსიკა, რომელიც დიონისური სტიქიის თავბრუდამხვევ უფსკრულებს აფრენდა ჩვენს წინაშე, თქმა არ უნდა, შიშით გაგვგუდავდა და სულს გაგვაფრთხობინებდა, მაგრამ აქ მოულოდნელად აპოლონი გვეცხადება ტრაგიკული გმირის სახით და კურთხეული მხატვრული ტყუილის უებარი ბაღზამი მოაქვს. ვქვერტო პრომეთეს ან ოიდიპოსის ტრაგიკულ

სიკვდილს და ეს ქვერტა ორგინალურად, თვითგანადგურების საფრთხიდან გვიხსნის. მომაყდავი გმირის ვნებათა ცალკეულმა სურათმა ჩვენს თვალთვან დაფარა ის სოგადი, რომელიც დიონისურმა მუსიკამ განგვადევინა: ეს, სადაც წინათ თითქოს ყოფნის შუაგულიდან გახშიანებული ყრუ ამოოხვრო იმყოფდა, სადაც თითქოს სული უსტანს გაგვრქვნილი ყველინაირი გრძობიერების სიკვდილს და ამოძაფრებისაგან, სადაც ცოტა რამღა თუ გვაკავშირებდა ამქვეყნიურ არსებობასთან. — იქ ახლა მხოლოდ მოცემულ გმირებს, — პრომეთეებს და ოიდიპოსებს ვხედავთ და მათი კვენესა მოგვესმის. მაგრამ ამასთან ერთად ყოველთვის ვგრძნობთ, რომ გმირთა ეს პლასტიკური სახეები მხოლოდ სიმბოლური სურათებია, რომ მათ მიღმა უსახდერო დიონისური სტიქია ბოტკრობს და იმ უზენაეს სიხარულზე მიგვანიშნებს, რომლისთვისაც ტრაგიკული გმირი ემზადება. — ემზადება არა გამარჯვებების წყალობით, არამედ თავის დაღუპვით. ჩვენ შევბას გვეგრის აპოლონური ილუზია და მისი ქვერტა, მაგრამ ამასთან უარსაც ვაძობთ ამ შევებაზე და მოწვევებითი, ხილული სამყაროს უგულვებლყოფით კიდევ უფრო მაღალ კმაყოფილებას განვიცდით. ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ცხოვრებაში თვით უსახური და დისპარმონიული მოვლენაც კი მხოლოდ მხატვრული თამაშია, რომლითაც მოქარბებული ხალისიანობის გამო ნება თავის თავს ეთამაშება, თამაშია, რომელთაც ინდივიდუალური სამყარო იქმნება და ხადგურდება. სიცოცხლეს დიდი მხატვარი ქმნის და მისი შემოქმედების მთავარი მიზანი მშვენიერებაა. ამ მშვენიერებას სიხარულიც აუცილებლად სჭირდება და სიმწუხარეც. სიკეთეც და ბოროტებაც, ნათელიც და ბნელიც ჩვენს თვალწინ გადაიშალა მხარე, სადაც ხალისიანი აკორდების ხმაზე ყოველნაირი დისონანსი ყუჩდება. საშინელი სანახაობა იძირება და თვით ჩვენი, „სამყაროებს შორის ყველაზე უარესი“, სამყაროს არსებობაც კი მართლდება.

ადამიანი, — დაასკენის ნიცმე, — ეს არის დისონანსი, რომელსაც ადამიანის სახე მიუღია. იმისათვის რომ იცოცხლოს, ამ დისონანსს მშვენიერი ილუზია სჭირდება, რომელიც სილამაზის საბურველით დაბურავდა მის არსებას ყოფნა და ხამყარო, მხოლოდ ესთეტიკური ფენომენის სახით მართლდება.

თავის წიგნში ნიცმე ყოველთვის დიონისურ „ქეშმარიტებასა“ და აპოლონურ „სიკურთხეზე“ ლამაზობს. თვითონ ბერძენს აპოლონი არასოდეს არ მიუჩნევიათ „ნათელმოჩვენებების“ და „ყრუ ილუზიების“ ღმერთად.

აპოლონის სახის არც ერთი ნიშანი არ შეტყველებს ცხოვრებასთან მისი დამოკიდებულების წინასწარ დადგენილ ილუზორულობაზე. ბერძნისათვის აპოლონი, ისევე როგორც დიონისე, ცოცხალი რელიგიური სინამდვილე იყო, ერთი და მეორეც ცხოვრებასთან რელიგიური დამოკიდებულების სრულიად გარკვეულ ტიპს განასახიერებდა. დიონისური „ქეშმარიტების“ აპოლონური „სიცოცხლისადმი“ დაპირისპირება მხოლოდ დიონისეს გაქანებულ მიმდევარს შეუძლია. ჩვენ მეტი სიფრთხილე გვმართებს. რა არის ქეშმარიტება? რომელი ღმერთიც გამეფდება ადამიანის სულში, მისი ცხოვრების ქეშმარიტებაც ის იქნება. თვითონ სიცოცხლის დვრიტა კი ჩვენთვის მიუწყდომელია.

ნუ მივიჩნევთ ჩვენ აპოლონს ღვთაებად, რომელიც ქეშმარიტებას „ილუზიის“ ბრწყინვალე საბურველში ხვევს; ნუ მივიჩნევთ ჩვენ დიონისეს ღვთაებად, რომელიც ამ ნათელ, მაცდურ საბურველს შემოაცლის „ქეშმარიტებას“. ერთი და მეორეც ჩვენ ცხოვრებისადმი ერთმანეთისაგან განსხვავებული რელიგიური დამოკიდებულების ფაქტებად უნდა შევრაცხოთ. გავეცნოთ ორივე ღვთაებას ნიკშეს დაუკითხავად, გამოვიკვლიოთ რა დამოკიდებულება ჰქონდა სიცოცხლესთან აპოლონურ ბერძენს, რა დამოკიდებულება ჰქონდა — დიონისურს. რას წარმოადგენდნენ სინამდვილეში ღმერთები: აპოლონი და დიონისე. დროის მიხედვით აპოლონი დიონისეზე უმაღლესად გამეფდა ბერძენთა სულში. პირველად ჩვენც სიცოცხლესთან დამოკიდებულების აპოლონური ტიპი განვიხილოთ, ის ერთის მხრივ პომეროსის პოემებსა და არქილოქეს ლირიკაშია წარმოდგენილი, ხოლო მეორეს მხრივ — თვითონ აპოლონის ხატებაში.

II

წმინდა სიცოცხლე

ამ სამიოდე წლის წინათ საბერძნეთში გახლდით. ჩვენი გემი გზას სმირნადან გაუდგა, შემოუარა კუნძულ ქიოსს და არქიპელაგის გავლით ატიკაში მიცურდა. მზე ჩაესვენა. ზღვაზე წყნარი, რუხ-მოვერცხლისფერო ბინდი ჩამოწვა. თბილ ბურუსში აღმა-დაღმა იზნიქებოდნენ წყლის მძიმე-მძიმე ბურცები. გემი ტალღებს მიაპობდა. სასადილო ოთახში ელექტრონათურები ბღღვიალებდნენ, სალონში შოპენს უკრავდნენ. აღტაცებული ვიდექი გემბანზე და თვალსაყრდენებით გვეყურებდნენ ღმერთს.

უცებ ბორტიდან რამდენიმე საყენის დაშორებით ტალღებში წამით რაღაც მუქი ფერის არსება გამოჩნდა: მოირკალა და წყალში უხ-

მაუროდ გაუჩინარდა. მე გარკვევით დავინახე ადამიანის მოგძობ, მზზინავი, შავი სხეული, რომელსაც ბოლო თვეზის ჰქონდა. ეს იყო — ტრიტონი... დიახ, ტრიტონი და არა დელფინი. მოლოდინისა და სიხარულისაგან დაღვრულმა ამკარად დავინახე იგი, შავი სხეულის ფერმუქი ღვთაება და სულში უცნაურმა, არაჩვეულებრივმა თრთოლვით მისი სიკეთე არის! აქ არის ამფიტრტე — მისი მკვლევარი იგივე შვილი, რომლის წინასწარმეტყველური სიტყვები ტალღების ბუტბუტში გაისმის. — ის აქ არის, ჩემგან სულ რამდენიმე საყენის მოშორებით! აი ისევ გაკრთა ჰაერში თავისი ფერმუქი ტანით და ტალღებში ჩაუტრყუმალდა. და გარშემო ზღვა უცბად გადასხვავებდა: სერიოზული გახდა იდუმალ-წმინდა. — ღვთაებას იფარავდა თავის წილში. და ტალღების უსიკოცლო ბუტბუტში ცოცხალი და მრავლისმეტყველი ხმა გაისმა. გარშემო ყველაფერმა ფერი იცვლა.

დილით შორეულ ბერუსში ატიკის წაბლისფერი, უკაცრიელი სანაპირო გამოჩნდა. სამხრეთით მზეზე ლურჯად ინაკვთებოდა პელოპონესის მთების თვალსასიამო მოხაზულობა. და მეც სხვაგვარი განწყობილებით შევეურებდი წარმტაც ქვეყანას, ნელ-ნელა რომ ამოდოდა შორეულ სილაგეარდში. ახლა ოდესღაც იქ გამეფებულ სილამაზეს კი აღარ ვგრძნობდი. არამედ რაღაცა სულ სხვას.

ეს განწყობილება თვითონ საბერძნეთის მიწაზეც აღარ შემცვლია. მუდმივად ცოცხლობდა ჩემში ის განცდა, რომელიც ეგოსის ზღვის ტალღებში ცოცხალი ტრიტონის დასახვისას დამეუფლა... წყაროზე თხების ჩლოქების კვალი დარჩენილა. ნეტა ვინ იყვნენ აქ? ურებ-პარტყუნა ბერძნული თხები და მათი ფეხებ-ბოთვერა თიქნები სევამდნენ აქ წყალს. თუ აბეზარი, შფოთისთავი სატირები ჩამოვიდნენ დილით აგერ იმ კორთშიდან?

„ქალთა ყრიაბული შესმის. — ნიშნები ხომ არ არიან, მათთა მწვერვალების, მწვენილოვანი, მდელოების და ფშანების მკვიდრნი? წაველ დავზვერავ, ვინმელო კაცურად შეტყველ ხალხს შევეყარო! („ოდისეა“ VI, 122—125).

მთის ბილიცს მიგუყვებით ვირებზე გადამჯდარნი, წინ მეგზური მიგვიძღვის. რაღაცამ რგრიალა მთებში, პასუხად სადღაც რაღაც გახეშიანდა და გრუხუხ-გრუხუნით ჩაგორდა ლოდით მოწყდა და ჩავარდა ხრამში თუ წიწვებიანი გვირგვინით შემკულმა პანმა დაიღრიალა. ვერაღური ხმით ტყიანი მწვერვალებიდან და მასთანკი ნიშნა გამოეპასუხა?

მე მივხდი, რომ მსგავსი კითხვები მართლაც წამდაუწყებ გაუელავებდა თავში ამ ტალღების ძველ მკვიდრს. ის მართლაც ყველგან

აშკარად შევიგრძნობდა იღუმალს და უჩინარი სიცოცხლის ფეთქვას. ხეებში დრიადები, მელიები, და კორიატიდები იმალებოდნენ; გზა-ჯვარედინზე კეთილმყოფელი პერმეს-ენოდოსი იდგა; ვარდისფერთიფთება მარად მზნე, რიგ-რაგა ეოსი ძილისაგან ახალგამოდვიძებულ მიწას ნამს აპყურებდა და იაიებით თავშეშკული აფროდიტა შეყვარებული გოგონას ვედრებას შეისმენდა. ირგვლივ წმინდა და ღვთაებრივი სიცოცხლე სუფევდა.

თავის ლექსში „საბერძნეთის ღმერთები“ შილერი წუხს და ვალალებს, „სილამაზე“ ბერძნებთან ერთად წაკვიდა ამ ქვეყნიდანო. „მაშინ პოეზიის ჯადო საბურველი ჯერ კიდევ სიყვარულით ეხვეოდა გარს ქვეშარიტებას, — ამბობს ის მთლად ნიკშეს სიტყვებით, — მხოლოდ მაშინ იყო მშვენიერება წმინდა... სადაც აბლა, ჩვენი სწავლული კაცების მტკიცებათა თანაზმად, მხოლოდ უსულო, ცეცხლოვანი ბურთი ბრუნავს, იქ მაშინ მედიდურად მართავდა ოქროს ეტლს ჰელიოსი... გაუღმერთოებულნი ბუნება, ახლა მონურად ემორჩილება მიზიდულობის კანონს“.

ადრე მომწონდა ეს ლექსი. ახლა კი ვიგრძენი, რაოდენ არასწორად, რა უაღბად გამოგვეცემს ის სიცოცხლის ძველბერძნულ განცდას. ძველი ბერძენი სულაც არ ბურავდა ქვეშარიტებას პოეზიის წმინდა საბურველით, სულაც არ ამკვიდრებდა „ბრიოკ“ მიწაზე მშვენიერ მხატვრულ სახეებს. დედამიწა მისთვის სიცოცხლით და სილამაზით იყო აღსავსე, სიცოცხლე მისთვის ღვთაებრივი და ლამაზი იყო, — სიცოცხლე იყო ლამაზი და არა მისი საბურველი. და იმიტომ კი არ იყო იგი ლამაზი და ღვთაებრივი, რომ

მთებში თვალს ორეადებს მოკრავდით,
ხეში დრიადა ცხოვრობდა...

სულაც არა! ღვთაებრივ-მშვენიერი დრიადებით და ორეადებით სწორედ იმიტომ ირესო ქვეყანა, რომ ბერძნისთვის თვითონ სამყარო იყო მშვენიერი და ღვთაებრივი. ეს მშვენიერი ბერძნული ღმერთები ელინის სულში მოჭარბებული სიცოცხლის გამოხატულებები იყვნენ მხოლოდ. და თუ ძველ ბერძენს სწავლული კაცები განუმარტავდნენ, უარგვალზე ჰელიოსი კი არა, „უსულო ცეცხლოვანი ბურთი“ ბრუნავსო, ამით მისთვის სამყარო არ გამოცარიელდებოდა; თუ ძველ ბერძენს გააგებინებდნენ, ბუნება „მონურად ემორჩილება მიზიდულობის კანონსო“, ამით ბერძნისთვის ბუნება მაინც არ გაუღმერთოვდებოდა, უარგვან ელინის სულში სიცოცხლით სავსე სიცოცხლის ძირეული გრძნობა იყო ჩაკირული.

ერთხელაც გადაიკითხეთ პომეროსი, თავიდან მოიშორეთ ყველა ღმერთი, რომელიც მას გამოჰყავს, და ნახავთ, რომ წმინდა სიცოცხლის ღვთაებრივი სტიქია უმათრდაც მსჭვალავს პომეროსის პოემებს, იმდენად მსჭვალავს, რომ პოემიდან ამ სტიქიის გამოყოფა ყოველად შეუძლებელია. ყველაფრის ქვეშარტ ადამიანი ღრმად რელიგიურ-ეტიკურად განიცდის, — უბრალოდ, პატივს სცემს მათ, რითაც ასე აღფრთოვანებული იყო ტოლსტოი. ადამიანისათვის გარშემო ყველაფერი მოზეიმე და დიდმნიშვნელოვანია.

გრძელი გზების კაცილები,
უურე კლდეში შეჭრილი,
კბოდებო, მუქი ჩერო
თავგუშბათა ხეების.

„ღვთაებრივი ზღვა“, „წმინდა მდინარეები“, „წმინდა ხეები“; ადამიანები ბუნოს „წმინდა კალოზე“ ანიავებენ, ხორცს წვავენ შამფურზე და ზედ „წმინდა მარისს“ აყრიან, შექამანდს „წმინდა ქერისაგან“ ამზადებენ; ღვთაებრივია „წმინდა დღე“, წმინდა საღამოები“, ღვთაებრივია „უკვდავი ღამე“ და თვითონ ზევსიც კი უფრთხის მის შეურაცხყოფას, როდესაც ღამის წყვდიადში თავშეფარებულ ურჩებს დაეძებს. ადამიანები „კეთილშობილები“, „ღვთაებრივები“, „ღვთის სწორები“ არიან და არა მარტო მეფეები და გმირები არიან ასეთები, არამედ მეღორე მონებიც კი, არა მარტო მეგობრები, — არამედ მტრებიც. „ღვთაებრივი პექტორი“, „ღმერთის საღარი“ პარისი, ასევე წმინდაა ადამიანის ძირითადი არსება — ძალა. ნაცვლად იმისა, რომ თქვას „ტელემაქე“, „ალკინოე“, პომეროსი ამბობს: ტელემაქეს წმინდა ძალა, ალკინოეს წმინდა ძალა. უფრო ადრეულ წმინდა პოეზიაში ეს გამოთქმა — „წმინდა ძალი“ — ღმერთებს მიეწერებოდა. პომეროსს ის ადამიანებზე გადმოაქვს.

როცა სიცოცხლესთან ძველი ბერძნის ამ ძირეულ, სულიერი სიღრმეებიდან ამოზრდილ დამოკიდებულებას შევიგრძნობთ, მხოლოდ მაშინ გახდება ჩვენთვის მისი რელიგია გასაგებო; ჩვენ მივხვდებით, რომ ზემოაღნიშნულ მსოფლგანცდას ძველ ბერძნებში მათი ნათელი ღვთაებები კი არ ბადებდნენ, არამედ პირიქით, — თვითონ ეს მსოფლგანცდა ბადებდა ღმერთებს წამდაუწუმ. პომეროსის პოემებში ცოცხლად შევიგრძნობთ იმ ჯერაც გაუფორმებელ წმინდა სტიქიას, რომლიდანაც თითქოს ჩვენსავე თვალწინ ყალიბდებიან ღმერთები. ამბროსიული ღამე, ვარდისფერთიფთება, რიგ-რაგა ეოსი, — ესენიც ღმერთქალები არიან თუ ჯერაც ბუნდოვანია წარმონაქმნები? ვინ არის

აღცილებლობის ღმერთი ახანკე? — ქალღმერთია თუ განყენებული აზრი? აი, ჩვენ წინაშე უკვე სრულიად უფორმო სიწმინდეა. — ოჯახური კერა ადამიანები პისტის იფრკავენ, „ღვთაებთა შორის უზენაესის და უმაღლესის“, ზევსის გვერდით იხსენიებენ, მაგრამ ის არ არის ღმერთქალი. ის სწორედ რომ მხოლოდ ოჯახური კერაა და მხოლოდ შემდეგდროინდელ პოეტებთან, ჰესიოდესთან და აფროდიტას ჰიმნის ავტორთან, ჩამოყალიბდა ეს რაღაც უფორმო და წმინდა არსება ქალღმერთ-პისტად ან ჰესტად (რომაული ვესტა).

ისევ და ისევ უნდა აღვნიშნოთ: არა, არ იკვანენ მართლება ნიცშე და შილერი, როდესაც ამტკიცებდნენ, ძველი ბერძენი პოეზიის ნათელ და ხალისიან საბურველში ახვევდა ბნელ და სამწუხარო კვშმარტებასო. კვშმარტება მის წინაშე ყოველგვარი საბურველის გარეშე იდგა. ბერძენი თვითონ, თავისი უნამდვილესი არსებით იყო ღვთაებრივად ბრწყინვალე და ღვთაებრივად ხალისიანი.

მაგრამ რანაირად შეიძლება ნათელი და ხალისიანი იყოს სიციცხლე, როცა მასში ამდენი საშინელება და სიმწუხარეა. ნუთუ შეიძლება ადამიანმა ეს საშინელება ვერ დაინახოს?

თქმა არ უნდა, ძველი ბერძენისთვის სამყარო სულაც არ იყო ისე იდილიურად მშვიდობიანი, ისე სულ მუდამ ალერსიანი, როგორც შილერი გვიხატავს. სამყარო რომ მართლა ასეთი ყოფილიყო, მაშინ ჩვენ საჭმე იმ ნეტარი იდიოტების ინტერესმოკლებულ რელიგიასთან გვექნებოდა, რომლებიც ერთნაირად მხიარულად ილიმებიან ალერსზეც და ცემაზეც, ბედნიერებაშიც და გაკირვებაშიც.

შილერი აღფრთოვანებულია:

ეს დაფნა ღმერთს ზველას შესობოვდა,
იმ ქვაში ტანტალეს ქალი დუმს...

მაგრამ აკი დაფნის ხელ ღმერთის უხეში ძალადობისაგან თავის დაღწევის მოწადინე ნიშნა იქცა: ტანტალისის ქალიშვილი ნიობე აკი ღმერთების მიერ დახოცილ შეილებზე უსაზღვრო დარდმა გააქეა. მორწმუნე ელინისათვის ეს არ იყო ბუნების შემამკობელი ლამაზი ლეგენდები. ეს ნამდვილზე უნამდვილესი საშინელებები იყო.

უეჭველია პომპროსის ბერძენი მძაფრად განიცდიდა ცხოვრების საშინელებებს, სიღუბსკირეს და უსამართლობას. პომპროსთან ყველაფერს მშვენიერს, ძლიერს და გმირულს სავალალო ბოლო ელის. ტროას ომის გმირთა უმრავლესობა ან ტროას კედლებთან იღუპება ან

მისი აღების შემდეგ, ანდა შინ დაბრუნებისას. უხეშად და თვითნებურად ერევიან ღმერთები ადამიანურ ცხოვრებაში, აფუქებენ და ამახინჯებენ მას. ადამიანები თვითონ კი არ არიან თავიანთ უბედურებაში დამნაშავენი, არამედ ის უზენაესი ძალნი, რომლებზეც ზემოქმედებაც ადამიანს ნაკლებად ხელეწიფებდა. უფრო უფრო მორწმუნედა ხეტილი და არც ტროას უმეკეთუდებოდა, ღმერთებს რომ არ წაეჭყნებინათ ადამიანები და გულგრილად არ გამოეყენებინათ ისინი თავისი მიზნებისათვის. უმწყო ადამიანსა და თავნება ღმერთებზე მალლა კი მძლავრი და დაუნდობელი ბედისწერა დგას და ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ის დაადგენს წინასწარ: ერთობ შავბნელი და უიმედო მსოფლმხედველობაა.

მართლაც, აბა ვცადოთ და ისე წავიკითხოთ პომპროსის პოემები, თითქოსდა ისინი „ლიტერატურის საინტერესო ძეგლები“ არ იყოს, ვცადოთ ჩვენ დაეიჭეროთ, რაც პომპროსს სჯეროდა, შევეცადოთ სერიოზულად მივილოთ, რისაც ის მოგვითხრობს, და მაშინ ვნახავთ, რა საშინელიც ყოფილა იმ პირობებში ცხოვრება და საქმიანობა, რომელშიც პომპროსის გმირები იმყოფებოდნენ!

ღმერთები წარამარა ელობებიან ადამიანებს, ერთი წუთითაც არ აძლევენ გასაქანს, ღმერთები წინასწარ წყვეტენ ბრძოლის შედეგებს, თავზარს სცემენ მამაც მებრძოლებს, სუსტებს აგულიანებენ, ასაკუწად განწირულ თავიანთ რჩეულებს მტერს ხელიდან სტაკებენ და ბნელ ღრუბლებში იფარავენ. ზევსი ავბედით ძილის-შორის ზმანებას მოჭვრის აგამემნონს, რათა წააქეზოს იმ ბრძოლისათვის, რომელშიც ბერძნები დამარცხდებიან. მომაკვდავმა პატროკლემ იცის, რომ ჰექტორმა კი არ დასცა, რომელსაც ებრძოდა, არამედ აპოლონმა, რომელსაც ჰექტორს მიემბრო:

ჰექტორი იხარე აპოლონის, ზევსის შეწევნით,
გამარჯვებულმა! ეს მათ მძლიეს!
მათ ხომ ადვილად
ძალუძთ ყოველი საჭურველიც
მათ გამომტაცეს!

თვით უწყინარ სპორტულ ჰაექრობაშიც კი წამდაუწუმ ერებიან ღმერთები და თავიანთ რჩეულებს მოკვდავთათვის ყოველად შეუსაბამო ხერხებით ამარჯვებინებენ. ოდისევსი და აიაქსოილიდი სირბილში გაეჭიბრნენ, აიაქსი იმარჯვებდა, მაგრამ ათინას მიზეზით მას ფეხი დაუუღდა. ასე გაიმარჯვა ოდისევსმა, რომელსაც ათინა მფარველობს, აიაქსი ამბობს:

...თვითონ ათინამ მატკანა ფეხი,
მიწყვიტ ხანუკვარ დედასავით შველის
ოდისეგსს!
თქვა და დაირბა მზიარული ხარხარი
ხალხში.

იმ დღეს მათ სულეებს;
და მათი ფიქრებიც იხეთივეა ხოლმე,
როგორსაც შექმნილი ვითარება
განაპირობებს!

მორბენლისათვის რომ ვინმე მოკვდავს დაე-
ლო ფეხი, რათა მის რჩეულს გაემარჯვნა, ეს,
რა თქმა უნდა, მზიარულ ხარხარს კი არა, გუ-
ლისწყრომას გამოიწვევდა.

სრულიად უნდა გავემიჯნოთ ჩვენში ფეხმო-
კიდებულ რელიგიურ წარმოდგენებს, რათა
ღვთაებებისთან ასეთი დამოკიდებულების გაგე-
ბა შევძლოთ. პომეროსის ღმერთები ცხოვრე-
ბაში ჩვენს გარემომცველ ძალთა რელიგიური
სიმბოლოებია. საკმარისი იყო მხოლოდ თვა-
ლი გაგესწორებინათ სიცოცხლისათვის და დაი-
ნახავდით, რომ ამ ძალებს ზნეობრივი საზომე-
ბი არ ესადაგება. ისინი ამორალურნი არიან
და ადამიანს არაფერს ჰკითხავენ, და ამავე
დროს ისინი მძლავრებიც არიან, წინ ვერაფე-
რი დაუდგებათ. ჩვენ ამ ძალებს ბუნების კა-
ნონებს, შემთხვევითობას ან აუცილებლობას
გუწოდებთ. პომეროსი მათში ღვთაების ცოც-
ხალი ნების გამოხატულებას, რეალურად არ-
სებული ბედისწერის შემოქმედებას ხედავდა.
მაგრამ ამით საქმის არსი არ იცვლება. ადა-
მიანი იმ იდუმალი ძალების ალყაშია, რომლებ-
მაც არ იციან რა არის სამართლიანობა, კაცის
ნებას არ მორჩილებენ და წამდაუწუმ გავლენას
ახდენენ მასზე. და მარტო გარედან როდი მოქ-
მედებენ ეს ძალები, ისინი თვით ადამიანის
სულზე შემოქმედებენ. მამაცურად იბრძვიან
აქაველები ჰექტორის წინააღმდეგ, მაგრამ აპო-
ლონიმა მათ თვალწინ თავისი ზარგანმხდელი
იგიღა აიქნია და არგველებს


ხული შეეძრათ, დაავიწყდათ ზნე
სამაშაყო.

მოხდა რაღაც უჩინარი, რაღაც იდუმალი,
რამაც ადამიანებს ნება წაჰკვარა და მამაცი
უცებ წაბანი შეიქნა. ჩვენ ამას პანიკას ვუ-
წოდებთ.

პენელოპე ამბობდა ელენეს, ტროას ომის მი-
ზეზის შესახებ: „ქალღმერთმა მოაცთუნა იგი
და ჩაადგინა. ეს უმსგავსო საქციელი. განა
გაჰყვებოდა იგი უცხო კაცს, რომ სცოდნოდა,
რა სისხლის ფასად დაუჯდებოდათ აქაველ გმი-
რებს მისი დაბრუნება?“

იმ დროის პირობაზე მართლაც რომ განსაც-
ვიფრებელი გარკვეულობით წარმოგვიჩენს ადა-
მიანის ამ უნებურებას არქილოქე:

„ადამიანებში ბნელ ხასიათზე
არიან ხოლმე,
როგორსაც ღმერთი ჩაუწერავს

ხომ არ არის ეს „დამოკიდებულების ის
გრძნობა“, რომელიც თავისუფლების შესახებ
საუკუნოვანი თავმოტყუების შემდეგ ისევე გა-
იხსენა კაცობრიობამ? 

ჩვენ ყოველმხრივ ჩვენზე მალა მდგომ ძა-
ლებზე ვართ დამოკიდებული. ეს შეგრძნება
ძველსა და რბილში გასჯდომია პომეროსის-
დროინდელ ბერძენს. ყოველმა გმირმა იცის:
რაც არ უნდა იღონოს, რამდენსაც არ უნდა
ეცადოს, მაინც ის მოხდება, რაც ბედისწერით
იყო წინასწარგანზრახული:

თავს გადახდება ყოველივე, რაც
ბედისწერამ
გაჩენის დღიდან დააბედა.....

და ყოველმა მათგანმა არა მარტო ის იცის,
რომ მის ხვედრს არაფერი შეეცლის, არამედ,—
და ეს კიდევ უფრო საშინელია, — ყოველმა
მათგანმა იცის, რაც ელის. ჰექტორმა იცის,
რომ ტროას აიღებენ; აქილევსმა იცის, რომ
ტროას კედლებიდან უკან ვეღარ დაბრუნდება.

ღიას, უსიხარულოა სიცოცხლის ეს გაგება! —
უსიხარულო და უნუგეშო. „ადამიანური ცხოვ-
რება, — ამბობს ნეგელსბახი თავის „პომერო-
სის თეოლოგიაში“, — უაღრესად უსიხარულოა
თავისი შეზღუდულობისა და შეზოკილობის
გამო. ამოდ ვეძიებთ სიცოცხლეზე ასეთი შე-
ხედულებების პირობებში კმედიით და ნამდ-
ვილ ნუგეშს. მთავარი ნუგეში, რომელიც
გულმოწყალე და ბრძენი ღვთაების ნების ერთ-
გულებას უნდა ემყარებოდეს, იმთავითვე აღ-
კვეთილია. ამრიგად რჩება მხოლოდ მორჩი-
ლება, რეზინიაცია, რაც ბედისწერის არსებო-
ბის რწმენას ეფუძნება.“

ვნახოთ აბა, მართლა ასეა? მართლა რეზი-
ნიაციას იწვევს პომეროსის ბერძენში სიცოცხ-
ლის მისეული გაგება?

ოდისევსი კირკესგან (ვირცესგან) შეიტყობს,
ურჩხულ სცილასთან შეხვედრა მოგიწევსო.
ოდისევსი ეტყვის, მასთან შებრძოლება მინ-
დაო. კირკე დაუშლის:

„შეუპოვარო კაცო! აღარ გაძლა ეგ შენი
გული ბრძოლითა და ფათურაყით? უკვდავთაც
აღარ ეპუები? მოკვდავი არ გეგონოს, უკვ-
დავია ბოროტეული სცილა, სასტიკი, მძვინვა-
რე და უბრძოლველი! გულში-ნუ გაივლეს მასზე,
მახვილის აღმართვას. გიფუძნე სწრაფად მოქ-
რიდო ხრმალდებ.“

ოდისევსმა ყურადღებით მოისმინა ეს სიტყ-

ვები. მაგრამ სცილასთან შეხვედრისას „სულ გადავიწყუდა“. ცირცემ რომ მკაცრად გააფრთხილა და უკვდივ ურჩხულთან შესაბრძოლებლად იარაღს წაეტანა.

ჰექტორი გემებისაკენ ერეკება ბერძნებს. ველასათვის ცხადია, რომ თვითონ ზევსი ამარჯვებინებს ტროელებს. ნესტორი არწმუნებს დიომიდეს. გავიქცეთო:

ვერ გრძნობ, რომ ზევსი დღეს დიდებას არ მოგანიჭებს?

იდას თბემიდან დიომიდეს სამგზის დასქეპავს მრისხანედ მებთამტეხელი და, მიუხედავად ამისა, დიომიოდე სამჯერვე შემოაბრუნებს თავის ცხენებს ჰექტორის წინააღმდეგ. მენელაოსიც ყოყმანობს:

ვინც ბედავს ღმერთის უნებურად ებრძოლოს მოყმებს ღმერთის მიერ დაცულს, არ ასცოება უბედურება. მე არ დამგშობენ დანაელნი, თუ ავერიდე გმირთან შეხვედრას: ღმერთის შეწევნით იბრძვის ჰექტორი!

მაგრამ ისიც მოვისმინოთ, რაც ამის მერეა, რა წინააღმდეგობრივი რამ არის, რა გულუბრყვილო და რა მშვენიერი!

თუ ვნაზე სადმე აიანტი, სულმზნე, უშიშო, ჩვენ კვლავ ვიფიქრებთ ფიცხელ ომზე, თუნდ დაიმონი გადაგვიდგეს წინ...

ასეთი ადამიანების სულიერად გატეხვა და დამორჩილება არ იყო იოლი. ისინი ღმერთებსაც კი არ ებუებოდნენ და უკან არ იხევდნენ მათ წინაშე.

განა ტროელთა და აქაველთ ბრძოლა მძვინვარებს, ახლა დანაელთ თვით ღმერთებზე აღმართეს ხელი.

ასეთ ადამიანებს ნაკლებად სჩვევიათ ბედისწერისადმი კეთილგონივრული დამოკიდებულება. ასეთი ადამიანები მაინცდამაინც არ გამოუდგებიან იმის რკვევას, ბედის კარნახს ხომ არ ეწინააღმდეგება ჩვენი საკციელიო. ისინი ისე მძლავრები და შემმართებლები არიან, რომ ბედისწერის წინასწარ განჩინებას წამდაუწყებლად არღვევას უქადიან და ღმერთებიც იძულებული ხდებიან გამუდმებით ადევნონ თვალყური ადამიანებს, რათა მათ არ და-

არდვიონ განაჩენები, რათა „ბედისწერის წინააღმდეგ არ მოხდეს რამე. ღმერთები იმ პეტლებს დღეში არიან, რომლებიც მაგრად დაჭიმული სადაკეებით მოყვებიან ფიცს ცხენებს: მოყვით, მოყვით, მოყვით უურადლება ამ ქედფიჭებელ ცხენებისაკენ მიუშართავთ: ერთი გაუფრთხილებია და ისე აიწყვეტენ, რომ დააოკებთ.



როს ფობოსი აქოლონი ტროას ეწვია ბრუნავდა იგი, რომ ქალაქი კეთილნაგები დანაელთ იმ დღეს არ დაემხოთ ბედის საცილოდ. და ზევსიც ამბობს აქილევსზე: ვშიშობ, არ ასცდეს ბედისწერას ტროა არ მოსპოს

და ტყუილად როდი შიშობენ ღმერთები თავის ნებაზე მიშვებულ ადამიანურ ძალას და ვაჟკაცობას მართლაც შეუძლია ბედისწერას არტახების გაგლეჯა; შეკბედა მან შეუძლებელს და შეუძლებელიც შესაძლებელი შეიქნა

გადაიწვერა მზე, დრო დადგა ხართგამოშვების, სძლიეს აქაველთ, ბედისწერის ჯიბრზე, ტროელებს.

მაგრამ, თავისთავად ცხადია, ბევრს ვერას გააწყობს ადამიანი „ბედისწერის ჯიბრზე“. ბედისწერას ვერავინ ვერ სძლევს და ადამიანსაც მძიმე-მძიმე დარტყმებს აყენებს ბედი, როგორ ეკიდება ამას ჰომეროსის ბერძენი? — ისე ეკიდება, როგორც ყოველი იმათგანი მოეკიდებოდა, რომელშიც ცოცხლობს და მაგრობს სიცოცხლის ძალა.

თუ რომელიმე ნეტარი ღმერთი დაატეხს რისხვას, ის უდრტვინველად გადაიტანს უბედურებას.

ხშირ-ხშირად ხმარობს ჰომეროსი თავის საყვარელ გამოთქმებს რომელთაც ჩვენში ჯიუტად თარგმნიან „ქრისტიანული“ სიტყვებით: მრავლისმომთმენობა, დიდად დამთმენი სული, მრავალტანჯული, წამებული. მაგრამ ეს სიტყვები ჰომეროსთან სულ სხვა რამეს აღნიშნავენ, — თავმდაბლობას და მრავლისდამთმენობას კი არა, არამედ გაუტეხლობას, გამოჯაგულობას, ჟანმრთელი სულის თვისებას — გასაღდეს და შეიჯავშნოს გაჭირვებაში, ოდისევეს ამბობს: „რაც უნდა დამატეხონ ღმერთებმა ნისლიან გზაზე, ყველაფერს ავიტან; ძნელბედობაში დამთმენი და ქირსა შიგან გამობრძმედილი ვარ; დაე ძველ ქირს ახალიც მოესართოს“.

დიდი მფარველობა გაუწია ღმერთმა ადამიანს გაქირვებაში. დააჩილდოვა რა იგი „სიმედგროთა და გაუტებლობით“. არკილოქე ანუ გუშებს მეგობარს გასაქირში:

„დიდი სიმედგრე ჩაგვინერგეს ღმერთებმა ცულში

უხაშინლესი გაქირვების წამალი

მოგვცეს,

ხან ერთს სკობს ბედი, ხან —

მეორეს. დღეს ჩვენ დაგვატყდა

სისხლიანი უბედურება, — ვკნენით,

ვვაღალეობთ.

მედგრად დავუხვდეთ გაქირვებას

რაც შეიძლება

სწრაფად, დროზე გადავიტანოთ...“

სწორედ ამ სიმედგრეს და სიმბნევეს უპირისპირებდა კომეროსისდროინდელი ბერძენი ბედისწერას. და ამ სიმედგრეშია იმ თავისებური განწყობილების სათავე, რომლის წყალობითაც იგი გარდაუვალობას უსწორებდა თვალს.

„ჩემს წინაშე მძლეთამძლე აუცილებლობა“ აპოლონური ელინის ცხოველმოსილ სულში ამის შეგნება რაღაც თავისებურ შემწყნარებლობას და ბეიმურ გამბედაობას ბადებს. ეს დიახაც არ არის სასოწარკვეთილების რეზინიაცია. დიახაც არ არის ნალვლიანი მორჩილება და ქედის დრეკა, როგორც ნეგელსბახს ჰგონია. განწყობილება აქ სულ სხვაგვარია: რაკი ეს გარდაუვალია, რაკი ამის თავიდან აცილება არ შეიძლება, მაშ გაწყდეს საცა წვრილია ადამიანი იბრძვის სანამ შეუძლია, იბრძვის თავგამოდებით, აინუნშიაც არ აგდებს ბედისწერას და იმის უღრმესი რწმენაც აქვია, რომ ყველაფერი უსათუოდ ისე მოხდება, როგორც ღმერთს ნებაეს.

ვიცი, უბერიათ ხელთ ხახწორი
გამარჯვებისა
ღმერთებს ზეცაში, მათი ნება
აღესრულება.

და ამ გარდუვალობის ღვთაებრივი დედაარსი მომხდარ ამბავს იგუებს. რა საჭიროა აღშფოთება, რა საჭიროა წყველა-კრულვა და ღვთის გმობა, რა საჭიროა ყვედრება, ადამიანმა

„გული დაიცბრო, ვით მოითხოვს
გარდუვალობა“

და ვაყვაცურად, მედგრად შეეგება თავის წილხვედრს: ის თითქოს სულიერად ამალღდა თავის თავზე და მისმა სულმა თითქოს თავი დააღწია გარდუვალობის მბრძანებლობას, მან თით-

ქოს ის იღუმალი რიტმი შეიგრძნო, რომლითაც სამყაროული სიკოცხლეა აღესილი. ამ შეგრძნებისას ვეღარ გვაკრთობენ პიროვნულა ყოფის საშინელებები. ნათლად და სრულყოფილად გამოხატავს ამ შეგრძნებას დიდი არქილოქე:

გული, გული, *ქაქქუქუქა, ტაფილები*
აგეშაღნენ, *გეგეგეგეგეგე*
გამბნევდი და გასაღკლევდი, მედგრად
დავხვდეთ, დაეკრათ ჩვენს მტრებს!
არ შედრკე, ნუ შეშინდები, თუნდაც
ყველგან გვეგოს მახე,
გვძლევენ — ძლევას ნუ იწუხებ,
სძლევ — ძლევით ნუ იტრაბახებ
ნურც უზომოდ დაღონდები, ნურც
უზომოდ გაილაღებ,
შეიცანი დაფარული რიტმი ჩვენი
ხიკოცხლისა.

სამყაროული რიტმის ამ პარმონიული შეგრძნებიდან და ბედ-ილბლის ღვთაებრივი არსის ამ აღიარებიდან აღმოცენდება ბედის ტრიალის ის სიყვარული, — amor fati, — რომლის შესახებაც ასე აღფრთოვანებული ლაპარაკობს ნიქშე თავის გვიანდელ შრომებში: „ადამიანის სიღაღის ჩემი ფორმულია amor fati, არაფერი სხვა არ უნდა ინატრო, არც სამომავლოდ, არც წარსულიდან, არც არასოდეს უკუნისამდე, მოსახდენი არამცთუ უნდა გადაიტანო, არამედ არც უნდა ინდომო გაეკეცე მას, უნდა გიყვარდეს აუცილებლობა... აუცილებლობის შვილი ხარ, განგების ნაწილი, მთელს ეკუთვნი, მთლიანობაში არსებობ...“

ასეთი განწყობილება, უპირველეს ყოვლისა, სავსებით გამორიცხავს ცხოვრებისა და აუცილებლობისადმი ტრაგაკულ დამოკიდებულებას, რაკი ესა და ეს მოსახდენია, — დიე, მოხდეს, საწუხარი აქ არაფერია, ამაზე ფიქრიც კი არა ღირს. ადამიანს, ვთქვათ, სიკვდილი ელის. რა უნდა იყოს ამაზე თავზარდამკეში? „მეგრამ სიკვდილი რამ დაავიწყა, ნეტა, მოკვდავებს?“ თავისმკვლელი ყმაწვილი წერს დოსტოევსკის სტატია „განაჩენში“: „უბრალოდ იმიტომ ვერ ვიქნები ბედნიერი, რომ ხვალ ან ზეგ ჩემს არსებობას წერტილი უნდა დაესვას. აი, როგორ აღიქვამს სიკვდილის გარდუვალობას სისხლდამყაყებელი ყმაწვილი, არადა სიკვდილი ჯერ თვალითაც არ უნახავს. ოდისევსმა კი ოცი წელი გაატარა ტროას სისხლისმსმელ ომსა და ფათერაკებით სავსე მოგზაურობაში. სიკვდილს უთვალავჯერ ჩაუხვდავს მისთვის თვლებში, ის კი ამბობს: გული სიკვდილზე ფიქრით არც როდის შემქანებიაო.“

აქილევსი უკანასკნელ ომში ვადის ქექტორთან, პატროკლეს მკვლელთან, ის ეტლზე ადის

და თავის უკვდავ ცხენებს მიმართავს: ცხენებო, დაე პატროკლესავით უსულოდ დაცემული არ დამტოვოთ ბრძოლის ველზეო. უცებ ერთ-ერთმა ცხენმა პირი გააღო და ადამიანური ხმით უთხრა აქილევსს:

ახლაც კვლავ ცოცხალს დაგაბრუნებთ,
გმირო, ფებმარდო,
მაგრამ ახლოა აღსასრული
ჩვენ არ გინუხთლებთ.
არამედ — ღმერთი, მზრძანებელო,
ბედი თავნება!
ჩვენ თუნდ ვიფრინოთ ვით ზეფიროს
ხუნთკავს კშუილით —
ქართუხწრაფები, ბედისწერას შენ
ვერ აგაცდენთ:
ძლიერი ღმერთი და მოკვდავი დაგცემს
ვაჟიკაძი!

თითქოს ჩვენს თვალწინ უცრად რომელიღაც ფარდა იხადა. სამყარო წყვედიადმა შთანთქა და მისი ბნელი, გულცივი სიღრმეებიდან ბედის რკინისებური ხმა გაეღრიალდა. და ალბათ უბილავი ტრაგიკული ქოროები, მისტიკური ძრწოლით შეპყრობილები, აღავლენენ ლაღადისს უბადრუკი ადამიანის სიძაბუნესა და არარაობაზე, მის განწყობილებაზე, საშინელ საფრთხეზე, რომელიც სიცოცხლეს ეღერება. მაგრამ... მაგრამ ელადში ტრაგედია ჯერ არ დაბადებულა.

პირქუშად უთხრა აქილევსმა ფებმარდმა შერანს:
„რატომ მიქადი სიკვდილს, შენ ეს არ გეკითხება!
მეც კარგად ვიცი, რომ დაღუპვა აქ მიწერია,
შორს დედ-მამიხგან.
მაგრამ ბრძოლის
ველს არ დავტოვებ,
ხანამ ტროელებს არ დავაძლევ
სისხლიან ომით!“
თქვა და ყიფინით გააქენა
თქარუნა ცხენი.

და ფარდაც დაეშვა, ბნელი ძალები მიიძალნენ. პირველსავე ბგერაზე გაწყდა უჩინარი ტრაგიკული ქოროს ხმა და სულშიც შიშმა და ცახცახმა კი არა, — სიამაყის გრძნობამ და ადამიანის სულის გაუტეხელობის რწმენამ დაისადგურა.

ასეთი ადამიანისათვის ყოველი ხდომილობის წინასწარგანსაზღვრულობა და აუცილებლობა არამცთუ საშიში არ არის, არამედ სულაც სიმბნევის წყაროა. პექტორი ეუბნება ანდრომაქეს.

ბედი თუ გწყალობს, ჰადებს ვერცინ
ვერ გაგაგზავნის,
მაგრამ ბედს ვერც ვინ გაეჭყვეა
მიწის შეილთაგან
ქვეყნად შობილი, გინდა მბრძოლი,
გინდა გულადი.



ღვთიური განგების იგივე უმაღლესი კეთილშეშობა უნდა აღმოიჩინოს გულსწყურებულსა და ზიზღის ვარეშე მოეპყრონ ამ წინასწარგანსაზღვრულობის მითდაუნებლიე დესპანებს. რა სათუთად ეპყრობა ჰომეროსი ელენეს, ომის მიზეზს! პრიამოსი ეუბნება ელენეს:

შენ უბრალო ხარ, ბრალი ღმერთებს
მიუძღვიო მხოლოდ:
შემოგვიხიებ აქაველნი ცრემლის
მომტანნი.

სამართლიანია თუ არა, რასაც ღმერთი და ბედისწერა მოაწევს ადამიანის თავზე? ჰომეროსის ბერძენი ამ კითხვით თავს არ შეიწუხებს. ასეა და მაშ ასე უნდა იყოს... მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი ის არის, — და აუცილებელია ერთხელ ხაზგასმით ითქვას ეს, — რომ გარდუვალობის შეგნებას დამოუკიდებელი თაოსნობის სურვილი არ ჩაუკლავს ამ ადამიანებში, ღვთის განგების და ღვთის რისხვის უმცთარი ცოდნაც კი ვერ ააღებინებდა მათ ხელს საკუთარი სულიერი მოთხოვნილებების მიხედვით მოქმედებაზე, თუნდაც ეს მოქმედება ღვთაების ნების წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული. ფეაკელებს კარგად მოეხსენებათ: სასტიკად განრისხებულა მასზე პოსეიდონი, რადგან უგემოდ დარჩენილი მოგზაურები თავიანთი გემებით გაისტუმრეს სამშობლოში. ფეაკელებს მოეხსენებათ ნაწინასწარმეტყველები: „ერთხელაც იქნება, ეკუმოქცეულ ფეაკელ მებრძვაურებს პირქუშე უფსკრული შთანთქავს და ჩვენს ქალაქს ერთ უზარმაზარ კლდეს ააფარებსო. ასე იწინასწარმეტყველა მოხუცებულმა და, ვინ იცის, ახდება თუ არა მისი ნათქვამი, დაე, ღმერთების ნებისაებრ გადაწყდეს.“

დაე, პოსეიდონის ნებისაებრ გადაწყდეს, მაშინ ჩვენც კრძალვით და მორჩილებით შევეგებებთ ჩვენს ზვედრს. ჯერჯერობით კი ჩვენს ნებას აღვასრულებთ, იმას ვიზამთ, რაც ჩვენ გვგონია კარგი.

თანამედროვე ადამიანს ფანტაზიის უდიდესი დამაბვა დასკირდება ამ ყაიდის რელიგიური გრძნობა რომ გაისიგრძეგანოს. ჩვენ ძალიან მივეჩვიეთ ღვთაებისადმი უმაღლესი ზნეობრივი სრულყოფილების მიწერას. ამიტომ ცხოვრებაში ბოროტებისა და უსამართლობის არსებობა მთელი თავისი ძალმოსილებით გვი-

ყენებს თეოდოციუსს, ანუ სამყაროებზე ბოროტების წინაშე ღმერთის გამართლების ამოცანას. და იმას როდი ვეპუებოთ, რომ ასეთი გამართლების უოველი ცდისას უსათუოდ ხელი გვეცარება. ჰომეროსის ბერძენს შეეძლო ერთმანეთისათვის შეეწყო თავის სულში, ერთი შეხედვით, სრულიად ურთიერთუგებელი განწყობილებები: სიკოცხლისადმი უაღრესად რელიგიური დამოკიდებულება და თეოდოციუს ანდა კოსმოციუსის მოთხოვნილების სრულა უქონლობა. ცხოვრება ღვთაებრივია და ამავე დროს სრულიად აშკარად უსამართლო. მაგრამ ბერძენს ეს უსამართლობა არ აღაშფოთებს, აუღელვებლად ღებულობს მას, როგორც არსებულ ფაქტს.

როდი მაშფოთებს მე ღმერთების ნამოკმედარი.

არხენად ამბობს არქილოქე, ჩვენ ეს ხალხი სულ სხვა სამყაროდან მოსულ ადამიანებად წარმოგვიდგებოდა, ხალხი იანად, მხნედ და რელიგიურად რომ ცხოვრობენ მშვენიერ ქვეყანაში და აინუნშიაც არ აგდებენ ღმერთების რისხვისა და უსამართლობის გამუდმებულ საფრთხეს.

ჩვენ ცხოვრებასთან ჰომეროსულ-არქილოქესეული დამოკიდებულების ძირითადი ძარღვი მოვხვლეთ. სიკოცხლის ღვთაებრივი არსი სრულიადაც არ ნიღბავდა ადამიანებისადმი მის ამორალურ, სასტიკ და სავსებით არაიდოლიურ დამოკიდებულებას: რა გამოლევდა ცხოვრებაში საშინელებებს, გასაჭირსა და ყოველად გულსაწყვეტ ურთიერთობებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჰომეროსის ბერძენი მხნედ და ხალხით ეწეოდა ცხოვრების უღელს. სიკოცხლით ვერ ძღებოდა, „გულგვამით უყვარდა“ იგი, უყვარდა, იმიტომ რომ მის ძლიერ სულს ცხოვრების სიდუხჭირე და საშინელებანი ვერ აკრთობდა, მისთვის „არაფერი არ იყო ქვეყნად საშიში“. ბნელი, უსიხარულო შეხედულებები სიკოცხლის შესახებ, რაღაც სასწაულად, სიკოცხლისადმი რთულ, ხალხიან დამოკიდებულებას უთანხმდებოდა. საშინელებებს და სიდუხჭირეს არ ძალუძდათ მის თვალში ცხოვრების ღვთაებრიობას მიჩქმალვა, რადგან ბერძენი გულში დღენიდაც გრძობდა ამ თვისებას.

სიკოცხლესთან ამ ჯანსაღი, ნათელი დამოკიდებულების ფონზე უცნაურად ვღერს ნიკშეს მტკიცება, ძველი ბერძნისთვის ქვეყნიერება და ყოფნა მხოლოდ ესთეტიკური ფენომენის სახით მართლდებოდაო და ცხოვრების საშინელებებს ბერძენი სილამაზით „ჩქმალავდაო“. ბერძენი ამ საშინელებების ობიექტივაციას ახ-

დენდა და მათი შეშვეობით ისევე ვძლეოდაო მხატვრულ ტკობას, როგორც ჩვენს ეტიკებით „მომაკვდავი გალის“ ჯანდაცების კერეტიო, ანდა თავისი შვილების ამოხოცვის თვითმხილველი ნიობეს შემყურეო. ეს ხომ ფსიქოლოგიური აბრუნდია! ყველაზე გადაგვარებული ესთეტიკ კი მხოლოდ სხვის გაჭირვებას, სხვის თავზარს თუ გადააქცევს ფენომენად“ — და არა ტყვეობის კარგად გადააქცევს ესთეტიკურ ფენომენად მაგალითად აქილევსი საყვარელი მეგობრის სიკვდილს, ან ჰექტორი — თავისი ცოლის წინასწარგანკვრეტილ ბედისწერას?

ტავედ გაგიტაცებს აქაველი, თავისუფლებას წაგართმევს ძალით და არგოსში უცხო ქალთათვის მოპყვება ქსოვას... მესხისის ან პიპერეის წყაროებიდან წყალს მოიტან მკაცრი იძულებით! ცრემლებმორეულს ვნახავს ვინმე და ასე იტყვის, ეს ხომ ჰექტორის ცოლიაო...

არაფერში ისე ნათლად არ მელავნდება ნიკშეს კაბინეტური და დეკადენტური სული, როგორც ცხოვრების ამ ესთეტიკური გამართლებისაკენ მის მიდრეკილებაში. „ავიღებ ხელში ცხოვრების ნაქერს, ტლანქს, მოუხეშავს და მისგან დამატკობელ ლეგენდას შევთხზავ“. — ამბობს რუსი დეკანდელი. ნამდვილი ცხოვრების სიმძლავრისა და მშვენიერების შეგრძნების უნარწარმეული, მარტოობით გულგამოტყმული ადამიანი ცხოვრებისაგან „ოცნებას“, „დამატკობელ ლეგენდას“ კარგავს და ამით ამართლებს თავის არსებობას. გადაგვარებული, დეკადენტი პოეტისა და ფილოსოფოსისათვის ეს ბუნებრივია, მაგრამ მხნე და სიკოცხლეს დახარბებული ძველი ბერძენი კაბინეტის სიმყუდროვიდან როდი შესჩერებოდა ცხოვრებას, ის იბრძოდა, ხარობდა, იტანჯებოდა, შიგ ცხოვრების მორევში ტრიალებდა, განუწყვეტლივ ქმნიდა, — ქმნიდა არა დამატკობელ ლეგენდებს, არამედ მძლავრ, ნათლით-მოსილ ცხოვრებას, — დამატკობელ ლეგენდებზე უფრო მშვენიერს. და ის ძალა, რომლის მეოხებითაც ძველი ბერძნისთვის სამყარო მშვენიერი ჩანდა, მხატვრული ფანტაზია, ანუ სილამაზის ძალა კი არ იყო, არამედ ხალხიკოცხლო ძალა, სილამაზე კი თავისთავად იბადებოდა ამ ძალისაგან.

და როგორ კამყამებს, როგორ დულს და ქაფებს ჰომეროსისდროინდელ ბერძენში ეს

სასიცოცხლო ძალა, მისი სულიერი წყობა, მთელი მისი ტონუსი, სრულიად სხვაგვარი იყო ვიდრე ჩვენია. მხოლოდ ბავშვებში შეგვიძლია ჩვენ შევნიშნოთ ეს ყოვლად ნათელი, ცინცხალი, ხალისიანი სიცოცხლითგაუმადლობა.

ჩვენ ვამბობთ: „როცა კამას მორჩნენ“... ჰომეროსი ამბობს: „როდესაც კამა-სმით გული იჭერეს“. ჩვენ „ვსაუბრობთ“, ჰომეროსის ადაშიანები „საამურ საუბარს აბამენ“ ერთმანეთში.

ტაბლა დაუდგა ჰეკამედამ, შავი

ფეხებით

დამშვენებული, მოკიაფე, სპილენძის სინზე

ხახვი დაუწყო მათ, სახმელზე

დასაყოლებლად,

დახდო ფქვილი და გოლეული, ღამაში თახი,

რომელიც ნესტარს წამოედო თურმე სახლიდან,

შიგ ჰეკამედამ გააწავა.

ჭაღდმერთის მსგავსმა,

ღვინის ნარევი, პრამნეულის,

თხის ყველი დაფშვნა

სპილენძის ცხავით, შოაყარა ზედ

თერთი ფქვილი.

ღვინით დაიცბრეს მგობრებმა

უმალ წყურვილი

და საამური საუბარი გააბეს

შემდეგ“.

სწორედ რომ ბავშვივით გულსავსედ აღიქვამს ჰომეროსი ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებებს. ხარბად ეწაფება ყველაფერს, რაც გარშემოა: ყველაფერი ტკობის წყაროა, ყველაფერი მშვენიერია; მაგიდაც, თასიც, ღმერთქალთა დარი მხვეალი ჰეკამედაც. ქერის ფქვილის, ხახვისა და თაფლისაგან შემზადებული მყარალი შეჭამანდიც არ უნდა იყოს იმაზე უფრო გემრიელი, ვიდრე ის ხაშხაში და შავკაკალა იყო, რომლებსაც ასეთი, დღეს ჩვენთვის გაუგებარი, სიამოვნებით შევექცევოდით ბავშვობაში.

მძიმე ჯაფა ადგას ტყის მჭრელს. შუადღეზე, როცა უკვე დაიქანცება, დაჯდება და ისადილებს. „როცა უკვე დაიქანცება“... ეს თუ ჩვენებურად ვიტყვი. ჰომეროსი კი ამბობს:

...ჩეროში

მოიკალათებს, მას შემდეგ, რაც

გაძლა მარჯვენა

კორომთა ბეღვით...

ადაშიანის ხელებს სამუშაო მოშივებით და შრომის პროცესი ჰომეროსისათვის ამ შიმში-

ლის მოკვლის საამური შეგრძნებაა.

ერთმანეთის დაუძინებელი მტრები შეიყარნენ: აქილეესი, საძულველი ჰექტორის მკვლელი, და პრიამოსი, ჰექტორის შვილმკვდარი მამა.

დიდხანს უმზერდა პრიამოსი გაოცებული პელიდს, ღამის თვით ღმერთიაო, ეტვენებოდა.

ასევე იყო აქილეესის დასაწყისში მოხუცის ხათნო ჩაბითა და საამო სიტყვიო ერთურთის ქცერა მათ სიტკბოს და სიამეს მგვრიდა.

თვითონ ჰომეროსსაც ისევე „სიამეს ჰვერის“, როცა ტროელ მტრებს შეჰყურებს. რა კეთილშობილი და მშვენიერია მათთან ღვაებრივი ჰექტორის, აქაველთა უმთავრესი მტრის სახე! რა სერაოზულად, რა ღრმად მოწიწებით ეპყრობა ის, საერთოდ, ტროელებს. და რა უჩვეულოა ეს, რა... ღამის არაბუნებრივი! ჩვენი ბილინები გაეიხსენოთ: „ძალთაპირი კალინ მეფე“, „ბილწატარვა“, „ბილწი ლიტვა“, „წყეული კარელა“, — აი ეს ბევრად უფრო ჩვეულებრივი და ბუნებრივია, მაგრამ აბა როგორი წარმოსადგენია ამის მთქმელი ჰომეროსი: „ძალთაპირი პრიამოსი“, „წყეული ჰექტორი“, „ბილწი ტროელები“...

ის დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, რომელიც ასე მთლად სჭევიეს ჰომეროსის ნაწარმოებში, მართო ერთ გარკვეულ ხელოვანს, ჰომეროსს არ უნდა მივაწეროთ, არამედ — საბერძნეთის ცხოვრების მთელ პერიოდს. ის, რაც ჩვენთვის ახლა „ილიადას“ და „ოდისეას“ სახელით არის ცნობილი, ერთ მომღერალს არ შეუქმნია. თუკი ჰომეროსი ოდესღაც მაინც არსებობდა, საფიქრებელია, რომ მას ილიადას მხოლოდ ძველისძველი ბირთვი მერვე და მათე ქება ეკუთვნის. აქილეესის მრისხანებისადმი მიძღვნილ ამ ძირითად პოემაში შემდეგდროინდელი მომღერლები ახალ-ახალ ლექსებს და ეპიზოდებს, მთელ სიმღერებს ამატებდნენ და ბოლოს პოემა იმ ნაკლებადდახვეწილ მთლიანობაში გადაიზარდა, რასაც დღევანდელი „ილიადა“ წარმოადგენს, სადაც ცალკეული ნაწილები ერთმანეთს ეწინააღმდეგება ან, ძალიან სუსტად უკავშირდება. „ოდისეას“ ბირთვი, რომელიც ალბათ სხვა მომღერალს მიეკუთვნება, უფრო ხელშეუხებელი ღარჩა, მაგრამ „ოდისეას“

გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი ჩამატება „ოდისეაში“, რომელთა შესახებაც დამტკიცებულია, რომ ისინი სხვა, უფრო გვიანდელ ეპოქას მიეკუთვნებოდნენ. ამათგან ყველაზე დიდი ჩამატება ოდისეესის ქვესკნელში მოგზაურობაა.

სეაშიც“ ძალიან ბევრია დიდი და მცირე შემატება.

იქნებ ათეულობით მომღერალი მონაწილეობდა პომეროსის პოემების შექმნაში. ისინი სხვადასხვა ტემპერამენტის, სხვადასხვა დონის ტალანტები იყვნენ და სხვადასხვა ბერძნულ ტომებს მიეკუთვნებოდნენ. (იონიელებს, ეოლიელებს, დორიელებს). მაგრამ მით უფრო ნიშანდობლივია, რომ ცხოვრებისადმი დამოკიდებულება ყველა მათგანს მთლად ერთნაირი აქვს, იმდენად ერთნაირი, რომ ამ მონაცემებით ჩვენ პომეროსის პოემებს ისე აღვიქვამთ, როგორც მთლიანს და ერთგვარს. ცხადია, სიციოცხლისადმი ასეთი დამოკიდებულება საერთოდ დამახასიათებელი იყო იმ ეპოქისათვის და მისდაუნებურად იჩენდა თავს ყოველ პოეტში, ისევე როგორც, სახის ნაკვთების ერთგვარი მოქცეანილობა იჩენს თავს ერთი ეროვნების ხალხში, მათი ერთმანეთისაგან ყოველნაირი განსხვავების მიუხედავად.

ათეულობით შემოქმედი ქმნიდა პომეროსის პოემებს, ასეულობით მომღერალმა გაავრცელა ისინი მთელ ელიადაში ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ დადიოდნენ ხელარგნიანი და გვირგვინოსანი მომღერალი აედები, წარჩინებულთა და მდიდართა სანადიმო დარბაზებში, ფუნდუკებსა და სოფლის სალაყბოზე, გლებთა და ხელოსანთა ბრბოებში უმღეროდნენ კურთხეულ, მშვენიერ სიციოცხლეს, „მორკმით მცხოვრებ“ ღმერთებს, „სულიერად უტებ ადამიანებს“, რომლებიც გაბედულად და ამაყად შეპყურებდნენ სახეში ბედისწერას. მღეროდნენ აედები დიად ბრძოლაზე, სატანჯველთა დიად ძლევაზე და მათ სიმღერას სულიერად თავისუფალი ქვეყნის შვილები უსმენდნენ. აქ ქურუმებმა ვერ გაბედეს რელიგიური შემოქმედებისაკენ გაეკვლიათ გზა ხალხისათვის. აქ დოგმატებისა და კოდექსებისაგან შეუბოჭავი რელიგია ვითარდებოდა თავისუფლად. მომღერალთა შთაგონება თავის ბადეში აბამდა და სახეებად აყალიბებდა განწყობილებებს, რომლითაც ცხოვრობდნენ გარშემომყოფნი. და ელიადაშიც ახალი, მხნე, კეთილშობილი და ნათლისმფენელი რელიგია ჰყვავოდა. პომეროსამდელ ღვთაებათა შემადრწუნებელი სახეები — მძვინვარენი და გულსასტიკნი — ღამეულ ჩვენებებივით ქრებოდნენ, სამყარო გარს-შემოჭარული იდუმალი უწმინდურობისაგან განიწმინდებოდა. ადრე თუ ბნელი და მრისხანე იყო სიციოცხლის საიდუმლო, ახლა — ნათელი და ხალისიანი ხდებოდა.

ბადენიერებისა და ძალმოსილების ღვთაება



ამ პერიოდის ელინური რელიგიური ცხოვრების უმთავრესი ღვთაება აპოლონი იყო. გამოსახავდა რა მას „ხეულებს უმთხრესებს“ და „მაცდური ილუზიის“ ღმერთად. ნიცმე ძალიან სკოდავდა ქეშმარიტების წინაშე. მაგრამ ის ათასწილად მართალი იყო, როცა ამ რელიგიურ პერიოდს მაინცდამაინც აპოლონის ნიშნებით აღბეჭდილად წარმოგვიჩენდა. ცხოვრებასთან მაშინდელი დამოკიდებულების ყველა არსებით თავისებურებას საოცრად ნათლად და ამომწურავად გამოხატავს ამ მშვენიერი ღვთაების სახე.

პომეროსთან აპოლონი (ათინასთან ერთად) სიციოცხლის ქეშმარიტი მეუფე და ღმერთია. მის მიმართ პომეროსის მხრიდან უფრო მეტი მოწიწება იგრძნობა ვიდრე თუნდაც თვით მამამისის, უფალთუფალ ზევსის მიმართ. პოეტის ფანტაზია არასოდეს არ გაკადნიერებულა და აპოლონი რამდენადმე მაინც საეჭვო სახით არასოდეს წარმოუჩენია. არადა ამის ცთუნება შეიძლებოდა დიდიც ყოფილიყო: აპოლონი ილიადაში ტროელთა მხარეზეა. ტროელთა მომხრე სხვა ღმერთები: არესი, აფროდიტე, არტემიდა, მდინარეების ღმერთი სკამანდროსი ხანდახან მაინც აღმოჩნდებიან ხოლმე სასაცილო ან დამამცირებელ ყოფაში. მაგრამ გამობრწყინდება აპოლონი და მისგან ისეთი მედიდური ძალმოსილება გამოასხივებს, რომ წარმოუდგენელია ის არესის ან არტემიდას დღეში ჩაეარდეს. „ურჩხულის ღმერთს“ უწოდებს მას პომეროსი (ილიადა XIX 413). მისდამი გამორჩეული და მოწიწებული დამოკიდებულება მოგვიანო ხანაშიც შენარჩუნდა. პესიოდე და თეოგნიდე მას უკვდავთა შორის უმშვენიერესს უწოდებდნენ. თვით აღვირაბსნილმა ანტიკურმა ტრაგედიაშიც კი, — არც ღმერთები და არც ადამიანები რომ არ დაინდო, — ვერ გაბედა აპოლონის გამასხრება.

დიდ ბერძნულ ღვთაებათა უმრავლესობის დარად, აპოლონიც აუარებელი ადგილობრავა ღმერთების ურთიერთშერწყმის შედეგად შეიქმნა. ჯოვის, მცენარეულობის მზიური ნათლის ღმერთიდან თანდათანობით კოლოსალური სახე-სიმბოლო ჩამოყალიბდა, რომელმაც სიციოცხლესთან ერთიანი, გამოლიანებული, გარკვეული და ყოვლისმომცველი დამოკიდებულების ყველა უარსებითესი მხარე დაიტია.

მტკიცე და უდრეკი, ქმედითი და სიციოცხლისმოყვარე ელინური სულის გაიესკროვნებულ ხატებად წარმოჩინდება ჩვენს წინაშე ეს

ღმერთი. ბრგე, დაკუნთულ სხეულს ღვთაებრივი ძლევამოსილება იტყვია, თვალები მტკიცედ და ფრთხილად იმზირებიან, ტუჩების კუთხეებში ენერგიული ნაკეცები დასტყობია, ღიმილი არ დასთამაშებს ღვთაების ნათელ სახეს: ის მუდამ მკაცრი და დარბაისლურია, თღონდამ დარბაისლურობაში მწუხარების ნასახიე კი არ შეინიშნება, პირიქით, დიადი სიხალისე სკვივივის მისგან — ის მკაცრი, ღრმად — სერათული სიხალისე, რომელიც სიცოცხლის ღვთაებრივი მნიშვნელობის შეგვრძნებიდან იზადება. სიცოცხლისადმი ადამიანის მოკრძალება, ღირული მერყეობა მოსალოდნელი საფრთხის წინაშე. აუცილებლობისადმი ხელის გამოუღებლად დამორჩილება, — მხოლოდ დაუოკებელ გულისწყრომის იწვევს „მებრძოლ“ ღმერთში. არ არის და არც უნდა იყოს ცხოვრებაში არავითარი საფრთხე, არავითარი სულიერი „შებოქილობა“.

უფუნურია ვინც არ მაგრობს გაკირვებაში, ვინაც კირთებას და ხატანჯველს ეხწრაფვის სულით!

ამას ამბობს აპოლონი ჰომეროსის ერთ-ერთ პიმნში („პითიელი აპოლონისადმი“) და აღფრთოვანებული შეჰყურებს პინდარესთან ძლევამოსილ კირენეს, „იდაყვმშვენიერ ქალწულს“, რომელიც უიარაღოდ ეკვეთა და ებრძოლა ღმერთს. აპოლონი მიმართავს კენტავრ ქირონს:

გამოდი, ქირონ, წმინდა მღვიმიდან და გაიხარე ძლევაშემოსილ, შეუპოვარ ქალწულის ხილვით, წარბშეუხრელად გადიხადა ხასტიკი ბრძოლა, განსაცდელზე ადამაღლა თავისი სული, შიში გულში არ გაუვლია, რა დედამ შობა მოკვდავთაგანმა, ქალი ასეთი?

და აი ღვთაებრივ გარდუვალობასთან როგორ დამოკიდებულებას ასწავლის აპოლონი ადამიანებს „ილიადაში“: ტროელეები უკან იხევენ, აპოლონი ენეასს ეცხადება და ეუბნება:

როგორ შეგეძლო ილიონი გეხხნათ, ენეას, თუნდაც ღმერთების უნებურად, როცა არ ეგავხართ მე რომ მინახავს იმ ვაჟკაცებს ძაღვლოვანებს, მცირერიცხოვანთ, შიშს რომ გულში არ იკარებდნენ!

ჩვენ უფრო გვწყალობს მამა ზევსი, ვიდრე აქავედო, მაგრამ თქვენ ბრძოლას გაქცევიხართ, თრთით საწყალობლად!



თვითონ უკვდავი, თვითონ ღმერთი, აპოლონი საყვედურობს ადამიანებს, რატომ საკრთოა ვერ აღწევთ თქვენს მიზანს „ღმერთების უნებურად“!

ვერაფერმა ვერ უნდა შეგვაშინოს ამ ქვეყნად, სული განსაცდელზე უნდა აღვიმალლოთ და უნდა ვიცხოვროთ — ვიცხოვროთ და გავიხაროთ ცხოვრებაში, ცხოვრებას უნდა შევხაროდეთ, სიკვდილზე არ ვიფიქროთ, თითქოს ჯერ ძალიან ადრეა და, ამავე დროს, ისე ხარბად უნდა დავეწაფოთ სიცოცხლეს, თითქოს სიკვდილი ყურს უკან გვეჭდეს. ვაკბილდის ამას წინათ ნაპოვნ ოღაში აპოლონი ამბობს:

შენ მოკვდავი ხარ, ადამიანო, ამიტომ ისე უნდა იცხოვრო თითქოს დღეის დღე უკანასკნელი დღე იუოს შენთვის, და ამავე დროს თითქოს გელოდეს კიდევ ერგასი წელი ცხოვრება, — მდიდარი, მრავლისმომსწავებელი. პატივი ეცი ღვთიურ კანონებს, გულით იხარე!

გულით იხარე! უზენაესი ბედნიერებაც სწორედ ეს არის. შორეულ ჩრდილოეთში, მარადიული დღის სასუფეველში ბედნიერი ადამიანების პიპერბორეოსების სამკვიდრო იყო. ამ წმინდა ტომზე აპოლონი მეფობდა. იქ, პიპერბორეოსების მხარეში გამოსაზამთრებლად გადააფრინეს იგი გედებმა. მკაცრი ზამთარი დადგა. ადამიანებს გაუჭირდათ, ბედნიერად ველარ ცხოვრობდნენ, მოაკლდათ ბედნიერება, რომლის წყალობითაც ეზიარებოდნენ ისინი ნათელღვთაება აპოლონს.

ისევ და ისევ უნდა მოვუწოდოთ მკითხველს, დაძაბოს ფანტაზია, რამდენადაც კი შეუძლია, რათა იმ სულიერი წყობის წარმოსახვა მოახერხოს, რომელმაც ასეთი ღმერთი წარმოქმნა. ადამიანმა ჯერ საკუთარი ძალების ამარა უნდა გადაიტანოს თავისი გაკირვება და საწუხარი და მხოლოდ ამის მერე მიეახლოს ღვთაებას, — ხალისიანი გასხივოსნებული, სულგაწმენდილი.

ამ მხრივ ერთი საოცარი ადგილია ესქილეს „აგამემნონში“. ქადაგად დავარდნილი კასანდრა აგამემნონის და თავის საკუთარი სიკვდილის მოახლოებას წინასწარმეტყველებს და შეძრწუნებული შეღალატებს ლოქსიის აპოლონს:

კახანდრა — ვაიმე ვაიმე
 ო. აპოლონ, აპოლონი
 მორე — შეურაცხელი რად ევედრები,
 ნეტა, ლოქსიას?
 — მოტირალთ შემწე როდია იგი.
 აასანდრა — ვაიმე, ვაიმე!
 ო. აპოლონ, აპოლონი
 მორე —
 კვლავ მკრეხელურად მოუხმობ
 შენ ღმერთს!
 და შეურაცხელი შენი ცრემლებით.

ლამის სული შეგვიძრწუნდეს, როცა ისეთ ადამიანებს წარმოვიდგენთ, რომლებსაც სმ-დაგვარი ღმერთის შექმნა შეეძლოთ. ნეტა რა ხალხია ასეთი, ღმერთს რომ არ მიმართავს საშველად და საკუთარი სულის ანაბარა ცდილობს თავისი გაჭირვების დაძლევის? სვე-გამწარებული ადამიანისათვის სრულიად ბუნებრივი იქნებოდა თუ მორჩილად მოიდრეკა და მუხლს, სასომიხდილი გაიწვდიდა ხელებს ძლიერი, მკმუნვარე და კაცთმოყვარე არსებისაკენ და შეჰლაღადებდა: „უფალო, იყავნება შენი!“ ბუნებრივი იქნებოდა თუ ამით უზენაეს სიყვარულს და მწუხარებას იგრძნობდა, თავის სურვილებს განეშორებოდა და განუსჯელად მიენდობოდა ღვთაების ნებას.

აქ კი სულ სხვანაირი წყობის ადამიანს ვხედავთ, მის წინაშე ამოცანა წამოჭრილა:

„გული დაიხროს ვით მოითხოვს გარდუვალობა“

კერზე დაიკამოს კვნესა, მკერდი მიუშვიროს გულგამგმირავ დარტყმებს, სულის სიღრმეში მოინელოს ბოდმა და ტკივილი და სიმწრით ტუნებდაკენეტილმა, მაგრამ ქედუხრელმა გამოაღწიოს განსაცდელიდან, მზად იყოს ახალი მწუხარებისათვის, ახალ-ახალი მხიარულების ძალა შესწევდეს.

ის უმაღლესი და ულამაზესი, რითაც ადამიანს შეუძლია ღმერთი ადიდოს, ის, რაც ღმერთს უნდა მიუძღვნას ადამიანმა, საკუთარი სიხარული და საკუთარი ბედნიერებაა. აი, აპოლონური რელიგიის ძირითადი დებულება და წმინდაწყლის აპოლონურ, ჩვენთვის ესოდენ უცხო აზრს გამოთქვამს ერთი მოგვიანო ხანის ბერძენი მწერალი, გეოგრაფოსი სტრაბონი, როდესაც ამბობს: „ნათქვამია, ადამიანები ყველაზე მეტად მაშინ ბაძავენ ღმერთებს, როცა სიკეთეს სჩადიანო, და ეს სწორია, მაგრამ უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ ადამიანები ყველაზე მეტად მა-

შინ ემხგავსებიან ღმერთებს, როდესაც ბედნიერები არიან“.

აუცილებელია ეს საკითხი დაწვრილებით განვიხილოთ. ჩვენთვის... რა არის ჩვენთვის, კაცმა რომ თქვას, ბედნიერება, სიხარული? ცხადია, ყველას სურს ბედნიერ იყოს, მაგრამ, ამავ დროს, ყველა ხვდება, რომ ეს პირადად მის ეხება, რომ მისმა მტრმა მხოლოდ პირადად მისთვის არის მტერი. აქა ღირებული, მეტიც, — სიხარულის და ბედნიერების შეგრძნება უმრავლეს შემთხვევაში რაღაც დანაშაულის შეგრძნებასთან, ბედნიერების წვრილმანობისა და არასერიოზულობის განცდასთანაა შეუღლებული. სიხარული, ბრწყინვალეობა, სიცოცხლის მშვენიერება ჩვენ მხოლოდ „მხიარულ სიამოვნებად“, მხოლოდ განცხრომად შეგვიძლია განვმარტოთ და მხოლოდ დიდი გაჭირვებით თუ წარმოვიდგენო სიხარულს, როგორც მოზიემე სერიოზულობას, როგორც ხაიდუმლოს, რომელიც სიცოცხლის ღვთაებრივ არსებას გვიმხელს.

არადა სწორედ ასეთი ხასიათის იყო სიხარული აპოლონური ბერძნის რელიგიაში. ჩვენი შეხედულებები ამის შესახებ უაღრესად არეულ-დარეულია. ცხადია, ყველას მოეხსენება, რომ ძველ ბერძნებს სიცოცხლე და მისი მოგვრილი სიხარული უყვარდათ, რა ვუყოთ მერე, ანაკრეონი, კირენაიკების ჰედონიზმი, ეპიკურელობაც თუ არსებობდა. ეს ყველაფერი ნიკშესთვის ესოდენ საძულველ „ალექსანდრიული მხიარულების“ მსგავსად უკვე ელინური ცხოვრების სრული გაბრწყინის გამოხატულება იყო. ღრმა, სერიოზული სიცოცხლე სიამტკილობის, განცხრომის საგნად გადაიქცა. სიცოცხლის და მისი ყოველი წამის ამ უგერგილო, მიმკვდარებულ, რელიგიურობას მოკლებულ დაგემოვნებას სულ არაფერი საერთო არა აქვს იმ ღრმა, ნათელ სიხარულთან, რომელიც აპოლონური რელიგიის არსებას შეადგენს.

ამ სიხარულს ღრმად რელიგიური ხასიათი ჰქონდა. სწორედ სიხარული იყო ის ძირითადი სტიქია, რომლიდანაც ელინური ღმერთები იბადებოდნენ. — „ნეტარნი“, „მორტყულნი“, ჩვენ ვნახეთ, მაშინდელი ბერძენი თავსდამტყდარ უბედურებას საკუთარი სულიერი ძალის ანაბარა უმკლავდებოდა, საამისოდ მის ღმერთები არ სჭირდებოდა. მწუხარების, ბედისწერის, უსამართლობის მიუხედავად მის მაინც „გულგვამით“ უყვარდა სიცოცხლე, სიცოცხლის ბავშვური ხალისი პირთამდე ავსებდა მის სულს. ეს ხალისი ხილული, ხელშესახები სამყაროს ზედაპირზე ვერ ეტეოდა, სიცოცხლე სამყაროს წიაღში აღწევდა და თითქოს შიგნიდან ანათებდა მას იღუმალნი შე-

ქით; ამ სიხარულის იქით, უფრო ზუსტად ამ სიხარულში რაღაც მნიშვნელოვანი, უსასრულოდ ღიადი, რაღაც ღვთაებრივი იგრძნობოდა, და ეს „ღვთაებრივი“ ბერძნისთვის სიცოცხლის ძირითად დერიტას შეადგენდა.

თავისი სიხარულის მეოხებით ბერძენი ღმერთის თანაზიარი ხდებოდა. მონათული როდი თნრავედა იგი, როცა თავის ღმერთებთან მიდიოდა, და შეწყალებას როდი ითხოვდა მათგან. ის მიდიოდა თეთრ ტანსაცმელში. ყვავილების გვირგვინით თავშემკული, — ეს გვირგვინი სიხარულის სიმბოლო იყო. ცეკვა-ცეკვით ენუჯოდა ღვთაებას, ფერხულში ებმებოდა და სიხარულისაგან შობილი მისი ღმერთებიც ადამიანურ სიხარულს ეზიარებოდნენ. ჩვენთვის ეს ძნელი წარმოსადგენია, ძველი ბერძნის ცხოვრებაში არ იყო ისეთი სიხარული, რომელიც, ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, საერო ხასიათისა იქნებოდა. ქალის სიყვარულში თუ ოჯახურ კერასთან სიამტკბილობაში, მამაკაცის ან ქალის სხეულის მშვენიერებაში თუ ძლიერებისა და სიმარჯვის შეჭიბრში, მხიარულ ნადიმსა და ცეკვა-თამაშში, — ბერძენი ყველგან ღვთაების თანადგომას და კურთხევას გრძნობდა. ეს თვითონ სიხარულს ზეიმურ, დიდებულ ელფერს ანიჭებდა და რელიგიური ცხოვრების ისეთ ტიპს ქმნიდა, რომლის წარმოდგენაც კი ალბათ გაგვიჭირდება.

ოლეარიუსი მოგვითხრობს XVII საუკუნის მოსკოველის შესახებ: როცა ქმარი ცოლთან წევდა, ჯერ საძინებელში ხატებს ჩამოაფარებსო. რას ნიშნავს ეს? ღვთაებამ არ უნდა ნახოს, რაც ხდება. ამის ხილვა მისთვის შეურაცხყოფელია, სიყვარული განიცდება, როგორც რაღაც საკუთარი ვიწრო-პირადული როგორც მალული „ცულლუტობა“, რა თქმა უნდა, ძალიან ტკბილი, მაგრამ ბილწი და ბინძური ბერძენს კი სასიყვარულო სარეცელთან ოქროსგვირგვინიანი აფროდიტე ედგა. შეჰხაროდა ბერძენი ალერსს და სიშიშვლეს, რომელსაც ეხებოდა და საკუთრივ მისთვის შემოწირულ, გულში ნათლისმფენ მსხვერპლად მიითვლიდა სიყვარულის სანეტარო კრუსუნს და კრუნჩხვებს.

* მოსკოველსაც და ძველ ბერძენსაც თითქოს ერთნაირად უყვარდათ, მაგრამ სიყვარულისადმი მათი დამოკიდებულება უაღრესად ურთიერთგანსხვავებული იყო. ამიტომ ერთნაირი განცდებიც ძალიან ცოტა ჰქონდათ. მოსკოველისათვის სიყვარული საამური, მაგრამ უწმინდური განცდა იყო, ბერძნისათვის — ღვთაებრივ-სასიხარულო საიდუმლო.

და ყოველნაირი სიხარულის მიმართ ასე იყო ბერძენთან.

ეს სამყარო, სააქაო, ბერძნისათვის მშვენიერი და ღვთაებრივი იყო, ღმერთებო მის განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ. ასევე სააქაოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა ადამიანიც. მხოლოდ აქ, სააქაოში ვგულისხმობთ მას ქვეშარიტი ცხოვრება. სიკვდილის შემდეგ ადამიანი, როგორც ასეთი, ქრება, ის აჩრდილისა და სიზმარეული ჩვენების მსგავსად — ხდება („ოდისეა“, XI 207.) გადაქცევაში სიკვდილებზე, იმ ნალვლიან-ბურუსიან, მოსაწყენ აიდში, სადაც ადამიანები „გონამხდარი აჩრდილებივით დაფარფატებენ:“ „უმჯობესია საწყალი მოჯამაგირე იყო ამ ქვეყნად, ვიდრე მიცვალებულთა აჩრდილების მეფე“.

ადამიანის სული განუშორებლად დაკავშირებული სხეულთან და სააქაო ცხოვრებასთან. პომეროსთან სიტყვა „ფსიხე“ არ აღნიშნავს სულს ჩვენი გაგებით. „სული“ — ფსიხე სხეულს კი არ უპირისპირდება, არამედ თვითონ ადამიანს. აქილევსმა

გმირთა სულები გადახვეწა ქვეშეთის მხარეს,
თვითონ ისინი კი
ყვავ-ყორნებს მისცა საჩიჯგნად.

ფსიხე, როგორც ნეგელსბახი ამტკიცებს, პომეროსთან მშვენიერი სიცოცხლის პრინციპია და არა სულიერი სიცოცხლისა, ის სიტყვა „სულის“ თავდაპირველი მნიშვნელობის, სუნთქვის შესატყვისია. სხეულის დატოვების შემდეგ ეს მშვენიერი ფსიხე ქვესკნელში ეშვება გარდაცლილი ადამიანის ბუნდოვანი ორეულის კვამლისებური აჩრდილის სახით. მას წართმეული აქვს გრძნობა, ცნობა, ნება, — სწორედ ყველაფერი ის, რაც შეადგენს ადამიანის „მე“-ს, ანუ ჩვენი გაგებით — მის სულს.

უკვდავება ძველი ბერძნისთვის სასურველი და ღირებული იყო, მაგრამ არა ამ ფერმკრთალი, დუნე, მოჩვენებითი და უსიცოცხლო სულის უკვდავება, არამედ — ადამიანის, როგორც ასეთის. იგივე ცხოვრება, ოლონდ უფრო მკაფიო, უფრო შემსუბუქებული, ცხოვრების იგივე ტიპი, საუკუნოდ გაგრძელებული, — აი, რა იყო ღმერთების რჩეულთა ჯილდო. უკვდავება სააქო ცხოვრებას როდი უპირისპირდებოდა. ელიზიუმში, ნეტართა სამეფოში, ღმერთების რჩეულთა სულები კი არ გადადიოდნენ, არამედ თვითონ რჩეულები, სულიან-ხორციანად. ელიზიუმში სადღაც საიქიოში კი არ არის, არამედ აქვე, ჩვენს მიწაზევეა, ოლონდ მის უკიდურესად განაკიდა მხარეს, ოკეანის პირას. იქ ეწევიან ნეტარნი იმავე „დალხინებულ ცხოვრებას“ („ოდისეა“).

VI, 565), რომელსაც „დაღბინებული“ ოლიმპიელი ღმერთები, რომლებიც სააქაოს ანუ მიწიერი ცხოვრების მსგავსი ცხოვრებით „ცხოვრობენ დაღბინებულები“. რატომ უნდა ისურვო სხვა ცხოვრება, როცა ეს ცხოვრება ასე საოცრად ნათელი და მშვენიერი შეიძლება იყოს?

ადამიანი განუშორებლად არის სიციცხლესთან დაკავშირებული, მისი სული განუშორებელია სხეულისაგან. ადამიანი სულიან-ხორციანად უნდა იყო მშვენიერი და ნათელი „სხეულიც სულივით „სათნო“ უნდა იყოს.. სულიერ და სხეულებრივ ღირსებებს ძველი ბერძენი ერთნაირად სათნოებად რაცხავდა. სილამაზეც, ძალაც და სხეულის მოქნილობაც სიქველე იყო. პენელოპე ამბობს ოდისეაში: „წახდა ჩემი სათნოება, ღმერთებმა დააქცნეს ჩემი გარეგნობა და სილამაზე“. თვით სწრაფი სირბილის უნარსაც კი პინდარე „ფეხების სათნოებას“ უწოდებს. სხეულებრივი და სულიერი სრულყოფილება მშვენიერი სხეულის და მშვენიერი სულის პარმონიული შეერთება, ცნობილი „კალოკაგათია“ ელინის ძირითადი იდეალი იყო.

მშვენიერი სხეული და მშვენიერი სული... დოსტოევსკი ამბობს: „ყოფა და არაბრძანებლობა თვითონ ადამიანის სულიდან მოდის“. ძველი ბერძნისთვის ცოდვა, დახაშული არ გამოძინებარებოდა ადამიანის არსებიდან. ისინი მხოლოდ გარედან აჭდა სულს. ბინძურ ლაქად. „დახაშულს, — ამბობს პრელერი, — ძველი ბერძნები ისე უყურებდნენ, როგორც სიბილწეს, როგორც სულის შინაგან აშლილობის და მიიმე დაზიანების შედეგს და მიზეზს. როდესაც ცოდვილი მოსანანიებლად აპოლონს მიმართავს, განიწმინდება და განიბანება. აპოლონი ქვეშაობიტი მაცხოვრებელი და განმწმენდელია. ამ თვალსაზრისით ის სრულიად საშიშრისპირთა ბედისწერის და შურისგების იმ ბნელი ძალებისა, რომლებიც წყვილიადში ცხოვრობენ და წყვილიადიდან ზემოქმედებენ. აპოლონის არსება ბრწყინვალეა და ნათლისმფენელობაა. ის ვერ იტანს ვერაფერს პირქუშს და ბორცუს. სიაცეს თავისი მსუბუქი ნათლით ანათებს, მოძაქადობელ, განმკურნებელ, შემარიგებელ საშუალებებს პოულობს. ის „მარტლაც რომ ბრწყინვალეა“, როგორც პლუტარქე ამბობს მის შესახებ.

არ შეიძლება იმაზე უკეთ დავაბანათოთ სიციცხლესთან პომეროსულ-აპოლონური დამოკიდებულების მთელი არსი, ვიდრე ეს გოეთემ გააკეთა თავის სტატიაში ეილკენმანის შესახებ:

„გრძნობა და ქვრება იმ დროს ჭერ კიდევ არ იყო ცალკეულ ნაწილებად დათიშული. ჭან-

სალი ადამიანური ძალი მაშინ ჭერ კიდევ არ გამხდარიყო ძნელად გასამართლებელი განხეთქილების მსხვერპლი. ამ ადამიანებს არა მარტო სიხარულით უზომო ტკობა შეეძლოთ, არამედ ჭირში შედეგში იყვნენ როგორც ჭანმრთელი ბოჭოლი ეწინააღმდეგება მავნე გავლენას და ყოველი ავადყოფური დაზიანებისას სისწრაფოდ უყურებენ უსხეულო შეეძლო ამ ადამიანების ჭანჭრეულ ქსელს უსწრაფად და იოლად აღდგენილიყო, ყველა შინაგანი და გარეგანი უბედურების შემთხვევაში. ასეთი იყო ანტიკური სული. საქმიანობაში, ტკობაში თუ გაჭირვებაში, სიხარულსა და შწუხარებაში, რაიმეს ფლობისას, რაიმეს დაკარგვისას, აღზევებისას თუ დამდაბლებისას, — ყოველთვის მადლიერი იყო მშვენიერი დედამიწისა, რომლის მკვიდრებზეც ბრმა ბედი მეუფობს.“

მაგრამ გოეთე ამ დახასიათებას სპეციალურად აპოლონს, ანუ ბერძნული ცხოვრების გარკვეულ, სრულიად შემოფარგულ პერიოდს კი არ მიაწერდა, არამედ საერთოდ ანტიკურ სულს. აქ ის XVIII ს-ის საყოველთაოდ გავრცელებულ მცდარ აზრს იმეორებდა, რომელიც, სხვათა შორის, სწორედ ეილკენმანმა დაამკვიდრა.

სინამდვილეში საქმე სრულიად სხვაგვარად იყო.

ელადის გარემო

იმ დროს, როცა ელადში განუყოფლად მბრძანებლობდა ნათელი, ხალისიანი და მგზნებარე აპოლონი, ელადის ჩრდილოეთით, ველურ და პირქუშ თრაკიაში, უცნაურ, ელინთათვის უცხო ღმერთს ეთაყვანებოდნენ.

თრაკიელები ცხოვრებას ძნელსათმენ უბედურებად რაცხდნენ, ტირილით ზვდებოდნენ ბავშვის დაბადებას, „შინაურები, — მოგვითხრობს პეროდოტე, — სასთუმალთან უსხდნენ ახალშობილს და ზარით მოთქვამდნენ, იმ უბედურებაზე ვალალებდნენ, რომელიც ახალშობილს ელოდა ცხოვრებაში, ყველა ადამიანურ გაჭირვებას ჩამოთვლიდნენ. მიტვალელებულებს კი სიხარულით და ზარზემით მარხავდნენ, მათზე იტყოდნენ: როგორც იქნა დააღწია თავი ყველა გაჭირვებას და ნეტარებას; გარდაცვლილის ცოლები ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, არა მე ვარ ქმრის საფლავზე დაკვლის ღირსი, არა მეო. ადამიანები სიხარულით მიდიოდნენ ომში სიკვდილის შესაგებებლად, რადგან სიკვდილი ეთნეოდათ“.

მემთვრალეობითაც გამოირჩეოდნენ თრა-

კიელები მათი ქალებიც კი განუზავებელ დვი-
ნოს სვამდნენ. თავიშვებულ ქეიფსა და ღრე-
ობას, ჯერ კიდევ პორაციუსი უწოდებდა
„თრაკიელთათვის დამახასიათებელ თვისებას“.
თრაკიელები ცეცხლში ჩაყრილი მარცვლების,
როგორც ჩანს, კანადის (პაშიშის) კვამლითაც
იბრუებდნენ თავს.

ასე ცხოვრობდნენ ეს სიციცხლეზე ხელჩაქ-
ნეული, სიციცხლის ნათელს და ხალისს მოკ-
ლებული ადამიანები. მაგრამ გამოხდებოდა ხა-
ნი და სხვა სამყაროდან, სულთა საუფლო-
დან, ღმერთი საბასია გამოეცხადებოდათ. —
მაშინ ყველაფერი ფერს იცვლიდა.

ბნელ ღამეში, ჩირაღდნების ფარფანა შუქ-
ზე ადამიანები გუნდ-გუნდად მიემართებოდ-
ნენ მთაში თავიანთი ღმერთის შესახვედრად.
ქალები ყოველთვის მრავლად იყვნენ. ეღერ-
დნენ ფლეიტები, გამაყრუებლად გრუხუნებ-
დნენ ლიტავრები და სპილენძის ლაგანე-
ბი, გულგამგმირავეად გაპკიოდნენ მუსიკის
ხმაზე, გაშმაგებული როკავდნენ და ბრუა-
ლობდნენ; თავზე რქები ემაგრათ, ხელში
ცოცხალი გველები უსხმარტალებდათ, ლაპ-
ლაპი გაუდიოდა ხანჯლებსა და ფათალომოვ-
ლებულ შუბებს. ღამის საზარი წყვდიადი,
ველური მუსიკა, გაშმაგებული ჩოკვა და
ორომტრიალი, შესაძლოა ღვინოც და პაში-
შიც, — სულს სიშმაგის და სიმთვრალის
ცეცხლით ადანთებდა. სიშმაგის ექსტაზში
ადამიანი თავისი თავის ფარგლებიდან გადი-
ოდა. სულს ყველა სულდგმულის გამაერთიან-
ებელი შლეგიანი ნეტარების რაღაც უზარმა-
ზარი ქარბორბალა წარიტაცებდა და ყოველ-
დღიური ყოფისაგან სადღაც შორს გასტყორც-
ნიდა. ადამიანს საკუთარი ტანი ეუცხოვებო-
და, თავისად აღარ აღიქვამდა და ცეცხლით
იშაშხავდა, სხეულს იხანჯლავდა და არა სტკი-
ოდა, ხოლო თუ სტკიოდა, ეს მხოლოდ ახა-
რებდა და სადღაც შორს, ქვემოთ იკარგებოდა
ყოველდღიურობა თავისი საწუხარით, თავისი
საზრუნავით და სადარდებლებით, ასეთ წუ-
თებში დედას შეეძლო საკუთარი შვილი აე-
კუწა და არ შებრალეობდა, არამედ იგივე სი-
ხარული განეცადა.

და კვლავაც გრუხუნებდნენ ლიტავრები,
ბრუალობდნენ გაშმაგებული ადამიანები, ათ-
კვდებოდა წმინდა სიშლეგე. მოჰყავდათ ტა-
რიგი. უწინდელ დროში — ადამიანი, წილის-
ყრით ამორჩეული ან ტყვედჩაყარდნილი; მოგ-
ვიანებით — ხარი. მისცვივდებოდნენ ადამიან-
ები სამსხვერპლოს, ცოცხლადვე გაგლეჯდ-
ნენ ასო-ასოდ, გადმოჩქეფებულ სისხლს შეხვ-
რიპავდნენ, თქაფათქუფით შეჭამდნენ სისხ-
ლიან ხორცს და აღესრულებოდა დიდი საი-
ღუმლო და სასწაული; დაგლეჯილი ტარიგი

თვითონ ღმერთი საბასია იყო. მაგრამ აღარც
ისინი, ვინც ასო-ასოდ კუწავდა მას, ანუ
მსხვერპლშეწირვის მონაწილენი იყვნენ ადა-
მიანები: ტარიგის სისხლის და ხორცის მეოხე-
ბით ისინი ღიად ღმერთს საბასიას ეზიარე-
ბოდნენ, მისი სისხლი სისხლოვანი და ხორცი
ხორცოვანი ხდებოდნენ, თვითონაც ღმერთ-
დებოდნენ, „საბასიებად“ ანუ *საბასიები* იქ-
ცოდნენ.

ერვინ როდე ასე გვიხატავს მსხვერპლშეწირ-
ვის მონაწილეთა სულიერ განცდებს: „ადამი-
ანი ზეადამიანურ სასიციცხლო ძალებს
შეიგრძნობდა, ეს ძალა ყველგან სუფევდა
მის გარშემო და საკუთრივ მის პირად ცხოვ-
რებაზეც ვრცელდებოდა. სხვა დროს, რო-
დესაც იგი თავისი განცალკევებული არსე-
ბით იყო შემოფარგლული, ის მხოლოდ უპი-
რისპირდებოდა ამ ძალას და მორცხვად ეთაყ-
ვანებოდა, მაგრამ ამ ზენარი აღტყინების სა-
ათებში მოქარბებული გზნება ყველა სამანს
არღვევდა სულში და ამ ძალასთან ამთლიანე-
ბდა და აერთებდა ადამიანს. აქ ადამიანის
პირადი სიციცხლე ერთი წამით ღვთაების სი-
ციცხლეში ითქვიფებოდა“.

ბერძენი დამკვირვებლები თრაკიელების ყვე-
ლაზე დამახასიათებელ თვისებებზე და სუ-
ლის უკვდავების რწმენას მიიჩნევდნენ. რო-
დე მოსწრებულად მიანიშნებს ამ რწმენის
მკიდრო კავშირზე თრაკიელთა რელიგიის მაგ-
ვარი სხვა რელიგიების ექსტატურ ხასიათთან.
ექსტაზით გახელებულმა ადამიანმა თვი-
თონვე „იწამა“, რომ სხეულისაგან განთავ-
ისუფლებულ სულს შეუძლია სანეტარო და
შიშისმომგვრელ ღვთაებრივ ყოფაში დაიდოს
წილი, მხოლოდ მას ერთადერთს, სულს, შეუძ-
ლია ეს და არა მთლიან ადამიანს, სულისა
და ხორცისაგან რომ შედგება. ექსტაზის წამე-
ბში სული მიწიერ ცხოვრებაზე და თავის უბ-
ადრუკ სხეულზე მალდებდა. ელვასავით ნათ-
დებოდა იგი თავისი ღვთაებრიობის და მა-
რადიულობის განცდის წყალობით და ადა-
მიანებსაც, ბუნებრივია, სჯეროდათ, რომ, რო-
ცა სული მიწიერი ცხოვრების არტახებს თავს
დააღწევდა, როცა სხეულის ბორკილებს მოი-
ცილებდა, მაშინ ხანგრძლივად იცხოვრებდა
იმ ცხოვრებით, რომელსაც ის ექსტაზის მდგო-
მარეობაში ოდენ წამიერად განიცდიდა.

უკვდავების ის სურვილი, რომლითაც თრაკ-
იელი იწვოდა უკვდავების ბერძნული სურ-
ვილისაგან, უაღრესად განსხვავებული ხასია-
თისა იყო. ბერძენს უნდოდა მარად ეცოცხ-
ლა, რადგან — სიციცხლე კარგია. თრაკიელ-
საც უნდოდა, მარად ეცოცხლა, რადგან სი-
ციცხლე, საზარელია, თითქოს რამხელა შეუ-
საბამობაა: ცხოვრება ბნელია, ცხოვრება საზა-

რელია და გაფხმადლისი. — როგორღა უნდა ისტორიკო ვაქციას მისი მარადიელი გაჩგრძობა? ავ საქმე რომ ურთიერთსამირისპირო საწყისის, სიცოცხლის ენებიათ წყურვილის და სიცოცხლის უფხარობის შეხანებაშია. სწორედ ასევე იყო დოსტოვესკისთანაც. როგორ მოვარიგოთ ურთიერთსამირისპირო საწყისები? ადამიანს არაკათი აქვს გამოცლილი, რაღაცა უშლის ხელს მის სიცოცხლეს. მაინც რა? ცხადია, სხეული. — ეს ბნელი, განხეთქილი სამყარო მაშასადამე, თავი უნდა დავაღწიოთ მას. უნდა მოვიცილოთ თავიდან და მაშინ ნამდვილი ცხოვრებაც დაიწყება. მას შესაბამ ადამიანმა ექსტაზის იმ წუთების წყალობით იცის, რომლის დროსაც მისი სული დიდად მალღდება სხეულსა და ამტკვენიურ ცხოვრებაზე. ცხოვრების, სიცოცხლის უარყოფა. შიში. — აი, უკვდავების თრავიული წყურვილის სათავე. თრავიელისათვის ცხოვრება ღვთაებისადმი დაპირისპირებული და მტრული რამ იყო. სხეული — სულის მტერი. სიცოცხლით სავსე სიცოცხლე ღვთაების ტანჯვა და დამდიბლება. მისი ასო-ასოდ დაგლეჯაა. სხეული სამტრობილეა, რომელშიც თავის მშობლიურ ღვთაების სტიქიას მოწყვეტილი და მარტობით განზწამება სული იღაფება. ღვთაების სიცოცხლე ჩვენა მიწიერი ცხოვრების ფარგლებს მიღმაა, სულის სიცოცხლე — ჩვენი ბნელი სხეულის გარეთაა. კელური, მთვრალი და ცხოვრებისაგან დაჯამბებული თრავიელი, რა თქმა უნდა ასეთი ძნელად გაააზრებელი, განყენებული გამოთქმებით ვერ გამოხატავდა თავის რელიგიურ მსოფლმხედველობას — ის ვერც კი გაიგებდა ამას. მაგრამ სწორედ ასეთი იყო მისი ძარიდადი მსოფლშეგრძნება და ამ არაცნობიერ მსოფლშეგრძნებას უფრო მეტი საღრმე და ძალა გააზნდა. ვიდრე რომელიმე თანამედროვე მისტოკოსის გულგამოცხვებულ ფილოსოფიას.

სწორედ ჩრდილოეთიდან, თრავიიდან, შემოვიდა ელადში (უკიდურეს შემთხვევაში ასე მიიჩნევენ ბევრი მკვლევარი) ეს ახალი, ბერძენთათვის უცნობი ღმერთი. მაგრამ მარტოდენ აჩაკიაში როდი მეფობდა იგი. ელადის სამხრეთით თუ აღმოსავლეთითაც ცხოვრობდა ბნელ და ძრისხანე ღმერთებს შორის ეს იღუმალი, მარადტანჯული ღვთაება. ბაბილონებთან მის თამეზი ერქვა, ლიდიელებთან — ატისი, ფინიკიელებთან ადონისი.

სხვადასხვა სახელით იწოდებოდა იგი, სხვადასხვა იერსახე ექონდა, ბედი კი ყველგან ერთნაირად ტანჯული ღმერთისა დაჰყოლოდა. განსაზღვრულ დროს ბნელი, შემზარავი ძალები ასო-ასოდ გაგლეჯდნენ ხოლმე მშვენიერ ღვთაებას, რომელსაც სული ტანჯვაში ამოს-

დიდა და სიკვდესკენელში უზნდარდებოდა. ბირზე ბოდა მიწის, ზურგზე მისი მშობელი ღვთაება, ინ მასზე შეყვარებული რომელიმე ღმერთქალი. ამაოდ ეძებდა უფალს და უსიზღვროდ დამწებრებული მის შროდა და ყველა ადამიანიც ამავე უსიზღვრო მწუხარებით იყო შეყვარობილი. — წუზდნენ საწუთროს სიმუხთლის გამო, წუჭდრქუნდნენ დაკარგვას. გაულმერთოფეულ — ცხოვრებას — საზარელს, შავბნელს. რისი მაქნისი იყო ამიერიდან იგი. ადამიანები მსხვერპლიდ სწირავდნენ თავიანთ თმებს (აღმოსავლური წარმოდგენებით თმებში ადამიანის სასიცოცხლო ძალა და მკვიდრებული) მამაკაცები საჭურისდებოდნენ უბიწო ქალწულები საქულველ უცხოტომელებს ნებდებოდნენ. ადამიანები მარხვებით იუძლურებდნენ თავს და სასტიკად იგვემდნენ თავიანთ სასიკვდილოდ განწირულ, განხრწნად სხეულებს, თხის ქურჭლებში მცენარეთა საგანგებოდ შერჩეულ თესლებს თესავდნენ: სწრაფად აღმოცენდებოდნენ მცენარეები და სწრაფადვე ეკნებოდნენ, მხოლოდ მცირე ხნით ახარებდნენ თავს თავიანთი სიმწვანით და ყვავილობით. ეს „ადონისის მცირე ბალები“ სწორედ ადამიანურ სიცოცხლეს განასახიერებდა, — უძლურს, სწრაფწარმავალს, დღემოკლეს.

მაგრამ დგებოდა იდუმალი, წმინდა, დიადი ჯამი და გარდაცვლილი ღმერთი ცოცხლდებოდა. ეელური ორგიით, ექსტატიკური როკვით ეგებებოდა ადამიანი განმაცხოველებელი ღვთაების დაბრუნებას, მოუძლურებული სიცოცხლის აღორძინებას, ყველა არსებულის დიადი ერთიანობის ჯამის ხარებას. „ცხოველ არს ადონაი-უფალი, უფალი აღსდგა! ნუ გეშინია თქვენ ღვთის მოსავნო! ღმერთმა დათრგუნა სიკვდილი!“

იგივე ღმერთი, ცოტა სხვაგვარდ შემოსილი, შორეულ ეგვიპტეშიც ცხოვრობდა. ბოროტი ღმერთი სეტოს-ტიფონი ასო-ასოდ გლეჯდა თვინიერ ოზირისს და სამყაროს სული იზიდა ტირილ-ტირილით ეხეტებოდა ნილოსისპირა ქაობებში ტანჯული ღმერთის სხეულის დაგლეჯილი ნაწილების შესაგროვებლად.

ამ ნაირ-ნაირი მითების საფუძველში ალბათ წმინდა ნატურალისტური ხასიათის ფაქტაც დევს, — მცენარეულობის ღმერთის მკვლელობის გლოვობდნენ. მაგრამ დგებოდა დრო და ღმერთი საგანაფხულო ხალისისა და მოქარბებული ძალებისაგან გაბრწყინებული ცოცხლდებოდა. ადამიანები აღფრთოვანებულნი ეგებებოდნენ თავიანთ მშვენიერ, განმაცხოველებელ ღმერთს.

პირველ ხანებში ადამიანი ჯერ კიდევ მთლად

უძლური იყო ბუნების წინაშე. ზამთრის დადგომა, ცხოველების და დღევანდელი ველურობის არ იყოს, სიცივესა და შიმშილს უქადდა მას; გათოშილ, სიცივით აკანკალებულ და კუჭგამხმარ ადამიანს ერთი სული ჰქონდა, როდის მოვიდოდა გაზაფხული და დათბებოდა. და როცა გაზაფხულიც მოაწევდა, ადამიანს მძვინვარე სიხარული აბრუებდა და გონს უბნებდა. იმ შორეულ ხანაში ყოველწლიურად გარდაცვალებული და ისევ აღორძინებული ტანჯული ღმერთის თაყვანისცემა ბუნებრივად გამომდინარეობდა ადამიანური ცხოვრების გარემოპირობებიდან.

მაგრამ პირობები შეიცვალა, ადამიანი აღარ იყო ბუნებაზე ასე მონურად დამოკიდებული. ბუნების გარდაცვალება თვითონ ადამიანს უკვე აღარ უქადდა სიკვდილს. ადამიანს შეეძლო ეცხოვრა თბილად, მაძღრისად, — ნათელში ყოფილიყო. მაშინ როცა გარშემო ყველაფერი ბნელში იყო, სიცივით იძაგრებოდა და შიმშილით ლაფავდა სულს. და თუკი სურვილი გამჟღავნობდა ღვთაებისადმი თაყვანისცემისა მაინც არ ნელდებოდა, არამედ უფრო ძლიერდებოდა, ამის მიზეზი ახლა სხვა იყო: ღუნებაცვალებად, სიცოცხლისაგან გატანჯულ ღმერთს გამწარებული დაებლაუჭა ადამიანის სული, რადგან ეს ღმერთი ადამიანის სულის, — განზეთქილი, მერყევი, გულითადი სიხარულის უნარმოკლებული, საკუთარი ძალების ამარა ცხოვრების უნარწარმეული სულის, — არსებას გამოსახავდა.

„ყველაფერს სჯობდა — არ ბაჩენილიყავ“

და აი, შემოდგა ფეხი ამ ღმერთმა ნათელ, კურთხეულ ელადაში. აქ ის დიონისედ იწოდდა, — დიონისედ ანუ ვაკხად, სწორედ იმ ვაკხად, ბახუსად, რომელიც ჩვეულებრივ, დარდიმანდ, მოქეიფე, ღვინის და ნადიმის მხიარულ ღვთაებად წარმოუდგენიათ.

ჰომეროსისდროინდელი ბერძენი თავდაპირველად თითქმის არ იცნობდა ამ ღმერთს. (ლექსი 325, „ილიადა“ XIV, სადაც ლაპარაკია „დიონისეზე, სიხარულის მომნიჭზე“ — გვიანდელი შემატება). ოლიმპიელი ღმერთებისათვის დიონისე უცნობი იყო. ჰომეროსისდროინდელი ბერძენების ცხოვრებაში ის არ ჩარეულა. ჰომეროსი გაკვირით იხსენიებს დიონისეს. როდესაც თრაკიის მეფე ლიკურგთან მისი ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს. დიონისე აქ ნაგიყარად იწოდება; ბუნდოვნად იხსენიება აგრეთვე მენადა, რომელსაც ჰომეროსი სიმწრით ჰქუიდან გადამცდარ ჰეკუბას ადა-

რებს. „სიგივე“, აი რა მიაჩნდათ იმთავითვე დიონისეს ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად. მაგრამ აპოლონური ბერძენი „სიგივეს“ ადამიანზე მოწვევნილ ღვთის რისხვად, სასჯელად რაცხავდა, სიგივეს უბედურებად მიიჩნევდა. დელფოსში აპოლონის ტაძრის ფრონტონს წარწერა ამკობდა:

ეროვნული

„ყველაფერს ჯანმრთელობას სჯობდა“

და გასაგებია, როგორ ეუცხოებოდა, ვინ იცის, ეგების, სასაცილოდაც მოეჩვენებოდა ძველ ბერძენს ეს ახალი ღმერთი, რომელიც მისადმი მსახურების ქვაკუთხედად სიგივეს დებდა და ამ სიგივეს სიწმინდედ რაცხავდა.

ევრიბიდეს „ბაქი ქალების“ პენტეესივით ჰომეროსისდროინდელ ბერძენსაც უნდა ებოლა „ბერძენთა თავსლაფი“, ბაქური სიშლეგით დანთებული ხანძარი. უკვე სხვა დრო დამდგარა და რაც ტირესმა მიუგო პენტეესს, ეს ახალი დროც იგივეს მიუგებდა აღშფოთებულ ჰომეროსელ ბერძენს.

„შენ რომ დასცინე, ღმერთი იგი ახლადმოსული, არ ძალმიძს თხრობად, ვით განითქმის ელადაის მხარეს“.

მიუძლოდა რა გამძვინვარებულ, ისტერიულ ქალთა მარაქას, ტანჯული ღმერთი ნელ-ნელა, მაგრამ შეუქცევლად, იპყრობდა მშვენიერ, მამაცურ და სიცოცხლით სავსე ელადას. საუკუნიდან საუკუნემდე აფორიაქებდა და აღრმავებდა იგი ძალაუფლებას; ნათელი ოლიმპიელი ღმერთები უკან იხევდნენ და ტახტებს დიონისეს უთმობდნენ. აღესრულებოდა, რაც დიონისემ მტრებსა და მეტოქეებს უწინასწარმეტყველა:

ყველა თქვენგანი ერთნაირად უაუიქცევა, ვერ დაგიფარავთ სპილენძის ფარი ბაქი ქალების ურიშახავან.

ჩვენ ახალი რელიგია როდი მიგვაჩნია ხალხური ღმერთშეგრძნების შეცვლის მიზეზად. უფრო პირიქით: მხოლოდ ღმერთისადმი და ცხოვრებისადმი ხალხის დამოკიდებულების შეცვლამ განაპირობა ახალი რელიგიის არა ფორმალური, არამედ ქეშმარიტად შინაგანი ათვისება. ჩვენც, ყოველს უწინარეს ელინურ სულში მომხდარი ის შინაგანი ცვლილებები განვიხილოთ, რომლებმაც დიონისეს საბერძენთი დააპყრობინეს. ნათლად და შეურყვენლად გამოიხატა ეს ცვლილებები ჰომეროსის შემდგომ ლიტერატურაში.

ამ უიმედო, პესიმისტური, სიცოცხლის ხალისს სულმთლად მოკლებული ლიტერატურის კვალობაზე საერთოდ ჩნელია ელინურობის, როგორც მაღალი ჰარმონიულობისა და სიცოცხლისმოყვარე მოვლენის შესახებ ლაპარაკი ვერც ერთი ქვეყნის ლიტერატურაში ვერ ვიპოვით სიცოცხლისადმი ასე გულსაკლავ, დიდი და შიშნულ დამოკიდებულებას, როგორც VII—IV საუკუნეების ელინურ ლიტერატურაში.

არცან კაცთაგან ბედნიერი არ
მეგუღვის მთელ დუნიაზე,
უკლებლივ ყველა სვედავხილია ამ
მზისქვეშეთში.

ამას სოლონი ამბობს. ამ ლიტერატურას არავითარი წარმოდგენა არა აქვს ქვეშარბი ბედნიერებაზე. „უტანჯავი კაცი არ არსებობს. ბედნიერი ის არის, ვინც ყველაზე ნაკლებად იტანჯება“, გვასწავლის სოფოკლე. და ევრიპიდეს კვერს უკრავს: „ჩვენ ყველანი ტანჯვისთვის ვართ გაჩენილი: ბრძენი ის არის, ვინც სხვებზე „ღირსეულად“ ზღვდება თავის ხვედრს.“

ბედსაც რომ სწეოდნენ ეს ადამიანები, მათ მაშინაც გუნებას მოუშხამებდათ აზრი: არის კი მყარი ეს ბედნიერება? „ბრძენს“ მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ადამიანი „წმინდაწყლის შემთხვევითობაა“, როგორც სოლონი იტყოდა. პეროდოტესთან სოლონი მიმართავს კრებს: „მე მანამდე ვერ გიწოდებ ბედნიერს, სანამ არ მეცოდინება, რომ შენ ბედნიერად დაასრულე შენი ცხოვრება. ყოველ საქმეში უნდა გავითვალისწინოთ დასასრული, რომლითაც ეს საქმე გვირგვინდება. ვინაიდან ღვთაებამ ბევრი წააქეზა ბედნიერებით, მერე კი დაღუპა.“

როგორ? ნუთუ ბედნიერება მხოლოდ იმიტომ არ არის ბედნიერება, რომ წლის თავზე, ანდა ოცი წლის მერე, მას უბედურება შეცვლის? ხელმარცხიანად ეპოტინება ადამიანი ბედნიერებას, გამოჩენაც კი აშინებს მისი, გაუბედოვან იცეცებს თვალებს — ემანდ, რაიმე უბედურება არ იშალეზოდესო. რა მოხდა მერე, ბოლოს და ბოლოს, წინ თუ უბედურება ჩაგვსაფრებია? მოვა დრო, დასატყდომი დაგვატყდება, მაგრამ განა როდესმე გააბათილებს იგი ბედნიერებას, რომელიც გვერგო, რომელმაც ნათლით აღავსო და ამომძრავა ჩვენი ცხოვრება? დაე, დაგვატყდეს უბედურება, დაე, გვიყულოს სიკვდილმა, სიმარტოვის და სიმწუხრის წერად გვაქციოს, სიცოცხლეს მაინც ამას ვეტყვი მხოლოდ და მხოლოდ. „მადლობელი ვარ შენი, სი-

ცოცხლე! ბევრი შემძინე, მაწვნიე შენი ალერსი, ბედნიერება განმაცდევინე, აწ მოხდეს, რაც რომ მოსახდენია!“

მაგრამ ამ ლიტერატურისათვის ასე როდია. მას ახალგაღვიძებული ნევროტიკის უკმურო, სულის შემხუთველი განწყობილება გასჯდომია ძვალ-რბილში. ბედნიერება? რაღა ფასი აქვს ბედნიერებას? უბედურებად უბედურებაც არსებობს. ეს რა ბედნიერებაა, თუკი მას უბედურება შეცვლის? და სულიც, არამცთუ ებრძვის ასეთ განწყობილებას, არამცთუ გაგულისებული არ ცდილობს თავიდან მოიცილოს იგი, არამედ პირიქით, უმადლეს სიბრძნეს ქვრეტს მასში, ცხოვრების უღრმეს გაიზრების ხედავს. თუ ცოცხალი ადამიანი მკაფიოდ და უშუალოდ შეიგრძნობს ბედნიერებას, ეს გონების დაბინდვა ყოფილა. ბურუსის გაფანტვაა საჭირო. ნეტარი და იღბლიანი იყო ოიდიპოსი და დახეთ, როგორ გაუბედურდა „ხალხო, შეიგნეთ! სანამ ხანმოთველ ადამიანს სამდურავის გარეშე არ გაუსრულებია სიცოცხლე, სანამ მას თავისი ცხოვრების ბოლო ღღე არ დაღამებია, სანამ ისევ ამძიმებს ღეღამიწას, მანამდე ნუ შერაცხავთ მას ბედნიერ კაცად“ (სოფოკლე).

ადამიანს არა მარტო აღარა სჯერა ბედნიერების — ეშინია კიდევ მისი. უკვე ბედნიერებასთან პირისპირ შეყრილ ადამიანს, თვით „ფინჯნის კიდესა და ბაგეებს“ შორისაც კი არ სტოვებს საფრთხის შეგრძნება. შურთან, მოდარაჯე თვალს არ აშორებს ადამიანს ღვთაება ის ვერ იტანს დაღმინებულ მოკვდავს. და შეცბუნებული ადამიანიც შიმის კანკალით ეგებება მის წილ ბედნიერებას „ყოველი ღმერთი შურიანიი და სულს უფორიაქებს ადამიანს“, — ამბობს პეროდოტე. იგივე პეროდოტე მოგვითხრობს ლეგენდას სამოსელი ტირანის, ბედს ყველა ვიცნობთ შილერის ბალადის წყალობით. პოლიკრატეს მეგობარი ამაზისი წყვეტს მასთან ურთიერთობას და წერილით ასე განუმარტავს მეგობარს თავის საქციელს: „მე მაშინებს შენი დიდი ბედნიერება, რადგან ვიცი, როგორა მოშურნეც არის ღმერთი.“

ფერამენი, ერთ-ერთი ოცდაათ ათენელ ტირანთაგანი, ერთხელ თავის მრავალრიცხოვან ამფსონებში ქეიფობდა. უცებ სახლის სახურავი ჩამოიქცა და ყველა მოიკეკცა. ერთადერთი ფერამენი ღარჩა უცნებელი. მერე რა, — გაეხარდა მას გადარჩენა? ო, არა! ის... შეშინდა. რამ შეაშინა? აი, რამ:

— ო, ბედისწერავ! — წამოიძახა შეძრწუ-

ნებულმა, — რომელი მომავალი უბედურება-სათვის შემომინახე მე?

ამ სიცოცხლისმოშიში ადამიანების შემყურე, ღიმილით კი არა, — როგორც პომეროსის ჰიმნშია, — არამედ ზიზღით და მძულვარებისაგან აღშფოთებული წამოიძახებდა სხივოსანი აპოლონი:

უგუნურია, ვინც არ შავრობს
გაჭირვებაში,
ვინც იწროებას და კირთებას
მიელტვის მუდამ!

პომეროსისდროინდელ ბერძენს, მედგარი სულის პატრონს, რომელსაც ცხოვრების ვერანაირი საშინელება უკან ვერ დაახევინებდა, რატომა უნდა, ბედნიერების ტვირთის გაძღვნიც შეეძლო: „ძნელბედობაში დამთმენი და კირსა შიგან გამობრძმედილი ვარ, დაე. ძველ კირს ახალიც მოესაროს“.

ის ჭეშმარიტება, რომელიც მეფე შიდასს ტყის ღმერთმა სილენმა გაანდო, ახლა ბერძნისათვის ცხოვრების ძირითად ჭეშმარიტებად ქცეულა.

არ გაჩნდე ჭვეუნად, — აი, ეს არის
უმაღლესი და უპირველესი სიკეთე,
ხოლო მეორე — სიკვდილია
ადრე და მალე...

დამწუხრებული მღერის ქორო სოფოკლეს დრამაში „ოიდიპოსი კოლონოსში“. იგივეს ამბობენ ლირიკოსი თეოგნიდე, ტრაგიკოსი ევრიპიდე, ისტორიკოსი ჰეროდოტე. უცნობი ავტორი პოემისა „პომეროსის და ჰესიოდეს გაბაასება“ ამავე აზრს მკრეხელურად დააცდენინებს თვით პომეროსის ბაგეებს: „მოკვდავს რომ ბედი ჰქონოდა, საერთოდ არ უნდა გაჩენილიყო ამ ქვეყნად, მაგრამ რაკი მაინც გაჩნდა, ურჩევნია სასწრაფოდ მიაშუროს ჰადესის კარიბჭეს.“

სხვა ხალხებთან, — სწორად შენიშნავს იაკობ ბურკჰარტი, — თავბედის წყველი მხოლოდ უკიდურესი სასოწარკვეთილების იშვიათ გამოხატულებას წარმოადგენს“.

ორმა არგიველმა ყმაწვილმა კაცმა, კლეობისმა და ბიტონმა, დიდი თავდადება გამოიჩინა დედაშვილურ სიყვარულში. დედამათი პერას ქურუმთა თვის ქალ-ღმერთს შეეკედრა. ჩემს შვილებს ადამიანურ ხვედრთაგან უველაზე უკეთესი ხვედრი უწყალობეო. ღმერთ-ქალმა შეისპინა დედის ვედრება და ყმაწვილებს სიკვდილი მოუვლინა. „და ამით ღმერთ-ქალმა გვიჩვენა, — ამბობს ჰეროდოტე, — რომ ადამიანისთვის უკეთესია მოკვდეს, ვიდრე

იცოცხლოს“. და როცა ფიგებმა ორაკულს მოციქულები გაუგზავნეს, რათა სხელოვანი პინდარესათვის გამოეთხოვათ „ის, რაც ადამიანურ ბედობაში უველაზე უკეთესია უმერთების რჩეულთათვის“. — ღმერთებმა პინდარეს სიკვდილი მოუვლინეს.



ცხოვრება უადრესად გაუფასურდა. ნათელი ჩაქრა, სითბო და სიხარული მანქანის მგაფრინდა, ადამიანის გარშემო გვერდნის სიჭრეტბანი, სიმწუხარე და სატანჯველები მოჩარდა და სულს სიმტკიცის ნატამალიც აღარ შერჩა. საკუთარი ძალებით ვეღარ უმკლავდება სატანჯველებს, აღარ შეუძლია ტანჯვისა და უსამართლობის მიუხედავად მაინც გასწიოს ცხოვრების ქაპანი. ახლა ღმერთმა უნდა გასცეს პასუხი ადამიანს ამქვეყნიური ბოროტებისა და სიყალბის გამო. ეს ბოროტება და სიყალბე ახლა ადამიანის თვალში სიცოცხლის ღვთაებრივ არსებას უარყოფს. პოეტი თეოგნიდე ამბობს:

ზევსო მოწყალეო! საკვირველ არიან
საქმენი შენი: უველა გამორჩილებს,
გეთაყვანება, რამეთუ ხარ ღმერთი
დიდად ძლიერი;
უველას გულისხნადები იცი, მოკვდავი
ვერაფერს გამოგაპარებს,
უზენაესი ძალაუფლება გიპურია ზელო,
ო, მეუფეო!
გულს როგორ არ გეთანადრება,
კრონიდო,
როდესაც ცოდვილ ადამიანსაც
ისეთსავე ხვედრს არგუნებ, როგორსაც
იმას, ვინც მართებულად იცხოვრა,
როდესაც ერთნაირად გეთნევა
ქაჟადამჭდარი
და გულზვიადი ადამიანი,
რომელიც თავისი დღე და მოსწრება
უსამართლობას ხჩადის?
ვინ, რომელი მოკვდავი ინდომებს,
უოველივე ამის შემხედვარე,
უკვდავ ღმერთების თაყვანისცემას?..

უწინდელი ბერძენისთვის, — ჩვენ უკვე ვნახეთ ეს, — მსგავსი კითხვები უადრესად უცხო იყო. მას შეეძლო საკუთარი სულიერი ძალებით გაემართლებინა ცხოვრება და ღვთაება.

სიკვდილის სუნი აუვიდა უკვე სიცოცხლეს და ადამიანსაც სულს უღრღნის კითხვა: ვაითუ, სიცოცხლე სწორედ სიკვდილს მოასწავებს? ვაითუ სიცოცხლე რაღაც გარეგანია ადამიანისათვის, რაღაც ზედმეტი, რაღაც მომაკვდინებელი? ევრიპიდე გვეკითხება:

ვინ არის თავდები, რომ მიწიერი
ცხოვრება სიკვდილი არაა,
ხოლო უამრავი აღსასრულისა —
სიცოცხლის დასაწყისი?

და ფილოსოფოსი პერაკლიტე ეფესელიც გვა-
სწავლის: „ჩვენ ჩვენი სულების სიკვდილით
ცოცხლობთ, ჩვენი სულები — ჩვენი სიკვ-
დილით“.

სიცოცხლე რაღაც მოჩვენებითია, მერყევი, რა-
ღაც მაცდური. პომპროსისთვის გარდაცვლილი
ადამიანი „აჩრდილის ან სიზმრის მსგავსი“ იყო,
ახლა კი პირიქით. პინდარესათვის ცოცხალი
ადამიანია „სიზმარეული ლანდი“. და სოფოკ-
ლეს ამბობს:

ვხედავ, ვველა ჩვენთაგანი,
მკვიდრი ხაქაოსი,
მოფარფატე აჩრდილს, ანდა ლანდს
არ აღმატება.

სიცოცხლე, როგორც ასეთი, თვითონ სამყა-
რო, ადამიანს უკვე რაღაც დიდი ცოდვით დამ-
ძიმებული ჰგონია. ანაქსიმანდრე მილეტელი
გვასწავლის თავის ნატურფილოსოფიურ სის-
ტემაში, რომ ჩვენი ხილული სამყარო, გამო-
ვყოფა რა დაუსაზღვრელს, ამით თითქოს
ცოდვას ჩაიდენსო, „რისგანაც წარმოიშვა ყვე-
ლა სიგანი, იმადვე იქცევა სამართლიანობის
მოთხოვნის ძალით, ვინაიდან ისინი გარკვე-
ული დროული თანმიმდევრობით ისჯებიან და
ზღვავენ უმართლობისათვის“.

ღრმა უფსკრული გაწოლილა ადამიანის
სულსა და სხეულს შორის. ემპედოკლესათვის
სხეული მხოლოდ „სულის ხორციელი სამო-
სია“. ღვთაებრივი სული მეტისმეტად კეთილ-
შობილია ამ მოჩვენებათა სამყაროსათვის, მხო-
ლოდ აქედან გასვლის მერე ცხოვრებს სუ-
ლი სრულფასოვანი და ქვეშაირი ცხოვრე-
ბით. პითაგორას მიაჩნია, რომ სული ღვთაებ-
რივი სიმაღლიდან ჩამოაგდეს მიწაზე და დასას-
ჯელად სხეულის საპყრობილესში გამოამწყვდიეს.
დასაბამს იღებს ძველი ბერძნისთვის უცხო და
უცნაური მოძღვრება სულის გადასახლების
შესახებ. მიწიერი ცხოვრება „უბედურების ვე-
ლად“ აღიქმება.

ყველა ამდაგვარი განწყობილება თვალსაჩი-
ნოდ არის კონცენტრირებული ე. წ. ორფიზმში.
საიდუმლო მოძღვრებაში, რომელიც ქრისტეს
შობამდე VI საუკუნეში წარმოიშვა, ან, უფ-
რო სწორად „ბერძნული ცხოვრების ზედა-
პირზე ამოტივტივდა. ეს სწორედ ის დრო
იყო, როცა ინდოეთში ბუდიზმი გაჩნდა.

სამყარო ღრმად არის ჩაფლული ბორო-
ტებაში — გვასწავლის ორფიზმი. ცხოვრება
დაგლეჯილ-განაწამები ღვთაების მიძიმე ტანჯ-
ვის გამოვლენაა. მხოლოდ რაღაც უდიდეს ცოდ-

ვას შეეძლო ჩვენი ღვთაებრივი სული მი-
წიერი ცხოვრებისათვის დაემდაბლებინა.
სხეული სულის საფლავია. და სული
რაღაც ბრალის გამოსყიდვის მიზნით არ-
ის სხეულში დატყვევებული ამ ბრა-
ლის გამოსყიდვა არ არის, რაღაც ერთი მიწა-
ერი ცხოვრება ცოტად ბირველი ცოდვით დამ-
ძიმებული სულის გასაფრთხილებლად. გრძე-
ლი და ნაღვლიანი ცხოვრება სულმა,
სხეულიდან სხეულში უნდა გადასახლდეს, რი-
თა ამქვეყნიური ბიწისაგან განიწმინდოს, ბო-
ლოს მთლიანად გათავისუფლდეს მიწიერი
ცხოვრების ბორკილებსაგან და ღვთაებას შე-
ერწყას.

ადამიანის ცხოვრების მიზანს განწმენდა უნ-
და შეადგენდეს. რყო ისეთი ვითარებაც, რო-
ცა განწმენდას პომპროსის ბერძენიც საჭირო-
ებდა; მაგრამ იქ მას შემთხვევითი დანაშაუ-
ლის ლაქა უნდა ჩამოერეცხა, ადამიანის ნა-
თელ არსებას რომ დამჩნეოდა, აქ კი სულ
სხვაა: ადამიანი ცხოვრებისაგან, თვით სიცოცხ-
ლისაგან უნდა განიწმინდოს. საქმე რომელი-
მე გარკვეულ ცოდვაში როდია — ადამიანი
უკვე დაბადებიდანვე სცოდავს, ის იმთავითვე
ბიწიერი და ცოდვილიანია. დუხჭირი „ორფი-
კული ცხოვრებით“, მარხვით და თავაუღებე-
ლი შრომით ვააქარწყლებს ის თავის ამ ცოდ-
ვილიანობას. ბერძნისთვის სრულიად უცხო
საწყისი, ასკეტიზმი ედება საფუძვლად ღვთის-
მოსაგობას. ამ ღვთისმოსაგობის თავი და
თავი ღვთაებისკენ მიბრუნება, მიწიერი ცხოვ-
რებისაგან განდგომა და ყველაფერ იმაზე
უარის თქმაა, რაც ამ მიწიერ ცხოვრებას გვაყ-
ვარებს. „სულს, რომელიც ღვთისაგან მოდის
და უკან ღვთისკენ ისწრაფვის, მიწაზე არა-
ფერი ესაქმება. (და სწორედ ამიტომ არ სჭირ-
დება მორალს ემსახუროს). ის ყოველივე მი-
წიერისაგან უნდა განიწმინდოს!“ (ე. როდე).

არ უნდა გვეგონოს, თითქოს ორფიზმი ოდენ
შემთხვევით წარმოქმნილი პატარა ყურე ყო-
ფილიყოს ელინური სულიერი ცხოვრების
წყალუბვი მდინარის პირას. მართალია, ელი-
ნური კულტურის აყვავების ხანაში ის არ
იყო ხალხში ფართოდ გავრცელებული, ეს
მოგვიანებით მოხდა, დაცემისა და გადაგვარე-
ბის ხანაში, ქრისტიანობის გაჩენის წინ. მაგრამ
ორფიზმთან, ისევე როგორც პითაგორიზმთან,
რომელიც ბევრის მხრივ ენათესავება ორფიზმს,
მტკიცე ძაფებით იყვნენ დაკავშირებულნი
პომპროსის შემდეგდროინდელი საბერძნეთის სა-
უკეთესო სულიერი ძალები, მისი უდიდესი მო-
აზროვნეები და შემოქმედ-ხელოვანნი.

მაგრამ ტრიგედის მაშინდელ მავურებელთა
ფართო პუბლიკას ღიმილს როდი ჰგვრიდა,
როდი აეჭვებდა ევრიპიდეს გმირის იპოლიტის

მსგავსი სახეები. უმანკო ყმაწვილ — მემარ-
ბულეს, „ორფეოსის მოწაფე“ იპოლიტს, ქირი-
ვით სძულს სიყვარულის ქალღმერთი აფრო-
დიტე. ძველ ბერძენს მიაჩნდა, რომ უმანკოება
გარყვნილებას უპირისპირდებოდა და პატივს
სცემდა ნამუსის შემნახვე პენელოპეს, ოდისეე-
სის მეუფლეს. მაგრამ უბიწოება, რომელიც
თვით სიყვარულს უარყოფდა, სისულელედ მი-
აჩნდა. რაღასთვის არსებობენ ქალი და კაცი,
რაღასთვის არის მათში ფესვმოკიდებული ერთ-
მანეთისაკენ სწრაფვა, თუ არა იმისთვის, რომ

„ერთად ავიდნენ სარეცელზე,
მიეკრან ერთურთს,
როგორც წესია ქალისა და
მამაკაცისთვის?“

(ილიადა IX. 133—134)

თვითონ სიყვარული ძველი ბერძნისთვის
უაღრესად წმინდა რამ იყო. ამიტომაც არსე-
ბობდა სიყვარულის ქალღმერთი. და თვით
უბიწო ქალწული არტემიდა, რომელსაც თით-
ქოს მსახურებს იპოლიტი, სხვათა შორის,
მშობიარე ქალის მფარველი ღმერთიც იყო.

VI

ბანჯვისა და მოზარბაგულ ქალთა
ღვთაება

ხალისიანი, „ლურჯი“ ელინური შემოდგომა.
ყურძენი დაკრეფილი და დაწურულია. შეზარ-
ხოშებულ კაცთა კრებული სიმღერ-სიმღერით
მიემართება სამსხვერპლოსაკენ. წინ მწვანით
შემოსილ ღვინის ამფორას მიასვენებენ; მის
უკან სამსხვერპლო თხა მოაბოტებს, კალი-
თით მიაჭვთ ლელვი. მსვლელობას ფალოსი
აბოლოებს, — მამაკაცის ადრეილი ასოს გა-
მოსახულება, სიუხვის და ნაყოფიერების სიმ-
ბოლო. ჭირნახულს და ღვინოს საკურთხეველ-
ზე აწყობენ, თხას კლავენ და მზიარული ზეი-
მიც იწყება: ძღერენ ფლეიტები, ჭყვიტინებენ
სალამურები, ყველგან საცეკვაო სიმღერებს
დასძახიან; იმართება ფერხული, ყმაწვილკაცე-
ბი ორაზროვან ცეკვებს ცეკვავენ, სხეულის
უშვერი მოძრაობებით საზიდრებზე ჩამომსხდა-
რი შემთვრალი მამაკაცები კვიმატურად ესიტ-
ყვებიან. გამვლელ-გამომვლელს, — უშარდე-
ბიან და ბოროტად ეხუმრებიან: გამვლელებიც
ამითვე პასუხობენ. პაერში როყო, ჭანმრთე-
ლი ხორხოცი, მოცეკვავეთა გნიასი და ფეხე-
ბის ბრაგაბუგის ხმა ისმის, წიოკობენ გო-
გოები. ვილაცებს, თხის ტყავში გამოწყობი-
ლებს, ნიღბები აუფარებიათ, ზოგს სახე კა-
კით მოუთხუბნია. ღამდება, მზიარულებას
ცეცხლი ემატება და ბევრი ისეთი რამ ხდება
ღამის საფარქვეშ, რაც დღის სინათლემ არ

უნდა იხილოს. სიმთვრალის, სიზარულის და
თავდავიწყების კორიანტელს თავის წილ-
ში ჩაუთრევია ადამიანთა სულელები და ყო-
ველდღიურა ცხოვრებისაგან, მოსაწყენი საქმი-
დღეების საზრუნავისაგან შორს, მათხა გაუ-
ტაცნია.

ეს კენახის ღმერთის, მრავალმზიარული
დიონისე-ბაკების საშემოდგოველ ქვეშევ „ცეკვ-
დავთა მზიარულება“... გიგ „მომიქმეპ“
დეკემბრის ბნელი, ქარბუქიანი ღამე, —
წლის განმავლობაში ყველაზე ხანგრძლივი.
მთათა მწვერვალებსა და ფერდობებზე ჩირალ-
დნების ფარფატა შუქი. ქალთა გულგამგმირა-
ვი, თავზარდამცემი კვილი. ერთმანეთში ირე-
ვა გიჟური სიცილის, უაზრო გმინვისა და
შლეგიანი ყიყინის ხმები. გაისმის მოწოდება:
„ევოი! ევოი! ბრომი!“ როკავენ და ხუნტრუ-
ცობენ დედები, ბზრიალ-ტრიალი გაუდით, ქა-
რი თმებს უწეწავთ, ტანზე სიმოსი შემოგლე-
ჯიათ, არჩევებივით დახტუნავენ კლდადან კლდე-
ზე, ფლატეებიდან ძირს ხტებიან და არაფე-
რი უშავდებთ; იგრიხებიან, იწმაწნებიან,
ყოვლად დაუჭვრებელ პოზებს ღებულობენ,
თითქოს მიზიდულობის ყველა კანონი უცებ
გამქრალიყოს. ასეთ პოზებს ახლა შარკოს კლი-
ნიკის ავადმყოფობების ამსახველ ატლასებში
თუ ნახავს კაცი. მისცვივდებიან დედები სამს-
ხვერპლო ცხოველს, ცოცხლად გაგლეჯენ ხელ-
დახელ, უმ, სისხლის ოხშივარადენილ ხორცს
დაუწყებენ ჭამას. თუ შემთხვევით ვინმე გა-
რეშე შეეჩებათ გზაზე, — ვაი მის წერას!
დაეხვევიან მას ავისმომასწავებლად აგნიასე-
ბული დიაცები, წაეტანებიან თავში, ხელებში,
ფეხებში და ასო-ასო გაგლეჯენ, — ყურსაც
არ ათხოვებენ მსხვერპლის ბლავილსა და
კენესას და რა ღონიერიც არ უნდა იყოს
ადამიანი, ასეთ ღროს მაინც ვერ მოერევა
სუსტ ქალს, —

არა იმიტომ, რომ ქალს ღონე აქვს,
არამედ ღმერთმა მკლავებს მიხას
ძალა შემატა.

ვერაფერს გარშემო ქალები ვერ ხედავენ,
არაფერი არ ეყურებათ, ვერაფერს ვერ
გრძნობენ. ქარბუქი უსუსხავთ ნახევრადშიშ-
ველ სხეულს, მათ თვალწინ მხოლოდ თოვლი
და ქვებია. მაგრამ აი, ხეტქავენ თირსოს ლო-
დებს და კლდეებიც გულს გადაიხსნიან, ღვინოს,
თაფლსა და რძეს გადმოადენენ. მთელი სამყარო
გარდაიქმნება, გასხივოსნდება, გაუგონარ სი-
ზარულს დააფრქვევს გარშემო. ძალამოჭარბე-
ბულ სიცოცხლეს სული შეკვთებნია, გულ-
მკერდში ველარ ეტევა სამყაროული სიზა-
რულით ატაცებული სული.

ეს ტრიუთერიაა, ორწლიანი ზეიმი დიადი ღვთაების დიონისე—ბახუსისა. ეს ქალები დიონისეს მსახურები, მენადები, ბაქები არიან... გაზაფხული, — ის დრო ელინური გაზაფხულისა, როცა ყველგან იაიების სურნელი იფრქვევა, როცა ნამდვილი ცეცხლივით ბრიალებენ და ფეთქავენ ალისფერი ყაყაჩოები კაშკაშა მზეზე. ათასობით, ათეულ ათასობით ადამიანი შეჭგუფულა ნახევრადმომრგვალებულ ბექობზე, საფეხურებით რომ ეშვება ათენის აკროპოლის ფერდობზე. ქვემოთ, შემალლებულ სცენაზე და რკალად მოზღუდულ ბექობზე ორხესტრები. იმართება ტრაგედია, ჩახახებს გაზაფხულის მზე. მწვინედ ხასხასებენ ქალაქის შემოგარენში რუხ-ლუგა ტინებს შორის მოქცეული ხეობები, შორს მშვენიერი ხალისით სივსე ბაცი-ლურჯი კონტურები იღანდება, რომლის მსგავსი არსად არ არის საბერძნეთის გარდა. აქ კი წმინდა ფორზე, სცენაზე, შავბნელი, სისხლიანი ქმედება ხდება. უთანასწორო ბრძოლით ქანცგაწყვეტილი ძლევა მოსილი გმირები და ნახევარღმერთები „პირქუში, ძნელი ბედის“ გამანადგურებელი დარტყმებისაგან იკრუნჩხებიან. ამის შემყურე ქოროს კი გულსაკლავად კენესის და გოდებს: სიმღერით შეგვაგონებს, რომ ცხოვრება საშინელი და შავბნელია, რომ ადამიანს თავს საშინელი უჩინარი ძალები დასტრიალებენ, რომ ბედნიერება მოჩვენებითია და ადამიანების სიცოცხლე სიზმარია და მოკვდავებისთვის ყველაფერს სჯობდა საერთოდ არ გამჩდარიყვნენ. გაშმაგებული ხმიანობენ ფლეიტები, რიტმულად ცახცახებენ ჰაერში შემართული ხელები, იკლაკნებიან მოცეკვავე სხეულები, სპექს გუნდური სიმღერა, ხან მზიარულ-ხალისიანი, ხან ბრძოლით და სასოწარკვეთილებით აღესილი; უცნაურად ბრუვდება აღქმაგამაფრებული მაცურებელი და სულიერად მალღდება იმაზე, რაც მის თვალწინ ხდება, რაღაც უზარმაზარი ყოვლისერთიანობის შეგრძნება ეუფლება და ყველა ხდომილება, ყველანაირი ტკივილი თუ სიხარული მხოლოდ წუთიერ სიზმრად ეჩვენება. ამიერიდან ტანჯვა-წამება კვლავ შეაშინებს ადამიანს, ამიერიდან მას აღარაფრად შეაშინებს ტრაგიკული გმირის გამარჯვება. გავეშებელი მენადების თმებივით აწეწილა ადამიანის სულში ყველანაირი გრძნობა და განცდა, ყოველნაირი ფასეულობა. „ტანჯვა, — ამბობს ნიცშე, — ხალისს აღვივებს, ხოლო აღტყინება განაწამებ გმინვას აღმოაბდენს მკერდიდან.“ სული პირთამდე აღვსილია უზარმაზარი, წრეგადასული ძალით, რომელმაც არაფრის შიში არ იცის და შეუძლია ცხოვრების ყველა საშინელება და საწუხარი სიმთვრალის, თავდავიწყების სიხარულად აქციოს.

ეს თეატრალური წარმოდგენა არ გახლდათ მართოდენ სანახაობა, როგორც ეს ჩვენშია. ეს ღმერთის, იმავე დიონისე-ბაქის სადიდებელი წმინდა ქმედებაც იყო. ორხესტრას შუაგულში მისი სამსხვერპლო იდგა, ყველაზე საპატივცემულო საწარცხლელში. პირველსავე რიგში დიონისეს ქურუმი, იქდა ხოლო თვითონ თეატრი „დიონისეს ტანჯვა“ იყო... აი, ძველი ორფოსის ტანჯვა-წამება მოწაფეების საიდუმლო საზოგადოება. ზეთისხილის გვირგვინით თავშემკული, ჯვალოს ტანსაცმლიანი ადამიანები, მარხვით დაუძლურებული, დამწუხრებულნი და პირგამეხებულები იყრიან თავს საიდუმლო ღვთისმსახურების აღსარულებლად, რაც იქ ხდება, გარშემო არაფერ იცის, რაღაც საიდუმლო წესის აღსარულებით, მორწმუნეები მიწიერი სიბნლწისაგან იწმინდებიან, თავიდან იშორებენ ცოდვიან ფიქრებს უბადრუკ მიწიერ საქმეებზე და მშვიდ, ლოცვით ექსტაზებში ერწყმიან დიდსულ, ტანჯულ ღმერთს.

ეს ღმერთი ისევ და ისევ დიონისეა. როცა ის ჯერ კიდევ ყრმა იყო, ზევსმა ის სამყაროს მეუფედ აკურთხა. მაგრამ ბოროტმა ტიტანებმა მზაკვრულად ჩაიგდეს იგი ხელში, ასო-ასოდ დიგლიჯეს და შესანსლეს. ზევსმა ელვის ცეცხლით დაწვა ტიტანები. მათი ფერფლიდან ადამიანები დაიბადნენ. ამ ქვერფლში ტიტანთა ნაშთებიც ერია და მათ მიერ შესანსლული დიონისესიც, რის გამოც ადამიანები ორი საწყისიდან შეიძერწნენ: ბნელი, მიწიერი, ზორციელი, ტიტანური საწყისიდან და ნათელი, ზემიწიერი, სულიერი, ღვთაებრივი საწყისიდან. ნეტარ არს ის მოკვდავთაგანი, რომელმაც მოიძულა მიწიერ-ტიტანური თავისი სწრაფწარმავალი სიხარულით, უბადრუკი სურვილებით და სულმნათ, თავისუფლების და სიწმინდის მომნიჭებელ დიონისე-ბახუსს მიეღტვის...

ასე ნაირ-ნაირი, ერთმანეთის საპირისპირო, ლამის სრულიად ურთიერთშეუწყობელი ხანით წარსდგება ჩვენ წინაშე ეს გამოუცნობი ღვთაება. ტყუილად როდი ეძახდნენ დიონისეს „მრავალფერს“ და „მრავალსახას“. ტყუილად როდი გამოთქვამდნენ ჯერ კიდევ უძველესი მწერლები აზრს, რომ დიონისე-ბაქის სახელით რამდენიმე სრულიად ურთიერთვანსხვავებული ღმერთი არსებობდაო. ძნელი იყო ამ ღმერთის ნაირ-ნაირ თვისებათა ერთ თვისებად გამოთვლიანება. გაზაფხულის ღმერთი, ხალისისა და მოკარბებულ ძალთა ღვთაება; მის გარშემო ყვილ-ხივილით იყრიან თავს ბუნების გენიოსები; სატირები, კენტავრები და ნიმფები, თვით დიადი პანი უარს ამბობს

ქვეყნიერების დამოუკიდებელ ხელისუფლად უფნაზე და მორჩილად უერთდება დიდი ღმერთის ამაღას. დიონისე დროს ტარების, მეყსეული ალტკინების და თავდავიწყების, უკიდურესი ავხორცობის ღმერთია. და იგივე დიონისე არის ტანჯვის მკმუნვარე ღვთაება, რომელიც ადამიანს ახირად სიკეთეზე უარის თქმას ასწავლის და სააქაო ცხოვრების უბადრუკობასა და სწრაფწარმავლობას უმგლავნებს. ის ბრძანებლურად მიუთითებს ადამიანებს სხვა, უზენაეს სამყაროზე. ის გახლავთ უზარმაზარი სიმბოლო, რომელიც ადამიანური სულის სრულიად სხვადასხვა განცდებს აერთიანებს.

მაგრამ არის ერთი რამ, რაც მკიდროდ იკავშირებს ერთმანეთთან ყველა ამგვარ განცდას. ეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის „სიგიჟე“, „თავის თავიდან გამოსვლა“, სიციცხლიანობის და უზარმაზარი მაცხოვრებელი ძალების შეგრძნებასთან შეერთებული ექსტაზი. თუ რითი იქნება გამოწვეული იგი, ეს მეორეხარისხოვანი ამბავია. ღვინით თრობა იქნება თუ საწესო ცეკვის გიჟური ორომტრიალი, ტრაგედიის მთავი ნაღვლით გულის დაძმარვა თუ განდევნილი ასკეტის გუმბურვალე ლოცვა. ყველგან ერთნაირად დიონისეა თავიდათავი, ყველგან ერთნაირად დიონისე ასმევს ადამიანებს თავის იდუმალ ღვინოს.

უცნაურია ეს და ბევრი ალბათ გაოცებული იკითხავს, რანაირად შეიძლება ასეთი ურთიერთგანსხვავებული სულიერი მდგომარეობების გაერთიანებაო. მაგრამ ექვგვარეშეა, ყველა ამ სულიერ მდგომარეობას რაღაც ძალიან არსებითი აერთიანებს, — იქამდე აერთიანებს, რომ დროდადრო ერთი სულიერი მდგომარეობის მეორეში გადასვლაც შეიძლება. ღვინით თრობა და სასიყვარულო განცხრომა დიდ როლს თამაშობდა სპარსი სუფიების მისტიკურ ექსტაზებში; რუსი მისტიკოსი, სექტანტები თავიანთ „სულიწმინდით ექსტატიკურ აღგზნებას“ — ყოველთვის ალკოპოლით სიმთვრალეს ადარებენ.

ქრისტიანობა იძულებული იყო დიდხანს ებრძოლა ღმერთისა და წამებულის ცეკვით თავყვანისცემის წინააღმდეგ და მორწმუნეთათვის ლოცვითი ექსტაზის მიღწევა ესწავლებინა. ნეტარი აგვუსტინე საჭიროდ მიიჩნევდა განებარტა, რომ წამებულების თავყვანისცემა საჭიროა non saltando, sed orando, — არა ცეკვებით, არამედ ლოცვებითო. აბისინიელები ღღემდე ექსტატიკურად როკავენ საეკლესიო ღვთისმსახურების დროს.

თუ რა ახლო-ახლო არიან ერთმანეთთან ამ სფეროში განცდები, რომლებსაც თითქოს არა-

ფერი საერთო არ უნდა ჰქონოდათ, ამას ერთი საინტერესო დიკვირება გვიჩვენებს, რომელიც რუსი მისტიკური სექტანტების მკვლევარმა პროფესორმა დ. გ. კონოვალოვმა აღწერა: „ექსტაზს მიდრეკილება იქვს გარკვეული ჩრგანიზმისათვის ჩვეული გზებით განიმუხტოს. ასეთ გზებად რუსი სექტანტები იყენებენ უმრავლესობისათვის, რომლებიც ცხოვრობენ სუფიები არიან, ან მემკვიდრეობითი ალკოპოლიზმი სჭირთ, ის არხები გვევლინება, რომლებიც ალკოპოლური სიმთვრალისაგან მრავალჯერადი განმუხტვის, თავისებურ, რთულ მექანიზმშია გაკვალული. მათთვის ექსტაზი იმ აღგზნების შემცველია, რომელსაც ადრე მათ ან მათსავე წინაპრებს ღვინო ანიჭებდათ“.

დიონისესთვის დამახასიათებელი მეორე თვისება ის არის, რომ ნეტარი ოლიმპიელი ღმერთებისაგან განსხვავებით, ის ტანჯული ღმერთია. მრავალი მითი მოგვითხრობს ამ ღმერთის ტანჯვაზე და „ვენებებზე“, მისი დიგლეჯის ამბავს გვიამბობს. ადამიანმა თვითონაც უნდა განიცადოს ღმერთის დიდი ტანჯვები, თვითონაც უნდა იტანჯოს, რათა მის სიმართლეს ეზიაროს. როგორც მძვინვარე საგაზაფხულო ალტყინებაა მხოლოდ იმითი კუთვნილება. ვინც მთელი ზამთარი იტანჯა ყინვასა და ბნელში, ვინც სულით და გულით განიცადა მაცხოვრებელი ღმერთის სიკვდილი, ასევე დიონისურ სიხარულსაც მხოლოდ ის ადამიანები იწვნივენ, რომლებმაც სიციცხლის ვნებითი არსება შეიქნეს. უსაზღვრო ტანჯვისაგან, სასოწარკვეთილებისა და ცრემლებისაგან დანათოსებული და დაქუცმაცებული სიციცხლის შეგრძნებისაგან იბადება ღმერთის და მისი საიდუმლოს შეცნობის სიხარული, იბადება სამყაროს უზენაესი ერთიანობის ცოდნა, — გამოასხივებს სიციცხლესთან შერიგების ნათელი. და ამ დიონისურ სიხარულშია ადამიანის ხსნა, ეს სიხარული კმატებს ადამიანს ღონეს ცხოვრებაში, შემდგომი კაპანწყვეტისათვის.

წინასწარმეტყველი ტირესია ევრიპიდეს „ბაკს ქალებში“ ასე განმარტავს ახლადმოვლენილი ღმერთის, დიონისეს დამსახურებას კაცთა წინაშე:

მერე მოვიდა დიონისე, ვინც
 ყურძნის მტევანს
 წვენი ადინა, განაჩინა ჩვენდა
 სასმელად,
 რომ დაგვიამოს წუთისოფლის მწარე
 ვნებანი.
 ნეტარი ძილის მომგვრელია
 დამაშვრალთათვის.

იგი გვაეჩყებს ყოველდღიურ
ტანჯვა-წვალებას.
და არ არსებობს სხვა წამალი
ჭირთუკუმყრელი.

დიონისური ღვინო შეგვიძლია უფრო ფართოდ გავიგოთ: ბაქების მძვინვარე, ვორგალისებური ექსტაზი არ ყოფილა გამოწვეული „ყურძნის დუდკოიანი მარცვლების“ გამოისობით. ტირესია გარკვეულად მიუთითებს იმ უზარმაზარ როლზე, რომელსაც ეს დიონისური „ღვინო“ თამაშობდა ახალი დროის ელინების ცხოვრებაში, — ეს ატყვილებლად უნდა გავითვალისწინოთ, — ის იყო სიცოცხლის ძირი და წინაპირობა, ერთადერთი რამ, რაც აძლებინებდა და აცხოვრებდა უბედურ ადამიანს.

და არ არსებობს სხვა წამალი
ჭირთუკუმყრელი.

აპოლონურმა ბერძენმა, — ჩვენ უკვე ვნახეთ ეს, — იცოდა სხვა წამალი: საკუთარი სულის სიმტკიცე და გაუტეხელობა.

რანაირად სძლევენ დიონისური წარმოდგენები ადამიანის სულში სიბნელის და სამყაროს დანათოსებულობის შეგრძნებას, როგორ ახერხებენ ისინი სასიცოცხლო ძალა შთაბერონ ადამიანებს? უპირველეს ყოვლისა, სწორედ დიონისური ალტკინების და ცხოვრებაზე აღმატებულობის ამ წუთების წყალობით. აი როგორ გვიხატავს მათ ნიცშე: ამ დროს მოძულეებული დედაბუნება თავისი ძე შეცდომილის, ადამიანის უკან დაბრუნებას ზეიმობს. ამ დროს ადამიანი მონობისაგან თავისუფლდება, ამ დროს სამყაროული კარმონიის ხარებისას ყოველი ადამიანი თავს მოყვასთან შერწყმულად და შეერთებულად განიცდის, თითქოს დაიფხრიწა მათ საბურველი და მხოლოდ მისი ნაფლეთებიღა დაფარფატებენ იღუმბლობით მოცულ პირველერთიანობის თვალთა წინაშე. სიმღერისა და ცეკვის მეოხებით ადამიანი უმაღლესი გვარეობის წვერი წვერთაგანი ხდება: მან გადაივიწყა ზომიერი ნაბიჯით სიარული, გადაივიწყა ლაპარაკი და ცეკვა-ცეკვით სურს იტკრას ცაში... ადამიანის წინაშე წალკოტი გადაიშალა, სადაც ზალისიან აკორდებში სასწაულებრივად ყუჩდება დისონანსი და სამყაროს საშინელი სურათი ქვესკნელში იძირება. ასეთ განცდაზე ლაპარაკობს კირილოვი დოსტოევსკისთან: „თითქოს უცებ შეიგრძნობ მთელ ბუნებას და ამბობ, კი, ეს სიმართლეაო!“.

დაე იყოს ეს შეგრძნება მხოლოდ წამიერი.

დაე თუნდაც განადგურების და სიკვდილის უქადდეს ადამიანს: ის მაინც ეგზომ მშვენიერია, ის მაინც უზარმაზარ, სულის გამასხივონებელ განცდებს წარმოდგენის რომლებსაც შეუძლიათ გადასწონონ მთელ დასარჩენი სიცოცხლის შეგბნელი ლეტარგია. „ამ ხუთ წამში მე მთელ სიცოცხლეს ვმეჭვრებ და მთელ სიცოცხლეს არ დავმეჭვრებ წამსაგანს,“ — ამბობს კირილოვი. და თავადი მიშკინიც მსჯელობს: „მერე რა, ეს თუ ივადმყოფობა იყო? თუკი ზნის მოვლის წინ, სულ უკანასკნელ წამს. სანამ გონი ჯერ კიდევ არ წართმეოდა, მას არა ერთხელ უთქვამს გარკვევით თავისი თავისათვის: დიახ, ამ წუთისთვის შეიძლება მთელი ცხოვრება გასწიროს კაცმაო, — მაშინ, ცხადია, ეს წუთი ღირდა კიდევ მთელ მის ცხოვრებად:“.

მაგრამ ნეტარების წუთი გადის, და ადამიანი ბნელ ყოველდღიურობას უბრუნდება. ამ ყოველდღიურობამ განსაკუთრებით ახლა უნდა მოქანცოს იგი თავისი სულმდაბლური და გაუსაძლისი ხასიათით. „როგორც კი ყოველდღიური სინამდვილე ისევ შემოიჭრება ცნობიერებაში, ის, როგორც ასეთი, ზიზღისმომგვრელი ხდება, — წერს ნიცშე, — დროზე, სიერცეზე და ინდივიდუალობაზე ამაღლებული ექსტაზის იშვიათი წუთები ისეთ ფილოსოფიას მოითხოვს, რომელიც გვასწავლის წარმოსახვის ძალით დაეძლიოთ ყოველად უნუგეშო შუალედური მდგომარეობები“. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, ადამიანის სულზე დიონისური წუთები შემდგომი მოქმედება უფრო კეთილისმყოფელი და უშუალოა ხოლმე. საკუთარი თავის და სიცოცხლის სიმძლევილი არც წარმოსახვის ძალით დაიძლევა, როგორც ნიცშეს აზრით, ეს ინდურ ბუდიზმშია, და არც სილამაზის ძალით, როგორც იყო ეს, მისივე აზრით, ელინურ ტრაგედიაში. გიყური დიონისური ალტკინება უკვე თავისთავად, — თითქოს წმინდა ფიზიოლოგიურიდაც კი, — განგვმუხტავს ჩვენს სულში შეგუბებული სევდის შაშისა და სასოწარკვეთისაგან, დროებით მაინც გვამშვიდებს და სიხალისეს გვმატებს, წმენდს სულს, ანუ იმ კათარზისს იწვევს, რომელზეც ბერძენები ლაპარაკობდნენ. განახლებულობის და ხალისიანობის, დარდის შემსუბუქების ამ განცდას განიცდის მისტიკური სექტანტი თავისი წესის აღსრულების შემდეგ, — ასეტი, თავისი ექსტაზების შემდეგ და განახლებულობის ამავე გრძნობას, მეორეს მხრივ, არცთუ იშვიათად განიცდის ადამიანი დაშროშიანი ღრეობის შემდეგ, უხალისო და ერთფეროვანი, ნათელ განცდებს მოკლებული

ცხოვრების დროს ასეთი ღრეობა თავისებურად არყევს სულს, თითქოს რალიცისაგან განმუხტავს, თითქოს ასხივოსნებს და ადამიანიც მეტი სიმხნევით განაგრძობს თავის უხალისო ცხოვრებას.

კარგადაა ცნობილი განაზღვრების ეს გრძობა ნერვიული ავადმყოფებისთვისაც. ბრაზი ახრჩობს და აფორიაქებს ისტერიით დაავადებულ დედაკაცს; უმიზეზო ბოღმა გროვდება, სივდება და ბოლოს თოფისწამალივით იფეთქებს. გაკაპასებული ავადმყოფი ცხოვრების ყველა მართებულ ფორმას წინააღმდეგობას ურიდალ, საზარელ სკანდალს უტეხს, საშინელებისაგან ნისიამოვნები ნაბავს თვალებს და სადღაც უფსკრულში მიეჭანება. მერე კი — თითქოს მიწყნარდაო ქექა-ქუჩილი, უსაზღვრო გულგატეხილობასთან ერთად ადამიანი ასევე უსაზღვრო ბრალეულობას, ალერსიანობას და დამშვიდებულობას განიცდის, შვებით აუღწაუდის მკერდი, როგორც ეს ელ-ქექის მერე იცის სუფთა ჰაერზე.

ბერძნებს კარგად მოეხსენებოდათ, რომ ხანმოკლე დიონისურ სიგიყეს შეეძლო ადამიანები ნამდვილი, ხანგრძლივი სიგიყისაგან გადაერჩინა; ვინც დიონისურ ორგიებს ეწინააღმდეგება, — ისწავლიდნენ ისინი, — ის შეიშლება. ათენში არსებობდა საგანგებო დიონისური დღესასწაული ეორი, რომელიც მასაღურად შეშლილი ათენელი ქალების განკურნების მიზნით დაწესდა.

ჩამოაღწევს დიონისე ჩვენს სულელებამდე და უზომოდ მძლავრი, სისხლსავსე სიკოცხლის განცდა გვეუფლება. ნაირ-ნაირი ქარტახილები ამოიჭრება ქვეცნობიერის სიღრმეებიდან, ერთმანეთს დაეძგვრება და სულში გრიგალი დატრიალდება. თავზე დამტყდარი საშინელებისაგან სულს არაადამიანური აღტყინება ეუფლება, გონება იბანგება და „ორგიული სიგიყის“ ცეცხლში გახვეული ადამიანიც რაღაც სხვა გამოუცნობ არსებად გარდაიქმნება, — არსებად, რომელსაც სასტიკად მოსჭარბებია ძალები.

დიონისე ყოველთვის სწორად რომ მოქარბებულ ძალთა ღმერთი იყო. არა ძალის ღმერთი, არამედ უსათუოდ მოქარბებულ ძალთა ღმერთი.

კი მაგრამ, რა არის მაინც ეს მოქარბებული ძალები?

რომელიმე პარმონიული არსება თავისუფლად ირჯება და განუწყვეტლივ ხარჯავს კარბ ძალებს თავისი საკმობისათვის. მაგრამ ცხოვრება ძალთა ასეთ ხარჯვას ნაირნაირი დაბრკოლებებით აფერხებს ხოლმე. ხელს გვიშლიან გარემოპირობები, ხელს გვიშლის თვითონ ჩვენი დროებითი მდგომარეობა, დასასრულ ხელს გვიშლის ჩვენი ძირეული ორგანიზა-

ცია, — მკვეთრად დაპირისპირებულ ინსტიქტთა და მოსწრსფეზათა ერთიერთშეუწყობლობა. და ჩვენი ძალებიც უშნოდ იბურღებიან ერთმანეთში, შინაგან იკუმშებიან როგორც ერთქლი დახშულ სიფრცვეში, როგორც ამოქმედა „კარბი ძალები“, რომელიც აფეთქებით განიშლებება. ადამიანის ცხოვრებაში უწყობლობის პარმონია, ამიტომ „ძალთა მობრუნება“ და მისგან გამომდინარე „ორგიული სიგიყე“ ხშირია.

ავისმომასწავებლად მოსჭარბებია ძალები ტოლსტოისთან ანა კარენინას, რომელიც იძულებული იყო გულცივი გვამისათვის, კარენინისათვის შეეწირა თავისი სიყვარული. ერონსკი პირველად ხედავს ანას ვიგონში. ანას წამიერ გამოხედვაში ერონსკიმ ის თავდაქროლი სიხალისე დალანდა, რომელიც ქალს სახეზე დასთამაშებდა და მისი ცეცხლოვანი თვალების ბრიალში და ძოწისფერ ბაგეებზე მოდებულ ძლივშესამჩნევ ღიმილში გამოკრთოდა. თითქოს რაღაც მოზღვავებულიყო მასში, მთელი მისი არსება პირთამდე აეცსო და მისდაუნებურად ხან თვალების ბრიალსა და ხან ღიმილში მკლავდებოდა. „ერონსკისაგან ლალატნაწენვეი კიტი ბალზე ანას აკვირდება: „ანა მიწშიდგელი იყო... სახეზე ხალისი გამოხატვოდა, მაგრამ იყო რაღაც შემადრწუნებელი და უღმობელი მის სიმშვენიერეში. — დიახ, არის მასში რაღაც უცხო, ჯადოქრული და მომხიბლავი, — თქვა გულში კიტიმ“.

დიდია „ძალთა მოზღვაება“ ბნედიან დედაკაცშიც, როცა მას ზნე უვლის: დამტლევებულ, ავადმყოფ ქალს ამ დროს ცხრა უღელი ჯარიც ვერ დააკავებს. დოსტოევსკის სნეული გამირეზიც, — ბნედიანი და ხურეებიანი ადამიანები, — ძალთა მოზღვაებისაგან იღრწობიან. ამ მოზღვავებულ ძალთა წინაშე უძლურია „ხორციელი ტანი“. „ამას მიწიერი არაფერი აქვს, — ამბობს კირილოვი, — მე არც ზეციურს დაგარკმევდი, უბრალოდ მიწიერი ადამიანი ამას ვერ გაუძლებს, ან ფიზიკურად უნდა შეიცვალოს, ან მოკვდეს... საშინელი ის არის, რომ ყველაფერი ასე საოცრად ცხადია და ასე დიდად სასიხარულო. ეს ხუთ წამზე მეტხანს რომ გაგრძელდეს, სული ვერ გაუძლებს და გაქრება, ათი ასეთი წამის გასაძლებად ფიზიკურად გარდაქმნაა საჭირო.“

ძალთა უზარმაზარ მოზღვაებას განიცდიან მისტიკური სექტანტები ღვთისმსახურების თავიანთი წესის აღსრულების დროს. „ეჰ, მშებო, იმხელა სიხარულს განვიცდი, კერი რომ არ მიშლიდეს, ციურ ვარსკვლავებზე მადლა ავიკრებოდი“ — წამოიძახა ექსტაზური ცვავისაგან აღვზნებულმა ერთმა რუსმა ხლისტმა. მაინც რა იწვევს ამ „ძალთა მოზღვაებას“?

ადამიანს ძალა ჯანმრთელობისაგან მოსდევას. უნდა ვიფიქროთ, რომ ძალთა მოზღვავებაც ნამეტანი ჯან-ღონის, ძალგულდონების შედეგია. მაგრამ აი რას ამბობს, მაგალითად, პროფესორი ლ. გ. კონოვალოვი რუს სექტანტებზე: „სექტანტური ექსტაზური სიხარულის საფუძველი მომეტებული ნერვოზული აღზნებადობაა. ეს თვისება დიდი ხანია შევამჩნიეთ ჩვენს სექტანტებს. მათი ნერვოზულობის წარმოქმნისა და შენარჩუნების მიზეზები რთულია. მაგალითად სხვადასხვა დაავადება, ცუდი კვება, ცხოვრების ცუდი პიგიურული პირობები და ა. შ. უმნიშვნელო როლი არ აკისრია ამ შემთხვევაში სექტანტების შკაცრ, ასკეტურ რეჟიმს, „სულის ამოხდენას“ ანუ „ხორცის მარხვით დაოსებას“. როგორც ამბობენ ისინი: სექტანტების მარხვა ეს არის ნამდვილი შიმშილით თავის თვითნებურად დაუძლურება და გასაკვირია თუ „მემარხელე“ სექტანტების ზოგჯერ მთლად შიმშილით გამოწვეულ ბოღვას გვაგონებს. „და ყველგან, ყველა დროში ორგიული ზეიმისთვის მომზადების ერთ-ერთ ყველაზე უტყუარ საშუალებად ხანგრძლივი რხევები და თვითგვემა ითვლებოდა.“

ელადაში ძალთა დიონისური მოკარბება ძირითადად ქალებს ახასიათებდათ, რადგან ისინი გამოთიშული იყვნენ ფართო საზოგადოებრივ ცხოვრებას. გაისმოდა ღმერთის იდეალური მოაწოდება:

— ფერხელი!

და განდევნილი ქალებიც გუნდ-გუნდად გარბოდნენ სახლებიდან მთაში, სადაც შლეგიან მენადებად იქცეოდნენ და მოკარბებული ძალებისაგან მძვინვარდებოდნენ. დიონისე ყველაზე მეტი ხალისით „ქალთა მარაქის“ იხილებდა. „მექალთანეს“ უწოდებს მას კომპაროსის კიშნი, დედამიწის შუა წერტილში, მსოფლიოს ცენტრში. — დელფოსში, — დიდი ტაძარი იდგა: ისინი ორი ღმერთის ტაძარი იყო: აპოლონის და დიონისესი. ტაძრის წინა ფრონტონზე აპოლონი იყო გამოსახული მუხების თანხლებით; უკანაზე — დიონისე, შენდადებს შორის. ღვთისმსახურება არ იყო ორივე ღმერთის მიმართ ერთდროული: წელიწადის ერთ დროს აპოლონს სცემდნენ თავვანს, მეორე დროს — დიონისეს. როგორ ნაწილდებოდა წელიწადი ერთი მხრივ ბედნიერებისა და ძალის ღმერთსა და, მეორეს მხრივ, ტანჯვისა და მოზღვავებულ ძალთა ღმერთს შორის?

ადრეული გაზფხულიდან გვიან შემოდგომამდე დელფოსში აპოლონის სადიდებელი პეანი ისმოდა. დგებოდა ზამთარი. აპოლონი გვდების ფრთებზე მიფრინავდა ბედნიერი პიპერბორეოსების ქვეყანაში: თავლებოდა „მარაქი-

ანი“ ხანა, მოდიოდა „გაჭირების“ დრო — დიონისეც მობრძანდებოდა. პეანს შმაგი დათრამბი ცვლიდა: ქვეყნის ყოველი კუთხიდან ფერიდნენ თავს დელფოსში ქალები და იწყებოდა ექსტაზური ორგაზმი ზამთრის „გასაქირის“ ორგაზმი „მოზღვავებულ ძალთა“ ღმერთის სადიდებლად.

ასევე ათენშიც: აპოლონს ეძღვნებოდა, ზამთრისა — დიონისეს. ამასთანავე აქ ერთი ფრიად დამახასიათებელი მოვლენა შეინიშნებოდა — დიონისე ღვთის ღმერთია. ყურძნის კრეფის და დაწურვის ხანა, ბუნებრივია, დიონისური დღესასწაულების დრო უნდა ყოფილიყო. ეს ასეც არის. ეს დღესასწაულებია მცირე დიონისეები და ლენოსიები (სიტყვა „ლენოსიდან“, რაც ნიშნავს საწნახელს, რომელშიც ყურძენი იწურება) თავდაპირველად ეს დღესასწაულებია, როგორც ხანს, სექტემბერში იმართებოდა, იმ დროს, როცა საბერძნეთში ყურძენს კრეფენ და წურავენ. მაგრამ შემდეგ ამ დღესასწაულებში უცნაურად გადიიწიეს წინ შუა ზამთარში: პოსეიდონების (დეკემბრის) დიონისეები, კამელიონების (იანვრის ლენოსიები, რომლებშიც უკვე სხვა სახელწოდებაც შეიძინეს: ლენეონი (ყურძნის დაწურვის თვე). ეს ცვლილება მკვლევართა სამართლიან დაექვევებას იწვევს. აგვისტო მომზენი აყენებს კითხვას: რანაირად იქნება ყურძნის დაწურვის თვე ეს თვე, რომელშიც არასოდეს ყურძენს არ წურავენ? და საკითხის გადაჭრაზე უარს ამბობს. ბერკი ამის ახსნას იმ მოსაზრებით ცდილობს, რომ მინდვრის სამუშაოებით დასაქმებულ გლეხს შემოდგომით არ ეცალა საზრემოდო და კითხულობს: ხომ არ თამაშობს როლს ამ ცვლილებაში ათენელ ქალთათვის დელფოსური ორგაზმზე ხელის აღებინების სურვილი?

გინდ ასე იყოს, გინდ ისე, ფაქტი კი თავისას ამბობს: მოზღვავებულ ძალთა ღმერთის ორგიული დღესასწაულები მარაქიანი შემოდგომიდან სუსხიან ზამთარში „გასაქირის“ ხანაში გადაწიეს. ზამთარი — სასიცოცხლო ძალების დამაქინებელი, და ადრე გაზაფხული — ზამთარში დაქინებული ამ ძალების დამათრობლად აღმზევებელი, — აი დრო, როცა ადამიანზე დიონისე ბატონობს.

მაგრამ მარტოოდენ ადამიანზე როდი ბატონობს ტანჯვისა და მოზღვავებულ ძალთა ღვთაება. ცხოვრებაში, მის ყოველ საფეხურზე ბევრი დისპარმონიაა, ბევრია დათრგუნულ-დამახინჯებული ძალა, ამიტომ ძალთა დიონისური მოზღვაება და მისგან გამოწვეული „ორგიული სიგიჟეც“ ხშირია.

ოთახის ძალდი იძულებულია დღე და დ-

მე იწვევს ან აუჩქარებლად იაროს ოთახებში. მას თავის ნებაზე უშვებენ გარეთ და ისიც გადარეული შემოირბენს ბაღის ყვავილნარს, ბუჩქებს, გიჟურად უკვესავს თვალები, აღარაფერი ეყურება: ეს „ძალთა მოზღვავება“ ნელა და ნიდელიანად დაფუნჩალობს ხბო, ბალახს წიწკნის, სისხლში მას იმ უსასრულო რიგის წინაპართა სიზანტე იქვს გამჭდარი, რომლებიც თავის ნებაზე ლაღად მცხოვრები ცხოველებიდან საწველ მანქანებად აქციეს. უცებ ხბო კუდს ააფშეკს, თავის ქნევას და ფრუტუნს მოკყეება, უწნოდ ახუნტრუცდება და „ატროკებული“ გაიჭრება მდგლოზე, ბალისიანი და ძლიერი მოძრაობის სურვილი „მოზღვავებამდე“ უნდა მისულიყო, რათა სხეულის სიტლანჭე დაეძლია, ეფეთქა და გარეთ გამოჭრილიყო. მაგრამ ლალი არჩვისთვის ასეთი „მოზღვავება“ უცხოა. აკოლონის ისარივით პირდაპირ და შობდენილად ევლება ის თავზე უფსკრულებს და გაკვირვებული შეკყურებს ხბოს თავაწყვეტილ სიშმავეს.

კარბი ძალებით არის სავსე ხარი სქესობრივი ცხოვრების პერიოდში. შემზარავია მისი უმიზეზო მძევინვარება, ერთთავად ბრაზით აცახცახებს, პირიდან შუშაკვირვალი ლეზვი გადმოსდის, თვალები სიცოფით დარისვლია, ყველა შემხვედრს ერჩის განურჩევლად; მოხედება თვალში ხის ნამორი და ისიც გაშმაგებული ააგორებს მას რქებით და რა საინტერესოა: სწორედ ხარი იყო ბერძნებში დიონისეს სიმბოლო. ბევრ გამოსახულებაზე დიონისეს ხარის რქები ადგას, მონეტებსა და ზოგიერთ გემაზე ის არცთუ აშფიათად გამოისახება ადამიანისაბიან ხარად „ხარის მსგავსი“, „ხარისრქიანი ღმერთი“, აი მისი ყველაზე ჩვეულებრივი ეპითეტები. ელეაური დიონირამბი პირდაპირ ხარს უწოდებს დიონისეს.

ო, მოდი ხარო, ღირსეულო!

ვიაჩესლავ ივანოვი, ელინური რელიგიის და მისი „ტანჯული ღმერთის“ საუკეთესო მკვლევარი სიშმავე — ექსტაზში ადამიანისათვის ფრიად დამახასიათებელ და ღირსშესანიშნავ თავისებურებას ხედავს. მისი აზრით, ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, არის anima ecstasica „როდესაც ცხოველი შეიშალა, — ადამიანად იქცა“. საექვოა, ეს ასე იყოს. ცხოველი დიახაც შეიძლება შეიშალოს, ნამდვილმა დიონისურმა სიგაყემ მოუაროს, — მაგრამ ამით ის ჭერ კიდევ არ არის ადამიანი.

ექსტაზური დიონისური სიგიჟე ადამიანის გარდა ბუნებაშიც ბევრია. აი ახლა ზაფხულის მშვიდი საღამოა, მე აივანზე ვარ, ვწერ, ანთებული ლამპის გარშემო გავიქეებული დაქრიან დიდი და მცირე ფარვანები. ცვივიან, იწვიან, შეცბუნებულები ებერტყებიან, ისევ

ფრანდებიან, ისევ ცეცხლისკენ მიექანებიან და გავარვარებულ შუშის ეხლებიან. ასე მგონია თითქოს გარშემო სასიკვდილე ალფრთოვინების და წინასასიკვდილო ტანჯვის წყნარი ამოძახილი და კვნესა გაისმის მეთქი ვგონობ, როგორ ქარბორბალასავით ბრუნავს გარშემო გაშმაგებული უცნური ვნებისმოყვარეობა, როგორ ჯადოვდება იგი თავისი ტანჯვის მიზნობა ტანჯვით.

ძალთა მოზღვავეების და ორგიული სიგიჟის გრანდიოზულ სურათს წარმოადგენდა, ალბათ, ქვეყნიერება იმ შორეულ წარსულში, როცა ჯერაც ახალგაზრდა იყო ჩვენი პლანეტა, როცა პირველად ყალიბდებოდა მასზე სიცოცხლე, ყალიბდებოდა გაუბედავ, სიმტკიცენაკლულ და უგერგილო ფორმებში. ქვესკნელისეული აფეთქებების გამო, მიწის ქერქი ხშირ-ხშირად ირყეოდა და ნაპრალებს აფჩენდა, ზედაპირზე ლავის ნაკადები მოედინებოდა, ჰავრში ფერფლის ღრუბლები დაბორილობდნენ, ვიგანტური გვიმრების, ღვივისხავსას და შვიტის ტყეებში ზანტად დაიზღაზნებოდნენ ვეებერთელა და ცოცქნათავიანი დინოზავრები, აღმა-დაღმა დაყრიყინებდნენ ჰავრში მფრინავი ხვლიკები. ვრცელ წყალთბილ და თავთხელ ზღვებში ხვლიკთევზები და პლენიოზავრები ფუთფუთებდნენ. დიდი უნდა ყოფილიყო მათი მოუხეშავი სხეულების და მოუწესრიგებელი ინსტინქტების დისპარმონია, ახლანდელ ცხოველთა სამყაროშიც ბლომად ვამჩნევთ ასეთ დისპარმონიას: ვნებიანი მამრის დაჯიჯგნილი ბაყაყი ან გომბემო ხშირად გულმკერდდაგლეჯილი და მუცელგამოფატრული რჩება; ღამის ფარვანა ჩიუტად ეძალება მის დაშწველ ცეცხლს; კობორჩხალას შიშისაგან ფეხები სწყდებოდა; პოლოთურიან თუ შეეცხებით, საკუთარ შიგანს გაანთხევს; ბევრი დედალი ცხოველი ხლამახლუმით ქამს ზოლმე მისსავე ნაშიერებს რაოდენ უფრო ძლიერი და მოუწესრიგებელი იქნებოდა ასეთი სი ცოცხლის საპირისპირო ინსტინქტები იმ პირველყოფილ ხანაში! და რაოდენ „კარბი ძალებით“, რაოდენ სიამისმომგერელი ტანჯვებით იყო აღსავსე მაშინდელი ბაჩაქლანების და ურჩხულების ცხოვრება! რაოდენ მძლავრი კრუნჩხვები და კლაკვნები იყო მათ სიყვარულში. თბილ წყლებში გამოტრეტალი შიგანი ეყარა, ტყდებოდა და წყდებოდა სხეულებს ასოები, როგორც ჩვენს ხვლიკებს კუდები; ყმუილ-ყმუილით დალოღავდნენ გამდნარ ლავაზე სიმწრით დაკრუნჩხული ურჩხულები და ალბათ კიდევ უფრო დიდი ტანჯვის მწველი სურვილი ეუფლებოდათ ამ „მოუთავებელ არსებებს“ და ისინიც ვნებიანად მიიღტვოდნენ „მშობლიური ქაოსისაკენ“, რათა ნე-

ტარებით დაბნედილები განთხლეულიყვნენ და ბოლომდე გათქვეფილიყვნენ. და იშეებდა ამ ამობოქრებული ორგიული სიგიჟის შემყურე ტანჯვისა და მოზღვავებულ ძალთა ღვთაება, — დიონისე.

ესეც მოზღვაებულ ძალთა ღმერთია: მას თითქოს სრულებით არა აქვს კუნთები. ბავშვობაში, — აპოლონორის მოწმობით, — დიონისეს გოგონასავით ზრდიდნენ და მის სახესაც მთლად ქალურობის ბეჭედი აზის, რაც ასე საზიზღარია მამაკაცში. „ტრუმამაკები“, „ქალაბიჭა“, „ქალაჩუნა“, „დედაკაცური“, — აი დიონისეს არცთუ იშვიათი ეპითეტები. ასეთად წარმოგვიდგება იგი თავის პლასტიკურ გამოსახულებებში, რომელიც მის ხასიათს, მის საკუთარ ორიგინალურ სახეს გამოხატავს.

უფრო ძველი გამოსახულებები დიონისეს დარბაისელ კაცად ან გრძელწვერა, მედიდურ მოხუცად წარმოგვიდგენენ, მაგრამ ეს გამოსახულებები ნაკლებად ასახავენ მის თვისებებს. აქ ღმერთის სახე იმ მზამზარეული ტიპით შეუცვლიათ, რომელიც, როგორც ჩანს, თავდაპირველად ჰერმესისათვის იყო შექმნილი და დიონისეს აქ მხოლოდ მისი ატრიბუტებითა თუ გამოვიცნობთ, — აკიდობით ან სუროს გვირგვინით. მაგრამ ამ ტიპის გამოსახულებებშიც ღმერთს ხშირად ქალის ტანისამოსი მოსაგს: თავზე დედაკაცის შუბლსაკრავი შემოუვლია, ზოგჯერ ხილაბანდიც კი აქვს წაქრული, — რაც მთლად ქალურ იერს ანიჭებს.

როგორც ჩანს, ფიდიასის დროს შემუშავდა ბაკხ—დიონისეს ის სახე, რომელიც სრულყოფილად და შეურყვნელად გამოხატავს ღმერთის არსებას. ამ სახითაც წარმოდგინათ დიონისე შემდგომ საუკუნეებში. ეს სახე ძირითადად ასეთია: მშვენიერი ყმაწვილური ტანი, — ოღონდ რბილი, დედაკაცური; კუნთები თითქმის არ ეტყობა; ღმერთი ზის, ანდა წევს; თუ ფეხზე დგას, უმრავლეს შემთხვევაში რალაცას ეყუდება, ანდა მხარში ამომდგარ სატირს ეყრდნობა. ყოველგვარი ძლიერი, ვნერგიული მოძრაობა, აპოლონისაგან განსხვავებით, მისთვის დიდად უცხოა. სახე უწვევრულვაშო; გრძელი დატალღავებული კულულები მზრებამდე სცემს; ბაგეებზე ძლივშესამჩნევი, მეოცნებე ღიმილი, — არაფერს გარშემო გულთან რომ არ იკარებს; ცეცხლოვანი ანდა დანისლული გამოხედვა გაურკვეველ შორეთშია მიმართული. საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ღმერთის გამოსახულებები ტოვებენ, უცნაურად მრავალფეროვანია. დიონისე ჰემმარიტად მრავალსახა და მრავლმხრივი ღმერთია. ერთ-ერთი მისი ქანდაკების სახეს ღვთაებრივი, წმინდა და დიადი სევდა ატყ-

ვია. ეს სევდა ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ქრისტე ღმერთის სახის წყალობით. არსებობს მეორენაირი გამოსახულებაც: პატარა თავი ქალურად მომრგვალებულ ფუმფულა სხეულზე; მშვენიერ სახეზე მაკედონი ტიპილი დასთამაშებს, ზედ ნატიფი და ბნელი ავბორცულობა აღბეჭდვია, რაღაცეებისგან საზიზღარი და სასტიკი გარყვნილება. აქვეყნებამ სახეს, რომ უნებლიედ უკან განტებით: „მაცილი“

„ძალმოსილების პესიმისმი“

თავისი „ტრაგედიის დაბადების“ წინასიტყვაობაში ნიცშე წერს:

„არის კი პესიმისმი მზის ჩასვენების, დაცემის ხანის, ხელმოცარულობის და დაღლილი, დაუძლურებული ინსტიქტების აუცილებელი ნიშანი? იქნებ ძალმოსილების პესიმისმიც არსებობს? — იმისადმი ინტელექტუალური ლტოლვა, რაც კი სასტიკი, შემზარავი, ბოროტი ჯა გამოუცნობია ამ ყოფაში? იქნებ არსებობს კეთილდღეობისაგან შობილი, მოზღვავებული ჯანმრთელობისაგან და არსებობით პირთამდე აღესილობისაგან გამომდინარე მძლავრი მიდრეკილება? იქნებ მეტისმეტი სისავესიგანაც შეიძლება იტანჯებოდე? იქნებ ცდუნდეს თვალგამპირიანი ხედვის პატრონი, გათამამდეს და ისე მოსწყურდეს საშინელება როგორც მტერთან, ღირსეულ მტერთან, შერკინება, რომელშიც ის თავის ძალმოსილებას გამოცდის? — რომლის წყალობითაც მას სურს გაიგოს, რა არის „შიში“.“

ყველა ამ კითხვაზე ნიცშე დადებითად პასუხობს და ყოფნის საშინელებებისადმი სწორედ ისეთ დამოკიდებულებაში ხედავს დიონისური მსოფლშეგრძნების ყველაზე დამახასიათებელ თავისებურებას.

„იქნებ ძალმოსილების პესიმისმიც არსებობს, — გვეკითხება ნიცშე, — იმისადმი ინტელექტუალური ლტოლვა, რაც კი სასტიკი, შემზარავი, და გამოუცნობია“...

...მაგრამ რა ძალმოსილება ექნება ინტელექტუალურ ლტოლვას იმ სფეროში, სადაც ყველაფერი ემოციითა და ფუნქციონებული? რაში და როგორ გამოიხატება ეს ძალმოსილების პესიმისმი, თუ ზოგადი დებულებიდან ჩვენ კონკრეტულ მაგალითებზე გადავალთ? აი, მაგალითად, ტყის ღმერთის, სილენის უმთავრესი ჰემმარიტება — „ყველაფერს სჯობდა არ გამჩდარიყავ; თუ დაიბადე, მაშინ ყველაფერს გიჭობს — მოკვდე“, და დგას ამ სიბრძნის წინაშე ჰემმარიტად სიცოცხლით სავსე ადამიანი, — „ჯანმრთელობამოზღვავებული“. მისი

სული ხალხით და გულითადად ეხმარება ყოფნის სიხარულს, განუწყვეტლივ შეიგრძნობს სიცოცხლის დიდ, ფასდაუდებელ მნიშვნელობას. როგორ იგრძნობს ასეთი ადამიანი არყოფნის უპირატესობას ყოფნასთან შედარებით? „გტანჯავდეს სინამდვილე, ეს ნიშნავს შენ თვითონ იყო ბელმოცარული სინამდვილე“ — ზიზლით ამბობს ნიცშე შემდგომში. როგორ დაიტანჯება კეთილსივლიანი სინამდვილე სინამდვილისაგან? და როგორ გაიგებს ის სილენის სამარისებურ სიბრძნეს, თუკი მას სინამდვილე არ ტანჯავს? „საკითხის დასმა იმის შესახებ, თუ რა სჯობია, — ყოფნა თუ არყოფნა, — უკვე თავისთავად ავადმყოფობაა, დაცემის ნიშანია, იდიოსინკრეზიაა.“ ესეც ისევ და ისევ თვითონ ნიცშემ ბრძანა მოგვიანებით და არა ვინმე სხვამ.

სიცოცხლით აღვსილობა ასურვებს ადამიანს დაიგემოვნოს შიში?.. სიცოცხლით სისავსე ადამიანს ასურვებს ფხა გაუსიანჯოს იმას, რაც იწვევს შიშს და ნეტარებასაც შიშზე ამადლება განაცდევინებს, მას სასაცილოდაც არ ჰყოფნის შიში, თუ ადამიანს საშინელება იზიდავს და სურს განიცადოს როგორია იგი? ეს სიცოცხლით სისავსისაგან არ მომდინარეობს, სიცოცხლით სისავსის გამო არ მიუწევს გული მას ტანჯვის განსაცდელად, სიცოცხლით სისავსის გამო არ იჩენს სიცოცხლისადმი შეებნელ უნდობლობას. სიცოცხლით სისავსის გამო არ ანიჭებს უპირატესობას არყოფნას ყოფნასთან შედარებით. საშინელებების, ტანჯვის, სასოწარკვეთის ვანციით ტკბობა არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო ჯანმრთელი, მძლავრი, სისხლსავსე არსებობის გმირული გამოვლინება. ეს ხელიდან წასული, გადაგვარებული, სიცოცხლის ინსტინქტს მოკლებული ადამიანის ყოველად ტიპიური სიამოვნებაა. სწორედ ასეთების შესახებ თქვა ნიცშემ: „მე ცხოველს, სახეობას, ინდივიდს გაფუჭებულს ვუწოდებ, თუკი ის ჰკარგავს თავის ინსტინქტებს, თუკი ის იჩენს და უპირატესობას ანიჭებს იმას, რაც ენებს მას“.

ადამიანური ჯანმრთელობის და ძალმოსილების ყველაზე მაღალ გამოვლინებას ნიცშე ელინურ ტრაგედიაში ხედავდა. მაგრამ ყველაზე უკეთეს სწორედ ტრაგედიაში შეგვიძლია დავინახოთ, რა საეჭვო, სიცოცხლის საპირისპირო ხასიათისა იყო ეს ვითომ სიცოცხლიანობა, რამდენი შინაგანი უძღურება და დიდი გულგატეხილობა იყო ამ თითქოსდა გმირული „ძალმოსილების პესიმიზმი“. პირდაპირ ვიტყვით: მთელ მსოფლიო ლიტერატურაში ჩვენ არაფერი არ გვეგულება ისეთი ლამაზი, ისეთი ავადმყოფური და გადაგვა-

რებული, როგორც ელინური ტრაგედია იყო.

რას მოითხოვდა ბერძენი ტრაგედიისაგან?

არისტოტელე ამბობს „პოეტიკაში“:

„ტრაგიკული გმირის ბედს უნდა ვხედავდეთ არ უნდა შეტრიალდეს უბედურებად ბედნიერებისაკენ, პირიქით, — უბედურებად უბედურებისაკენ უნდა ვხედავდეთ და ამასთან ეს ადამიანის მანკიერების მიზეზით კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ — უბედურად ადამიანური შეცდომის გამო. თუ ტრაგედია მეგობრებს შორის წარმოიქმნება, — მაგალითად, როდესაც მმა ძმას კლავს, ან შეილი — მამას, ან დედა — შვილს, ანდა რაღაც ამდაგვარი ხდება, — ასეთი ტრაგედიის სიუჟეტი პოეტმა სადმე უნდა მოიძიოს. საუკეთესო ტრაგედიები მხოლოდ ზოგიერთი სახლის წევრების შავალითზე შეიძლება შეიბრუნოს. მაგალითად, ოიდიპოსის, თრესტეს, მელეაგრუს და ყველა სხვა სახლის წევრების მაგალითზე, რომლებმაც ან განიკადეს, ანდა ჩაიღინეს საშინელება. პოეტები მათდაუნებლიეთ მიაკვლევდნ ხოლმე ყველა ოჯახს, რომლებშიც ამდაგვარი უბედურება მოხდა. ამ უბედურების მხატვრული გამოსახვა სიამოვნებას გვგვრის და ეს სიამოვნება თანავრძნობისა და შიშისაგან მომდინარეობს: თანავრძნობა და შიში კი ენებისაგან განწმენდას იწვევს.“

ტანჯვა ტრაგედიის ძირითადი მოთხოვნაა. „ეს არ გამოდგება ტრაგედიისათვის, რადგან აქ ტანჯვა არ არის.“ ამბობს არისტოტელე. რაც უფრო საშინელია ტანჯვა, რაც ნაკლებია იმედი მისგან თავდაღწევისა, მით უკეთესია ტრაგედიისათვის.

აი, ჩვეულებრივი ძირითადი სქემა ელინური ტრაგედიისა: გამოპყავთ გმირი და ხათბალაში აბევეს მას, გამოსავალი აღარა აქვს გმირის ნებისყოფის მთელ დამაბუღლობას, მთელ მის მცდელობას და თავგამოდებას. მხოლოდ ის შედეგი მოაქვს, რომ საკმეტი კიდევ უფრო შეტად იწვევს. უფრო შეტიც, სწორედ ბედის მიერ დაგებული ხაფანგიდან თავის დაღწევის მცდელობა და თავგამოდება განაპირობებს, რომ გმირი საბოლოოდ იღუპება. ოიდიპოსს სწორედ იმიტომ ატადება თავს უველი უბედურება, რომ მან იცის, რა საშინელებაა ელის და ყოველნაირად ცდილობს თავი დააღწიოს მას თავისი რეინისებური მზერით ბედი თითქოს ყოველთვის უთვალთვალეებს მას და შეაგონებს: ნუ იბრძვი, ნუ ცდილობი შეიგნე ამოა ადამიანური ნებისყოველი მცდელობა. ადამიანი თვითონ როდია თავისი ბედის მკვდელი.

მაგრამ ცხოვრებაში თითქმის არ არსებობს

ისეთი ვითარება, სადაც ადამიანი ბევრს არ მიადწევს თავისი ნებისყოფის ძალით და გულმოდგინებით. იყოს ცხოვრება ბნელით მოცული, იყოს დაბურული პირველყოფილი ტევრივით — მასში მაინც ყოველთვის შემოანათებს სხივს, ყოველთვის არის კრილები, რომლებშიც ბედისადმი შეურიგებელი ადამიანური ნებისყოფა გაიკვლევს გზას. ადამიანური ნების მცდელობა უიმედობის ასეთ გარემოცვაში რომ მოქცეულიყო, საამისოდ, — როგორც არისტოტელე მიუთითებს, საჭირო იყო ტრაგედიას მითოლოგიიდან ამოეჭეჭა ზოგიერთი ოჯახის ისტორია, რომლებსაც ყოვლად დაუჭერებელი უიღბლობა მოსდგამდათ. მაგრამ წმინდაწყლის მითოლოგია ვერ იძლეოდა საამისოდ საკმარის მასალას და ტრაგედიაც მისდგა და „დაამუშავა“ მითები. უფრო სასტიკ და გამოუვალ პირობებში ამოტყნედა მითიური გმირები. ყველა გზა შეუკრა მათ ნებას.

როლი გასაგებია რატომ ამქლავნებდა ტრაგედია ასეთ სიყვარულს გმირთა სახეებისადმი. — სიყვარულს, რომელიც თვალთმაქცურად მეტყველებს თვითონ ტრაგედიის თითქოსდა გმირული ხასიათის შესახებ. ცხადია, ადამიანური ნების უძლურების ჩვენება ყველაზე უკეთესია, ყველაზე უფრო მტკიცე ნების მაგალითზე უფრო მარჯვედ მოხერხდებოდა. განა რა საშინელების მოწმენი გავხდებოდით, თუკი სცენაზე ბადეში გაბმული მწყერი აფართხალდებოდა? დაც ბადეში გახლართული მბრღელნიაცი ლომი გორავდეს მიწაზე, დაც დაჭიმოს მძლავრი კუნთები, გამძვინვარებულმა დაიღრიალოს და მთელი თვატრი შეაზანზაროს. მაშინ ყოველი მაყურებელი ნათლად შეიგრძნობს სიფრიფანა, თვალთ უბილავი ბადის მზაკვრულ ძლიერებას და იმ მძლავრი არსების მთელ არარაობას, რომელიც ამ ბადეშია გაბმული.

ყველაზე მეტად ბერძნულ ტრაგედიას აქტიური, გმირული განწყობილება, მეზრძოლი ადამიანური ნების აღზევება ეუცხოვება, თანაც სულ ერთია, იმარჯვებს ეს ნება თუ მარცხდება. ტრაგედიის ყველაზე ტიპური და საყვარელი გმირი ტანჯული ოიდიპოსია.

მაგრამ „პასიურობის სხივოსან გვირგვინს“, რომელიც ოიდიპოსს ადგას, ნიცშე ესქილეს პრომეთეს შუბლზე ბრწყინავ „აქტიურობის გვირგვინს“ უპირისპირებს. „მიჯაჭვულ პრომეთეში“ ის ადამიანის თამამი, გაუტეხელი ნების სადიდებელს ხედავს, იმ ნების სადიდებელს, რომელიც თვითონ ღმერთსაც კი თამამად შეებრძოლება. ტრაგედიის ძირითად აზრს ნიცშე გოეთესეული პრომეთეს ზევსისადმი ურობილ მიმართვაში ხედავს:

ვწივარ აქ, ვქმნი ადამიანებს ჩემს ხატად და ხანედ, ვქმნი სუფიერად ჩემს ტოლ-ხწორ მოდგმას, რათა იტანჯოს და ცრემლი ღვაროს, იმხიარულოს და ანეტაროს. შენ კი უური არ ვაბოვოს, როგორც ამას შეც ვწევტყუენულო

ბიბლიოციტე

და ნიცშე აღფრთოვანებული მიუთითებს იმ „ღირსებაზე“, რომელსაც პრომეთეს მითი სცნობს დანაშაულის ჩამდენში, ცოდვით დაცემულობის სემიტური მითისაგან განსხვავებით, რომელშიც ცნობისმოყვარეობა, სიცრუე, ენებიანობა და ა. შ. ბოროტების წყაროდ ითვლება. „ის, რაც არიულ შეხედულებას სხვებისაგან გამოარჩევს, ეს არის ამაღლებული შეხედულება აქტიური ცოდვის, როგორც უმთავრესი პრომეთეული სათნობის შესახებ“, — ამბობს ნიცშე.

მთლად შეცბუნებული რჩები კაცი ესქილეს პრომეთეს ასეთნაირი განმარტების წინაშე; ასეთი კითხვაც კი აღიძვრის: იყო კი ამ შემთხვევაში ნიცშეს შეცდომა კეთილსინდისიერი? როგორსაც ნიცშე გვიხატავს, ასეთია სწორედ ისეაღი პრომეთე, გოეთეს, ბაირონის, შილერის პრომეთე. მაგრამ სულაც არ არის ასეთი ესქილეს პრომეთე და საერთოდ ანტიკური პრომეთე. გასული საუკუნის დასაწყისში ამ საკითხში კიდევ შეიძლებოდა შემცდარიყო კაცი, მაგალითად შლეგელი. მაგრამ ესქილეს „პრომეთეზე“ ველკერის კლასიკური შრომის შემდეგ, ნიცშეს ასეთი შეცდომა არამც და არამც არ ეკადრებოდა.

საქმე იმაშია, რომ „მიჯაჭვულ პრომეთეს“ ესქილესთან განთავისუფლებული პრომეთე მოპყვება. იმ მეორე ტრაგედიიდან ჩვენამდე მხოლოდ თითო-ორთა ნაწიყვეტიდაა მოღწეული, მაგრამ ისინი უეტველი გარკვეულობით მოგვითხრობენ, რომ ტრაგედია პრომეთეს სრული მარცხით, არა გარეგნული, არამედ შინაგანი მარცხით ანუ პრომეთეს საქმიანობის უმართებულობის მხატვრული მხილებით თავდება. „იკი „მიჯაჭვულ პრომეთეში“, როგორც ველკერი აღნიშნავს, წინასწარვე შეაფიოდაა მითითებული, რა ბოლოც ელის პრომეთეს. ქორო გამოთქვამს იმედს, რომ პრომეთე ისევ მოახერხებს ბოროტებისაგან თავის დახსნას და ზევსისადმი თავის გატოლებას, მაგრამ პრომეთე პასუხობს (511—513):

მაგრამ მოიარა, ყოველივეს აღმსრულებელი არ აღასრულებს ჭერ არცა-რახ, ვიდრე მე ათახ კირ-ვარამსა და სიდაუბქირებს არ გადავიხდი :

ქედად რეკილი დავაღწევ თავს ამ ჩემს ტყვეობას.

სწორედ ასე თავდებოდა თამამი ადამიანური სულის ღუთაებასთან ბრძოლა:

პრომეთემ იუწყა ზევსს საიდუმლო, რომლის გაგებასაც მისგან ლიბობდა. პრომეთე მოუთვნიერდა თავის გაძწიმებულს და განთავისუფლებულმა სრული მორჩილების ნიშნად თავზე ტირიფის გვირგვინი დაიდგა: ძველად ტირიფის ღვლურჭიო მონება და ტყვეებს ხელებს უკოჭავდნენ. და ხელუბნეც პრომეთემ თავისი ჭაჭვი შემოიხვია.

ზევსის პარმონიის წინააღმდეგ მოკვდავთა განზრახვები ამაოა.

მღერის მიჩაჭვულ პრომეთეში ოკეანიდების ქორო. სწორედ ადამიანური ურღურების ამ თავმდაბალ აღიარებაში, „სიამაყის“ ტრაგედიისათვის ჩვეულ გაკაცებაში მდგომარეობდა მთელი ნაწარმოების ძირითადი აზრი და არამც და არამც დაგმუშვებლად თამამი და მიღწერი ადამიანური ნების განდიდებაში „პრომეთე. — ამბობს ველკერი, — მხოლოდ მას მერე განთავისუფლდა, რაც თავისივე ხელით შეიბოჩა თავი სიმბოლური ბოტკილებით: მან შეიგნო, რომ უკვდავი სული მხოლოდ მაშინ მოიპოვება თავისუფლებას და მაშინ გახდება ბედნიერი, როცა იგრძნობს, რომ ქედი უნდა მოიდრეკოს უზენაესის წინაშე.

უზარმაზარი, დადებული გულის გასაბარი ამბავი მოხდა საბერძნეთის ცხოვრებაში სალამანთან ბერძნებში ქსერქსეს ურიცხვი ფლოტი დაამარცხეს. შემდეგ წყლიწიადს პლატონისთან საბმელეთო ჭარბიც განადგურეს. უკვალოდ გაიფანტა შავი, საავდრო ღრუბლები, ავისპომასწავებლად რომ ამოლოყენენ აღმოსავლეთით. დარიოსის დროიდან ვლადამ პირველად ამოიხუნტა შევით.

და ი. ესქილეს წერს თავის ტრაგედია „სპარსელებს“. მოქმედება ხდება სპარსეთში, სპარსი უხუცესების ქორო ცხოვრების ელის ოპია შედეგებზე, ატოსა, ქსერქსეს დედა და დარიოსის ქერივი, თავის ავისპომასწავებელ სიზმარს ჰყვება. შემოდის მაცხე და სპარსეთის ფლოტის განადგურების ამბავი მოაქვს. ურემლები, გოდება, კვნესა, ატოსამ თავისი განსვენებული ნეულის მეფე დარიოსის აზრდილი გამოიძახა. აზრდილმა სპარსეთის საბმელეთო ჭარბის დაღუპვა იწინასწარმეტყველა და განაცხადა, რომ სპარსელები ისჯებიან, რადგან გაამაყდნენ და შორეული ბედნიერების ძიება-

ში თავიანთი წილხვედრი ბედნიერება არ დაფასეს.

საფლავის მტვერი მოანიშნებს ბადაშის თვადებს, თუ ვით არ მართებს თავადეა უზომოდ მოკვდავს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუნდება ქსერქსე და ყველა ხმა მწუხარების და სასოწარკვეთილების ერთიან ღალიდისად აღველინება. დასასრული.

შევეცდით წარმოვიდგინოთ, რას განიცდიდა ამ ტრაგედიის შემუშრე ბერძენი მაცურებელი, როცა ეს გოდება და კვნესა ესმოდა. „სპარსელები“ მაშინ დაიდგა სცენაზე, როცა ჭერ კიდევ ცოცხლობდა ხალხში ხსოვნა მტრის მიერ შეგინებელი ტაძრების გაუკაცრიელებული ქალაქების და სოფლების, გაუპატიურებელი ცოლებისა და ქალიშვილების, ჩვენთვის დროის სიწორის გამო, შეიძლება ერთნაირად გასაგები იყოს სპარსელთა მწუხარებაც, დამარცხებით გამოწვეული, და ბერძნების სიხარულიც. მაგრამ ხომ ვერ მოვეციდებოდა მაშინდელი ბერძენი ამას ასე უბრალოდ და ობიექტურად, ერთხელაც ვიკითხოთ, რა განცდა დაეუფლებოდა მას, როცა გაიგონებდა სპარსელების გოდებას მათი ძლიერების დამხობის გამო? ყველაზე ბუნებრივია, იქნებოდა სცენის კვნესა-გოდების პასუხად ნიშნის მოგება, ხიროტი სიჭადული, აძვითეატრის გამჭირდავი სიცილი გაგვეგონა. მაგრამ ღრმა კეთილშობილება, რომლია ბეჭედიც აზის ესქილეს ტრაგედიას, სრულიად შეუძლებელს ხდის ასეთ ვარაუდს.

მაგრამ ასევე შეუძლებელია ვივარაუდოთ, თითქოს მაცურებელი სულიერად ამაღლებულიყოს სცენაზე წარმოდგენილ სასოწარკვეთილებაზე და სანახაობა ისე აღექვას, როგორც ქეუნი სასწაულზელი მაგალითი იმისა, თუ სანამდე მივეყვართ „გაყოფილებას“, თვით ტრაგედიის უბრალო წაკითხვის დროსაც კი ვადმოგვედება სპარსელების მწუხარება და ჩვენ თვითონაც ვძრწუნდებით, არადა ჩვენ, ახლანდელ დროში, ვერც კი წარმოვიდგენთ, რაოდენ გულისყურიანი და გაწაფული იყო მაშინდელი მაცურებლის ფიქიკა. მაშინდელი მაცურებელი გულაღალიდ და წინააღმდეგობის გაუწეველად ერწყმოდა იმას, რაც სცენაზე ხდებოდა, მოქმედ გმირთა განცდები, მათი საკეთარი განცდები იყო.

სცენაზე კი აი რა ხდებოდა, სპარსი უხუცესების ქორო, საზარელი, მიტკლისფერი ნიღბებით, აქეთიქით აწყდებოდა ორბესტრზე, მოსიუკამდა, წვერს ივლევდა: ტანისამოსს იფხრეწდა, ვრილებდა ექსტაზური მუსიკა, ქლერდნენ მატური ფლგიტები, სიმწუხრის და სასოწარ-

კეთილების თავბრუდამხვევი გრიგალი მძლავრად ისრუტავდა თავის წიაღში დამსწრეთა სულებს. მაყურებელი სულშეგუბებული, გაფითრებული და აღელვებული უსმენდა მუსიკას. თა უფე აზრადაც არავის არ მოსდიოდა, რომ მათ წინაშე მათივე მძვინვარე მტრები ქვეითინებდნენ და იმას მოსთქვამდნენ, რომ ვერ მოახერხეს ბერძნების დამონება. ახლა ამისთვის აღარავის სცხელოდა. სულები მწუხარებით იყვნენ მთვრალეები. — წმინდაწყლის, ცხოვრებისეულ რეალობას მოკლებული, მწუხარებით. ვილა არჩევდა ახლა ბერძნებს და სპარსელებს, ვილა სჩიოდა ელადის თავისუფლებას ან სპარსეთის ძლიერების დამბობას! ყველაფერი სწრაფწარმავალი და უმნიშვნელო ჩანდა იმ მწუხარებისა და საშინელებასთან შედარებით, რომლის განცდაშიც რაღაც დამთრგუნველი, ყოვლის მშთანთქმელი უსასრულოება შეიგრძნობოდა.

იტალიის ახლო წარსული გავიხსენოთ. გარიბალდი თავის ლომგულთა „ათასეულით“ სიცილიაში ჩამოხდა. თითქოს გრიგალმა გადაუარა ზღვა ხალხს, აამღელვარა და აადუდა, ძალმომრე ხელისუფლების ციხე-ბურჯებს შეაბეთქა, დაამხო და წალეკა ისინი. და იტალიის სამხრეთი განთავისუფლებულია. ლაჩარი და გულსასტიკი ფრანჩესკო მეორე ნეაპოლიდან გარბის და ხალხის ბელადი დედაქალაქში შედის.

და აი, ერთ-ერთი გარიბალდელი წერს დრამას. მას აღაფრთოვანებს არა გარიბალდი, — ეს საოცარი კაცი. რომლისთვისაც არაფერი არ არის შეუძლებელი, — არა მისი თავზეხელაღებული მონახისებების გმირობა, არა თავისუფლებისათვის ამბოხებული ხალხის ხალისიანი და მრისხანე სტიქია, — არა! ის გვიხატავს ნეაპოლის სამეფო კარს. სიცილიაში ათასეულის გადასხმის ამბის შემტყობი მეფე ფრანჩესკოს თავზარდაცემას, ძლევამოსილი გარიბალდის მოახლოებით გამოწვეულ საყოველთაო სასოწარკვეთილებას. გოდებას, კვნესას და მზატვრული სიტყვის ჯადო ძალის წყალობით იძულებს მაყურებელთა სულებს ხმა შეუწყონ დამარცხებულ მოძალადეთა კვნესა-გოდებას. რა არის მერე ეს, მართლა და მართლა?! უაზრობა ხომ არ არის ეს? ასეთი რამ ხომ ფსილოგიურად შეუძლებელია! ეინმეს რომ მსგავსი ამბავი მოეთხრო, არავინ არ დაიჯერებდა. და მაინც სწორედ ასეთ რასმე წარმოადგენს ესქილეს „სპარსელები“. იმ ესქილესი, რომელიც თვითონ იყო მძიმედ დაჭრილი მარათონის ველზე, რომელიც სალამანთანაც იბრძოდა და პლატეისთანაც.

და ეს შემზარავი ტრაგედია მსმენელთა უნდობლობას არ იწვევდა, ის მათ სულებში თანაგრძნობის გამოძახილს პოულობდა და სათანადო განწყობილებას აღვივებდა. უფრო მეტიც: ეს განწყობილება, — ჩვენთვის

ესოდენ გაუგებარი და არაბუნებრივი, — დაშინდელი ბერძნებისთვის არ იყო შემთხვევითი, არამედ — ყველაზე ბუნებრივი. მართო ესქილე როდი გამოეხმაურა ელადის განთავისუფლების სიხარულს. ~~სიხარულს~~ ~~დამწუხრებულობის~~ ~~პათეტური~~ ~~აღწერით~~. ჩვენამდე მოღწეულია ცნობა კიდევ ერთი ტრაგედიის შესახებ, რომელსაც მსმენელთად ასევე საბერძნეთის სპარსელებმა მოსმულა უდევს. ეს არის ფრინიხის „ფინიკიელი ქალები“, რომელიც ესქილეს „სპარსელებამდე“ ჩამდენიმე წლით ადრე დაიდგა სცენაზე. და აქაც ასევე ტრაგედიის ცენტრში იყო არა ბერძნთა გმირობა და მამაცობა, არა გამარჯვების სიხარული, არამედ სპარსელთა მწუხარება მათი ძლიერების დამბობის გამო!

რა ძალიან დაშორდა აპოლონს ახლანდელი ტრაგიკული ბერძენი. — ავადმყოფური, მაინც მწუხარების მაძიებელი. ხალისით და სიხარულით უნდა ემსახურა ადამიანს აპოლონისათვის. ახლა კი ყოვლად უმწიკლო, ბალას სიხარულს მწუხარებად აქცევდა, ყოველივე ადამიანურის სწრაფწარმავლობას და ხრწნადობას ხედავდა ამ სიხარულში. ნუ მივინდობი ცხოვრებას! ნუ გადიდგულდებნი! შავბნელი ძალები განუწყვეტლივ თავს დასტრიანებს ადამიანს!

არადა ამ დროს ამ გრანდიოზულ ბრძოლაში, რომელიც ერთმა ციკუნა საბერძნეთმა უზარმაზარ სპარსეთს გაუმართა, — განა ცოტა რამ იყო ისეთი, რასაც შეეძლო სული სწორედ სიციცხლის, ადამიანური სულის ძლიერების დიადი რწმენით განემსკვილა და სიციცხლის თავზე შეგროვილ მრისხანე ღრუბლის გაფანტვის შესაძლებლობაში დაერწმუნებინა ადამიანი? თუნდოც მაგლითად ლეონიდასის და მისი სპარტანელების სიკვდილი თერმოპილესთან, როგორც გვიამბობს მის შესახებ პეროდოტე. ერთი მუქა მეომრები მტრის უთვალავი ურდოების წინააღმდეგ. მალე ბრძოლა დაიწყება, — ისინი კი თამაშობებით ერთობიან, თმებს ივარცხნიან, სამკაულებით იმშვენებენ. სპარსეთის მეფე გაკვირვებული იციხის — და შეცბუნებული რენეგატი უმარტავს: „მეფეო! მათ ასეთი იდათი აქვთ: როდესაც სიკვდილს ეგებებიან, თმებს სამკაულებით იმშვენებენ. „ბრძოლა“. მთელმა დუნიაში და განსაკუთრებით მეფემ შეიგნო, რომ ქვეყნად ბევრია ადამიანი, მაგრამ ვაეკაცი ცოტაა. „მოლილატემ სპარსელები სპარტანელების ზურგში მოაქცია, ყველაფერი დამთავრდა. სპარტელებმა მოკავშირეები გაუშვეს და მარტონი დატრნენ. მათ ეუბნებიან, კი მაგრამ, მტერი იმდენია, რომ მათი ისრები მზეს აბნელებენო! სპარტელები

სიცილით პასუხობენ: მით უკეთესი, ბნელში ვიბრძოლებთო. და აი უკანასკნელი ბრძოლაც მტერი ურაცხვია, ყველა იარაღი დაიღწა: გორაკზე გამაგრებული მებრძოლები ალყაში მოექცნენ, ყველანი მტრის ხელით იღუპებიან და მომაკვდავებს ამაყი, ნათელი ღიმილი აცივდებათ სახეზე.

თუ ტრაგედიისათვის მართლა ასე აუცილებელია ტანჯვა, მაშინ აქ ტანჯვის მეტს რას იპოვის კაცი? მაგრამ თუ ყველამ ოდნავ მაინც აუღო ალღო ელინური ტრაგედიის არსს, დაუყოვნებლივ იგრძნობს, რომ ასეთი თემა ტრაგედიისათვის სრულიად უვარგისია, დიახ, ტანჯვა არის აქ. მაგრამ ადამიანური სულის ძალამ და სიდიადემ სძლია მას. არის ტანჯვა, არის სიკვდილი, მაგრამ არ არის თავზარდაცემა, არამედ მის ნაცვლად ბრძოლით გამოწვეული სიხარულია, სულის აღმზევებელი სიხარული, თვით ტანჯვებსა და სიკვდილშიც კი ნათლის და სიცოცხლის დამამკვიდრებელი, გამამხნევებელი შეგრძნება იმისა, რომ „არაფერი არ არის ამ ქვეყნად საშიში“. „ქალაქუნა“ დიონისეს ასეთი განწყობილების პირობებში არაფერი ესაქმებოდა. ეს იყო „მებრძოლი“ აპოლონის განწყობილება. ტრაგედიაში კი დიონისე ბატონობდა.

ესქილეს „სპარსელებთან“ ბერძენის დამოკიდებულება ჩვენთვის კიდევ უფრო მრავლისმეტყველი გახდება, თუკი მას იმ ეპიზოდს შევადარებთ, რომლის შესახებაც პეროდოტე მოგვითხრობს. მეხუთე საუკუნის დასაწყისში, სპარსელთა წინააღმდეგ იოიელთა აჯანყების დროს, სპარსელმა ურდოებმა დაიწყეს მიღებითი, მცირე აზისი სანაპიროს ბერძნული ქალაქი, რომელიც ძველთაგანვე ათენის მოკავშირე იყო. ტრაგიკოსმა ფრინიქემ ამის გამო დაწერა ტრაგედია, — „მიღეთის აღება“. პეროდოტე გვიამბობს: ტრაგედიის შემყურე ყველა მაყურებელს ცრემლები სდიოდა და ფრინიქეს მსჯავრად ათასი დრამის გადახდა დაადგეს, რადგან მან ხალხს პისი უბედურება შეახსენაო. და საგანგებო კანონით შემდგომი დროისთვისაც აიკრძალა ამ პიესის სცენაზე დადგმა.

მწუხარებით გამოწვეული ის თავისებური სიამოვნება, რომელსაც ბერძენს მისი ტრაგედია ანიჭებდა, სწორედ ამ მწუხარების სტოვიკობისაგან მოწვეული იყო. მათ აიხსნებოდა. მაყურებელს სწორედ ამიტომ შეეძლო ხარ-ზეიმით შერწყმოდა ესქილეს „სპარსელების“ მიერ აღძრულ მწუხარებას, რომ სპარსელების ნამდვილ მწუხარებასთან, მათ მარცხთან, ბერძენს არაფერი ესაქმებოდა. ხოლო იმ მწუხარებას, რომელიც ფრინიქეს ტრაგედიიდან იღვრებოდა, არ შე-

ეძლო მაყურებლის „ზეშთა სამყარომდე“ ამაღლება, ის მათ სიცოცხლით სავსე სიცოცხლის სიმწარეებს და განსაცდელებს მთაგონებდა. სულში მოქმედების სურვილი ადინთებოდა, ხელი მახვილის ტარს ბლუჯანდო; მზერა აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული სიდიადეადაც ყრუ გუგუნის ხმა იმ ქვეყნების მოახლოების მოსწავებადა, რომელშიც მალე ელადას უნდა დასტყდომოდა... შორს ჩვენგან ასეთი ტრაგედია! ახლა ზეიშია. ხოლო ყოვლის დამგლეჯი დიონისე ვერ იტანს საზეიმო დღეების საქმი დღეებით შეცვლას და ვერც ხელოვნების ცხოვრებასთან აღრევის ეგუება. ხელოვნებამ არანაირად არ უნდა გარდაქმნას ნება, მან ადამიანი „უნებურ კვრეტაში“ უნდა ჩაძიროს. ელინურ ტრაგედიაში დიონისე საქმით ახორციელებდა იმ ცალმხრივ, სიცოცხლისადმი მტრულ თეორიას, რომელიც XIX საუკუნეში სიცოცხლით სავსე სიცოცხლის მოძულე შობენმაუერმა ალორძინა: ხელოვნებამ ადამიანი უნდა გამოიტაცოს „სურვილების“ უსასრულო ნაკადიდან, ნების აბეზარი შემოტევისაგან დაიფაროს იგი და სული წმინდა ყოვლად მშვიდ, უნებურ კვრეტაში ჩაძიროსო.

თუმცა ზოგჯერ ტრაგედია დაბლაც დაეშვებოდა თავისი სიმალლიდან და ცოცხალი ადამიანური ცხოვრების საწუხარს შეეხებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ის თავისი თავის ერთგული რჩებოდა.

მეხუთე საუკუნის ოციან წლებში, პელოპონესის ომის დაწყების დროს, ათენში შავი ჭირი მძვინვარებდა. თუკიდიდე მოგვითხრობს: „ხალხი ბუზივით ივლიტებოდა... აღარც საღმრთო საქმეს სჩიოდა ვინმე და აღარც საეროს, ყოველი კაცი განცხრომას დაეძალა, ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტად და რაც შეიძლება სწრაფად დამტკბარიყო, რადგან ფიქრობდა ცხოვრება მხოლოდ რამდენიმე დღეს თუ გამანებიერებს თავისი სიყუთითო. არც ღმერთის და არც ადამიანური კანონების შიშით თავს აღარავინ იკავებდა. სულ ერთი იყო, თაყვანს სცემდი ღმერთებს თუ არა, — ადამიანები ხედავდნენ, რომ ყველა ერთიანად იღუპებოდა. და აღარავის არ ჰქონდა დანაშაულის შიში, ყველა მანამდე მოელოდა სიკვდილს, სანამ დასჯიდნენ...“.

და სწორედ ამ დროს სოფოკლე სცენაზე თავის „ოიდიპოს მეფეს“ დგამს. ტრაგედია შავი ჭირის ფონზე თამაშდება, ამბავი ოიდიპოსის ქალაქ თებეში ხდება. ღრმა მღელვარებით უნდა მოესმინა მაყურებელს ქოროს კვითინი, რომელიც თვითონ მისთვისაც ესოდენ მახლობელმა მწუხარებამ გამოიწვია.

ღმერთო! დიდია ეს განსაცდელი:
 ხენი შარავი უწყალოდ გაცვლავს,
 ხოლო გონება დაიღუნებულად
 განმკურნელ წამალს ველო
 აკულობს...
 უმწიფრად ქცება ნაკოლე ნიწის...
 ქალნი ტკივილით მშობიარობის
 იღუპებიან...
 ხოლო დედანი თმკაღარაან,
 დეთან ხაკურთხევლებს არგვლავ
 უვლიან
 და გუღამოსკვნით შემღადადებენ...
 ო, დიდებულო ზეცის ასულო,
 მფარველად ექმენ უმწერ ხალხსა.

ტრაგედია არც ფარავდა, იმ უბედურებაზე რომ ლაპარაკობდა, რომელიც ყველას ხვედრი იყო: ქორთს ლოცვა პირველ რიგში „ღრუბელთმარტვის ოქროს ქალიშვილის“. ათინის მიმართაა აღვლებილი, ის კი სწორედ ქალაქ ათინის მფარველი ღვთაება იყო და არა ოდიპოსის თებესი, ბუნებრივია, რომ მაყურებელი ასეთ პირობებში ტრაგედიიდან ესთეტიკურ სიამოვნებას კი არ ვანოვლოდა, არამედ რაღაც მისთვის უფრო მნიშვნელოვანს, ცხოველმყოფელ ნუგეშს გაჭირვებაში, ყველა ადამიანის დამთრგუნველი საშინელებით, რაიმეხარ გაქარწყლებას.

და დიონისესაც მოაქონდა ნუგეში, აქარწყლებდა საშინელებას და მაყურებლის წინაშე ოდიპოსის ბუვის შემადრწუნებელი სურათი — ბედისწერის სისასტიკე და უღმობლობა წარმოდგებოდა, მაყურებელი რწმუნდებოდა, რა სწრაფწარმავალი და დაუდგარიცაა ყველაფერი ადამიანის ცხოვრებაში.

ენ, რა უოფილბარ ადამიანი,
 თუ არა ლანდი სწრაფწარმავალი?
 ენ, რა უოფილბარ კაცთ ნეტარება,
 თუ არა ფუქად მოსაჩვენარი
 და წამიერი ზმანება მხოლოდ.

მარწოლე, ურვა და სასოწარკვეთი დედა ქავდა სულში. — სულ უფრო სწრაფად, სულ უფრო მიღვრად და მკათოლად და უცებ ელვისაყვით თვალისმომკრედად აკაშკაშდებოდა ცუბლოვანი სიშმაგე, ურვა უნით უთქმელ სიხარულად იქცეოდა და ადამიანიც თავდავიწყებით ეწაფებოდა თავის უსახუროდ მწუხრებას, გამტანჯავ ექსტაზში ვაიმუხტებოდნენ შეგუბებული გაბღვები და მკერდს ტბილი, შვებისმომგვრელი ქვათანი აღმოხდებოდა.

საშინელებების დიონისესად აღაღობვის დაბალი ფორმა. — გახელუებულზე წამიერი თავისდათმობა, უოველივე ხეობრივის დარღვევით გამოწვეული მათრობელი სიამოვნება. — ეთ-

მიანობის საშინელებებით მოხიბლულობა“ — ეს ყველაფერი აქ გაკეთილშობილდა და ნათლის შარავიდელით ვაცისკროუნდა, ამღვრეული სული დაიწმინდა და ადამიანს გარემომცველი ცოცხალი საშინელებების კბილება გაუიოლდა.

ამას ადამიანი დიონისეს უნდა უმადლოდეს, მხოლოდ დიონისეს მწიფრად ქცეულებინა და გაემხნეებინა მისი სწრაფწარმავალი, აბოლონს არაფერი ესაქმებოდა ამ სევდით, გამოგონილი სევდით მაგრად ექსტაზურ ბრბოსთან. მისი შეგონება მხოლოდ ასეთი შეიძლებოდა უოფილიყო:

დიდი სიმედგრე ჩაგვინერგეს
 ღმერთებმა გულში,
 უსაშინლესი გაჭირვების წამალი
 მოგვცეს,
 ხან ერთს ხომბს ბედი, ხან —
 მეორეს, დღეს ჩვენ დაგვატყდა
 სისხლიანი უბედურება, ვკვნებით
 ვვალადებთ,
 ხვალ სხვას უშვლებს, ნუ იქნებით
 ქალაჩუნები,
 მეღვრად დაუხვდით გაჭირვებას,
 რაც შეიძლება
 სწრაფად, დროზე გადაიტანეთ.
 (არქილოქე)

მაგრამ შეისმენდა კი ამ სამამაცო შეგონება ტრაგიკული ხანის „დაღმარებული“ ადამიანი, ასე ავიდნყოფურად რომ მიუწევდა გული საშინელებებისაკენ? სრულიად სხვაგვარი, სულიერად უფრო მხნე ადამიანები იყვნენ საქართ ისეთი შეგონება რომ შეესმინათ, მრისხანე გარდევალობის წინაშე კბილებში გაპოცრით თავიანთი სათქმელი და ოდისევისით ეთქვათ: „რაც უნდა დამატებონ ღმერთებმა ნისლიან გზაზე, ყველაფერს ავიტან; მნებელღობაში დამთმენი და კირსა შიგან გამობრძმედილი ვარ; დაე ძველ ქირს ახალიც მოესართოს“.

ელაზური ტრაგედია დიონისეს დითირამბიდან დაიბადა, თნის ტყავებიანი და სატირისნილბიანი მომღერლები სიმღერ-სიმღერითა და ცეკვა-ცეკვით ადიდებდნენ თავიანთ ღვთაებას შმაგი ფრიგიული მუსიკის ხმაზე, ხოტბას ასხამდნენ იმ სიხარულს, რომელიც მას ადამიანებისათვის მოტკონდა, დროთა განმავლობაში გუნდს სიმღერის დამწყები მსახიობი გამოეყო. ის კი არ გვიამბობდა დიონისეზე, არამედ თუითონ დიონისეს, მის საქმიანობას და ტანჯვებს გამოსაბავდა, ხოლო ქორთ მსახიობის თამაშს სიმღერითა და ცეკვით უნამდა მხარს, იმ ტრაგედიის ჩანასახიც, თავდაპირველად მისი მოქმედი პირი, ერთადერთი

და გამორჩეული გმირი. ტანჯული ღმერთი დიონისე გახლდათ.

სიცმე ტრაგედიის სწორად გაგების მიზნით სატირების ქოროსაგან ტრაგედიის წარმომავლობის საგანგებო მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას. „ბუნებას — კულტურისაგან ჯერ კიდევ ხელუხლებელს. — იი, რას ხედავდა ბერძენი თავის სატირაში ის ადამიანის პირველი ნიმუში იყო, მისი უზენაესი და უძლიერესი აღგზნების გამოხატულება, ღმერთის სიახლოვის შეგრძნებით აღფრთოვანებული მეოცნებე. ღმერთის ტანჯვების გამზიარებელი მეგობარია, ღმერთის ენების ამსახველი. შიგ ბუნების სიღრმიდან ამომდინარე სიბრძნის პეტყველი. აქ ქეშმარიტი ადამიანი წარმოჩინდებოდა, — წვეროსანი სატირი, რომელიც თავის ღმერთს შეჰხაროდა. დიონისური ბერძენი ქეშმარიტების და ძლიერების მწვერვალზე მყოფ ბუნებას დაეძებს. გრძნობს, რომ მოიხუხუხება და რაღაც ჯადოს წყალობით სატირად იქცა. ზეიმობს და ბორგავს ასეთი განწყობილებით ატაცებულ დიონისეს მსახუროს გუნდი. დიონისეს ძალმოსილებამ გადაასხვადგერა ისინი თავიანთსავე თვალში: ახლა ისინი თავიანთ თავში ბუნების ბელაბლა აღორძინებულ გენიოსებს, სატირებს, ხედავენ... ტრაგედიის მაყურებლები ტრაგიკულ ქოროსში თავიანთ თავს სცნობდნენ: კაცმა რომ თქვას, მაყურებლებსა და ქოროს შორის არავითარი წინააღმდეგობა არ იყო: ვინაიდან ყველა ან მოსტეკავე და მომღერალ სატირთა დიად, უზარმაზარ ქოროს წარმოადგენდა, ან იმ ხალხს, რომელთა წარმომადგენლები ეს სატირები იყვნენ“.

ნიცმე ბევრს ფიქრობდა იმ როლზე, რომელსაც ტრაგედიაში სატირების პირველ-ყოფილი ქოროსი თამაშობდა. ერვინ როდესადმი ვაგზაგნილ წერილში ის წერს: „სატირების ჩემებური გაგება ძალიან მნიშვნელოვანი მგონია ამ საკვლევ სფეროში. და ეს რაღაც არსებითი სიახლეა, — ხომ მართალია?“

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ უეჭველია: ქოროს ტრაგედიაში უზარმაზარ როლს თამაშობს: სწორედ მასზე ზოდის ტრაგედიის სიმბოლის ცენტრი, თუმცა კი ჩვენ, თანამედროვე მკითხველებს ამ ქოროს სიმღერები ასე ხშირად გვეჩვენება ზედმეტ ბარგად, გვეგონია, რომ ის მხოლოდ აფერხებს „მოქმედებას“.

და აი, უწინარესად ყოველისა, ჩვენ ქოროს ერთი დამახასიათებელი თავისებურება გვანცვიფრებს. — მისი უცნაური პასიურობა. მისი გაუხელებელი ზიზღი ყოველნაირი ქმედებისადმი, დიდებული, ღრმავროვანი და შთაგონებული იყო ქოროს, როცა საქმე ქვრეტას „ყოფხის საიდუმლოში“ შეიჭვავს ებებოდა.

მაგრამ ვამალიზიანებლად უსუსური, მშიშარა და დაბნეული ხდება იგი, როგორც კი მოქმედების საჭიროება ჩნდებოდა. ყოველი გაბედული მოქმედება მას ღრმად — ქეშმარიტ შეცბუნებას, შიშს და ყვედობას ბაყოს. ქოროს ნიადაგ მალულად იბრძვის ტრაგიკული გმირის მისწრაფებების წინააღმდეგ. ცდილობს ფრთები შეაკვეცოს მას, ყველაფერს შეუბნეობა, ცდილობს დაუმტკიცოს გმირს ყოველგვარი ქმედების ზედმეტობა და უშედეგობა.

ადამიანებისადმი გაწყული სამსახურის გამო ზევსის მიერ სკვითეთის კლდეზე მიჯაჭვულ პრომეთე სასტიკად იგვემება, მაგრამ არ ნებდება, ქედს არ იღრეკს. თქვანიდების ქოროსი შთააგონებს მას:

დაიდგ ხული მძლავრო ტიტანო,
მოიდრიკე ამაყი ქედი, ღმერთს
დამორჩილდი...
შენ ხაკმარიხი ამაგი დახდე
ადამიანებს,
ახლა საკუთარ თავზეც იფიქრე!

სოფოკლეს „ელექტრა“. აგამემნონი მისმა ცოლმა კლიტემნესტრამ მოკლა. მათი ქალიშვილი ელექტრა უნუგეშოდ წუხს, რომ მამის მკვლელობის ჯარი ამოუყრელი რჩება. ელექტრას მეგობარი მიკენელი გოგონების ქოროს მღერის:

იხა სჯობია გაიმავრო გული,
უხაზღვრო წუხილს თავს ნუ მიხცემ,
ვერას გიშველიხ,
ნუ მიეხწრაფი აღუხდენელს...

მარტოს როდია დამწუხრებული. აი მისი დებიც ასეთ დღეში არიან, მაგრამ ითმენენ. „შენ, — ამბობს ქოროს, — მხოლოდ შენ თავს ავნებ, რაკი მტრობას იწვევ და იმას სჩადიხარ, რაც ძლიერთათვის უსიამოოა“.

ელექტრა გადაწყვეტს თვითონ მიაგოს მისაგებელი და წმინდათაწმინდა ვალი მოიხადოს. შემწედ დას, ქრისოთემიდას მოუხმობს. ის შეშინებული იუარებს: „შენ ქალი ხარ, კაცი ხომ არა... გემუდარები, დაიოკე თავი, ისწავლე, ბოლოს და ბოლოს, შენი სისუსტის გამო ქედი მოიდრიკე ძალის წინაშე“. და ქოროსაც არ დააყოვნა ევერი დაეკრა მშიშარა და დამიანი სათვის:

ხხვა ვერაფერი ვერ მოგიტანხ
იმდენ სიკეთეს
რამდენსაც წინდახედულება ანდა
სიფრთხილდე!

სოფოკლეს „ანტიგონე“, მეფე კრეონტმა სიკვდილით დასჯის მუქარით აკრძალა პოლინიკეს გვირის დამარბვა. ანტიგონემ, პოლინიკეს დამ, „კურთხეულმა დაშინავემ“, მინც დამარბა ძმის გვამი, ის დაიჭირეს და მეფეს მიჰგვარეს, ქორო შეხიშნაეს.

მეფემ: ცხადია, ეს სიკერპე
მამიგან მოხდგამს,
ამაყი გახლავთ, კირსა შიგან
განუღრეკელი.

ამა თუთონ ქორომ? ქორომ იცის ქედის
მოღრეკის ანტიგონე ეუბნება კრეონტს:

რომ მართალი ვარ აქ ეხენიც
გეტყოდნენ აღბათ,
რომ შიშით ენა არ დაბმოდათ,
მხოლოდ მტარვალებს
ძალუბთ იხა თქვან და აგეოონ,
რაც თვითონ ნებავთ.

კოგონას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს
და ქორო ტყუის არიგებს მათ:

მკვდართათვის წესის შესრულება
საქმეა ხათრო,
მაგრამ ურჩობა უზენაეს
ბრძანებნიხადში
არ შეიძლება, ამით ზეღუოფ თვით
უზენაესს...
ეკ, შენ დაგღუძა შენივ სულის
შეუპოვრობამ.

ანტიგონე დასისქელად მიჰყავთ. მას ქორო
მიჰყვება და სხვადასხვა წამებულთა ისტორიას
მოუთხრობს. — დახაეს, ლიკურგის, სხვების.

ეკ, შეიღო ჩემო, ღმერთების
პირმშოთ,
მათაც კი მისწედა რაშზე უმაღეს,
რისხვა ზანდაზმულ შოირებინა
და ცხადია: მუღმივი მისამდგროთ ამთავრებს:

შეშარავია ზედისწერის გარდუვალობა,
ვერ დაგეოფარავს შიხგან ქარი,
ვერც ციხე-კოშკი...

სოფოკლეს „ოიდიპოსი კოლონოსში“. განა-
წამები უსინაოლო ოიდიპოსი თავის ქალი-
შვილ ანტიგონესთან ერთად კოლონოსში, ევ-
მენიდეების ქალამი ჩამოდის, კოლონოსელი
უხუცესების ქორო იყნობს მას და შეძრწუ-
ნებულა უბრძანებს, დაეკოყნებლივ გაბრუნ-
დით.

ოიდიპოსი: შეგვიბრალეთ!
აქი შეგვიპირდით, ჩვენ აქედან
არ გაგდენითო?

ძორო: ადექი, გახწი, დაყოვნება აღარ
ეგებს,
დროზე გაიქეც, ვინძლო წაველამ
ჩვენც არ გვიწიოს.



ანტიგონე ევედრება მათ შეგვიბრალეთო ქო-
რო პასუხობს:

ეროვნულნი
ორივე ძალზე გვეზარალებიყუქუმაიც
და შვილიც,
მაგრამ როდესაც თავს ღმერთები
ავატებენ რისხვას,
რა გაეწყობა, ვერ გავბედავთ
მცნების დარღვევას.

„რა გაეწყობა“... კომეროსი გავიხსენოთ.
ფვაკელებმა იცოდნენ რაც გაეწყობოდა ასეთ
ვითარებაში. „შეებრალოთ“ მოგზაურები და
თაყიანთი გეშებით გაამგზავრეს ისინი სამშობ-
ლოში, თუმცა პოსეიდონის საშინელი მუქარას
შესაზებ კარგად მოეხსენებოდათ: „ასე იწა-
ნასწარმეტყველა მოხუცებულმა და ვინ
იცის ახდება თუ არა მისი ნათქვამი. დაე
ღმერთების ხებისაებრ გადაწყდეს“.

ესქილეს „გამემწონი“. ქორო ღრმიაზროვ-
ნად ფილოსოფოსებს ბედნიერების მოჩვენები-
თობაზე. უცებ სასახლიდინ მომაცვდავი ავა-
მემწონის ყვირილი მოისმება. ქორო დაბნეული
აწყდები აქეთ-იქით, ორხესტრზე

პირველი:

მგონი აღსრულდა ბნელი საქმე,
მეფის ხმა ვიცანი
ახლავე უნდა გადავწყვიტოთ თუ
რა ვიღონოთ.

მეორე:

ჩემი აზრია მთელ ქალქში ყოველი
კუთხით
ვაფრინოთ კაცი, სასახლესთან
შეკუაროთ ხალხი.

მესამე:

სახლში შევცვივდეთ, ეგრე ვფიქრობ,
უმჯობესია,
ქალათს მივუხწროთ, ვიდრე სისხლით
ხველია დაშნა.

მეოთხე:

მეც გეთანხმებით, მანდ ვარ სწორედ,
ახლა გვჭირდება
სახელდაბელო მოქმედება,
დრო აღარ ითმენს.

მეხუთე:

უნდა დავფიქრდეთ, ავბედითი
მოჩანს ნიშნები.

და ასე შემდეგ, კარებში კლიტემნესტრა გა-

მოჩნდება სისხლიანი ნაჯახით ხელში, მას უკან აგამემნონის გვამი ჩანს.

წარმოვიდგინოთ ჰომეროსის ბერძენს, რომელიც ამგვარ ქოროში „თავის თავს ამოიციობდა“ და „სულით შეერწყმოდა“ ამ დონდლო ადამიანებს? ქნედითი კაცისათვის ასეთ შემთხვევაში ერთი რამ არის მოსაწონი და მისაღები, — ინსტინქტური ნახტომი წინ, სიჩაუქე, სწრაფად დარტყმა. აქ კი აქეთ-იქით აწყდებიან, მსჯელობენ, ლაყბობენ ფუი! ერთს გადააფურთხებდა მათი შემყურე ჰომეროსის ბერძენი და განრისხებული გაშორდება იქაურობას.

შემთხვევითია, რომ ქოროს ყველგან, ჩვენამდე მოღწეულ ყველა ტრაგედიაში, ისე პასიური, მშვიდარა და მოკრძალებულია? შემთხვევით შედგება იგი უსათუოდ გადაყრუებული ბებრების, მხდალი, შიშით აცახცახებული ქალების, უუფლებო მხვევლებისაგან? და თუ ქოროს ჯარისკაცებისაგან შედგება, როგორც ეს სოფოკლეს „აიაქსშია“, მაშინ ეს ჯარისკაცებიც მშვიდარა ჯარისკაცები არიან, თითქოს „მფრთხალი მტრედის თვალეზიან“, და შემთხვევითია განა სწორედ ამ დაძაბუნებული, უმოქმედო ადამიანების პირით რომ მეტყველებს ტრაგედიის უღრმესი სიბრძნე?

განცდათა იმ ვიწრო წრეში, რომელთაც სატირთა ქოროს პირვანდელი, დითირამბები მოიცავდა, ღრმა პასიურობის განწყობილება სრულიად ბუნებრივი იყო. რანი იყვნენ, ნიციშეს მიხედვით ეს სატირები? ღმერთის სიახლოვის განცდით აღფრთოვანებული ბუნების გენიოსები, ღმერთის ტანჯვის გამზიარებელი მეგობრები, რომლებშიც ღვთაების ვნებები იისახებოდა. „ქორო, — ამბობს ნიციშე, — მეუფის და მასწავლებლის, დიონისეს, სახებას კვრეტს, ხედვის, როგორ იტანჯება და მალდება ღმერთი და ამის გამო თვითონ აღარ მონაწილეობს ქმედებაში“.

მაგრამ დრო გადიოდა, დითირამბი ტრაგედიად იქცა. დიონისეს ნაცვლად სცენის ფიციარნაგზე პრომეთეები, ეტეოკლეები, თიდიპოსები და ანტიგონეები გამოვიდნენ. მაგრამ ქოროს ძირითადი განწყობილება უწინდებური დარჩა. სცენის გმირებს შეეძლოთ ებრძოლათ, ეჯახირათ, მაგრამ ქოროსათვის ისინი სხვა არაფერი იყვნენ, თუ არა იმავე ტანჯული ღმერთის, დიონისეს ნიღბები, და მთელს ცხოვრებაც ერთთავად იგივე დიონისე იყო. თვითონ ბერძნებს დიდხანს არ სურდათ შერიგებოდნენ ცხოვრების ამ გადიონისურებას და მხრების აჩეჩვით კითხულობდნენ ტრაგედიის შესახებ:

— რა შუაშია აქ დიონისე?

ეტეოლოვანი პრომეთეები, ბობოქარი ეტეოკლეები, ენერგული ანტიგონეები, — რა საერთო უნდა ჰქონოდა მათ ქალაქენა, „კუნთებმომჩლატებულ ღმერთან“. დიონისესთან მაგრამ თავისი მძლავრი, ჯადო ძალი წაქოებით დიონისემ ყველა მონუსხა, ყველა იძულება ცხოვრებისათვის მის მსახურთა, უფროსი ქოროს სცენაზე აპოლონიური გმირები უბრუნდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. — დასახულ მიზნებს ესწრაფოდნენ, დიონისე ქოროს პირით ეუბნებოდა მაყურებელს, მცდელობა ამაოა, მიზეზები ფუჭი, ცხოვრებას რკინის აუცილებლობა წარმართავს და მასთან კიდილი ადამიანის საქმე არ არისო. დანებდი, იტანჯე, შეიგნე, რომ ტანჯვაშია ცხოვრების დვრიტა და ტანჯვიდან ამობრწყინდება ის შუქი, რომელიც მხურვალედ გააჩირალდნებს ბნელ, გულცივ ცხოვრებასო.

რალა გაეწყობა ცხოვრებასთან ასეთნაირი დამოკიდებულების პირობებში? მართალს ამბობს შოპენჰაუერი ტრაგედიაზე: „აქამდე ასე მძლავრი მოტივები ახლა ძალას პკარგავენ და მათ სანაცვლოდ სამყაროს არსების უსრულყოფილეს შემეცნებას, — რომელიც ნების კვიეტრივივით მოქმედებს — რეზინიაცია მდგე, არა მართო ცხოვრების, არამედ თვითონ სიცოცხლის უარყოფამდე მივყავართ“.

შოპენჰაუერის ამ რამდენიმე სტრიქონში შეტია ელიზური ტრაგედიის სულის გაგება. კიდრე ნიციშეს მთელ, ესოდენ ბრწყინვალე, მაგრამ სრულიად ფანტასტიკურ, წიგნში.

შავი ღრუბელივით წამოსდგომია თავს ადამიანს „პირქუში, ბედიითი ბედი“. ცხოვრება ბნელია და ტანჯვით აღსავსე, ბედნიერება — მოჩვენებითი და სწრაფწარმავალი, როგორღა უნდა იცხოვროს კაცმა? შეიძლებოდა ტანჯვაში გვეპოვა წამიერი თავდავიწყება, შეიძლებოდა ტანჯვით დათრობა, მაგრამ ვისაც ერთი ბეწო სასიცოცხლო ინსტინქტი მაინც შერჩენია, ის ვერასოდეს ვერ შეურიგდება ასეთ ცხოვრებას, არადა ცხოვრება საჭიროა, თუმც კი ღვთაება, რომელიც მას განაგებს, განუწყვეტლივ საშინელებებს და სატანჯველებს მოუვლენს ადამიანს. ვისი ბრალია ეს სატანჯველები და საშინელებები თუ არა ღვთაების?

ჰომეროსის დროინდელი ბერძენი სამყაროს საკუთარი სულის ამარა ამართლებდა. ღვთაებას როდი საყვედურობდა ამქვეყნიური ბოროტებების გამო, მას როდი სთხოვდა გამამართლო ახლანდელ ბერძენს თავისით აღარ შეეძლო სამყაროს გამართლება, უძლური სული „ზნეობრივად მოწესრიგებულ სამყაროს“ მოითხოვს; სასტიკ, ამორალურ ცხოვ-

რებას ავალდებულებს; ადამიანს ბოროტი მი-
სი დანაშაულის პასუხად მოუვ-
ლინეთ. პირდაპირ ვიუგებარია, რომ ნიცშეს,
რომელიც მუდამ იყინებდა, სიცოცხლას არ-
სება ამორალურია, არ სურდა დაენახა, მისი
მოწონებული ტრაგედიის ერთ-ერთი უმთავრე-
სი პრობლემა სწორედ „სამყაროს ზნეობრი-
ვი წესრიგის“ პრობლემა რომ იყო, — უზგუ-
ნურესი პრობლემა ყველა იმ პრობლემას შო-
რის, რომელიც კი ოდესმე წამოუჭრია დაცე-
მის ხანის კაცობრიობას.

ტრაგედია ნიადგ წამოჭრის კითხვას: საი-
დან მოდის ბოროტება სამყაროში? და გაუ-
ბედავად პასუხობს: თვითონ ადამიანის, მი-
სი სიამაყის, ადამიანის მიერ ღვთაებრივი კან-
ონების უგულვებელყოფისაგან. მაგრამ დრო-
დადრო ტრაგედია თვითონვე უარყოფს თა-
ვის პასუხს. არც ოიდიპოსს, არც ფილოკტესს,
არც ანტიგონეს არ დაუმსახურებიათ უბედუ-
რება, რომელიც თავს დაატყდათ. და მეორ-
დება ბიბლიური იობის მარადიული ისტორია.
„მე უფლისა მიმართ ვიტყოდი და ვამზილო
მის წინაშე, უკეთუ ინებოს“. სიკვდილით დას-
ჯის წინ ანტიგონე კითხულობს:

განა რომელი ღმერთის კანონს
გადავედ ურჩი,
ანდა რომელ ღმერთს სასოებით
ადვუპყრო თვალნი
და ვთხოვო დამხსნას ამ განსაცდელს
საბედისწეროს,
როცა ღვთის გამოხად ჩამეთვალა
ღვთისმოსავობა?!
ჩემს აგრე დასჯას მართებულად თუ
ხცნობენ ღმერთნი,
შთამაგონებენ, რომ შევცოდეთ. —
მეც უდრტვინველად მოვკვდები...

და პერაკლეს და მისი ცოლის დეიანირას
საცოდავობის შემყურე სოფოკლეს მწარედ
ვოდებს „ღმერთების დიდ უსამართლობაზე“.

ჩვენ მათგან გავჩნდით, ამიტომაც
ვუბნობთ „შამებად“,
აბა, ანინი შეჭყურებენ ტანჯვას
საშინელს!
ვერვინ იხილავს მოკვდავთაგან იმ
ტანჯვის ბადალს,
რასაც ამჟამად ჩვენ შევჭყურებთ
შემრწუნებულნი,
სამარცხვინოა ღმერთებისთვის ეს
სიხატბე-
ჩქარა, ქაღწულო, მიატოვე აქაურობა,
უბედურებას, რომლის მსგავსი სხვას
არ უნახავს

ბევრს შეეხვარი, არ ერია მათში
არც ერთი
რომლის მიწეზე თვითონ ზევსი არ
ყოფილიყო.



და ესკილეს პრომეთეს ბრზმორეული
წყევლის გულსასტყვეს ურწმელმაც ის
ადამიანების სიყვარულსაგან დასჯა.

ზევსს ადამიანების მოხვრა ეწადა
შას წინ არავინ არ აღუდგა, გარდა
ჩემისა.
მე ხელვიწიფე, თანაველმე მოკვდავთა
მოღვმას
და ავაშორე მათ ჰადესში ფერფლად
ღანპნევა.
აი ამისთვის ეხვეითარს ვემთხვიე
სახჯელს,
რაც სამძიმოა ახატანად, ახევე —
ხილვად
მე შევიწყალე მოკვდავები, გარნა
არავინ
თავად არ ღირსმცნო წყალობისა...

მაგრამ დიონისური მეამბოხე ღმერთმებრძოლ-
თა არსი სწორედ ის არის, რომ ისინი ფა-
ტალურა აუცილებლობით ყოველთვის „სუს-
ტი მეამბოხეები“ აღმოჩნდებიან ხოლმე და
„თვითონ ხდებიან თავიანთი ამბოხის წერა“ —
როგორც ამბობს მათ შესახებ დოსტოევსკის
დიდი ინკვიზიტორი. გამოუცნობი შემოვლი-
თი გზებით ადამიანი იქამდე მიდის, რომ მზად
არის ხელახლა შეუშვიროს თავი ტანჯვას,
რომლის გამოც სულ ახლახან ღმერთს ყვედ-
რიდა, და თავისი ნებით დაიდოს ის ხელბორ-
კილი, რომლითაც აქამდე იყო შებორკილი.
აქ არ შეიძლება ლოგიკაზე ლაპარაკი, არ
შეიძლება კითხვის დასმა საფუძველ-შედგზე-
განცდილ იქნა რაღაც უზარმაზარი, გამაწამებ-
ლად ნათელი, სულის შემძვრელი და ადა-
მიანიც ყველაფერს შეეგუა. „ეს არის ნათელი,
უღავო შეგრძნება, — ამბობს დოსტოევსკის-
თან კირილოვი, — თითქოს უცბად შეიგრძ-
ნობ მთელ ბუნებას და უცებ ამბობ: კი, ეს
მართალიაო! თქვენ აღარც პატიება გჭირდებათ
ვისიძე, ვინაიდან საპატიებელი აღარაფერი არის,
განა გიყვართ ამ დროს, ეს რაღაც სიყვარულ-
ზე მეტია.“

ანდა, როგორც შობენპაუერი წერს, ეს
არის სამყაროს ძირეული ერთიანობის უცებ
შემცნობი, ტანჯული ადამიანებისათვის გი-
მობრწყინებული ნათელი: „უსაზღვრო ტანჯვა-
ში მათ წინაშე ბოროტება და უკეთურობა,
ტანჯვა და სიძულვილი, მტანჯველი და ტან-
ჯული — ერთი და იგივეა... ადამიანმა სა-

სიცოცხლო წება განიშორა, ყოველგვარი სურვილი ჩაიკლა და უნებურ შემეცნებას მიმართა... ბედნიერება და უბედურება გაქრა, ამიერიდან აღარა ვართ ინდივიდუუმები, — ის დავიწყებულ იქნა, — ამიერიდან მხოლოდ წმინდაწყლის შემეცნებელი სუბიექტები ვართ, მხოლოდ სამყაროს ერთიანი თვალის სახით ვარსებობთ, ინდივიდუალობის ყოველგვარი ნიშანწყალი ქრება და უკვე სულ ერთია ძლევაშოსილ მბრძანებელს ეკუთვნის მკერტელი თვალი თუ საპყარს, დილეგიდან ვუცქერ ჩამავალ მზეს თუ სასახლიდან.

ამ მკვდარი სიბრძნის გამგონე აკოლონი აღშფოთებული გაეცლებოდა იქაურობას და იტყოდა: ისე როგორ შეიმუსრა ადამიანის წება, ძალა და გამძლეობა, რომ სამყაროს ასეთი ერთიანობა შეეწყნარებინა და მის ასეთ ანორ გამართლებას დასჯერებოდა! მაგრამ ვერ შენიშნავს ტრაგიკული ადამიანი სიცოცხლისა და ბედნიერების ღმერთის კვალებში დაკვესებულ გულისწყრომას. ის თავისი ტანჯული ღმერთის წინაშე პირქვე დამხობილი, მოწიწებით შეუერთებს თავის ხმას ესქილეს „გამემნონის“ ქოროს:

უფალი ტანჯვას და რუდუნებას
მოუვლენს მოკვდავთ, რომ აზიაროს
ამროვად სიბრძნეს და სათნოებას,
არა გვშორდება ტანჯვა სიზმრებშიც,
რომ არ გაგვშორდეს ჩვენ სათნოება.

ამის მომდევნო ორი ლექსი დედანში ძალიან ბუნდოვანია. მაგრამ მისი აზრი ეტყობა ასეთი:

ასე გვჩუქნიან ძალისძალად თავის
წყალობას
ცისა და მიწის გამგებელი
ღმერთები მოკვდავთ.

ზომ არ არის ეს „ნაძალადევი წყალობა“ იგივე „ქამანდი“, რომლის შესახებაც დიმიტრი კარამაზოვი ლაპარაკობს დოსტოევსკისთან? „უპრიანი ჩემისთანები ბედმა ათრიოს, ჩემისთანებს ქამანდი უნდა მოსდეს, — ძალით მოუგრიხო კისერი. არასოდეს, არასოდეს მე ჩემით არ წამოვდგებოდი... მინდა ვეწამო და ტავით განვიწმინდო.

მძიმე ტვირთი ასწია თავის მბრებით პატარა ბერ-

ძენმა ხალხმა. ძალით არნახული, კოლოსალური დაძაბვით, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, სულის სფეროში შექმნა მან-ღირებულებები, რომლიდანაც ათსწლეულები ხაბავდნენ აურაცხელ საზრდოს. ამ უზარმაზარ სამუშაოს უკვალოდ არ ჩაუვლია ბერძნული სულისათვის. მან მთლიანად შეიწირა მისი, განმრთელობა და სწრაფად გამოფიტა მისი სიცოცხლო ნიადაგი, რომელიც ზემოთაღნიშნულ კომეროსულ-აკოლონიური ეპოქის სულის უდიდესი განმრთელობა სწრაფად გადაიზარდა ტრაგიკულ-დიონისური ეპოქის უდიდეს ავადმყოფობად, რათა მერე უგერგილო ალექსანდრიულ ხანაში მომკვდარიყო. მაგრამ ტრაგიკული ეპოქის ეს ავადობა, მისი სასიცოცხლო ძალების ეს ავადმყოფური კენობა არნახული სილამაზით იყო აღბეჭდილი. ასეთივე სილამაზით ბრწყინავს შემოდგმის მომაკვდავი ტყე თავის მშვენიერ ფერთა თამაშით. მისი სასიცოცხლო პროცესები ფერხდება, ფესვები საქმიანობას წყვეტს, ფოთლებს ლაობა აქვს შემდგარი, მაგრამ მასში ისეთი მრავალფერი, კაშკაშა, წარმტაცი სილამაზეა, როგორიც, ვინძლო, ზაფხულის ცოცხალ ტყესაც არა ჰქონია.

მიუხედავად ამისა, ელინური ტრაგედიის ეს საშემოდგომო სილამაზე მეტისმეტად ხმაშალდა მეტყველებს სულის სუსხიან ღამეებზე, სიცოცხლის ძალების კენობაზე, მომაკვდავ სასიცოცხლო ინსტინქტზე. იბადება სევდიანი სურვილი იმ გულის დამამძიმებელი ტვირთის გადაგდებისა, რომლითაც ტრაგედია ადამიანის დათრგუნვის ცდილობდა; სულს აღაშფოთებს ცხოვრების ეს უსაზღვრო, განზრახ გამოწვეული შიში და ჩვენც არაცნობიერად გავურბივართ ტრაგედიას. აი, რატომ არის ყოველთვის უნაყოფო თეატრის გამუდმებული მცდელობა ელინური ტრაგედიის აღდგენისა. მადლობა ღმერთს, რომ საამისოდ ჩვენც კი არა ვართ საკმაოდ დეკადენტები. მარად-ახალი და ცინცხალი, გაუნელებელი სიცოცხლით სავსე დარჩება კაცობრიობისათვის კომეროსის პოემები. მაგრამ მხოლოდ მუნე-სიულის ან სანდრო მოისის გენიას შეუძლია ერთი წამით შთაბეროს სული ელინური ტრაგედიის მშვენიერ სხეულს, რომელიც დღეგრძელი სიცოცხლისათვის ვერ აღორძინდება.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ბერმანულიდან
თარგმნა ლელა ხორნაულმა

პოკუსაი

ზეცას კიდევ ხუთი, ათი წლის სიცოცხლე რომ მოეცა, ნამდვილად დიდი მხატვარი გაეხდებოდა. — ეს არის 90 წელს მიღწეული იაპონელი ხელოვანის, პოკუსაის ნათქვამი, რომელიც არასოდეს თავისი თავით კმაყოფილი არ ყოფილა. ამ გამონათქვამში იგრძნობა ის, რაც ნამდვილი ხელოვანის შემოქმედებას ახასიათებს: გამოხატვის ახალი ფორმების მუდმივი ძიება, ტრადიციებიდან თავის დაღწევა, თამამი ექსპერიმენტები და რკინისებური ნებისყოფა. მისი შემოქმედება გამსჭვალულია იუმორით (ავიღოთ სცენები „ასი მოთხრობიდან“); მძიმე სიტუაციებში პოკუსაის ოპტიმიზმი შველოდა, ახლის ქმნის ძალასა და შრომის სიხარულს უნარჩუნებდა.

უდიდეს იუმორზე ისიც მეტყველებს, რომ სიკვდილამდე, რომლის გარდუვალობას თვითონაც ხვდებოდა, ცოტა ხნით ადრე ის თავის მეგობარ ტაკაგის სწერდა: „მეფე ემა (ქვესკნელის მბრძანებელი) დაბერდა და ტახტიდან გადადგომას აპირებს, ამასთან დაკავშირებით პატარა ლამაზ სახლს იშენებს და კაკე-მონოს დასახატად დამიბარა. ასე რომ, რამდენიმე დღეში გავემგზავრები და ჩემს ნახატებსაც თან წავიღებ. ქვესკნელის ერთ-ერთი ქუჩის კუთხეში ბინას დავიჭირავებ და თავს ბედნიერად ჩავთვლი. თუ დროს გამონახავ და შემომივლი“.

პოკუსაის ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული შემოქმედებასთან და მისი შთაგონების წყაროს წარმოადგენდა. ამ მხატვრის შთაბეჭდილებებისა და გრძნობების გამოხატვის ფორმები უოველთვის იწვევდა კამათს. მთელი ცხოვრება დაუღალავად შრომობდა, თითქოს სა-

დაც ჩქარობსო, ახალ საშუალებებს ეძებდა შთაგონების გამოხატავად. ცხოვრების აწრად ის შიანდა, რომ გარემომცველი სამყარო ნამდვილი ხელოვნების ნიმუშად ექცია. მისთვის არაფერი იყო არც უმნიშვნელო და არც იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მისი გამოხატვა ფერით და კონტურით შეუძლებელი ყოფილიყო. თავის თავს არასოდეს იმეორებდა, არასოდეს ჩერდებოდა და არ კმაყოფილდებოდა მიღებული ფორმით, უოველთვის წინ მიისწრაფოდა.

ასე ჩაეყარა საფუძველი ინდივიდუალური სტილის იაპონური ხელოვნების განვითარებას.

გასაკვირი არ არის, რომ ამ ხელოვანმა გამოხატვის ახალი ფორმები იპოვა და დაშტამპულ ტრადიციებს ვადააბიჯა, რომლებიც მის საინტერესო ნაწარმოებებს ძველ, ტრადიციულ ნახატებს ამსგავსებდნენ და იღვრაშივე ანადგურებდნენ მომავლისათვის შექმნილ საფუძველს: ის იმ ეპოქაში ცხოვრობდა, როდესაც ძველი იაპონია კვდებოდა და ახალი მიმდინარეობები იღებდა სათავეს; მისი გარემომცველი სამყარო მღელვარებითა და სულიერი წინააღმდეგობებით იყო აღსავსე. იაპონიის მმართველობა უველაფერს აკეთებდა, რათა მდგომარეობა უცვლელად დარჩენილიყო მიუხედავად ამისა, უკვე აღარ შეიძლებოდა იაპონიის მსოფლიოსგან იზოლირება; შოგუნატი — ფეოდალური სამყარო — უნდა დანგრეულიყო. 1868-დან 1867-წლამდე იაპონიაში შოგუნები (ჯარის მთავარსარდლები), ტოკუგავას გვარის წარმომადგენლები, ბატონობდნენ. სეიმაგორას ბრძოლაში (1600) გამარჯვებულმა ტოკუგავა ლეიასუმ ჩამოაყალიბა გაერთიანებული პო-

ლიციური სახელმწიფო, რომელშიც მეფეს მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციები ჰქონდა. დასაწყისში ამ მკაცრმა სისტემამ სასიკეთოდ იმოქმედა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების განვითარებაზე, რადგან ქვეყანაში დამყარებული ხანგრძლივი მშვიდობის დროს ვითარდებოდა მრეწველობა და კულტურა.

უმაღლესი საზოგადოება — არისტოკრატია და სასულიერო წრე — წინ ეღობებოდა ბურჟუაზიის ასეთ სწრაფვას განვითარებისაკენ. მკაცრი მმართველობის გამოც თანდათან შეფერხდა წინსვლა; იაპონიის სახელმწიფოს სრული იზოლირება მიღწეულ იქნა. რეფორმების ძიება თანდათან ირღვეოდა და ისპობოდა. პოლიტიკური მდგომარეობის დაძაბვამ კულტურულ ცხოვრებაზეც იმოქმედა: საუკუნეების მანძილზე მიღებული და გათავისებული ჩინური კულტურა ახლა უცხო და ხელისშემშლელი აღმოჩნდა საკუთარი, იაპონური კულტურის შექმნაში. იაპონიის აღმოჩენამ ამერიკელი საზღვაო ესკადრონის მიერ საბოლოოდ დაანგრია ტოკუგავას სისტემა.

პოკუსაი, როგორც სრულყოფილი ხელოვანის ტიპი, ამ არეული პოლიტიკური სიტუაციიდან გამოხატვის რევოლუციურ ფორმებს ქმნიდა. ხელოვანი იძულებული იყო იშვამად ჩამოეყალიბებული ორივე ტრადიციული სკოლისათვის, კანონსა და ტოზასთვის, მიეძღვნა თავისი თავი.

ტრადიციებისთვის გვერდის ავლა მისთვის მაინც ძნელი აღმოჩნდა. მხოლოდ მე-18 საუკუნის დასაწყისში, ორმოცი-ორმოცდაათი წლის ასაკში შესძლო მან საკუთარი სტილის შექმნა. ეს გრძელი ვაა შინაგანი წინააღმდეგობებისა ტრადიციებისა და საკუთარ ხედვას შორის ნათლად გვიჩვენებს მისი შემოქმედების საფუძველისა და ხელოვანის ხინდისის შერწყმას.

მიუხედავად იმისა, რომ პოკუსაი ხელოვნების ყველა სფეროში მოღვაწეობდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი მის შემოქმედებაში გრავიურამ დაიკირა. ამის მიზეზი ის იყო, რომ გრავიურაზე ყველაზე ნაკლები გავლენა ჰქონდა ჩინურ კულტურას. ის ვითარდებოდა ეროვნულ საფუძველზე, ე. წ. „უკიო-ე“ („მოდრავი ქვეყნის ხატი“) ამ მიმდინარეობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და ბურჟუაზიის მოთხოვნებს უოველნაირად აკმაყოფილებდა. ამ სტილის პირველ ოსტატად კანონიერად ითვლებოდა ივასა მატაბეი (მე-17 საუკ.) „უკიო-ე“ ცხოვრებას მთელი თავისი სიმშვენიერით გვიხატავდა ედოს ეპოქაში (მე-17 საუკ. დასაწყისიდან მე-18 საუკ. ბოლომდე). გარდატეხა ეროვნული, ხალხთან დაკავშირებული გრავიურის ხელოვნებაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან გრავიურის

რის ტექნიკა პირველად ჩინეთში წარმოიშვა (ტინგის ეპოქის დროს, 618—906) და ამის გამო იაპონური გრავიურის კულტურა უოველთვის ჩინურზე დამოკიდებული რჩებოდა.

დასაბუთდი ქალაქი ჩინეთის აღმოჩენა იყო. (კან-ის დრო, 206 წ. ჩვ. წ. აღ-მდე 220 წ. ჩვ. წ.-აღ-ით). მიუხედავად ამისა, ტაიმას 798 წ. კოდექსში დასახელებულია უკიო-ე და უკიო-ე ლოსანი, რომელთაც ქალაქი და უკიო-ე დნენ. მე-9 საუკუნის დასასრულიდან ქალაქის დამზადების ტექნოლოგია ისე გავრცელდა, რომ მისი დამზადება სახლებშიც დაიწყეს. იაპონურ ქალაქს თუთის ხისგან და სხვა მცენარეებისგან ამზადებდნენ; ზოგიერთი ჭიშისგან მოხატულობას აკეთებდნენ ქსოვილებზე. იაპონური ქალაქი ყველაზე კარგად იღებდა ხის ფიგურების ანაბეჭდს.

კვეთისა და ბეჭდვის პრინციპი ძალიან უბრალო იყო, მაგრამ დიდი გამოცდილება და პრაქტიკა სჭირდებოდა, რათა იაპონური გრავიურის არჩვეულებრივი ნიმუშები შექმნილიყო. სახელდახელო ესკიზი, რომელიც გამჭვირვალე ქალაქზე იყო მოხაზული, დაიკვრებოდა ხის ფირფიტაზე და შემდეგ ფაქიზად გამოიჭრებოდა ნაწილები, რომლებიც ბეჭდვის შედეგად უნდა გამოჩენილიყო, პატარა ბილიკებად და სიცარიელეებად რჩებოდა. კონტურებიც გამოჭრის შემდეგ ჩანდა. ხის ფირფიტა ალუბლის ან ბზის მერქნისაგან მზადდებოდა, ტოტები არ გამოიყენებოდა. ხე, სულ ცოტა, ორმოცი წლის მაინც უნდა ყოფილიყო, საკმარისი ზომის ფორმატი რომ გამოსულიყო. მათი ღირებულება ნათლად გვიჩვენებს, რამდენად ძვირად ფასობდა გრავიურის ნიმუშები.

ცნობილი ოსტატები ჩანახატებს ამზადებდნენ გრავიურებისთვის, რომლებიც მხატვრობის შემცველი არ იყო, მაგრამ „რებროდუქციებად“ თვლიდნენ, ჩინეთში კი მხატვრობის სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა (როგორცაა მაგ. „მლოგვის ფესვების ბაღში“ და „ათი ბამბუკის ტევრში“), რათა დამოუკიდებელი ხელოვნების ნიმუშები შექმნილიყო. იაპონელი მხატვრები ხეზე კვეთის ოსტატებისთვის მთლიან ესკიზებს კი არ ამზადებდნენ, არამედ, მხოლოდ ნაწილობრივ ჩანახატებს კონტურებითა და ფერებით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დააწებებდნენ, გამოჭრიდნენ და დაბეჭდავდნენ, ნახატი დასრულებულ სახეს იღებდა. ბეჭდვისათვის გამოიყენებოდა წყლის საღებავები, რომლებითაც ფუნჯით იხატებოდა და შემდეგ ნაწილ-ნაწილ იშტამპებოდა.

გამოსახულება ბეჭდვის დროს ესთეტურად ძალიან შთამბეჭდავი იყო: წყლის საღებავებისა და სველი საბეჭდი ქალაქის შერწყმა ძალიან ეფექტურ შედეგს იძლეოდა, სადაც ქალაქის

სისველეთ გამოხატვის ფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ასე აღწევდნენ მკვეთრ ფერებს და ამავე დროს აბრეშუთივით ნაწ, გაცრეცილ ზედაპირს. (უფრო გვიანდელი ნაკეთობები ადვილად შეიცნობა ცარცნარევი, მონოტონური ფერების მიხედვით).

მხატვრები, რომლებიც ესკიზებს ქმნიდნენ ფირფიტებისთვის, ბელოსნებისთვის მოღვაწეობდნენ — კერძოდ, ხეზე მჭრელიც და მბეჭდავიც მათ ჩანაფიქრს ასხამდნენ ფროთებს. შემდეგ კი მხატვარი ანაბეჭდს სახელოსნოში ამოწმებდა.

გრაფიურის ტექნიკამ დიდი გამოყენება მოკვია წიგნების ილუსტრაციაში, საახალწლო სურათებში — (სურამონო) ხოფლის მეთურნეობისა და არქიტექტურის ღირსშესანიშნაობათა ამსახველი სურათების სერიალებში, სცენებში სპექტაკლებიდან და მსახიობის სურათებში, ხალხის უოფის ამსახველი სცენებისა და რელიგიური საჭიროებისათვის, აქტუალური მოვლენების ამსახველ სურათებსა და იაპონიის ისტორიული სცენებითა და მცენარეების და ცხოველების გამოსახულებების შესაქმნელად — მოკლედ ეს ხის ფირფიტები მოიცავდნენ ყველაფერს, რაც იაპონიაში საინტერესო და მნიშვნელოვანი ხდებოდა.

ჩინეთიდან შემოსული გრაფიურები ბუდასა და ბუდისტური რელიგიის სხვადასხვა გამოსახულებებს წარმოგვიდგენდნენ, ასე რომ, იაპონურ ფერწერულ ხეზე კვეთას არა მარტო სტილისტურად, არამედ თემატურადაც ეხმარებოდა. 1800 წ. ტოკუგავას მოგუნათის დროს დაიწყო ახალი სტილის განვითარება.

იმ დროს თავადების, დაიაშიოს ხელისუფლება ლეიასუმ, ბურუუაშიამ და ხელოსნებმა დაამარცხეს — ამიტომ გახდა შესაძლებელი განსაკუთრებული ეროვნული სტილი შექმნილიყო.

ამის შემდეგ იაპონიის სახელგანთქმული მხატვრები გრაფიურის განვითარებაზე მუშაობდნენ. (ადრე მხოლოდ ერთი კონტურებიანი ფირფიტები იბეჭდებოდა, რომელსაც მარტო წითელი და მწვანე ფერებით აფერადებდნენ).

სხვადასხვა ფერებით ბეჭდვის პირველ აღმომჩენად, ითვლება მარუნობუ (1725—1770), სტილისტურად კი მხატვრებზე დიდი გავლენა იქონია მატაბეის ხელოვნებამ, რაც ნათლად ჩანს მოკუსაის შემოქმედებიდანაც. არანაკლები დიდი ხელოვანი კიტაგავა უტამარო (1753—1806) ყველაზე მეტად უახლოვდებოდა ნატურალიზმს. მისი გავლენით ქმნიდნენ სცენებს ტოიოკუნი, კუნიზადე და კუნიოში თეატრისათვის. შარაკუ იაპონიის ხელოვნების ისტორიაში ამოუცნობი მოვლენა იყო და მან თავისი სცენური სახეები შექმნა. უოველივე იმის საფუძველზე, რასაც ეს

ოსტატები ქმნიდნენ, მოკუსაიმ შექმნა თავისი უოვლისმომცველი და მდიდარი ხელოვნება.

მოკუსაის დუხჭირი ცხოვრება (რომელსაც სინამდვილეში კაკამურა ტოკიტარო ერქვა) ცხადყოფს, რომ ის მზად იყო თავისი საქმისთვის უოველგვარი მხვერპლი გაეღო. დაიბადა 1700 წ. ედოს გარეუბანში, ახლანდელ ტოკიოში. მატარა იყო, 1717—1718 წ. ოსტატმა იშვილა. მოკუსაიმ მუშაობდა მატაბეის ხატვის ნიჭი. მამინაცვლის ხელობა ინტერესს უღვივებდა და შთააგონებდა. ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა წიგნის ბეჭდვა, რომლის დროსაც ზემოთ დასახელებულ ხელოვანთა ნაწარმოებებს ეცნობოდა. 1778—1777 წ. მოკუსაი ხეზე მკვეთელის შევირდი იყო აქ იხწყავლა მან ხელობა, მისი მრავალმხრივი შესაძლებლობანი, რაც დაეხმარა სრულყოფილი სახე მიეცა თავისი ესკიზებისათვის. ის უოველთვის ამახვილებდა უურადლებას, რომ გრაფიურის შექმნას ფაქიზად მოპურობოდნენ და ესკიზი და ნაკეთობა ერთმანეთისგან განურჩეველი უოფილიყო ასე შეინარჩუნა მან ინდივიდუალობა, რომელიც არასოდეს არ წაშლიდა ხეზე მკვეთელის ხელით. სხვადასხვა ხელოსნური საფუძველების ცოდნით შეიარაღებული მოკუსაი დიდ მისწრაფებას გრძნობდა ესკიზებისადმი და სწორედ ამიტომ თვრამეტი წლისა მოხვდა ცნობილი მხატვრის კატუკავა შუნშოს სახელოსნოში. აქ დააჩქვეს მას კაცუკავა შუნრო ე. წ. „ფუნჯის სახელი“, რომელსაც შემდგომ 49 სახელი მიემატა: მაგ. გვაკონი (ხატვის ვიეი ან ხატვაზე შეშლილი), გვაკიო როინ (წყარო), იტსუ ტამეიში (პირველი), როინ (მოხუცი), ტეცუგორო (განაფხულის არწივი). მოკუსაი მთლიანად თავისი ოსტატის გავლენის ქვეშ იყო და ამ სტილში ხატავდა მსახიობების სურათებს და ილუსტრაციებს წიგნებისათვის. ეს ილუსტრაციები გამოიყენებოდა იაფფასიანი სარაინდო რომანების გასაფორმებლად.

შუნშოს სახელოსნოს გავლენისგან მოკუსაის თავის დადწევის მიზეზი გახდა დიდი უსიამოვნება, რომელიც თავის მანწავლებელთან შეემთხვა, მოკუსაის 1788 წ. ეს განხეთქილება უფრო გამწვავდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ მოკუსაიმ სულ უფრო და უფრო მეტად მოიპოვა ინდივიდუალობა და პიროვნულობა, ამაში მან სხვა ოსტატებთან კონტაქტიც დაეხმარა. ის წერდა ლექსებს, რომლებსაც თავისი საკუთარი ილუსტრაციებით აფორმებდა და გრაფიურასაც აკეთებდა. შრომისმოყვარეობამ ნაყოფი გამოიღო. მიუხედავად ამისა, მატერიალურად მაინც უჭირდა და ისევ ქუჩის ხელოსნად რჩებოდა. 1789 წ. დიდი პონორარი აიღო და მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამ წლიდან მოყოლებული სულ უფრო მეტ და მეტ ნამუშევრებს აქვეყნებდა. მან ილუსტრირება გაუკეთა მწერალ კიოდენის ბევრ

ტექსტს. ეს ტექსტები ხალხური ხანიათისა იყო და მოკუსაის რეალური სტილის განვითარებაზეც იმოქმედა.

მას შემდეგ, რაც ხელოვანს უურადღება მიუქცევს, მას უკვე უკვეთავდნენ და ბარათებს და „სურიმონოს“ ე. ი. ხაზალწლო მისალოცებს, გაფორმებულს ლექსებით და ილუსტრაციებით, მოსაწვევებს სხვადასხვა დღესასწაულებისა და თეატრალური წარმოდგენებისათვის.

მოკუსაის მქონდა უფლება უტამაროსთან და სხვა ცნობილ ხელოვანებთან ერთად წიგნები თავისი ილუსტრაციებით გაეფორმებინა, რაც იმ დროს მისთვის დიდი ნდობა და პატივი იყო (ქალების გამოსახვის მოკუსაის მანერას მიბაძა უტამაროძე).

თუმცა მისი პოპულარობა იზრდებოდა და შოგუნმაც აღიარა, ხელოვანს შატერიალურად მაინც უჭირდა. იაპონელი ხალხი აფასებდა მას, მაგრამ მშვიდი ცხოვრების ნავთსაუბრედი ჭერ მაინც ვერ მოეძებნა. მან ბინა ოთხმოცდასამჯერ გამოიცივალა. თავდაუზოგავი მუშაობის გამო თავის გარეგნულ იერსახეს უურადღებას არ აქცევდა. არისტოკრატიული ზნე-ჩვეულებანი სრულიად არ აღეგნებდა, მას ჭერ არც მდგომარეობა მქონდა, არც სახელი და არც ფული. რაკი თავის ნაწარმოებებს კომერციული ინტერესებისთვის არ ქმნიდა, ფინანსური პრობლემა ყოველთვის აწუხებდა. მოხუცებულობაში ურიცხვ კრედიტორებს ემაღებოდა. მაგრამ ხელოვანის ნამდვილი ფანატიზმი და ხალასი იუმორი მოლომდე აძლევდნენ ახლის ქმნის სტიმულს. იაპონური გრავიურის ოსტატი, რომელიც მუდამ ახლისკენ მიისწრაფოდა, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 1849 წ. 10 მაისს, გარდაიცვალა.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დაწერა თავისი გედის სიმღერა: „ადამიანის სული მიშავალი და წარმავალია, როგორც ფოთლებშემოძარცული ზაფხულის ყვავილი“.

მოკუსაის მდიდარ შემოქმედებას გამოხატვის ფორმების სულ უფრო მეტად დახვეწა და სრულყოფა გამოარჩევს. ამაში იოლად დავრწმუნდებით, თუ მის ხელოვნებას თვალს გადავავლებთ. ორმოც წელს მიღწეული ხელოვანი ედოს შემოგარენის ულამაზესი პეიზაჟების ამსახველ გრავიურებს ქმნიდა, და მაინც თავისი აღწევების საწყის სტადიაში იმყოფებოდა. პეიზაჟის გადმოცემისას საკუთარ სტილს იმუშავებდა. ბუნების სილამაზით იყო შთაგონებული და რეალისტურად ასახავდა გარემომცველ სამყაროს, რაც იმ დროსათვის ევროპული ხელოვნებისთვისაც იყო დამახასიათებელი. სწორედ ამ შთაგონებითა და გარე სამყაროს გავლენით შექმნა მან საკუთარი სტილი და თავი აარიდა ტრადიციულ ფორმებს. მისი პეიზაჟებით გადმოცემული ატმოსფერო, ყოველგვარი შუქ-ჩრდილი-

ბიჭ-გარეშეც, ქალაქშიც თავისებური სივრცის ილუსტირებას ქმნიდა, რომელიც დამაჯერებელ ეფექტს ახდენდა. მოკუსაი ამ დროისთვის ევროპული პერსპექტივის ცოდნას დაეუფლა და მიანები, რომლებიც მის გრავიურებზეა გამოხატული, მან თავის წინამორბედთა ორნამენტული სტილისგან დაიხსნა.

საოცარია მისი წიგნები: ისინი ურთულესად მოწოდებულნი მიწიდან, თითოეული მათგანს თავისი „პორტრეტი“ აქვს, თითოეულ ზეს თავისი „ბედი“ თავისი განვითარების ვზა.

პეიზაჟების სერიაებით ხელოვანი სოფლის მცხოვრებლების წარმოდგენებს წინ აღუდგა იმ დროს იაპონელების სამშობლოს სიყვარული მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბუნებასთან.

ამ მიმართებაში საინტერესო და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ პოლანდიელი ვაჭრები, რომლებიც ხშირად ჩამოდიოდნენ ნავსადგომში ხელოვანის ნაწარმოებებს უიღულოდნენ. ევროპელებმა ისიც შენიშნეს, რომ მოკუსაი იაპონელების ცხოვრებასა და ბუნებას ერთმანეთს უკავშირებდა.

მოკუსაი, რომლის შემოქმედებაზეც დიდ გავლენას ახდენდა ლიტერატურა, მწერალ ბაკინის ნაწარმოებებით დაინტერესდა. მან შექმნა მკაცრა ფანტაზიით აღსავსე გრავიურები რომანისათვის „კაზანე“.

ამ ნამუშევრებიდან ისეთივე ინტენსივობა გამოსტვივოდა, როგორც რომანტიული, ხშირად იდილიური პეიზაჟებიდან. მოკუსაიმ ამით თავისი გამოხატვის შესაძლებლობების მწვერვალს მიაღწია. ნიქმა, რომელმაც მის გარშემო არსებული მრავალფეროვანი სამყარო მოიცვა, გამოხატულება მპოვა „მანგვაში“ („ლტოლვილ სკეიბებში“). ამ დიდ, ილუსტრაციებით მდიდარ ნაწარმოებზე, რომლის პირველი ტომი 1812 წ. გამოვიდა, ხელოვანი გარდაცვალებამდე მუშაობდა.

აქ გაერთიანებული გრავიურები შეზღუდული, განსაზღვრული ფერებით იყო შესრულებული. მხოლოდ შავით, სხვადასხვა ნიუანსებით აღსავსე ნაცრისფრით და მოწითალო ტონებით გამოხატული ადამიანები, ცხოველები, ზღაპრული გმირები, არქიტექტურა, პეიზაჟი და ღმერთები აღიბეჭდა ნაკეთობაზე. 1812 წ. გამოვიდა პირველი სამხატვრო სახელმძღვანელო: „რიაკუგვა შაიაშინან“, რომელიც მოკუსაიმ თავისი მოწაფეებისთვის გამოსცა.

1814 წ. გამოცემული „შასინ გვაფუ“ რომელიც შედგებოდა ნატურისა და ფიგურების გადმოცემის სწავლებისაგან, გაფორმებული იყო იაპონური გრავიურის საუკეთესო ხელოვნების ნიმუშებით.

სწრაფად გამოჩნდა ხეზე კვეთის სხვა სახელმძღვანელოებიც. სერიაში „გვაშიკი“ ხელოვანი

ცოცხლად და რეალისტურად აღწერდა მუშაობის სპეციფიკას და დამახასიათებელ თვისებებს. ისი ხელოვნება ნათელი სურათია იმისა, თუ როგორ მიისწრაფოდა მოკუსაი დაულაღავი და ინტენსიური შრომით გადმოეცა, წარმოესახა ჩვენთვის ნანახიცა და განცდილიც. ამ სერიით შესძლო მან საინტერესო და განახლებული ახალი თვალთახედვის გადმოცემა.

ბუნების დაულაღავმა შესწავლამ ხელოვანს საშუალება მისცა უმნიშვნელო, შეუმჩნეველი კონტურებით გადმოეცა ფიგურების მოძრაობა, გაეცოცხლებინა ისინი, ნახატების სინატიფის და სინაზის მიუხედავად ეს ფიგურები ცხოვრებისეულ ელემენტებს, მუშა ადამიანის ცხოვრებისეულ ძალას შეიცავენ. უველგან იგრძნობა მისთვის დამახასიათებელი იუმორი.

უტამაროს და მის წინამორბედთა ლამაზი და ელემენტური ქალის იდეალი „რეალისტური ფიგურებით შეიცვალა. გრავიურებზე — „კვანო გადენი“, და „გვანკი“, რომელიც ერთი და იმავე დროს შეიქმნა, გამოსახული იყო ისევ მცენარეები და ცხოველები, რომელთა გადმოცემითაც ავტორმა ახალი რეალისტური სახეები შექმნა.

ბუნებაზე დაკვირვება და დაახლოება, უველგარი ცოცხალის დიდი სიუვარული გავლენას ახდენდა გრავიურების სილამაზეზე. ზემოთ აღწერილი გრავიურების ციკლებთან ერთად მოკუსაი ცალკეულ გრაფიკულ სურათებს და ნახატებსაც ქმნიდა.

იგი უკმაყოფილო იყო იმით, რომ მისი ხელოვანი მეგობრები და კოლეგები უველგარი განცდისა და მსხვერპლის გაღების გარეშე მუშაობდნენ და გადაწყვიტა თავისი გრავიურების სერიები ცალკეულ ნიმუშებად გამოეცა იაპონელ მხატვარ-ხელოსნებისთვის, ამით ის გრავიურულ ხელოვნებას ახალი ფორმებით და იდეებით ამდიდრებდა. იდეების დაუსრუტელ წყაროს არანაკლებ მნიშვნელოვანი ხელოსნური ხელოვნების განვითარებისთვისაც ხელი უნდა შეეწყო. ასე მოღვაწეობდა მოკუსაი სხვადასხვა სფეროში, საერთოდ იაპონური ხელოვნების განვითარებისათვის.

1828—1829 წლებში მოკუსაიმ კაცობრიობას თავისი უველაზე მდიდრული და ნაყოფიერი გრავიურები აჩუქა. უველაფერი, რაც მანამდე ბქონდა შექმნილი, ამ ციკლების საფუძველს წარმოადგენდა. მისი აქამდე შექმნილი ნაწარმოებები მაღალ დონეზე იყო შესრულებული.

შემდეგი ციკლი რვა გრავიურისგან — „ჩანჩქერი“, შეიქმნა 1827 წ. ამ ნაწარმოებში მოკუსაიმ სრულყოფილად წარმოაჩინა მხატვრობის შესაძლებლობანი და იაპონური პეიზაჟის გრანდიოზულობა. მან საინტერესოდ დაუპირისპირა ერთმანეთს მოძრავი წყალი და გაქვავებული

კლდეები, როცა შეძლო მქუხარე ჩანჩქერის აღწერა. მიუხედავად ხშირად გამოყენებული მკვეთრი ფერებისა, ამ ნაწარმოებში მაინც არ ჩანს მოქმედება.

ორივე ციკლი — „ფუჯის ოცდათექვსმეტი ხედი“ და „ჩანჩქერი“ ფორმალურად შეიცავდა მოძრაობისა და მარადიულობის ურთიერთდაკავშირებას, უველაფერს, ურესაც ხელოვნების ქაღოქარი მოკუსაი სრულყოფილად მამუშევრებში განსაკუთრებით იგრძნობა მოკუსაის ხელოვნებისთვის დამახასიათებელი კონტურები. მათში ნახატის შინაგანი კომპოზიცია სიმსუბუქითა და მომხიბვლელიობით არის გადმოცემული, მაგრამ მაინც აქვს თავისი დასრულება და სიმყარე. პეიზაჟის გადმოცემის თავისებურებები კონტურების ინტენსიურ გამოხატვასთან ერთად სივრცის ილუზიასა და ატმოსფეროს უფრო ნათლად გვიხატავს.

მოკუსაის, როგორც ხელოვანის პრინციპი იყო მისი რწმენა სამყაროს რეალურობისა, რაც მის ციკლებში უველთვის ჩანს. მას არასოდეს მოუსურვებია თვალთ ხილული სამყარო თავისი გამოხატვის ფორმებით რაღაც ჩარჩოებში ჩაესვა. მის ნამუშევრებში არასოდეს იგრძნობდით არადამაჯერებელ აბსტრაქციებს.

თავისი პეიზაჟების ციკლის შესავსებად მოკუსაიმ შექმნა სერია „ხიდები“ (1827-დან 1830-მდე). მან ამ ციკლისთვის თერთმეტი გრავიურა მოგვცა. გენიალურად გადმოხცა ხელოვანის ხელით შექმნილმა შედეგმა ბუნების მარმონია.

მის ნაკეთობებში ცხოვრებას და ბუნებას მისი ხელოვნების განვითარებისა და ბედის კვალი ატყვია. აქ წარმოდგენილი ხიდებიც გარკვეულ ხასიათს ატარებენ. ისინი ნათლად გვჩვენებენ მათი აღმშენებლის ჩანაფიქრს. ხიდების ციკლმა დიდი ინტერესი გამოიწვია თანამედროვეებში.

ამ მარმონიულ ნაწარმოებთა გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სერიას „ასი მოთბრობა“, სადაც დაგმობილია შიში და სისასტიკე. ამბობენ, რომ ეს ციკლი დაუმთავრებელია, რადგან გარკვეულ წრეებში აღშფოთება და უკმაყოფილება გამოიწვია. მაგ., გამოსახულია ქარისაგან დაგლეჯილი ქალაღდის ჩირაღდნით განათებული კაცის სახე, რომელიც საფლავზე ცემით მოკლულ ქალს იყვანს ხელში. მოკლულის სულის გამოცხადება საოცარი ინტენსიურობით არის გადმოცემული. ასეთი საშინელებების რეალისტური საშუალებებით გამოხატვა შემაძრწუნებლად მოქმედებდა. ეს ნახატები რაღაცით გერმანელი მხატვრის მათიას გრიუნვალდის ნამუშევრებს წააგავდა.

78 წლის ხელოვანმა წიგნად გამოსცა ფუჯის ხედები. ისევ როგორც ფუჯის პირველ სერიაში, ამ ფიგურებთანაც დაკავშირებულია ბუნე-

ბის მიჩვეულნი აღქმა თავისი ორთგინალური გა-
სუვებით. ფუჯის ხედები მხოლოდ შავ, ნაც-
რისფერ და თეთრ ფერებშია გადაწყვეტილი,
რის გამოც კონტურებს განსხვავებული ხასიათი
აქვთ. დაუჩერებელია, რომ მხატვარმა გამოხატ-
ვის საშუალებების სიძუნწის მიუხედავად ასეთი
შედეგრი შექმნა.

ამავე პერიოდში დაიწყო მოკუსაიმ გრავიუ-
რების ახალი სერია — „ასი ლექსი“. ეს მისი
უკანასკნელი ნამუშევარი იყო, რადგან ასის
ნაცვლად მხოლოდ 27 გრავიურის შექმნა მოას-
წრო. ამ ბოლო ნამუშევრის მონუმენტური ასა-
ხვის ენა გვაფიქვებს ხელოვანის ასაკსა და მის
მძიმე ცხოვრებას. ამ პერიოდში გამოდის წიგ-
ნი „ტრაქტატი კოლორიტის შესახებ“, რომელ-
შიც ის თავის შენიშვნებს, გამოცდილებას, პრი-
ნციპებს მომავალ თაობას გადასცემს. მოკუსაის
ნაწარმოებები ხელოვანთათვის განვითარების
ახალი საფეხური იყო. მთელი მისი ცხოვრება
იყო ახლის აღმოჩენა და ახლის შექმნა. იგი გად-
მოსცემდა იმას, რასაც ხედავდა და გრძნობდა.
თავის თანამედროვეებთან ერთად — იაპონური
გრავიურის ოსტატებთან მოკუსაიმ ევროპასაც
ახალ იმპულსებს აძლევდა. მე-19 საუკუნის 80-
იან წლებში საფრანგეთში სულ უფრო მეტად
ცნობილი ხდებოდა იაპონური კულტურა. თა-
ნამედროვე ფრანგ მხატვართა თაობა, რომელიც
ახლის ძიებაში იყო, დაინტერესდა გრავიურით
და მათზე დიდი გავლენაც მოახდინა. დღის სი-
ნათლემ, ადამიანთა მოძრაობამ, ცხოველთა სამ-
ყარომ შექმნა აქამდე არსებული ტრადიციებით
გამოსახვის პრობლემა.

გამოხატვის ამ ახალმა ფორმებმა, ნამდვილი
რევოლუცია გამოიწვიეს ხელოვნებაში, რადგან
ფოთლებზე არსებული სინათლე, არომატული
ატმოსფერო, მოძრაობა უველა ფაზაში ევრო-
პელთათვის საოცარი იყო. მათ ახალი კომპოზი-
ციების შექმნა დაიწყეს. კონტურების ხვეუ-
ლებისა და ფერთა მონაცვლეობამ საფუძველი
ჩაუყარა იმპრესიონიზმს.

მოგვიანებით, საუკუნის დასასრულს, იაპო-
ნური გრავიურის გავლენითაც წარმოიშვა გრა-
ფიკის ახალი ფორმები ევროპაში, რაც წინ
აღუდგა ევროპული გრავიურის მთლიან გარ-
დაქმნას სამრეწველო კსილოგრაფიაში. ამავე
დროს ეკონომიკური განვითარება შპოვა პლაკა-
ტის ხელოვნებაში, რომლის სტილი იაპონური ხე-
ლოვნების შთავონების გარეშე წარმოუდგენელი
იყო (საკმარისია გავიხსენოთ ტულუზ ლოტრე-
კი).

გერმანიაში ამ პერიოდში მოღვაწეობდა გრა-
ფიკოსი ემილ ორლიკი, რომელიც ჩვენი საუ-
კუნის დასაწყისშიც მუშაობდა გრავიურაზე,
რაც მან იაპონიაში სწავლის და მუშაობის შე-
დეგად ისწავლა. გაზვიადებული არ იქნება, თუ

ვიტყვით, რომ მე-20 საუკუნის გრაფიკა იაპონუ-
რი ხელოვნების გავლენის გარეშე წარმოუდგე-
ნელი იყო.

იმის დასამტკიცებლად, რომ იაპონურმა კულ-
ტურამ დიდი როლი ითამაშა იმპრესიონიზმის
განვითარებაში, საკმარისია ტიპიურ მაგალითად
ვინსენტ ვან გოგის დასახელება, რომელმაც თა-
ვისი ნახატების ფართო ჩანაფიქვით მკვეთრი და
თამამი ფერები იაპონური მხატვრებისაგან გად-
მოიღო.

აღსანიშნავია ევროპული ხელით ნაკეთობების
ხელოვნებაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია
კერამიკული ნაკეთობებისა და ქსოვილების ენ-
კიზების გადმოცემა სახელმძღვანელოების საშუ-
ალებით. რასაც თავის დროზე მოკუსაიმ ქმნიდა.
ესკიზების ხელოვნებამ განსაკუთრებით კარგი
განვითარება შპოვა ე. წ. ახალგაზრდული სტი-
ლის ბატონობის დროს, რომელზედაც იაპონუ-
რი სტილის გავლენა მაინც იგრძნობოდა.

თანამედროვე ხელოვნებას იაპონელმა ოსტა-
ტებმა, განსაკუთრებით კი მოკუსაიმ — განსხვა-
ვებული აზრი შესძინეს: ახალგაზრდული სტი-
ლის დროს ფერების დეკორატიული შერწყმა და
შეუმჩნეველი კონტურები, რომლებიც გაცემა
იწვევდნენ, ვეიხატავს ამ ნამუშევრების რეალურ
სახეს. მოკუსაის რეალიზმი მომდინარეობდა მთე-
ლი მისი ცხოვრების მანძილზე მუშა ხალხთან
მჭიდრო კავშირისგან. ამიტომ შესძლო მისმა
ხელოვნებამ ნაყოფიერი ბიძგი მიეცა აწმუოს
განმანათლებლური ხელოვნების შექმნიხათვის.

რეპროდუცირებული გრავიურების შერჩევი-
სას ვხელმძღვანელობდით იმ თვალსაზრისით,
რომ მოკუსაის შემოქმედებიდან შეგვეჩია ის
ნაწარმოებები, რომლებიც ჩვენს თანამედროვე-
ობას ეხმაურება.

მეორე სურათი, რომელიც ოსტატის ბოლო
ციკლიდან არის აღებული, ერთგვარი დასრუ-
ლებაა მისი შემოქმედებისა, რომელსაც მხატვარ-
მა თავი შესწირა.

ერთ-ერთ სურათზე წმინდა მთა ორი-
გინალური, იუმორით აღსავსე კუთხით არის ნაჩ-
ვენები. აქ ის კასრის ფორმით გვევლინება. სა-
ინტერესოა დაკავშირებული წმინდა მთა ფუ-
ჯი ადამიანთა მუშაობის პროცესთან. შრომის
აუცილებლობა ადამიანების უურადლებას და
ალიარებას მოითხოვს. გამოსახულება არა მარ-
ტო ფორმალურად საინტერესო კომპოზიციაა,
არამედ გვიჩვენებს ხელოვანის მჭიდრო კავშირს
უოველდღიურ ცხოვრებასთან.

მხატვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გრა-
ვიურა გადმოგვცემს არა მარტო მეთევზის საშიშ-
როებით აღსავსე ცხოვრებას, არამედ საერთოდ
ფილოსოფიურ დაკვირვებას ცხოვრებაზე. უკანა
პლანზე პატარა მთა მოჩანს; წყლის ძალისა და
მოძრაობის გადმოცემა ნახატზე დიდ სივრცეს

იჭერს. წყლის აქონრით ტალღებში, რომლებიც რკალივით დახვეულ ადამიანებს მაინც სწვდება, კლდის ბასრი ქიმები ჩანს, მატერიის გაშუდებულ მოძრაობა ნახატზე ამომწურავად არის დანახული. კომპოზიციის ლაბირინთები დამაჭერებელ შთაბეჭდილებას კმნიან პირდაპირ მიმართული მოძრაობისა, რომელსაც ადამიანების შთანთქვაც შეუძლია და ნავსაუფდეღში მიყვანაც.

ფუჯის — ციკლში მოკუსაის გამოხატვის ფორმების უველანაირი შესაძლებლობებია გამოუჩენებული: ორიგინალური კომპოზიცია, შთამბეჭდავი წარმოსახვა ბუნებისა, მისი მოძრაობის ძალა და სიდიადე. შთაქარში ფუჯის მონუმენტური სახეა, ბუნების ნამდვილ პათოსს გვიხატავს. ადამიანის ცხოვრების ქაოსი მთის მწვერვალამდე ვერ აღწევს. აღსანიშნავია, რომ ფერი და კომპოზიცია მხატვრისათვის დამახასიათებელი გამოხატვის ფორმებით არ არის წარმოდგენილი, მაგრამ მაინც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

ერთ-ერთი პირველი რეპროდუქცია „ასი მოთბობის“ სერიიდან (პიაკუ მონოგრაფია). შემზარავი და დამთრგუნველია მთლიანად ამ ციკლის შინაარსით და გამოსახვის ფორმით. ერთი ლამპიონა, ოცივას საფლავზე. ეს ქალი ქმარმა მოკლა, ქარისგან დაგლეჯილი ქალადღის ლამპიონიდან ქალის აჩრდილის შეწუხებული სახე მოჩანს, მოკუსაიმ ამ სურათზე აჩრდილიც კი რეალისტური ფორმებით დაგვიხატა. მან შემადრწუნებელი ხევა დაგვანახა. წარწერა ლამპიონზე ბუდისტური ლოცვაა. ნახატის ერთ ნაწილში სახეა მსხვილი ფორმით წარმოდგენილი, რომელსაც აღმათ არანაკლები მნიშვნელობა აქვს. კომპოზიციის ელემენტებს შეადგენენ ღურჯი ბამბუკის ტოტები ლამპიონის უკან და სახეზე ჩა-

მოურილი თმები. ლამპიონიდან გამომავალი ნათელი კვამლის სვეტი შეცისკენ მიავლენს მიცვალებულის დაღაღს.

რვა გრავიურისგან შემდგარი იუკუენ სერია წარმოდგენს იპონიის საზნაუროთ არსებული რიუკუის კუნძულების რელიეფურ, შთამბეჭდავ ბუნებას. ამ პატარა სერიის ფურცლები მკვეთრი ფერებითა და მკვეთრი კონტურებით არის შეტანილი. მათი კონტაქტის შესრულების აღრინდელი მანერისთვის სერია 1980 წ. შეიქმნა.

79 წლის ასაკში შექმნილ ნახატზე ფონის გაუბრალოება მხატვრის ოსტატობაზე მეტყველებს. სურათის ცენტრში წარმოდგენილია ზამთრის დაბურული ტყის შავი სილუეტის მუქარით აღხავსე სიშავე წინა პლანზე გამოხატული თოვლის სითეთრით ბათილდება. უზარმაზარმა კოცონმა სურათის რომანტიულობა შეხშინა, კოცონთან მყოფ ხალხის ველური გამოშეტყველების მიუხედავად, ნახატი იუმორს მოკლებული არ არის. ოსტატურად არის დახატული ფიგურების მოძრაობა. მიუხედავად მშვიდი, აუღელვებელი ფონისა, მამაკაცების ტანსაცმელიც კი ირბევა მათ მოუსვენარ მოძრაობასთან ერთად, შთამბეჭდავი ხერხებით არის გადმოცემული ცეცხლის თავზე მოლიცლიცე ჰაერი. ცეცხლის მწველი ენები დამაჭერებლად ერწყმის მის გარემომცველ ფიგურებს.

ამ ფირფიტის შესახებ ნათქვამია:

„ასი ადამიანიდან უველა თავის სიმღერას მღერის. ჩვენთვის შთა ჩვენი სახლია.“

სერიიდან „ასი პოეტი“ (იგივე „ასი ლექსი“). პიაკუნინ იხიანი.




«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке
1989 № 5
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



上海图书馆藏

0/28




 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

კაცუხიკა კოკუხანი. მეცხრე. და ფუტიაშა. რომელიც ჩანს